გარი ჩაფიძე

მკვლელის აღსარება

დეტექტივი

თბილისი 2012

სწრაფდ გარბის დრო. მოდის ახალ–ახალი თაობები. ჩნდებიან ახალი ადამიანები და ვფიქრობთ, თითოეული ჩვეულებრივი ადამიანია, სხვათაგან არაფრით განსხვავებული.

საზოგადოებაც ჩვეულებრივ იღებს თითოეულს. მერე კი გადის წლები, წარმოჩნდებიან ახალი სახეების ახალი სახელები, თავიანთი მეობით, შემოქმედებით, დამსახურებებით...

თითქოს ისიც ჩვეულებრივი ბავშვი იყო, თუმცა პატარაობიდანვე იქცევდა ფართო მასების ყურადღებას, თავისი ნიჭიერებით, ლიტერატურის სიყვარულით. უყვარდა სხვათა ნაწარმოებების კითხვა და თავადაც პატარამ დაიწყო ლექსების, ჩანახატების, პროზაული ნაწარმოებების წერა...

გავიდა წლები. დღეს ეს პატარა ბიჭი ბუმბერაზი პიროვნებაა თავისი შემოქმედებით, მეცნიერული მიღწევებით, სიახლეთა მიგნებებით... დიახ, ბატონი გარი ჩაფიძე უამრავი მხატვრული, მეცნიერული თუ მეთოდური ნაშრომის ავტორია. ერთ–ერთი, მისი შემოქმედებით ნაყოფი ჩვენს წინაა. ჰოდა, თქვენთვის, მკითხველისათვის მოგვიანდია მისი განსჯა–გაანალიზება.

ერთი კი უდაოა, მის სახელსა და შემოქმედებას დავიწყება არ უწერია...

რედაქტორი: ლ. გეგეშიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ISBN 978-9941-0-4080-1

მკვლელის აღსარება

„ჟიგული“ რკინის ჭიშკართან გაჩერდა, ავტომანქანიდან პირველად მძღოლი გადმოვიდა, ჭიშკარი გააღო და თანმხლები ახალგაზრდა შეიპატიჟა. მწვანეში ჩაფლული ოდა სახლი ზღაპრულ „ბროლის კოშკივით“ ლამაზად გამოიყურებოდა. ჭიშკრის შეხსნისთანავე სახლიდან თმაშევერცხლილი ქალი გამოვიდა, რომელსაც უკან ახალგაზრდა გოგონა მოჰყვებოდა, ქალმა მომსვლელები დაინახა თუ არა, სიხარულით შეჰკივლა და „ჟიგულის“ მძღოლი მკერდში ჩაიკრა.

– გიორგი, გაიცანი, ეს დედაა ჩემი! – თანმხლებს მანდილოსანი წარუდგინა მძღოლმა.

ახალგაზრდა კაცმა სალმის თქმაც ვერ მოახერხა, ქალმა ისიც შვილივით ჩაიკრა მკერდში. თითქოს ახლა შეამჩნია ქალიშვილი, რომელიც მოსულთაგან ხან ერთს შესცქეროდა, ხან მეორეს, შემდეგ გოგონა მძღოლს მივარდა და კოცნა დაუწყო...

– კარგი გეყოფა გოგო, ფრონტიდან ხომ არ დავბრუნებულვარ, სულ დამიკბინე ახლად გაპარსული სახე! – სიცილით უთხრა ქალიშვილს და მეგობარს წარუდგინა:

– ეს ჩემი დაიკოა!

ქალიშვილმა მორცხვად გაუწოდა ხელი და ძლივს გასაგონად წარმოთქვა:

– იზა, იზაბელა!

– თქვენი მონა–მორჩილი გიორგი ამაღლობელი! – ზრდილობიანად დაუკრა თავი ვაჟმა, უცებ შეტორტმანდა და ლეღვის ძირში მიდგმულ ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა: „ნეტავ ვინ არის ეს იზაა თუ იზაბელა, სად მინახავს, ან ასე რად იმოქმედა ამ ქალიშვილის დანახვამ?“ – ფიქრები, რომ გაეფანტა სიგარეტს მოუკიდა.

საქათმეში ქათამი აკრიახდა...

სიგარეტს მხოლოდ რამოდენიმე ნაფაზი მოაკლო, სახლიდან მანდილოსნის ხმა შემოესმა:

– შალვა, მოდი შვილო სახლში და სტუმარიც შემოიპატიჟე, ნეტავი რას უყურებთ ეზოში, არ გენატრება შე კაცო შენი სახლი?

– მოვდივარ დედა? – გამოეპასუხა შალვა და გიორგის სახლისაკენ წაუძღვა.

– ამ სურათზე ჩემი დედ–მამაა – დაუწყო შალვამ ოჯახის გაცნობა მეგობარს და კედელზე მიმაგრებულ სურათზე მიუთითა, საიდანაც მამაკაცი ცეცხლოვანი თვალებით გამოიყურებოდა, მის გვერდით ახალგაზრდა ქალი იდგა, მიუხედავად წლოვანებისა, ამ ქალში, მაინც შეიცნობდით შალვას დედას. – ეს სურათი მამაჩემის დაღუპვის შემდეგ შეაერთა დედამ და გაადიდა – განაგრძობდა საუბარს მასპინძელი, – დილით წყაროზე მიმავალ მამას ავტომანქანა დაეჯახა და იმ დღის შემდეგ დატრიალდა ჩვენი ოჯახის მწარე უბედურება, ავტომობილი მიიმალა, ვერ იქნა და ვერ აღმოვაჩინეთ მკვლელი, განზრახული მქონდა პედაგოგი გავმხდარიყავი, მაგრამ მამაჩემის სიკვდილმა მაიძულა იურიდიული დამემთავრებია და მკვლელი მომეძებნა. რვა წელიწადი გავიდა ამ ტრაგედიის შემდეგ; ალბათ ზეიმობს მკვლელი გამარჯვებას, ვეცდები კი, როგორმე გავუზიარო მას ჩემი ოჯახის მწარე ბედი, თუმცა „ცხელ კვალზე“ ვერაფერს მივაგენით და ახლა რას გავხდებით... – ცრემლი უხმოდ მოიწურა გიორგიმ.

– აქამდე რატომ არაფერი გითქვამს ამ ტრაგედიის შესახებ?

– რა სათქმელი იყო... მამის სიკდვილი ვიღაც გარეწრის ხელით და მკვლელის დაუსჯლობა, შემდეგ ობლობა, დედის ცრემლი და გაჭირვება...

– ნუთუ არავის დაუნახავს მკვლელობა გზაზე?

– აქ ერთი „გიჟი პოეტი“ ცხოვრობდა, მას დაუნახავს, პირველი ის მივარდნილა გვამთან, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიხსენა, ისე იყო შიშით დაზაფრული, ძლივს საუბრობდა, „ვოლგა“ იყო, დიდი სიჩქარით გარბოდაო, – თქვა; ავტომანქანის ფერიც ვერ მოიგონა.

– სად არის ახლა ის პოეტი?

– გარდაიცვალა, ორი წლის წინ...

– სამწუხაროა! პოეტი არ დაკითხეს?

– როგორ არა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა, პირადად მე ვესაუბრე, მითხრა: „ბუნებაში ვიყავი დილით გასული, ლექსს ვწერდი და ეს ამბავი, რომ დავინახე ყველაფერი დამავიწყდაო“. ლექსი მომცა, მაგრამ ვერავინ გაუგო თავი და ბოლო, ნამდვილი გიჟის დაწერილია და სამართლიანადაც შეარქვეს „გიჟი პოეტი“.

– ლექსი თუ გაქვს შემონახული?

– კი იყო სადღაც, თუ არ გადაუგდიათ, იზას ეცოდინება, უყვარს ასეთი რაღაცეების შენახვა, მგონი თვითონაც „გიჟ-პოეტობს“ – თქვა შალვამ და დას გასძახა – იზა! გახსოვს, იმ „გიჟმა პოეტმა“ ლექსი რომ დაწერა მამას გარდაცვალების დროს?

– როგორ არა, მაგრამ გიჟი თვითონ ხარ, ის არავითარი გიჟი არ იყო, ბუნება აალაპარაკო, ჩასწვდე პოეზიის საიდუმლოებას, განა სიგიჟეა?

სურათების ალბომშია, მე მაგიდას ვაწყობ, თვითონ მოძებნე.

– ხომ გითხარი „გიჟპოეტობს“ მეთქი – ჩასჩურჩულა მასპინძელმა გიორგის და კარადიდან სურათების ალბომი გამოიღო, თან ფოტოების დათვალიერებასთან ერთად თავის ჩამომავლობაზე ალაპარაკდა – ჩენ გვარს დიდი ისტორია აქვს, მედიცინის ისტორიის წყაროებში ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე არის მოხსენიებული „თურმანიძეების მალამო“ და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

– კი, გამიგონია, ერთხელ მეც მომიტანეს შოროპნიდან „თურმანიძეების დამწვრობის მალამო“ და აი ხომ ხედავ, სრულებითაც არაფერი მეტყობა ხელზე, ისე კი, მაშინ რომ გენახათ, ვინ იფიქრებდა ჩემი ხელის მორჩენას, ექიმებმა თვითონ მიმასწავლეს ბარნაბა თურმანიძესთან...

– აი ლექსიც! – წამოიძახა შალვამ და რვეულის ნაგლეჯ ფურცელზე გაკრული ხელით დაწერილი ლექსი გიორგის მიაწოდა, მან ლექსი ჩუმად წაიკითხა და მხრები აიწურა, – ხომ გითხარი გიჟი იყო მეთქი – წყნარად წამოსთქვა მასპინძელმა, ისე, რომ იზას არ გაეგონა. გიორგი შალვას არ უსმენდა, ლექსს ჩაჰკირკიტებდა და შალვა რომ გაეჩუმებინა, ლექსი ხმამაღლა წაიკითხა:

– ცის ლაჟვარდში აფრენილა მთების ფენა,
კაბადონი მარჯნისფერად შეფერილა,
შეაჩერეთ თოვლის ზვავის აღმაფრენა,
ხომ ხედავთ, რომ აქ სიკვდილი აწყვეტილა.
შეაერთეთ სალამურთან ცხენის ნალი,
როგორ მოჰქრის ორ გონიო დარახტული,
თუ აცეკვდა საზარელად განი–განი,
მწარე ხვედრით აკივლდება ქალის გული...
გზაზე გვამი, ცურავს სისხლში მწარე ბედი,
კივის ქალი, კოკობ–ვარდი გაუშლელი,
ბუმბულს იგლეჯს თეთრი გედი, თეთრი გედი,
არწივი კი, ჩუმი ცრემლი, ცრემლი, ცრემლი...

გიორგიმ ფურცელი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

– ამ ლექსში რაღაც იმალება! – თქვა დუმილის შემდეგ.

– იმალება, როგორ არა, სიბრძნე! სიგიჟე კი თვალნათლივ ჩანს! – გაიღიმა შალვამ.

– გთხოვთ მობრძანდეთ მაგიდასთან! – მოულოდნელად გაისმა იზას წკრიალა ხმა, ახალგაზრდა მეგობრებს განმეორება აღარ დასჭირდათ, მგზავრობით საკმაოდ დაღლილ–მომშეულები მაგიდას მიუსხდნენ და გემრიელ ვახშამს შეექცნენ, სადღეგრძელო სადღეგრძელომ შეცვალა და შეზარხოშდნენ კიდეც... გიორგიმ ბოდიში მოიხადა და დასვენება მოისურვა, წინააღმდეგობა არავის გაუწევია, ცალკე ოთახი მიუჩინეს და ძილინებისა უსურვეს.

გიორგის მოსვენების შემდეგ, ოჯახში უფრო თავისუფლად დაიწყეს საუბარი, მოიგონეს წარსული და მომავალის დიდი იმედები დასახეს, ბოლოს დედა შეეკითხა შალვას:

– ეს გიორგი ამაღლობელი ვინ არის შვილო, ან სადაური შენი მეგობარია, ვატყობ ცუდი ახალგაზრდა არ უნდა იყოს, მაგრამ თუ მუშაობს მაინც?

– გიორგი ჩემ მეგობარია, ერთად ვსწავლობდით, ერთად დავამთავრეთ იურიდიული ფაკულტეტი და ახლა ერთად გამოგვანაწილეს ზესტაფონის პროკურატურაში რიგით გამომძიებლებად, გიორგი ნამდვილი კვალმაძიებლის ნიჭით არის დაჯილდოებული, სირცხვილია, რომ ბინა ვაქირავებიოთ და მინდა დროებით ჩვენთან იყოს, თუ თქვენი ნებაც იქნება...

– კი შვილო, ღვთისგან მოცემული სახლი დიდი გვაქვს, დასაწოლიც არის და მოსასვენებელიც, კარგი ახალგაზრდა ჩანს, მაგრამ არც ჩვენი იზა არის ნაკლები...

– რას ამბობ დედა! გიორგი ჩემი მეგობარია და მასეთებს არ იკადრებს!

– არა შვილო, გავიხუმრე, თორემ გიორგი იზაზე უფროსიც კი იქნება.

„არ იკადრებს!“ გაიმეორა გულში იზამ ძმის ნათქვამი და დაუმატა, „ვაკადრებინებ!“ რაღაც დაბოღმილი წამოდგა, სუფრაც არ აულაგებია და თავის საძინებელ ოთახს მიაშურა.

გიორგი მამლის ყივილმა გამოაღვიძა, საათს დახედა, სამი სრულდებოდა, სინათლე ჩართო და ჯიბეში უცნობი პოეტის ლექსი მოძებნა, გულდასმით ჩაიკითხა, თითოეულ სიტყვას და მარცვალს დაუკვირდა. ირიჟრაჟა... ისევ გაკრული ხელით ნაწერ ლექსს ჩაჰკირკიტებდა. ბოლოს შეშლილივით წამოვარდა, ჭასთან მივიდა, წყალი ამოიღო და წელს ზემოთ სხეული დაიზილა, ცივმა წყალმა სიმხნევე და აზროვნება შეჰმატა, ეზოში სეირნობა დაიწყო და ლექსის სტროფებს ისე იმეორებდა, თითქოს დაზეპირება უნდაო. გარეთ გამოსულ შალვას ძლიერ გააკვირვა ასე ადრიანად ამდგარი გიორგი

რომ დაინახა და გაკვირვება იმით დაფარა, დილა მშვიდობისა უსურვა.

– ვიპოვე! – სალამზე არ უპასუხნია, ისე შეჰყვირა მასპინძელს გიორგიმ.

– რა იპოვე ბიჭო, ხომ არ გაგიჟდი?

– მამაშენის მკვლელი ვიპოვე!

– ღმერთო ჩემო, ნამდვილად შეიშალა! ნუ გეშინია ძმაო, ახლავე ექიმს დავუძახებ!

– არა შალვა, არ გავგიჟებულვარ და ალბათ ასეთი საღი გონებით არასოდეს არ მიაზროვნია, აი, მოდი აქ! – უთხრა მეგობარს და ლეღვის ხის ძირას დადებულ ბრტყელ ქვაზე თვითონაც ჩამოჯდა და შალვაც დასვა, ჯიბიდან უცნობი პოეტის ლექსი ამოიღო, გაშალა, მაგრამ სანამ წაიკითხავდა, მასპინძელს უთხრა:

– შალვა, ძმაო, ნუ გეწყინება თუ სიმართლეს გეტყვი, ჩვენ ორივენი გამომძიებლები ვართ, მაგრამ შენ გამომძიებლის ნიჭით არა ხარ დაჯილდოებული, კვალმაძიებლობის სწავლა არ შეიძლება, ეს თანდაყოლილი ნიჭია და თუ იგი არ გაგაჩნია, ბოროტმოქმედის წინაშე მუდამ დამარცხებული იქნები. პოეტი არ შეიძლება გამომძიებელი იყოს, მაგრამ გამომძიებლისათვის აუცილებელია პოეტობა, რამეთუ ჩასწვდეს პოეტის სულის სიღრმეს, ესმოდეს მისი ფიქრი და წინასწარ მიხვდეს, რისი თქმა სურდა მას.

გამომძიებელი მსახიობიც უნდა იყოს, რომ გაარჩიოს ნიჭიერი უნიჭოსაგან, ნამდვილი მსახიობი წვერს მოუშვებს, ფრჩხილებში ჭუჭყს ჩაიყენებს და ისე შეასრულებს მათხოვრის როლს, უნიჭო კი წვერს მიიწებებს და ხელოვნურად შეიმურება, ამის გამორჩევა გამომძიებელმა უნდა შესძლოს. აი ეს „გიჟი პოეტი“, რომელსაც თქვენ ასე უწოდებთ, არც თუ ნამდვილად გიჟი ყოფილა, მას გამოძიებისათვის მოუცია მკვლელობის ფაქტი, რომელიც მას დაუწერია, მაგრამ განმეორება და იმ სულის ხელმეორედ აფორიაქება არ შეძლებია, ამიტომ გამომძიებელი უნდა ჩასწვდომოდა პოეტის სულის

სიღრმეს და ამოეკითხა, თუ რა დაწერა და კიდევ რისი თქმა სურდა მას. ჩავწვდეთ იმ ლექსის სიღრმეს და ავამეტყველოთ სული პოეზიის მიხედვით, პირველ სტროფში პოეტი ამბობს:

„ცის ლაჟვარდში აფრენილა მთების ფენა“

ამ ნიშნით გამომძიებელმა უნდა შესძლოს კატასტროფის ადგილის დახატვა, მე ის ადგილი არ მინახავს, მაგრამ შემიძლია დავხატო, ერთმანეთზე გადაბმული, ცისაკენ აზვირთული მთების ფენა.

„კაბადონი მარჯნისფერად შეფერილა“

აქ პოეტი მზის ამოსვლას გულისხმობს, თქვენ ჩემთვის არ გითქვამთ, როდის მოხდა ავტოკატასტროფა, მაგრამ პოეტის თქმით უტყუარია, რომ დილით მომხდარა.

„შეაჩერეთ თოვლის ზვავის აღმაფრენა“

„თოვლის ზვავში“ ნაგულისხმევია ავტომანქანის თეთრი ფერი და „აღმაფრენაში“ დიდი სიჩქარე.

„ხომ ხედავთ, რომ აქ სიკვდილი აწყვეტილა“

ავტორი მოუწოდებს მგზავრს, მოერიდოს სიჩქარე გადაჭარბებულ ავტომბილს.

„შეაერთეთ სალამურთან ცხენის ნალი“

მოდი დავხატოთ სალამურთან ცხენის ნალი და შევაერთოთ! ეს ხომ ძველი ქართული ასო არის „ა“, ასე რომ ჩვენ უკვე ვიცით ავტომანქანის ნომრის პირველი მონაცემი.

„როგორ მოჰქრის ორ გონიო დარახტული“

გონიოს ძველ ქართულ ანბაში, რომელი ასო ჰგავს? რა თქმა უნდა „L“ – ი, ახლა „ი“ გადავიყვანოთ რიცხვით მნიშვნელობაში და გავიმეოროთ ორჯერ, როგორც პოეტი გვეუბნება და მივიღებთ „10–10“.

„თუ აცეკვდა საზარელი განი–განი“

ეჭვგარეშეა, აქ ავტომანქანის ნომრის ბოლო ორ ასოსთან გვაქვს საქმე, ჩვენც დავხატოთ ორი განი „გ–გ“ და მივიღებთ ავტომანქანის ნომრის უტყუარ მონაცემებს „ა–10–10–გგ“ ეს მონაცემი გადავიტანოთ ავტომანქანის ნომრის

შესაბამისად რუსული შრიფტით და ჩვენს ხელთ იქნება თეთრი ფერის ავტომობილი „ვოლგა“ სახელმწიფო ნომრით: „А-10-10-ГГ“ – შემდეგ სტროფში პოეტი კვლავ აფრთხილებს მგზავრს, ფრთხილად იყოს, თორემ მისი დაღუპვით აკივლდებიან ოჯახის წევრები:

„მწარე ხვედრით აკივლდება ქალის გული“

გაფრთხილების მიუხედავად, კატასტროფა მაინც მოხდა და პოეტი ამბობს:

„გზაზე გვამი, ცურავს სისხლში მწარე ბედი“
ავტორის სიტყვით პირველად გვამთან იზა მივარდნილა:
„კივის ქალი, კოკობ–ვარდი გაუშლელი“
შემდეგ დედაშენი მისულა თმის გლეჯვით:
„ბუმბულს იგლეჯს თეთრი გედი, თეთრი გედი“
ბოლოს კი შენ მისულხარ და პოეტი ამბობს:
„არწივი კი... ჩუმი ცრემლი, ცრემლი, ცრემლი“.

თითქოს მე მეყურებინოს ეს ამბავი, ხომ სწორია? შეეკითხა გიორგი შალვას, როდესაც ლექსის განმარტება დაასრულა. შალვა თვალებგაფართოებული, გაფითრებული და მთლად აკანკალებული უსიტყვოდ შესცქეროდა მეგობარს, ისევ გიორგიმ იმარჯვა, ცივი წყლით უზილა სახე, სააქაოს მოაბრუნა და აზროვნება დაუბრუნა, შემდეგ როგორც იქნა შალვამ ხმა ამოიღო და წყნარად იკითხა:

– პოეტმა რატომ არ გაგვიშიფრა ეს ლექსი?

– ორი მიზეზის გამო, – უთხრა გიორგიმ, – პირველი პოეტი ჩასწვდა პოეზიის სიღრმეს და ლექსად დაწერა ის, რისი სიტყვიერი გადმოცემაც არ შეეძლო. მეორე კი, ზედმეტ უსიამოვნებას თავი აარიდა, არ ისურვა გახვეულიყო გამოძიების ხლართებში, რომელიც ხშირად მოწმის საკეთილდღეოდ არ მთავრდება.

– წამოდი, ახლავე წავიდეთ პროკურატურაში! – მოთმინება დაკარგა შალვამ.

– ჯერ ვისაუზმოთ, შემდეგ ჩვენი გამონაწილების საბუთებიც წავიღოთ და მუშაობას შევუდგეთ.

– როგორც შენ იტყვი, ისე მოვიქცევი, დღეიდან ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ, შენ შერლოკ ჰოლმსი იქნები, მე კი დოქტორი მისტერ უოტსონი...

– შენ როგორ ფიქრობ, შერლოკ ჰოლმსი ადამიანი არ იყო?

– რა თქმა უნდა ადამიანი იყო, მხოლოდ ცხოვრებაზე არაადამიანურად დაკვირვებული და გამომძიებლის ნიჭით ზებუნებრივად დაჯილდოებული...

სამი დღით ადრე გამოცხადდნენ შალვა და გიორგი პროკურატურის კადრების განყოფილებაში, საჩქაროდ გააფორმეს საბუთები და დაიწერა ორი ბრძანება, რიგითი გამომძიებლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, როდესაც ყველაფერს მორჩნენ, გიორგიმ შესთავაზა მეგობარს:

– ჩენ სამი დღე გვაქვს კერძო გამოძიებისათვის და ამ სამ დღეში უნდა გამოვავლინოთ მამაშენის მკვლელი. პირველად პროკურორთან შევიდეთ და გავეცნოთ ადგილობრივი ძიების არსს.

გულისყურით მოუსმინა ქალაქის პროკურორმა გიორგი ამაღლობელს და ქებაც დაიმსახურა ახალბედა გამომძიებელმა გამჭრიახი აზროვნებისათვის, შემდეგ კი დასძინა:

– მახსოვს, როგორ არა, თბილისის სამხედრო გზატკეცილზე კერძოდ შოროპანის ტერიტორიაზე მომხდარი საგზაო კატასტროფა, მაშინ პროკურორის თანაშემწედ ვმუშობდი, მაგ საქმეს გამომძიებელი კარლო კაპანაძე იძიებდა, ვფიქრობ მან ავლინა ბოროტმოქმედნი და საკადრის სასჯელსაც მიიღებდნენ, მაგრამ თქვენ თუ გაინტერესებთ, გამოძიების არსი, მეცამეტე კაბინეტში შებრძანდით კარლო კაპანაძესთან და ის ძირფესვიანად აგიხსნით საქმის ყოველგვარ დეტალებს.

ახალბედებმა ბოდიში მოუხადეს პროკურორს შეწუხებისათვის და მეცამეტე ნომერი კაბინეტის კარები შეაღეს, მაგი-

დას სააღდგომო „პასკასავით“ დამრგვალებული, შუახნის მამაკაცი მისჯდომოდა და გამალებით რაღაცას წერდა, სახე მამალი ინდაურივით ლურჯ–წითელი და ოდნავ წამოსიებული ჰქონდა, რაც ალკოჰოლის უტყუარი ნიშანი იყო, თვალები წვრილი, ცივი გამოხედვა... ერთი დანახვით შიშს მოგგვრიდათ ეს ადამიანი და კიდევაც გაკენწლა რაღაც ამოუცნობმა შიშმა გულში შალვას, გიორგის კი გაეღიმა. პროკურატურის ასეთი „ტანადი“ გამომძიებლის დანახვაზე, რაც კარლო კაპანაძეს არ გამოჰპარვია, ალბათ ღიმილის მიზეზსაც მიუხვდა და ისეთი ცივი მზერა სტორცნა გიორგის, რომ ღიმილი სახეზე შეაყინა.

– რაშია საქმე? – ძალად დაბოხებული ხმით იკითხა პროკურატურის ჩინოვნიკმა.

– ჩვენ პროკურორმა, ბატონმა კაკომ გამოგვგზავნა თქვენთან, გვაინტერესებს შოროპანში მომხდარი საგზაო ავტოკატასტროფის ძიების შედეგები! – შალვას ხმა გაბედული იყო.

– ჩემთან მასეთი არაფერია!

– ეს ახალი შემთხვევა არ არის, ალბათ გემახსოვრებათ ვლადიმერ თურმანიძის ტრაგიკული დაღუპვა...

– აუჰ, მას შემდეგ დავბერდი, მახსოვს, მაგრამ ძლივს...

– ჩვენ ახლად დანიშნული გამომძიებლები ვართ და გვსურს იმ ავტოკატასტროფის საქმე გამოვითხოვოთ, თვითონ რომ ვაწარმოოთ გამოძიება!

– არავითარ შემთხვევაში! მე დავიწყე და თვითონ დავამთავრებ, ამ დღეებში დავხურავ მაგ საქმეს, რას იზამ, დროგასულია...

– რა მოტივით დახურავთ საქმეს, გამოავლინეთ ბოროტმოქმედი?

– მოწმე არავინ გვყავს, ბოროტმოქედი არა ჩანს, ღიად კი რამდენხან უნდა იყოს საქმე?

– მოწმე არის და ბოროტმოქმედსაც ჩვენ გამოვავლენთ!

– არ გირჩევთ ცეცხლთან თამაშს და ჩემს წინააღმდეგ ბრძოლას, ეგ მაკლია კიდევ ახლადგამომცხვარმა გამომძიებლებმა მიძინებული საქმის ჩხრეკა დამიწყონ.

– არა ბატონო, ჩვენ ახლად გამომცხვარი კი არა, ახლად მოზელილები ვართ, მხოლოდ იცოდეთ, განსხვავებული თიხ-ით! – უთხრა გიორგიმ და ზეზე წამოდგა.

– მაშინებთ? – სახეზე კიდევ უფრო წამოწითლ–წამოლურჯდა კაპანაძე.

– როგორ გეკადრებათ, მამის მკვლელს დავეძებთ, გვეგო-ნა თქვენი დახმარებით მივაგნებდით, შეშინება რა შუაშია...

– მაგ კი არა, ქვეყნის არეული საქმე მაქვს, სეიფი სავსეა მკვლელობებით, ეს საქმე კი ყავლგასულია და ახალ გამოძიე-ბას აღარ ექვემდებარება, უნდა დაიხუროს.

– ბატონო კარლო, ხომ არ იცით, ვის ეკუთვნის თეთრი ფერის ავტომანქანა „ვოლგა“ სახელმწიფო ნომრით „А-10-10-ГГ“ – წყნარად შეეკითხა გიორგი და წასასვლელად მოემზადა.

კარლოს წვრილი თვალები გაუფართოვდა და ზეზე წამ-ოიჭრა, თუმცა მის ადგომას სიმაღლე არ მოუმატებია, პირი-ქით, როგორც კი სკამიდან ჩამოხტა ხუთი სანტიმეტრით დაპატარავდა, ყელში ბურთი გაეჩხირა და სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა.

„ასე სჯობია, აფორიაქებულს დავტოვებ!“ – გაიფიქრა გიორგიმ და მეგობრებმა მეცამეტე ნომერი კაბინეტის კარი გაიხურეს.

– ახლა ავტოინსპექციის განყოფილებაში წავიდეთ და დავადგინოთ, ვის ეკუთვნის მკვლელობის ჩამდენი ავტომანქა-ნა – უთხრა გიორგიმ შალვას, შენობიდან გამოსვლისას.

– ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით „А-10-10-ГГ“, თეთრი ფერის „ვოლგა“ ეკუთვნის ერთ–ერთი მსხვილი წარმოების გენერალურ დირექტორს ზურაბ დოხნაძეს – უთხრეს ავტოინსპექციაში, ჰო, შეუცდომლად მიაგნეს მკვ-ლელის ვინაობას.

– ახლა თბილისში უნდა წავიდეთ, ჯერ კიდევ ადრეა და ვფიქრობ, დღესვე მოვახერხებთ რესპუბლიკის პროკურორს გამოვთხოვოთ ეს მიძინებული მკვლელობის საქმე.

– რატომ რესპუბლიკის და არა ქალაქის პროკურორს? – გაიკვირვა შალვამ.

– იმიტომ, რომ აქ ღრმად არის ჩამარხული „ძაღლის თავი“, გამომძიებელმა კარლო კაპანაძემ მკვლელს მიაგნო და დიდძალი თანხაც აიღო დოხნაძისაგან, არ არის გამორიცხული, ადგილობრივი პროკურორიც ერიოს ამ საქმეში და ყველანაირად ეცდებიან ხელი შეგვიშალონ. მეორეც: ჩვენ მართლაც ახალი „გამომცხვარები“ ვართ, აქ არავინ გვიცნობს და გამორიცხული არ არის ჩვენზე ახლო მეგობრობა აკავშირებდეს კარლოს – კაკოსთან.

– წავიდეთ, ბენზინი ჩავასხათ და გავუტიოთ, ორ საათში თბილისში ვიქნებით!

– არა, ამჯერად საკუთარი ავტომანქანით არ წავალთ, ვგრძნობ, ვიღაც გვითვალთვალებს, კარლო ყველა ღონეს იხმარს ჩვენი გზის გადასაღობად, ის არც ახალ ავტოკატასტროფას მოერიდება, ამიტომ ჭკუით უნდა ვაჯობოთ და ავტობუსით წავიდეთ!

შალვა უხმოდ დაეთანხმა გიორგის, სალაროში შეიძინეს ბილეთები თბილისამდე და „იკარუსში“ ავიდნენ.

– რამდენ ხანში გახვალთ? – იკითხა შალვამ.

– ათი წუთში! – იყო მძღოლის მოკლე პასუხი.

გავიდა ათი წუთი, ოცი, ნახევარი საათიც, მძღოლი კი წასვლას არ აპირებდა.

– რატომ არ მივდივართ? – იკითხა ლოდინით „დამჟავებულმა“ გიორგიმ.

– პროკურატურის თანამშრომელმა მთხოვა, დამელოდეთო და მას ველოდები, რომ არ დაველოდო ხომ იცი, მტერი ჩავარდა მაგათ ხელში!

– უპასუხა მძღოლმა და კარები ბრაზით შემოიჯახუნა.

გიორგიმ შალვას გადახედა, გაულიმა და ყურში ჩასჩურჩულა:

– ფრთხილად იყავი, ჩვენს კვალს მოსდევენ...

კიდევ ათიოდე წუთი და ავტობუსში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცი შემოვ-

იდა, უხეშად შეათვალიერა თითოეული მგაზვრი და წამით მზერა გიორგიზე შეაჩერა, შემდეგ წავიდა და ხილულით კმაყოფილი, უკანა სავარძელში ჩაჯდა. ახალგაზრდა კაცის გამოჩენისთანავე ავტობუსის ძრავიც ჩაირთო. „იკარუსი“ – დიდი სიჩქარით მიუყვებოდა გზას, აწრიალდა პროკურატურის ახალგაზრდა თანამშრომელი–მგზავრი, რამოდენიმეჯერ მივიდა მძღოლთან და ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა.

– გამოუწრთობი მოხელეები ჰყავს ჩვენს პროკურატურას, ასეთები არცხვენენ ჩვენს ორგანოს, როგორ შეიძლება ასეთი მოუსვენრობა დაეტყოს კვალმაძიებელს, როდესაც მინდობილი აქვს რაღაც საიდუმლო საქმის ფარულად გაკეთება? – უთხრა გიორგიმ მეგობარს, შემდეგ ფანჯარაში გაიხედა და ყურადღება შავ „ვოლგაზე“ გაამახვილა, რომელიც „იკარუსს“ ხან გაუსწრებდა და ხანაც ჩამორჩებოდა.

– ის „ვოლგა“ ჩვენი კუდია! – ისევ უჩურჩულა გიორგიმ და ფანჯარაში გაახედა შალვა.

– რით დაამტკიცებ?

– შავი, მზერაგაუმტარი მინები აქვს, ყველა აწეული, ამ პაპანაქება სიცხეში როგორც იცი „ვოლგას“ არც კონდიციონერი გააჩნია და გამორიცხული არ არის, რომ შიგ კარლო კაპანაძე იჯდეს. ჩვენს კვლას მოჰყვება დიდი ხნის „გამომცხვარი“ გამომძიებელი, მას ჩვენ ვაჯობებთ, რადგან ის დარწმუნებულია თავის სიძლიერეში და ღრმად არის დაჯერებული გამარჯვებაში.

– გამოდის, რომ ეს ახალგაზრდა „პროკურატურის მუშაკი“ კარლოსთან იყო მოსალაპარაკებლად და იმიტომ შეაგვინდა?

– უეჭველია, კაპანაძის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე კარლომ ეს ახალგაზრდა ჩვენ გამოგვაყოლა, რომ გაეგო ჩვენი მომავალი გეგმა, როდესაც დაინახა ბილეთები შევიძინეთ თბილისამდის, მძღოლი გააფრთხილა, რომ მის გარეშე არ წასულიყო და კარლოსთან გაიქცა შედეგის მოსახსენებლად.

ახალგაზრდა მუშაკმა მიიღო ახალი დავალება: „გაეგრძელებინა მეთვალყურეობა“ და მართლაც გაძლიერებულად ტრიალებს ჩვენს ირგვლივ, მხოლოდ ეს კი ვერ გავიგე, რისთვის მოგვდევს შავი „ვოლგა“, ნეტავი რას გვიპირებენ? მაგრამ არაუშავს, დრო გვიჩვენებს ყოველივეს და ჩვენ გავიმარჯვებთ, რამეთუ მომზადებული ვართ განსაცდელის შესახვედრად!

ავტობუსმა ცენტრალურ მაგისტრალს გვერდი აუქცია და გორში შემავალი, შედარებით ვიწრო გზისაკენ გადაუხვია, „პროკურატორის ახალგაზრდა თანამშრომელმა“ მძღოლს ავტობუსი გააჩერებინა და ჩავიდა. გიორგიმ „იკარუსის“ უკანა ფანჯარაზე ფარდა შეუმჩნევლად გადასწია და დაინახა, როგორ გაჩერდა თბილისის გზატკეცილზე შავი „ვოლგა“ სადაც საჩქაროდ ჩასვეს შიგ „პროკურატურის ახალგაზრდა თანამშრომელი“, გიორგის გაეღიმა და ადგილზე დაბრუნებულმა შალვას უთხრა:

– ჯიბეები მოიჩხრიკე, პროკურატურის თანამშრომელმა თავისი მისია შეასრულა და ჩავიდა ავტობუსიდან, რაღაც გვიმუხთლა, მაგრამ რა? უნდა აღმოვაჩინოთ!

შალვამ ჯიბეები გადმოიბრუნა, გიორგიც ასევე მოიქცა, თუმცა ვერაფერი იპოვეს, შემდეგ სავარძლების შემოწმება დაიწყეს და აი, წინა სავარძლის ჯიბეში ცელოფანში კოხტად შეხვეული რაღაც ნახეს, პაკეტი გახსნეს, ღმერთო ჩემო, თვალები გაუფართოვდა ორივე ახალგაზრდას, აი იქ, პაკეტში დაახლოებით ხუთასი გრამი ოპიუმი იყო შეხვეული.

– საჩქაროდ გადააგდე ფანჯრიდან – უთხრა გიორგიმ შალვას – შეიძლება გორში ვეღარ მოვახერხოთ მაგის მოშორება!

– არა, კიდევ მეტად უნდა გავაბითურო მაგ ძველი „გამომცხვარი“ გამომიძბეელი – თქვა შალვამ და ოპიუმიანი პაკეტი სხვების შემუჩნევლად იქ შეინახა, სადაც „პროკურატურის თანამშრომელი“ იჯდა.

გორში ათწუთიანი დგომის შემდეგ, „იკარუსმა“ გზა განაგრძო და იქ, სადაც გორის გზა ცენტრალურ საგზაო მაგ-

ისტრალს უერთდება, ავტოინსპექციის ჯიხურთან, გიორგიმ შავი „ვოლგა“ შენიშნა და შალვას უჩურჩულა:

– აქ ჩვენს ავტობუსს გააჩერებენ და დაიწყებენ მასიურ ჩხრეკვას... – გიორგის სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ავტობუსი გააჩერეს და ოთხი მილიციელი ავტობუსში შემოიჭრა, ორი წინა კარიდან და ორიც უკანა კარებში, დაიწყო ჩხრეკა, მგზავრებთან ერთად ამოწმებდნენ სავარძლებს და სავარძლის ჯიბეებს. იპოვეს რასაც ეძებდნენ. ორ ახალგაზრდას, რომლებიც გორში ამოვიდნენ და თავისუფალ ადგილებზე დაჯდნენ, ხელი სტაცეს და ძირს ჩაათრიეს. ავტობუსს ნება დართეს წასულიყო, მძღოლიც უყოყმანოდ დაემორჩილა ინსპექტორების ბრძანებას, მაგრამ გიორგიმ შეაჩერა:

– გაიგე კაცო, ეს შენი მგზავრები რისთვის ჩაიყვანეს ძირს ასე უდიერად...

მძღოლი ცოტახანს შეჩერდა, ვერ გადაეწყვიტა ჩასულიყო თუ არა, მაგრამ როდესაც გიორგიმ უთხრა „მეც წამოვალო“, უყოყმანოდ დათანხმდა. როდესაც ავტოინსპექტორთა ჯიხურში შევიდნენ, დაინახეს მაიორის ჩინიანი ოფიცერი ოქმს წერდა ოპიუმის აღმოჩენის შესახებ და ადგილობრივ დაკითხვას აწარმოებდა. ახალგაზრდები უარობდნენ ყოველგვარ ნარკოტიკთან ურთიერთობას, მაგრამ მათი „ღაღადი“ არავის ესმოდა, როდესაც გიორგიმ ახალგაზრდების ცრემლიან თვალებს შეხედა, ვეღარ მოითმინა, მაიორის წინ დადგა და პირადობის მოწმობა გაუწოდა.

– მერე რა გნებავთ? – გაკვირვებით შეეკითხა მაიორი.

– მაგ ახალგაზრდები ისინი არ არიან, ვინც თქვენ უნდა დაგეპატიმრებიათ და ცოდვაში ფეხს ნუ ჩაიდგამთ, ესენი გორში ამოვიდნენ და დაჯდნენ ამ ადგილზე, გორამდე კი იქ ის ახალგაზრდა იჯდა, ზესტაფონში რომ გვალოდინა...

მაიორმა მძღოლს შეხედა, რომელიც შეხედვის მიზეზს მიუხვდა და იმწამსვე დაუმოწმა გიორგის სიტყვა.

– იცნობ იმ გზავრს? – იკითხა მაიორმა მძღოლის მისამართით.

– კი ბატონო, „პროკურატურის თანამშრომელი ვარო“, მითხრა და ზესტაფონში ერთი საათი მალოდინა.

– გვარი და სახელი თუ იცი?

– გვარს და სახელს ვინ გეტყვის, არც ბილეთი ჰქონია, პროკურატურაში თანამშრომლობის მოწმობა მაჩვენა და მადლობაც არ უთქვამს, ისე ჩავიდა ავტობუსიდან.

– როგორ ფიქრობ, მას ექნებოდა ეს ნარკოტიკი და დარჩებოდა?

– მე არაფერსაც არ ვფიქრობ ბატონო, ეს ახალგაზრდები, გორში რომ ამოვიდნენ ხელში არაფერი ჰკავებიათ...

– დაწერეთ ახსნა–განმარტებითი ბარათი – უთხრა მაიორმა მძოლს და ბურთულიანი კალმისტარი მიაწოდა, თვითონ კი შავ „ვოლგასთან“ მივიდა, რომელიც ათიოდე მეტრის მოშორებით იდგა ინსპექტორთა ჯიხურიდან, რაღაც მოითათბირეს და ისევ მალე მობრუნდა მაიორი.

– რა ჰქენი, დაწერე? – შეეკითხა მძღოლს.

– კი ბატონო! – უთხრა ადრესატმა და ფურცელი გაუწოდა, ოფიცერს ფურცელზე არც დაუხედავს, გორში ამოსულ ახალგაზრდებს მიმართა:

– ახლა თქვენ დაწერეთ, რომ ნარკოტიკული ნივთიერება თქვენი არ არის და არ იცოდით, თუ რა იყო სავარძლის ჯიბეში, სადაც თქვენ დაჯექით.

ახალგაზრდები წერას შეუდგნენ თუ არა, ავტოინსპექციის ჯიხურში ის, „პროკურატურის ახალგაზრდა თანამშრომელი“ შემოვიდა, რომელზედაც მძღოლმა ეჭვი გამოთქვა და დანახვისთანავე იყვირა:

– აი, ბატონო, ის ახალგაზრდა, რომელიც იმ ადგილზე იჯდა, სადაც ის რაღაც აკრძალული ნივთიერება იპოვეთ!

– კარგი, კარგი, წაბრძანდით! – თქვა მაიორმა და „პროკურატურის თანამშრომელს“ მიუბრუნდა – დარჩი! მე შენ მოგივლი!

„იკარუსმა“ თბილისისაკენ განაგრძო აღებული კურსი, შავი „ვოლგა“ გზაზე აღარ გამოჩენილა, ალბათ დავალების

შეუსრულებლობისათვის „პროკურატურის ახალგაზრდა თანამშრომელმა“ სულ მცირე, საყვედური მაინც დაიმსახურა.

– ჩვენ არა მარტო ბოროტმოქმედებთან, არამედ თანამშრომლებთანაც მოგვიწევს ბრძოლა – უთხრა გიორგიმ შალვას, როდესაც სავარძელში გამარჯვებული კაცის იერით ჩაჯდა.

– საინტერესოა, მაინც რას გააკეთებდნენ ჩვენს წინააღმდეგ, თუნდაც ჩვენთვის, რომ აღმოეჩინათ ნარკოტიკული ნივთიერება?

– როგორ თუ რას, კანონით ხომ ერთნაირად ისჯება მეფე თუ ყმა..

– ჩვენ ხომ ნარკომანები არა ვართ და სისხლის აღების შემდეგ გაგვამართლებდნენ!

– ეს კიდევ უარესი, ნარკომანები რომ არა ვართ, დაგვიმტკიცებდნენ ნარკოტიკული ნივთიერებით სპეკულაციას!

– ვინ დაუჯერებდათ, ჩვენ ხომ პატიოსანი სტუდენტები ვართ და ცუდ საქმეში შემჩნეული არასოდეს ვყოფილვართ? – ისევ გულუბრყვილოდ იკითხა შალვამ.

– ფაქტი დააჯერებდა სასამართლოს და ათი წლით გამოვემშვიდობებოდით თავისუფალ სამყაროს, ჩვენი პატიოსნება კი არ გამოჩნდებოდა, რადგან კაპანაძე იზეიმებდა თავის გამარჯვებას!

– პროკურატურაში რა უნდა ასეთ არაკაცს, დამაცადოს, მე მაგას გავანადგურებ!

– არა შალვა, შენ დაწყნარდი, მას თავისივე საქმე გაანადგურებს... მსოფლიოში ოთხი გვარი არსებობს: სიღარიბე და სიმდიდრე, ძალმომრეობა და კეითლსინდისიერბა. სიღარიბე და სიმდიდრე გლეხები არიან, ერთმანეთს ებრძვიან და მათ შორის საუკუნოვანი ომია გამოცხადებული, ძალმომრეობა და კეითლსინდისიერბა თავადები გახლავს და მათ შორისაც ომი მიმდინარეობს. ძალმომრეობა ღონეა, კეთილსინდისირება სიბრძნე, ამიტომ ხშირ შემთხვევაში კეითლსინდისიერება მარცხდება, თუ სახელმწიფოში მექრთამეობა და ქაოსი სუფევს,

მაგრამ არც ძალმომრეობას აქვს დიდი ხნის სიცოცხლე, მას თავისივე ნამოქმედარი და ნაავკაცარი სპობს. ახლა რომ ჩენ დიდი სიბრძნე არ გამოგვეჩინა, ჩვენი კეითლსინდისიერება ფეხით გაითელებოდა და ჩვენი „არ დამიშავებია“ არარაობა იქნებოდა იმ სამყაროში, სადაც მილიონობით ადამიანი იძახ-ის „მართალი ვარო“, შენ როგორ ფიქრობ, ეს პირველი ნადირობა იქნება კაპანაძის მიერ კეთილსინდისიერებაზედ? რა თქმა უნდა არა და ყოველთვის ძალმომრეობამ გაიმარჯვა, წარმატებებით გათამამებულმა ჩვენზე გამოილაშქრა და დამ-არცხდა... თუმცა ეს მცირედი დამარცხება მას ვერ შეაჩერებს და უფრო მეტი თავგანწირვით დაგვიწყებს ბრძოლას, ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს უსტატუსო ომმა, თავდაცვის გზა ავირჩი-ოთ და თავისივე ანკესზე წამოეგება ღლავი, მხოლოდ დამა-რცხების შემდეგ გამოჩნდება მაგისი ნაავკაცარი და ერთი სამყაროდან მეორე სამყაროში უდანაშაულო ადამიანთა გად-მოყვანასაც კი შევძლებთ.

„იკარუსი“ საქართველოს დედაქალაქში შევიდა, „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო...“ – აეკვიატა გიორ-გის ეს მელოდია და რესპუბლიკის პროკურატურაში მისვ-ლისთანავე შალვას რიხიანად უთხრა:

– დღეს ბედი გვწყალობს, გენერალური პროკურორი ადგილზეა!

– ამ სიტყვებთან ერთად მდივანს სავიზიტო ბარათი წარუდგინა და მიღება ითხოვა.

პროკურორმა გულთბილად მიიღო შალვა და გიორგი, გულისყურით მოუსმინა მათ და როდესაც საქმის ვითარებას გაეცნო, ზესტაფონის პროკურორს ბრძანებით აცნობა: „ვლადიმერ თურმანიძის ტრაგიკულად დაღუპვის საქმის ძიება გიორგი ამაღლობელისათვის გადაეცა“.

ამ საუბრის პარალელურად კი, შავი „ვოლგა“ ერთ–ერთი გიგანტური წარმოების კანტორის წინ გაჩერდა, გა-მომძიებელმა კარლო კაპანაძემ წარმოების გენერალური დირექ-ტორი დოხნაძე იკითხა.

– ადგილზეა, თათბირი აქვს! – უთხრა ახალგაზრდა მდივანმა. კარლოს მოუსვენრობა დაეტყო და როგორც კი თათბირის მონაწილეებმა კაბინეტიდან გამოსვლა დაიწყეს, ნებართვა არავისთვის უკითხავს, ჯიქურ შევიდა დირექტორთან, მიესალმა და კედელთან მიდგმულ სავარძელში ჩაესვენა.

დოხნაძეს არ ესიამოვნა გამომძიებლის დანახვა, მაგრამ არ შეიმჩნია და თავაზიანად შეეკითხა:

– რამ შეგაწუხათ ბატონო კარლო?

– საიდუმლო სათქმელი მაქვს, მეორე ოთახში საეჭვო ხომ არავინაა?

– არა, იქ მხოლოდ ჩემი ვაჟიშვილია, ვიდეოს უყურებს...

– ძალიან კარგი, შენმა ბიჭმაც მინდა იცოდეს საქმის ვითარება...

– რომელი საქმის, კიდევ მოხდა რამე?

– არა, ძველ საქმეზე მინდა მოვილაპარაკოთ, ახალი გამომძიებლები მოვიდნენ პროკურატურაში და ვლადიმერ თურმანიძის მკვლელობით არიან დაინტერესებული...

– მაგ საქმის მოსაქრობად ხომ გაქვს მიღებული, არც თუ მცირე თანხა, რაღას ითხოვ?

– არ მეგონა, თუ ასე უკუღმა შეტრიალდებოდა საქმე, ახლა ან ის „ახლად გამომცხვარი“ გამომძიებლები უნდა „გაქრნენ“, ანდა შენი ბიჭი უნდა მოემზადოს „სადაჩოდ“ ათიოდე წლით!

– მოვისყიდით!

– შეუძლებელია, ერთ–ერთის მამა იყო ვლადიმერ თურმანიძე და რაკი კვალს მიაგნო, ვინ გააჩერებს?

– მაშინ ჩემო კარლო, მე მაგ საქმისაგან ხელი დამიბანია, შენ შენი მიღებული გაქვს და როგორც გინდა ისე მოუარე...

მეორე ოთახიდან დირექტორის ვაჟი გამოვიდა, მას მოესმინა მამისა და გამომძიებლის საუბარი, სალამიც არ უთქვამს კარლოსათვის, ისე შეუტია:

– მაშ ათი წლით გინდა „საგზური“ გამომიწერო?

— მე არაფერსაც არ ვწერ, შენს მიერ ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს ამ სასჯელს!

— მექრთამეობა რამდენს ითვალისწინებს?

— მაგას ვერ დამიმტკიცებთ! ისე, იცოდე, ერთნაირი სასჯელით ისჯება ქრთამის მიმცემიცა და ამღებიც! ასე რომ ჩემთან ერთად მამაშენიც მოემზადება, ციხეში მარტოს რომ არ მომეწყინოს!

— ვერ გავიგე, ფულის გამოძალვა გსურს თუ ჩვენი შეშინება?

— არც ერთი და არც მეორე! გაფრთხილებთ, შეიძლება აგიყვანონ!

— თუ ამ საქმისათვის ვერ მოგივლია, თანხა დამიბრუნე და სხვა გზით ვეცდები საქმის მოკეთებას!

— რვა წელიწადი სეირნობ თავისუფლად და ფულის დაბრუნებაზე საუბარს მიბედავ?

— აბა რისთვის აიღე, თუ საქმეს საბოლოოდ არ აკეთებდი, თავის დროზე რომ დაგეჭირეთ, ახლა სასჯელი მოხდილი მექნებოდა და სახლში ვიქნებოდი თავისუფალი...

— სასჯელის მოხდა არასოდეს არ არის გვიან, ახალგაზრდა კაცი ხარ, იქაც მეფურად იცხოვრებ მამაშენის წყალობით!

— ათი წელიწადი, მემუქრები ხომ? შენც რომ „გაგასაღო“ რამდენს დამიმატებენ?

— უმცირესს უმაღლესი გადაიფარავს და ისევ ათს მოგეცემენ, ან უარეს შემთხვევაში თორმეტს... — ცხენისებური ღიმილით უპასუხა კაპანაძემ, რომელმაც გოჩას სიტყვა ხუმრობად ჩათვალა, მაგრამ ღიმილი სახეზე შეეყინა გამომძიებელს, როდესაც ნარკოტიკით გაბრუებული ყმაწვილის ხელში შემართული პისტოლეტი დაინახა.

— არ მესროლო გოჩა! — საფრთხის მოახლოება იყნოსა კვალმაძიებელმა.

— ნეტავი ამ ერთი გასროლით ყველანი გაწყდებოდეთ! — კბილებში გამოსცრა გოჩამ და სასხლეტი დაუშვა... სამჯერ გაისმა გასროლის ხმა...

– ეს რა ჩაიდინე შვილო! – დოხნაძის ხორხიდან ამოსული ხმა უჩველო იყო, გენ. დირექტორმა გრძნობა დაჰკარგა.

სულ მალე კივილით მოადგა მილიციის „კანარეიკა“ საწარმოო გაერთიანებას, რომელსაც უკან სამედიცინო სასწრაფო დახმარების ავტომანქანა მოჰყვა და თითქმის ერთდროულად შევიდნენ დოხნაძის კაბინეტში ორი სხვადასხვა დაწესებულების თანამშრომლები.

კაბინეტის კარები პირველად მილიციის კაპიტანმა შეაღო, პისტოლეტი შემართა და გოჩას შესძახა:

– დააგდე იარაღი!

– გნებდებით! – თქვა ახალგაზრდამ და პისტოლეტი მაგიდაზე დადო. კაპიტანი ჯიქურ მიეჭრა გოჩას და ამოგრეხილ ხელებზე ბორკილები დაადო.

– კარგი რა, „ნარუჩნიკები“ რად გინდა, ხომ არ გავრბივარ? მამი უთხარი რამე ამ „შაკლებს“, ნახე რას მიბედავენ? – ლულლუღებდა გოჩა, როდესაც ორ მილიციელს კიბეზე ჩაჰყავდათ.

მილიციის „კანარეიკამ“ გოჩა წაიყვანა, ხოლო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანამ გენერალური დირექტორი დოხნაძე. ამავე ავტომობილით წაიღეს გამომძიებელ კარლო კაპანაძის უსიცოცხლო სხეული, რომელსაც ორი ტყვია მკერდში ჰქონდა მოხვედრილი და ერთიც მარჯვენა წარბს ზემოთ, შუბლში, ტყვიას კეფე გაენგრია და სისხლში არეული ტვინი, საზარელი შესახედავი იყო...

პატარა ქალაქი აურზარუმა მოიცვა, ნაწილს უხაროდა, რომ ქვეყნის მუწუკის მოჰკვეთას დროულად ახერხებდა განგება, მეგობრები კი სიბრალულს გამოთქვამდნენ, თუმცა ძალზე ცოტანი იყვნენ ესინი...

მომხდარი ვითარების შესახებ შალვამ და გიორგიმ არაფერი იცოდნენ, თბილისიდან გვიან საღამოს მობრუნდნენ და პროკურატურაში წასვლა მეორე დღისათვის გადადეს. „იკარუსი“ შოროპანში გაჩერდა, სახლში მივიდნენ და მთელი

დღის ნაწვალები, მაგრამ საქმით კმაყოფილნი ლეღვის ძირში ჩამოჯდნენ. იზამ ვახშამი გაამზადა, ახალგაზრდებს ახლა გაახსენდათ მთელი დღის შიმშილი, მადიანად ივახშმეს და დასვენება მოისურვეს.

გიორგი თავისთვის განკუთვნილი ოთახისკენ წავიდა, ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა: „ნეტავი ვის მაგონებს იზა? ასე რატომ ამაფორიაქა? ალბათ ეს არის პირველი სიყვარული! ღმერთო დამიფარე, ეს ხომ შეუძლებელია, ეს სიყვარული კი არა, განუხორციელებელი ტანჯვა იქნება ჩემთვის“!

იზა თითქოს ფიქრს მიუხვდა:

— რას ფიქრობ, მგონი საკუთარ თავს ესაუბრებოდი...

— საკუთარ თავს ვესაუბრებოდი? რა ვქნა, მიყვარს ბრძენ ადამიანთან საუბარი! — გიორგიმ ახლა შეამჩნია სულ ახლოს მდგარი იზა და ხუმრობა სცადა...

— შენ რაღაც სხვა გაწუხებს... — ღიმილი არ დაუ-ფარავს ქალს.

— შეიძლება! შენ ძალზედ ლამაზი ხარ!

— ეს ქათინაურია თუ სინამდვილე?

— სინამდვილე! თუმცა შენ, როგორც გინდა ისე ჩათვალე... — უთხრა გიორგიმ და დასაძინებლად გავიდა.

ღამით მხურვალე კოცნამ გამოაღვიძა, თვალები გაახილა, იზა ეფერებოდა...

— რას ჩადიხარ? — „მოგუდულად“ უთხრა ვაჟმა.

— მიყვარხარ! რაც გინდა გააკეთე, წინააღმდეგობას ვერ გაგიწევ, სადაც გინდა დამიბარე და მოვალ! სიკვდილიც ვერ გადამიღობავს გზას! — ჩურჩულითვე უპასუხა ქალმა და მხურვალე ტუჩებით ვაჟის ბაგე მოძებნა.

— ქალწული ხარ?

— ხელუხლებელი!

— არა, ამ ოჯახს ვერ წავბილწავ და თუ ქალწული ხარ, ვერც დასაღუპავად გაგიმეტებ!

— რომ გავთხოვდე?

– მაშინ კი! ახლა წადი, ნუ გადახველ ჭკუიდან და ნურც მე გამაგიჟებ... – უთხრა ვაჟმა, ოდნავ ხელი უბიძგა ქალიშვილს და მხარი იცვალა... ქალიშვილმა შეურაცხყოფად მიიღო სიბრალული და სამაგიეროს გადახდა განიზრახა.

იმ ღამეს იზას არ დაძინებია, ეზოში დასეირნობდა, გიოგიზე ფიქრობდა სიყვარულთან ერთად შურისძიების ჭიაც უღრღნიდა გულს.

მთვარიანი ღამე იყო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა... დღისით ჩამოწოლილი ხვატი კიდევ ვერ გაეგრილებინა საღამოს ნიავს... იზა ჭასთან მივიდა, წყლის ამოღება დააპირა გასაგრილებლად, ,,ნეტავი ვარსკვლავი მოწყდებოდეს, რომ გიორგის სიყვარული შევთხოვო ციურ განგებას" – გაიფიქრა და მართლაც მოხდა სასწაული, მოწყდა ვარსკვლავი და სადღაც დასავლეთის უსასრულობაში გადაიკარგა. იზას ხელიდან გავარდნილი სათლი ჭაში გადაეშვა. მოასწრო, სანამ ვარსკვლავი ჩაესვენებოდა, გიორგის სიყვარული შესთხოვა განგებას...

იმ ღამეს არც გიორგის დასძინებია. იმ ღამიდან დაისაკუთრა მის გულში მიწიერმა და ზეციერმა სიყვარულმა. დაიწყო ყოფნა–არყოფნის ბრძოლა მის ორგანიზმში, გრძნობდა, თუ როგორ უყვარდა ქალი, ჯერ არ ნახული, ჯერ არ გაგონილი, ჯერ არ განცდილი სიყვარული, მაგრამ ამ სიყვარულს განხოლრციელება არ ეწერა, რადგან ვაჟკაცის მტკიცე ხასიათს ნებას არ აძლევდა ის ურთიერთობა, რაც ამ ოჯახთან აკავშირებდა, ამიტომაც უარყოფდა იზასთან სიახლოვეს და გადაწყვიტა, სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა, თავშეკავება გამოეჩინა...

როგორც იქნა გათენდა... იზას მშვიდად ეძინა თავის ოთახში, გიორგი კი ამდგარიყო და ჭიდან ამოღებული ცივი წყლით იგრილებდა უძილობით დატანჯულ შუბლს. შალვა ადგა და გიორგი ადრიანად გამოღვიძებული რომ დაინახა, გაკვირვებით შეეკითხა:

– კიდევ აღმოაჩინე რაიმე?

— აღმოვაჩინე, მხოლოდ ამჟამად ყველასათვის ამოუცნობი, ამოუხსნელი თეორემა, რომელიც მარტო მე მეხება და ნურც შემეკითხები, მოემზადე, პროკურატურაში ადრე მივიდეთ და ადრე ამოხსნილი თეორემა დავამტკიცოთ!

პროკურატურაში კაკო მანჯავიძე არც თუ ხალისიანად შეხვდა გიორგი ამაღლობელს, მითუმეტეს, რესპუბლიკის გენერალურ პროკურორთან მისი ვიზიტის შესახებ რომ შეიტყო, წყენა ვერ დაფარა და გულში დაგროვილი ბოღმა გადმოანთხია:

— ჯერ ჩვენთან თანაშმრომლობა არ დაგიწყიათ და ჩემზე საჩივარით დაიწყეთ მოღვაწეობა?

— როგორ გეკადრებათ ბატონო კაკო, ჩვენ მხოლოდ ვლადიმერ თურმანიძის მკვლელობის საქმე გამოვთხოვეთ რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, თქვენი მისამართით იქ საუბარიც არ ყოფილა...

— ეს არის საჩივარი, აბა მეტი რა უნდა იყოს! მაგ მკვლელობის ძიება, მე თვითონ შემეძლო თქვენთვის გადმომეცა, მაგრამ არად ჩამაგდეთ, გვერდი ამიქციეთ, უფრო სწორად გადამაბიჯეთ და რესპუბლიკის პროკურატურას მიაკითხეთ! ასეთი თანამშრომლები მე არ მესაჭიროება!

— კარგად ბრძანდებოდეთ, შეგიძლიათ გააუქმოთ ბრძანება, ჩვენი რიგითი გამომძიებლების თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ! — ამ სიტყვებთან ერთად გიორგი ზეზე წამოდგა.

კაკომ ნიკაპი მოისრისა, ჭკვიანი კაცი იყო და გაისიგრძეგანა მოსალოდნელი ფათერაკი, ხომ შეიძლებოდა ყმაწვილებს, ისევ რესპუბლიკის გენერალური პროკურორისათვის მიემართათ? ამიტომ წასასვლელად გამზადებული გიორგი ტკბილი სიტყვით შეაჩერა:

— დაბრძანდით, მე მგონია შევრიგდებით, ეს შეცდომა თუ შეცოდება მიპატიებია, აწი თუ ყურადღებიანი იქნებით ჩემს მიმართ...

— ვეცდებით გავამართლოთ თქვენი ნდობა! — უხალისოდ თქვა გიორგიმ და ისევ სავარძელში მოკალათდა პროკურორის პირდაპირ.

– ალბათ გაიგებდით რომ – დაიწყო პროკურორმა კაკო მანჯავიძემ – გამომძიებელი კარლო კაპანაძე ვერაგულად მოჰკლეს, ყოველი მისი დაწყებული და დაუმთავრებელი საქმე თქვენთვის გადმომიცია, დღესვე დაიკავებთ იმის კაბინეტს, აი მისი სეიფის გასაღები (და მაგიდაზე რგოლზე აცმული რამოდენიმე გასაღები დადო, ისე რომ საუბარი არ შეუწყვეტია) – მხოლოდ, პირველი გამოძიება არა ვლადიმერ თურმანიძის ავტოკატასტროფით დაიწყეთ, არამედ კარლო კაპანაძის მკვლელობით, ბოროტმოქმედი დაკავებულია – გოჩა არჩილის ძე ბარათაშვილი! ყოველგვარ დახმარებას აღგითქვამთ, ეცადეთ დროულად დაამთავროთ ძიება, სიმკაცრითა და ყოველგვარი შეღავთების გარეშე. თუმცა გოჩას მამა ზურაბ დოხნაძე ქალაქში თვალსაჩინო პიროვნებაა, მაგრამ იმედი მაქვს შეღავათი არც ამ მხრიდან ექნება მკვლელს!

– ეს როგორ ბატონო კაკო, გოჩა ბარათაშვილია და მისი მამა დოხნაძე?

– ეს ასეა, დანარჩენს გამოძიება გეტყვით! წარმატებებს გისურვებთ, დღესვე შეუდექით საქმეს!

– კარგად ბრძანდებოდეთ ბატონო კაკო, გმადლობთ ნდობისათვის! – თქვა გიორგიმ და ორმა მეგობარმა აჩქარებით დატოვეს პროკურორის კაბინეტი, შემდეგ ოპერატიულად ციხეში შესვლისა და გოჩა ბარათაშვილის ძიების სათანადო საბუთები გააკეთეს და ქუთაისის ციხისაკენ აიღეს კურსი.

ციხეში შესვლისთანავე ახალგაზრდა გამომძიებელთა ყურადღება ნესტიანმა კედლებმა, ჩაბნელებულმა დერეფანმა და იმ პატარა ოთახმა მიიპყრო, რომელიც მათ მიუჩინეს ძიებისათვის, იქ ერთი საწერი მაგიდა იდგა კუთხეში, ბოროტმოქმედისათვის განკუთვნილი იატაკზე დაჭედებული ერთადერთი სკამით.

გიორგიმ გოჩა ბარათაშვილი გამოიძახა, მალე ზემდეგის ჩინიანმა ორმა ბადრაგმა მოიყვანა მკვლელი.

სამორიგეო ოთახში შესვლისთანავე გიორგი ძველი ნაცნობივით შეეგება გოჩას:

– მე გამომძიებელი გიორგი ამაღლობელი გახლავართ, მინდობილი მაქვს თქვენი საქმის გამოძიება, თუ წინააღმდეგი ბრძანდებით, შეგიძლიათ აცილება მომცეთ! – უთხრა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

– საწინააღმდეგო რა მაქვს?! – ამოილუღლუღა ბოროტმოქმედმა, რომელიც ის გოჩა აღარ იყო, ორიოდე დღის წინ ნარკოტიკით გაბრუებული თამამად რომ დააგელვებდა მამის „ვოლგას“ ქუჩებში, ის ახლა ბეჭებშიც მოხრილიყო, საგრძნობლად გამხდარიყო და თითქოს დაპატარავებულიყო კიდეც, უყოყმანოდ ჩამოჯდა კუთხეში დაჭედებულ სკამზე და თითების მტვრევა დაიწყო.

– დროს ნუ დავკარგავთ! – თქვა ამაღლობელმა და ფურცლები გაასწორა, თან ავტოკალამი მოიმარჯვა.

– ახლა არ შემიძლია! – თავდახრილმა, მაგრამ მტკიცედ განაცხადა ბოროტმოქმედმა, რომელსაც გიორგისათვის თვალებში შეხედვა ვერ გაებედა.

– რატომ? – გაკვირვება ვერ დაფარა გამომძიებელმა.

– ავადა ვარ, „ლომკები“ მაქვს, რაიმე დამაწყნარებელი გამიკეთონ, თორემ მოვკვდები!

გამომძიებელი ჩაფიქრდა, ყურადღებით შეათვალიერა ბოროტმოქმედი და სიბრალულით უთხრა:

– იცოდეთ, თქვენ სამკურნალო პროფილაქტორიუმში არ იმყოფებით, არც ჟარგონებით საუბარია ჩვენთან საჭირო, მე მოსული ვარ კანონის სახელით და თქვენ ვალდებული ბრძანდებით ყველა შეკითხვაზე მიპასუხოთ!

– თქვენ შეგიძლიათ, მხოლოდ ამ ერთხელ... რამე დამაწყნარებელი გამიკეთონ და შემდეგ თუ გნებათ შეკითხვების ზღვა მომივლინეთ, სწორ და ამომწურავ პასუხს მოგახსენებთ...

გიორგის ადამიანისადმი სიბრალულმა გაკენწლა გულში, საწერი მაგიდის ქვეშ ხელი გააპარა და ფარული ზარის

ღილაკს თითით დააწვა, საგამომძიებლო ოთახში მყისვე ის ორი ბადრაგი შემოიჭრა, რამოდენიმე წუთის წინ ბოროტმოქმედი რომ შემოიყვანეს.

– მორიგე ექიმს დაუძახეთ! – ზემდეგების გამოჩენისთანავე მტკიცე ხმით განაცხადა გამომძიებელმა. რამდენიმე წუთში, ჩამრგვალებული, სანდომიანი სახით, თეთრ ხალათში გახვეული, მამაკაცი შემოვიდა. გიორგი ზეზე წამოდგა, ექიმს ხელი ჩამოართვა და გაეცნო, შემდეგ თითქოს ბოდიშის მოხდით თხოვა რაიმე დამაწყნარებელი გაეკეთებინა გოჩასათვის.

– მხოლოდ „პრომიდოლი“ გვაქვს! – დუმილის შემდეგ სიმყუდროვე დაარღვია თეთრხალათიანმა. გოჩა მოუთმენლად შეტოკდა სკამზე და სიხარულით წამოიძახა:

– Parbleu, Tresbien[1].

– ექიმი სამიოდე წუთის შემდეგ დაბრუნდა შპრიცით, გოჩამ აკანკალებული ხელით გაიძრო ხალათი და მკლავი ექიმს გაუწოდა, დიდხანს ეწვალა ექიმი ვენის მოძებნას და როგორც იქნა მიაგნო, სითხე აუჩქარებლად შეურია სისხლში, ნემსი გამოაძრო და ნანემსარზე სპირტში დასველებული ბამბა დაადო.

გოჩა წამოწითლდა, სახე მოისრისა, თითებით თმების ვარცხნა დაიწყო, ასე გაგრძელდა რამდენიმე წამს, შემდეგ დაწყნარდა.

– Enchante[2], – თქვა მშვიდად.

ექიმი წავიდა, როდესაც გიორგიმ გოჩას დამშვიდებულ სახეს შეხედა წყნარად წარმოთქვა:

– Epatant[3], თქვენ ფრანგულიც გცოდნიათ, სუფთად საუბრობთ, სად შეისწავლეთ?

Parbleu, Tresbien[1] – *ეშმაკმა დალახვროს ძალიან კარგია (გრანგული)*

Enchante[2] – *დიდებულია (ფრანგული)*

Epatant[3] – *საოცარია (ფრანგული)*

– დღეს თქვენი დიდად კმაყოფილი ვარ, ამიტომ ჩვენებას ვერ მოგცემთ, კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს, ბრძანე გამიყვანონ!

– თუ ასე გააგრძელებთ, იძულებული გავხდები თქვენი ძიების საქმე სხვა, უფრო მკაცრ და დაუნდობელ გამომძიებელს გადავაბარო...

– არა, არა! ღმერთმა დაგვიფაროს! გთხოვთ ნუ ისარგებლებთ ჩემი აფორიაქებით, ვეცდები ორიოდ დღეში სულიერად დავწყნარდე და გაგესაუბროთ არა ისე, როგორც გამომძიებელს, არამედ როგორც მეგობარს, მხრებიდან უმძიმესი ტვირთი მომეხსნება, გავმსუბუქდები, თქვენ კი შეგიძლიათ ჩემი ნაამბობი ბოროტად გამოიყენოთ ან პირიქით სასარგებლოდ და სასჯელის შესამსუბუქებლად!

გიორგიმ მაგიდაზე მიმოფანტული ქაღალდები აუჩქარებლად ჩააწყო ჩანთაში, ავტოკალამი პიჯაკის შიგა, გულის ჯიბეში ჩაიმაგრა და ზარის საიდუმლო ღილაკს თითი დააჭირა, ოთახში მყისვე ორი ბადრაგი შემოვიდა.

– გაიყვანეთ! – გამომძიებლის ხმა წყნარი და ხავერდოვანი იყო, მერე თვითონაც წამოდგა და გასასვლელად მოემზადა.

გოჩა ციხის ოცდამეჩვიდმეტე ნომერ საკანში დააბრუნეს, სადაც დაახლოებით ორმოცამდე კაცი, დანაშაულში ეჭვმიტანილნი ისხდნენ, ყველას აინტერესებდა გოჩას საქმის ძიების შედეგი. ამავე საკანში იჯდა კანონიერი ქურდი თამაზ ბასილაძე, ზედმეტ სახელად „კორეია“, ქურდმა ზედმეტად მხიარულობის მიზეზი ჰკითხა ახალგაზრდა მკვლელს.

– გამომძიებელი МОЛОКОСОС[1] მთლად ახალგაზრდაა, გამოუცდელი, ისე ვათამაშებ, როგორც გამეხარდება, „პრომიდოლი“ შევაშხუპუნებიე და ჩვენებაც არ მიმიცია, ისე გავაბითურე! – ყველას გასაგონად განაცხადა საკანში გოჩამ.

МОЛОКОСОС[1] *ძუძუმწოვარა (რუსული)*

– მთლად ნუ მიენდობი მაგ ახალგაზრდებს და ნურც გამოუცდელი გგონია პროკურატურის მუშაკები, შეიძლება შენს მდუმარებაში იმდენი ამოიკითხონ, მთელი დღე, რომ გელაპარაკა, იმის ნახევარსაც ვერ გაიგებდნენ... – დამრიგებლის კილოთი უთხრა ქურდმა.

– ალბათ მე „ფრაერს“ ან „მუჟიკს“ შემარქმევ ასეთი გულუბრყვილობისათვის არა?

– შენ ხომ ქურდი არასოდეს ყოფილხარ? – კითხვითვე მიუგო „კორეიამ“.

– რატომაც არა, რაც მე და მამაჩემს კალმის ერთი მოსმით მოგვიპარავს, ალბათ მთელი ქურდობა თავის სიცოცხლეში ვერ იშოვიდა, თქვენ მუდამ „კალოშებით“ დადიოდით, მე კი „ვოლგით“, თქვენ ქურდი გქვიათ, მე კი „ფრაერი“?

– სწორედ მაგაშია თქვენი არაკაცობა, კალამს უსვამთ და ერთნაირად ჰპარავთ ქურდს, ყაჩაღს, გლეხს თუ მუშას, ჩენ კი ვეხმარებით თქვენი კალმის მოსმით დაზარალებულთ, ვურჩევთ საქმეს და სიკდვილით ვემუქრებით ბეჩავი ხალხის შემვიწროებლებს; თუ ვიპარავთ,თქვენსავით არ ვაკონსერვებთ ფულს, ვეხმარებით საავადმყოფებში მწოლიარეთ და ციხეებში გამოკეტილთ! თქვენ კი... მხოლოდ თქვენა გაქვთ თქვენი ფულის იმედი! გამომძიებელს ჩვენებას არ აძლევ, რადგან ელოდები მამიკო თავისი ფულებითა და ძლევამოსილებით მალე გაგათავისუფლებს!

– რომელ საქმეებს გაარჩევთ თქვენ, წერა–კითხვა ბოთლის იარლიყებზე გისწავლიათ, ჩენ კი ფართო საზოგადოებაში წიგნობრივად განვითარებულებს არ გვაკლია მარქსის თუ ლენინის ტომების გადაღეჭვა და მსოფლიო კორიფეთა ცხოვრების კვლევრებია... სირცხვილი არ იქნება, თქვენ ჩვენი საქმე გაარჩიოთ? – ქურდს აღელვება დაეტყო, მაგრამ ნერვები დაძაბა და ყურადღებით უსმენდა გოჩას, რომელიც ორატორად ქცეულიყო: – ჩემს მეზობლად ერთი უბრალო შემთხვევა მოხდა, რომლის უბრალოებაც მკვლელობაში გადაიზარ-

და, ჩვენ, მეზობლებმა ის საქმე განათლებულ საზოგადოებასთან ერთად გავარჩიეთ და მკვლელი დავადანაშაულეთ, რა საკვირველია მან საკადრისი სასჯელიც მიიღო...

– როგორი იყო თქვენი მეზობლური დავა?

– მოგახსენებთ და მაინტერესებს, თქვენ როგორ გაარჩევდით ამ საქმეს, ჩვენს მეზობელს კვახი ჰქონდა დათესილი, რომელიც გაიზარდა და ბარდი მეორე მეზობლის ეზოში გადავიდა, ბუნებრივია ბარდმა კვახიც იმ მეორე მეზობლის ეზოში მოიბა, აბა მიპასუხე, ვის ეკუთვნის კვახი?

– „მახოხია“ უჩვენე ამას კვახი! – გადაულაპარაკა „კორეიამ“ თავის გვერდით მჯდომ სახენაირევ ახალგაზრდას, რომელმაც ელვის სიწრაფით შეასრულა ქურდის ბრძანება, გოჩას კისერში ჩაავლო ხელი და რამოდენიმეჯერ „პარაშაში“ ჩააყურყუმალავებინა.

იმ დღიდან გოჩას თავისი ადგილი მიუჩინეს საკანში, ის ვეღარ საუბრობდა და მსჯელობდა მარქსიზმ–ლენინიზმის ფილოსოფიური გაგებით.

– ვინ არის გოჩა? საიდან იცის ასე სუფთად ფრანგული ენა? რისთვის მოჰკლა კარლო კაპანაძე? რატომ არის ბარათაშვილი და არა დოხნაძე? იქნებ დედის გვარს ატარებს? ვნახოთ, ვნახოთ, საინტერესოა გამოძიება და მით უფრო საინტერესო, რაც უფრო დახლართულია... ავალაპარაკებ გოჩას და მივაგნებ სწორ კვალს... – ფიქრებში ჩაძირულიყო გიორგი.

– როგორ ფიქრობ, აღიარებს გოჩა მამაჩემის მკვლელობას? – მოულოდნელად ჰკითხა მეგობარს შალვამ.

– ფაქტს ვერსად გაექცევა, მხოლოდ დასადგენი ისა გვაქვს, საჭეს რომელი უჯდა, გოჩა თუ მამამისი ზურაბი, – უპასუხა გიორგიმ და ისევ ფიქრის მორევში ჩაიძირა, სანამ ავტომანქანის გაბმული სირენის ხმამ არ გამოარკვია, შალვას თავისი სახლის წინ გაეჩერებია „ჟიგული“ და იზას ეძახდა „ჭიშკარი გამიღეო“, მართლაც არ დააყოვნეს რკინის ჭიშკრის გაღება, გიორგის იზა აფორიაქებული მოეჩვენა დანაძალადევი

ღიმილიც თვალნათლივ შეამჩნია, მაგრამ მიუხედავად ქალიშვილური სითამამისა, გიორგის სახე მაინც მოარიდა იზამ და ლოყები სიწითლემ შეუფაკლა.

კარგი ამინდი იყო, მეგობრები ეზოში ლეღვის ხის ჩრდილის ქვეშ ჩამოსხდნენ და ნარდის თამაშით თავის შექცევა გადაწლყვიტეს, რომ ამ დროს ჭიშკართან თეთრი „ვოლგა“ გაჩერდა, რომელშიაც ერთადერთი ადამიანი იჯდა – მძღოლი!

მძღოლმა ჭიშკარი შეათვალიერა, შემდეგ აუჩქარებლად ჩამოვიდა ავტომანქანიდან, ჭიშკარი დაუკითხავად შეაღო და ეზოში შევიდა, შალვა და გიორგი მყისვე წამოდგნენ უცნობი მამაკაცის შესაგებებლად, რომელიც მეფური დიდებით მოაბიჯებდა, ისედაც სახე–ტანლამაზი და ვაჟკაცურად მოასაწონი ადამიანი.

– გამარჯობათ! ბოდიშით, დაუკითხავად შემოვედი ეზოში... – თავაზიანად მიესალმა ახლად მოსული ახალგაზრდებს, მეგობრებმა სალმითვე უპასუხეს უცნობს და სკამი შესთავაზეს.

– არა, დასაჯდომად არ მცალია! მე ბატონი გიორგისა და შალვას ნახვა მწადიან, – თქვა ახლად მოსულმა.

– ჩვენ გახლავართ, მე შალვა, ეს კი გიორგი! – ამხანაგისაკენ გაიხედა შალვამ და უცნობს ხელი გაუწოდა, დაუპატიჟებლად მოსულმა თითქოს ვერც შეამჩნია ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი და მზერა ლეღვის ფოთლებში შემოპარული მზის სხივებისაკენ გააპარა... „აი ვისთან მქონია საქმე“ – ეს ახლად მოსული წუთიერი გაფიქრება იყო, მაგრამ მაინც სცადა თავაზიანობა დაეცვა.

– მე ზურაბ დოხნაძე ვარ, საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი! და აქ ერთ ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე გეახელით! – ამ სიტყვებთან ერთად ზურაბი ყოველგვარი ნებართვის გარეშე მედიდურად ჩამოჯდა. ახალგაზრდებს არ მოეწონათ ახლად მოსულის დიდკაცურ–თავხედური მოქცევა, მაგრამ არ შეიმჩნიეს და თავაზიანი მოპყრობა გადაწყვიტეს, მითუმეტეს, ორივე ნათლად ხედავდა, რომ მათ წინ გოჩა ბარათაშვილის ორეული იჯდა და ისიც უწყოდნენ,

რისთვის მოვდიოდა ეს წარმოსადეგი მამაკაცი, რომელიც ასეთ ახალგაზრდებთან ყოველთვის საუბარსაც არ კადრულობდა – ბატონმა კაკო მანჯავიძემ მითხრა... – ისე განაგრძო ზურაბმა თითქოს ზეცას ესაუბრებოდა – რომ თქვენ აწარმოებთ კარლო კაპანაძის მკვლელობის საქმეს!

– დიახ, ბოროტმოქმედი დაკავებულია, ვაწარმოებთ დაკითხვებს... ვფიქრობთ ერთ კვირაში დავხურავთ და საქმეს სასამართლოს წარვუდგენთ! – მიუხედავად უკმაყოფილებისა მაინც თავაზიანად უპასუხა გიორგიმ.

– კარლო კაპანაძე მოკვდა, მომჩივანი არავინ ჰყავს, ენდეთ ჩემს სიტყვას, ამ საქმეს არავინ გამოეკიდება და მოდი შინაურულად გადავწყვიტოთ... როგორ ფიქრობთ, რამდენში ჩავეტევი? – ისე დამაჯერებლად თქვა ზურაბმა, რომ გიორგის პასუხს არ დალოდებია და საქმის თავის სასარგებლოდ შემობრუნებას წინასწარ ზეიმობდა.

გიორგი დიდხანს იყო ჩაფიქრებული, შემდეგ მონუსხული მზერით თვალი–თვალში გაუყარა ზურაბს და დამარცვლით წარმოთქვა:

– ჩვენ ვაწარმოებთ ძიებას მკვლელობის შესახებ, მართლმსაჯულებას კი არ უყვარს მინდობილი საქმისადმი გულგრილობა!

– აბა თქვენ როგორ გაქვთ გადაწყვეტილი, ერთი მოკვდა და მეორეც გავწიროთ?

– დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა, ეს ყველა მოქალაქის მოვალეობაა!

– მე ჩემი მითქვამს, ადამიანი კი, ყოველთვის აღწევს მიზანს, თქვენ ჯერ ახალგაზრდები ხართ, უმჯობესი იქნება დამიჯეროთ! წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს გამოვითხოვ და სხვა კვალმაძიებელს ავიყვან!

„კაკოს დარიგებულია“ – გაიფიქრა გიორგიმ და პირდაპირ მიახალა მოსულს:

– თქვენს „მასწავლებელს“ კარაგდ ვერ დაურიგებიხართ, გამომძიებლისაგან საქმის გამოთხოვას მოტივი უნდა!

თქვენ რას დაასახელებთ მიზეზად? მე თქვენთან მეგობრობა არ მაქვს და არც ნაცნობობა მქონია ოდესმე, თუკი მიზეზი ჩემი „ახალგაზრდობაა“ და უფრო გამოცდილი გამომძიებელი გინდათ აიყვანოთ, ამ მოტივით სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ, რამეთუ ჩვენ დამთავრებული გვაქვს უნივერსიტეტის სრული კურსი და ბრძანებით ვიმყოფებით ამ თანამდებობაზე, რომელსაც დღეს ვემსახურებით!

– მეორე ბრძანების დაწერაც შეიძლება! განთავისუფლების!

– მართალია, მაგრამ სანამ ის „მეორე“ არ დაწერილა, მე ამ საქმეს მოვრჩები და სასამართლოს გადავცემ!

– თქვენ ისე საუბრობთ, ალბათ ჩემს დაკითხვასაც არ ითაკილებთ!

– ეს აუცილებელია, თქვენ უნდა დაიკითხოთ, როგორც მოწმე!

– ალბათ ჩემს მეუღლესაც დაჰკითხავთ და მთელი ოჯახის ციხეში გამომწყვდევას ეცდებით...

– ციხეში მე არავის ვამწყვდევ, უბრალოდ, ვასრულებ ჩემს მოვალეობას! ბოროტმოქმედის მშობლების დაკითხვა კი აუცილებელია, რათა მართლმსაჯულებამ იცოდეს დამნაშავის აღზრდის კერა...

– მე და ჩემი მეუღლე არაფერსაც არ გეტყვით!

– ბატონო ზურაბ! გამოძიება ის არ არის, რომელიც თქვენ კარლო კაპანაძესთან ერთად აწარმოეთ ვლადიმერ თურმანიძის კატასტროფულ მკვლელობასთან დაკავშირებით! ვინც თავის სამშობლოს, ერს და პატიოსან ხალხს ემსახურება, რთულია იმ კვალმაძიებლის შრომა, ბოროტმოქმედი ათასგვარ საშუალებას მიმართავს, რათა დაფაროს დანაშაულის კვალი, მაგრამ კეთილსინდისიერი კვალმაძიებლის წინაშე ყოვლი იმის ცდა განწირულია, რამეთუ გამოძიებას ბოროტმოქმედთა წინააღმედ ბრძოლაში ჰყავს მძლავრი და საიმედო მოკავშირე, რომელსაც კანონი ეწოდება! თქვენ ალაპარაკდებით, რადგან გულახდილი საუბარი ამსუბუქებს სასჯელს! მეორეც, ალაპარაკდებით, იმიტომ რომ თქვენი მოკავშირე

„ქრთამი“, პატიოსნებასთან და კანონთან ბრძოლაში დამარცხდება... საინტერესოა, პირადად რატომ არ გსურთ ავლინოთ ბოროტმოქმედი? მან ხომ საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებასა და პატისონებას, საზოგადოების ინტერესებს, მის სიმდიდრეს, თქვენ ჩემთან ერთად, როგორც თანამდებობის პირი, გევალებათ კანონიერების დაცვა, სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავის დასჯა, ამ საქმეს მარტო იურისპრუდენცია კი არა, ყველა პატიოსანი და პატრიოტი ადამიანი ემსახურება, მათ კრიმინალისტებთან ერთად ყველაფერი უნდა დაინახონ, გაარკვიონ, შეამჩნიონ... მიიღონ ბრძნული, სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილება, ისეთი, რომელიც მატო დამნაშავეს კი არ დასჯის ან შემოაბრუნებს პატიოსანი ცხოვრებისაკენ, არამედ სხვებსაც დაუკარგავს ბოროტმოქმედებისაკენ სწრაფვას! თქვენ კი იმის ნაცვლად, რომ დაეხმაროთ გამოძიებას და სწორ გზაზე დააყენოთ კვალმაძიებელი, ხელს უშლით „ქრთამით“ და ამით ამდიდრებთ დამნაშავეთა სამყაროს...

– თქვენ ჯერ მეუღლეც არ გეყოლებათ და არც არის გასაკვირი, შვილის შესახებ ასე ისაუბროთ, ეს თეორია, რომელიც წამიკითხეთ, ოდესღაც მეც მისწავლია, მიომია და ათასგვარი ტანჯვა–წამებით მიმიღწევია ცხოვრებისათვის, ახლა კი არ მინდა არაფრისათვის დავკარგო შვილი! მხოლოდ ამ შემთხვევაში ეპატიება მამას და პატიოსან მოქალაქეს, გაუხსნელი დატოვოს ზოგიერთი საპასუხისმგებლო საქმეც კი...

– გებრალებათ შვილი და ვერ იმეტებთ რამოდენიმე წლით მის მოშორებას, თან ამბობთ „პატიოსანი მოქალაქე“ ბრძანდებით და არ გებრალებათ სხვისი შვილი, რომელსაც სამუდამოდ წაართვეს მამა! ბოროტმოქმედისათვის სასჯელი სრულებითაც არ არის მიზანშეუწონელი, მე გარდაუვალადაც კი ვთვლი სწორ სასჯელს, რომელიც დანაშაულისათვის მიეზღო ბოროტმოქმედს, ამასთანავე არ დარჩა გაუხსნელი დანაშაული და ასეთმა შემთხვევებმა ხელი შეუშალა ბოროტმოქმედთა რიგების გაფართოებას!

– ამხელა კაცმა თავი დავიმცირე, თხოვნით მოვსულვარ! და არ გინდათ დახმარება აღმომიჩინოთ და გაწბილებულს მიშვებთ?

– სიმაღლე მივიღოთ მხედველობაში თუ თანამდებობა?

– ორივე ერთად!

– მართლმსაჯულებისათვის არ არსებობს დიდი და მცირედი, განსწავლული და უვიცი, მეფე და მათხოვარი, ის ყველას მიმართ ერთნაირად ემორჩილება კანონს!

– კარგი მომზადებული ბრძანდებით! მე მივესალმები სამშობლოში ასეთ ახალგაზრდობას, ახლა ბოდიშს მოვითხოვ შეწუხებისათვის და ვიმედოვნებ, ჩვენ უფრო დაწყნარებულად, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს... – ზურაბი წამოდგა, თითქოს დაპატარავებულიყო, ქედმაღლობა აღარ ემჩნეოდა, ახალგაზრდებმა ჭიშკრამდე მიაცილეს სტუმარი...

– როგორ ფიქრობ, ვინ არის ეს ზურაბ დოხნაძე? – ჰკითხა გიორგიმ მეგობარს, როდესაც თავის ადგილზე დაბრუნდნენ ლეღვის ხის ჩრდილში.

– ჩემი შეტყობით ჩვეულებრივი ადამიანია, ხალხით, ფულითა და თანამდებობით გაყოყოჩებული...

– არა, მაგას არ გეკითხები, თვითონ პიროვნება მაინტერესებს და მოდი მაგის პირადი საქმე გამოვითხოვოთ პარტიის რაიკომიდან!

ერთი საათის შემდეგ შალვა ზურაბ დოხნაძის ავტობიოგრაფიას კითხულობდა: – „მე ზურაბ გრიგოლის ძე დოხნაძე დავიბადე 1922 წლის 5 აგვისტოს, ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდაში, ამავე სოფელში მივიღე საშუალო განათლება, 1940 წელს გამიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, ომმა უკრაინაში მომისწრო, ვიბრძოდი უკრაინაში, ბელორუსიაში და კავკასიის ფორნტზე, ვარ კომუნისტური პარტიის წევრი 1943 წლის აპრილიდან, 1945 წელს დავბრუნდი დემობილიზებული და სწავლა განვაგრძე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დავამთავრე...“

– საკმარისია! – კითხვა შეაწყვეტინა გიორგიმ.

– რა მოხდა? – გაოცება ვერ დაფარა შალვამ.

– ეს ყველაფერი სიცრუე მგონია...

– როგორ თუ სიცრუე, კაცი კომუნისტური პარტიის წევრია, თანამდებობის პირი... შენ კი ეჭვისთვალით მისჩერებიხარ... მგონი ჩემშიც აღმოაჩინო ბოროტმოქმედი!

– ადამიანის მიმართ დაკვირვება გაკლია შალვა, აბა შენ ახლა დახუჭე თვალები და ზურაბის გვერდით დააყენე რაჭველი გლეხი, აამეტყველე ის და მათი საუბარი ერთმანეთს შეადრე, რა თქმა უნდა განსხვავდება საუბრის მანერა, კილო, გლეხური თავაზიანობა და ადამიანთა სიყვარული... მე კი ზურაბი იმერელი თავადი მგონია, სწორედ თავადური ქედმაღლობა მესახება თვალწინ, მისი საუბრის დროს...

– კარგი თუ ძმა ხარ, კაცი მოხუცებულია და კუთხური გამოთქმა, კილო–კავი აღარ დაავიწყდებოდა? ამდენი წლის განმალვობაში ხელმძღვანელი მუშაკია და ქედმაღლობას ვერ ისწავლიდა?

– არა შალვა, ბუნების წინააღმდეგ ვერ მიდის ადამიანი, დაკვირვებული თვალი ამჩნევს და ადგენს ადამიანის საცხოვრებელ რელიეფს, მართალია წლებს საგრძნობი დაღი დაუსვამს ჩვენს ადრესატზე, მაგრამ მე მაინც გეტყვი, რომ ზურაბი, რაჭველი არ არის!

– წამოდი წავიდეთ, მოგინახულოთ ნიკორწმინდა, შეუძლებელია იქ არავინ იცნობდეს ზურაბს!

– რომელი საათია?

– ნაშუადღევი, ორი სრულდება!

– გვიანია, დილით წავიდეთ!

– ხვალ შაბათია, ხომ არ დაგავიწყდა, სათევზაოდ უნდა გავიდეთ...

– მაშ წავედით! – დინჯად თქვა გიორგიმ.

ორი საათის შემდეგ ნიკორწმინდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტის კარები ფრთხილად შეაღეს ახალგაზრდებმა და მიღების ნებართვა ითხოვეს.

– მობრძანდით! – ფეხზე წამოდგა თავმჯდომარე.

– შორეული ნათესავები ვართ ზურაბ გრიგოლის–ძე დოხნაძის და სახლს თუ მიგვასწავლით, დიდად დაგვავალებთ...

– რომელი ზურაბ გრიგოლის–ძე? – გაიკვირვა თავმჯდომარემ – ზურაბი ამ სოფელში ბევრია, მაგრამ გრიგოლის ძე არავინ!

– როგორ თუ არა, 1922 წელშია დაბადებული, სამამულო ომის მონაწილე...

– ააა! მესმის, მესმის, აი თქვენ, რომელი ზურაბის ნახვა მოგისურვებიათ, მაგრამ სავალალოდ ტყუილად გარჯილხართ, ზურაბი აქ არ ცხოვრობს, ომი რომ დამთავრდა ფრონტზე გაეგო დედის სიკვდილის ამბავი და სოფელში აღარ დაბრუნებულა, ან და რა გასაკვირია, ერთადერთი დედა ჰყავდა, ის იყო იმისი სიხარული, სიყვარული და ნუგეში...

მძიმე დრო იყო, მახსოვს, როგორ არა, ზურაბის დედა თამარი სოფელმა დაკრძალა, მაინც შევარცხვინე ზურაბი! ერთხელაც არ მოუნახულებია თავისი კუთხე და დედის საფლავი... ამბობენ „უმაღლესი დაამთავრა და დიდი კაციაო“...– მე თუ მკითხავთ შევარცხვინე ასეთი „დიდი კაცობა“!

– ახლა ვინ ცხოვრობს ზურაბის სახლში?

– არავინ, სოფელი უვლის, როგორც ომის მონაწილის სახლს, ორჯერ შევაკეთეთ და მგონი წელს კიდევ სჭირდება სახურავის შეცვლა...

– ზურაბის სურათი ხომ არ გექნებათ?

– სურათი? კი, როგორ არა, ეს ადვილი სამსახურია, აქვე ბიბლიოთეკაში, გაკეთებული გვაქვს ომის მონაწილეთა საპატიო დაფა, ზურაბის სურათიც არის იქ გამოკრული და მისეულ სახლშიაც ინახება ოჯახის სურათების ალბომი.

– დიდი მადლობა! ბოდიში შეწუხებისათვის...

– დაიცადეთ, გაგაცილებთ! – კოჭლობით წამოდგა თავმჯდომარე და პირველ სართულზე ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილ ოთახში შეუძღვა ახალგაზრდებს.

– აი ზურაბ დოხნაძის სურათი! – მიუთითა თავმჯდომარემ შავგვრემან და შავულვაშებიან, ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცის სურათზე გიორგისა და შალვას.

– კარგი იქნებოდა საოჯახო სურათების ალბომიც გვენახა... – მობოდიშებით თქვა გიორგიმ.

– არ დაგამადლით, წავიდეთ! – სტუმრებისაგან დაწინაურდა თავმჯდომარე.

სასოფლო საბჭოს ეზოდან, გზის შემოკლების მიზნით, ბილიკით მონასტრის ეზოზე გადავიდნენ, გიორგიმ მონასტრის ჩუქურთმას თვალი ვერ მოსწყვიტა, ხელით დაუწყო მოფერება ამ უნიკალურ ქმნილებას, შალვამ კი პოეტის სიტყვები გაიმეორა – „რა ხელმა ააგო...“

– მართლაც „რა ხელმა ააგო“ – თქვა თავმჯდომარემ – ეს ძეგლი მთელი რაიონის სიამაყე და მთელი საქართველოს დიდებაა! შუა საუკუნეებში ეს მონასტერი, საქართველოს საეპისკოპოსოს ცენტრი იყო, ჩვენმა სოფელმა მის საპატივცემულოდ მიიღო სახელწოდება „ნიკორწმინდა“?

მეჩვიდმეტე საუკუნეში აქ თავს აფარებდა ირანის აგრესიისაგან შევიწროებული მეფე თეიმურაზ პირველი, ტაძარი აგებულია 1010–1014 წლებში, ბაგრატ მესამის მეფობის დროს და საქართველოს უკვდავი მატიანიდან წარსულის უძლიერეს ნიმუშს წარმოადგენს!

რაღაც ასიოდე მეტრი გაიარეს და თავმჯდომარემ ზურაბ დოხნაძის ქოხის კარი შეაღო, ოთახი გულდასმით დასუფთავებული და განიავებული იყო, ცენტრში მრგვალი მაგიდა იდგა ოთხი სკამით, მაგიდაზე ვაზა, მინდვრის ცოცხალი ყვავილებით სავსე, ვაზის გვერდით კი სურათების ალბომი იდო. კუთხეში რომბისებურად ჩადგმული წიგნების კარადა, არც თუ მდიდრული წიგნებით აღსავსე გახლდათ, კარადის პირდაპირ, კედელზე ორი სურათი ეკიდა, ერთი შავ ჩარჩოში ჩასმული ზურაბის მშობლებისა (რომელიც ზურაბის მსგავსება კი არა, ნამდვილი ხატება იყო), მეორე, ფერად, მოჩუ-

ქურთმებულ ჩარჩოში ჩასმული, ზურაბის სურათი იყო, როგორც საპატიო დაფაზე, აქაც პილოტურა ეხურა და სამხედრო ფარაჯა ეცვა, ეს სურათი სრულებით არ ჰგავდა დღევანდელ ზურაბ დოხნაძეს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებოდით, ცოტაოდენი მსგავსების ამოკითხვა შეიძლებოდა მხოლოდ...

ალბომი გადაშალეს, თავმჯდომარე სათითაო სურათებს აცნობდა ახალგაზრდებს, ბოლოს მასპინძელმა მზერა ახალგაზრდა, ნაწნავებიანი ქალიშვილის ფოტოზე შეაჩერა და შალვას ჰკითხა:

– როგორი გოგოა?

– უმაღლესი!

– ეს ზურაბის შეყვარებული იყო, შეურცხვა იმას თავი, გოგო დღემდე ელოდება იმის დაბრუნებას, ასუფთავებს, ალაგებს, საკუთარ კერასავით უვლის ამ ქოხს, ზურაბი კი სადღაც ქალაქში ცხოვრობს და ფიქრადაც არ მოსდის საკუთარი ოჯახის მონახულება...

– მომეცით ეს სურათი, ერთი ზურაბის სურათიც ამომირჩიეთ და იმისი მშობლების სურათიც გამატანეთ, როგორც არ უნდა იყოს, ზურაბს ვნახავ და სოფლის სახელით ნამდვილად შევარცხვენ! – თქვა გიორგიმ თავმჯდომარის მისამართით.

– წაიღეთ! – თქვა მასპინძელმა და ოთხი ცალი სურათი გიორგის მიაწოდა, რომელმაც ქალიშვილის სურათის მეორე გვერდზე წარწერა დალანდა: „სახსოვრად ზურიკუნიას ირინოლასაგან 1939 წელი“.

– რა გვარისაა ეს ირინოლა?

– დათუაშვილი!

– ალბათ მოხუცებულია ახლა...

– საკმაოდ, მაგრამ მაინც ყოჩაღად გამოიყურება, ზურიკოს მოლოდინით ცოცხლობს!

– გმადლობთ ყურადღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის! – წასასვლელად მოემზადნენ ახალგაზრდები.

– როგორ, თუ ჩვენი ზურიკუნია სახლში არ არის, ეს იმას როდი ნიშნავს, მთელი იმისი საგვარეულო გადასახლებულიყოს აქედან! ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაგიშვებთ, მეც აქვე ვცხოვრობ, ბიძად ვეკუთვნი ზურიკოს, მეც დოხნაძე ვარ გვარად, უდარდელას მეძახიან...

შალვას ღვინო არ დაულევია, მანქანის საჭე მოიმიზეზა და აღარც მასპინძელი მიძალებია, გიორგის კი ალისფერმა სითხემ საუბრის მუზაც გაუხსნა და გზაზე შალვას დაუმტკიცა თავისი იურიდიული შეხედულება ზურაბ დოხნაძესა და მის ორეულზე.

– ხომ გითხარი, ეს რაჭველი გლეხი არ არის–მეთქი, ახლა რაღას იტყვი?

– ჯერ ნაადრევია შენი ზეიმი, ამას მთელი რიგი გამოძიება უნდა, რომ ზურაბს არა ზურაბ დოხნაძეობა დაუმტკიცდეს!

– ამას რა ძიება უნდა, ნუთუ ვერ ხედავ სურათიდან სულ სხვა სახე, რომ შემოგცქერის?

– რატომ? მე მგონია, არც აგრეა საქმე, ის ხომ ახალგაზრდობის სურათია და მსგავსება საკმაო დონეზე შეიმჩნევა...

– რომელ მსგავსებაზეა საუბარი, ზურაბი, რომ ცოცხალი იყოს, არავითარ შემთხვევაში არ მიატოვებდა მშობლიურ კუთხეს და რაც მთავარია მშობლების საფლავს, ნუთუ შენ არ იცი და გეშლება, ქართველი კაცის სულის გამოძახილი, ვინ დამალვია მიწის ყივილს, რომ ზურაბი დაემალოს? ვის დავიწყებია დედის ცრემლი, რომ ზურაბს დავიწყებოდა? რომელ ქართველს გადავარდნია თვალსაწიერიდან სატრფოს პირველი ალერსი, მხოლოდ ზურაბს? მას, ადამიანს, ამაყი მთებისა და კუთხის შვილს, არ შეიძლებოდა დავიწყებოდა თუნდაც ბიძია უდარდელა...

– გამოძიება გვიჩვენებს ყოველივეს, ახლა კი ღამე ნებისა, დილით ადრე ვართ ასადგომი, ხომ იცი ანკესები გამართული მაქვს და ჭიები დაჭერილი – უთხრა შალვამ გიორგის, რომელ-

საც გზაზე საუბარი ვერ მოემთავრებია და ავტომანქანიდან არ ჩამოდიოდა.

– შენებურად იყოს! – თქვა ამაღლობელმა და თავისი ოთახისაკენ წავიდა.

* * *

დილით შალვამ ადგომა ყველას დაასწრო და მეგობარიც გამოაღვიძა.

– ადექი ბიჭო! დილით არის კარგი თევზაობა, თორემ თევზებმა თუ საუზმობა მოგვასწრეს, ანკესს აღარ გაეკარებიან და ხელმოცარული დავბრუნდებით, მერე ნახე იზას დაცვინვა...

– თავი მაბრუის, მგონი გუშინ ზედმეტი მომივიდა... რა მეთევზევება!

– ადექი, ადექი, მაგარი ჩაი დავლიოთ და გამოკეთდები! – არ მოეშვა შალვა, სანამ ძალით ზეზე არ წაომაყენა.

ისაუზმეს და ფეხით აუყვნენ მდინარე ძირეულას კალაპოტს, ბაგირის ხიდთან შეჩერდნენ, ჩამოისვენეს და წყალში ანკესიც მოისროლეს, ტივტივა მდინარის დინებამ გაიტაცა და იქ შეჩერდა, სადაც წყალი შედარებით ყველაზე ღრმა იყო.

– აი მე დავიჭირე! – დაიძახა შალვამ და ძუაზე დაკიდებულ მოფთხიალე თევზს ანკესის პირიდან გამოძრობა დაუწყო.

– მასეთ თევზს არც დავიჭერდი! – შეეხმიანა გიორგი მდინარის მეორე ნაპირზე მდგარ შალვას.

– ვითომ რადაო?

– ვერ ხედავ, როგორი გამხდარია? ნეკნები მოუჩანს, უმჯობესია გაუშვა, გასუქდება და შემდეგ დავიჭიროთ!

– აგრე შენისთანა გამომძიებლები შვებიან, ბოროტმოქმედს მანამდე არ იჭერენ სანამ დიდძალ ფულს არ იშოვის და კარგა გვარიანად არ გასუქდებიან...

– ჩემზე არ ითქმის მეგობარო მასეთი საყუდური, თორემ გუშინ მოჰყვა ჩვენს ანკესს მსუქანი ღლავი!

— გაუშვი, გაუშვი, აწყინოს კაკო მანჯავიძეს! ისე რა სპეციალობა გაქვს ასეთი არა? ვმუშაობთ ვიჭერთ. ვისვენებთ მაინც ვიჭერთ! — გაიხუმრა შალვამ

— ამ ჩემს ანკესსაც მოჰყვა რაღაც, არა, არა, კი არ მოჰყვა, მგონი რაღაცას წამოედო, მოდი ბიჭო მომეხმარე, თორემ ან ძუას გავწყვეტ, ან ანკესის ტარს გავტეხ...

შალვა მივიდა დასახმარებლად, მაგრამ გიორგის მშველელი აღარ დასჭირვებია, გაიფიქრა იქნებ ძუა გაწყდეს ან ანკესის ტარი გატყდეს და დროულად წავიდე სახლშიო, ამიტომ მთელი ძალით მოქაჩა ანკესს და აი საოცრება, ანკესზე ფოლაქმა დაიწყო ქანაობა!

— ეს რა არის ბიჭო?! — განცვიფრება ვერ დაფარა შალვამ — მე კი გავუშვებ და გავასუქებ ჩემს გამხდარ თევზს, მაგრამ შენ, როგორ გაასუქებ ფოლაქებს, იმასაც დავინახავ!

— შალვა ნუ ხუმრობ! ეს საქმე სახუმაროდ არ მიმაჩნია, ეს ფოლაქი რაღაცაზე იყო მიკერებული და მის ასაწყვეტად გარკვეული ძალა დამჭირდა...

— დაუკვირდი თუ კაცი ხარ და დაამტკიცე, ფოლაქი კაბის არის, თუ შარვლის, პალტოსი თუ პიჯაკის, ქალის თუ კაცის, შემდეგ იქნებ გაიგო, ვის ეკუთვნის აღნიშნული ფოლაქი პატრონს დავუბრუნოთ და გასამრჯელოსაც მივიღებთ!

— გეუბნები ნუ ხუმრობ, ახლავე გაიხადე, ჩაყვინთე და ნახე თუ რას წამოედო ანკესი!

— ოჰ, შენ გაგიჟდი და მგონი მეც გამაგიჟებ — უკმაყოფილოდ თქვა შალვამ და წყალში ისკუპა, ერთი წუთიც არ გასულა, მთლად გაფითრებულმა წყლიდან ამოყვინთა და შეშინებულმა საწინააღმდეგო ნაპირისაკენ გაცურა — იქ ქალია, ლამაზი ქალი! შენ მე ნამდვილად გამაგიჟებ, წყალში აღარასოდეს აღარ ჩავალ! შემეშვი, თავი დამანებე, სახლში უნდა წავიდე! — დაწყნარდი შალვა, რა მოგვივიდა, რა მოხდა, მიცვალებული არ გინახავს? მე აქ დავრჩები, შენ კი წადი, მილიციას, პროკურატურასა და საავადმყოფოს შეატყობინე, მყინთავები და ექსპერტიზა წამოიყვანონ, შეამოწმონ მილი-

ციაში ან პროკურატურაში თუ არის ამ მოკლე პერიოდში შემოსული განცხადება, ვინმეს დაკარგვის შესახებ!

შალვა მონუსხულივით მოქმედებდა, უხმოდ, თითქმის სირბილით გაუყვა გზას, ტელეფონით შეატყობინა მომხდარი ვითარება სათანადო ორგანოებს და თვითონაც გიორგისთან დაბრუნზდა. მეგობარმა მოუწონა მოქმედება და ერთად დაელოდნენ სირენიანი ავტომანქანების გამოჩენას.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ, პირველი სასწრაფო დახმარების ავტომანქანა მოვიდა, შემდეგ პროკურატურისა და მილიციის ავტომანქანები თითქმის ორივე ერთად, მას მოჰყვა საკუთარ ავტომანქაში მჯდომი ქალაქის პროკურორი, მილიციის უფროსი, რაიკომის პირველი მდივანი, საწარმოო გაერთიანების დირექტორი და რაიონის სხვა გამოჩენილი პირნი, როგორც ჩანს, საკმაო განგაში გამოეწვია წყალში გვამის აღმოჩენას, ყველას აინტერესებდა „დაზარალებული“, მკვლელობა თუ თვითმკვლელობა... მყვინთავები თავის საქმეს შეუდგნენ, გვამი საკაცაზე დაასვენეს, რომელსაც კისერზე კარგა მოზრდილი ქვა ჰქონდა შებმული, მიცვალებული ცოცხალივით გამოიყურებოდა, ქსოვილებს ჯერ დაშლა არ დაეწყო, ფოტოგრაფებმა აპარატები ააჩხაკუნეს, ხალხი სათითაოდ მიდიოდა გვამთან და ამოცნობას ლამობდა... უეცარი გმინვა გაისმა, შეკრებილნი შეჩოჩქოლდნენ, მიცვალებულის საკაცესთან ზურაბ დოხნაძემ ჩაიჩოქა...

– ქეთევან! ჩემო სიყვარულო, რატომ ჩაიდინე ეს, რატომ? ნუთუ არ შეგებრალე? რატომ დამტოვე მარტოდმარტო, ნუთუ შვილს ანაცვალე შენი სიცოცხლე, მეტი აღარავინ გინდოდა ამ ქვეყნად? – სლუკუნით გაიძახოდა გვამზე დამხობილი ზურაბი.

მიცვალებულს სასწრაფო დახმარების ავტომანქანაში შეტანა დაუპირეს, მაგრამ გიორგიმ შეაჩერა მედიცინის მუშაკები და ყველას გასაგონად განაცხადა:

– გვამს ნუ შეეხებით, სანამ ექსპერტიზა არ შეამოწმებს და კრიმინალისტები თავის სიტყვას არ იტყვიან!

– არავითარ შემთხვევაში! არავის უფლებას არ მივცემ, გვამი გაკვეთოს! – იღრიალა ზურაბმა.

– რა საჭიროა შემოწმება? – გენერალურ დირექტორს მხარი დაუჭირა პროკურორმა კაკო მანჯავიძემ – თვითმკვლელობაა, მორჩა და გათავდა, შეადგინეთ ოქმი და სახლში გაატანეთ გვამი ჭირისუფალს!

– ბატონო კაკო, ეს მკვლელობაა და გვამი უნდა შემოწმდეს! – მტკიცედ თქვა გიორგიმ.

– საიდან ამტკიცებ ბიჭო? – ცინიზმი გაერია პროკურორის ხმაში.

– მიცვალებულს სტომაქში არც ერთი წვეთი წყალი არ აქვს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გვამი სიკვდილის შემდეგ არის წყალში გადაგდებული!

– ოჰო! ეს საინტერესოა, შემოწმდეს გვამი! – ბრძანა ქალაქის პროკურორმა და ამოქმედდა ექსპერტიზა.

სულ რამოდენიმე წუთში დადგინდა, რომ ქეთევან გამყრელიძე–ბარათაშვილი–დოხნაძე, რბილი ქსოვილის სახეზე დაფარებით არის გაგუდული, შემდეგ კი გვამი წყალშია გადაგდებული.

– მიცვალებული ჭირისუფალ ზურაბ დოხნაძეს გაატანეს, გიორგიმ ისარგებლა არეულობით და ქალის საძინებელი ოთახიდან ბალიში მოიპარა, რომელიც იმ დღესვე შეამოწმებინა ექსპერტიზას და ამ უკანასკნელმა დაამტკიცა ბალიშზე ქეთევანის სახის ანაბეჭდი, ნივთმტკიცება სეიფში ჩაიკეტა.

– შენ მარტო გამომძიებლის ნიჭით კი არა ხარ დაჯილდოებული, ბედიც გწყალობს, ათასგვარ თავსატეხს საქმეს თვითონ წააწყდები–ხოლმე, – უთხრა შალვამ გიორგის, როდესაც დაღლილ–დაქანცულები საღამოს სახლში დაბრუნდნენ.

– „ძლიერებს ამა სოფლისას“ უნდათ მიჩქმალონ ეს საქმე, მაგრამ თუგინდ სიცოცხლის ფასადაც დამიჯდეს, არავითარ შემთხვევაში არ დავთმობ ამ მკვლელობას, რომელიც

მამაშენის მკვლელობასთანაა კავშირში. ქეთევანის დასაფლავების შემდეგ პროკურორს ზურაბ დოხნაძის დაპატიმრების სანქცია უნდა გამოვთხოვო, როგორ ფიქრობ, მომცემს?

– ძლიერებთან გვიწევს უთანასწორო ბრძოლა, კარგია, ქეთევანი მასწავლებელი რომ იყო, მთლიანად ამოვიყენებთ განათლების განყოფილებას მხარში და „სუსტების“ უმრავლესობით მცირე „ძლიერებს“ დავამარცხებთ! პროკურორი ძალზე გაჯიუტდება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გასცემს დოხნაძის დაპატიმრების სანქციას!

– მეც ასე ვფიქრობ ხვალ გოჩა უნდა დავკითხოთ, მინდა შევამოწმო ჩემი ვარაუდი, შევახსენებ განვლილი ცხოვრების მცირე ეპიზოდს და ვინძლო, იქნებ თვითონ ავალაპარაკო, მხოლო არავითარ შემთხვევაში არ დაგცდეს დედამისის დაღუპვის ამბავი, თორემ ისევ დამუნჯდება, გაგიჟდება და კიდევ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი ჩვენების ჩამოსართმევად!

მეორე დღეს შალვა და გიორგი ქუთაისის ციხის იმავე ოთახში შეხვდნენ გოჩა არჩილის–ძე ბარათაშვილს, რომელი ოთახიდანაც ამ რამოდენიმე დღის წინ გაწბილებულნი გამოვიდნენ კვალმაძიებლები.

ამჟამადაც დიდი ხნის მეგობრებივით მიესალმნენ ერთურთს.

– დაბრძანდით! – წყნარად თქვა ამაღლობელმა და ბოროტმოქმედი მისთვის განკუთვნილ სკამზე ჩამოჯდა. გიორგის გოჩა კიდევ უფრო დაპატარავებული და გამხდარი მოეჩვენა, ეჭვგარეშეა, ციხეს თავისი დაღი დაესვა პატიმრისათვის.

– დღეს რა ვქნათ გოჩა, ვისაუბროთ თუ კიდევ „პრომიდოლს“ მომთხოვ ხარკად ჩვენებისათვის? – ისევ წყნარად, მაგრამ ოდნავ გაღიზიანებული ტონით თქვა გიორგიმ.

– სასაუბრო რა მაქვს! ფაქტია, მოვკალი! თქვენც ასე დაწერეთ „მოკლა“, მე ხელს მოგიწერთ...

– ასე არ ხდება, უიმზეზოდ არავის ჰკლავენ, თქვენ სწორედ ის მიზეზი უნდა დაასახელოთ, რისთვისაც მოჰკალით!

– მამაჩემმა გინახულათ! – სულ სხვა მიმართულებით „გადაუხვია“ გოჩამ.

– კი, იყო ჩემთან, მაგრამ შენ გამიგებ, განათლებული კაცი ხარ, ეს მკვლელობა არის, რომელიც მთელმა რესპუბლიკამ იცის, აქ საქმის მოქრობა შეუძლებელია, შეღავათს კი ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე გპირდები.

– მაინც, რამდენს მომცემენ?

– ეს მოსამართლის საქმეა, მას შეუძლია თავდაცვაზე გადაგიყვანოს და ორ ან სამ წელიწადს დაგაჯეროს!

– თქვენ რატომ არ შეგიძლიათ, პირდაპირ თავდაცვის მუხლი რომ მომარგოთ?

– იმიტომ, რომ თავდაცვა არ ყოფილა, ეს იყო განზრახ მკვლელობა, რომელიც რვა წლის წინანდელ ბოროტმოქმედებას უკავშირდება...

– სხვა საქმეც გინდათ თავზე მომახვიოთ?

– პირიქით, სხვას არ მინდა მოვახვიო თავზე შენს მიერ ჩადენილი დანაშაული, იქნებ დაგავიწყდა, შემიძლია შეგახსენოთ, თუ როგორი გადაჭარბებული სიჩქარით მიდიოდით თბილისში, დილით, შოროპანში დაეჯახეთ შუახნის მამაკაცს, ვლადიმერ თურმანიძეს! თქვენ, ავტომანქანა „ვოლგა“, სახელმწიფო ნომერი „A-10-10-ГГ“ არც კი გაგიჩერებიათ და მომატებული სიჩქარით გასცილდით მკვლელობის ადგილს, მაგრამ ამ დანაშაულისათვის ერთი საათიც არავის დაუპატიმრებიხართ, რადგან კარლო კაპანაძე მამათქვენის „გულკეთილი“ მეგობარი „აღმოჩნდა“ და დიდძალი თანხა აიღო საქმის მოსაქრობად, მაგრამ აი, „კაცს თუ ბედი არა წყალობს...“ ვლადიმერ თურმანიძის ვაჟმა იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და დაიწყო მამამისის მკვლელის მოძებნა... ეს რა თქმა უნდა ბატონმა კარლომ გაიგო და თადარიგი დაგაჭერინათ ციხისათვის, რამეთუ მშვენივრად იცოდა, ვლადიმერ

თურმანიძის შვილი მოუსყიდველ კერპად იყო გადაქცეული! როდესაც ეს ვითარება თქვენ გაგაცნოთ გამომძიებელმა, ნარკოტით გაბრუებულმა ველარ მოზომეთ და...

– აბსოლიტური ჭეშმარიტებაა! მომეცით ავტოკალამი და ფურცელი, მე უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ ყოველივეს! რომ არ დაგიფიცოთ, ვლადიმერ თურმანიძის შეშფოთებული სახე დღემდე არ მაძლევს მოსვენებას! არა კარლო კაპანაძე არ მებრალება! რომ შეიძლებოდეს მეორედ მოვკლავდი! მაგრამ ვლადიმერ თურმანიძე, რომელსაც არც კი ვიცნობდი და კეთილი ადამიანის ხსოვნა აქვს დატოვებული, რას ვემართლებოდი მას? ავტომანქანა, რომ გამეჩერებია და საავადმყოფოში მიმეყვანა, იქნებ გადარჩებოდა კიდეც! მე კი თქვენი თქმისა არ იყოს, სიჩქარეს მოვუმატე და განვერიდე მკვლელობის ადგილს, არა! ამ საქმისათვის დამსახურებულად მეკუთვნის სასჯელი! კარლო კაპანაძის მკვლელობისათვის კი არცერთ დღესაც არ მოვათევ ციხეში!

– თქვენი ნება რომ იყოს, არც ამაღამ გაჩერდებოდით აქ, რაღა თქმა უნდა დედის კალთა უფრო თბილია, შუასაუკუნეების საქართველოში თვითგვემა იყო შემოღებული სულის გასაწმენდად, სხეულს იტანჯავდნენ, რამეთუ სულისათვის სიმშვიდე მიეცათ! თქვენი ფიქრით, ცდებოდნენ ჩვენი წინაპრები?

– გეთანხმებით! – ძლივს გასაგონად ჩაილუღლუღა ბოროტმოქმედმა – რა თქმა უნდა სხეულის ჭრილობა ხორცდება, მაგრამ ნაჭრილობევი სულში რჩება და ჩვენთან ერთად იზრდება!

– დღეს მიმზიდველად საბურობთ! აი ავტოკალამი და ფურცლლები, წერე რამდენ ხანსაც მოგესურვოს! მე დაგელოდები! – გიორგიმ ფურცლები შეასწორა, ზედ ავტოკალამი დადო და თავისი ადგილი გოჩას დაუთმო – აქ უფრო მოხერხებულად დაჯდები!

გოჩა უხმოდ მიუჯდა საწერ მაგიდას, სკამი შეასწორა და ლამაზი ქართული შრიფტით დაიწყო წერა. თავიდან ხელი უთრთოდა, მაგრამ თანდათან მსახიობივით როლში

შეიჭრა და ბოროტმოქმედის ორსაათიანი შეუსვენებელი წერის შემდეგ, ახალგაზრდა გამომძიებლები გაკრული ხელით, მაგრამ ლამაზად ნაწერს ინტერესით კითბუხლობდნენ:

ამონაწერი გოჩა ბარათაშვილის ჩვენებიდან:

(დედნის სტილი დაცულია, ავტორი).

„დადვიბადე საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, დე გოლის ქუჩა 37–ში, 1939 წლის 3 სექტემბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც საფრანგეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას, მამაჩემი არჩილ ბარათაშვილი წინა დღით გაეწვიათ საფრანგეთის დასაცავად, საიდანაც ის აღარ დაბრუნებულა, 1957 წელს დედაჩემს ნება დართეს სამშობლოში დაბრუნებულიყავით, მართალია არასოდეს მენახა, მაგრამ მეც ძლიერ მიყვარდა ჩემი სამშობლო და სულის შეძვრამდე გავიხარე საქართველოში დაბრუნებით. ამავე წელს დედამ ზურაბ დოხნაძე გაიცნო და ცოლად გაჰყვა, მადლობელი ვარ, ნამდვილ მამობას მიწევდა, მშობლების მატერიალური ხელშეწყობით დავამთავრე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამსახური ჩემი მამობილის გვერდით საწარმოო გაერთიანებაში დავიწყე, სადაც ის გენერალური დირექტორია. 1976 წლის 22 ივნისს მეგობრებმა დილამდის ვიქეიფეთ, დილით კი ერთხმად გადავწყვიტეთ თბილისში ხაშზე წასვლა, მეტი რა მინდოდა, „ვოლგა“ გარეთ მეყენა და შევუბერეთ დედექალაქისაკენ, დაბა შოროპანს რომ მივუახლოვდით, მამაკაცი შევნიშნე გზაჯვარედინზე გადადიოდა, მეგონა გზას თუ დამითმობდა, მაგრამ არ ვიცი მან ვერ მოასწრო, თუ მე ვერ მოვახერხე ავტომანქანის არიდება და დავეჯახე... დავინახე, როგორ ჩაიმსხვრა საქარე მინა და როგორ გადაფრინდა ავტომანქანას თავზე ადამიანი! სვლას ვუმატე, რამოდენიმე კილომეტრის შემდეგ სვლა შევანელე და გავჩერდი, ავტომობილი საგრძნობდა იყო დაზიანებული, თბილისში წასვლის სურვილიც წამერთვა, საჩქაროდ ავტომანქანა უნდა შემეკეთებია და გადავწყვიტე ხაშურში ავსულიყავი, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ

მოვიყვანე, რადგან ავტოინსპექციის მანქანამ ჩემი „ვოლგის“ წინ დაამუხრუჭა.

უთქმელად მიხვდნენ ჩემს დანაშაულებრივ ქმედებას, ინსპექტორი, ჩემს „ვოლგას“ მიუჯდა და ზესტაოფნში ჩამომიყვანეს. დაუყოვნებლივ მამობილს შევატყობინე საქმის ვითარება და ისიც ჩემს გვერდით გაჩნდა, იქ ერთი საათიც არ გამაჩერეს. სახლში თავდებით წამომიყვანა, ეს იყო და ეს! ავტოკატასტროფის საქმის გამოძიება კარლო კაპანაძეს დაავალეს, რომელიც დიდი გაუმაძღარი ვინმე იყო, პირველ ხანებში ერთი მილიონი გამოგვძალა, წლების შემდეგ მოდის და მეუბნება: „ათი წლით მოემზადე უნდა დაგიჭირეეო...“ მეგონა, ისევ ფულს გამოსაძალავად მოვიდა, მაგრამ – „არა, ამ საქმეს არაფერი ეშველებაო“ თქვა. რომ არ დავიფიცო, ნარკოტში ვიყავი და მხოლოდ სამი გასროლა მოვასწარი, სანამ წაიქცეოდა, არადა მთელი სავაზნე მინოდა იმის თავის ქალაქში შემენახა... მოვკალი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის სიკვდილამდე ცოცხლობდა... არ იფიქროთ მონანიებას ვწერდე, ან რაიმე შეღავათს ვითხოვდე მართლმსაჯულებისაგან, არა, შეგიძლიათ მთელი სიმკაცრით დამსაჯოთ! მირჩევნია გარკვეული დრო მონობაში გავატარო, ვინემ მთელი სიცოცხლე საკუთარი თავის მონად დავრჩე....

პატივისცემით გოჩა არჩილის ძე ბარათაშვილი“.

– აი, ხომ ხედავ რას შვრება მექთრამეობაზე გადასული მართლმსაჯლება! თავის დროზე რომ გოჩასთვის სასჯელი დაედოთ, დღეს კარლო კაპანაძეც ცოცხალი იქნებოდა და ქეთევან გამყრელიძეც – თქვა გიორგიმ, როდესაც ორი ფურცელი ხელნაწერი ჩაიკითხა.

– როგორ გგორნია, ქეთევანს ზურაბი მოჰკლავდა?

– უდაოა!

– როგორ, ან რისთვის?

– დაესწრები გამოძიებას და თვითონ დაინახავ!

– ის არაფერს იტყვის!

– არც გოჩას უნდოდა ეთქვა, მაგრამ არც თუ დავაძალე, თვითონ შეიმსუბუქა თავისი სინდისის გამოძახილი! მომეწონა იმისი სიბრალული მამაშენის დაღუპვის თაობაზე და კარლო კაპანაძის შურისძიება! გოჩასაგან შეიძლება კიდევ დადგეს ადამიანი, მაგრამ მე მგონია, ადამიანს არასოდეს არ უცხოვრია არჩილ ბარათაშვილის ორგანიზმში!

ადამიანის ცხოვრება რთული აგებულია, სიხარულით რომ შეხტები, შეიძლება სწორედ მაშინ გამოგაცალონ სავარძელი და იატაკზე მოადგინო ზღართანი, ამიტომ თუ ადამიანი გქვია, გოლიათებთან ქონდრისკაცობაზე იფიქრე, ქონდრისკაცებთან – ცეროდენობაზე, მაგრამ თანასწორებთან, თანასწორი უნდა იყო მუდამ!

– რა შუაში არჩილ ბარათაშვილი დღევანდელ საქმის ძიებასთან?

– ეს ზურაბ დოხნაძე არჩილ ბარათაშვილია და მხოლოდ ქეთევანმა იცოდა ეს საიდუმლო, ამიტომაც მოიშორა ერთადერთი მოწმე!

– შენი აზრებით ნამდვილად გამაგიჟებ...

– ქეთევანის დაკრძალვის შემდეგ, თვითონ დარწმუნდები ჩემს სიმართლეში!

* * *

ქეთევანის დაღუპვის შემდეგ ოთხი დღე გავიდა, ამაღლობელი მოუთმენლად ელოდა დაკრძალვის დღეს, რომ ზურაბ დოხნაძის დაპატიმრების სანქცია გამოეთხოვა პროკურორისათვის.

წვიმიანი დღე იყო, დილიდანვე გაუთენებელი, ბურუსი ჩამოწოლილიყო ირგვლივ და ადამიანებსაც უკარგავდა მხიარულების ხალისს...

გიორგის არ შეუმჩნევია, თუ როგორ გაჩერდა შალვას ეზოს ჭიშკართან ტაქსი, საიდანაც ორი მანდილოსანი და ერთი შუახნის, თმაშევერცხლილი მამაკაცი გამოვიდნენ, ტექსის მძღოლი ანგარიშის გასწორების შემდეგ გაისტუმრეს,

სამი მგზავრი კი ყოველგვარი ნებართვის გარეშე ეზოში შევიდა. მამაკაცმა დაიძახა, სტუმრებს იზა გამოეგება და სახლში შეიპატიჟა.

– მაგდენი დრო არ გვაქვს! გიორგი და შალვა სახლში ბრძანდებიან! – თავაზიანად იკითხა მამაკაცმა.

– კი ბატონო, მობრძანდით! – უპასუხა იზამ. ამ დროს შალვაც გამოვიდა ეზოში და სტუმრები მისაღებ დარბაზში მიიწვია, მოსულები მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ თუ არა, გიორგიც შემოვიდა თავისი ოთახიდან, სტუმრებს გაეცნო და სათითაოდ ხელი ჩამოართვა, შემდეგ შალვას გადახედა და მოსულთა გასაგონად უთხრა:

– იზას სადილი შეუკვეთე, მასწავლებლები გვეწვივნენ მეშვიდე საშუალო სკოლიდან, ჯერ კიდევ არ უსადილიათ, პირდაპირ სკოლიდან მოდიან, არადა სადაცაა სამი საათი შესრულდება!

პედაგოგებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს, რომელიც ახალგაზრდა გამომძიებელს ყურადღების მიღმა არ დარჩენია, მიზეზსაც მიუხვდა და კმაყოფილების ღიმილმა ბაგენი გაუპო.

– თქვენ საიდან იცით, რომ მასწავლებლები ვართ და ისიც მეშვიდე საშუალო სკოლიდან?

გაოცება სიტყვით გამოხატა მამაკაცმა, გიორგის გაეღიმა, დარბაზში გაიარა–გამოიარა შემდეგ სტუმრების წინ სავარძელში მოკალათდა და წყნარად განაგრძო:

– ეგ კი არა, ისიც ვიცი, რომ თქვენ აქ ტაქსით მობრძანდით, მანქანის უკანა კარი მანდილოსნებს თქვენ გაუღეთ, თვითონ მძღოლის გვერდით დაჯექით და გასამრჯელოც თქვენ გადაუხადეთ! ძლიერ აფორიაქებული ბრძანდებით! მანდილოსნებს უტირიათ და აი ამ ახალგაზრდას თავის ტკივილი აწუხებს! რომელ წამალს ინებებთ „ციტრამონს“ თუ...

– „ციტრამონს“... – ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა პედაგოგმა, გაოცებისგან თითქოს ენა ჩავარდნოდა, მაგრამ გიორგის მომნუსხველ მზერას ვეღარ გაუძლო.

– დიახ „ციტრამონი“ ჯობია, თავის ტკივლსაც შველის და კიდევ აწყნარებს ადამიანს, – თქვა ამაღლობელმა, ზეზე წმოდგა, ლარნაკით ყავისფერი აბი და ჭიქით წყალი შემოიტანა, ლარნაკი მამაკაცმა ჩამოართვა და წამალი მანდილოსანს მიაწოდა.

– თქვენ მემუარებს წერთ, ხომ სწორია? – მამაკაცის მზერა დაიჭირა ახალგაზრდა გამომძიებელმა – ალბათ დღევანდელ ჩვენს შეხვედრასაც აღწერთ, კარგია, სადღაც ვიქნები მოხსენიებული და სიკვდილის შემდეგ დროებით მაინც მექნება უკვდავება...

მამაკაცი კიედვ მეტად აფორიაქებულიყო, ის ზეზე ჩამოიჭრა და მანდილოსნებს მტკიცედ განუცხადა:

– წავიდეთ აქედან! თორემ ვგრძნობ, ამ სახლიდან, პირდაპირ საგიჟეთში მოვხვდები!

ამაღლობელს ისევ გაეღიმა, მამაკაცს მხარზე ხელი დაადო, „დაბრძანდითო“ უთხრა და ისევ თავის ადგილზე დასვა, თვითონ ისევ სავარძელში ჩაჯდა, სიჩუმე ჩამოვარდა, გიორგიმ განაგრძო, როდესაც მამაკაცის მზერა დაიჭირა:

– თქვენ მკითხაობის გჯერათ?

– არა? – დაუფიქრებლად უპასუხა მან.

– წინასწარმეტყველების?

– ცოტა!

– აი, წარმოიდგინეთ, თქვენ მიბრძანდით მკითხავთან ან წინასწარმეტყველთან და გითხრათ იგივე, რაც მე მოგახსენეთ, მაშინ ხომ ირწმუნებდით იმის ფენომენობას? სინამდვილეში კი ისინი, უბრალოდ, ცხოვრებაზე დაკვირვებული ხალხია და სარგებლობენ რა ამ დაკვირვებულობით, ცოტას სწორს ამბობენ, ბევრს ტყუილს, მაგრამ მაინც სწამთ მათი ფენომენობა„ „მასწავლებლები მობრძანდნენ მეშვიდე საშუალო სკოლიდან“ – ვამბობ თქვენზე, როგორ მივხვდი? პედაგოგები რომ ბრძანდებით, ამის თქვენ თითებზე დარჩენილი ცარცი მეტყველებს, მეშვიდე საშუალო სკოლიდან, რომ მობრძანებულხართ, ამას თქვენს ფეხსაცმელებზე მოცხებული

კირისა და ცემენტის ტალახი მეუბნება, რამეთუ ამჟამად მხოლოდ თქვენს სკოლაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები! რომ არ გისადილიათ, ეს ადვილი მისახვედრია, ხელები არ დაგიბანიათ და პირდაპირ სკოლიდან წამოსულხართ! ამ ქალაბტონს თავი რომ სტკივა, არც ეს არის ძნელი გასაგები, რადგან ყვრიმალზე ცარციანი თითების ანაბეჭდი შევნიშნე, ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ ხშირად მიუდვია შუბლზე თავისი სათუთი ხელი, რამეთუ თავი ტკიოდა! ქიმსიის მასწავლებელი, რომ ბრძანდება, ესეც ხომ ჭეშმარიტებაა? ნახეთ, რომელიღაც ცდის ჩატარების დროს, როგორ დაუთუთქავს მჟავას საჩვენებელი თითი! თქვენზე, როგორც ლიტერატორსა და მემუარების მწერალზე, მარჯვენა ხელის ორი ჩაზნექილი თითი მეტყველებს, როდესაც ლარნაკი ჩამომართვით და წამალი მანდილოსანს მიაწოდეთ, შეგამჩნიეთ, მარჯვენა ხელის შუა და საჩვენებელი თითები კალმისტრისაგან გქონდათ ჩაჭყლეტილი, ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ ბევრს წერთ! თქვენი ასაკის კაცმა რა უნდა წეროს? რა თქმა უნდა მემუარები! მასწავლებელთა რომელი კატეგორია ეტანება უმეტესად მემუარების წერას? რა თქმა უნდა ლიტერატორები! ტაქსით, რომ მობრძანდით და ავტომანქანის უკან კარები თქვენ გააღეთ მანდილოსნებისათვის, ამაზე თქვენი მარჯვენა ხელის ცერა თითი მეტყველებს, რომელსაც ტაქსის კარების საკეტისაგან ტალახი მოცხებია! აი ხომ ხედავთ რა უბრალოდ აიხსენება ყოველივე, მხოლოდ გონების თვალით დაკვირვება არის საჭირო, თქვენ კი ადამიანის ასეთ დაკვირვებას სიგიჟემდე მიჰყავხართ! ახლა თქვენი ნებართვით იმასაც გეტყვით, რაზე მობრძანებულხართ... მე თქვენი პიჯაკის გულის ჯიბეში, გაზეთი შევნიშნე, რომლის ამოღებაც მრავალჯერ დააპირეთ, მაგრამ რატომღაც მრავალჯერვე გადაიფიქრეთ, გამორიცხული არ არის, გაზეთში რაღაც ცრუ, ამაღელვებელი ინფორმაცია ეწეროს, რომელიც ალბათ მე მეხება, რამეთუ ჩვენთან მობრძანებულხართ!

სიწყნარე ჩამოვარდა, პედაგოგები კი არა, შალვაც ენაჩავარდნილი მისჩერებოდა გიორგის და ხშირად სტუმრებსაც გადახედავდა, რათა იმათგან შეეტყო, სწორს საუბრობდა თუ არა ამაღლობელი... როგორც იქნა მყუდროება სტუმარმა მამაკაცმა დაარღვია და ენის ბორძიკით დაიწყო.

– ღმერთო ჩემო, მართლაც რა უბრალოდ აიხსნება ყოველივე! ზოგიერთი, ადამიანი ამ არაადამიანურ დაკვირვებას, ჯადოქრობას მიაწერს – შემდეგ ჩაფიქრდა და როგორც იქნა გაზეთის ამოღება გაბედა – დიახ ბატონებო! – განაგრძო მან – ჩვენ მართლაც ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე ვართ მოსული, პროკურატურაში გვითხრეს, რომ თქვენ იძიებთ მასწავლებელ ქეთევან გამყრელიძის მკვლელობის საქმეს, გვქონდა იმედი და ველოდით მკვლელის ვინაობის გამომზეურებას, მაგრამ ჩვენდამოულოდნელად, დღეს გაზეთში სულ სხვა შინაარსის ინფორმაციას ვკითხულობთ, რომელსაც ჟურნალისტი, ვიღაც მთვარაძე აწერს ხელს, იქნებ წაკითხულიცა გაქვთ, მაგრამ გთხოვთ, განმეორებით ჩაიკითხოთ!

მამაკაცს გაზეთი შალვამ ჩამოართვა, პირველად შეათვალიერა, ჯერ გაზეთის სახელწოდებას დააცქერდა, შემდეგ თარიღს, შემდეგ მოძებნა ინფორმაცია, სადაც დიდი ასოებით აეწყოთ მცირე წერილის სათაური „თვითმკვლელობა მკვლელის გულისათვის“.

„ჩვენს პატარა ქალაქში, ალბათ ყველას ეცოდინება გამომძიებელ კარლო კაპანაძის ვერაგული მკვლელობის ამბავი, რომელზეც საუბარი, ამავე გაზეთის წინა ნომერში გვქონდა, მაგრამ გამომძიებლის მკვლელობით როდი დამთავრდა სამწუხარო ტრაგედია, შაბათს, მდინარე ძირულაში იპოვეს ქალის გვამი, თვითმხივლელებმა მალე ამოიცნეს კარლო კაპანაძის მკვლელის დედა, ქეთევან გამყრელიძე! ეჭვგარეშეა, რომ ქეთევანმა ვერ აიტანა შვილის პატიმრობა, განათლების სისტემასა და პედაგოგიურ წრეში შეურაცხყოფა, სადაც მრავალჯერ გაიგონა: „შვილი ვერ აღუზრდია და სხვას ვის აღზრდისო...“ ასეთ და სხვა მრავალ მისთანა შეურაცხყოფას

ვერ გაუძლო ძალზე გულისხმიერმა, პატიოსანმა და კეთილმა ადამიანმა, აღმზრდელმა, ამიტომაც სიცოცხლე თვითმკვლელობით ადასრულა“.

გაზეთის მესამე გვერდზე დაბეჭდილი იყო ქალაბატონ ქეთევანის ნერკროლოგი სურათით, რომელზედაც ხელს აწერდა ამხანაგების ჯგუფი და სადაც მოთხრობილი იყო ქეთევან გამყრელიძის დაუღალავი შრომის შესახებ მოსწავლეებთან, იმის პატიოსნება, გულისხმიერება და სისპეტაკე...

შალვამ გაზეთის კითხვა დაამთავრა და ისევ მამაკაცს დაუბრუნა, სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ ზომაზე მეტად აღელვებულმა მამაკაცმა ვეღარ მოითმინა და თითქმის ყვირილით თქვა: – ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეს მთვარაძე, ასეთი უმსგავსოება რომ დაუწერია! ცილისწამებისათვის, მას პასუხი უნდა ვაგებინოთ!

– მართლა დასცინოდა პედაგოგიური კოლექტივი ქეთევან მასწავლებელს ცუდი შვილის აღზრდისათვის? – თითქოს სასხვათაშორისოდ იკითხა შალვამ.

– როგორ გეკადრებათ! ქეთევანს რა ჰქონდა სხვისი დასაცინი, მასეთი განათლებული რესპუბლიკის განათლების სისტემაში იშვიათად თუ მოიძებნება. დამთავრებული ჰქონდა პარიზის უნივერსიტეტი და მშობლიურ ენასავით ფლობდა ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულ და ესპანურ ენებს! მას რა ჰქონდა თავის მოსაკლავი, ეს ყველაფერი სიცრუეა, რაც აქ წერია! პასუხი მოეთხოვოს მთვარაძეს, თორემ მთელი პედაგოგიური კოლექტივი შიმშილობას დავიწყებთ მოსწავლეებთან ერთად!

– ქეთევან გამყრელიძის დაღუპვასთან რა კავშირის აქვს შიმშილობის გამოცხადებას, ან მთვარაძის დასჯას? – ისე გულუბრყვილოდ შეეკითხა გიორგი, თითქოს მართლა ვერ მიმხვდარიყო პედაგოგთა გამოცხადების მიზეზს.

– როგორ თუ რა კავშირი, ბატონო – კიდევ მეტად გაგულისდა მასწავლებელი – ჩვენ, რაიონის პედაგოგიური კოლექტივი და მთელი რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგა-

დოება, ერთსულოვნად დავამტკიცებთ, რომ არ შეიძლებოდა ქეთევანს თავი მოეკლა! აქ მკვლელობაა! და არა თვითმკვლელობა! ამიტომ ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ მოიძებნოს და სამაგალითოდ დაისაჯოს მკვლელი!

– რა მოტივით ამტკიცებთ, რომ მკვლელობაა და არა თვითმკვლელობა?!

– როგორ თუ რა მოტივით! – წამოენთო უკვე თავმორჩენილი ახალგაზრდა ქიმიკოსი – წინადღით მოვილაპარაკეთ, დილით ავტოსადგურზე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს ქუთაისში წასასვლელად! დიდხანს ველოდე, რომ დააგვიანა სახლში მივაკითხე და ისეთი თქვენმა მტერმა გაიგონოს, რაც მე იქგავიგონე.

– ესეც, რომ არ იყოს, ჩემთან ისე ახლოს იყო... – ახალგაზრდა ქიმიკოსს საუბარში „წამოეშველა“ თმაშეევერცხლილი უცხო ენების მასწავლებელი – ლუკმას ვიყოფდით, ერთხელაც არ დასცდენია თვითმკვლელობაზე სიტყვა, რა თქმა უნდა ებრალებოდა შვილი, მაგრამ სულ იმას გაიძახოდა, „ნეტავი ადრე მოეხადა სასჯელი... ყველაფერი მამამისის ბრალიაო“.

– თუ იცით, რას აბრალებდა მეუღლეს და რომელ სასჯელზე ჰქონდათ კამათი?

– როგორ არ ვიცი, ჩემთან არც ეს დაუფარავს ქეთის, იმისმა ბიჭმა ავარია მოახდინა და კაცი იმსხვერპლა, ოჯახში იმ დღიდან უკმაყოფილება ჩამოვარდა. ქეთი გაძახოდა: „წადი, სასჯელი მოიხადე და სული გაიწმინდეო“, მამამისი თავზე უსვამდე ხელს ერთდაერთ პირმშოს და მეუღლეს უჯავრდებოდა: „გაჩუმდი, თორემ ენას ამოგაცლიო...“ ორცეცხლს შუა იწვოდა ქეთი, შემდეგ მილიციაშიც კი მივიდა „ჩემს შვილს პასუხი აგებინეთო“, ძლიერ ებრალებოდა გარდაცვლილის ოჯახი და ძნელი იყო იმის გაჩუმება, მაგრამ როდესაც მილიციის უფროსმა, არც თუ ზრდილობიანად უთხრა: „გაჩუმდი, მამაკაცების საქმეში ნუ ერევიო“, მართლაც გაჩუმდა და ზიზღით იხსენიებდა ზემდგომ ორგანოებს!

– კიდევ ხომ არაფერი იცით ქეთევანის შესახებ?

– ცხოვრებისეული დანაშაული არაფერი ჰქონია, საფრანგეთიდან ჩამოვიდა 1957 წელს, „მიწამ დამიძახაო“ ამბობდა ხოლმე ხშირად! წარმოშობით ჭიათურის რაიონიდან იყო, სოფელ ზოდიდან, 1924 წელში გაქცეულან მაგის მშობლები საფრანგეთში, ალბათ მაშინ ორი წლის იქნებოდა თვითონ, იქ დაქორწინებულა ასევე საქართველოდან გაქცეულ ემიგრანტზე არჩილ ბარათაშვილზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულა, 1957 წელს მეორედ დაქორწინდა ზურაბ დოხნაძეზედ და საშმობლოში დაბრუნდა. ზრდიდა ერთადერთ შვილს გოჩა ბარათაშვილს და ეს არის სულ ქეთის მოკლე ცხოვრების ბიოგრაფია, რომელიც ჩვენ ვიცით!

– გაზეთში ცრუ ინფორმაციის დამწერი მთვარაძე ხომ არ გინახავთ?

– ვნახეთ! რედაქციაში ვიყავით, იქიდან მოვდივარ ახლა, ცხარე ცრემლით ვატირეთ, მაგრამ თავი იმართლა, „რა ვქნა, ზემდგომი ორგანოებიდან დამირეკესო“... ის კი არ თქვა, ვინ დაურეკა, ან ვინ მისცა ასეთი დავალება...

– დარდი ნუ გაქვს, ვათქმევინებთ და მასეთი ჟურნალისტები, პატიოსანი ხალხის გვერდით ვერ იბოგინებენ!

იზამ მაგიდა გააწყო, პედაგოგებს თავპატიჟი არ დასჭირვებიათ, ხელები გადაიბანეს და მაგიდას მიუსხდნენ, მამაკაცები თავგამოდებით წრუპავდნენ ღვინოს, ქალებმა კი ალუბლის წვენი ამჯობინეს, დანაყრდნენ. მამაკაცებს ღვინო დაეტყოთ და მეტი საბაასოც გაუჩნდათ.

იზამ მაგიდას ხილი შემოუმატა და გიორგის სხვების შეუმჩნევლად უჩქმიტა. შეზარხოშებულ ვაჟს ალერსის საღერღელი აეშალა და მოზღვავებული გრძნობა რომ დაეოკებინა, გარეთ გამოვიდა, ცივ ნიავს შუბლი შეუშვირა, გაგრილდა და როდესაც შინ შესვლა დააპირა, თითქოს ზეციდან ჩამოფრინად, წინ იზა გადაეღობა.

– მე შენ მიყვარხარ! – ჩაესმა ქალიშვილის სასიამოვნო ხმა. გიორგიმ არაფერი უპასუხა, ამღვრეულმა გრძნობამ თავისით მოძებნა ნეტარების ორგანო და ტუჩები ერთმანეთს შეეწება.

– აქ დაგვინახავენ! ამაღამ მოვალ... – უჩურჩულა ქალმა და გაუჩინარდა.

გიორგი მაგაიდასთან დაბრუნდა, შალვა და მოხუცი მასწავლებელი, ისეთი თავგამოდებით კამათობდნენ, რომ ამაღლობელის დაბრუნება არც შეუნიშნავთ.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს პედაგოგებმა და მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა მრგვალი მაგიდის ირგვლივ, ბოლოს ისევ უცხო ენების მასწავლებელმა იმარჯვა, ოჯახს დიდი მადლობა გადაუხადეს გულთბილი მიღებისათვის და წასვლა დააპირეს, მაგრამ შალვამ თავისი „ჟიგული“ გამოიყვანა, გიორგისაც თანამგზავრობა შესთავაზა.

ახალგაზრდებმა სათითაოდ, თავიანთ ოჯახებში მიიყვანეს მასწავლებლები, სახლში გვიან დაბრუნდნენ და ფრთხილად შეიპარნენ თავთავიანთ ოთახებში, რომ ქალები არ გამოეღვიძებიათ. იზას არ ეძინა, იგი გულისფართხალით ელოდა გიორგის დაბრუნებას. გიორგის დაძინება ეწადა, ამ დროს ქალის წყნარი, კატის თათის მაგავარი, რბილი ფეხის ხმა მოესმა, ქალმა საწოლთან ჩაიჩოქა და გაშმაგებით კოცნა დაუწყო,ვ აჟმა ინსტიქტურად ხელი მოხვია ღამის საცვლებისამარა ჩაჩოქილ ქალიშვილს და ლოგინში შეიგორა...

სხვებს შმივდად ეძინათ მეზობელ ოთახში.

– გიყვარვარ? – ეს ვაჟის ხმა იყო.

– უშენოდ არ შემიძლია... – ჩურჩულითვე აღმოხდა ქალს.

– რატომ გაქვს ასე მაგარი მკერდი?

– სხეული მაქვს ასეთი!

– მიყვარხარ! უშენოდ არსებობა არ შემიძლია!

– ეს შენი ბრალი არ არის...

– ?!

– ჩემი, ჩემი ბრალია!

– როგორ?

– გახსოვს? ერთად ვიწექით და შენ დამიწუნე, მე განაწყენებულმა შენი სიყვარული ზებუნებრივ ძალას შევთხოვე! ამისრულა თხოვნა განგებამ და მიხარია...

მეორე დღეს, ეჭვი რომ არავის აეღო, ყურადღება მოადუნა გიორგიმ ქალის მიმართ, იზა დაიბოღმა, მთელი დღე ითმინა ეს უყურადღებობა და საღამოს წინ გადაუდგა რჩეულს:

– აღარ გიყვარვარ? როგორც გინდოდა ისე და... აღარ გიყვარვარ?

– სიძულვილმა და ტემპერამენტმა დაჰკვესა ქალის თვალებიდან.

– მიყვარხარ, სიცოცხლეზე მეტად! სადაც გინდა მიხმე და შენთან გავჩნდები... – ამოოხვრით უპასუხა გიორგიმ. ქალს სიამოვნების ღიმილმა გაუპო ბაგე, ის უხმოდ გასცილდა ამაღლობელს.

ქალის ასეთმა ცივმა მოპყრობამ გიორგის რომელიღაც ძაფი ჩაუწყვიტა გულში და დაღონებული პროკურატურისაკენ წავიდა, კაბინეტის კარები შეაღო, შეაჟრჟოლა, მოეჩვენა, თითქოს იმ სავარძელში, სადაც თვითონ უნდა ჩამჯდარიყო, კარლო კაპანაძე იჯდა და ადრინდელი, დამცინავი ღიმილით შემოსცქეროდა. კარები გამოიხურა და პირდაპირ პროკურორის კბაინეტისაკენ წავიდა, ახალგაზრდა მდივანი გოგონა ფეხზე წამოდგა და კარს მიღმა გაუჩინარდა, პროკურორისათვის რომ მოეხსენებია ამაღლობელის მოსვლა.

– სად დაიკარგე ბიჭო შენ? – ნაძალადევი ღიმილით უთხრა პროკურორმა, იმის თვალებიდან უზარმაზარი ზიზღი ამოიკითხა ამაღლობელმა და მოხუცი მასწავლებლის ნათქვამმა გონება დაბინდა: „გამომძიებლის მომღიმარმა სახემ უნდა დაატყვეოს და სულიერად თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მავანი“... –„ალბათ ჩემი გამოყენებაც უნდა პროკურორს“ – გაიფიქრა და კაკოს პირდაპირ სავარძელში ჩაჯდომა დააპირა.

– მე შენთვის ჯერ დაჯდომის უფლება არ მომიცია! – იღრიალა კაკომ და მაგიდაზე ისე ძლიერად დაარტყა მუშტი,

რომ მაგიდის კალენდარი თავის დაფიანად ჰაერში დაიჭირა გიორგიმ. შემდეგ ნაძალადევი ღიმილით თვალებში ჩახედა კაკოს და წყნარად, თითქოს თავისთვის საუბრობსო თქვა:

– ერთ იგავს მოგახსენებთ ბატონო კაკო...

– არ მინდა!

– მე თქვენთვის ხელი არ შემიშლია, როდესაც მაგიდას მუშტი დაარტყით, ახლა მოთმინება იქონიეთ და ნურც თქვენ შემიშლით ხელს... ბრძენს ჰკითხეს, რომელი წუთია ყველაზე ტკბილი, რომელი ადამიანია ყველაზე ახლობელი და რა არის ყველაზე უძვირფასესიო? მან უპასუხა: არ არს ჟამი აწმყოზე ტკბილი, რამეთუ წარსულს ვერ დაიბრუნებ, ხოლო მომავალი ჯერ არ დამდგარა. არ არს კაცი იმაზე ახლობელი, რომელიც ამჟამად შენს წინაშე დგას. არ არს ქვეყანაზე მეცნიერება, იმაზე უკეთესი და უძვირფასესი, რასაც მოთმინება ჰქვია... კარგად ბრძანდებოდეთ ბატონო კაკო, გმადლობთ ყურადღებისათვის! – წყნარად, დარბაისლურად თქვა გიორგიმ, მაგიდის კალენდარი, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა, ფრთხილად დადო ადგილზე და აუჩქარებლად დატოვა პროკურორის კაბინეტი.

თავისი კაბინეტის კარები შეაღო, კარლო კაპანაძე აღარ მოსჩვენებია, რადგან ერთად ერთი ფიქრი პროკურორის ირგვლივ ტრიალებდა...

ღრმად ჩაჯდა სავარძელში, წუთიერად ჩაფიქრდა, შემდეგ ისე გულიანად გაეცინა, რომ საკუთარი თავისა შერცხვა, ჰო, რაღაც არაჩვეულებრივი მოიფიქრა, საწერ მაგიდაზე დადებული მინა შეასწორა, უჯრა გამოიღო, ორი ფურცელი სუფთა ქაღალდი ამოიღო, ერთი მეორეს დაადო, ფანქარი მოიმარჯვა და წერა დაიწყო... თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ პირველი ფურცელი ნაკუწებად აქცია და მეორე, სუფთა ფურცელი პროკურორის მდივანს გადასცა.

– გთხოვთ ეს ფურცელი ბატონ კაკოს შეუტანოთ, მხოლოდ დაუყოვნებლივ, თუ მიკითხოს ჩემს კაბინეტში ვიქნები.

– აქ, რომ არაფერი წერია?

– ის წაიკითხავს!

– არ ამიყვირდეს, თორემ იცოდე, გაგებუტები... – თქვა და ტანის რხევით კაბინეტის კარები შეაღო.

– ეს ბატონო კაკო, გიორგი ამაღლობელმა დატოვა თქვენთვის გადმოსაცემად – პროკურორმა დახედა თუ არა სუფთა ფურცელს, სიბრაზისაგან ოფლმა დაუცვარა შუბლი, მაგრამ ახალგაზრდა გამომძიებლის იგავი გაახსენდა, სიბრაზე დაიოკა და წყნარად უთხრა მდივანს:

– ეს რა მოგიტანია? რას ნიშნავს ეს?

– არ ვიცი ბატონო, ასე მითხრა – „ის წაიკითხავს და თქვენს რეკომენდაციას არ საჭიროებსო“.

– დამიძახეთ!

გიორგი დარცხვენით შევიდა პროკურორის კაბინეტში და კარებთან გაჩერდა.

– რას ნიშნავს ეს? – სუფთა ქაღალდი ხელში შეათამაშა კაკომ.

– ჩვეულებრივ წყალში დაასვლეთ და წაიკითხავთ...

– რაში გჭირდებოდა ყოველივე ეს?

– რომ თქვენს მდივანს არ წაეკითხა!

– მოდი, დაჯექი!

– არა, მე წავალ, თუ საჭირო ვიქნები კაბინეტში დამიკავშირდით... – ამ სიტყვებთან ერთად გიორგიმ კარი წყნარად გაიხურა.

პროკურორმა ფურცელი დაასველა და ფანჯარაში გახედა სინათლეზე, ასოები ნელ–ნელა გამოიკვეთა, შემდეგ კი ჩვეულებრივი წასაკითხი გახდა და კაკომაც ღიმილით ჩაიკითხა ახსნა–განმარტება:

„ზესტაფონის რაიონის პროკურორს,

ბატონ კაკო მანჯავაძეს!

ამავე პროკურატურის რიგითი გამომძიებლის გიორგი ამაღლობელის

სამსახურეობრივი ბარათი

მოგახსენებთ, რომ დღეს პროკურორ კაკო მანჯავიძესთან შეველი კაბინეტში, რათა მომეხსენებია მსჯავრდადებულ გოჩა ბარათაშვილის ძიების შედეგი, ბატონ კაკოს მამა–შვილურად ვუცქერ და ჩემს მასწავლებლად ვთვლი, ამიტომ გადავწყვიტე მის პირდაპირ მოვკალათებულიყავი და ძიების შემდეგი ასე მომხსენებია, მან კი – „მე შენთვის დაჯდომის უფლება არ მომიციაო“, – მითხრა. ცოტა ხმამაღლა მოუვიდა ეს სიტყვა ნათქვამი და მაგიდას ისე მსუბუქად დაარტყა მუჭი, რომ პატივცემული მაგიდის ადგილზე ჩემი ნიკაპი წარმოვიდგინე და კინაღამ ჩავიკეცე! ბატონო კაკო, ჩემი ასეთი მოპყრობისათვის გთხოვთ დასაჯოთ პროკურორი კანონის შესაბამისად.

გიორგი ამაღლობელი“.

პროკურორმა მოხსენებითი ბარათი წაიკითხა და სიცილი აუტყდა.

– მაგლახავებს ეს ლაწირაკი! – თქვა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა:

– გისმენთ გიორგი ამაღლობელი! – მოესმა მავთულის ბოლოდან წყნარი, ხავერდოვანი ხმა.

– წამოიღეთ გოჩა ბარათაშვილის ძიების შედეგები და ახლავე ჩემთან გამოცხადდით!

– მაპატიეთ, თქვენ ვინ ბრძანდებით? – ისე სერიოზულად შეეკითხა გიორგი პროკურორს, თითქოს მართლა ვერ ეცნოს კაკო მანჯავიძის ხმა.

– ვერ მიცანი? კაკო ვარ!

– აბა საიდან გიცნობდით ბატონო კაკო, ასეთი წყნარად მოსაუბრე, ხომ ჯერ არ მინახიხართ...

„კიდევ მაგლახავებს“ – ისევ გაკენწლა გულში პროკურორს და ტელეფონის ყურმილი აპარატზე უდიერად დააგდო.

– შეიძლება? – წყნარად შეაღო პროკურორის კაბინეტის კარები გიორგის.

– მოდი, დაჯექი! მე პროკურორი უკვე დავსაჯე შენი შეურაცხყოფისათვის! – უთხრა კაკომ და გაუღიმა, არა, ამჟა-

მად იმის ღიმილში, არც დამცირება იკითხებოდა და არც ეგოიზმი, ეს იყო თვითონ დამცირებული, ნამდვილი მამაკაცის ღიმილი, რომელიც პატიებას ითხოვდა.

– მოდი, შენი „სამსახურეობრივი ბარათისამებრ“ მამა–შვილურად ვისაუბროთ, თანახმა ხარ?

– რა თქმა უნდა, ბატონო კაკო!

– მაშინ გულახდილად მითხარი, ჩემთან თანამშრომლობა გინდა თუ არა...

– რა თქმა უნდა არა, თუ თქვენ არ გინდათ ჩემზე კანონიერი უფროსობა!

– რა უკანონობას ხედავ ჩემს უფროსობაში?

– ძალმომრეობას, საკუთარი შესაძლებლობების თვალნათლივ ჩვენებას, რომელიც მე ისედაც ბრწყინვალედ ვიცი...

– კარგი, კარგი, მოდი შევრიგდეთ, მხოლოდ იცოდე, ჩვენს სისტემაში, დამჯერებლობა თამაშობს მთავარ როლს, მე უფროსი ვარ და ჩემი სიტყვა კანონი უნდა იყოს ქვეშევრდომისათვის!

– ვეცდები გავამართლო თქვენი ნდობა, მაგრამ იცოდეთ, თუ უკანონო იქნება თქვენი მოთხოვნა, შეიძლება ვერ დავეთანხმო, ჩვენ ყოველთვის პირისპირ ვისაუბროთ მამა–შვილურად, მეგობრულად და გაგებულად, მე ყოველთვის მოგაწვდით ხალხის გარდაუვალ მოთხოვნას, ყოველგვარი კრძალვისა და შიშის გარეშე, რამეთუ არ ვიცი რა არის შიში სამსახურის დაკარგვისა, თუგინდ თვით სიკვდილისა, რადგან ჩემთვის მიზანმიუღწევლობა სიკდვილის ტოლფასია! რა ვქნათ ბატონო კაკო, როგორ გამოვიდეთ ქუჩაში, როდესაც მეშვიდე საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა შიმშილი გამოაცხადა და ქეთევან გამყრელიძის მკვლელის დასჯას მოთიხოვენ? ჩვენ კი მთვარაძის დაწერილი სტატია წავიკითხოთ გაზეთში და ტაში დავუკრათ? ღმერთო ჩემო, ეს ხომ მკვლელობაა! როგორ შეიძლება ამის დაფარვა? კარგით ბატონო, დავფაროთ წვრილმანი ხულიგნობა, ავტომანქანის გატა-

ცება, სპეკულაცია, და სხვა მრავალი ამგვარი, მაგრამ უმძიმესი ბოროტმოქმედებანი ჩემს მიერ არ დაიფარება!

– მაგრამ ამა თუ იმ საქმის შემსუბუქება ხომ შეიძლება?

– რა თქმა უნდა, მაგის უფლება თვით კანონმდებელმა მაშინ მოგვცა, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსს წერდა...

– ესე იგი შეიძლება, კანონის შესაბამისად, გოჩა ბარათაშვილის მიერ ჩადენილი მკვლელობა თავდაცვის მიზნით ჩადენილად ჩავთვალოთ?

– როგორ?

– როგორ და პისტოლეტი, რომელითაც კარლო კაპანაძე არის მოკლული, გამომძიებელს ეკუთვნოდა და არა გოჩას, კარლოს უნდოდა გოჩა მოეკლა დაუდგენელი მიზეზის გამო, მაგრამ ბარათაშვილი მკლავში ეცა კაპანაძეს და შეეცადა პისტოლეტის წართმევას, ამ დროს შემთხვევით გავარდა პისტოლეტი, ტყვია გამომძიებელს მოხვდა და ადგილზევე გარდაიცვალა...

– შეიძლება მასეც შევაბრუნოთ საქმე, შემთხვევის ადგილზე ხომ არავინ ყოფილა ზურაბის გარდა და გოჩას მამა ისე იტყვის, როგორც დავარიგებთ, მაგრამ ექსპერტიზა?

– ჰო და შენც ასე მოიქეცი, ნუ დავღუპავთ ახალგაზრდა კაცს, რა იცი სად გამოგვადგება, ექსპერტიზაც ჩვენი ხალხია, ისინიც იმას გაიმეორებენ, რასაც ვუკარნახებთ...

– კეთილი, მაგრამ, მე მაინც მაინტერესებს, ჩვენ რას ვემსახურებით – სიკეთეს თუ ბოროტებას?

– ორივეს ერთად, უპირველეს ყოვლისა საკუთარ შესაძლებლობებს, პრესტიჟს, თბილ სავარძელსა და თანამდებობას, ასეთი დიდების მიღწევა კი მხოლოდ ხალხითა და მატერიალური უზრუნველყოფით შეიძლება... გოჩას მამა ზურაბი, პრივილეგირებული პიროვნებაა მთელს რესპუბლიკაში, ერთი მისი დადებითი სიტყვა შენი მისამართით პროკურორობას ან მოსამართლობას ნიშნავს! მაშ რატომ უნდა დავკარგოთ ეს შესაძლებლობა?

– გოჩას მამა, პატივცემულო, ზურაბ დოხნაძე, საკუთარ თავსაც ვეღარ მიეხმარება, მიძნელდება თქმა, მაგრამ იმის დაპატიმრების შესახებ სანქცია უნდა გამოგთხოვოთ, ქეთევანის დაკრძალვის შემდეგ!

– ეს შეუძლებელია! შენ ზურაბ დოხნაძე პატარა ფიგურა ხომ არ გგონია? კაცი გენერალური დირექტორია, კომუნისტური პარტიის წევრი, დეპუტატი და რა ვიცი კიდევ რამდენი რამე ახასიათებს დადებითი....

– მაგ პიროვნების მფარველობა, ჩვენ ორივეს დაგვღუპავს! რაიონის პედაგოგიური საზოგადოება ქეთევანის დაკრძალვის შემდეგ, შიმშილით იფიცებიან, რა თქმა უნდა ამას გაიგებს განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის მთავრობა... და ასეთი აურ–ზაურის შემდეგ საქმის, გამოძიების შეჩერება, თქვენს დაკნინებას ნიშნავს! უმჯობესია, პედაგოგების განგაშის ატეხვამდე საქმის ძიება დავიწყოთ!

– დაიწყე გამოძიება, როგორც ეჭვმიტანილზე, მე კი დაპატიმრების სანქციას ვერ გავცემ, გენერალურ პროკურორთან შეთანხმების გარეშე...

– მე ბატონო კაკო, მითითებით ვერაფერს ვერ დავიწყებ, სანამ გამოძიებისათვის გარკვეული საბუთი ხელთ არ მექნება! ბოდიში, ჩემგან არაფერი გესწავლებათ, მაგრამ თქვენ, რომ მწვერვალზე იმყოფებით, ძირს გადმოიხედეთ, იცოდეთ, ყველა მწვერვალს თავისი უფსკრული გააჩნია!

– ეს ვიცი! მაგრამ უფსკრულში გადაჩეხვამდე, ხომ უნდა დავიტოვოთ გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც ხელს გამოგიწვდის იქიდან ამოსაყვანად? ჩვენი პროფესიის ადამიანმა უნდა იცოდეს და პირველ ქმნილებად აღიქვას სხვადასხვა გვარად ძიების არსი, თავისმიერად დაანახოს საზოგადოებას და დაარწმუნოს ხალხი. სხვაგვარი ძიების შეულებლობაში!

– ბატონო კაკო! ასეთი ძიებები, შეიძლებოდა ჩაგვეტარებია ოციან წლებში, როდესაც ხელმძღვანელობის ნდობით იყვნენ გამჭვალულნი და ცოდნით დაბალ საფეხურზე იდგნენ,

ახლა კი თითოეული ადამიანი, გამომძიებლის ნიჭით არის დაჯილდოებული... ჩემი აზრით, კვალმაძიებელმა ხალხის რისხვა რომ არ დაიმსახუროს, ყოველთვის დაზარალებულის ადგილზე უნდა წარმოიდგინოს საკუთარი თავი და თვითონ დარწმუნდეს იმაში, რომ სხვაგვარი ძიება შეუძლებელი იყო!

— სავსებით გეთანხმებით! გაგებაც ერთი და იგივე გვაქვს, მხოლოდ ჩვენი გზები მიდის სხვადასხვა მიმართულებით, თქვენ გაუნათლებელი ბრბოს უანგარო სამსახურში გინდათ განვლოთ დღენი, მე კი ერთეულ პიროვნებებს მინდა ვემსახურო, მართალია, ჩვენ ბოროტებას ვებრძვით, მაგრამ ბოროტების სამყოფელი ხომ ადამიანია? მოვლენებთან დამოკიდებული, ბოროტებასთან ბრძოლა, კეთილსა და ბოროტს შორის ურთიერთობის შედეგია, ამიტომ მთავარი ის კი არ არის მისდიო პატიოსნებას, ან პირი იბრუნო მისგან... მთავარი ალბათ ტვინისა და გულის კარნახია, რომელმაც უნდა შესძლოს ჩვენი ორგანიზმის გარდაქმნა, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ცხოვრებაში ბევრს ნახავ კარგ ადგილს, მაგრამ ვერ შესძლებ დაიკავო, რადგან ისეთი ხალხის მფარველობა გადაგიწყვეტია, რომლებიც მუდამ ფულსა და თბილ ადგილებზე ოცნებობენ...

* * *

ზუსტად ერთი კვირის თავზე, შაბათს, დაკრძალეს ქეთევან მასწავლებელი.

კვირას დილით, პროკურორი დოხნაძეს ესტუმრა და პირდაპირ დაიწყო:

— დაპატიმრებას გიპირებენ ზურაბ! სანქცია გამომითხოვეს!

— ასეც ვიცოდი! — არავითარი აღელვება დოხნაძის ხმაში.

— მიმალვა ხომ არ აჯობებდა?

— არა! უარესია! რომ აღმომაჩინონ ყველაფერი უნდა ვაღიარო. ახლა კი... არაფერსაც არ ვიტყვი!

— როდემდე გაჩერდები მდუმარედ?!

— წლობით. დარდი ნუ გაქვს, შენი სახელი არსად იქნება მოხსენიებული.

— ვენდობი შენს სიტყვებს! ვეცდები ყველაფერი შეგიმსუბუქო, ბრალს ქეთევანის მკვლელობაში გსდებენ!

— ვერ დამიმტკიცებენ! გაეცი სანქცია!

კაკო დიდხანს იყო ჩაფიქრებული, პროკურორმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა სანქციის გაცემა და ბოროტმოქმედის დუმილი, ამიტომაც დადარდიანებულმა დატოვა მასპინძლის ბინა და დახმარების იმედიც აღუთქვა...

ორშაბათს, როდესაც გიორგი და შალვა სამსახურში გამოცხადდნენ, პროკურორი თვითონ ეწვია მათ კაბინეტში, თავაზიანად მიესალმა კაკო ახალგაზრდებს და მამა–შვილური საუბარიც გაუბა:

— მე მზად მაქვს ზურაბ დოხნაძის დაპატიმრების სანქცია, მაგრამ მე მგონია უმჯობესი იქნება, თუ პირველად ისე დაჰკითხავთ, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილს, ან უბრალოდ, როგორც მოწმეს...

— წინააღმდეგნი არა ვართ! თქვენ ხომ არ ინებებდით დაკითხვაზე დასწრებას?

— არა! — არც თუ დიდი ხნის დუმილის შემდეგ მტკიცედ თქვა პროკურორმა და დასძინა, — მე ზურაბს ახლავე დავურეკავ, რომ პროკურატურაში გამოცხადდეს თერთმეტი საათისათვის...

— დიახ, მაგრამ თუ თავის არიდება გადაწყვიტა, თქვენს მიერ გამზადებულ დაპატიმრების სანქციას გამოვიყენებთ!

— უფლებამოსილი ხართ! — წყნარად თქვა პროკურორმა და დინჯად დატოვა კაბინეტი.

— ჩვენ დიდ ბოროტმოქმედთან გვაქვს საქმე! — უთხრა გიორგიმ შალვას, როდესაც მარტონი დარჩნენ, — ბოროტმოქმედი დათქმულ დროს მოვა, რამეთუ არ იცის, რა ბრალდების წაყენება შეგვიძლია და როდესაც გამოუვალ ჩიხში მოემწყვდევა, შეიძლება გაუთვალისწინებელი რამ ჩაიდინოს, ამიტ-

ომ კართან დადექი და თვალი არ მოაშორო მის ყოველგვარ მოძრაობას!

– დამხმარე ძალა ხომ არ მოვიწვიოთ? – იკითხა შალვამ.

– არა, არ გინდა! მე მგონია ჩვენც ვეყოფით! რადგან დარწმენებული ვარ, ჩვენზე არ გამოილაშქრებს, მაგრამ გზას თუ გადავუღობავთ, შეიძლება ჩვენზედაც აღმართოს ხელი, მითუმეტეს, იცოდე, უიარაღოდ არ იქნება!

– დარდი ნუ გაქვს, კარატეში შავი ქამრის მფლობელს, ვიღაც კაბინეტის ვირთხა მომერევა?

თერთმეტი დარეკა, გიორგიმ კედელზე ჩამოკიდებულ საათს შეხედა. კაბინეტის კარები გაიღო, შალვამ მითითებული ადგილი დაიკავა. კაბინეტში გენერალური დირექტორი შემოვიდა, ნებართვა არ უკითხავს, ისევ ძველებური დიდებით ჩაჯდა გიორგის პირდაპირ სავარძელში და უკმეხად იკითხა:

– თქვენ დამიბარეთ?

– დიახ, მაგრამ სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, კიდევ ერთხელ მინდა სამძიმარი გთიხრათ იმ დიდი ტრაგედიის გამო, რომელიც განიცადეთ! – ფეხზე წამოდგა გიორგი და ხელი გაუწოდა, დირექტორი არც შერხეულა სავარძელში, ახალგაზრდა გამომძიებელმა, უხერხულობა რომ დაეფარა, მაგიდაზე კალენდარი შეასწორა.

– ბატონო არჩილ! ნება მიბოძეთ ყრმობის სახელით მოგმართოთ, მე გიორგი ამაღლობელი გახლავართ, პროკურატურის რიგითი გამომძიებელი, რომელსაც მინდობილი მაქვს, თქვენს მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამოძიება, შეგახსენებთ, რომ თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაულებანი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელს იმსახურებს! თქვენ შეგიძლიათ, მიზეზების დასახელების შემდეგ აცილება მომცეთ! თანახმა ხართ ვაწარმოო გამოძიება თუ არა?

– იყავით! ჩემთვის სულ ერთია ვინც იქნება, საკუთარი თავის სისპეტაკეში ეჭვი არ მეპარება და რაც არ ყოფილა, იმას ვერავინ მათქმევინებს!

– კეთილი, მაშ შევთანხმდეთ, ძიებას შეცდომაში ნუ შეიყვანთ და გზას ნუ აუბნევთ, რადგან გულახდილად აღიარებული, უმძიმესი დანაშაულიც კი სულს ამშვიდებს და სასჯელს ამსუბუქებს...

– ფილოსოფიის კურსი განვლილი მაქვს, პირდაპირ მითხარით, რაში ვარ ეჭვმიტანილი და რისთვის დამიბარეთ!

– მაშინ თავიდან დავიწყოთ, ოქმის შესადგენად თქვენი ნამდვილი სახელი და გვარი მინდა ვიცოდეთ!

– ზურაბ დოხნაძე, დაბადებული...

– არა, ეს სახელი და გვარი ფრონტიდან არის ჩამოტანილი, მე ყრმობისდროინდელი ვინაობა მაინტერესებს!

– ჩემთვის გაუგებარია, რას მეკითხებით, მე დაბადებიდან ზურაბ დოხნაძე გახლავართ!

– სად დაიბადეთ ბატონო „ზურაბ“?

– ამბროლაურის რაიონი, სოფელი ნიკორწმინდა.

– გთხოვთ დამისახელოთ, ვის იცნობთ ნიკორწმინდაში?

– ომის დამთავრების შემდეგ, ოცდაათი წელიწადია, რაც ნიკორწმინდაში აღარ ვყოფილვარ, აბა ვიღა მემახსოვრება?

– ხომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთა დავიწყებაც შეუძლებელია, თუგინდ პირველი სიყვარული... ხომ ვერ მეტყვით, რა ერქვა თქვენს პირველ სიყვარულს, რომელიც ამჟამად ნიკორწმინდაში ცხოვრობს და თქვენ კი არა, ნამდვილ ზურაბ დოხნაძეს ელოდება, რომელიც თქვენ მოჰკალით, ოდნავი მსგავსებისათვის და იმისი საბუთებით დღესაც სარგებლობთ.

– ეს ცილისწამებაა! მე არავინ არ მომიკლავს!...

– დაწყნარდით ბატონო არჩილ, აბა ამოიცანით თქვენი ლამაზი საცოლე! – უთხრა ამაღლობელმა და წინ ქალიშვილების თორმეტი ცალი სურათი გაუშალა, რომლებშიაც ირინოლა დათუაშვილის ფოტოც იყო, არჩილმა არც კი დახედა სურათებს და ზეზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ შალვამ მხარზე ხელი დაადო და უხმოდ აგრძნობინა: „თავხედობას

ადგილი არ ჰქონდესო!“ როდესაც არჩილი სავარძელში უფრო ღრმად ჩაჯდა, გიორგიმ დაკითხვა განაგრძო:

– იქნებ თქვენი მშობლების სურათი გიჩვენოთ! ამოიცნობთ?

– გიმეორებთ! მე არავინ არ მომიკლავს!

– არც ქეთევან გამყრელიძე?

– არა!

– ბატონო არჩილ, ხომ მოვილაპარაკეთ? „გაჯიუტება ამკაცრებს სასჯელს“, მაგრამ რადგან თქვენ არ გაქვთ სურვილი წარსული გაიხსენიოთ, ნება მიბოძეთ ცოტა რამ შეგახსენოთ: თქვენ ჭეშმარიტად არჩილ გურამის ძე ბარათაშვილი ბრძანდებით! თავადი! 1924 წელში, როდესაც თქვენ ოთხი წლისა იყავით, გაკულაკების შედეგად განაწყენებული თქვენი მშობლები საფრანგეთში გაიქცნენ და რა თქმა უნდა თქვენც წაგიყვანეს, ცხოვრობდით პარიზში, დე გოლის ქუჩა 37–ში, 1938 წელში დაქორწინდით, თქვენსავით ემიგრანტ, თავადის ასულ, წარმოშობით ზოდელ ქეთევან გამყრელიძეზედ! მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას თქვენ მოხვდით აგიტატორების გავლენის ქვეშ და მათი დავალებით, წამოხვედით „კომუნისტებისაგან საქართველოს გასანთავისუფლებლად!“ იბრძოდით მათი დავალებით საქართველოში, მაგრამ როდესაც ამ ომში გერმანელთა წარუმატებლობა თვალნათლივ გამოჩნდა, მოჰკალით ზურაბ დოხნაძე და იმისი საბუთებით სარგებლობთ დღემდე.

– კმარა! მე არავინ არ მომიკლავს! – იღრიალა არჩილმა და მაგიდას მუშტი დაჰკრა.

– დაბრძანდით ბატონო არჩილ! ეს თქვენი კაბინეტი არ არის და არც მე გახლავართ თქვენი ქვეშევრდომი! როგორ ინებებთ, მე განვაგრძო თქვენი თავგადასავლის მოყოლა თუ სიტყვა თქვენ დაგითმოთ?

– ისაუბრეთ! მიმზიდველი ზღაპარია....

– დიახ, ამ ზღაპარმა იმსხვერპლა ქეთევან გამყრელიძე! როდესაც თქვენ ჩვენთან მობრძანდით ოჯახში და ჩემგან

შეიტყვეთ, რომ აუცილებელი იყო გოჩას მშობლების დაკ-ითხვა, თქვენს მეუღლეს ზედმეტი რომ არაფერი წამოსცდე-ნოდა, როგორც თქვენი შაგბნელი წარსულის ერთადერთ მოწმეს, ბალიშით მოგუდეთ და შემდეგ გვამი წყალში გადააგდეთ, რამეთუ თვითმკვლელობა დაგემტკიცებინათ! მაგრამ ვერ გაითვალისწინეთ, რომ მიცვალებული წყალს არ სვამს და ექსპერტმაც ადვილად დაამტკიცა „მკვლელობა“! ნივთმტკი-ცება კი, ბალიში, რომლიდანაც აღებულია თქვენი ყოფილი მეუღლის სახის ანაბეჭდი, მხედველობაში მაქვს სახე და არა პროფილი! ჩემს სეიფშია! ახლა ბატონო არჩილ, თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ბოროტმოქმედებას, უფრო ძლიერი და გამოცდილი გმირები ჰყავს, ვინემ მართლმსაჯულებას, რატომ-ღაც მე თქვენ ამუოცნობ ადამიანად მეჩვენებით, ჩემი აზრით, მართლმსაჯულებას არ გააჩნია ისეთი მკაცრი და ისეთი ლმობიერი ბოროტმოქმედი, როგორიც თქვენ ბრძანდებით! ქების ღირსი ხართ იმ ავკაცობისათვის, რომ ხანდისხან ძალა შეგწევდათ ბოროტი ყოფილიყავით, უამისოდ თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაული ნებისყოფის სისუსტე იქნებოდა და მეტი არაფერი, ისე როგორც ბოროტება სიკეთის გარეშე! როდესაც ბუნებისაგან ყოველგვარი ღირსებით შემკობილი ბრძანებით, მეჩვენება, რომ თქვენ ბუნებასთან კი არა, ბედის-წერასთან თანამშრომლობთ, რომელმაც გმირად გაქციათ ორივე სამყაროში, მხედველობაშიმ აქვს თავისუფალი და ბოროტ-მოქმედთა სამყარო... ახლა თქვენ, როგორც გენებოთ, გინდ დაწერეთ თქვენი თავგადასავალი, რომ უკვდავი დარჩეს თქვე-ნი სახელი ორივე სამყაროში, თუგინდ ხმასაც ნუ ამოიღებთ, ჩემი მტკიცებანიც საკმარისია თქვენს საბრალდებო სკამზე დასაბრძანებლად! შეგიძლიათ უკუღმა შეატრიალოთ ყველაფერი და თქვენი წარსული თავდაყირა დააყენოთ, მაგრამ გახსოვ-დეთ, არღანის კორბას უკუღმა დატრიალებით მელოდიასაც უკუღმა ვერ დაუკრავთ!

– კმარა შეგონებანი! თქვენზე ნაკლები არც განათლება მაქვს და არც ოჯახიშვილობა! ხანდახან, როდესაც ჩემს

თავს ჩემსავე წარსულს ვუყვებოდი ხოლმე, მეღიმებოდა, ვგრძნობდი ეს ასე არ დამთავრდებოდა, თითქოს ჩემს გარდა სხვასაც ეხილა ამ წარსულის მწარე ლაბირინთები და ჰა, დადგა ჟამი!... შემხსენი ქამარი, მომიჩინეთ გრილი და მყუდრო საკანი, სადაც არავინ შემაწუხებს, იქ იყოს საწერი მაგიდა და ფურცლები! მე მომავალ თაობას დავუტოვებ სამშობლოს უნიკალურ სიყვარულს და ქართველთა ავბედითი ცხოვრების გამოძახილს! – წამოდგა, მართლა სასიამოვნო შესახედაობისა იყო, პიჯაკი გაიხადა, ჯიბეებიდან ცოტაოდენი ფული ამოალაგა, ცხვირსახოცი და ავტოკალამი ისევ სკამის საზურგეზე გადაკიდებული პიჯაკის ჯიბეში ჩადო, ქამარში გარჭობილი, მაკაროვის სისტემის პისტოლეტი ფულის გვერდით დადო საწერ მაგიდაზე ამაღლობელის წინ, ქამარი შეიხსნა, შარვლის ჯიბეები ამოიბრუნა და წასასვლელად მოემზადა...

– ერთი წუთით! – თქვა ამაღლობელმა და ნივთების აღწერას შეუდგა. გამომძიებელის, მფლობელისა და დამსწრის მიერ ხელმოწერილი ოქმი, ნივთებითურთ სეიფში ჩაკეტა.

არჩილმა, მისთვის შერჩეულ მშრალ, დაგრილ საკანში საწერი მაგიდა და მარტოდ ყოფნა მოითხოვა, დააკმაყოფილეს. ამაღლობელმა გაძლიერებული დაცვა დაუყენა საკანს, სამი მილიციელი გულმოდგინედ მორიგეობდა და არჩილის ყოველგვარ თხოვნასაც ზედმიწევნით ასრულებდნენ...

სამი დღე და სამი ღამე თავაუღებლად წერდა არჩილი, ხოლო მეოთხე დღეს გამთენიისას, არჩილის საკანში გაბაწრული მილიციელი იპოვეს, იმ დღეს სადღაც გაქრა ქალაქიდან ორი პატივცემული ადამიანი რაიონის პროკურორი კაკო მანჯავიძე და საწარმოო გაერთიანების ყოფილი გენერალური დირექტორი ზურაბ დოხნაძე, იგივე არჩილ ბარათაშვილი, რომლებმაც ქუთაისის ციხიდან გაიტაცეს ზესტაფონის პროკურატურისაგან შედგენილი სპეციალური დოკუმენტის საფუძველზე განთავისუფლებული გოჩა არჩილის ძე ბარათაშვილი და მიიმალნენ.

არქივში დარჩა არჩილ ბარათაშვილის სამი დღის ნაშრომ–ნაწერი, რაც პირადად მე დაუდგომმელი კაცის ფანატიზმის ნაყოფი მგონია.

საჩქაროდ შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, გამოცხადდა ძებნა, მაგრამ ამ სამეულის ასავალ–დასავალი ვერავინ გაიგო.

დაჰკითხეს არჩილის საკანში ნაპოვნი გაბაწრული და პირში ჩვარგაჩრილი მორიგე მილიციელი:

– ღამის სამი საათი იყო – ვკითხულობთ მილიციელის ჩვენებაში – როდესაც არჩილ ბარათაშვილის საკნის წინ ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი, მოულოდნელად ჩვენი პროკურორი მოვიდა. პატაკის მისაცემად მოვემზადე, მაგრამ ,,არ გინდაო" მითხრა და ბრალდებულ ბარათაშვილის საკნის გაღება მიბრძანა, კარები უყოყმანოდ გავაღე და საკანში შევედით, არჩილი წამოწოლილი იყო და რაღაცას კითხულობდა, რომ დაგვინახა წამოდგა და ხელი გამომიწოდა, რათა ტახტ–ლოგინიდან ჩამოხტომაში მივშველებოდი, მეც ხელი შევაშველე, ამ დროს თავში რაღაც მძიმე საგანი მოხვდა და მეტი აღარაფერი მახსოვს..."

– ხომ გაგაფრთხილეთ, რომ მაგ საკანში ბუზიც არ შეფრენილიყო? – აღელვება დაეტყო ამაღლობელს.

– კი გაგვაფრთხილეთ ბატონო, მაგრამ პროკურორისათვის როგორ შეიძლებოდა უარი მეთქვა?

– ადრე თუ მოაკითხა ვინმემ არჩილს?

– იმ დღეს, როდესაც არჩილი დააპატიმრეთ, საღამოს მოვიდა პროკურორი, საკანში შევიდა და დიდხანს ისაუბრეს, თუ რაზე, არ ვიცი, ახლოს არ გამაჩერეს!

– რატომ არ მითხარით ამის შესახებ?

– აბა რა ვიცი, მეგონა ჩვენებას თუ ართმევდა... ალბათ თქვენც ასე მოიქცეოდით ჩემს ადგილზე...

არჩილის ყოფილ საკანში შესულმა შალვამ ფრთხილად აკრიფა მსჯავრდადებულის მიერ ნაწერი ფურცლები და კაბინეტში აიტანა.

– წავიკითხოთ რას სწერს მკვლელი! – შესთავაზა გიორგის.

– წავიკითხოთ! ჩვენი საქმე მკვლელის აღიარება და სააშკარაოზე გამოტანა იყო, გაქცეულის დაჭერა ჩვენი საქმე არ არის! – ჩვეული სიდინჯით თქვა ამაღლობელმა.

„ჩემი აღსარება“, ასე დაურქმევია არჩილს თავისი სამი დღის ნამოღვაწარისათვის, რომელიც ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმომაქვს ამ წიგნში.

შალვამ ფურცლები შეასწორა და კითხვა დაიწყო:

„ჩემი აღსარება
არ კითხულობთ ვისი სისხლი მიჩქეფს ძარღვში,
რისთვის მკლავდა საქართველოს სიყვარული,
ახლა მსურს და ვერ დამიშლით ამ საკანში,
წარსულ გზაზე გავაგრძელო სიარული“.

არ იფიქროთ შელამაზებული იყოს ჩემი ცხოვრების ეპიზოდი, „აღსარებით“, რაიმე შეღავათს ვითხოვდე, არა, ბრწყინვალედ ვიცი ჩემი განაჩენი დიდიხანია გამოტანილია და მეც დიდი ხანია შეგუებული ვარ ამ განჩინებას! არ დაგიფიცავთ და მომბეზრდა, თითქმის ოთხი ათეული შიშის ქვეშ ცხოვრება!

ვიცოდი ადრე თუ გვიან აღმომაჩენდნენ, მაგარმ ჩემს აღმოჩენას გამოცდილი „ჩეკისტისაგან“ ველოდი და არა „ახლადგამომცხვარისაგან“, ნუ იფიქრებთ, შეურაცხყოფას ვაყენებდე ჩემს აღმომჩენს, პირიქით მეამაყება, რომ არარაობიდან დაწყებულმა ბოლშევიკურმა პარტიამ, შესძლო განვითარების ისეთ საფეხურზე მისვლა, საიდანაც გამოცდილ მაფიოზთა ბანდას „კოზა ნოსტრასაც“ კი ჩამოხსნა კაცთმოძულეობის ნიღაბი!

ვამბობ „მაფია“ და ეს სიტყვა ცოტად თუ ბევრად შეესაბამება ჩემს „აღსარებას“, აქვე განვმარტავ, რომ „მაფია“, როგორც ლოზუნგი პირველად გაჩნდა სიცილიელთა ავჯანყების დროს 1282 წელს, ამ ლოზუნგს სიცილიელები ფრაგ ოკუპანტებთან ბრძოლაში იყენებდნენ: „Morte Alla Francia, Italia Anela“, – ლოზუნგიდან აღებული ყოველი სიტყვის

პირველი ასოებით იკითხება „მაფია“, თვით ლოზუნგი კი ასე იშიფრება: „სიკვდილი საფრანგეთს! აღსდექ იტალია!“ მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ კი არ მოკვდა, პირიქით, დღესაც პოპულარობით სარგებლობენ მაფიოზთა დაჯგუფებები.

ჩვენ რომ სიცილიელებისათვის მიგვებაძა და ახალი დაჯგუფება ჩამოგვეყალიბებია, „სბას“ დავარქმევდით „სიკდვილი ბოლშევიკებს – აღსდექ საქართველო!“ თუმცა ეს ლოზუნგი მაშინ იყო საჭირო, როცა მოწოდებების ნაცვლად სამშობლოდან გავრბოდით!

მართალია მძიმე დრო იყო, მაგრამ ბრძოლის ველიდან ქართველს გაქცევა არ სჩვევია და არც ვამართლებ, ვინც უომრად მიატოვა თავისი სამშობლო!

დიახ! მამაჩემმაც მიატოვა სამშობლო ერთი უღელი ხარისათვის, რომელსაც სხვაზე ცოტა უკეთესი ცხოვრებისათვის ბობოლობა (კულაკობა) დასწამეს.

დავიბადე 1920 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რევოლუცია კი არა, „უვიცების ალღუმი“ დაიწყო, მძიმე დრო დაუდგა მსოფლიოს ერთ მესამედზე მეტ მოსახლეობას და ამ სისხლიანმა მოძრაობამ, მარტო რუსეთში, იმაზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რაც პირველ მსოფლიო ომის დროს მთლიანად. გიჟს თოფი მიეცი და მეტი რა უნდა... განუკითხავად წყდებოდნენ ყველ რჯულის, სქესისა და ეროვნების ადამიანები, მამაჩემმა მსოფლიო მოძრაობის კი არა, თავისივე კარის მეზობლების შეჩერება ვერ შესძლო, გააკულაკეს, წაართვეს რაც რამ ებადა... გაგულისდა და ისე მოუვიდა, კაცმა წალდი რომ დაჰკარგა და ნაჯახიც გადააგდო.

1924 წელს ბათუმში ჩავედით, ჩავჯექით გემში და წავედით საფრანგეთისაკენ (რა ადვილი სათქმელ–დასაწერია „ჩავჯექით გემში და წავედით საფრანგეთისაკენ“, (ბათუმში ქაოსი სუფევდა, „ძაღლი პატრონს ვერ იცნობსო“, სწორედ ისეთი. საქართველო სამ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი

თურქეთს ეომებოდა, მეორე ნაწილი ბოლშევიკებს, მესამე და ძირითადი ნაწილი კი ტოვებდა სამშობლოს და გარბოდა! თქვენ რომელ მათგანს გაამართლებდით? რა თქმა უნდა ყველას, იმის გარდა, ვინც გარბოდა!

მამაჩემმა კისერზე შემისვა და როგორც იქნა გემბანზე ავაღწიეთ, კაიუტაში შესვლას ვერც შევძლებდით და არც გვიცდია... მინდა გავიხსენო, მაგრამ ფიქრი უშედეგოა, თუ რამდენხანს ვიყავი გემბანზე, კარგი ამინდები იყო... მოგეხსენებათ, ზღვას თავისი თალხი აქვს, დღისით მზე მწვავდა, ღამით სიცივე და მალარიით დავავადდი. გავყვითლდი და მოვკვდი, მამაჩემს ურჩიეს, რაიმე მძიმე საგანი ჩაება ჩემთვის და ზღვაში გადავეგდე. „მიწაში მაინც დავმარხავო“ – იღრიალა მამამ, ხალათის კალთა გაიხსნა, შიშველ მკერდზე მიმიკრა და ხალათის ფოლაქები შეიბნია... გავთბი თუ არა, რაღაც ყვითელი სითხე ამომაღებინა... „გაცოცხლდა! გაცოცხლდა!“ – მამაჩემის ხმა შეშლილივით ისმოდა...

ქართველებმა გაჭირვებაში დახმარება იციან, რადგან გავცოცხლდი, ყველას გაეხარდა, ზოგმა მსუბუქი საჭმელი მომიკითხა, ზოგმა მალარიის წამალი ქინაქინა და რა ვიცი ვინ რა... ერთმა მანდილოსანმა მამაჩემს ხელი მოჰკიდა და კაიუტაში წაგვიყვანა, თბილად დამიგო, დამხურა და თავისი ბავშვების გვერდით დამაწვინა. მამა დაუახლოვდა და გამოესაუბრა მანდილოსანს, აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონიც ემიგრანტი იყო, 1922 წელში სამშობლოდან გაქცეულ მეუღლესთან მიდიოდა საფრანგეთში.

– ნათელა მქვია, გამყრელიძის ქალი ვარ ჭიათურის სოფელ ზოდიდან, ჩემს ქმარს ანტიკომუნისტური მოძრაობა დასწამეს და ამ ორიოდე წლის წინ სარფრანგეთს შეაფარა თავი, – ახლა შემომითვალა „სახლი მოვიწყვე და შენც ჩამოდიო“, მართალია მიჭირს ორი ბავშვით მგზავრობა, მაგრამ სამუდამო კატორღაში ყოფნას სიკდვილი სჯობია, ამიტომ გადავწყვიტე წამოვსულიყავი – ქალმა თვალთაგან მონადენი ცრემლი უხმოდ შეიმშრალა.

– საწყენია! – უთხრა მამაჩემმა – საშმობლოს მიტოვება ძლიერ მიძნელდება, მაგრამ თქვენი თქმისა არ იყოს, სამუდამო კატორღაში ყოფნას იქნებ აჯობოს...

– რამ უნდა აჯობოს ჩემო ბატონო! სხვის ქვეყანაში შეკედლებამ და სხვის ჯამში ყურებამ უნდა აჯობოს შენს მშობლიურ ხალხსა და სამშობლოს? არა, მე მაგის იმედი არა მაქვს! სხვის სამშობლოში სიცოცხლეს საკუთარ სამშობლოში სიკვდილი სჯობია! ისე არ წახდება ქართველთა შთამომავლობა, რომ ცოცხალი არავინ დარჩეს და საფლავი მაინც ეცოდინება ვინმეს! ესეც დიდი მიღწევა იქნება ჩვენისთანა ლტოლვილი ხალხისათვის!

– სულ ასე ხომ არ იქნება, დაწყნარდება ქვეყანა და ჩვენც დავბრუნდებით „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტოვან“ სამშობლოში!

– რას ამბობთ ჩემო ბატონო, რა სინდისით გინდათ დაწყნარებულ სამშობლოში დაბრუნდეთ, თუ ერთი დღე მაინც არ გიბრძოლიათ იმის დასაწყნარებლად?!

– ვერ მოვერიეთ რუსეთს ჩემო ქალბატონო და თავი შევაკლათ?

– რუსეთს არაფერი დაუშავებია ჩვენთვის, ერეკლეს მეფობის შემდეგ რუსეთის მფარველობის ქვეშ ვიმყოფებით, მაგრამ სამშობლოდან არავინ გაქცეულა, პირიქით, ირანის თვითმპყრობელობის დროს გაქცეულმა ქართველებმა დაიწყეს სამშობლოში დაბრუნება! ჩვენსავით, რომ ჩვენს წინაპრებს ეფიქრათ: „ვერ ვერევიო“ და ყოველი შემოსევების დროს გაქცეულიყვნენ (მხედველობაში მაქვს ირანის, თურქეთის და ლეკთა თარეში), დღეს სამშობლო გვექნებოდა?!

მამამ სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა პოლიტიკურად მომზადებული ქალაბტონის წინაშე, ზეზე წამოიმართა, ხელი წამომავლო, მკერდზე მიმიკრა და კაიუტიდან გამოსვლა დაიპირა.

– სად მიბრძანდებით? – შეაჩერა მანდილოსანმა.

– უნდა დავბრუნდე! – მამას ხმაში ფოლადი გაერია.

— როგორ უნდა დაბრუნდეთ, ჩვენ ხომ შუა ზღვაში ვიმყოფებით?

— გაიკვირვა ქალმა.

— აბა რა ვქნა? რატომ აი იქ, საქართველოში არავინ გამომიჩნდა თქვენისთანა, სულის ამაფორიაქებელი ადამიანი?

— არა უშავს ჩემო ბატონო, შეიძლება საფრანგეთიდანაც ვებრძოლოთ ჩვენი სამშობლოს მტრებს!

— მაგის იმედი არა მაქვს, სამშობლოში ვერ გვიბრძოლია და სხვისი ქვეყნიდან რაღას გავხდებით?! — ეს ერთადერთი ნუგეში ჭკუაში არ დაუჯდა მამაჩემს.

დიდი ვაი–ვიშისა და წვალების შემდეგ, ჩავაღწიეთ საფრანგეთამდის, როგორც გემში ამოსვლაზე იყო განუკითხაობა, ასევე ჩასვლაზეც ანალოგიური ქაოსი შეიქმნა, სად მიეჩქარებოდა ამდენ ხალხს არ მესმოდა, იჩქაროდა მამაც, იჩქაროდა ჩვენი ახალი თანამგზავრი ნათელაც, მას ორი ბავშვი მოჰყავდა, მამაჩემმა ერთი ჩემი ტოლი ბიჭი, რომელსაც კობა ერქვა. მარცხნივ აიკრა მკერდზე, მე მარჯვნივ და გაჰყვა ხალხის ტალღას.

ნათელას მეუღლე ელოდებოდა, იოსებ გამყრელიძე, გაიხარეს მეუღლეებმა ერთურთის შეხვედრით, ნათელამ მამაჩემი წარუდგინა იოსებს და მანაც გულთბილად მიგვიღო. როდესაც მამამ ბინის შესახებ ჩამოაგდო საუბარი, ბატონმა იოსებმა დიდი მოწიწებით თავისთან მიგვიწვია:

— წამოდით ძმაო, ორი ოთახი მაქვს დაქირავებული და მესამესაც დავაცლევინებ სახლის მეპატრონეს, ვიცხოვროთ ერთად სანამდისაც მოგესურვებათ, აქ ბევრია ქართველები და კარგი სათვისტომოცა გვაქვს...

— მამაჩემს ხვეწნა აღარ დასჭირვებია და თვითონაც დაჯდა იმ ავტომანქანაში, რომელიც იოსებს ჰყავდა მოყვანილი.

— გადიოდა წლები, ვიზრდებოდით და თანდათან არ გვაძლევდა მოსვენებას სამშობლოზე ფიქრი, რომლის დავიწყების საშუალებასაც ნათელა არ გვაძლევდა, მას ყოველდღი-

ურად ორ საათიანი ლექცია უნდა წაეკითხა ჩვენთვის სამ-შობლოს სიყვარულზე... ასე ვიზრდებოდით მე, კობა და ქეთევანი.

კობა ჩემი ტოლი იყო, ქეთევანი კი ჩვენზე ორი წლით პატარა 1922 წელს დაბადებული, 1938 წელს დავამთავრე ლიცეუმი და მე და კობა ერთად ჩავირიცხეთ პარიზის „სორ-ბონის“ უნივერსიტეტში, სტუდენტთა მიღება აქ ლიმიტირებუ-ლი არ არის, ხოლო შემდეგ სწავლის მიხედვით ხდება განთესვა.

ქეთი ისევ ლიცეუმში სწავლობდა, როდესაც ერთი–მე-ორეს სიყვარულის ფიცი მივეცით, ეს ამბავი შეუმჩნეველ–გაუგებარი არ დარჩენიათ ჩვენს მშობლებს და 1938 წელში დაგვაქორწინეს.

1939 წლის სექტემბერში, პოლონეთზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის შემდეგ, საფრანგეთმა გერმანიას ომი გამოუცხადა, მაგრამ საფრანგეთის მთავრობას ფაქტიურად არც უზრუნია პოლონეთის დასახმარებლად. საფრანგეთის ჯარი იდგა „მაჟინოს ხაზზე“ და არ ფუნქციონირებდა. სწორედ ამ დღეს 1939 წლის 3 სექტემბერს ვაჟი შემეძინა, რომელ-მაც დღემდე არ იცის მამამისის არსებობა.

6 ნოემბერს პოლონეთში ქალაქ კრაკოვში დაინიშნა ესესელი ობერშტურმანფიურერის მიულერის ლექცია, რომელ-საც უნდა დასწრებოდა კრაკოვის უნივერსიტეტის მასწავ-ლებელთა სრული შემადგენლობა. მიულერი გერმანელი ჯარისკაცების თანხლებით მობრძანდა და ყველა შეკრებილი დააპატიმრა. მათ შორის რექტორი და პრორექტორი, 50 დეკანი და მათი მოადგილეები, 75 პროფესორი... დაპატიმრე-ბულთა უმრავლესობა „ზაქსენჰაუზენის“ საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს.

1940 წლის მაისში, გერმანიის ჯარები საფრანგეთის ტერიტორიაზე შემოიჭრა და პარიზი უბრძოლველად დაიკავეს. განსაცდელში ჩავარდა უნივერსიტეტი, სადაც ჩვენ ვსწავ-ლობდით, მითუმეტეს ყველამ კარგად იცოდა პოლონეთში დატრიალებული ტრაგედია და სწავლა შეწყდა.

თუ პოლონეთის კრაკოვის უნივერსიტეტში მიულერი შეიჭრა თავისი გესტაპოელთა ბრიგადით, საფრანგეთის პარიზ-ის უნივერსიტეტში გერინგი დააბიჯებდა თავისი ხრომის ჩექმებით და საბჭოთა კაშვირიდან გაქცეულ თეთრგვარდიელ ემიგრანტებს აგროვებდა, რომლებიც სურდა საბჭოეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებია, ძნელი როდი გახდა კო-მუნისტების წინააღმდეგ მებრძოლი ემიგრანტების მოძებნა, უმეტესობა თავისივე სურვილით ეწერებოდა „კომუნისტები-საგან სამშობლოს განმათავისუფლებელ“ შენაერთში (როგორც ამას კანარისის აგიტაცია მოგვიწოდებდა), როგორც მოს-ალოდნელი იყო, პირველ ხანებში ბევრი ემიგრანტი თუ თავის-უფალი მოქალაქე წამოეგო ჰიტლერელთა აგიტაციის ანკესზედ, მაგრამ შემდეგ, როდესაც თვითონ დაინახეს გერმანელების სიცრუეზე აგებული ფაშიზმი, ძნელი შეიქმნა ბორკილების შეხსნა და ანკესიდან თავის დახსნა.

ჰიტლერელები პირველ ხანებში გვპირდებოდნენ, რომ საშმობლოს გაგვინთავისუფლებდნენ კომუნისტებისაგან და თავისუფალი ცხოვრების ნებართვას მოგვცემდნენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც თვალნათლივ დავინახეთ, თუ რა სისაძაგლესაც ჩადიოდა ფაშიზმი და თუ როგორ გვიყენებდა ჩვენ და მრავალ ჩვენისთანას ბრმა იარაღად, უკვე მათი კლანჭებისაგან თავის დახსნა შეუძლებელი შეიქმნა. ჰიტლერი ემზადებოდა საბჭო-თა კავშირთან ომის დასაწყებად: – „მიზანი ერთია – ამბობ-და ის – ჩვენ გავიმარჯვებთ!“ მაგრამ იმპერიის სახელ-განთქმულმა ქურუმმა და ტელეპატიით კარგად განსწავლულმა პირმა ერიკ იან განუსენმა, ტელეპატიის სეანსზე მასთან მის-ულ ჰიტლერს საბჭოეთთან ომის წაგება უწინასწარმეტყვე-ლა!

– ეს როგორ? – გაცოფდა ფიურერი.

– როგორ ჩემო ფიურერო? – შეეპასუხა ერიკ იან გა-ნუსენი – როგორ და შეცდომას ზებუნებრივი ძალა არ გაპ-ატიებთ, რამეთუ თქვენ მხოლოდ ერთადერთი „გერმანელი“ მიაკუთვნეთ უმაღლეს რასას, როდესაც ციური განგება თერთ-

მეტი ერის უმაღლეს რასას ითვლის, ერთ ერთს არ შეუძლია განაგოს მსოფლიო ცივლიზაცია, თუ თქვენ გერმანელებთან ერთად გვერდით ამოიყენებთ ინგლისელებს, ფრანგებს, ესპანელებს, ამერიკელებს, იაპონელებს, ჩინელებს, ქართველებს, სპარსებს, თურქებს და ეგვიპტელებს, მაშინ შესაძლებელია ერთიანი ძალისხმევით, დანარჩენ რასათა დამარცხება, რადგან აქ ჩამოთვლილ თერთმეტ ერს გადაშენება არ უწერია!... თქვენ ომს ვერ მოიგებთ!

ჰიტლერმა სიბრაზით ცოფები ჰყარა და მხოლოდ კანარისმა იცის, რაც შეემთხვა ერიკ იან განუსენს!

– თავის თავს რად არ უწინასწარმეტყველა? – ბრაზით იგონებდა შემდგომში ფიურერი განუსენს.

ცოტა გადავუხვიე ძირითად თემას, სად ჰიტლერი და სად ჩემი დანაშაულებრივი ქმედებანი, გაგეცინებათ ალბათ, მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან სწორედ ის ჰიტლერი და ჰიტლერელები არ ამოდიან, ვინც ბოროტმოქმედების გზაზე დააყენა ათასობით ჩემისთანა სტუდენტი.

1940 წლის 12 მაისს (თარიღებიც ზუსტად მახსოვს), კარებზე მოურიდებლად ბრაგუნი გაისმა, შეშინებულმა დედამ კარი ხელისკანკალით გააღო, დაუკითხავად შემოიჭრა ოთახში სამი ესესელი, ჩაგვავლო მე და მამაჩემს ხელი, გარეთ კინწისკვრით გამოგვიყვანეს, იქ სატვირთო ავტომანქანები იდგნენ მოქალაქებით სავსე და ესესელებით გარშემორტყმულნი, ავტომობილის ძარაზე ასვლისთანავე დავიძარით, სამი თუ ოთხი სახლის წინ კიდევ გავჩერდით და თანდათან ივსებოდა ხალხით ავტომანქანა... ბოლო წერტილი უნივერსიტეტის შენობა იყო, ყველა ერთად შეგვიყვანეს სალექციო დარბაზში, იქ კანარისი გველოდებოდა, მან მოკლე ლექცია წაგვიკითხა სამშობლოს სიყვარულზე, რომ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ჩვენი მშობლიური მიწის განთავისუფლებისა...

სათითაოდ გამოძახებულებს დაგვაყარეს კითხვების კორიანტელი, თუმც ესესელებმა ჩვენზე ნაკლებ როდი იცოდნენ თითოეული ჩვენგთაგანის ბიოგრაფია. აქ იყო კობაც და

ბატონი იოსებიც, ისინი ჩემზე წინ გამოიძახეს, იოსები სახლში დააბრუნეს და უბრძანეს ქალაქიდან არ გასულიყო, კობას კი უბრძანეს მარცხნივ დამჯდარიყო ესესლებისაგან რჩეულთა გვერდით.

დადგა ჩემი რიგიც, თარჯიმანის მეშვეობით ფრანგულად დამიწყეს დაკითხვა, როდესაც პასუხი გერმანულად გავეცი, მოწონება დავიმსახურე და მეც კობას გვერდით აღმოვჩნდი, მამაჩემი კი, როგორც იოსები, სახლში დააბრუნეს იმ პირობით, რომ ქალაქგარეთ არ გასულიყო, როდესაც ,,გაიწმინდა" აუდიტორია და შიგ მხოლოდ, გერმანელებისათვის გამოსადეგარი ხალხი დავრჩით კანარისმა ნახევარსაათიანი ლექცია ჩაატარა და გვიბრძანა სახლებში წავსულიყავით, წამოგველო ჩვენთვის აუცილებელი ნივთები და დილით ათი საათისათვის ამავე აუდიტორიაში შევკრებილიყავით.

P.S აუცილებლობამ მიკარნახა, წერის თემა უნდა შევცვალო, აი ეს წუთია, ჩემთან საკანში ბატონი პროკურორი შემობრძანდა კაკო მანჯავიძე, თითქმის ორმოცი წუთი ვისაუბრეთ, თუ რაზე, სამი დღის შემდეგ გაიგებთ...

...გერმანია ისეთი ლომია, უომრად არ დატოვებს მსოფლიოს, ვინ იცის შვილებო, სად გელოდებათ სამარე, რატომ ის დღე არ დაიწვა, როდესაც სამშობლო მივატოვეთ და აქეთ ვქენით პირი... მოხდა რევოლუცია? დაუჯერე იმ ხელისუფლებას, რომელმაც გაიმარჯვა და იცხოვრე შენს საშმობლოში! – თქვა თვალცრემლიანმა იოსებმა.

ჰო, იმ ღამით ერთად შეკრებილი ჩვენი და იოსებ გამყრელიძის ოჯახის არცერთ წევრს არ ძინებია....

– ეჰ, ბატონო იოსებ, არც ისინი იყვნენ სწორი ხალხი, პირდაპირ გაწყვეტა უნდოდათ ჩვენი! – შეეკამათა მამაჩემი.

– გაწყვეტა, რომ დომებოდათ დალოცვილო, გემამდე არ მოგიშვებდნენ, ვინ მოგვდევდა, რომ მოვრბოდით? რევოლუციამ მოგვცა ბრძოლის საშუალება და გვებრძოდა იმ მხარეზე, რომელიც სწორი მიგვაჩნდა! სამშობლო კი არ უნდა მიგვეტოვებინა ჩემო კარგო!

– ბატონო, მაინც და მაინც თოფი უნდა აგვეღო ხელში? ვიბრძოდი, როგორ არა, სიტყვას ვამბობდი, ისინი კი ჩემს სიტყვას თოფით უხვდებოდნენ, ან კი რას ვაბმობდი ცუდს, ნუ მოჰკლავთ, ნუ წაართმევთ, ნუ გაძარცვავთ მოძმეთ! სამშობლოზე ესოდენ შეყვარებული ადამიანი შრომას ვქადაგებდი! საშმობლოს თავისუფლებას, მოძმის სიყვარულს, ქრისტეს ათივე მცნებას ვქადაგებდი ქრისტიანულ სამყაროში, მაგრამ ის კი არ ვიცოდი ვისთან უნდა მექადაგა ღმერთი, რას მიმდევარი ხალხი?! ხანდახან, როცა ვლოცულობ, ჩემს აქეთ გამომქცეველ ხალხზე, იცით რას ვამბობ? „ღმერთო შეუნდე! რამეთუ არ იცოდნენ რას ჩადიოდნენ!“. ხშირად ვიხსენებ ხოლმე ისტორიიდან შემონახულ სიბრძნეს: როდესაც იან ჰაუსი დასაწვავად აჰყავდათ, დაინახა თუ როგორ შეუკეთა ერთმა დედაბერმა ფიჩხი კოცონს, მაშინ გაკვირვებულ რეფორმატორს უთქვამს: „ოი წმინდაო გულუბრყვილობავ!“ და ამით გამოხატა ინკვიზიციის მიერ გონებადაკარგულ დედაბერის ცოდვის შემსუბუქება! როგორ ფიქრობთ, სამშობლოს სიყვარულის ქადაგებისათვის რომ ვინმეს დავეწვი, კომუნისტური იდეებით გონებადახშული რომელიმე ქართველი ფიჩხს არ შემიკეთებდა?

– მაგ საკითხს შევეშვათ და მართლა ნუ ავუბნევთ გზა–კვალს ამ ბავშვებს, თორემ ვინ იცის რას მოიმოქმედებენ! – ამოიოხრა იოსებმა.

– მე რა ვუთხარი, მაგათი ბედი ჰიტლერმა გადაწყვიტა და საითაც „ჰაილ–ჰიტლერს“ დაიძახებენ, ეგენიც იქით უნდა წავიდნენ, თორემ შენც კარგად იცი, რაც მოუვათ!

– რომ გაიქცნენ და თავი აარიდონ ომს?

– სად გაიქცევიან? სად წავლიან? ქვეყანა ესესელების ჩექმებით ითელება და სად დაიმალებიან? საფრანგეთის ჯარი ფაქტიურად აღარ არსებობს, მაგათაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებს გერმანია!

– ასე არ იქნება! დაინახავენ გერმანელთა არაადამიანურ ქცევებს და იატაკქვეშა ორგანიზაცია ჩამოყალიბდება მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

– იატაკქვეშა ორგანიზაციის ჩამოყალიბებამდე მაგათ დახვრეტენ! შეიძლება ხვალვე, დანიშნულ ადგილზე გამოუცხადებლობისათვის!

– აბა რას გვირჩევ, წავიდნენ და ფაშიზმის ჯარში იმსახურონ?

– ჯერ მათ სასარგებლოდ უნდა იმსახურონ, ვინც ტკბილი დაპირებებით აგვავსო, დანარჩენს თვითონ ცხოვრება გვიჩვენებს... კომუნისტების მხარეზე გადასვლა ყოველთვის შეიძლება!

– რას ამბობ! კომუნისტებმა, რომ ემიგრანტი ჩაიგდონ ხელში, იმას დაზოგავენ?

– ხელსაც არ ახლებენ, თუ ახალ დანაშაულს არ ჩაიდენს! კომუნისტები მე კაციჭამიებად არ მესახებიან!

მამების კამათს, ჩემი სიდედრის გადაწყვეტილებამ აჯობა:

– შვილებო! მართალია მარტო გერმანელები არა, მაგრამ უმაღლესი ლიგის ერთ–ერთი წარმომადგენლები, გერმანელებიც არიან! არ იფიქროთ, მართლა გიჟები განაგებდნენ ახლა გერმანიის ბედს! დოქტორები, აკადემიკოსები, ფილოსოფოსები, დიპლომატები, სამხედრო რანგის უმაღლესი წარმომადგენლები და სხვა წარჩინებული პირნი უდგანან სათავეში გერმანელების დღევანდელობას, სადაც მათი დაღუპვა ან ბრწყინვალე მომავლაი იჭედება! იქ, ოთხიათასიანი ხელმძღვანელი პირიდან 1050 მეცნიერებათა დოქტორია, 225 – საპატიო დოქტორი, 21 – ორგზის დოქტორი, 350 – პროფესორი, 116 – საიდუმლო მრჩეველი, 150 – დიპლომიანი სპეციალისტი, 2 – ნობელის პრემიის ლაურეატი, 850 – მწერალი და სხვა მნიშვნელოვანი და პატივსაცემი პირნი, ვისაც შეიძლება პასუხი მოეთხოვოს... ასეთ განათლებულ წრეში მხოლოდ 30 კაცია უმაღლესი განათლების გარეშე და მათ შორის ჰიტლერიც! ასე რომ მათ მიერ ემიგრანრტების შეგროვება შემთხვევითი არ უნდა იყოს, სპეციალური სკოლის გავლის შემდეგ, თქვენ თქვენ-

სავე სამშობლოში დაგაბრუნებენ კომუნისტების წინააღმ-
დეგ საბრძოლველად! შემდეგ კი თქვენზეა დამოკიდებული,
თუ როგორ გამოიყენებთ გერმანელთა ნდობას, კაცური კაცი
მახვილს არ აღმართავს მშობელ ხალხზე, საქართველოს
მეფეთა უმრავლესობა სპარსეთში აღიზარდა, რომ შაჰის
ერთგული ყოფილიყო, მაგრამ ქართვლეი ყოველთვის ინარ-
ჩუნებდა მხნეობას, ერისა და საშმობლოს სიყვარულს...

– ნათელა, შენ რისი თქმა გინდა ბოლოს და ბოლოს
ვერ გავიგეთ, ბავშვები საქართველოში რომ ჩავლენ მთარ-
ვობაში გამოცხადდნენ? – ვეღარ მოითმინა იოსებმა და დამ-
რიგებლური საუბარი შეაწყვეტინა მეუღლეს.

– მე რისი თქმაც მინდოდა ვთქვი და ჩემი საუბარი
ბრწყინვალედ გაიგეს ახალგაზრდებმა! დიახ, მთავრობაში უნდა
გამოცხადდნენ! როდესაც შენს სამშობლოს უჭირს, შენ მტრად
არ უნდა მოევლინო მას! ნამდვილი პატრიოტები საქართვე-
ლოს ფარგლებს გარეთაც იბრძვიან ფაშიზმის წინააღმდეგ!
შენ კი ემიგრანტი, ოცნებობ სამშობლოში დაბრუნებაზე და
ესესელთა ჯარს მიუძღვები იმის ასაოხრებლად? მითხარი,
მაშ რით განსხვავდებით დაუდ ხანისაგან? – ნათელა აქვით-
ინდა და მეორე ოთახში გავიდა, სიჩუმე ჩამოწვა, ყველა თავისმა
წილმა ფიქრებმა გაიტაცა...

გათენდა. დრო არ ითმენს, ოპერატიულად უნდა გამოცხ-
ადდე დანიშნულ ადგილზე, თორემ ესესელებს ხუმრობა არ
უყვართ... დავემშვიდობე და მკერდში ჩავიკარი ყველა, გან-
საკუთრებით კი ჩემი ქეთი და რვა თვის გოჩა.

– როგორც კი საშუალება მომეცემა, ჩემს მდგომარეობას
შეგატყობინებ და ვეცდები საქართველოში ვიცხოვროთ ორივემ,
დაელოდე ჩემს შეტყობინებას, შენ კი იფიქრე, თუ რა გზით
დაბრუნდე საქართველოში – ვუთხარი და თვალცრემლიანი
გავცილდი.

გერმანელებს სიზუსტე უყვართ, ზუსტად თორმეტ საათზე
დაიძრა ავტომანქანების კოლონა. ესესელებმა სიმღერით და-
ტოვეს პარიზი. რამდენხანს ვიმგზავრეთ აღარ მახსოვს, ოთხ-

გან შევისვენეთ კიდეც და როგორც იქნა ბეტონის თაღიან შესასვლელზე ვკითხულობ: „ბაიტენფუორტი“, სწორედ აქ, ამ წყნარ დაბაში, ომის დაწყებამდე რამოდენიმე თვით ადრე გერმანელებმა დააარსეს სადაზვერვო სკოლა, მისი პირველი მსმენელები, ევოპაში გაფანტული ემიგრანტები ვიყავით, სწორედ ჩვენგან უნდა შერჩეულიყო მომავალი კადრები გერმანიის გამარჯვებისათვის, ამიტომ ამ ბანაკს საგანგებო–სადაზვერვო სკოლა ერქვა და „შტაბვალის“ დაქვემდებარებაში იყო, აქ მზვერავების გარდა ჯაშუშებსაც ამზადებდნენ საბჭოთა კავშირში შესაგზავნად. ამ ბანაკის ძირითადი კონტინგენტი ლოძისა და ჰაიმელბურგის ბანაკებში შერჩეული ტყვეებიც იყო ემიაგრანტებთან ერთად.

არ მოვყვები ბანაკის ხელმძღვანელობისა და სწავლების რეჟიმს, მხოლოდ ვიტყვი, რომ ემიგრანტებს ტყვეებთან შედარებით კარგი პირობები გვქონდა, მე და კობა კიდევ უფრო განსაკუთრებულად პრივილეგირებულნი ვიყავით, რადგან ვფლობდით ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს, ამგვარად საჭიროებისა და მიხედვით, თარჯიმნადაც გვიყენებდნენ.

აქ თითქმის ერთი წელი დავყავით, სადაც გვასწავლიდნენ მკვლელობასა და კაცთსიძულვილს.

1941 წლის დამლევს ღირსი შევიქმენ საკუთარი თვალით მეხილა სტალინის შვილი და გავსაუბრებოდი მას, როგორც თარჯიმანი, თუმცა ეს შეხვედრა ბოროტად არ გამომიყენებია და დღემდე საკუთარი არქივისათვის მქონდა შენახული.

ორმა ესესელმა სადაზვერვო განყოფილების უფროსთან მაიორ ბაუნთან მიმიყვანა:

– რუსული იცით? – გულგრილად მკითხა მან.

– ბრწყინვალედ!

– ქართული?

– მე ქართველი ვარ, მშობლიური ენა ყველაზე უკეთ ვიცი...

– ეს როგორ, როდესაც გერმანულად სუფთად საუბრობთ?

– არა, მე საუბარი პირველად ქართულად ვისწავლე, რომ დადვიბადე ტირილიც ქართულად დავიწყე...

– როგორ, ტირილიც სხვადასხვა ენაზე არსებობს? – გაეღიმა ბაუნს.

– რა თქმა უნდა, ქართველები დაბადებიდანვე იძახიან „ვაი დედას!“

– ესე იგი თქვენ სტალინის სამშობლოდან ბრძანდებით?

– დიახ! სულ რამოდენიმე კილომეტრის დაშორებით ვცხოვრობდი გორიდან!

– ძალიან კარგი, თქვენთან ერთად ჰამელბურგის ტყვეთა ბანაკში უნდა წავიდეთ, იქ ერთი მეტად საინტერესო ადამიანს მინდა გავესაუბრო, თანახმა ხართ?

რა უფლება მქონდა უარი მეთქვა და მეც თანხმობა განვუცხადე.

– ძალიან კარგი, ხვალ დილისათვის მოემზადე, ცხრა საათზე გავალთ! – ამ სიტყვებთან ერთად ზეზე წამოდგა, რითაც მაგრძნობინა „დღევანდელი საუბარი დამთავრებულიაო“.

მეორე დღეს, დათქმულ დროზე ბაუნთან გამოვცხადდი და თერთმეტი საათისათვის ჰამელბურგის ტყვეთა ბანაკში ვიყავით, ეს იყო განსაკუთრებული რეჟიმის ბანაკი, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა მაღალი ძაბვის ელექტრო გამტარი მავთულხლართები, იქ „მობინადრე“ ტყვეები კი თითქმის გამჭვირვალენი იყვნენ და ძლივს დალასლასებდნენ.

ბაუნი წინ მიდიოდა, მის მანერას ეტყობოდა, აქ პირველად არ უნდა ყოფილიყო, ბანაკის უფროსის არენბერგის კაბინეტის კარები დაუკითხავად შეაღო და მეც შემიყოლია.

– ჰაილ–ჰიტლერ! – შესვლისთანავე მიესალმა მიმსვლელი დამხვდურს. არენბერგი ზეზე წამოიჭრა და გამყინავიხმით იკივლა:

– ჰაილ–ჰიტლერ!

დასხდნენ. ერთი–მეორე მოიკითხეს. ჩემი თავი წარუდგინა ბაუნმა მასპინძელს და გასაიდუმლებული ტყვეს მოყვანა უბრძანა.

ორმა ესესელმა შემოიყვანა გამხდარი, მაგრამ სანდომიანი შესახვედაობის ახალგაზრდა, შეხედვისთანავე ჩემს წარმოდგენაში რატომღაც მის გარეგნულ იერს, ყელზე კაშნე შემოვახვიე და თვალწინ სტალინის ახალგაზრდობა წარმომიდგა.

ამას არ ველოდი, გულმა რეჩხი მიყო და თვალები გამიფართოვდა.

ახალგაზრდა კარებთან დადგა და ბაუნის ბძრანებას დაელოდა, ეტყობოდა მათ ერთმანეთი პირველად არ ენახათ.

– დაბრძანდით იაკობ! – სავარძელზე მიუთითა ბაუნმა, მოსული უხმოდ დაემორჩილა ბრძანებას, – იაკობ, იცი ვინ მოგიყვანე? – განაგრძო არასასიამოვნო საუბარი სადაზვერვო განყოფილების უფროსმა – გაიცანი, შენი მკვიდრი ბიძაშვილი საქართველოდან!

იაკობმა ნაპერწკლებმფრქვეველი მზერა მომაპყრო, შემდეგ ოდნავ შესამჩნევი კილო–კავით შემეკითხა:

– ქართველი ხარ ბიჭო?

– დიახ! – ვუთხარი და ზეზე წამოვდექი ხელის ჩამოსართმევად.

– დაჯექი, დაჯექი, ჩემო ძამისკუნია, შენ როგორც გეტყობა საკაიკაცოდ არ ხარ ჩემთან მოსული! – მითხრა და ნაძალადევი ღიმილის შემდეგ ლოყაზე, ბაგესთან ახლოს, პეპელა აუთამაშდა.

– რატომაც არა, მე ბაუნმა მომიყვანა! – საოცრად დაბნეულმა ქართულადვე ვუპასუხე.

– იმიტომ არ მეჩვენები საკაიკაცოდ მოსული ბაუნმა რომ მოგიყვანა, თორემ აქ, ბანაკში, რომ შევხვედროდით ერთი–მეორეს, ძმად შეგეფიცებოდი! – მიპასუხა მან, მაგრამ საუბარი არ დაგვაცალეს.

– იაკობ, შენ არ გჯერა გაზეთებისა და არც ჩვენი შენდამი კეთილგანწყობილების, ახლა მაინც დაუჯერე ამ ახალგაზრდას, რომელიც ქართულად გეტყვის, რომ ომი თქვენი მხრიდან წაგებულია და გამოიჩინეთ კეთილგონიერება...

– რას მოითხოვთ ჩემგან? – ახლა ბაუნისაკენ მიაპყრო მკაცრი გამოხედვა.

– ბევრს არაფერს, მისწერეთ მამათქვენს წერილი, რომ ხალხის ხოცვა–ჟლეტას თავი ანებოს და წაგებული ომის ბედს შეურიგდეს! სამაგიეროდ ჩვენ გპირდებით დაჩას კალიფორნიაში, გინდ შავი ზღვის სანაპიროზე და სახელმწიფო ხარჯით უზრუნველყოფას! მეორე: რადიოში სიტყვით გამოხვიდეთ და თქვენს ხალხს მოუწოდოთ კაპიტულაციისაკენ!

– მეორე შემთხვევისათვის არაფერს მპირდებით? – დაცინვით ჰკითხა იაკობმა, რომელსაც ბაუნი მიუხვდა, აენთო, მაგრამ თავი შეიკავა და მე მითხრა, ქართულად გავსაუბრებოდი იაკობს, მაგრამ მე მრცხვენოდა იაკობის შეხედვის და თვალს ვერ ვუსწორებდი. დღესაც თვალწინ მიდგას მისი დამცინავი ღიმილი, ცეცხლოვანი თვალები, რომლის ტემპერამენტი ათასგვარ გაჭირვებას ვერ ჩაექრო. მე კი ვინ ვიყავი? ისეთი პატარა ერის შვილი, როგორიც საქართველოა და სამშობლოს მოღალატე! საკუთარი თავის შემრცხვა, ამ ახალგაზრდასთან შეხვედრას, მიწა რომ გამსკდომოდა მერჩივნა, მაგრამ რადგან მომიყვანეს, უკან დახევაც აღარ შეიძლებოდა, რამეთუ მე საქართველოში გასაგზავნად მამზადებდნენ და აქვე, ერთი ქართველის ნახვით რომ შიში, ხათრი ან სირცხვილი გამომეჩინა, რა თქმა უნდა ჩემი მომავალი ფიქრებიც ჩაიფუშებოდა და შეიძლება მართლაც იაკობის „მეგობარი“ გავმხდარიყავი ჰამელბურგის ბანაკში... ძალი მოვიკრიბე და იაკობისაკენ გავიხედე, ის მშვიდად იჯდა სავარძელში, ამ სიმშვიდემ კი არ ამაფორიაქა, პირიქით ძალა შემმატა, მაგრამ მაინც მორიდებით შევეკითხე:

– ნუ მიწყენთ იაკობ! მე თქვენთან არც ჭკუის დასარიგებლად ვარ მოსული და არც სასწავლებლად, უბრალოდ მეგობრულად მინდა გაგესაუბროთ, როგორც ერთი მიწა–წყლის ხალხი, ქართველი – ქართველს! გთხოვთ ნურც სამშობლოს მოღალატედ შემრაცხავთ, რადგან სამშობლოსათვის ჯერ ღალატი გულშიაც არ გამივლია...

– აბა როგორ მოხვედით აქ, სადაზვერვო განყოფილების უფროსის გვერდით?

– საფრანგეთიდან, მამაჩემი ემიგრანტი არის, ჩვენ ყველანი დაგვაპატიმრეს და სადაზღვერვო განყოფილებას უნდა ჩვენ გამოგვიყენოს ბრმა იარაღად, საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად, გთხოვთ წინასწარ ნუ შებღალავთ ჩემს პიროვნებას, შეიძლება მე მეტი გავაკეთო სამშობლოსათვის ვინემ თავდადებულმა გმირმა ბრძოლის ველზე!

– ყველა ასე ფიქრობს და მხოლოდ გრძნობებით მოუწოდებს თავის სინდისს პატრიოტობისაკენ, მაგრამ საქმე რომ საკითხის გადაჭრის წინ დადგება, თავის მფარველ „ანგელოზს“ ვეღარ ღალატობენ„ შეუძლებელია საფრანგეთში არ იყოს ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი იატაკქვეშა ორგანიზაცია ჩამოყალიბებული, რატომ იქ არ გაერთიანდით? თუ არ არის, რატომ არ ჩამოაყალიბეთ? ამ შემთხვევაში, შენ საფრანგეთში მოიხდიდი საქართველოს მშობლიურ ვალს! ახლა შენ მოდიხარ ჩემთან, თავისუფალი მოქალაქე ტყვესთან და სამშობლოს პატრიოტობას მეფიცები, დაგიჯერო?

– როგორც გენებოთ, სიტყვა რა დასაჯერებელია, საქმით დავამტკიცებ!

– რომელ წელში გამოიქეცი საქართველოდან?

– არ გამოვქცეულვარ, გამოგვაძევეს!

– რის საფუძველზედ?

– ანტიკომუნისტობა დაგვწამეს!

– ისე საუბრობთ, თითქოს ყველა გამოაძევეს ან დახვრიტეს, ვინც არ იყო კომუნისტი!

დაკითხვა მე მინდოდა მომეწყო კობასათვის და პირიქით შეტრიალდა ყველაფერი, ამ ადამიანს ან ჰიპნოზი აქვს, ან რაღაც მექანიკური ძალა, რომელიც მარტო ჩემზედ კი არ მოქმედებს, არამედ ჩემსავით ათამაშებს ნაცისტური გერმანიის გამოცდილ ოფიცრებს.

ცოტახანს ჩავფიქრდი, საუბარი შეწყდა, ამით ისარგებლა ჰერმან ბაუნმა და იაკობს შეეკითხა:

– რამდენ წელიწადს ცხოვრობდი საქართველოში?

– ტყვედ ჩავარდნამდის!

– თქვენ ხომ მოსკოვში დაამთავრეთ სამხედრო აკადემია?

– დიახ, მაგრამ საქართველოსთან კავშირი არასოდეს დამიკარგავს!

– ტყვედ როდის და როგორ ჩავარდით? – ქართულად შევეკითხე და საუბარში შევეცილე ბაუნს!

1941 წლის 16 ივლისს, ვიტებსკის მისადგომებთან, დაჭრილი მიპოვეს! – იაკობის ქართულმა პასუხმა ჩემში გაკვირვება გამოიწვია, ასე თავისუფლად რომ გადავიდა გერმანული საუბრიდან ქართულზე. მაშინ არ ვიცოდი თუ რისთვის მოგვცა ჰერმან ბაუნმა ქართულად საუბრის უფლება, მოგვიანებით გავიგე, რომ ჰერმან ბაუნი, „შტა–ვალის“ სადაზვერვო განყოფილების უფროსი, ოდესაში ყოფილა დაბადებული, იყო ზედმიწევნით განათლებული პიროვნება, უმუშავნია სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაებზე, ძირითადად სამხედრო–სადაზვერვო ორგანოს წარმომადგენლობაში. იყო მუხანათი და დაუნდობელი, ცბიერი და ვერაგი, გატაცებული ლიტერატურითა და ხელოვნებით. ხელმძღვანელობა აფასებდა, როგორც გამოცდილ და თავდადებულ სამხედრო მზვერავს. საბჭოთა კავშირში უმუშავია სხვადასხვა საკონსულოებში ოდესაში, ხარკოვში, კიევში, საგანგებო მივლინებით ყოფილა ბაქოში, თბილისში, ბათუმში... თბილისში ყოფნის დროს უცხოვრია გერმანიის საკონსულოში, აქედან გამომდინარე, ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ და ქართულ ენებს. აი თურმე რისთვის უნდოდა გაიძვერა მზვერავს ქართულად გვესაბურა, თავი კი მხოლოდ გერმანული ენის მცოდნედ მოეჩვენებია ჩვენთვის და ორი ქართველის სულში ჩაძრომით გაეგო ჩვენი აზრი და შემდგომი მიზნები.

– თქვენ ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდა ხართ, უბრალოდ მენანებით – ისევ იაკობს მიუბრუნდა ბაუნი – არ მინდა უმკაცრესი ზომები გამოვიყენო თქვენს მიმართ, იმიტომ,

რომ ჩვენი ერი ცივილიზებული და კათმოყვარეა, თქვენ კი რამდენადაც განათლებულები ხართ, იმდენად მეტად უვიცნი მეჩვენებით!

— რაში გამოიხატება თქვენი კაცთმოყვარეობა და ცივლიზაციის ნაყოფი, ადამიანთა გვამებით მიწის განაყოფიერებაში? სოფლების გადაწვასა და ქალაქების დანგრევაში? ქალწულთა გაუპატიურებაში? გაზის კამერებსა და კრემატორიუმებში? და თქვენ, განვითარებულ, ერთ–ერთი უმაღლესი რასის წარმომადგენლებს, ენა გიბრუნდებათ სათქმელად, რომ თითქოს კაცობრიობის განვითარების იდეა გამოძრავებთ?!

— იაკობ! — მისთვის ჩვეული ტექტით წარმოთქვა ბაუნმა, — არ ვფიქრობდი, აკადემია დამთავრებული ადამიანი, თუ ორდენის ერთ მხარეს დაინახავდა, ამდენად ფრიად გაოცებული ვარ თქვენი მსჯელობით! ჩვენს მიერ წამოწყებულ ომს გააჩნია თავისი სტატუსი, მისია და მიზანი! თქვენ უარესი „მშვიდობიანი“ გზით ჩაიდინეთ და მას „რევოლუცია“ უწოდეთ! ომი დამთავრდება და ჩვენც შევცვლით სტატუსს, მას „დაჩაგრული ერების განთავისუფლებას“ ვუწოდებთ, მაშინ თქვენც შეხედავთ ორდენის მეორეს მხარეს, რომელსაც დღეს საკუთარ მკერდს აფარებთ!

— რევოლუცია ყველა სახელმწიფოში ნახტომია საზოგადოებრივი განვითარების საფეხურზე, მას მოსდევს ძირეული თვისებრივი ცვლილებები სოციალურ ცხოვრების ყველა სფეროში, რევოლუცია ბუნების, საზოგადოებისა და შემეცნების მოვლენათა ღრმა თვისებრივი შემობრუნებაა შრომისა, სიყვარულისა, კეითლსინდისიერებისა და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილისა, განთავისუფლება ბატონობისა და ძალმომრეობისაგან! თქვენს მიერ წამოწყებული ომი კი, კაცობრიობის გაჟლეტაზე და მხოლოდ თქვენი ერის ბატონობაზე ოცნებობს, შემდეგ თქვენც მოისურვებთ, ორდენის მხოლოდ ერთი მხარე დაანახოთ ხალხს, თუმცა ეს არ მოხდება, თქვენი გამარჯვება მაქვს მხედველობაში! თქვენ, ვინტილიატორში შემთხვევით მოხვედრილი ბუზი მგონიხართ, რომელსაც ვინ-

ტილიატორის ფრთებთან ბრძოლისას თავი დონკიხოტი ჰგონია! არასოდეს დაიფარება თქვენს მიერ განვლილი გზა, ისტორია არ დაივიწყებს თქვენს ნამოქმედარს, როგორც არ ეძლევა დავიწყებას ტევტონთა განადგურება ტანენბერგთან! ვიცი ამის გახსენება გერცხვინებათ და დღესაც გაკანკალებთ სამსონოვის შიში, მაგრამ ამჟამად სხვა რუს მხედართმთავრებს ვერ დაემალებით და ისტორიაც იტყვის თავის სიტყვას!

ვისმენდი მათ საუბარს და მწამდა, რომ ბაუნი მართალი იყო და არც დღეს მჯერა, რომ მათი დანაშაულებრივი მოქმედებანი გაუნათლებლობით ყოფილიყოს გამოწვეული, რა თქმა უნდა, არ არის სწორი, როგორც ამას გერმანიის დამარცხების შემდეგ მსოფლიოს პრესა წერდა, თითქოს ჰიტლერი „სულით ავადმყოფი“ ყოფილიყოს, გერინგი „მორფინისტი“, ჰესი „ნახევრად შეშლილი მოგვი“, რიბენტროპი „გონებაჩლუნგი და დეგენერატი“, რობენბერგი „ცრუ ფილოსოფოსი“, შრაიხერი „ამორალური, გახრწნილი პიროვნება“, კაოტენბრუნერი „სისხლის მსმელი ჰიენა“... რომელთაც ერთი „გიჟი, კაციჭამია ეფრეიტორი“ მეთაურობდა.

ჰიტლერი „კაციჭამია“ კი არა, ვეგეტარიანელი იყო, რომელსაც თავისი სიცოცხლის მანძილზე, არანაირი ხორცის ნაწარმი არ გაესინჯა. ერთხელ ასეთი საოცარი ამბავიც მოხდა მის ცხოვრებაში: როცა გერმანელები ავსტრიას შეესივნენ, ჰიტლერიც მათთან იყო და მოწინავე მოტომექანიზებულ ნაწილს მიჰყვებოდა, რამეთუ ფიურერი პირველი შესულიყო ვენაში, შესვენების დროს, ჰიტლერის ბუნების უცოდინარმა მზარეულმა, მას შემწვარი კრავი მიართვა სადილად... ჰიტლერი გაცოფდა და ყვირილით ისტერიკამ მოუარა, შემდეგ უკან აპირებდა გამობრუნებას თავის ჯარიანად, მაგრამ სარდლობის დაჟინებულმა თხოვნამ დააწყნარა და იმ დღეს საერთოდ არ უჭამია საჭმელი. ამის შემდეგ მას სპეციალურად ნავარჯიშევი ვეგეტერიანელი მზარეული ემსახურებოდა...

ჩვენი მსჯელობით თუ საღი თვალით არ დავინახავთ გერმანელთა ძლევამოსილებას, ამით შევამცირებთ იმ დიდი

გამარჯვების მნიშვენლობას, რაც ასეთი უდიდესი მსხვერპლის გაღებით მოიპოვა კაცობრიობამ.

– ვისაც ჩემთან უსაუბრია ჩვენი მხედართმთავრობის სახელით, მათ შორის, ბატონო ჰერმან, თქვენ, ყველაზე განათლებული მეჩვენებით, – უთხრა იაკობმა ბაუნს – და ვფიქრობ წაკითხული გექნებათ ნიცშეს „წინასწარმეტყველება“: „თუ შენ გინდა ახვიდე მაღლა, ადი საკუთარი ფეხით, ნუ მოინდომებ აგიტანონ იქ და ნურც დაჯდები სხვების ზურგსა და თავზე! შენ არ შეისმინე ჩემი, მაინც შეჯექი ცხენზე და ამაყად მიემართები მიზნისაკენ? გასწი მეგობარო, მაგრამ გახსოვდეს, შენი კოჭლი ფეხი იმ ცხენზედაც შენთან იქნება და როდესაც ჩამოხტები, მოკლე ფეხი გიმტყუნებს და წაიქცევი!“ დიახ, გერმანია სხვას მიჰყავს განდიდებისაკენ და თქვენ მიზანმიუღწევლად წაიქცევით!

– ეს წინასწარმეტყველებაა თუ ფიქრი, როდესაც ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ?! ვიცი დიდ ჩრდილქვეშ იმყოფება ჩვენი განდიდება, მაგრამ ჩრდილი ომს კი არა, ნათელ მიზნებსაც ახლავს, გამარჯვება კი ყველგან ღრუბელს გაფანტავს! დღეს გერმანიის ძლევამოსილება რამ უნდა შეაჩეროს, როდესაც ლამანშიდან – ვოლგამდე და აქეთ აფრიკამდე ყველგან ჩვენი იმპერიის დროშები ფრიალებენ?

– უკუნი ღამეც კი განთიადით მთავრდება, თქვენი გამარჯვება შეუძლებელია, რადგან თქვენი ომი არ არის სამართლიანი!

– სამართლიანი ომი, არ არსებობს, ყველას ხოცვა–ჟლეტვა მიუძღვის წინ, ადამიანთა სიკდვილი კი ყველა უსამართლოა, რადგან ღვთიური ძალა უკრევია ადამიანის გაჩენაში, ჩვენ აღვსდექით ღვთიური ძალის წინააღმდეგ, მაგრამ შენ ადამიანო, შეგიძლია შეაჩერო ეს მკვლელობები ერთი პატარა წერილის დაწერით! ჯიუტობ და არ წერ! მაშინ შენც მკვლელი ხარ ჩემთან ერთად!

– თქვენ გგონიათ, რომ სტალინი ჩემს წერილს დაუჯერებს? მე სტალინისათვის ჯარისკაცი ვარ და მეტი

არაფერი, ისე, როგორც ის ჩემთვის სახელმწიფოს მმართველი, გავიგე, რომ სტალინს სთხოვეს თანხმობა, ჩემი ტყვეობიდან დასახსნელი ოპერაციის ჩასატარებლად, რომელიც რასაკვირველია დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული, სტალინს არ გაუზიარებია ეს წინადადება და უთქვამს: „რაიმე გამონაკლისის დაშვება ერთი ტყვე მეომრის გამო, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია! იაკობი გაუძლებს ტანჯვას და მჯერა ის ჩემი და ჩემი ხალხის ერთგულ შვილად დარჩება!“

– თქვენ საიდან გაიგეთ ეს, ვინ მოგაწოდათ ცრუ ინფორმაცია?

– ჩვენთან ბანაკში ახალ–ახალი ტყვე ჯარისკაცები შემოჰყავთ და მათ მიერ მოტანილი სიახლეებით ვსარგებლობთ! – ბაუნს უკმაყოფილება დაეტყო, ტუჩი აიბზუა, ქერა თმაზე ხელი გადაისვა და ისევ მანიშნა საუბარი ქართულად განმეგრძო... აშკარად მეტყობოდა დაბნეულობა, ამ ახალგაზრდის წინაშე სასაუბროდ სათქმელს ვერ ვპოულობდი, ბაუნის ბრძანებისათვის გვერდის ავლა არ შეიძლებოდა, ძალა მოვიკრიბე და იაკობს ვუთხარი:

– თქვენი აქ დაღუპვა საქართველოს დიდ ზიანს მოუტანს! ხომ არ აჯობებდა აქედან თავი დაგეღწია როგორმე და იოტისოდენა სარგებელი მოგეტანა სამშობლოსათვის?

– შენ ცრუობ, ქართველი არა ხარ! – დაჰკვესეს მისმა თვალებმა.

– როგორ გეკადრებათ, ქართველი ვარ და უმაღლეს საზოგადოებაში აღზრდილი...

– თუ ქართველი ხარ, ერთხელ მაინც არ გადაგიხედავს საქართველოს ისტორიისათვის? არ იცით თუ რისთვის იკლავდნენ ჩვენი ქართველი მეომრები ტყვეობაში თავს? არ იცი და გეტყვი: იმიტომ რომ, რწმენა ჩაენერგათ ხალხისათვის, უკუეგდოთ ღალატი, არ ჰქონებოდათ სიკდვილის შიში და ვერავითარ ტანჯვას ვერ აღმოეფხვრა სამეფო ხალხის გულში სამშობლოს სიყვარული! ვიცი, მე ბევრ

ტანჯვას გავივლი, მაგრამ იმაზე მეტს კი არა, რაც ქეთევან დედოფალმა განიცადა! შეიძლება ჩემმა საფლავმაც არ იარსებოს, რამეთუ აქ ყველას როდი მარხავენ, მაგრამ ჩემმა, ქარხში გაფანტულმა ფერფლმა, შესაძლებელია ჩემს ხალხს მეტი სიკეთე მოუტანოს, ვინემ გერმანიაში დადგმულმა შენმა მარმარილოს ძეგლმა!

შემრცხვა... ბაუნს გაეცინა და ღიმილით მითხრა:

– წამოგიყვანე, რომ ჩვენსკენ გადმოგებირებია, თავის სამშობლოზე ესოდენ შეყვარებული და უტეხი ვამპირი, აქ კი მგონი პირიქით მოხდა, შენ გადაგიბირა თავის მხარეზე!

ბაუნის სიტყვა თითქოს არაფრად ჩავაგდე და ისევ ქართულად ვკითხე იაკობს:

– მე რას მირჩევდით?

– თქვენ ჩემთან რჩევისათვის არ მოსულხართ, მაგრამ რაკი მეკითხებით, გიპასუხებთ, რაც ჩვენამდე თქმულა პოეტის ლამაზი სიტყვებით:

„ვიტყვი, ჯვარზე მაცვან თუნდა,
გამოვადგე მამულს უნდა,
ან სიცოცხლით, როგორც ვაჟა!
ან სიკვდილით, როგორც ცხრა ძმა...
არ არსებობს რადგან სხვა გზა!“

მითხრა ჩემთვის უცნობი პოეტის ეს ლექსი, შემდეგ ზეზე წამოდგა და ბაუნს გერმანულად თხოვა:

– უბრძანეთ გამიყვანონ! – ბაუნმა უხმოდ გადახედა ორ ესესელს და თვალით ანიშნა გაეყვანათ.

ის გავიდა უხმოდ, დინჯად, აუღელვებლად, ისე რომ არც კი დაგვემშვიდობებია და მე პირადად სულიერად აფორიაქებული დამტოვა...

ბაიტენფურტში მე და ბაუნი მეორე დღეს დავბრუნდით, დაუყოვნებლივ მოვძებნე კობა და ყველაფერი ვუამბე რომ ცოტა მაინც დავმშვიდებულიყავი, მაგრამ მან კიდევ მეტად

ამაფორიაქა, როდესაც ცრემლიანით ვალები მომაპყრო და მითხრა:

– სწორედ იაკობი ყოფილა პატრიოტი!

ჯერ კიდევ 1941 წლის მარტის 27 რიცხვში დაარსდა სააქციო საზოგადოება „კონტინენტალური ნავთობი“, რომელსაც მთლიანად უნდა აეთვისებინა ბაქოსა და გროზნოს ნავთობის წარმოება, შეიქმნა სპეციალური დამსჯელი რაზმი ოლენდროფის ხელმძღვანელობით, რომელიც ფიურერმა კავკასიის რაიჰკომისრად დანიშნა როზენბერგის რეკომენდაციით.

გარდა დამსჯელი რაზმებისა და ემიგრანტთა სადაზვერვო სკოლადამთავრებულებისა, ტყვეებისაგან შეიქმნა ნაციონალური ლეგიონები, ამ ლეგიონებს სათავეში ედგათ დამსჯელი ჯარის რამოდენიმე ესესელი და გერმანელი ოფიცერი, მისი ხელმძღვანელის შიკედანცის ბრძანებით ნაციონალური დამსჯელი ჯარები უნდა გაეგზავნათ არა თავიანთ სამშობლოში, არამედ ქართველთა ლეგიონი – სომხეთში, სომხეთისა – აზერბაიჯანში, აზერბაიჯანისა – საქართველოში... ამით გარდაუვალი იყო ნაციონალური მტრობის გაღვივება, რაც გერმანელთა წისქვილზე დაასხამდა წყალს! ბატალიონის წევრებმა გაიგეს რა შიკედანცის ვერაგული ჩანაფიქრი, დაიწყეს შეთქმულების მომზადება, რომ არავითარ შემთხვევაში თავისიანების წინააღმდეგ არ ებრძოლათ და როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, იარაღით გერმანიის წინააღმდეგ შეტრიალებულიყვნენ... ერთ–ერთი ასეთი შეთქმულების ლიდერი, კაპიტანი წიკლაური იყო! ობერლენდერმა მიაგნო მათ კვალს და ყველანი დახვრიტეს, მაგრამ ამით არ ჩამქრალა საპროტესტო მოძრაობა ბატალიონებში... კანარისი ყოველდღიურად აფართოებდა თავისი დივიზიის მოქმედების ფარგლებს, მან დაიწინაურა და ძირითადი ბატალიონების მოსვლამდე კავკასიის მისადგომებთან შექმნა ორი „გამანთავისუფლებელი“ ორგანიზაცია: „თამარი I“ და „თამარა II“, მას მოჰყვა ორი სამხედრო ნაწილის შექმნა „ბულბული“ და „მთიელი“, ობერლენდერის ფიქრით „მთიელს“ უნდა მოეხსნა კავკასიის კარიბჭე,

რათა გერმანელებს გაადვილებოდათ წინსვლა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ, იმის ნაცვლად, რომ ბრძოლით მისულიყვნენ კავკასიის დამცველთა რაზმთან, სამოცდაათი კაცი ხელებაწეული, საბჭოთა მეორმრების მხარეზე გადმოვიდნენ... გამძვინვარებულმა ესესელებმა ყველა ყოფილი ტყვე და ზოგიერთი ემიგრანტიც დასახვრეტად გაამზადა! მე, კობამ და ყოფილმა საბჭოთა ტყვეებმა, კაპიტანმა ზურაბ დოხნაძემ, სერჟანტმა კაკო მანჯავიძემ, ჯარისკაცმა ილია მშვენიერაძემ, ამ უკანასკნელის დახმარებით დროულად შევიტყვეთ გერმანელთა განზრახვა და ხუთეულმა მოვახერხეთ კიდეც იმ ღამესვე გამოპარვა...

თითქოს მშობლიური მთები გვეძახდა და გვასწავლიდა გზას, ისე თავისუფლად მოვდიოდით, თვითონ გვიკვირდა ღმერთის ესოდენ დიდი წყალობა, მდევარი არ ჩანდა და არც ჩვენ ვჩქარობდით, მოვგიანებით შევიტყვეთ, რომ გერმანელებს ჩვენთვის აღარ ცხელოდათ, რადგან მათ გაერთიანებულ დივიზიაში, ყოფილ ტყვეებზე იარაღის ჩამორთმევის დროს, ამოუწყვეტიათ სობით ყოფილი ტყვე და ემიგრანტი, მაგრამ არც ეს უკანასკნელები დარჩენილან ვალში, ბევრმა ისეთმა მიიღო კავკასიის მიწა, რომელთაც სრულებითაც არ ეკუთვნოდა...

წყნარად მოვდიოდით, ჩვენი თანამგზავრი, ყოფილი ჯარისკაცები გერმანელებს უფრთხოდნენ და რომელიმე საბჭოთა შენაერთს ეძებბდნენ, მე და კობა კი ორივეს გავურბოდით, რადგან ბრწყინვალედ ვიცოდით, რომ არც ერთი არ გვაპატიებდა ჩვენი უკუღმართი ცხოვრების წარსულს.

შეუსვენებლივ ვიარეთ, ღამით გამოვიარეთ სახიფათო და საპატრულო ადგილები, აპრილია, სიცივე არ არის და მთას შევაფარეთ თავი, დილით ერთ ნაკადულთან შევისვენეთ და სურნელოვან ნეშოში გავეხვიეთ, გამოვიძინეთ, ალბათ ჩემს სიცოცხლეში ისე ტკბილად და გემრიელად არ მძინებია. გამოგვეღვიძა, ნაშუადღევის სამი საათი სრულდებოდა, ერთმანეთს გადარჩენა მივულოცეთ და ძმურად გადავეხვიეთ! ჩვენ ხომ ერთმანეთს მხოლოდ დანახვით ვიცნობდით, დღეიდან კი

მეგობრები უნდა ვყოფილიყავით, ამიტომ ერთმანეთს უფრო ახლოს უნდა გავცნობოდით, პირველად მე მოვყევი ჩემს წარსულს, რა თქმა უნდა ყოფილ ჯარისკაცებს არ მოეწონათ, მაგრამ კაკო მანჯავიძემ მაინც დაგვაიმედა:

– ნუ გეშინიათ, წითელი არმიის რომელიმე შენაერთს ვნახავთ და მე ვიქნები თქვენი თავდები, არაფერსაც არ გეტყვიან...

– რა იცი შენ, ეტყვიან თუ არა, – უთხრა ზურაბ დოხნაძემ – ასეთ საქმეს რომ ითავებ, პასუხისმგებელიც უნდა იყო ყველაფერზე, შეიძლება შენც არ გაპატიონ ტყვეობა და ამ მუნდირის ტარება, რომელიც გაცვია, სხვას კი უდგები თავდებად, რომ არ აპატიონ, შენ დაუბრუნებ სიცოცხლეს?

– აბა რა ჰქმნან, ასე ტყეში იყვნენ ნადირივით და ორივე მხარეს ემალონ?

– ეს არ ვიცი, რა უნდა ჰქმნან, დავჯდეთ, მოვიფიქროთ...

– ოჰ, ვინმე ორი საბუთიანი მკვდარი, რომ გვანახა, კარგი იქნებოდა... ნაღდია, ჩვენს მეტს არავის ეცოდინებოდა თქვენი ნამდვილი სახელი და გვარი – თქვა კაკომ.

კაკოს სიტყვებმა ათასი შავი აზრი დამბადა თავში, მაგრამ საკუთარ თავს შემოვუძახე და საბჭოთა არმიის ყოფილ მებრძოლებს ვთხოვე, ისინიც მოყოლოდნენ თავიანთ წარსულს.

– მოვყვეთ, რა გვენაღვლება, დრო კი გვაქვს თავზე საყარი... – თქვა კაკომ და ზურაბს გადახედა, რომ კაპიტანისაგან თანხმობა ჰქონოდა.

– მემუარების მოყოლა დროებით შევწყვიტოთ – თქვა კაპიტანმა – რადგან კუჭი უკვე მანიორას აკეთებს და სადღაც მოვძებნოთ რაიმე, თორემ ამ ტყეში შიმშილით მოვკვდებით!

– მოდი კენჭი ვყაროთ! – თქვა კაკომ – აი ხუთი ასანთის ღერი, მათ შორის მხოლოდ ერთს აქვს თავი მოტეხილი, ვისაც შეხვდება, ის წავიდეს დაზვერვაზედ, რადგან ხუთივეს წასვლა სახიფათოა! იმ ერთმა გაიგოს ახლო–

მახლო სოფელი ან რომელიმე სამხედრო შენაერთი ხომ არ არის და პროდუქტს თუ არ მოიტანს, ამბავი მოგვიტანოს, ვინც აქ დარჩება მათ კი ისაუბრონ მეხუთეს მოლოდინში. თანახმა ხართ?

– კი ბატონო! – ერთხმად ვუპასუხეთ ყველამ. კაკომ ასანთის ღერები თითებში ისე ოსტატურად მოიმწყვდია, რომ ბოლოები ოდნავ გამოუჩნდა და პირველად ილია მშვენიერაძეს მიაწოდა:

– ამოიღე ბიჭო ასანთის ღერი, რომ გაჩუმებულხარ და სირბილის მეტი არაფერი გაგეგება! – ღიმილით უთხრა კაკომ თანამოსაუბრეს და ასანთის ღერები მიაწოდა, ილიამაც ღმერთი ახსენა: „სეზამ გაიღეო“ თქვა და თავნოტეხილი ასანთის ღერი ამოიღო.

– ჩემი იღბლის დედა! – დაიძახა ილიამ, გიმნასტურაზე სამხრეები დაგლიჯა, ქუდი მოიხადა, ერთმანეთში გაახვია და სადღაც შორს მოისროლა. – ჰე, აბა წავედი მე, ჭკუით იყავით და არ იცელქოთ! მალე დავბრუნდები! – ამ სიტყვებთან ერთად ტყეში გაუჩინარდა.

ჩვენც ოთხივემ მშვენიერაძეს წავბაძეთ, ქუდი და სამხრეები მიწაში დავმარხეთ და ტკბილი საუბარი გავმართეთ.

პირველად თავგადასავლის მოყოლა ზურაბმა დაიწყო:

– დავიბადე ყოველგვარი სურვილის გარეშე 1922 წელს, ამბროლაურის რაიონ სოფელ ნიკორწმინდაში, ამჟამად მას სინათლე ჰქვია „ნიკორა“ კოლექტივს ჩავაბარეთ, „წმინდა“ კომუნისტებმა წაგვართვეს, ჰო და სოფელს უსახელოდ ხომ არ დატოვებდნენ, ავდექით და ჩვენ თვითონ დავარქვით სინათლე, რაღა ბევრი მოგახსენოთ ქვე თქვენი თავის ჭირმე, ქვე გევიზიარე იმ სოფლეში – ზედმეტად გალაღებული, ხუმრობის ხასიათზე იყო ზურაბი – ჰოდა ააშენა ღმერთმა კომუნისტები, იქვე, სახლის კუთხესთან სკოლა ააშენეს და მეც ვისწავლე შიგ თერთმეტი წელიწადი, მართალია ხან კლასში ვიყავი და ხან დერეფანში, მაგრამ მაინც ავიღე სიმწიფის ატესტატი, რომელიც ჩემთვის მკუხე გამოდგა,

რამეთუ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ვერ ჩავაბარე! არ მიჯავრია ეს ამბავი, რადგან სახლში მარტო დედა მყავდა და მასთან განშორება მიძნელდებოდა, მამა კი 1924 წელში დამეღუპა, თურქებს ებძროდა ხულოში, დასაფიცი რა მაქვს, რაჭველი იყო მამაჩემი და იმდენხანს უმიზნა თოფი, ვიღაც ქეციან თათარს, სანამ არ მივიდა და ხმლით თავი არ გაუჩეხა. დედაც რაჭველი მყავს, მწერდა: „ჩქარა მოდი ვკვდებიო“, მაგრამ ეს არაფერი, ჩვენთან ქალები რომ იტყვიან „ვკვდებიო“, სამოცი წელიწადი კიდევ ცოცხლობენ, ძალიან ნელი ხალხი ვართ... ვიცი ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ერთი დარდი მაქვს გულში, შეყვარებული მყავს ნამეტანი ლამაზი, კოხტა, ტანადი და თვალ–წარბ–წამწამ მომღიმარი, ოცი წელიწადი მოვუნდი ერთადერთი სიტყვის თქმას და როგორც იქნა ვუთხარი „მიყვარხარ!“, თქმით კი ვუთხარი, მაგრამ ისე გავწითლდი ეს შავი ყმაწვილი, რომ სანამ წითელარმიელის ფარაჯა არ ჩავიცვი, სიწითლემ არ გადამიარა...

ამბროლაურში კომისარი ქუთაისელი ფუტკარაძე იყო, 1940 წლის ნოემბერში დაგვიბარეს წვევამდელები და კომისარის მცირე, დამრიგებლური საუბრის შემდეგ, ნავთლუღის გამანაწილებელ პუნქტში მოვხვდით, ჩვენ შემოგვიერთდა თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, ხარაგაულის და კიდევ რამოდენიმე შენაერთი, თმავმოხოსრილი, პირტიტველა ყმაწვილებით სავსე იყო ნავთლუღის გამანაწილებელი პუნქტის ეზო, დაიწყო გადარჩევა, ვისაც საშულაო სკოლა ჰქონდა დამთავრებული ცალკე დაგვაწყვეს, სწორედ იქ გავიცანი ეს ახალგაზრდაც რომელიც დღემდის გვერდიდან არ მომცილებია – ზურაბმა კაკოზე მიგვითითა – მეორე დღეს ოცდაათი კაცი ახალციხის საარტილერიო–სამხედრო სკოლაში მიგვიყვანეს. დავიწყეთ სწავლა, მიუხედავად იმისა, რომ რაჭველი ვიყავი, მაინც ჩქარა ავითვისე სამხედრო საქმე და ექვსთვიანი სწავლის შემდეგ 1941 წლის 18 მაისს ოცდაორი ქართველი ვიტებსკის გამანაწილებელ პუნქტში ჩაგვიყვანეს. მე, კაკო,

ელიზბარი და ელგუჯა მეთოთხმეტე დივიზიის, მეთორმეტე საჰაბიუციო – ბატარეიაში ჩაგვრიცხეს.

ხმა დაირხა, რომ პოლონეთზე გამარჯვების შემდეგ გერმანია საბჭოთა კავშირზე აპირებდა თავდასხმას და ჩვენც შევუდექით სამხედრო წვრთნას, დღისით თუ ღამით მოსვენება არ გვქონდა და კარგადაც შევისწავლეთ სამხედრო საქმე.

1941 წლის 22 ივნისს ამოსული მზე არავის დაუნახავს... მზე თვითმფრინავების ღრუბელმა და აფეთქების შედეგად ავარდნილმა ალმა დაფარა. სწრაფად მოიწევდნენ წინ გერმანელი ურდოები და ექვს ივლისს გააფრთებულ ბრძოლაში ჩავებით, ჩვენი დივიზიის მეთაური ვასილიევი და დივიზიის საგანგებო განყოფილების უფროსი ჩერიომუხინი ლეგენდარული სარდლები იყვნენ, რომელთაც ბრწყინვალედ იცოდნენ სამხედრო საქმენი და ცამეტ ივლისს ვიტებსკზე შეტევა განვახორციელეთ, მეორე დღეს ფაშიტებმა ჩრდილოეთიდან შემოგვიარეს, რკალში მოგვიმწყვდიეს, ვერ შევძელით მტრის სამი არმიის შეჩერება და მთელი დაჯგუფება თითქმის გაგვანადგურეს. მე და კაკო, ერთ ასსამოც მილიმეტრიან ქვემეხს ვემსახურებოდით, მე „ნაოდჩიკი“ გახლდით, კაკო კი მსროლელი, როდესაც „პრიცელი“ გავასწორე და კაკოს უნდა გაესროლა, ამ დროს გერმანიის ავიაციამ ჭურვები თავზე დაგვაყარა და ჩვენი ქვემეხები ნამსხვრევებად აქცია, ხოლო ჩვენ ჰაერის ტალღამ, სამიოდე მეტრის მოშორებით გაგვტყორცნა და ზემოდან მიწა გადაგვაყარა... კაკოს კისრის მალები ჰქოდა დაზიანებული და ორივე მხრის ძვლები მოტეხილი, მე კი ჭურვის ნამსხვრევმა ბარძაყი გამომიშიგნა და ძვალთან გაჩერდა. ორივეს გრძნობა გვქონდა დაკარგული. უმალ მაინც მე მოვედი აზრზე და კაკოს ძებნა დავიწყე, შორს არ წავსულვარ, იქვე, ნახევრად დამარხული ვიპოვე, მათარა გავხსენი და სპირტით დავზილე, მალე გრძნობაზე მოვიყვანე, მაგრამ ვგრძნობდი მე ვკარგავდი გონს, სისხლისაგან ვიცლებოდი და ჩემი გადარჩენის შანსი აღარ იყო, როდესაც მოსულიერებულმა კაკომ ამ ყოფაში დამინახა, იმ წამსვე პერანგი შემოიხია, ქამრით ჭრი-

ლობის ზედა ნაწილი გამიკრა და პერანგის ნახევებით ჭრილობა შემიხვია.

განძრევის თავი აღარ გვქონდა და არც არავითარი იარაღი, მტრისაგან რომ თავი დაგვეცა, საგონებელში ჩავვარდით, ბედი განგებას მივანდეთ და ხანდახან თუ ამოვიკვნესებდით ხოლმე, მრავალჯერ დავკარგეთ გრძნობა და ამდენჯერვე მოვეგეთ გონს, სროლის ხმა კანტი–კუნტად ისმოდა, ვგრძნობდი ჩვენი დივიზიიდან გადარჩენილები უკან იხევდნენ, ჩვენს ბატარეიაში კი ვიცოდი ცოცხალი აღარავინ იყო, თუ უკიდურეს შემთხვევაში ჩვენსავით დახეიბრებულს არავის იპოვნიდნენ... იმ წუთში მიცვალებულებს შევნატროდით, რამეთუ ვიცოდით მალე ფაშისტთა ფეხოსანი არმია გადმოივლიდა და ვინ იცის, რა ტანჯვას გაგვარონინებდნენ ტყვეობაში... მყარია ახალგზრდა კაცის სული, ძნელად ამოდის, არ უნდა ორგანიზმთან განცალკავება, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია ახალგაზრდა კაცისაგან სიკდვილის ნატვრა. ტვინი კი გამალებით მუშაობს, წევხარ დაჭრილი, იცი ვეღარასოდეს ადგები, იგონებ ბავშვობას, ყრმობას, დედას, პირველ სიყვარულს... და იმ ადამიანსაც კი, რომელიც დღემდე არასოდეს არ გაგხსენებია...

ასეთ არასასიამოვნო მოგონებებში განვლო თოთხმეტი ივლისის ღამემ და თხუთმეტი ივლისის მთელმა დღემ, იმ საღამოს, ხანგამოშვებით, ავტომატური თოფიდან გასროლის ხმა შემოგვესმა, თოფის ხმაზე ვიცანი, გერმანელ ფეხოსანთა დამსჯელი ბრიგადა გვიახლოვდებოდა და ადგილზევე ხვრეტდნენ დაჭრილებს.

კაკოს გადავხედე, გავუღიმე და განსაცდელისათვის მოვემზადეთ. ორიოდე წუთსაც არ გაუვლია, ჩვენს წინ სამი გერმანელი ჩამწკრივდა.

– ამოდით ზევით! – ბრძანა ერთმა და ჩვენს ირგვლივ ტყვიების სეტყვა დააყენა.

მე და კაკოს ნაკვთიც არ შეგვკრთობია, დიდიხანია ამ განსაცდელს ველოდით...

– მკვდარია, მიდი გაჩხრიკეთ! – თქვა იგივე ხმამ და უმალვე ვიღაცის ძლიერმა ხელმა გულაღმა გადმომაბრუნა, პირველ რიგში შემხსნეს საათი და პირი დამაღებინეს, ცხადია ოქროს კბილებს დაეძებდნენ, იღბალი, არ აღმომაჩნდა, თორემ ერთ ტანჯვას იმათ დაძრობაზე მაგემებდნენ. შემდეგ ჯიბეები გადმომიბრუნეს, საბუთები ამომილაგეს და ასევე მოექცნენ კაკოსაც.

– მკვდრები არიან! – თქვა ჩვენმა გამჩხრეკმა და ვიგრძენი თუ როგორ შემართა თოფი, მაგრამ პირველის ხმამ შეაჩერა:

– კარგად გასინჯე, საბუთების მიხედვით ესენი რუსები არ არიან და ნაციონალური ლეგიონის შესავსებად გამოგვადგებიან! – გამჩხრეკი ისევ ჩვენთან მოვიდა და მაჯა აიღო რომ გულის ცემ აგაეგო, მაგრამ მე დავიკვნესე, კაკომაც წამბაძა და არ ვიცი გერმანელმა ზიზღით თუ სიხარულით წამოიძახა: – ცოცხლები არიან!

– დაუსვეთ დროშა! სანიტარული დახმარება მოვა და ჰოსპიტალში წაიყვანენ! – თქვა ისევ პირველის ხორხიდან ამოსულმა ხმამ. მართლაც ხუთიოდე წუთს არ გაუვლია, სანიტარული მანქანა მოვიდა და ასე ამოვყავით თავი ვიტებსკის ჰოსპიტალში.

საყვედურს ვერ ვიტყვი, ღმერთმა ააშენა ექიმი შტიველი, მედიცინისათვის მართლაც სულ ერთი ყოფილა მტერი და მოყვარე, ძმურად მოგვიარა, საკუთარ თავზე იდო ჩემი ფეხის შენარჩუნება, რაზედაც ყველა ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს. კაკოს კისრის მალები ჰქონდა დაზიანებული და კანტუზია მიღებული, მასაც დიდებულად უმკურნალა, ასე, რომ ახლა არავითარი სიგიჟის მონაცემები აღარა აქვს – სიცილით თქვა ზურაბმა და კაკოს გადახედა.

– ბიჭო, მე არავითარი კანტუზია არ მქონდა, მაგრამ სიგიჟეს ვიგონებდი, ასე სჭირდებოდა იქ საქმეს! – თქვა კაკომ და ზურაბს წყენით გადახედა, რითაც უსიტყვოდ აგრძნობინა „ჩემს პიროვნებას ნუ ეხებიო“. ზურაბმაც მორცხვად დახარა თვალები და საუბარი განაგრძო:

– თერთმეტ ოქტომბერს, ვიტებსკში, საგულდაგულოდ აშენებულ ტყვეთა ბანაკში გადაგვიყვანეს, ვერ ვიტყვი, იქ ცუდად ვიყავით მეთქი, რადგან საბჭოეთის მიწაზე დავაბიჯებდით და თავს მშვიდად ვგრძნობდით, გერმანელები კი არც თუ დიდ ყურადღებას გვაქცევდნენ, რამეთუ დარმწუნებულები იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში! მაგრამ, როდესაც საბჭოთა ჯარის წინააღმდეგობანი გამწვავდა და ქალაქში პარტიზანული მოძრაობებიც დაიწყო, ჩვენ ამ დროს იატაკქვეშა ორგანიზაციას ვაყალიბებდით და გასაქცევად ვემზადებოდით, მაგრამ არ გაგვიმართლა, ორ თებერვალს სატვირთო ავტომანქანის ძარაზე დაგვყარეს და რამოდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ წითელი აგურით ნაგებ შენობასთან მიგვიყვანეს, რომელსაც პატარა ეზო და დიდთაღიანი შესასვლელი ჰქონდა წარწერით: „ჰოჰენცოლერნგრუბე“ და რომელშიაც თავისუფლად შევიდა ჩვენი ავტომობილი.

წითელი აგურის შენობას უზარმაზარი ურის ფორმა ჰქონდა, პირველხანებში ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს, მაგრამ მალე გავიგე, რომ აქ მაღაროები იყო განლაგებული და მაღაროთმფლობელების საპატივცემულოდ ერქვა „ჰოჰენცოლერნგრუბე“. საქმე ის გახლავთ, რომ ჰოჰენცოლერნები დიდგვაროვანთა წარმომადგენლები იყვნენ გერმანიაში, სწორედ ისე, როგორც ბაგრატიონები საქართველოში, ან რომანოვები რუსეთში „გრუბე“ კი გერმანულად მაღაროს ნიშნავს, ქართულად, რომ კარგად გავშიფროთ, ჩვენ მიგვიყვანეს „ჰოჰენცოლერების მაღაროში“.

მე და კაკო ისევ ერთად ვართ, იცით, რა არის გაჭირვებაში მეგობრის გვერდით ყოლა? ეს არის აუღწერელი იმედი მომავლისა, იმედით კი შეიძლება წლობით ისულდგმულოს ადამიანმა. მართალია, ყველას შესწევს იმის ძალი, რომ მოყვასის უბედურება ადვილად გადაიტანოს, მაგრამ იმ შემთხვევაში საკუთარი თავის უბედურებას უფრო ადვილად გადაიტანს, როდესაც იცის, მეგობრის დაკარგვით მეტ განსაცდელში ჩავარდება, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

მოგვცეს ბინა და მეორე დღიდან შევუდექით მაღაროში მუშაობას, აქ მეტ წილად პოლონელები შრომობდნენ, მათ უფლება ჰქონდათ ბანაკის გარეთ გასულიყვნენ და არც თუ დიდად შეყვარებულები გერმანელებზე, შეძლების დაგვარად ცოტაოდენი პროდუქტით გვამარაგებდნენ. მე და კაკო გამოღებულ შტოლნებს ვამაგრებდით და სანგრევში მორები შეგვქონდა. მშიერი ადამიანი მაღაროში ვერ იმუშავებს, გერმანიას კი ნახშირი ესაჭიროებოდა, ამდენად ტყვეების კვება იმდენად გამორწყული იყო, რომ მუშაობა შესძლებოდათ, გაქცევა კი ვერა, მაგრამ ჩვენ მაინც ახალი იატაკქვეშა ორგანიზაციის ჩამოყალიბება დავიწყეთ და გაქცევის თადარიგს შევუდექით, პოლონელებთან დამყარებული კავშირით, ერთ თვეში იმხელაზე მივიყვანეთ საქმე, რომ მაღაროს აფეთქება გადავწყვიტეთ, რამეთუ გერმანიისათვის ესოდენ საჭირო ნედლეული (ნახშირი) არ მიგვეწოდებია, თუმცა ჩვენს გადაწყვეტილებას არც აქ ეწერა განხორციელება, რადგან თვით კანარისი ეწვია ჩვენს ბანაკს და ნაციონალური ტყვეების გადარჩევა დაიწყო, გამოგვიძახეს მე და კაკოც, კანარისმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა შეკრებილ ტყვეთა წინაშე:

– „თქვენ, სხვადასხვა ერის, უმაღლესი რასის შვილები ხართ, გაუნათლებელმა, რიცხობრივად უმრავლესმა ბრბომ, შესძლო დაეთრგუნათ თქვენი სამშობლო და მონებად გაეხადათ ხალხი, აბა, როგორ ავხსნათ თქვენი ტყვეთა ბანაკში მოხვედრა? თქვენთვის ხომ გერმანიას ომი არ გამოუცხადებია? ჩვენ ვებრძვით რუსეთს და მათ შორის მხოლოდ კომუნისტებს, რათა მშრომელი ხალხი გავათავისუფლოთ კომუნისტების მონობისაგან!

დღეს თქვენ გეძლევათ საშუალება, ჩვენი დახმარებით, გაანთავისუფლოთ თქვენი სამშობლო! ჩვენ ვიჩენთ დიდ ჰუმანურობას და ნდობას გიცხადებთ, წინამძღოლობა გაუწიოთ გერმანულ ნაციონალურ ჯარს, რომელიც თქვენს სამშობლოს გაათავისუფლებს და თქვენ იქნებით გათავისუფლებული ქვეყნის ბატონ–პატრონნი!...“ არც თუ ბევრი ისაუბრა კანარისმა, მანვე

მოიყვანა ჰიტლერის სიტყვებიდან ცოტაოდენი ციტატები და ჩვენს მიერ ფიურერის ერთგულება მოითხოვა.

ვგრძნობდით მოჩვენებით ლმობიერებას იჩენდნენ ჩვენს მიმართ, თორემ ვინ გვკითხავდა მშიერ, შიშველსა და სულიერად გაძარცვულ ტყვეებს, სად წაგვიყვანდნენ დამპყრობლები? მაგრამ ეს ფუჭი სიტყვები ესაჭიროებოდათ, რამეთუ ჩვენ უნდა გვებრძოლა საბჭოეთის წინააღმდეგ, გერმანიის ასაღორძინებლად!

მეორე დღეს სამოცდარვა, სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ტყე ბრაიტენფურტის სადაზვერვო სკოლაში მიგვიყვანეს... თითქმის ყველას, ერთი და იგივე მომავლის ფიქრი გვამოძრავებდა, არ გვეღალატა სამშობლოსათვის და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ გაგვეჩაღებია. წინასწარი შეგრძნება მკარნახობდა, რომ მიზანს მივაღწევდი! რა არის წინასწარი შეგრძნება? აი ჩვენ აქედან გავსცექრით მთების მიღმა, თუ როგორ მთავრდება ჰორიზონტი, ამ შემთხვევაში ჩვენი თვალთა მიზანი და შეგრძნება სწორია, მაგრამ მსჯელობა იმის შესახებ, რომ ამ მთებს მიღმა მთავრდება ყოველივე, მცდარი! ჩვენ ჩვენი შეცდომა შეგრძნებაში კი არა, მცდარ მსჯელობაში მდგომარეობს!

– ამჟამად რას ფიქრობთ, ან რას გკარნახობთ წინათგრძნობა?

– ისე მიამიტად ვკითხე ზურაბს, თითქოს ყველანი იმის გადაწყვეტილებაზე ვიყავით დამოკიდებულნი.

– ფიქრი ერთია, წინათგრძნობა მეორე, ვფიქრობ, რომ აქ ახლო–მახლო, სადღაც საბჭოთა ჯარი იდგება, რამეთუ კავკასიას დაცვის გარეშე არავინ დატოვებდა, მალე ილია გამოგვცხადება და ყველას საბჭოთა არმიას ჩაგვაბარებს! წინათგრძნობა კი სულ სხვაა, აი აქ ბუნებაში დავძინეთ და დედა მეორედ ვნახე სიზმარში, გამომეცხადა თმაგაწეწილი და საყვედურით აღსავსმემ მითხრა, „შვილო, ბევრ განსაცდელს გადაურჩი და მეგობარს ვერ გადაურჩებიო“. წავიდა, თითქოს

ღრუბლებში მიცურავდა, კიდევ შემომიბრუნდა და მითხრა „ახლობელს ერიდეო“, ეს სიზმარი კი არა, გამოცხადება იყო, იმის შემდეგ აღარც დამძინებია სულ დედაზე ვფიქრობ, ნუთუ ჩემი დედა ისე ჭაღარა და თმაგაწეწილია, როგორც სიზმარში ვიხილე?

– სიზმარს რა ჭკუა აქვს ბიჭო... – უთხრა კაკომ და თხრობის გაგრძელებაც თხოვა.

– მე დავამთავრე, თუ რაიმე დასამატებელია, კაკომ დაამატოს! – თქვა დოხნაძემ და ნეშოში გაგორდა.

– აბა ჩემო კაკო, ახლა შენგან გვინდა გავიგოთ ცხოვრების აზრი... – ვუთხარი მე.

– მოხარული ვარ გაუწყოთ, რომ დავიბადე 1920 წელს, ეროვნებით ქართველი, ჩემი მშობლიური კუთხე ხარაგაულია, სოფელი ბაზალეთი... რა საინტერესოა, თუ როგორ გავატარე ბავშვობა და ვინ მიყვარდა სკოლის ასაკში? დანარჩენი კი ზურაბმა გიამბოთ და იმედი მაქვს დაეყრდნობით მის სიტყვას! მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ ბიჭებო, მოდი ძმობა შევფიცოთ ერთმანეთს და ნურასოდეს, უკანასკნელი გაჭირვების დროსაც კი ნუ ვუღალატებთ ერთურთს! წუხელის დედა მესიზმრა, ჩემი ჭაღარა დედა, ზურაბისი არ იყოს, თმაგაწეწილი და იცით რა მითხრა? „მტერი დამარცხებული გვყავს, მოყვარეს ერიდეო“, მე მინდოდა მოვფერებოდი ან რაღაც მეთქვა, მაგრამ ის წავიდა, გაქრა... გამომეღვიძა და გვიან მოვედი აზრზე თუ სად ვიყავი, ბიჭებო, არ მიღალატოთ და მე თუ გიღალატოთ, ღმერთმა მიღალატოს!

ოთხივენი ჩვენს ფიქრებში ჩავიძირეთ... ვინ რა იცის, ვის რა შავი ფიქრები მოუდის თავში, წითელარმიელები ილიას დაბრუნებას ელიან, რომ ან საჭმელი მოიტანოს, ან კიდევ საბჭოთა ჯარს ჩაგვაბაროს, ჩვენ კი... ილიას დაბრუნებას არ მოველით! საჭმელზე მეტად წითელარმიელის საბუთები გვესაჭიროება!...

კობას თვალი თვალში გავუყარე, დანას ხელი მოვკიდე და თვალები ძირს დავხარე, კობამ იგივე გაიმეორა, ეს იყო და

ეს... შემდეგ აღარაფერი მახსოვს, კაკო და ზურაბი ჩვენ წინ დაკლულები ეგდნენ... ეს იყო ჩვენი პირველი მკვლელობა, რომელმაც ისე დაგვზაფრა, რომ დიდხანს ვერ მოვედით გრძნობაზე... მოკლულებს საბუთები ამოვაცალეთ, ჩვენი მათ ჩავუდეთ ჯიბეში და საველე ნიჩბებით მიწის გათხრა დავიწყეთ პატარა მდინარის ბზიფის ნაპირას.

დაღამებამდე ველოდით ილია მშვენიერაძეს, არ გვინდოდა მოწმე დაგვეტოვებია ცოცხალი, მაგრამ არ ვიცი, იქნებ მოვიდა და დაგვინახა კიდეც, როდესაც ასე გაუმართლებელ შავბნელ საქმეს ჩავდიოდით, იქნებ სადმე დააპატიმრეს, მაგრამ ვინ იცის, ბრძოლაში სად შევხვდებით ერთი მეორე სად რა გარანტია გვაქვს, რომ არ გაგვთქვამდა? ამიტომ ისიც უნდა მომკვდარიყო! მაგრამ როგორ, სად ვნახოთ? ვინ იცის, იქნებ მოულოდნელად მოვიდეს და თვით ჩვენ გაგვისტუმროს საიქიოს... ამიტომ საღამოს მდინარის დინებას დავუყევით. იმ იმედით, რომ ეს მდინარე ზღვამდე მიგვიყვანდა. მთელი ღამე ვიარეთ, გამთენიისას ცოტა დავისვენეთ, გამოვიძინეთ და გზა განვაგრძეთ, მართალია, ღამე მთვარიანი იყო, მაგრამ დღის სინათლე მაინც სულ სხვაა, ახალ უფრო საღად ვხედავთ ყველაფერს და გზა მოვძებნეთ, ეს სანჩაროს უღელტეხილი ყოფილა და ჩვენც შავი ზღვის მიმართულებით დავადექით გზას, ახლა უფრო გაგვიადვილდა სიარული და მკვლელობის მეორე დღეს ბარში ვიყავით, გზაზე მე და კობა თამამად ვსაუბრობდით, უკვე აღარავისი გვეშინოდა, ვიცოდით, აქ მხოლოდ წითელარმიელების ხელში ჩავვარდებოდით და ჩვენც ეს გვინდოდა.

– აქამდე არაფერი დანაშაული გვქონია, ახლა კი სისხლში გვაქვს ხელები გასვრილი! – ეს ისე წყნარად მითხრა კობამ, თითქოს ამ უკაცრიელ ტყეში ვინმე მოყურადღებული ყოფილიყოს.

– რას იზამ, ერთის უბედურების გარეშე, მეორის ბედნიერება არ არსებობს!

– არა, ეს ჩვენ არ უნდა ჩაგვედინა, საშმობლომ რომ გვაპატიოს და ვერაფერს მიხვდეს წითელი არმიის ხელმძღვანელობა, ღმერთი არ გვაპატიებს და ადრე თუ გვიან ჩადენილ დანაშაულზე მოგვთხოვს პასუხს!

– რა ვქნათ, ომია და საზიზღარი ომის შედეგი ეს არის, შეიძლება ლაჩარი ჰყავდეს გმირად!

– მართალია, მაგრამ ლაჩარსაც არ შეუძლია, სხვისი სისხლით მოიპოვოს გმირობა, ჩვენ ლაჩარზე მეტად უარესები ვართ, თითქოს სამშობლოს სადიდებლად ვიბრძვით და იმავე დედა საქართველოს ვუკლავთ შვილებს, რომელთაც ათასჯერ უკეთესის გაკეთება შეეძლოთ, ვინემ ჩვენ! სიზმარი მაინც არ ეთქვათ, გული ჩამიწვა დედის მოგონებამ...

– ნუ წუწუნებ! ამ წუთიდან დაივიწყე ყოველივე, წარმოიდგინე, რომ ჩვენ დღეს დავიბადეთ, შენ კაკო მანჯავიძედ, მე კიდევ ზურაბ დოხნაძედ! გახსოვდეს, დღეიდან ეს არის ჩვენი სახელი და გვარი! ნამდვილი სახელის დაძახებამ, ჩვენზედ არავითარი რეაგირება არ უნდა მოახდინოს, თორემ მართლა ტყუილად ჩაივლის მოძმეთა დაღვრილი სისხლი, ახლა კიდევ შეგვიძლია გამოვისყიდოთ დანაშაული, არა კომუნისტებთან ბრძოლით, არამედ ფაშისტებთან!

– შენი სიტყვები ოცნებაა! როგორც ყველა მონა ოცნებობს ბატონის ყიდვაზე, ისე ოცნებობ შენც ფაშიზმთან გამარჯვებაზე, სინამდვილეში კი „დახელოვნებული გმირი“ ხარ მამულიშვილების მკვლელობაში!

– ხმა ჩაიწყვიტე! – შევუტიე და ავტომატური თოფი ბეჭიდან მოვიხსენი, კობას წარბიც არ შეუხრია...

– შენ მაგასაც იკადრებ და თავსაც იმართლებ სინდისის წინაშე, რადგან შენთვის უცხოა სინდისი! – მითხრა და ლასლასით დაუყვა დაღმართს, რომელიც უეჭველია ჩემს მიერ გასროლას ელოდა, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა, ნერვები მოვითოკე და გადაწვწყვიტე კობას სხვა გზით მოვლაპარაკებოდი... მალე წამოვეწიე, გადავასწარი და წინ დავუდექი:

– ყმაწვილო! – ვუთხარი მე – რას მედიდგულები და ფხუკიანობ, ვერ გამიგია, როგორ მე დაგაძალე ვინმეს მოკვლა, მარტო მე რომ მადანაშაულებ? ჩვენ ახლა ერთი საიდუმლოების ბორკილით ვართ შებოჭილი, ასე რომ საკუთარი თავი უნდა დავადანაშაულო და არა მეორე, თანამებრძოლი პირი.

– სიცოცხლე მომბეზრდა! არ შემიძლია ჩემს მიერ მოკლული ადამიანის სახელით ვიცოცხლო, შენ მეუბნები: „დღეიდან კაკო ხარო მანჯავიძე“, არა! მე კაკო არა ვარ! მე კობა ვარ გამყრელიძე და სანამ სული არ გამეყრება კობად დავრჩები! ვერ წარმომიდგენია, ნუთუ შენზე არავითარ რეაგირებას ახდენს ჩვენს მიერ ჩადენილი ცოდვა?

– რას ამბობ კობა, მეც ხომ ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც შენ, მაგრამ...

– კი, კი, ადამიანი, მაგრამ ისეთი, როგორც ფაშისტები ამბობენ: „ჩვენ ვართ ადამიანები, მაგრამ ყოველგვარი ადამიანური უცხოა ჩვენთვის!“

– ვის უბედავ! – ვუყვირე და ისევ იარაღს წავატანე ხელი.

– შენ გეუბნები! – ისე მტკიცედ მითხრა კობამ, წარბიც არ შეუხრია.

– მოგკლავ!

– სიკვდილის არ მეშინია, დღეიდან სიცოცხლეა ჩემთვის სატანჯველი...

– შენი სიკვდილი ძნელი არ არის, – ისევ მოვითოკე ნერვები და დავუყვავე კობას – მაგრამ გახსოვდეს დედა, რამხელა იმედებით გამოგისტუმრა საქართველოსაკენ, ნუთუ არ გებრალება შენი ერთადერთი დაიკო, ის ხომ ჩემი მეუღლეა, შენი დაღუპვა, ჩემი დაღუპვასაც ნიშნავს! ისინი კი გველოდებიან, მაპატიე თუ რამ შევცოდე, შენი მშობლებისა და შენი დის ხათრით, მაპატიე ყოველივე...

კობა ძირს დაემხო და ტირილი დაიწყო, ხელი არ შემიშლია, რადგან ვიცოდი ცრემლი დაამშვიდებდა და მარ-

თლაც ნახევარი საათის შემდეგ საგრძნობლად დამშვიდებული წამოდგა. ჩვენ უხმოდ განვაგრძეთ გზა, ძლივს მივლასლასებდით სამი დღის მშივრები, ღმერთი ჩვენს მხარეს იყო, ამინდი გვწყალობდა, მზე და სითბო ბუნებას უხვად გაემეტებია ჩვენთვის...

მოულოდნელად, წინ რუსის ჯარისკაცის მუნდირში გამოწყობილი ახალგაზრდა გადმოგვიხტა.

– არ გაინძრეთ! ხელები მაღლა! – დაჰკვესა და ავტომატი დაგვიმიზნა.

ამ ბრძანებას დავემორჩილეთ და ხელები ავწიეთ, ამ დროს ტყიდან მეორე ახალგაზრდა გამოძვრა და ელვის სისწრაფით აგვართვა საბრძოლო იარაღები. ერთი წინ წაგვიძღვა, მეორე უკან გამოგვყვა და მცენარეებით ხელოვნურად შენიღბულ მიწურში შეგვიყვანეს, იქ კაპიტნისჩინიანი ახალგაზრდა ტოტებისაგან სახელდახელოდ დამზადებულ მაგიდას მისჯდომოდა და გამალებით რაღაცას წერდა... ჩვენ როგორც კი დაგვინახა, გაოცება ვერ დაფარა ზეზე წამოიჭრა და:

– ესენი აქ რა ქარმა გადმოაგდო! – ქართულად შეეკითხა ჩვენს მიმყვანებს.

– ქართველი ბრძანდებით?! – სიხარული ვერ დავფარე და კაპიტანს მივუახლოვდი.

– მე კი ვარ ქართველი, მაგრამ თქვენ ვინა ხართ? – მკაცრად გვკითხა კაპიტანმა.

– მე ზურაბ დოხნაძე ვარ, ეს კიდევ კაკო მანჯავაძეა! ტყვებიდან დიდი გაჭირვებით დავიხსენით თავი... – ვუთხარი და მოვყევი ზურაბ დოხნაძის მონაყოლს, შეხვედრის დროს რასაც წითელარმიელებს თვითონ უნდა მოჰყოლოდა.

ახალგაზრდა კაპიტანმა გულდასმით მოგვისმინა, შეეტყო სიბრალულიც კი ჩვენს მიმართ და ხელქვითებს უბრძანა ჩვენი დაპურება.

დავნაყრდით! კაპიტანი კი მოხსენებითი ბარათის წერას შეუდგა თავისი დივიზიის უფროსის სახელზე, როდესაც ჩვენ

ჭამას მოვრჩით და კაპიტანი წერას, მან ისევ გულდასმით შეგვათვალიერა და გვითხრა:

– ეს სათვალთვალო პუნქტი ორმოცდამეექვსე არმიის ქვეგანაყოფია, ამჟამად მე მოხსენებითი ბარათი დავუწერე არმიის სარდალს, გენერალ ლესელიძეს, რომელსაც რაციით გადავცემ და ისინი უფრო დაწვრილებით გაიგებენ თქვენს წარსულს, თუ თქვენი მონათხრობი სიმართლეა, პატიებასთან ერთად ჯილდოსაც დაიმსახურებთ, თუ არა და იცოდეთ „ცეცხლი თივაში არ დაიმალება“.

ოფიცერმა ათიოდე წუთში გადასცა ცნობა ჩვენს შესახებ.

იმ ღამეს თბილად და ტკბილად გვეძინა, სამაგიეროდ არ სძინებია ერთ–ერთ ჯარისკაცს, რომელიც მეთვალყურეობას გვიწევდა.

დილით ორი წითელარმიელი მოვიდა ლეიტენანტის თანხლებით, ისინი ცხენზე იყვნენ ამხედრებულნი და ორი ცხენიც უნაგირზე გამობმული მოიყვანეს, მოკლე საუბარი ჰქონდა ლეიტენანტს კაპიტანთან და ჩვენთან, შემდეგ ცხენზე შეგვსვეს და კავკასიას ჩრდილოეთის მხრიდან მოვადექით.

ოცდამეექვსე არმიის განლაგებაში მისვლისთანავე შტაბის უფროსმა მიქელაძემ დაგვიბარა, ძირფესვიანად გამოგვკითხა ყოველი ნაბიჯი, დამასახელებია მეთოთხმეტე დივიზიის უფროსი, მეთორმეტე საჰაბიუციო–საარტიელერიო პოლკის მეთაური, მეოთხე საჰაბიუციო–საბარეიის ხელმძღვანელი, გამომკითხა თანამებრძოლთა გვარები, შემადგენინა დაღუპულთა და ტყვედ ჩავარდნილთა სია, რუკაზე მომაძებნინა ტყვეთა ის ბანაკები, სადაც სასჯელს ვიხდიდი, დამასახელებინა ტყვეთა ბანაკის უფროსობა... ზურაბ დოხნაძესაც ხომ იგივე გამოვკითხე ორიოდე დღის წინ და შტაბის უფროსთან საუბრის დროს არ ჩავჭრილვარ.

საღამოს მიქელაძემ, გენერალ ლესელიძესთან წარგვადგინა, გენერალს ჩვენთან საუბარი არ დაუწყია. მიქელაძემ რუსულად მოახსენა ჩვენს შესახებ და რწმენა გამოთქვა ჩვენი

საბურის სისწორეში. გენერალმა ბრძანება გასცა დავეკმაყოფილებინეთ ტანსაცმლითა და იარაღით, ჩავერიცხეთ ორმოცდამეექვსე არმიაში და ავეყვანეთ კვებით აღრიცხვაზე.

გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა მთებში უღელტეხილებისათვის, მე და კაკო, (დღეიდან ამ სახელით ვიხსენიებდით ყველა კობა გამყრელიძეს) მეორე დღესვე ჩავებით ფიცხელ ბრძოლებში და რამოდენიმე მადლობაც დავიმსახურეთ, გადასასვლელებიდან უკუვაგდეთ კარგად შენიღბულ–გამაგრებული გერმანელთა სამთო–მსროლელი რაზმები, ჩვენთან ერთად იბრძოდნენ 242–ე და 392–ე ქართული მსროლელი დივიზიები...

მთებსა და უღელტეხილებიდან მტრის განდევნა–განადგურების შემდეგ 1943 წლის თებერვალში ჩვენი არმიის სადესანტო რაზმი მაიორ კუნიკოვის მეთაურობით ნოვოროსიისკის მიხაკოს რაიონში გადაგვსხეს, ეს იყო ყველაზე დიდი დესანტი სამამულო ომის პერიოდში, თავდადებულად იბრძოდა კაკო, ემჩნეოდა, რომ სიკვდილს ეთამაშებოდა, მაგრამ ტყვია არ ეკარებოდა... გავანთავისუფლეთ ნოვოროსიისკი და ტამანის ნახევარკუნძული, ამით დამთავრდა ბრძოლა კავკასიის დაცვისათვის, დღესაც მეამყება, რომ ამ ბრძოლებში მივიღე მონაწილეობა. 1944 წლის 1 მაისს, საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს ბრძანებულებით ათასობით მებრძოლთან ერთად მე და კაკოც დაგვაჯილდოვეს მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

იმ ხანებში გენერალ–პოლკოვნიკი ლესელიძე იყო მეთვრამეტე, ორმოცდამეექვსე და ორმოცდამეშვიდე არმიის სარდალი, მის მრავალრიცხოვან მებრძოლეებთან ერთად მე და კაკომაც მივიღეთ მონაწილეობა მძიმე ბრძოლებში, ვიბრძოდით ბელორუსიაში მინსკთან, მდინარე ბერეზიანასთან, დნეპრთან, ბრიანსკთან, ტულასთან, შეტევითი ბრძოლები განვახორციელეთ მოსკოვთან, უკრაინაში ჟიტომირთან.

1944 წლის 5 იანვარს მეცხრამეტე მსროლელ დივიზიაში გადაგვიყვანეს, ამ დივიზიის სარდალი ძალზედ გამ-

ჭრიახი და სამხედრო საქმის მცოდნე პიროვნება კონევი გახლდათ, სწორედ მისი რეკომენდაციით მიმიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში ორმოცდაოთხის ოცდახუთ აპრილს, ამ დივიზიასთან ერთად წილად მხვდა პოლონეთის რამოდენიმე ქალაქის განთავისუფლება ფაშისტი დამპყრობლებისაგან, გავანთავისუფლეთ ქალაქი კრაკოვიც, სწორედ კონევის გამჭრიახობით ვერ შესძლეს გერმანელებმა ამ ქალაქის აფეთქება, რომელიც პოლონეთის განუმეორებელი ძეგლია, პირადად უნივერსიტეტის მასწავლებელთა სისხლი ერთი–ათად ავიღე, ეს იყო 1945 წლის 19 იანვარს. შემდეგ გავანთავისუფლეთ პრაღა და მონაწილეობა მივიღეთ ბერლინის აღებაში... (ხომ ადვილია სათქმელად: ის გავანთავისუფლეთ, ეს ავიღეთ, წინ მივიწევდით... მაგრამ აუღწერელია ის გაჭირვებანი, რომელიც თითოეულმა მებრძოლმა განიცადა სამამულო ომის წლებში 1418 დღე-ღამის განმავლობაში!). როგორც მე, ასევე კაკოც, მტერთან შეუპოვარი ბრძოლისათვის დაჯილდოებულნი ვართ ორდენებითა და მედლებით.

1947 წლის 12 ივნისს დემობილიზაციით წამოვედით, უფრო სწორად, წამოგვიყვანეს საქართველოსაკენ, პირდაპირ ქუთაისში ჩამოვედით, იქედან ამბროლაურში ავედი, არც არავის ველოდი და არც არავინ მელოდა. მედალ–ორდენებით დამშვენებული მკერდით სამხედრო კომისარიატში მივედი, აქ მთლად უყურადღებოდ მეჩვენა სამხედრო რეჟიმი, კედელზე მოჭრილ „ფორთოჩკაზე“ ეწერა: „მეორე ნაწილი“, სწორედ იქ გადავაწოდე ჩემი საბუთები და რამოდენიმე წუთის შემდეგ სამხედრო ბილეთი გადმომაწოდეს. იქიდან მმაჩის ბიუროში მივედი, მოვაძებნინე ზურაბ დოხნაძის დაბადების წელი და დაბადების მოწმობა გამოვართვი, რომელიც დაუყოვნებლივ მილიციაში მივიტანე და საჩქაროდ გაკეთდა პასპორტი! ახლა უკვე საქართველოს მოქალაქე ვარ, მაგრამ ეს არ კმარა, სანამ სამხედრო ფორმა მაცვია, სწავლა უნდა გავაგრძელო...

მოვიკრიბე ძალა და სოფელ ნიკორწმინდაში ავედი, მოვიკითხე ზურაბის დედა, მიმასწავლეს და თამამად შევაღე

ეზოს ჭიშკარი, ზურაბის დედა გამომეგება, სწორედ ისეთი, როგორიც სიზმრით აღწერა ზურაბმა, ცნობისმოყვარე მეზობლებიც უეცრად გაჩნდნენ, საპატივცემულო ადგილზე დამსვეს და მეც მოვყევი ბრძოლების ამბავს, ვთქვი, რომ ზურაბი ჩემთან ერთად იბრძოდა, დიდი დამსახურებაც აქვს, ბერლინში დამშორდა და მალე ჩამოვა–მეთქი... გაიხარა დედამ და თითქოს თავის შვილს ეალერესებოდა, მეც ზურაბივით მიკრავდა მკერდში. შემდეგ სახლში შემიპატიჟეს და ქალები სამზადისს შეუდგნენ, ერთი ქალიშვილი მეტად აქტიურობდა და რას არ მეკითხებოდა ზურაბის შესხაებ, მეც ვპასუხობდი. ბოლოს მაგიდაზე დადებული სურათების ალბომის დათვალიერება დავიწყე, ღმერთო ჩემო! მხოლოდ ალბომის მეორე ფურცელი გადავშალე, რომ შიგ ზურაბის სიმწიფის ატესტატი აღმოჩნდა, არ მეგონა თუ სიხარულით არ შევხტებოდი, მაგრამ დროულად მოვთოკე ნერვები და ატესტატი ჯიბეში ჩავიცურე... ახლა კი ნამდვილად ზურაბ დოხნაძე ვარ! ვეღარავინ შემედავება ჩემს „სიმართლეში“.

ქალებმა მალე გააწყვეს პატარა, ლამაზი, მაგრამ ღარიბული მაგიდა, მშიოდა და კარგად შევექეცი საჭმელს, ღვინოც დავლიე ორი თუ სამი პატარა ჭიქა, შემდეგ დავემშვიდობე ყველას და კიდევ ერთჯერ განუგეშე დედა ზურაბის მალე დაბრუნებით, ქუთაისში შებინდებულს ვიყავი, ვჩქარობ, ხვალ კაკო უნდა შემხვდეს ზესტაფონში, რკინიგზის სადგურთან. დილით დათქმულ ადგილზე კაკო უკვე მელოდებოდა, დაგვიანება მისაყვედურა და განცალკავებით დავჯექით დარბაზის კუთხეში.

– რა მომიმოქმედე, იყავი კაკო მანჯავიძის ოჯახში? – ვკითხე მოუთმენლად.

– ვიყავი! ისეთი ტკბილი ხალხი აღმოჩნდნენ, კინაღამ ვაღიარე ჩემი ბოროტმოქმედება!

– არა, ნამდვილად ყურით სათრევი ხარ ყველგან, მარტო შენი გაშვება არსადაც არ შეიძლება! ბოლოს და ბოლოს რა ჰქენი, ატესტატი ხომ არ დაგითრევია?

— კი! საღამოს მივედი კაკოს ოჯახში, შეგროვდნენ ახლობლები, მეზობლები, ეგონათ კაკო დაბრუნდა ომიდანო და ხალხი მოსალოცად მოდიოდა, მოვხსენი სიცრუის გუდას თავი და დავიწყე, რომ კაკო ჩემი განუყრელი მეგობარი იყო და ბერლინის მისადგომებთან დამშორდა, მოსული მეგონა და იმიტომ გამოვიარე–მეთქი... საღამოს ლხნის მაგიდა გამართეს და დამათვრეს კიდეც, შემდეგ დიასახლისმა კაკოს საძინებელ ოთახში გამიშალა ლოგინი და ძლინებისა მისურვა. იმ ღამით არაფერი გამხსენებია, დავწექი თუ არა, მკვდარივით დამეძინა. დილით ადრე ავდექი და ოთახი მოვათვალიერე: საწოლთან პატარა ტუმბოზე ბროლის მოზრდილი ჭაღი იდგა, უჯრა ინსტიქტურად გამოვაღე, ის კაკოს წერილებით იყო სავსე, გადმოვქექე და წერილების ძირს ატესტატი, დაბადების მოწმობასთან ერთად ვნახე, რასაც ვეძებდი ვიპოვე და საჩაქროდ შევინახე ჯიბეში, წერილებიანი უჯრა ისევ ფაქიზად დავკეტე. გარეთ გამოვედი, მზე ამოწვერილიყო, ოჯახს საუზმე გაემზადებია და ჩემს ადგომას ელოდებოდნენ. ხელპირი დავიბანე თუ არა, მაგიდასთან მიმიწვიეს და სანამ არყით არ გამოვბრუშდი არ გამომიშვეს... როგორც იქნა თავი დავაღწიე გადაჭარბებულ იმერულ პატივისცემას და ამოვისუნთქე, იქედან პირდაპირ ხარაგაულში ჩამოვედი და პასპორტიც და სამხედრო ბილეთიც ავიღე! ახლა კი მზადა ვარ, სწავლა განვაგრძო მსოფლიოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში... ახლა შენს ამბავს მომიყევი! — მითხრა და მეც მოვყევი ყოველივეს, მართლაც რომ გულით გაიხარა, როდესაც გაიგო ჩემი მზადყოფნა სწავლის გაგრძელებისათვის.

— რვა აგვისტოა, ცხელა, თბილისში სიცხის კორიანტელი დგას, უნივერსიტეტის წინ პატარა სკვერში დავჯექი, კაკოს გადაწყვეტილი აქვს იურიდიულზე შეიტანოს საბუთები, მე მტკიცედ გადავწყვიტე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე შევიდე!

გადაწყვეტილება ვერც კაკოს გადავათქმევინე და არც მე გადავთქვი... პირველად კაკოს საბუთები შევიტანეთ უნი-

ვერსიტეტში, არ არის მაინცა და მაინც ხალხმრავლობა, ომის დამთავრების წელია, ხალხს შია და თუ თავი გამოიკვებეს, აღარავის ეუნივერსიტეტება... შემდეგ ორივე ერთად წავედით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ჩემი საბუთები შევიტანეთ, არც აქ არის ხალხმრავლობა და არც საბუთებისათვის დაუწყიათ ბევრი კირკიტი.

როდესაც ყველაფერს მოვრჩით, ბინა ბარნოვის ქუჩაზე ვიქირავეთ, ჩვენი დიასახლისი კეთილი ქალია, ორი შვილი ფრონტზე გაუგზავნია და ჯერაც არ დაბრუნებულან, ჩვენ სამხედრო მუნდირში გამოწყობილები ვართ და ის ისე გვიცქერის, თითქოს თავისი შვილები დაბრუნებოდეს ფრონტიდან.

– სტიპენდიით თავს ვერ ვირჩენთ, სამუშაოზე უნდა მოვეწყოთ სადმე! – ვუთხარი კაკოს და ისიც უსიტყვოდ დაეთანხმა ჩემს აზრს. იმ დღესვე ელმავალმშენებელი ქარხანაში მივედით, დირექტორი ადგილზე არ დაგვიხვდა, მთავარი ინჟინერი ახალგაზრდა ქალია და ქალური სათნოებით აღსავსე. მიგვიღო, „მუშახელი არც თუ ბლომადა გვყავს, მითუმეტეს თუ სწავლობთ, აუცილებლად მიგიღებთო“ – გვითხრა, მეორე ცვლაში 17–დან 24–საათამდე ვიმუშავებდით, ვინაიდან დილით უნდა გვესწავლა, განცხადებაზე ხელი მოგვიწერა და ხარატის მოწაფედ მიგვიღო. გახარებულნი დავბრუნდით ჩვენს ახლად ნაქირავებ ბინაში, მაგრამ რა დაგვაძინებს, ჩვენ ხომ მთელი დღე არაფერი გვიჭამია?!

– მართალია კუჭი აზროვნების ორგანო არ არის, მაგრამ თავის ტვინზე, კუჭი, დამკარგავ გავლენას ახდენს, მეტი არ არის ჩვენი მტერი, ჩვენ გამოცდებზე გასვლაც ვერ შევძლოთ! – მითხრა კაკომ და კუთხეში დადგმულ ულოგინო ტახტზე წამოწვა.

სიჩუმე ჩამოვარდა, საწინააღმდეგო ვერაფერი ვუთხარი, მხოლოდ ერთადერთი იმედი გვაქვს, ხვალიდან მუშაობა უნდა დავიწყოთ და ცოტაოდენი ავანსი ვთხოვოთ დირექტორს. ფიქრის მორევში ჩავიძირეთ. კარებზე მორიდებული კაკუნი გაისმა:

– მობრძანდით! – გულგრილად გასძახა კაკომ, ისე, რომ ტახტიდან არც კი წამომდგარა.

ოთახში ჩვენი დიასახლისი, ქალბატონი ლეილა შემოვიდა, კაკო მყისვე ჩამოჯდა ტახტზე, მე კი ერთადერთი სკამი დიასახლისს დავუთმე და კაკოს გვერდით ტახტზე მოვკალათდი.

– შვილებო, გეტყობათ ომიდან ახლად დაბრუნებულები ხართ – დაიწყო ლეილამ – ოთახი გავაქირავე და არც მიკითხავს საიდანა ხართ ან რა საქმიანობას ეწევით...

გავშალე ენა და ლეილამ, როდესაც გაიგო, რომ უპატრონოები ვიყავით, უმალღეს სასწავლებელში საბუთები შევიტანეთ და ელმავალმშენებელ ქარხანაში მუშაობაც დავიწყეთ, ნამდვილად გაიხარა და კიდევ მეტი ნდობით დაგვიწყო ყურება:

– ჰო! ელმავალმშენებელში კარგ ფულს აკეთებენ, ჩემი ქალიშვილიც იქ მუშაობს მთავარ ინჟინრად, ჯერ სამსახურიდან არ დაბრუნებულა, რომ მოვა, აუცილებლად გაგაცნობთ!

– ხათუნა?! – შევეკითხე უნდობლად.

– დიახ! – მიპასუხა მან.

– სწორედ იმან მიგვიღო დღეს სამუშაოზე და ძალიანაც დავალებული ვართ იმისაგან!

– დიდებული გოგოა! – თქვა ლეილამ და თავი მოხსნა მშობლიური ქების ხურჯინს.

– იმედია კიდევ უფრო ახლოს გავიცნობთ და შეიძლება ხვალ ავანსიც კი გამოვთხოვოთ არსებობისათვის... – თქვა შიმშილით მისავათებულმა კაკომ.

– როგორ გეკადრებათ შვილო, ავანსი რა სახსენებელია! ფული თუ დაგჭირდეთ, მე მოგიმართავთ ხელს, ოთახს ნუ დაკეტავთ, საჭმელსაც მოგიმზადებთ–ხოლმე და თეთრეულსაც მე გაგირეცხავთ... – ამ სიტყვების პასუხს არ დალოდებია, ოთახის კარები გაიხურა და ცოტა ხნის შემდეგ კარის მიღმიდან დაგვიძახა – ბიჭებო მომეხმარეთ!

ჩვენ ორივენი ისე საჩქაროდ გავვარდით გარეთ, რომ კარებში ჯიუტი თხებივით გავეკვეხეთ.

დიასახლისმა ჯერ სკამები მოგვაწოდა, შემდეგ მაგიდა, რკინის რიკულიანი საწოლები, ლოგინები, საწერი მაგიდა თავისი სავარძლით და თითქმის გაივსო ავეჯით ჩვენი პატარა ოთახი. ხუთიოდე წუთის შემდეგ ქვაბით სურნელოვანი კერძიც მოიტანა, თეფშები ჩამოარიგა და პური დაჭრა.

– აბა მობრძანდით, როგორც ჩემს შვილებთან, მინდა თქვენთან ვივახშმო! – თქვა და პირველი თვითონ მიუჯდა მაგიდას. ბევრი პატიჟი არც ჩვენ დაგვჭირვებია, მადიანად ვილუკმებოდით მე და კაკო, როდესაც კარები დაუკითხავად გაიღო და ოთახში მთავარი ინჟინერი ხათუნა შემოვიდა:

– ოჰო! ეს ძველი ნაცნობები თურმე აქ მელოდებიან, მე კი ქარხანაში დავეძებდი...

– რა ამბავია შვილო, დააცალე ახალგაზრდებს ლუკმის გადაყლაპვა და შემდეგ მოყევი საყვედურებს! – უთხრა თითქოს ნაწყენმა დედამ.

– არა, დედა! კი არ ვსაყვედურობ, მაგრამ მინდოდა დღეს ქარხანა დამეთვალიერებია მათთვის და ოსტატისთვისაც ჩამებარებია, წინასწარ, რომ გაეცნობოდნენ ხელმძღვანელობას მუშაობაც აღარ გაუძნელდებოდათ... – თითქოს მოიბოდიშა ხათუნამ.

– არ ჩანან შვილო ურიგო ბიჭები, ყველაფერს აითვისებენ და გააკეთებენ, ათასნაირ გაჭირვებაში გამობრძმედილ ხალხს შენი ქარხანა შეაშინებს?

ხათუნამ სკამი გამოსწია და დედის გვერდით დაჯდა.

– აბა ბიჭებო არ მოიწყინოთ! – შეგვაგულიანა მთავარმა ინჟინერმა და კერძი გადმოიღო.

ვახშმის შემდეგ კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ, ხათუნა განათლებული ქალიშვილია და ძირფესვიანად გამოგვკითხა, სად ვიბრძოდით, რომელ არმიაში... ჩვენც ვპასუხობდით, დასაფიცს ვფიცავდი და მოსაყოლს ვყვებოდით.

ხათუნას წელს დაუმთავრებია პოლიტექნიკური ინსტიტუტის სწორედ ის ფაკულტეტი, რომელზედაც მე დღეს შევიტანე საბუთები, ორი ძმა ჰყავს და ორთავენი ფრონტიდან ჯერ არ დაბრუნებულან და მოელის ორივე დედა–შვილი ყოველ დღე... ბევრი საუბრის შემდეგ ლეილამ ლოგინები გაგვისწორა, ძილი ნებისა გვისურვა და ოთახიდან გავიდნენ.

– რა კარგი ხალხია! – თქვა კაკომ, როცა დედა–შვილი კარის მიღმა აღმოჩნდნენ.

– ბედი გვქონია!

– ჰო, მაგრამ მე აქ არ ვიცხოვრებ! შენ კი შეგიძლია დარჩე, შენ ხომ ადამიანი არა ხარ!

– ვერ გამიგია რაებს ბოდავ...

– ხომ შეიძლება ლეილას შვილებიც შენისთანა მუხანათურმა ხელმა მოჰკლა და შენ, შენი სისხლიანი ხელებით იმისი დედის მომზადებულ კერძებს მიირთმევ... შენ ამას ვერ გრძნობ, მე კი ლუკმა არ გადამდის ყელში! გაიგე!

– ჰო! ჰო! გავიგე... დაწყნარდი ახლა დაიძინე... – ვუთხარი მტყუანი კაცის იერით და საბანი თავზე წავიფარე, უნდა დავუყვავო, ვიცი იმისი ხასიათი, შეიძლება ამდენი წვალება წყალში ჩაყაროს, ამას ვერ გავაგებინებ, თუ ვეტყვი, რომ ბოროტებასაც მოაქვს სიკეთე ადამიანებისათვის, ჩვენ ჩადენილი ბოროტმოქმედების ხარჯზე ვართ ცოცხლები, ვცხოვრობთ და სწავლაც გვწყურია... სხვანაიარად არ შეიძლებოდა! გერმანელებთან დაბრუნება შეუძლებელი იყო, საბჭოთა ხელმძღვანელები კი ჩვენი მამების დაშვებულ შეცდომას არ გვაპატიებდნენ და... სული მწარეა...

კაკო თითქოს ფიქრს მიმიხვდა, ლოგინში ჩამოჯდა და წყნარად შემეკითხა:

– შენ რისთვის იბრძოდი?

– როგორ თუ რისთვის, აბა გერმანელების მხარეზე დავრჩენილიყავით?

– შენთვის თუ სულ ერთი იყო, სად და რისთვის იომებდი, თუ პირველი გადაწყვეტილება მხოლოდ ადამიანის მოკვ-

ლა იყო და არა სამშობლოს გამარჯვება, რა მნიშვნელობა ჰქონდა, გერმანელებთდან დარჩენილიყავ...

– სამშობლო! სამშობლო! ნეტავი გამაგებინა რა მოგვცა სამშობლომ სისხლის ღვრისა და საკუთარი მიწა–წყლიდან გაძევების მეტი?

– დიახ, პირველ რიგში სამშობლო! რისთვისაც აქეთ მოვისწრაფოდი და რისთვისაც ვომობდი, ის ადგილები ვერ მომინახულებია! დღეს მე ზურაბ დოხნაძე მივიდე ბიძაჩემებთან, ბიძაშვილებთან და ვუთხრა: „მე კობა გამყრელიძე ვარ, იოსების ბიჭი, მაგრამ კაკო მანჯავიძე დამიძახეთ–თქო?“ ისე ჩემო არჩილ, თუ ზურაბი ხარ შენ! სამშობლოდან არავისაც არ გაუძევებიხარ, ეს მამაჩვენების შეცდომა და გაგულისება იყო და არა რევოლუციის ხელმძღვანელობისაგან დევნა... და კიდევ, არც თუ ცუდი ხალხი ყოფილან კომუნისტები, როგორც ჩვენ გვიხატავდნენ, ეს ჩვენი საქართველო, რევოლუციამდე ერთ–ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, თბილისში მხოლოდ ორი თუ სამი გიმნაზია არსებობდა, რა თქმა უნდა ფასიანი, დღეს კი ჩვენ უნივერსიტეტსა და ინსტიტუტში შევიტანეთ საბუთები უკაპეიკოდ! აქ თუ უნივერსიტეტი დაარსდებოდა, ფასიანი იქნებოდა, სადაც შენისთანანი ვერ მოხვდებოდნენ, რამეთუ ხვალისათვის ლუკმა პურიც არ გაგვაჩნია... რომ ვუკვირდები, მართლა მუშურ–გელეხური ყოფილა ის რევოლუცია, რომელსაც ჩვენმა მამებმა ვერ გაუგო! გაქცევა კი, რა თქმა უნდა კარგი საშუალებაა თავის გადასარჩენად, მაგრამ საშმობლოს შესანარჩუნებლად მოუშუშებელ ლაქად რჩება შთამომავლობას...

სადღაც მართალს საუბრობდა, კობა, ამიტომ გაჩუმება ვამჯობინე, ალბათ მას დაძინებული ვეგონე და გაჩუმდა! ფიქრებმა გამიტაცა... დილამდე თვალი არ მომიხუჭავს. მეორე დღეს სამუშაოზე წავედით. დიდი ცხოვრების კარიბჭესთან დგომით დაიწყო ახალი ეპოქა ჩვენს ცხოვრებაში... გავეცანით საამქროს, ოსტატს, მასწავლებელს და ჩვენს გვერდით მომუშავე ადამიანებს, რომელთა უმრავლესობა ქალებია.

მე და კაკოს თხუთმეტ აგვისტოს ერთდროულად გვაქვს პირველი მისაღები გამოცდა, სამხედრო ფორმითა და ორდენ–მედლებით მკერდდამშვენებულნი გავედით გამოცდაზე, მართალია ბილეთი ავიღე, მაგრამ მის ირგვლივ არაფერი უკითხავთ, მოვყევით მხოლოდ ჩვენი საბრძოლო ეპიზოდები და ის დამსახურებები, რისთვისაც ჯილდოები მივიღეთ... ასე ჩატარდა მეორე და მესამე გამოცდებიც, საგამოცდო კომისიის წევრები ერთმანეთს ჩვენზედ დასასმელ შეკითხვებს არ აცლიდნენ საბრძოლო ცხოვრების საკითხებზე... ასე ჩავირიცხე უმაღლესი სასწავლებლის პირველ კურსზე.

როგორც ჩემთან, კაკოსთანაც ასევე ყოფილა მისაღები გამოცდები, რის გამოც ის აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა:

– თუ სწავლაც ასევე „მაღალ დონეზე“ წარიმართა, როგორც მისაღები გამოცდები, ნამდვილი ფენომენები გამოვალთ!

დავიწყეთ სწავლა, პარალელურად ვმუშაობთ, ცხოვრება თითქმის ჩადგა თავის კალაპოტში, აღარ გვშია, ხანდახან ახალ ტანსაცმელსაც ვყიდულობთ... სახლის მეპატრონე, ლეილა, ბინის ქირას არ ღებულობს და თითქმის ყოველ დღე ცხელ კერძებსაც გვახვედრებს.

პირველი კურსი, რომ დავხურეთ, კაკოს ხათუნასთან რომანი შევამჩნიე. ამ საქმის წინააღმდეგი არც ლეილა იყო და ურთიერთშეთანხმებით დაქორწინდნენ, ამით ჩემი პირობებიც გაუმჯობესდა, ქალბატონმა ლეილამ თავის შვილების ტანსაცმელი გამოიტანა და მე და კაკო კარგად გამოგვაწყო.

მეორე წელია რაც ომი დამთავრდა, ოჯახის მემკვიდრენი კი იგვიანებენ.

მესამე კურსზე გადავედით, კაკოსა და ხათუნას ქალიშვილი შეეძინათ, ძლიერ გაიხარა ოჯახმა, რომელსაც მეორე სიხარულიც დაერთო, ლეილას უმცროსი ვაჟის წერილი მოვიდა სტალინგრადიდან და იწერებოდა: „ომის შემდეგ ორი წლით

სტალინგრადის აღდგენაზე უნდა ვიმუშაოთ და მალე ჩამოვალო“. გაიხარა ოჯახმა, გავიხარეთ ჩვენც!

ომის დამთავრებიდან ორი წლის თავზე, აგვისტოში ქალბატონ ლეილას უმცროსი შვილი ლავრენტი მოულოდნელად გამოგვეცხადა, თუმცა წერილის შემდეგ ყოველ წუთს ველოდით, შეიქმნა სიხარული და პურობა! მართლაც კარგი ბუნების ვაჟკაცია ლავრენტი, მალე გამოვნახეთ საერთო ენა და დიდი უარის მიუხედავად, ჩვენი დაჟინებული თხოვნით პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

ომის დამთავრებიდან ხუთი წლის თავზე, კაკოსა და ხათუნას მეორე შვილი შეეძინათ, ამჟამად ვაჟი და კაკომ თავისი სახელი დაარქვა – კობა.

1951 წელს დავამთავრეთ უმაღლესი სასწავლებლები და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ორთავენი ზესტაფონში გამოგვანაწილეს, კაკო, როგორც სწავლაში წარჩინებული და წითელი დიპლომის მფლობელი პროკურორის თანაშემწედ, ხოლო მე საწარმოო გაერთიანებაში რიგით ინჟინრად.

კრიალოსნებივით იმარცვლებოდნენ დღეები... ხელფასის გარდა ფულმა გვერდებიდანაც დაიწყო შემოსვლა და პირველად კაკომ, „მოყვრების დახმარებით“ ქალაქის ცენტრში ორსართულიანი, აგურით ნაგები, სახლი იყიდა, ცოლ–შვილიც ზესტაფონში გადმოიყვანა და დაიწყო უდარდელი ცხოვრება, დაავიწყდა „სისხლიანი ხელები“, რამეთუ კიდევ მრავალი უდანაშაულო ადამიანი, მისი დანის თუ არა, კალმის მსხვერპლი გახდა.

1953 წელში კაკოს მეორე ვაჟი შეეძინა, რომელსაც თავისი მამის სახელი – იოსები – დაარქვა, კაკო ერთ–ერთ შეძლებულ და პატივსაცემ პიროვნებად ითვლებოდა არა მარტო რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. დუღდა ცხოვრება და მიჰყვა ამ დუღილის ტალღას ახალგაზრდა კაცი თავისი ოჯახით.

კაკოს დახმარებითა და საკუთარი მარიფათით, მეც გავიცანი საზოგადოების მაღალი წრე და ომის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე დამაწინაურეს. ახლა კიდევ მეტმა ფულმა დაიწყო გვერდებიდან შემოსვლა და კაკოს მეზობლად მეც ვიყიდე აგურის ორსართულიანი სახლი.

კარგი ცხოვრებაა, მაგრამ გული არ მიჩერდება, მინდა საფრანგეთში წავიდე, გავიგო ჩვენიანების ამბავი და ცოლ–შვილი საქართველოში ჩამოვიყვანო როგორმე. 1957 წელს კაკოს ხელშეწყობითა და ზემდგომ ორგანოებში საქმიანი მოლაპარაკების საფუძველზე, მივლინება გამიკეთეს „რენოს“ მანქანათსამშენებლო ქარხანაში, ახალი ტექნიკის ათვისების მიზნით.

– ჩავფრინდი პარიზში, მოვინახულე ნაცნობი ადგილები და ერთობ გავიხარე, იმ დღესვე წარვადგინე „რენოს“ ქარხანაში მივლინების ფურცველი და სასტუმრო „პარიზში“ ავიღე განცალკავებული ნომერი. საღამოს ქეთის დავურეკე, რომ ჩემთან მოსულიყო, მას ტელეფონის ყურმილი ხელიდან გაუვარდა და გული შეუწუხდა ზედმეტი სიხარულისაგან. ხუთი წუთის შემდეგ სასტუმროს წინ ახალთახალი ავტომანქანა „რენო“ გაჩერდა და ჩემს ნომერში ფრიად აღელვებული ქეთი შემოიჭრა... ყველაზე მეტად ჩვენი შეხვედრის აღწერა მიჭირს... ქეთი ტიროდა, სხეულს მისინჯავდა, ტანზე ჭრილობებს დაეძებდა, მაგრამ საღსალამათი, რომ დამინახა ერთობ დამშვიდდა და კოცნა დამიწყო.

– სადა ხარ კაცო აქამდე! თორმეტი წელიწადია, რაც ომი დამთავრდა და შენი ამბავი ერთხელაც არ გამიგია! სად იყავი ისეთ ადგილზე, რომ ხმა ვერ მომაწვდინე? მე შენს ლოდინში თმაში ჭაღარა გამომერია, ცრემლებმა დამაბრმავა და გულმა ტკივილი დამიწყო! იცი რა ბიჭი გვყავს? მხოლოდ ის მაცოცხლებდა შენს მოლოდინში, თორემ აქამდის ვერ მოვატანდი...

– აწი მუდამ ერთად ვიქნებით ქეთი!

– რატომ აქამდის არ შემატყობინე, თუ ცოცხალი იყავი?

– ხმა ვერ მოგაწვდინე! მე უკვე საქართველოში ვცხოვრობ! შენც საქართველოში უნდა წაგიყვანო!

– საქართველოში?

– ჰო! სამშობლოში უნდა წაგიყვანოთ შენც და გოჩაც!

– მომიყევი, როგორ ჩააღწიე საქართველომდე! კარგია ჩვენი საშმობლო? ისეთი თვალწარმტაცია, როგორც დედა გვეუბნებოდა?

– უფრო უკეთესი! ეს არის ნამდვილი დამოუკიდებელი სახელმწიფო და თავისუფალი ერი!

– კომუნისტური საქართველოა ისეთი, როგორსაც შენ ამბობ?

– სწორედ, რომ კომუნისტურია და არც კომუნისტები ყოფილან ისეთები, როგორც გვიხატავდნენ...

– რა ვიცი, მე მაინც მეშინია მათი!

– ახლა მეც კომუნისტი ვარ! ჩემიც გეშინია?

– შენი? შენი არ მეშინია, შენთან თუგინდ სიკვდილში წამოვალ!

– ქეთი, მითხარი, როგორ არიან ჩვენები? დედა, მამა, სიდედრი, სიმამრი და სხვანი და სხვანი...

– აქ რას უდგეხარ, წამოდი სახლში და თვითონ ნახე, კარგად არიან ყველანი! ჰო მართლა კობას შესახებ რას გვეტყვი, სად არის, იცი რამე მასზე?

– როგორ თუ არ ვიცი, ისიც საქართველოშია, ჩემს მეზობლად ცხოვრობს, უფრო სწორედ, მე ვარ მისი მეზობელი! ცოლი შეირთო ქართველი და სამი შვილი ჰყავს, თვითონ კი თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა და პროკურორად მუშაობს ჩვენს ქალაქში...

– რა კარგია! წამოდი ჩქარა, მშობლებს თვითონ მიახარე ეგ ამბავი!

– არა, ჯერ მე ვერ წამოვალ, შენ თვითონ წადი და ყველანი გააფრთხილე, რომ მე ზურაბი დამიძახონ და კობას შესახებ სიტყვაც არ დასძრან...

– ვერაფერი გავიგე... როგორ თუ ზურაბი დაგიძახოთ... და კობას შესახებ სიტყვაც არ დავძრათ? რაშია საქმე, ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი არჩილ!

– მოგიყვები! როგორ არ მოგიყვები, შენ ხომ ჩემი ერთადერთი სიყვარული და მესაიდუმლე ხარ...

– ვინმეს საბუთები მიითვისე?

– ასე გამოდის!

– მოჰკალი!

– არა! თუმცა ყველაფერს მოგიყვები: ხომ იცი ემიგრანტებს, როგორ დევნიდნენ საქართველოში, ამიტომ მე და კობამ გადავწყვიტეთ, როგორმე ქართველი, საბჭოთა ჯარისკაცის საბუთები გვეშოვნა, მართლაც, როდესაც კავკასიაში უღელტეხილს ვიცავდით, ორი ქართველი ვნახეთ მკვდარი, ერთი ზურაბი იყო დოხნაძე, მეორე კაკო მანჯავიძე... დოხნაძის საბუთები მე ავითვისე, მანჯავიძის კობამ, ასე დავამთავრეთ უმაღლესი სასწავლებელი, ამ ვინაობით ვმსახურობთ და ვცხოვრობთ...

– და... სხვისი სახელითა და გვარით გინდათ იცხოვროთ შემდეგშიც?

– აბა, როგორ იქნება ახლა სახელისა და გვარის შეცვლა?

– ესე იგი მე... მე... სხვა გვარისა და სახელის კაცს გავყვე ცოლად? მე ხომ მეორედ გათხოვება არ გადამიწყვეტია! ჩემი კანონიერი ქმარი ხომ არჩილ ბარათაშვილია და არა ზურაბ დოხნაძე...

რა შუაშია აქ ვინაობა, როგორ მე შენ სახელისა და გვარის გარეშე ვერ მიცნობ?

– მართლა ვერ გიცნობ არჩილ და აქამდეც ვერ მიცვნიხარ! ნუთუ შენ მართლა შეგიძლია სხვის ტყავში გახვეულმა იცხოვრო და იმ სახელის დიდებით შეჰქმნა სხვისი კარიერა? ბოლოს და ბოლოს მითხარი ვინა ხარ შენ! ან მე ვისი მეუღლე ვიქნები, როდესაც შენს სარეცელში გამოვიღვიძებ?

– როგორ აგიხსნა, მეც არ ვიცი, ასე მოითხოვდა საჭიროება... სხვაგვარად არ შეიძლებოდა, ომის იყო, გაიგე? ომი!

– ომი აქაც იყო... აი ნახე, მე ცალი ძუძუ მომკვეთეს, რომ ანჟელიკა ვყოფილიყავი... მაგრამ არა! მე ქეთევან გამყრელიძე... ბართაშვილი ვიყავი! ჩემი ქმრის სინდის–პატიოსნება და სიამაყე! ვერცერთმა ტანჯვამ ვერ შემცვალა, რაც ვიყავი ის დავრჩი დღემდე!

– წყაროს რომ მივაღწიოთ, ხანდახან დინების საწინააღმდეგოდ უნდა ვიცუროთ, ასეა ცხოვრებაც, ჩვენს მიერ წინასწარ გამიზნული ადგილის მისაღწევად მსხვერპლის გაღებაა საჭირო.

– ნუთუ შენ... მოჰკალი ის! ვის სახელსაც ატარებ?! არ იკმარე ის, რომ მოღალატე იყავი, ახალა ქართველის სისხლშიაც გაისვარე ხელები? – კმარა! წამოდი მშობლებთან ვისაუბროთ, ისინი შენზე უკეთ გამიგებენ და როგორც გვირჩევენ, ჩვენც ისე გადავწყვიტოთ!

ქეთი უხმოდ გამომყვა, ავტომანქანის საჭეს მე მივუჯექი და ნელი სვლით გავუყევი ნაცნობ ქუჩებს. რამოდენიმე წუთის შემდეგ იმ სახლში ვიყავი, სადაც გავიზარდე და ყრმობა გავატარე, შემომეგებნენ მშობლები და სიდედრ–სიმამრი, გოჩა სახლში არ დამხვდა ახალგაზრდებთან წასულა ბანკეტზე.

დავიწყეთ საუბარი, მომილოცეს, რომ ბოლოს და ბოლოს დავბრუნდი ცოცხალი და ჯანმრთელი, გამომკითხეს კობას ამბავი და როდესაც იმის წერილი და სურათები გადავეცი დიდად გაიხარეს.

– კარგად ვცხოვრობთ, ახლა მივლინელით ჩამოვედი „რენოს“ ქარხანაში, როდესაც დავბრუნდები ქეთევანი და გოჩა უნდა წავიყვანო საქართველოში!

– ნება შენია შვილო, ვინ დაგიშლას, შენს ცოლ–შვილს სადაც გინდა იქ აცხოვრებ! მაგრამ არაფერს გეტყვიან, რომ ემიგრანტები ხართ? – მკითხა თვალცრემლიანმა ნათელამ.

– „დეჟეჟილს მოტეხილი ჯობიაო“ უთქვამს ბრძენ ქართველს და მეც პირდაპირ გეტყვით რომ მე გვარი და სახელი

შევიცვალე, რათა თქვენს მიერ ჩადენილი შეცდომებისათვის თავი ამერიდებია და მკაცრ სასჯელს გადავრჩენილიყავი, ამჟამად არჩილ ბარათაშვილი კი არა ზურაბ დოხნაძე გახლავართ, რომ ასე არ მოვქცეულიყავი დახვრეტა ან ციმბირი „ხელში მეჭირა“, ასეთ შემთხვევაში ჩემთვის დაკარგული იქნებოდა სამშობლოცა და თქვენი სიახლოვეც, ახლა კი ერთადა ვართ, რა მნიშვნელობა აქვს სხვისი ვინაობით ვისარგებლებთ თუ საკუთარით?

– რას ამბობ არჩილ! – შემომედავა ქეთევანი – ადამიანი ხომ სახელისათვის იბრძვის, შენი არ ვიცი და მე ყოველთვის სახელზე ჩრდილის მიყენებას ვერიდებოდი, არა არჩილ, მე მეორედ ვერ გავთხოვდები და ვერ გავყვები ვიღაც ზურაბ დოხნაძეს! ვერ დავიწყებ ზურაბის აჩრდილში ჩემი არჩილის ძებნას! შენთან ყველგან წამოვალ, მხოლოდ სახელისა და გვარის დაბრუნების შემდეგ...

– მერე რა მოხდა შვილო ქეთევან, – ჩემი მხარე დაიცვა და სიტყვა შემაწია მამაჩემმა – იცხოვრებთ ერთად და დრო გიჩვენებთ, შემდგომში, როგორც აჯობოს ისე მოიქეცით, ისე რომ ვთქვათ, სწორედ მოქცეულა არჩილი, ცოტად თუ ბევრად მშობლების შეცდომა და დანაშაული გამოუსწორებია, მიტოვებულ მშობლიურ სანახებს დაბრუნებია, ისარგებლეთ დროებით დოხნაძის გვარით, შეიძლება, თქვენი წყალობით, ჩვენც მოგვცეს უფლება სამშობლოში დაბრუნებისა, შემდეგ კი ყველანი ბედნიერები ვიქნებით! აქ მოსვენება არა მაქვს, დღე და ღამე საქართველოს მიწა მელანდება! შეიძლება დღეს თქვენ ვერ გრძნობდეთ სამშობლოს გამოძახილს და არ გესმოდეთ მშობლიური მიწის ყივილი, ეს გეპატიებათ, ახალგაზრდობის ბრალია, მეც ასე ვიყავი, არაფერზე ვფიქრობდი, როდესაც აქეთ მოვისწრაფვოდი, ოცნებით სამშობლოსაც ვანთავისუფლებდი და ბროლის კოშკებსაც ვაგებდი... მაგრამ ოცნებით არაფერი გაკეთდა და მოხუცებულობაში მიწამ დამიძახა, სწორედ იმ მიწამ, რომელზედაც ვამბობდი: – „მიწა ყველგან ერთია და ჩემი სამშობლოც ის იქნება, სადაც კარ-

გად ვიქნები–თქო“, მაგრამ არა! ჩემი ცხოვრება თქვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს და ნუ დაჰკარგავთ მშობლიურ ფუძეს!

– ვიცი მამა, – უთხრა ქეთიმ – მერცხალიც კი არ ჰკარგავს თავის ბუდეს, მაგრამ ჩვენ მეტად გაგვიჭირდება, ვიყოთ სამშობლოში და შორს მშობლიური კუთხისაგან, რამეთუ არ შეგვეძლოს იმ მამა–პაპისეული ადგილების მონახულება, რომელსაც შენ ასე მისტირი... თქვენც იცით, როგორ ვიბრძოდი ფაშიზმის წინააღმდეგ, რამდენი განსაცდელი გადავიტანე და დღეს მეამაყება, რომ საქართველოს სახელით ვიბრძოდი, საკუთარი სახელითა და გვარით, ვიცი არჩილიც თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ მაგისმა სიმამაცემ შარავანდედი ზურაბ დოხნაძეს მოჰფინა და არა ნამდვილ ადრესატს! დღეს, რომ მე ჩემთვის მთლად უცნობ ზურაბ დოხნაძეს გავყვე ცოლად, შვილს რა გვარი მივცეთ?

– შვილს თავისი გვარიც დარჩება და სახელიც, შენ კი ვითომ მეორედ გათხოვდი და სამი გვარის მფლობელი იქნება, ეს ასეა საჭირო, ჩვენს მდევართა თვალის ასახვევად! – ვთქვი მე.

პირველად არ გამჭირვებია ასე ქეთისთან შეუღლება, როგორც ახლა.

კიდევ ბევრი ვიკამათეთ... გოჩა ბანკეტიდან გვიან დაბრუნდა, ჩემი თავი წარუდგინეს, როგორც საქართველოდან მივლინებით ჩამოსული ქართველი. ჩემს წინ, ჩემი საკუთარი შვილი, ჩემი სისხლი და ხორცი, თვრამეტი წლის პირმცინარი ვაჟკაცი იდგა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ჩემს ახალგაზრდობას და უცხოსავით მიცქერდა... იმ ღამეს სასტუმროში აღარ გამიშვეს, ჩემს საყვარელ ცოლ–შვილთან დავრჩი, ყრმობის სახლში.

დილით ქარხანაში წავედი და ქეთის დავუბარე, ჩემს შესახებ გოჩასათვის არაფერი ეთქვა, იმისათვის უცხოდ უნდა დავრჩენილიყავი, რადგან ქეთიც უცხო ადამიანს მიჰყვებოდა ცოლად, გოჩა პირველ ხანებში ჩვენი შეუღლების

დიდი წინააღმდეგი იყო, მაგრამ საქართველოში ცხოვრება, რომ აღვუთქვი, როგორც იქნა დაგვთანხმდა, პარიზში ექვსი თვე დავრჩი და გამომგზავრების წინ მე და ქეთიმ ჯვარი დავიწერეთ „ვალდეგრასის“ მონასტერში, რომელიც 1645 წელსაა აშენებული და დღესაც უნიკალურ ქმნილებად გამოიყურება.

საბჭოთა საელჩოში მისულებმა განვაცხადეთ, რომ ჩემი მივლინების პერიოდში მე და ქეთის ერთმანეთი შეგვიყვარდა და უფლება მოეცათ, საქართველოში წამეყვანა უკვე ჯვარდაწერილი მეუღლე.

– სიყვარულის წინააღმდეგი ვერავინ წავა! – ჩაიბურდღუნა აშკარად უკმაყოფილო საბჭოთა ელჩმა და სათანადო საბუთები გაგვიმზადა.

პირველად მოსკოვში ჩამოვფრინდით და იქიდან თბილისში, დღესაც არ ვიცი, თუ როგორ გაიგეს ჩვენი დაბრუნება, აეროპორტში შეხვედრა მომიწყვეს, აქ იყო კაკოც და ბევრი სხვაც, ჩვენი საძმაკაცოს ბიჭები. ქეთი ხელში აყვანილი გამოიყვანეს აეროპორტის მოედნიდან, აქ ავტომობილები გველოდებოდა, კაკომ ავტომობილის გასაღები გამომიწოდა და ახალთახალ „ვოლგაზე“ მიმითითა:

– მოისვი გვერდით შენი კნეინა და მიიღე ჩემგან ეს მცირედი საჩუქარი!

ნამდვილად არ მწყენია ეს „მცირედი“ საჩუქარი, გვერდით გოჩა მოვისვი, უკან სავარძელში ქეთი და ხათუნა მოკალათდა და ჩვენს წინ წასულ კაკოს შავ „ვოლგას“ ინერციით მივყევი, ისე, რომ ზესტაოფნამდე გადასწრებაც არ მიფიქრია.

ქეთი და გოჩა გაოცებული იყვნენ საქართველოს ბუნებით და აშკარად ვერ ფარავდნენ სიხარულს!

კაკოს საქორწინო პურ–მარილი გაუმზადებია ჩემს სახლში და შეხვედრაც დიდებული გამოვიდა. დიახ! ჩვენ კიდევ ვერთჯერ გადავიხადეთ ქორწილი, მხოლოდ ამჟამად საქართველოში.

დამთავრდა პურობა... ქეთიმ უცხო ენების მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, გოჩა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოვაწყვეთ და მოგვეცა ტკბილი ცხოვრების საშუალება, მაგრამ... ქეთის ფარულად დაუწყია ზურაბ დოხნაძისა და კაკო მანჯავიძის პიროვნებების გამორკვევა, დაუდგენია მათი ვინაობა და ჩამოვარდა ჩვენს ოჯახში „განხეთქილების ვაშლი", მე თვალის დასანახავად შემიძულა, კაკოს მიმართ კი ალერგიული გახდა, ყოველ დღე ერთსა და იგივეს ჩაგვჩიჩინებდა: „სული გაიწმინდეთ! აღიარეთ თქვენი დანაშაული, ვაჟკაცურად მოიხადეთ სასჯელი და შეგიყვარებთ! თორემ იცოდეთ, მე ჩამოგხსნით ნიღაბს და ვიტყვი ვინცა ხართ!"... სახლში მისვლა შემძულდა, კაკომ კი მთლიანად აღიკვეთა ფეხი ჩვენი ოჯახიდან. ქეთი სადღაც სწორი იყო, ცოდვებისაგან „სულის გაწმენდას", რომ გვიქადაგებდა, მაგრამ მან არ იცოდა, იმ „სულის გაწმენდას" ხორცის „დაქლორვაც", რომ მოჰყვებოდა, შეიძლება იცოდა კიდეც, მაგრამ იმდენად იყო შეყვარებული თავის საშმობლოსა და მშობელ ხალხზე, მათი ღალატი ვერ წარმოედგინა და მოღალატეს, საკუთარ თავსაც არ დაინდობდა.

საფრანგეთიდან ჩამოსული, იმ წელსვე გენერალურ დირექტორად დამაწინაურეს, მაგარმ რად გინდა სამსახურებრივი კარიერა, თუ ცხოვრებისათვის ოჯახური მყუდროება არ გიწყობს ხელს? ყოველდღე აუტანელი შეიქმნა ქეთი და მეც ვუმატე ფულების ფლანგვასა და დროს ტარებას, ეს კიდევ მეტად აღიზიანებდა მას და სულ იმის მოლოდინში ვიყავი, როდის გაგვთქვამდა. ასე იმარცვლებოდნენ წლები... გოჩამ ინსტიტუტი დაამთავრა და ჩემდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში ვუშოვე სოლიდური ადგილი, კარგი მეგობრებივით შევეწყვეთ ერთი–მეორეს და ერთად დადვიწყეთ დროის ტარება, მაგრამ გოჩა ქეიფსა და დროსტარებაში სისუსტეს იჩენდა, ის უფრო ნარკოტს ეტანებოდა. არც ეს ამბავი დარჩა გაუგებარი ქეთის და მეტად აღელდა:

– რად მინდა ნარკომანი შვილი? მე სხვებს ვღზრდი და საკუთარი შვილი ვერ აღმიზრდია? ვაი რა უქმად ვიწვალე სიცოცხლის მანძილზე, მოვკვდები და რას დაგიტოვებ ჩემო სამშობლოვ, მკვლელ მეუღლესა და ნარკომან შვილს? შენი ბრალია ყველაფერი – მსაყვედურობდა ის – სტუდენტმა, სტუდენტობა უნდა გაიაროს, ცოტა კიდეც უნდა შეცივდეს, რომ სითბოს ფასი იცოდეს, უნდა მოშივდეს, პურის ფასი, რომ არ დაავიწყდეს, ცოტა ჩასაცმელიც უნდა აკლდეს და დასახურიც, თუ გინდა იმისაგან ადამიანი გაიზარდოს... შენ კი ფულებით ჯიბეს უვსებდი, ვოლგით დადიოდა ბიჭი ინ-სტიტუტში, ღვინომ ვერ დააკმაყოფილა მაგისი მოთხოვნილება, ვერ გახარჯა იაფფასიანი სასმელებში მამიკოს ფულები და ნარკომანობა დაიწყო, სამამულო წარმოების სიგარეტსაც არ ეწეოდა, ვინ გაიგონა, სტუდენტი და „მარლბორო“? შენ იცი სტუდენტები როგორ ცხოვრობენ? დონორად ეწერებიან, სისხ-ლს ჰყიდიან და ისე ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებელს! შენ კი არ გრცხვენია, როდესაც ერთ მერხზე ზის შენი ჰალსტუხიანი ვაჟი და მეორე დირექტორის უმაიკო შვილი! საიდანა გაქვს ამდენი ფული, თუ არ მოგიპარავს? მთავრობას ჰპარავ? ესე იგი სამშობლოს! მუშას ჰპარავ? ესე იგი მშობ-ლიურ ხალხს! ვინა ხარ შენ, ვის გვარს ატარებ! ნუთუ შენსავით მოიქცეოდა ისიც შენს ადგილზე, რატომ არ გრცხ-ვენია, მიცვალებულის სახელს რომ არცხვენ?

ყოველთვის გაჩუმებული ვუსმენდი ქეთის, ვიცოდი ის მართალი იყო, მაგრამ მე სხვაგვარად არ შემეძლო, შვილს თუ სტუდენტობისას ვანებივრებდი, არ მინდოდა მასაც იგივე გაჭირვება გამოეცადა, რაც მე გამოვცადე უმაღლესში სწავ-ლის დროს! ფულს კი, რომელიც „გვერდებიდან“ შემომდიო-და, ათასი მჭამელი ჰყავდა ჩემს გარდა, კარგია პატიოსანი ცხოვრება, მაგრამ მას მარტოობა, განდეგილობა, შიმშილი და სიღატაკე ახლავს თან... მესმის, რომ სამაგიეროდ სულია განწმენდილი, არ გეშინია ტკბილი ცხოვრებისა და მცირედ-ით კმაყოფილდები. მეც ასე დავიწყე პირველად ცხოვრება,

მუშებს არაფერს ვაკლებდი და ნაშთს სახელმწიფო ხაზინაში ვინახავდი, მაგრამ მოვიდნენ ჩემთან ზემდგომი ინსტანციებიდან და კატეგორიულად გამომიცხადეს: „ადგილს ნუ აცდენო“, თავი დამენებებია თანამდებობისათვის და სულით სპეტაკი დავრჩენილიყავი? ჩემს ადგილზე ხომ სხვას დანიშნავდნენ, რომელსაც იგივე უნდა გაეკეთებია, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ, ამით რა შეღავათი ექნებოდა სამშობლოსა და მშობელ ხალხს? – ამიტომ ყოველთვის გაჩუმებას ვარჩევდი, ამას ქეთი მე ვერ გამიგებდა და მტკიცება უფრო გაამწვავებდა ჩვენს მდგომარეობას.

მაშინ გოჩასთან არ ვყოფილვარ, ავარია, რომ მოახდინა და თურმანიძე მოჰკლა, გოჩა დააკავეს, რომ გამოუშვეს სულ შეიშალა ქეთი, ჩასჩიჩინებდა „წადი, სასჯელი მოიხადე და სული განიწმინდეო“, მართალია, ალერგიულად იყო განწყობილი ძმის მიმართ, მაგრამ მაინც მივიდა მასთან და უთხრა: „თუ გოჩას პასუხს არ აგებინებთ, იცოდეთ გენერალურ პროკურორთან გიჩივლებთო“.

– წადი და სადაც გინდა იქ მიჩივლე, სწორედ იქედან მაქვს ფესვები გადგმული... – აგდებით უთხრა კაკომ, მან იცოდა, რომ ქეთი ცოდვაში ფეხს არ ჩაიდგმდა და არ გაგვთქვამდა. ჩვენთან საუბრით, რომ ვერაფერს გახდა და ვერც გადაბირებული შვილი დაიბრუნა თავის ჭკუაზე, ქეთიმ ფული მომთხოვა, „სასწრაფოდ მილიონი მომეცი, ვლადიმერ თურმანიძის ოჯახს უნდა შევეწიოო“.

– როგორ უნდა შეეწიო, არ გკითხავს, რისთვის მაძლევ ამ თანხას, ან ვინა ხარ...

– დარდი ნუ გაქვს, ამ შემთხვევაში არ გაგთქვამ!

მეორე საღამოს ერთი მილიონი მივუტანე. ნაშუაღამევს გამაღვიძა:

– ადექი, მანქანა დაქოქე და ვლადიმერ თურმანიძის სახლთან მიმიყვანე! – უარი არ მითქვამს, ჩავიცვი და ავტომობილი დავქოქე, გვერდით მომიჯდა გაბუსული, აშკარად ეტყობოდა ნერვილობა და უძილობა, „ვოლგა“ ვლადიმერის

სახლიდან მოშორებით დავაყენე, ქეთის ხელკავი გავუკეთე და ფრთხილი ნაბიჯით ჭიშკარს მივუახლოვდით.

– აქ დამელოდე! – მითხრა და ხელი უდიერად გამაშვებია, ფრთხილად, უხმაუროდ გააღო ჭიშკარი, ეზოში შევიდა, ვხედავდი, თუ როგორი წყნარი ნაბიჯით მივიდა სახლის კარებთან და ფულის შეკვრები ზღურბლთან დააწყო, იქიდან აჩქარებული ნაბიჯით დაბრუნდა, თითქოს ვიღაც მოსდევდა, ჭიშკარი მე გამოვიხურე, ქეთის ხელი მოვკიდე, სულ მთლად კანკალებდა, არ ვიცი შიშით იყო დაზაფრული თუ სიბრალულით, მკერდზე მომეკრა, თითქოს ციოდა და ნელ–ნელა ჩაიკეცა... გული შეუწუხდა, მიწაზე არ დამიშვია, ავიტაცე და ავტომანქანაში შევიყვანე, არ მახსოვს, რამდენხანს ვეწვალე და ვაი–ვაგლახით ძლივს მოვასულიერე, სახლში წამოვიყვანე, დავწექით, მაგრამ იმ ღამეს აღარ დამძინებია, სწორედ მაშინ გავეცანი ქეთის ბუნების კიდევ ერთ შტრიხს, რომ თავგანწირვა შეეძლო მოყვასისათვის...

მეორე დღეს სამსახურში კაკომ დამირეკა და მითხრა, დაუყოვნებლივ მასთან მივსულიყავი, მივედი, კაბინეტში მარტო იყო, ცოტა აფორიაქება შევატყვე და ერთი სული მქონდა, როდის გავიგებდი უსიამოვნების მიზეზს.

– ჩემთან ახლა თურმანიძის მეუღლე იყო...

– რა მინდაო?! – ვკითხე ნაძალადევად.

– ფული მომიტანა ერთი მილიონი მანეთი, ვიღაცამ კარების წინ დამიწყოო, არ ვიცი რას ნიშნავს, თუ ვლადიმერის მკვლელს ჩემი მოსყიდვა უნდა ცდება, მე მეუღლის გამყიდველი არა ვარ და თუ ვინმე, რაიმე შეთქმულებას მიწყობს... არ ვიცი, აი ეს ფული, ერთი კაპიკიც არ აკლიაო, მითხრა და შეკვრები მაგიდაზე დამიხვავა.

– რაიმე საბუთი არ მოუთხოვია, რომ ფული ჩაგაბარა?

– არა, „შენს სინდისზე იყოსო“ მითხრა და კარები გაიხურა.

– მართლაც რამხელა სინდის–ნამუსის მქონენი ყოფილან! – ვთქვი და კაკოს შევხედე.

– ფული თქვენ მიიტანეთ? – შემეკითხა ის.

– ქეთიმ!

– გააჭირა იმანაც საქმე!

საღამოს ქეთის ოთახში შევედი და ვუთხარი:

– აი რა არის სინდის–ნამუსი – „სიღატაკე“! შენ კი ეს არ გჯერა, თურმანიძის მეუღლეს კაკოსათვის შენი ნაჩუქარი ფული უკლებლივ ჩაუბარებია, შენ კი კინაღამ შეეწირე ამ ამბავს.

– რაო, რა უთქვამს ფული, რომ მიუტანია?

– „თუ ჩემი მეუღლის მკვლელს, ჩემი მოსყიდვა გადაუწყვეტია ცდება! მე მეუღლის გამყიდველი არა ვარო“.

– აუჰ, მართლა რა პატიოსანი ყოფილა ეს კაფანდრა ქალი! – თქვა ქეთიმ და ატირდა.

გადიოდა წლები, ოჯახური არეულობით, არც თუ სახარბიელოდ ვცხოვრობდით, ქეთი თითქოს შეეგუა მდგომარეობას, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი ჩემი „მეგობარი“ იყო, (ასე იცოდა გამომძიებელმა კარლო კაპანაძემ და გოჩამაც კი), კატასტროფის მოსაქრობად მაინც გამოგვძალა ერთი მილიონი მანეთი, მაგრამ ამას როდი დასჯერდა, ფული შემოაკლდებოდა თუ არა, ჩემთან გამორბოდა და მეც ვაძლევდი. ერთჯერ კაკოს შევჩივლე ჩემი გასაჭირი და მითხრა:

– მიეცი, რაც გთხოვოს და მოიშორე, ინტრიგანია და მოსკოვს არ შეატყობინოს ჩვენი მეგობრობა.

მეც ვაძლევდი და ვაძლევდი, მას კი მადა ჭამაში მოდიოდა...

არ იფიქროთ გოჩას ვამართლებდე, მაგრამ კარლო კაპანაძე ნამდვილად მოსაკლავი იყო, უფრო სწორედ, გოჩამ წუთებით დამასწრო იმის მოკვლა, თორემ მე მოვკლავდი.

მკვლელობის შესახებ თქვენ უკვე ამომწურავი ინფორმაცია გაქვთ, განმეორება რა საჭიროა, მხოლოდ იქიდან დადვიწყებ, როდესაც პროკრუორის დავალებით მე თქვენთან მოვედი და გოჩას მიერ ჩადენილი მკვლელობის მიმართ,

თავდაცვის მუხლის „მორგება“ გთხოვეთ, მაშინ გავიგე, რომ ვლადიმერ თურმანიძის მკვლელობასაც ეჩინა თავი და თქვენ სავალდებულოდ მიგაჩნდათ მკვლელის მშობლების დაკითხვა.

ეს ამბავი კაკოს ვუამბე, ის საგონებელში ჩავარდა, ვიცოდით ქეთი არაფერს არ დაფარავდა და ერთი ხელის მოსმით დაიფერფლებოდა ჩვენი კარიერა... შეიძლებოდა თქვენი „გაქრობა“ ბატონო გიორგი, მაგრამ ეს კიდევ მეტ შანტაჟს გამოიწვევდა რესპუბლიკაში! ერთადერთი გზა იყო დარჩენილი, ქეთი უნდა მომკვდარიყო... რომ დაფარულიყო ჩვენი წარსული, მაგრამ როგორ? ვის ემეტებოდა ქეთი მოსაკლავად? ორივენი საგონებელში ჩავვარდით, უხმოდ მინდოდა კაკოს კაბინეტი დამეტოვებია, მაგრამ შემაჩერა:

– არ მოჰკლა ბიჭო! უმჯობესია საკუთარ თავს მოვუხერხოთ რაღაც! – მითხრა და ცრემლები წამოსცვივდა.

კაბინეტი უხმოდ დავტოვე და სამსახურში ერთობ აფორიაქებული დავბრუნდი, რასაც ჩემი თანამშრომლები გოჩას დაპატიმრებით ხსნიდნან.

მდივანი გავაფრთხილე ჩემთან არავინ შემოეშვა და მარტოკამ ორი ბოთლი კონიაკი გამოვცალე, სამუშაო საათები დიდი ხანია დამთავრებულია, მე ისევ–ისე ვზივარ, ჩემს მაგიდასთან და ვწრუპავ კონიაკს. მაგიდის უჯრა გამოვწიე, პისტოლეტი ფეხზე შევაყენე, შემდეგ „ზატვორს“ მოვწიე და ჰილზი მაგიდაზე დაეცა, ასე გავიმეორე შვიდჯერ და შვიდი ჰილზი მაგიდაზე მიმოიფანტა, კიდევ მოვწიე „ზატვორს“, მჯიდში მეტი ჰილზი აღარ იყო, ხმამაღლა გავიცინე, რადგან კაკოს სიტყვა გამახსენდა: „უმჯობესია, საკუთარ თავს მოვუხერხოთ რაღაც“.

– ნეტავი შენს პატრონს! კაკო, მე თავს არ მოვიკლავ! – ვთქვი ხმამაღლა, კაკოს მისამართით და ცარიელი პისტოლეტი ჯიბეში ჩავიდე. კურსი სახლისაკენ ავიღე, მართალია ქეთი სახლშია, მაგრამ მაინც დაცარიელებული მეჩვენება იქაურობა, გოჩა აკლია ოჯახს.

– ცუდად არის საქმე, გოჩას სასჯელის გარეშე ვერ დავიხსნით! – ვთქვი მე.

– ვის ასაყვედურებ! – მითხრა ქეთიმ – შენ, რომ იმისათვის თავის დროზე სასჯელი მიგეცა, ავტოავარიისათვის ნაკლებადაც დასჯიდნენ და კარლო კაპანაძეც გადარჩებოდა, ახლა კი განზრახ მკვლელობა გაცილებით მეტ სასჯელს იმსახურებს, მასთან ერთად იმ „ძველმაც“ იჩინა თავი...

– რაც იყო, გასახსენებლად არ ღირს! შენ ის მითხარი, ახლა რა გვეშველება, როგორ დავიხსნათ ბავშვი?

– ბავშვი აღარ არის გოჩა და არც ვცდილობ იმის დახსნას, ბოროტმოქმედებისათვის ყველამ უნდა აგოს პასუხი და ცოდვებისაგან განიწმინდოს!

– ადამიანი, რომ ცოდვებისაგან განიწმინდოს, იმისაგან სიცარიელე დარჩება და მეტი არაფერი, სანამ ხარ, უნდა იცხოვრო, ცოდვებსა და იქაურ ნეტარებაზე ფიქრს კი უნდა დაანებო თავი!

– ცოდვებისაგან გაწმენდილი, მხოლოდ შენისთანა ადამიანებისაგან დარჩება სიცარიელე, რამეთუ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ და შენს გრძნობას გაძღომის გარდა არ გააჩნია სხვა საფიქრალი...

– შენ რითა ხარ უკმაყოფილო?!

– ყველაფრით! პირველი: შენ არა ხარ ის ადამიანი, ვინც მე მიყვარდა პირველი და ძლიერი სიყვარულით! მეორე: მე გულს მირევს შენი ხელის შეხება, რადგან სისხლიანი გაქვს ხელები, მესამე: შენ არ გესმის გაძღომის გარდა ქალს რა ესაჭიროება, მხედველობაში არ მიიღო სქესობრივი კაშვირი, არა! ამის გარდა ქალს ესაჭიროება ოჯახი, ოჯახში კი სიმშვიდე, სიწყნარე, დამჯერებლობა, დღეს მე რას წარმოვადგენ შენს გვერდით? მოჯამაგირეს თუ მონას? მოჯამაგირეს არა, რადგან იგი დაქირავებული პიროვნებაა, რომელსაც დამქირავებელი მოლაპარაკების საფუძველზე გარკვეულ თანხას უხდის... მე მონა ვარ, ძლიერი პიროვნებისაგან დაჯაბნილი, რომელიც მიყენებს თავის სურვილისამებრ, ადამიანი, რომელ-

საც არ შემიძლია სიტყვა ვთქვა ან რჩევა მივცე ჩემი ოჯახის წევრს...

— კარგი შევეშვათ ასეთ საუბარს, მე შენთვის არასოდეს დამიშლია ლაპარაკი და არც ალერსი მოგკლებია ჩემგან! თუ სისხლიანი ხელებით გელანდები, ეს ჩემი ბრალი არ არის...

– აბა ვისი ბრალია? იქნებ მე მოგიწოდე „სამშობლოს ერთგულო შვილო“ თანამემამულეთა გასაჟლეტად? შენ პიროვნება კი არა მოჰკალი მხოლოდ, არამედ ორი ოჯახი გაანადგურე, დედას დედისერთა შვილი მოუკალ და მეორე, ოჯახის ერთა გაუთხოვარი დატოვე!

– კარგი ახლა, მოდი შევრიგდეთ ქეთი! სულ მალე განვაცხადებ ვინაც ვარ! მოვიხდი სასჯელს და ჩვენს სოფელს გაწმენდილი სინდისით დავუბრუნდები!

– სტყუეი! შენ არა გაქვს იმის შნო, საკუთარი ბოროტმოქმედება აღიარო! ახლა კი მაგ საქმეში მე დაგეხმარები, პირადად მე ჩამოგხსნი ნიღაბს და მე ვიქნები ერთადერთი მოწმე შენი და ჩემი სახლიკაცის „კაი კაცობისა“...

– კმარა! მე შენ მოგკლავ! – ვიღრიალე და პისტოლეტი ინსტიქტით დავაძვრე.

ქეთის სიმწრით კი არა, ნამდვილი, უმანკო ღიმილით გაღიმა და პისტოლეტის ლულას მკერდი გაუსწორა... სროლა, რომ დავაგვიანე, სახეში ისე ძლიერად მტკიცა, რომ სისხლი წამსკდა.

– საქონელო! ხომ გითხარი არა გაქვს მეთქი მაგის შნო! – მითხრა და შეტრიალდა.

სიბრაზემ თვალებზე ბინდი გადამიკრა და პისტოლეტის სასხლეტი დავუშვი, მაგრამ როდესაც უბრალოდ დაიტკაცუნა, მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ მჭიდი ცარიელი მქონდა. პისტოლეტი გვერდზე მოვისროლე და თმაში მივწვდი ქეთის, ის შემობრუნდა, გამიღიმა, ამჯერად ზიზღნარევად და ტახტზე წამოწვა... საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი, ინსტიქტმა მიკარნახა და ბალიშვი ავიღე, ქეთი არ განძრეულა, ბალიში

სახეზე დავაფარე და დავაწექი, თითქოს ამას ელოდაო, გასწორდა და ხელები მკერდზე დაიკრიფა, მერე მარცხენა ხელი თავის ქვეშ შევუცურე და მარჯვენა ხელის მთელი ძალით ბალიშს დავაწექი... ასე ვიყავი რამოდენიმე წუთს, ქეთი არ ინძრეოდა, ბოლოს შეაჟრჟოლა და ყველაფერი დამთავრდა...

როგორც ჩანს დიდიხანი ელოდა ამ განსაცდელს ქეთი, რადგან ერთი იოტისოდენა წინააღმდეგობა არ გაუწევია, თავის თავსაც თვითონ მოუარა სიკვდილი სწინ, ახლა იგი, ჩემს სარეცელზე ესვენა გასწორებული, მკერდზე ხელებდაკრეფილი და თვალდახუჭელი უმშვენიერესი ქალის გვამი, დავცქეროდი და ვიგონებდი მასთან გატარებულ სანეტარო წლებს... არ ვიცი, რამდენხანს დავრჩებოდი ასე, რომ ტელეფონის წკრიალს არ გამოვეყვანე მდგომარეობიდან, ყურმილი არ ამიღია, მხოლოდ მადლობა შევუკვალე დამრეკს, ჩემი გამოფხიზლებისათვის.

საათს დავხედე, ორი სრულდება, დროის დაკარგვა აღარ შეიძლება, სარეცხის გასაფენი თოკი გადავჭერი და ჯიბეში ჩავიდე, ქუჩაში გამოვედი, არსაიდან ადამიანის ფეხის ხმა არ ისმის, ირგვლივ სიწყნარეა, თითქმის ფოთოლიც არ ინძრევა ხეებზე, ჩემი ავტომანქანა აქვე დგას, სახლში შევედი, ქეთის ჯერ კიდევ თბილი გვამი ავიტაცე და „ვოლგაში“ დავასვენე, ძრავი დავქოქე და შევუყევი მდინარე ძირულას აღმა დინებას... ავტომობილი ხიდთან გავაჩერე, ჯიბიდან თოკი ამოვიღე, მოზრდილი ქვა გამოვაბი და თოკის მეორე ბოლო ქეთის კისერზე შევანასკვე, ფრთხილად ჩავუშვი გვამი წყალში, იმ იმედით, რომ ერთი კვირა მაინც ვერავინ ნახავდა... ცოტახანს ნაპირთან ჩამოვჯექი, გამოვემშვიდობე ჩემი სხეულის ნაწილს და ამდენი ტანჯვის გადამტანმა პირველად ვიტირე...

სახლში გამთენიისას დავბრუნდი, შემზარდა ყველაფერი და სიცოცხლეზე მეტად მომინდა ხანძარში გამეხვია მთელი შენობა, მაგრამ რაღაც განგებამ შემომძახა: „რატომ უნდა გაანადგურო ის, რაც ქალაქის სიმშვენიერეა?“ აქ მე თუ არ

ვიცხოვრებდი, ის გამოიყენებდა, ვინც იქნებოდა ამ ცხოვრების ღირსი.

– გათენდა, თანდათან დავმშვიდდი და განცხადება დავწერე პროკურორის სახელზე, თითქოს ჩემი მეუღლე ქეთევანი, გუშინ საღამოს სახლიდან გავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულა, ვთხოვდი საგამომძიებლო ორგანოებს მეუღლის მოძებნაში დახმარებას!

– გაუთვალისწინებელი ხომ არაფერი ჩაგიდენია? – გამჭოლი მზერა მესროლა კაკომ, როდესაც განცხადების დაფიქსირება ვთხოვე.

– ყველაფერი ისეა, როგორც განცხადებაში წერია!

იმ დღესავე გვამი თქვენ აღმოაჩინეთ ბატონო გიორგი, რასაც სრულებითაც არ მოველოდი, ამასთანავე, მკვლელობაში შეცდომა დამიშვია, რაც ჩემს იურიდიულად გაუნათლებლობაზე მეტყველებს, მართლაც და... გვამი, რომ წყალს არ დალევდა, ხომ უნდა მცოდნოდა? როდესაც თქვენ დაჟინებით მოითხოვეთ ექსპერტიზა, უკვე მივხვდი, აღმოჩენილი ვიყავი და გადავწყვიტე ჩემი აღმომჩენი ცოცხალი არ დამეტოვებია, ჯიბეზე ხელი გავისვი, რაც კაკოს შეუმჩნეველი არ დარჩენია და მაჯა დადმიჭირა, თან ჩამჩურჩულა: ,,სისულელე არაფერი ჩადინო".

დაპატიმრების წინ, სანამ თქვენთან შემოვიდოდი, კაკოსთან ვიყავი, უკვე ვიცოდი, ჩემს შესახებ მძლავრი მასალა იყო აღმოჩენილი, მაგრამ არ ვიცოდი თუ ,,ზურაბიც" აღმოაჩინეთ, აქაც მე დავუშვი შეცდომა, არ უნდა დამეტოვებია ის ერთადერთი მოწმე ცოცხალი, ილია მშვენიერაძეზე ვამბობ! ალბათ მან მოგაწოდათ ცნობა ჩემს შესახებ!

რადგან თამაში წავაგე, ბედს შევურიგდი და უბრძოლველად დაგნებდით, მოვითხოვე წყნარი საკანი და ვწერ ამ აღსარებას...

დაპატიმრების პირველსავე ღამეს კაკო მოვიდა საკანში:

– უნდა გავიპაროთ! – აღელვება ეტყობოდა.

– როგორღა შევძლებთ? – შევეპასუხე.

– ცოტა გააჭიანურე, სამი დღე მოუნდი წერას, მე კი სამ დღეში ყველაფერს მოვასწრებ! მესამე დღეს შუაღამისას მოვიდა კაკო:

– ყვუელაფერი მზად არის! – საზეიმო ხმით განმიცხადა მან...

აქ ვამთავრებ ჩემს „აღსარებას“...

შალვამ არჩილის „აღსარების“ ჩამთავრებისთანავე ფურცლები ისევ თანმიმდევრობით დააწყო და ამაღლობელს გადააწოდა, რომელმაც ფურცლები სეიფში ჩაკეტა.

* * *

– შემდეგ? შემდეგ რა მოხდა? – ჩავერიე გიორგის, როგორც წიგნის ავტორი.

– ბადრაგი შეკოჭეს და იმავე საკანში დააძინეს, სადაც არჩილი „აღსარებას“ წერდა, საპყრობილედან ჩქარი ნაბიჯით გავიდნენ, შავი „ვოლგა“ ელოდათ, იქ გოჩა ზის უკვე დოკუმენტურად განთავისუფლებული – საჭეს კაკო მიუჯდა.

– სად მივდივართ?! – მყუდროება დაარღვია არჩილმა.

– საფრანგეთში! – მოკლედ მოჭრა კაკომ.

– როგორც ეტყობა, იქედან დაბრუნება აღარ მიწერია...

– რასაკვირველია! – უთხრა და ბილეთები გადააწოდა მივლინებასთან ერთად დამოწმებული.

– საიდან უნდა გავფრინდეთ?

– თბილისიდან! მანდ ყველაფერი წერია!

– მაშინ უკანასკნელი თხოვნაც შემისრულე, თბილისში ჭიათურის გავლით წავიდეთ, მინდა ჩემს სოფელში შევირბინო, სასაფლაოდან ერთ მუჭა მიწას გავიყოლებ თან...

– უსათუოდ! – უთხრა კაკომ და სიჩქარის ბერკეტი გადასწია.

ქვაციხეში ადვილად მიაგნო არჩილმა თავისი წინაპრების სამუდამო სასუფეველს, აიღო ერთი მუჭა მიწა, დაყნოსა და მთლეი არსებით დაუწყო კოცნა... შემდეგ ჩანთა გაავსო და თბილისისაკენ მთელი სისწრაფით დაიძრნენ.

– შენც ხომ მოდიხარ?

– არა! ამჟამად თქვენ გაგამგზავრებთ! მე ხელშეუხებელი პიროვნება ვარ, უბატონოდ ხმასაც ვერავინ გამცემს! – ბავშვურად გაიღიმა კაკომ.

თბილისის აეროპორტში, ზუსტად იმ დროს მივიდნენ, როდესაც ბილეთების რეგისტრაცია მთავრდებოდა. თვითმფრინავის ტრაპამდე მიაცილა კაკომ არჩილი და გოჩა. დაკოცნეს და დაემშვიდობნენ ერთიმეორეს.

– არაფერი არ მიმაქვს საქართვლეოდან, ორიოდე მუჭა მიწის გარდა ძმაო კობა! მხოლოდ შენა ხარ მოწმე ჩვენი შავბნელი ცხოვრებისა და როგორც გინად ისე გამასამართლე! ვთხოვ მაპატიოს ერმა, თუ რამ ხელმრუდობა ჩამიდენია! – შემდეგ ჩაფიქრდა და სადღაც ამოკითხული ჩურჩულით წარმოსთქვა:

,,ვინც სამშობლოში დაბრუნებას აღარ ეღირსა,
გაგიყოლია ვით სიცოცხლის წყარო ნეტარი,
შენ მუჭა–მუჭა გაგიტანეს საქართვლეოდან
ქართულო მიწავ! და იმიტომ დაპატარავდი!...“

მოზღვავებული ცრემლი ხელის გულით მოიმშრალა და თვითმფრინავში შევიდა... კობას ავიალაინერის გუგუნიც არ ესმოდა, ის ერთ ადგილზე იდგა და ჰორიზონტს გასცქეროდა, სადაც თვითმფრინავი არჩილთან და გოჩასთან ერთად გაუჩინარდა...

* * *

გიორგიმ არჩილის ,,აღსარებიანი“ ურცლები სეიფში ჩაკეტა თუ არა, ზეზე წამოიჭრა.

– აბა ჩქარა, კაკოსთან წავიდეთ! იმის სამშობლოში დარჩენა კარგის მომასწავლებელი არ უნდა იყოს! – უთხრა შალვას და საჩქაროდ დატოვეს კაბინეტი. კაკოს ეზოში დამტვერილი ,,ვოლგა“ შენიშნეს, ,,მგზავრობიდან არის მოსუ-

ლი“ დაასკვნა ამაღლობელმა და ონკანთან ხელსაქმით გართულ დიასახლისს მიესალმა, ქალმაც თავაზიანად უპასუხა სალამზე და ხელები შეიმშრალა.

– ქალბატონო ხათუნა, ბატონი კაკო სახლში ბრძანდებაა?

– არა, წუხელი არ მოსულა... – იყო პასუხი, გიორგი მიხვდა, ხათუნა ცრუობდა და ჯიბიდან პირადობის მოწმობა ამოიღო.

– ჩვენ პროკურატურის საგამომძიებლო ორგანოდან ვართ კაკოს მეგობრები.

– ჰოო... მე კი სხვანი მეგონეთ, კაკო ამ დილით მოვიდა და გამაფრთხილა: „ვინც არ უნდა მიკითხოს სახლში არ ვარო“ – ქალს სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ სახლიდან რევოლვერის სროლის ხმა გაისმა.

– ვაი, მიშველეთ! – შეჰკივლა ხათუნამ და კაკოს ოთახისაკენ გაიქცა, გიორგი და შალვა ფეხიდაფეხ მიჰყვნენ მანდილოსანს. ოთახის კარები შიგნიდან ჩაკეტილი აღმოჩნდა.

– მომეცალეთ! – დაიყვირა შალვამ და მხრის ერთი დარტყმა საკმარისი აღმოჩნდა, რომ კარები ანჯამებიანად ჩამოვარდნილიყო... საზარელი სურათი გადაიშალა მათ თვალწინ, ტყვია მარჯვენა ყურის გვერდით მოხვედროდა კაკოს და კეფა გაენგრია, პისტოლეტი ისევ ხელში ეჭირა, თვითონ ტახტზე იყო წამოწოლილი და სისხლი ტვინში შერეულიყო...

ხათუნა ღაწვების ხოკვით მივარდა საყვარელ მეუღლეს და ჯერ ისევ თბილ გვამს მკერდზე იკრავდა.

გიორგიმ მაგიდაზე ბარათი შენიშნა და ხათუნას შეუმჩნევლად ჯიბეში ჩაიცურა.

ხათუნას კივილზე შეგროვდნენ მეზობლები და როგორც ყოველთვის ხდება, ასეთ ვითარებაში, დაიწყეს ჭირისუფალის დაწყნარება და მიცვალებულის გაპატიოსნება.

– ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმება! – წყნარად უთხრა გიორგიმ შალვას და ფეხაკრეფის გავიდნენ ოთახიდან –

სანამ სახლში წავიდოდეთ, ჩენს კაბინეტში შევიაროთ და კაკოს წერილი წავიკითხოთ!

კაბინეტში შესვლისთანავე ამაღლობელმა წერილი შალვას გადააწოდა და ღრმად მოკალათდა სავარძელში. შალვამ ფურცელი გაშალა და კითხვა დაიწყო:

– „არ ვიცი, არ წამიკითხავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემს შესახებ არჩილის „აღსარებაში“ წაიკითხავდით ორიოდე სიტყვას! დიახ, მე კობა იოსების ძე გამყრელიძე ვარ! სამშობლოზე თვითმკვლელობამდის შეყვარებული! ასე, რომ ცოტა თუ შესძლებს შემეჯიბროს საქართველოს სიყვარლუში...

მამა–პაპიდან ჩემამდის, თუ რამ ცოდვა გვაწევს სამშობლოს წინაშე ომით გამოვისყიდე, ამაზე ჩემი წარსული მეტყველებს და თუ რამ ერის წინაშე ცოდვა ჩამიდენია, საკუთარი სისხლით ვზღავ დანაშაულს! ასე რომ ჩემი ფიქრით გაწმენდილი მივდივარ იმ ქვეყნად და თუ თქვენც ჩემს სიწმინდეში ეჭვი არ გეპარებათ, გიბარებთ უკანასკნელ თხოვნას, ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი ჩემს შვილებს დაუბრუნეთ, რამეთუ ისინი ხომ მაინც არიან უცოდველნი? მამა–პაპურ გვარს გააგრძელებენ და გააღვივებენ რამოდენიმე წლის ჩაქმრალ კერას... ვიცი მიწას მაინც მიმაბარებთ და გთხოვთ, ჩემი გვამი, ჩემი საგვარეულოს ძვალშესალაგში დაასვენოთ, იმ ზოდში, სადაც ბავშვობა გამიტარებია და ჩემი წინაპრები მელოდებიან! გთხოვთ ჩემს გვერდით დამარხოთ ჩემი საყვარელი დაიკო ქეთევანი! საქართველოსა და ქართველ ერზე ესოდენ შეყვარებული...

რატომ არ წავედი არჩილთან ერთად და არ შევინარჩუნე სიცოცხლე?

– აი ამიტომ! ხარბი ვარ... საქართვლეო მარტო ჩემი მინდა იყოს! მე არ მეყოფოდა საქართველოდან წაღებული ერთი მუჭა მიწა, ვერ მომათბობდა წინაპართა ძვლები, არ მეყოლებოდა ქართულად დამტირებელი და შემდგომში ქართული ზნე–ჩვეულების გამტარებელი, სულის მომხსენიებელი...

ნაადრევად, მაგრამ დამშვიდებული მივდივარ, იმ იმედით, რომ ჩემი ოჯახი და მეგობრები უკანასკნელ თხოვნას შემისრულებენ!

ყველანი დალოცვილნი მეყოლეთ!

გაუმარჯოს საქართველოს!

თქვენი კობა იოსების ძე გამყრელიძე“.

* * *

– აი, ესეც შენი „გიჟი პოეტი“, მან მოგვცა გზა, მაგრამ ვერაფერი გავაკეთეთ! – წყენით თქვა შალვამ და წერილი გიორგის გადააწოდა.

– მეტი რა უნდა გაგვეკეთებია, მაინცა და მაინც სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო ბოროტმოქმედი? პროკურორმა თავის თავს განაჩენის უმაღლესი ზომა გამოუტანა „დახვრეტა“, არჩილსა და გოჩას სამშობლოდან გაძევება! მეგონია კასაციას არ დაწერთ და არ გაასაჩივრებთ, რამეთუ მეტად მკაცრი განაჩენი აღარ შეიძლება!

– სწორედ!

პრიმინალური აქსიომა

იქ სადაც ჭიათურა–საჩხერის რაიონული საზღვარია და მდინარე ჯრუჭულა მთის ჩქარი დინებით უერთდება მდინარე ყვირილას, ერთი–მეორის შეტაკებით ტრიალებენ მდინარეები და საცურაო ავზს ქმნიან. აქ წელიწადის ნებისმიერ დროს წყალუხვობაა და ახლაც ივლისის პაპანაქება სიცხეში დახვატული ახალგაზრდობა ისე შესეოდა ჩანქერს, თითქოს დინების შეჩერებას ლამობდა. მათი ჟივილ–ხივილი არემარეს აყრუებდა, მაგრამ სიცილ–ხარხარი მალე განწირულმა კივილმა შეცვალა:

– დედა! მიშველეთ! ღურღულში ქალია! ვიღაც ქალი! – შეშინებული, კივილით ამოვარდა წყლიდან ნაპირზე მთლად შიშველი, ათიოდე წლის კობა, რომელმაც წყლიდან ამოსვლისთანავე, შიშისაგან გრძნობლა დაჰკარგა.

გოგო–ბიჭები კობას მიცვივდნენ, ზოგი წყალს ასხამდა და ზოგიც ჰაერს უნიავებდა.

ბავშვების კივილზე გზატკეცილზე ავტომანქანები გაჩერდნენ. მგზავრებმა ყმაწვილს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და გრძნობაზე მოიყვანეს, მალე კობას მშობლებიც მოცვივდნენ კივილითა და თმის გლეჯით, რადგან შვილი დამხვრჩალი ეგონათ და როდესაც გრძნობაზე მოყვანილი ჯანმრთელი და უვნებელი დაინახეს, დაწყნარდნენ, თუმცა როგორც კი გულის წუხილის მიზეზი გაიგეს, ბებიამ წამსვე სოფლის ექიმბაშთან გააქანა გამოსალოცად.

შემთხვევის ადგილზე თანდათან შეგროვდნენ მგზავრები და ახლო–მახლო მაცხოვრებელი მოსახლეობა. გამოჩნდნენ კარგი მოყვინთავეებიც, მაგრამ წყალში ჩასვლა და გვამის ამოღება კი ვერავის გაებედა.

ვიღაცამ იქვე მდებარე პურის კომბინატიდან დარეკა ჭიათურისა და საჩხერის მილიციის ორგანოებში, ადამიანთა უშიშროების მესვეურებმა როგორც კი შეიტყვეს მომხდარი ვითარების შესახებ, ორივე რაიონის მილიციისა და ჯანმ-

რთელობის დაცვის მუშაკები შემთხვევის ადგილს მდინარის ორივე მხრიდან მოადგნენ. საჩხერის მილიციის ორმა ახალგაზრდა მუშაკმა ტანსაცმელი გაიხადა და მდინარეში შეცურა.

ორიოდე წუთის შემდეგ ორივემ ერთად წყლიდან ახალგაზრდა ქალის გვამი გამოიტანა და მდინარის ნაპირზე საკაცეზე დაასვენა. მიცვალებული ჯერ კიდევ ლამაზად გამოიყურებოდა, რაც იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ გვამი წყალში დიდი ხნით არ იყო ნამყოფი. ქალს მოკლესახელოიანი, შიფონის საზაფხულო კაბა ეცვა, კისერზე კაპრონის თოკით მოზრდი ქვა ჰქონდა შებმული. მუცელი ზომაზე მეტად გაბერილიყო, ეს კი გამოძიებას თვითმკვლელობასა და წყალში დახრჩობაზე მიუთითებდა.

გვამის დათვალიერების შემდეგ საჩხერის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დავით დვალმა გვამი ექსპერტიზას გადასცა სიკვდილის მიზეზის დასადგენად, ხოლო მკვლელობის საქმე გამოსაძიებლად – პროკურატურის ახალგაზრდა კვალმაძიებელს ინგა აბაშიძეს.

გვამი წაიღეს, ნელ–ნელა ხალხმაც დაიწყო დაშლა, თუმცა ბევრს სალაპარაკოდ და საჭორაოდ დიდხანს ჰქონდა ეს ამბავი, იმ ადგილზე კი, საიდანაც გვამი ამოიღეს, დღემდე ვერავინ ბედავდა ცურვას.

სანამ გვამს გაკვეთავდნენ, გამომძიებელმა ინგა აბაშიძემ გულდასმით დაათვალიერა მიცვალებული. უპირველეს ყოვლისა დასადგენი იყო მისი პიროვნება.

ინგამ მიცვალებულის გაციებული ხელები ხელში აიღო და ყურადღებით დააკვირდა ფრჩხილებთან ოდნავ გაუხეშებულ თითებს. კისერზე თავის ხელით შეხსნა თოკი და ქალის ფაქიზ ყელ–კისერზე სილურჯის ნატამალიც კი ვერ აღმოაჩინა.

გამომძიებელმა ყველაფერი ჩაიწერა და ექსპერტიზას თხოვა გვამი გაეკვეთათ.

გაკვეთეს.

გვამი შვიდი თვის ორსული აღმოჩნდა. პატარა მამრობითი სქესის ჩვილი პაწაწინა თითებით დედის გვამს ჩაკვროდა. ქალის ფილტვები და სტომაქი წყლით იყო სავსე. – „თვითმკვლელობა“ – თქვა ერთ–ერთმა ექსპერტმა.

– წყალი უნდა შემოწმდეს! – მტკიცედ განაცხადა გამომძიებელმა.

– რასაკვირველია! მაგრამ რაში გვესაჭიროება? – თქვა მეორე ექსპერტმა.

– ვინ იცის. იქნებ რაიმეში გამოგვადგეს! – გაიმეორა გამომძიებელმა.

იმ დღესვე გამომძიებლის საქაღალდეში ექსპერტიზის დასკვნა დაიდო გვამის დათვალიერებისა და სიკვდილის მიზეზის გამოწვევის შესახებ.

გვამს სურათი გადაუღეს და საღამოს ტელევიზიით უჩვენეს მოსახლეობას, მაგრამ ამ ამბავს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

– „ვის ეკუთვნის გვამი?“ – ეს ერთადერთი ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა ახალგაზრდა გამომძიებელს.

მეორე დღეს პროკურორთან თხუთმეტ წუთიანი თათბირის დროს ინგა აბაშიძემ განაცხადა:

– გვამი, რომელიც მდინარეში აღმოვაჩინეთ, ეკუთვნის რომელიღაც წარმოების საქმეთა მმართველს!

პროკურორმა გაკვირვებული მზერა მიაპყრო გამომძიებელს, არ უნდოდა შეკითხოდა, თუ საიდან ჰქონდა ეს ცნობა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და:

– ქალბატონო ინგა, საიდან გაქვთ ასეთი ვერსია?

– ბატონო დავით, მოგახსენებთ, რომ მიცვალებულს არ აღმოაჩნდა პიროვნების დამადასტურებელი არავითარი საბუთი, მაგრამ ამასთანავე ერთად, არა აქვს ხელის თითებზე ფრჩხილები, რაც თანამედროვე ახალგაზრდა ქალიშვილისათვის ყოვლად შეუფერებელია. მიცვალებულს ფრჩხილების ახლოს, თითების დაბოლოება საგრძნობლადდ აქვს გაუხეშებული, რაც მაფიქრებინებს, რომ პიროვნება საქმეთა მმართველი იყო

და დიდხანს უხდებოდა საბეჭდ მანქანაზე მუშაობა. მეორე, ჩემი აზრით, მიცვალებულს სიკვდილის შემდეგ აქვს ჩაბმული თოკი, რადგან თოკს სისხლის შედედება არ გამოუწვევია და ყელ–კისერი არა აქვს დალურჯებული. ჯერჯერობით ვეყრდნობით ამ ვერსიას. ვაგრძელებთ ძიებას...

დავითს კმაყოფილების ღიმილმა ბაგე გაუპო და წყნარად წარმოთქვა:

– ესე იგი, მკლველობასთან გვაქვს საქმე?

– უეჭველად! – გამომძიებლის ხმაში ფოლადი გაერია.

– კმაყოფილი ვარ თქვენი მუშაობით! გააგრძელეთ ძიება! – თქვა პროკურორმა და თათბირი დამთავრებულად გამოაცხადა.

იმ დღესვე გამომძიებელმა ყველა საწარმოში, განათლების განყოფილებასა და სხვადასხვა ორგანიზაციებში დეპეშები დაგზავნა, რათა შეეტყობინებიათ, საქმეთა მწარმოებლის ადგილზე ყოფნა არ ყოფნის შესახებ. რამდენიმე საათის შემდეგ ყველა ორგანიზაციისაგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო:

– „საქმეთა მწარმოებელი ადგილზე იმყოფება. განაგრძობს მუშაობას“.

– „არა, ფარ–ხმალის დაყრა არ შეიძლება“ – გაიფიქრა ინგამ – „პირადად უნდა შევამოწმო ყველა ობიექტი“.

ორი დღე მოანდომა გამომძიებელმა სხვადასხვა წარმოებების შემოვლას, პასუხი კი ყველგან ერთი და იგივე იყო, ყველა საქმის მწარმოებელი წარმოების ჩამოყალიბებიდან მუშაობდა. მესამე დღეს კი საჩხერის ფაიფურის ქარხანას ეწვია, აქ, სხვა წარმოებისგან განსხვავებით, ტლანქი შეხედულების ორმოცი წლის ქალი მუშაობდა, რომელსაც მამაკაცურად ჰქონდა წარბები გადახლართული და საულვაშეზე ჭაბუკური შავი თმის ბუსუსები ეფინა.

– მე პროკურატურის გამომძიებელი ინგა აბაშიძე გახლავართ, თუ შეიძლება ორიოდე შეკითხვა მოგცეთ? – მოკრძალებით შეჰკადრა გამომძიებელმა საქმეთა მმართველს, რომელიც

საბეჭდ მანქანას მიჯდომოდა, თავაუღებლივ რაღაცას ბეჭ-დავდა ინგას შემოსვლა დიდად არ ესიამოვნა. როდესაც პირადობის მოწმობა გაუწოდა მოსულმა და „პროკურატუ-რა“ უხსენა, ქალი დაიბნა, ზეზე წამოდგა, გამომძიებელს სკამი შესთავაზა. „საქმეთა მმართველები ყველგან ლამაზები არიან, აქ კი ვინ მოათრია ეს ჯოჯოხეთი?“ – გაიფიქრა ინგამ და შეკითხვა გაუმეორა:

– თუ შეიძლება ორიოდე წუთით საქმეს მოგაცდინოთ?

– ბრძანეთ! მე ქალთამზე მქვიან! – თქვა ვაჟკაცური შემართებით საქმეთა მმართველმა. – „აგაშენა ღმერთმა, შენ მართლაც ამართლებ შენს სახელს“ – გაიფიქრა ინგამ, მა-გრამ კითხვა სხვა კუთხით დაუსვა:

– რამდენიხანია რაც ამ ქარხანაში მუშაობთ?

– ორი თვე იქნება, უფრო სწორად მეორე თვეა!

– თქვენამდე ვინ მუშაობდა ამ ადგილზე?

– ეკა ასანიძე!

– ვინ არის ეკა, სადაურია ან სად წავიდა თუ იცით?

– ეკა სოფელ ჩიხიდან იყო, ის თავის განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა, სად წავიდა კი ვინ იცის! – მხრები აიწურა საქმეთა მმართველმა.

– სად შეიძლება ვნახო, ეკა ასანიძის განცხადება და ბრძანება იმის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ?

– ერთი ეგზემპლარი ჩემთან ინახება, მეორე კი კადრების განყოფილებაში!

– თუ შეიძლება გვიჩვენოთ?

– სიამოვნებით! თუმცა უფლება არა მაქვს დირექტორის თანხმობის გარეშე, მაგრამ დირექტორი ამჟამად აქ არ იმყო-ფება და თქვენ კი ვერ გალოდინებთ! – ღიმილად დაიღვარა ქალთამზე, რომელიც დაღრეჯვას უფრო ჰგავდა, ვიდრე ღიმილს და საქაღალდეში ფურცლების ქექვა დაიწყო.

– აი, ვიპოვე! – თქვა მან ორიოდე წუთის შემდეგ და განცხადება, ბრძანებასთან ერთად, გამომძიებელს წინ დაუ-დო.

– მართლაც ორი თვის წინ განთავისუფლებულა ეკა სამსახურიდან, თქვენ კი ეკას განთავისუფლებიდან მესამე დღეს დაგიწყიათ მუშაობა, ფაქტს ვერსად გავექცევით. – თქვა გამომძიებელმა და ეკას ხელით დაწერილი განცხადება საქაღალდეში მოათავსა.

– ეს განცხადება უნდა წაიღოთ? – შემკრთალი სახით შეეკითხა საქმეთა მმართველი.

– დიახ! – ცოტა ხანს დამჭირდება!

– ნუ დამღუპავ, შენი ჭირიმე, დირექტორმა რომ გაიგოს, აუცილებლად მომხსნის.

– ნუ ღელავთ, სანამ დირექტორი დაბრუნდება, განცხადებას უკანვე დაგიბრუნებთ!

– ესე იგი დღესვე? და დირექტორს არაფერს ეტყვით?

– რა თქმა უნდა, დირექტორს არაფერს ვეტყვი და განცხადებასაც დღესვე დაგიბრუნებთ. მხოლოდ ერთი პირობით, თუ არც თქვენ არაფერს ეტყვით დირექტორს.

– პირობას გაძლევთ!

– მაშინ კარგად ბრძანდებოდეთ. მომავალ შეხვედრამდე! – თქვა ინგამ, ზეზე წამოდგა და საქმეთა მმართველს ხელი გაუწოდა.

– კარგად ბრძანდებოდეთ! – ამოილუღლუღა საქმეთა მმართველმა, ინგას ხელი ჩამოართვა და კარებამდე მიაცილა.

– „დროის დაკარგვა არ შეიძლება!“ – გაიფიქრა კიბეზე ჩამომავალმა გამომძიებელმა და საჩქაროდა მიუჯდა „ჟიგულის“ საჭეს. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ სოფელ ჩიხაში იყო და პირველსავე შემხვედრს ეკა ასანიძის საცხოვრებელი სახლის ადგილს შეეკითხა.

მიასწავლეს, კრამიტით დახურული ერთსართულიანი ხის სახლი, რომელიც კაპიტალურ და ალუმინის სახურავით დახურულ სახლთა შორის თითქმის არ ჩანდა და თუ დაინახავდით, საწყლად გამოიყურებოდა.

ინგამ შქერის წნელით მორაგულ ღობეზე ფრთხილადგადააბიჯა და ეზოში მოფუსფუსე შუახნის ქალს მიესალმა.

– ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს შვილო! – უპასუხა დიასახლისმა და ხელი მოიჩრდილა, რომ უკეთ დაენახა ახლადმოსული.

– ეკა ასანიძე აქ ცხოვრობს დეიდა? – თავაზიანად შეეკითხა ინგა დიასახლისს.

– კი, აქ ცხოვრობს შვილო, მაგრამ კი ვერ გიცანი, გოგო, რომელი ხარ შენ?

– მე ეკას მეგობარი ვარ, ქეთი მქვია, დეიდა! – იცრუა ინგამ.

– ეკა, შვილო სხალში არ არის, სამი დღის წინ სამსახურში წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა, თუ გადაუდებელი საქმე გაქვს, ან სამსახურში ნახავ, ან კიდევ სახლში, იქანა ცხოვრობს, სანამ ხიდზე გადახვიდოდე, ძალიან მაღალი სახლი რომ არის, მეორე სართულზე არის იმისი ბინა.

– ცოტა ხანს დაველოდები და თან შევისვენებ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

– როგორ გეკადრებათ, შვილო, სახლში შემობრძანდით, ტკბილი სასმელით გაგვიმასპინძლდებით.

– არა, აქვე ჩრდილში დავჯდები, ტკბილ სასმელს კი თქვენთან საუბარი მირჩევნია.

დიასახლისმა სახლიდან ორი სკამი გამოარბენინა, ვაშლის ჩრდილში დადგა და სტუმარს თხოვნით მიმართა, დამჯდარიყო. ინგას არ დაუწყია თავპატიჟი და კარგი მოსაუბრე გამოდგა.

– აქ მარტო ცხოვრობთ დეიდა? – შეეკითხა ინგა დიასახლისს და თან თვალს არ აშორებდა პატარა ოდა სახლზე შემოვლებულ ფიცრის მოაჯირს.

– მარტო ვცხოვრობ შვილო, ეკა არის ჩემი ერთადერთი სიცოცხლე, არ ჩავაგდე სოფელში, ქალაქში ერთოთახიანი ბინა ვუშოვე, მბეჭდავ–მამანქანის კურსები დავამთავრებიე ჭიათურაში, შემდეგ ფაიფურის ქარხანაში დაიწყო მუშაობა და იმდენს შოულობს, რომ ყოფნის გაჭირვებით საცხოვრებლად.

– რა ტკბილი მოსაუბრე ბრძანდებით ქალბატონო! – შეაქო ინგამ დიასახლისი.

– ეჰ, შვილო, სიკვდილს დაევსოს თვალები, თორემ ჩემს ტოლებში არც საუბარი მეშლებოდა და არც სწავლა–განათლებით ვიყავი სხვაზე ნაკლები. წერეთლის ქალი ვარ სავანიდან, ფერიდე მქვია სახელად. ოცდაოთხი წლის წინათ პირველად ვნახე ჩემი გიორგი, მაშინ თვრამეტი წლისანი ვიყავით, ჩვენი თვალები ერთი–მეორეს შეხვდა თუ არა, სიყვარულიც იმ წუთიდან დაიწყო, ერთი წელიწადი შევციცინებდით ერთი მეორეს თვალებში, ვეღარ გავუძელი შვილო მოზღვავებულ სიყვარულს, ავდექი, გამოვიპარე სახლიდან და ამ ქოხში მომიყვანა ჩემმა გიორგიმ. მაგრამ ქოხში რა ბედნიერი არ ვიყავით? სახლში დედამთილი დამხვდა და სამივენი ერთად მომავალი ცხოვრების გრანდიოზულ გეგმებს ვადგენდით.

ოთხი ძმა მყავდა. ოთხივე მიეწია ჩემს გიორგის, „რას ჰქვია შენ ჩვენს ოჯახს თავს ლაფი დაასხი და გამოიპარეო“ – მითხრეს, მომიხტნენ ამ ქოხში და სამივენი გვცემეს, ჩემს გიორგს უმცროსი ძმა დაეჩემა – „იცოდე არ გაგახარებო“ – და არ გიხარა იმისმა გულმა, როგორც ჩემი გიორგი არ გაახარეს, ეკა სამი თვის მყავდა მაშინ, გიორგი ყვირილას ნაპირზე ღორივით ყელგამოღადრული იპოვეს. იმ დღიდან აღარც ჩემი დედამთილი ამდგარა ფეხზე და სამი წელიწადი ლოგინში მოსავლელი გამიხდა, მაგრამ ნეტავი ეცოცხლა და რას დავეძებდი, იცი რამხელა იმედი იყო ეს დავრდომილი ადამიანი ჩემთვის? დავარდნილი იყო, თორემ გგონიათ აზრი და გონება აკლდა? ის იყო ჩვენი პატარა ოჯახის ცოცხალი მატიანე, მაგრამ ღმერთმა არც ის გაიმეტა ჩემთვის და დავრჩი ჩემი პატარა ეკას ამარა, ენაცვალოს დედა, ის თუ მაინც კარგად მეყოლა, დედამთილი კი არა ჩემი სიცოცხლეც თავზე შემოვლებოდეს.

– მძიმე ისტორია გქონიათ, ქალბატონო ფერიდე! – უთხრა ინგამ და საუბარი რომ გაეგრძელებია, ისევ შეეკითხა:

– გიორგის მკვლელი იპოვეს?

– ვინ ეძებდა შვილო, რომ ეპოვა, ყველაფერს პატრონი უნდა, მე კი რისი თავი მქონდა, მილიციასაც ვერ მივაკითხე, შემეშინდა, ბავშვს არაფერი მომიწიონ–მეთქი და გაჩუმება ვარჩიე.

– ნუ გეშინიათ დეიდა ფერიდე, ხომ გაგიგონიათ: „ობლის კვერი ცხვა და გვიან გამოცხვაო“.

– ეჰ, შვილო, ყველა ობლის კვერი როდი გამოცხვა, ბევრი ღადარში დანახშირდა და ამოიფშეტა, მაგრამ იმედი ნუ გამოგვილიოს ღმერთმა, ჩვენ ხომ იმედით ვცოცხლობთ!

– ღმერთის საძრახისს რად ამბობთ ქალბატონო ფერიდე, ახლა ხომ კარგად ცხოვრობთ, ალბათ მალე ეკას გაათხოვებთ და ბედნიერი ოჯახი გექნებათ.

– ეჰ, ნეტავი მაგ დღეს მომასწრო, რომ ჩვენს ჭიშკართან კაცის სახელი დაიძახონ და იმ დღესვე მომკლა, არ დავეძებ, მაგრამ გათხოვებას ვერ უხსენებ, ამ ბოლო დროს ისე განერვიულდა, გათხოვება კი არა კაცის სახელის გაგონებაც ეზარება.

– იქნებ შეყვარებული ჰყავს და ამიტომ იკავებს თავს?

– ჰყავს, აბა არ ჰყავს?! – ღიმილით თქვა ფერიდემ – დედის გულის რა გამოეპარება, საწოლში ჯარასავით ტრიალებს და ხანდისხან ისე ამოიხვნეშებს, ჩემი ახალგაზრდობა მაგონდება.

– თუ შეგიმჩნევიათ, რომ ვინმეს მოეცილებინოს სახლამდე?

– არა, მასეთი შემთხვევა არ მქონია!

– არც უთქვამს ოდესმე შეყვარებულის სახელი?

– შეყვარებულის სახელი კი არა სულ ასე იძახის – „არავინ არ მიყვარს, კაცები სუყველანი გასაწყვეტლები არიან და ყველანი მეზიზღებაო“, მართალია ის ასე ამბობს, მაგრამ მე ხომ ვიცი გულში რა ცეცხლი უგიზგიზებს.

– არც წერილი მიუღია ოდესმე ვინმესგან?

– არა, არა წერილი არასოდეს არ მიუღია, მხოლოდ განმარტოება უყვარს ხოლმე და ხანდახან ლექსებსაც წერს, არ იკარგება წერთლის ჯიში, თუმცა მოიცადე, სამსახურში წასვლის წინა დღეს დეპეშა მიიღო, ისე გახალისდა, კინაღამ ცეკვა დაიწყო, იმწამსვე შევატყვე დეპეშა შეყვარებულისაგან უნდა ყოფილიყო გამოგზავნილი და ერთი სული მქონდა, როდის წავიკითხავდი, მაგრამ თურმე რა წაიკითხავ, ვნახე დეპეშის ბლანკი და გაუგებარი ციფრებით აჭრელებული ფურცელი შემრჩა ხელში, ხან ქართულ დამწერლობას შევადარე და ასოები რიცხვით მნიშვნელობაზე გადავიტანე, ხან შევაბრუნე, ხან შემოვაბრუნე, მაგრამ ისე მომივიდა, მაიმუნს რომ დაემართა სათვალეების მიმართ და მეც გულმოსულმა დეპეშა სურათების ალბომში ჩავაგდე.

– თუ შეიძლება მაჩვენეთ ის დეპეშა, როგორც თქვენ ამბობთ, მართლაც საინტერესოა, რას არ მოიგონებს შეყვარებული წყვილი... – ისე მიამიტურად თქვა ინგამ, რომ მის გულწრფელობაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა.

– ახლავე შვილო, ალბომიანად მოვიტან და თან სურათებიც დაათვალიერე! – თქვა ფერიდემ და ახალგაზრდული სიმკვირცხლით გამოიტანა სახლიდან სურათბეის ალბომი.

ალბომი ნახა თუ არა, ინგას დეპეშის არსებობა სრულებით გადაავიწყდა. იმის თვალწინ წყალში ნაპოვნი გვამი გაცოცხლდა და იმავე კაბაში გამოწყობილი ალბომის პირველი გვერდიდან იღიმებოდა. – „რა ლამაზია“ – წყნარად წარმოთქვა ინგამ, მაგრამ ფერიდეს მაინც არ გამოპარვია იმის ნათქვამი და ქათინაურით კმაყოფილმა დაამატა: – მართლაც ლამაზია, ენაცვალოს დედა! – და მოჰყვა ფერიდე, თუ როგორ ტანჯვა–წამებაში გამოზარდა შვილი, მაგრამ ინგას იმისი საუბარი აღარ ესმოდა, ის თვალგაშტერებით დასცქეროდა ეკას სურათს. წარმოიდგინა სიცოცხლით გალაღებული ბუნების ულამაზესი ქმნილება, რომელსაც უყვარს სიყვარული, სიცოცხლე და თავისუფლება, შეჰხარის სამშობლოს, ბუნებას და

ერს, ეტრფის ვიღაც ერთს. შემდეგ ქრება სიცოცხლით გალაღებული ადამიანის კისკისი და თვალწინ წყლიდან გვამი ამოტივტივდება, ინგას გული შეეკუმშა და თითქოს იყვირა: – ,,ეს რა ჩაიდინე, ადამიანო, ვინა ხარ შენ ასეთ მშვენიერებაზე რამ აგღამართვინა სასიკვდილოდ ხელი, შენ პიროვნება კი არ მოჰკალი, სამშობლოს მოუკალი მშვენიერება, შთამომავალი, დედა და ხვალინდელი დღე, შენ დაუნდობლად გაწყვიტავ ერს, თუ ამის საშუალება მოგეცემა, რადგან ქვეყანა გეპატარავება და მშვენიერებას ვერ მიჩერებიხარ“...

ინგამ აბეზარი ფიქრები მოიშორა და ალბომის ფურცელი გადაშალა, ისევ სურათები, ზოგიერთი უწესრიგოდ ჩაწყობილიც კი, ყველა დაათვალიერა და სურათებს შორის ეკას ხელით დაწერილი ერთი სტროფი ლექსი შენიშნა, საჩქაროდ გადაიკითხა და ეკას სურათთან ერთად გვერდზე გადადო.

კიდევ რამდენიმე ფურცელი გადაშალა და აი დეპეშაც, რომელსაც ალბათ ეშმაკიც ვერ გაიგებს:

– ჩიხა, ეკა ასანიძეს – 17–7+18–45–24–55–55.

– ეშმაკმა დალახვროს, ნეტავი ეს რას უნდა ნიშნავდეს? – თავისთვის წყნარად ჩაილაპარაკა ინგამ და დეპეშაც გვერდზე გადადო.

– რა თქვი, შვილო? – გამოეპასუხა ფერიდე ინგას და საბოლოოდ გამოიყვანა ფიქრებიდან.

– არაფერი, ისე ჩემთვის ვთქვი, ეს დეპეშა კი არა რაღაც მათემატიკური ნუსხა არის–მეთქი!

– ჰო, მას ვერც მე ვერაფერი გავუგე შვილო, მაგრამ მოდი თვალებში შემომხედე! მე რომ ვლაპარაკობდი, შენ სულ სხვა რაღაცას ფიქრობდი, მიუხედავად იმისა პირველად გხედავ, შენი თვალები სევდიანი მეჩვენება, დედის გულით ვგრძნობ, რაღაცას მიმალავ, მითხარი, შვილო, რაზე ხარ მოსული, ცუდის მოლოდინში გულს ნუ გამიხეთქავ, თუ ღმერთი გწამს.

– რას ამბობ დეიდა ფერიდე, რა მაქვს შენთან დასამალი, ცუდი საქმე ღმერთმა ყველას აგვაშოროს! – ნაძალადევი ღიმილით უპასუხა ინგამ.

— შვილო, შენ ბედნიერი ადამიანი ჩანხარ, რადგან შეგიძლია გულთან მიიტანო სიღარიბით გამოწველული ადამიანის აუტანელი ხვედრი, მე დღეს შენს სევდიან გამოხედვას ჩვენს სიღატაკეს მივაწერ, სადაც ულამაზესი ქმნილება ცხოვრობს სიღარიბით შემოგარსულ ქოხში. მადლობელი ვარ შვილო, თანაგრძნობისათვის, შენ ნამდვილად გამჭრიახი გონების პატრონი ხარ, რადგან იცი სიღარიბისა და სიმდიდრის ფასი.

— გმადლობთ, დეიდა ფერიდე, ქათინაურისათვის, რომელიც ესოდენ სიამოვნებს ყველა ადამიანს! ახლა კი ბოდიშს მოგიხდით შეწუხებისათვის. საკმარისად ვისაუბრეთ და ჩემი წასლვის დრომაც მოაღწია!

— ბრძანდებოდეთ შვილო, ტკბილ სასმელს მოგართმევთ და კიდევ ვისაუბროთ, მადლია ლაპარაკს ვარ დაღირსებული.

— არა, ახლა წავალ, ეკასთან ერთად როდესაც მოვალ, მაშინ ვიქეიფოთ! მხოლოდ ამ სურათს ლექსსა და დეპეშას თუ გამატანთ, კარგი იქნება, მე ეკას დღესვე ვნახავ და რომ დამიჯეროს თქვენთან ყოფნა, დამამტკიცებელ საბუთს ვაჩვენებ.

— წაიღე შვილო და თუ ორთავენი მალე მოხვალთ, ნამდვილად გამახარებთ! ფერიდემ ჭიშკრამდის მიაცილა ინგა, კიდევ ერთხელ დაემშვიდობნენ ერთი მეორეს და ფერიდე სახლში მხოლოდ მაშინ შევიდა როდესაც „ჟიგული“ თვალს მიეფარა.

ინგა საჩერეში დაბრუნდა და პირდაპირ კრიმინალისტებთან მივიდა, სადაც სპეციალურ ლაბორატორიაში შეამოწმა ეკა ასანიძის მიერ დაწერილი ლექსი და განცხადება, ორივე ერთი ხელით, დაწერილი აღმოჩნდა.

— „თანდათან იხლართება მკვლელობის საქმე“ — გაიფიქრა გამომძიებელმა და ეკას განცხადება ფაიფურის ქარხნის საქმეთა მწარმოებელს ქალთამზეს დაუბრუნა, ხოლო ლექსი და ეკას სურათი საქაღალდეში ჩააკრა სხვა საქმეებთან ერთად.

„მიცვალებულს მიწა ელოდება, საჩქაროდ უნდა

დამთავრდეს ძიება!“ კიდევ გაიფიქრა გამომძიებელმა და ფოსტის სატელეგრაფო განყოფილებაში შევიდა.

– გამარჯობათ! მე პროკურატურის საგამომძიებლო ორგანოდან გახლავართ, ინგა აბაშიძე! – თავაზიანად წარუდგა პულტთან მომუშავე ქალიშვილს.

– სასიამოვნოა, რით შემიძლია გემსახუროთ? მორიგე ოპერატორი ლელა მესხი!

– თქვენ თხუთმეტ ივლისს მიიღეთ და გადაეცით ეს არაჩვეულებრითი დეპეშა, ხომ არ გახსოვთ ამ ტექსტის შემდგენელი? – უთხრა ინგამ და ციფრებით აჭრელებული დეპეშა წინ გადაუშალა ოპერატორს.

– როგორ არა, მახსოვს, სხვათა შორის ეს დეპეშაც დამამახსოვრდა და ამისი შემდგენელიც, რომელიც მხოლოდ ერთხელ ვნახე და არასოდეს არ დამავიწყდება მისი სახე!

– ასეთი ლამაზი იყო?

– ლამაზი კი არა, სიმახინჯის განსახიერებას მეტად ჰგავდა, ვიდრე სილამაზეს!

– ამიღწერეთ თუ შეიძლება!

– მაღალი, შავგვრემანი, სქელი წარბ–წამწამი, ახლად აფოფრილი ულვაშით, მხრებისა და საჯდომის გარეშე სწორი ჩამოთლილი ტანი, რომელიც ერთი შეხედვით ტლანქი მოგეჩვენებოდათ, მაგრამ იმისმა მიმოხვრამ არც თუ მთლად გაამართლა ჩემი ვარაუდი, როდესაც ტელეგრამა მივიღე და ქვითარი გადავეცი, ის სხარტად გავიდა დარბაზიდან.

– რა ეცვა?

– ჩვეულებრივი მოკლესახელოიანი, ღრმა გულამოჭრილი კაბა, რომელშიდაც...

– კაბა?! – გაკვირვებით წამოიძახა ინგამ და ლელას თხრობა შეაწყვეტინა.

– დიახ, ცისფერი უგემოვნდ შეკერილი და ტანზე მოურგებელი მოკლესახელოიანი კაბა, საიდანაც ბანჯგველიანი მკლავები მოუჩანდა და თმა, თითებსაც კი ფრჩხილებამდის ფარავდა.

– ქალი იყო?

– რა თქმა უნდა, ააა? – არ ვიცი, არ, იქნებ არც კი იყო ქალი!

– რომ ნახოთ იცნობთ?

– ხომ გითხარით, არასოდეს არ დამავიწყდება–მეთქი!

– გაშიფვრა ხომ არ შეგიძლიათ ამ დეპეშის?

– არა! ეს უკვე მეტისმეტია, როგორც ეტყობა, დეპეშა სიფრთხილის გამო, მეტისმეტად საიდუმლოა და ჩემი აზრით, ვერცერთი კრიმინალისტი ვერ ამოხსნის ავტორის და ადრესატის დაუხმარებლად.

– კარგად ბრძანდებოდეთ, თუ დამჭირდით, კიდევ შეგაწუხებთ! – უთხრა ინგამ და კარები წყნარად გაიხურა.

ლელას აღწერით გამომძიებელს თვალწინ წარმოუდგა ქალთამზეს სახე და ისევ ფაიფურის ქარხნისაკენ შეაბრუნა თავისი ავტომობილი.

– კიდევ ერთხელ მინდა შეგახუოთ ქალბატონო ქალთამზე, მხოლოდ ერთი შეკითხვა და მეტს აღარ მოგაცდენთ, – დირექტორის მისაღებში შესვლისთანავე უთხრა ინგამ.

– ბრძანეთ! შემიწუხდა გული, აქ ხომ სამუშაო არ არის, ნაღდი „პრახადნიი დვორია“, ვერ გამოლევ ხალხს ამ დასაწვავში! – უკმაყოფილოდ აბუზღუნდა ქალთამზე.

– ჩემი მისამართით თუ საუბრობთ, ქალბატონო, მე შემიძლია არ შეგაწუხოთ და განყოფილებაში დაგიბაროთ, იქ უფრო მკაცრ დაკითხვებს ვაწარმოებთ...

– არა, როგორ გეკადრებათ! – მოლბა ქალათამზე – მე ისე ვლაპარაკობ, თორემ თქვენი სამსახური ხომ ჩვენი ვალია, ბრძანეთ და რაც შემეძლება მოგემსახურებით.

– თხუთმეტ ივლისს ასეთი ტექსტის დეპეშა თქვენ გაუგზავნეთ ასანიძეს? – შეეკითხა გამომძიებელი ქალთამზეს და ტელეგრამა წინ გადაუშალა.

– კი, ნაშუადღევს, დაახლოებით თხუთმეტ საათზე.

– რამ განაპირობა ასეთი დეპეშის გაგზავნა?

– ჩემთვის გაუგებარია, როგორც დეპეშის შინაარსი, ასევე გამგზავნის და მიმღების ფიქრი...

– ეს როგორ, სხვისი დავალებით გაგზავნეთ?

– რა თქმა უნდა, მე დირექტორის პირადი საქმეთა მწარმოებელი ვარ და ვასრულებ ყოველგვარ ბრძანებას!

– ახლა სად იმყოფება თქვენი ქარხნის გენერალური დირექტორი?

– ჩვიდმეტ ივლისს დილით თბილისში უნდა წასულიყო, სამინისტროში დაიბარეს, ფაიფურის ქარხანასთან არსებული ბროლის საამქროს დამონტაჟების შესახებ.

– დანამდვილებით იცით, რომ ჩვიდმეტ ივლისს დირექტორი თბილისში წავიდა?

– მე არ მითქვამს დანამდვილებით ვიცი–მეთქი, გეუბნებით, უნდა წასულიყო, ფაქტი კი ერთია, ჩვიდმეტი ივლისის შემდეგ ქარხანაში არ გამოჩენილა.

– საიდან იცით, რომ არჩილი თბილისში უნდა წასულიყო?

– დამიბარა, თუ ვინმე იკითხავდა, მეპასუხა, რომ თბილისში წავიდა სამინისტროში!

– ძალიან კარგი, დაწერეთ, რომ თხუთმეტ ივლისს უცნაური შრიფტის დეპეშა დირექტორის დავალებით, თქვენ გაუგზავნეთ ეკა ასანიძეს, ხოლო დირექტორი კი ჩვიდმეტ ივლისს თბილისში უნდა წასულიყო, საიდანაც ჯერ კიდევ ცხრამეტ ივლისს არ დაბრუნებულა.

– სიამოვნებით! – თქვა ქალთამზემ და წერას შეუდგა.

ინგამ საქმეთა მწარმოებლის ჩვენება საქაღალდეში მოათავსა და კარები გამოუმშვიდობებლად გაიხურა.

მძიმეა კვალმაძიებელის ცხოვრება, მთელი დღე წყალიც კი არ დაულევია ინგას და საჭმელი არ გახსენებია, ფიფურის ქარხნიდან პირდაპირ პროკურორის კაბინეტში შევიდა და დავითს ორი თანამშრომელი გამოთხოვა ეკა ასანიძის ბინის შესამოწმებლად.

– მე ძიების შედეგიც მაინტერესებ! – უთხრა პროკურორმა ინგას და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

– ძიების შედეგს ხვალ დილით მოგახსენებთ, ბატონო დავით! – უთხრა ინგამ და მოუსვენრობა დაეტყო, რადგან ეკას ბინაში რაღაც ახლის აღმოჩენას ელოდებოდა.

– იქნებ ბინის შესამოწმებლად ექსპერტიზაც იყოს საჭირო, თუ ასეა, ნუ მოგერიდება! – ღიმილით უთხრა პროკურორმა, რომელიც ერთდროულად ტელეფონით თანაშემწესაც ესაუბრებოდა.

– კარგი იქნება, თუ არ შეწუხდებიან!

– შეწუხდებიანო?! რამ უნდა შეაწუხოს, რა საქმით გადატვირთული ახლა ეგენი მყვანან, მთელი დღე ჭადრაკის თამაშის მეტს არაფერს აკეთებენ! – დავითმა თანაშემწესთან საუბარი დაამთავრა, ყურმილი დადო და ტელეფონის დისკო ხელახლა დაატრიალა. ამჟამად კრიმინალისტებს დაურეკა და ორი ექსპერტ–ექიმი გამოიძახა. ორიოდე წუთის შემდეგ პროკურორის კაბინეტში, პროკურორის თანაშემწე და ორი ახალგაზრდა კვალმაძიებელი შემოვიდა. თითქოს ამათ მოსვლას ელოდებოდნენო, კარები დაუკითხავად გაიღო და ორი ექსპერტი–ექიმი შემოვიდა კაბინეტში.

– აი, ქალბატონო ინგა, ეს ხუთი სპეციალისტი დღეს შენი პირადი დაცვა იქნება, როგორც გენებოს, იმსახურე ისინი – თქვა პროკურორმა ღიმილით და თანამშრომლებს მკაცრად გადახედა, რომლის მზერაშიდაც იგრძნობოდა – „ხომ გაიგეთ, რაცა ვთქვიო!“.

ინგამ პროკურორს მადლობა მოახსენა და კაბინეტიდან გავიდა, მას ფეხაწყობით ხუთი კვალმაძიებელი მიჰყვა.

ეკას საცხოვრებელი ბინა დაკეტილი აღმოჩნდა, ერთ–ერთ კრიმანალისტმა გასაღებების აცმა მოიმარჯვა და დიდი წვალებით ოცდამეოთხე ცდის შემდეგ, კარების საკეტს, გასაღები მოარგო.

ინგამ მეზოლებს დაუძახა, რომ მოწმედ დაესწრო და ბინაში შევიდნენ. ბინა საგულდაგულოდ დალაგებული ეჩვე-

ნა, იატაკი მოპრიალებული და ლოგინი გასწორებული, ეჭვგარეშე იყო, რომ აქ ქალის ფაქიზი ხელი ერია. საგულდაგულოდ დაათვალიერეს ოთახი, სამზარეულო და აბაზანა, მაგრამ ბოროტმოქმედების კვალი არაფერს ემჩნეოდა. მხრები აიწურეს კვალმაძიებლებმა, მხოლოდ ინგამ არ დაკარგა იმედი და ერთი–ერთ ენაწყლიან თმაშევერცხლილ მეზობელს შეეკითხა:

– ჩვიდმეტი ივლისის ღამეს აქ საეჭვო ხომ არაფერი დაგინახავთ ან ხმაური ხომ არ გაგიგონიათ ეკას ბინიდან?

– საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, ეკა მოვიდა სოფლიდან, რატომღაც ზომაზე მეტად გახარებული მეჩვენა, ბინა გააღო და ამის შემდეგ ბინიდან გამოსული აღარ დამინახავს, ხმაური კი არაფერი გამიგონია, ან კი რა ექნებოდა მარტოხელა გოგონას სახმაურო? ორი საათის შემდეგ შეყვარებულმა მოაკითხა, „ჟიგული“ სადარბაზოსთან გააჩერა თუ არა, ეკა გამოექანა და კისერზე ჩამოეკიდა, კარგი წყვილია, დაილოცოს მაგათი მშობლები.

– ახლა იცით სად არის ეკა?

– ვიცით, დილით ადრე სოფელში წავიდოდა!

– ხომ არ იცით შეყვარებულის სახელი და გვარი ვინ არის?

– როგორ არა, კარგი ახალგაზრდაა, ჩვენი რაიონის სიამაყე. ფაიფურის ქარხნის დირექტორი არჩილ ცხადაძე, მართალია, ცოტა უფროსი კი არის ეკაზე, მაგრამ არც მაინცა და მაინც ემჩნევა ასაკი. ნეტავი მაგათ დედას, კარგი წყვილია და ღმერთმა ბედნიერები ამყოფოთ.

– ადრეც თუ დაგინახავს აქ მოსული არჩხილ ცხადაძე?

– კი, როგორ არა, მაგათი სიყვარული არავისთვის დასაფიცი აღარ არის, ამ დღეებში საქორწინოდ ემზადებიან, ახლა მგონი არჩილი თბილისში წავიდა საჩუქრების ჩამოსატანად, მე ვფიქრობ, მალე ვჭამთ ქორწილის პურ–მარილს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, აბა ამისთანა კარგ გოგოს უქორწილოდ ვინ გაატანს?

– სხვა ხომ არ დაგინახავს ვინმე, ქალი ან კაცი ეკასთან მოსული?

– არა, გენაცვალე, ეკა იშვიათად თუ ვინმეს გაესაუბრება, ნამდვილი სისპეტაკის განსახიერებაა ეს გოგო!

– თუ დაინახეთ, რა დროს წავიდა აქედან არჩილი?

– ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როგორც ჰგავს ხელმოსაწყობი იყო თბილისში წასასვლელად, ხო იცი, მარტოხელა კაცის ამბავი, თავს ვერაფერს მოაბამს, თუ არავინ მოეხმარა.

– როგორ, არჩილს არავინ არა ჰყავს სახლში?

– დედა ჰყავს მოხუცებული, მაგრამ ხომ იცით, ახალგაზრდებს არავის გაუთოებული შარვალი არ მოსწონს, ამიტომ თვითონ აკეთებს ყველაფერს.

– თუ ასეა, რატომ აქამდის არ წაიყვანა ეკა?

– ეჰ, შვილო, შენ არ უნდა გეშლებოდეს დირექტორის მოუცლელობა. ბიჭუნკალა ხომ არ არის, გამოდვას ხელი და მიიყვანოს სახლში, დირექტორი კაცია და თავის მეგობრებს მაინც არ უნდა დაუძახოს, ცხოვრებაში ერთადერთი საზეიმო დღის აღსანიშნავად? ესეც რომ არ იყოს, სირცხვილია, შვილო ქალიშვილობის კაბით ხომ არ ატარებს მეუღლეს? ყველაფერს ყიდვა უნდა, საყიდელს კი ფული...

– კარგი რა, დეიდა, დირექტორი კაცია და ფული არა აქვს საცოლეს კაბა და ბეჭედი უყიდოს?

– მე მაგასთან ვმუშაობ ქარხანაში და ვიცი, ვინც არის, შენ არჩილი ისეთი დირექტორი ნუ გგონია, ნაძირალა რომ გინახავს. მაგ თვითონ გაიხდის და სხვას ჩააცმევს, გამოცდილი აქვს სიღარიბე, შიმშილი და სიშიშვლე, თორემ მაგას ყველა იცნობს, ჩვენს ხელში არის გაზრდილი და საჩხერე დიდი ქალაქი არ არის, არავინ ვიცნობდეთ ერთი–მეორეს...

– თუ ასეთი ლმობიერია, რისთვის დაითხოვა ეკა ასანიძე სამსახურიდან?

– აბა როგორ უნდა მოქცეულიყო, დირექტორი კაცი ხალხს აალაპარაკებდა თავის საქმეთა მმართველი მოიყვანა ცოლადო?

– არ ვიცი, დეიდა არა, ღმერთმა ქნას, სწორი იყოს შენი ჩვენება, მხოლოდ ახლა პატივი დამდე და რაც მელაპარაკე, ყველაფერი უკლებლივ დამიწერე.

– კი, ბატონო, ჩემს ნალაპარაკებზე პასუხისმგებელი ვარ, თუ გინდ მამაზეციერ ღმერთთან დამიბარეთ და დამაპირისპირეთ – უთხრა მეზობელმა ინგას. მართლაც ნახევარი საათის შემდეგ გამომძიებელმა სუფთად დაწერილი ჩვენება საქაღალდეში მოათავსა.

მეორე დღეს დილით გამომძიებელი ინგა აბაშიძე პროკურორის წინაშე წარსდგა და ძიების შედეგის მოხსენება დაიწყო:

– ბატონო პროკურორო, პატივცემულო კოლეგებო, ვაწარმოე რა ძიება ეკა ასანიძის მკვლელობის შესახებ, ხელთა მაქვს შემდეგი სურათი:

პირველი. ეკას პიროვნება დავადგინე ბოლომდე მოჭრილი ფრჩხილებითა და გაუხეშებული თითების დაბოლოებით, გამომძიებლის ალღომ მიკარნახა, რომ დაუდგენელი პიროვნების გვამი საბეჭდ მანქანაზე მომუშავე უნდა ყოფილიყო, ამიტომ პირადად მივაკითხე ყველა ორგანიზაციას, სადაც საქმის მწარმოებელი ესაჭიროებათ, რამდენიმე ობიექტის შემოწმების შემდეგ აღმოვაჩინე ორი თვის წინათ ფაიფურის ქარხნიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებული საქმეთა მწარმოებელი ეკა ასანიძე, დავადგინე მისი საცხოვრებელი ადგილი, გავესაუბრე დედამისს, ქალბატონ ფერიდე წერეთელს და იმისი ოჯახიდან წამოვიღე: ეკას სურათი, თექვსმეტ ივლისს მიღებული დეპეშა და ერთ სტროფიანი ლექსი, რომელსაც თავის სატრფოს, ვიღაც არჩილს უძღვნის:

– შენზედ ოცნებამ გული გამიყო
შვილს მე შენს სახელს დავარქმე არჩილს,
ნება მიბოძე შენს ახლოს ვიყო,
რომ მოვეფერო მხოლოდ შენს აჩრდილს.

დეპეშა კი მართლაც ამოუცნობია, 17–7+18–45–24–55–55 რომელიც მე შემდეგნაირად გავშიფრე: ჩვიდმეტ მეშვიდე თვეს ესე იგი ივლისს, თვრამეტი საათის შემდეგ გელოდები ნომერ ორმოცდახუთი სახლის, ნომერ ოცდაოთხ ბინაში, რაიმე გამონაკლისი მდგომარეობის შემთხვევაში დამირეკეთ ტელეფონით ორმოცდათხუთმეტი–ორმოცდათხუთმეტი. ბატონებო, სახლის ნომერი ორმოცდახუთი, ბინა ოცდაოთხი ეკუთვნის ეკა ასანიძეს, ხოლო ტელეფონი 55–55 ნომრით ფაიფურის ქარხნის გენერალურ დირექტორს – არჩილ ცხადაძეს.

ფაიფურის ქარხნის საქმის მწარმოებლის ქალთამზე ჩიხელაძის ჩვენების თანახმად, თხუთმეტ ივლისს ქალთამზეს დირექტორის დავალებით მართლაც გაუგზავნია ეკა ასანიძისათვის ზემო აღნიშნული დეპეშა, რასაც ტელეგრაფის ოპერატორი ლელა მესხის ჩვენებაც ადასტურებს.

ეკა ასანიძის მეზობლების ჩვენების თანახმად თუ ვიმსჯელებთ, ჩვიდმეტ ივლისს, საღამოს თვრამეტ საათზე, მართლაც მოსულა სახლში ეკასთან არჩილ ცხადაძე და თერთმეტ საათამდე დარჩენილა.

ახლა მოგახსენებთ, თუ როგორ აღმოვაჩინე მკვლელობა, რომელიც თვითმკვლელობას უფრო ჰგავდა ვიდრე მკვლელობას:

როგორც პირველად მოგახსენეთ, გვამის დათვალიერების შემდეგ მიცვალებულის ფაქიზ ყელ–კისერზე, რომელზედაც თოკი იყო ჩაბმული, ვერ აღმოვაჩინე სისხლის შედედების შედეგად გამოწვეული სილურჯე, რაც მეტყველებს, რომ გვამს თოკი სიკვდილის შემდეგ აქვს ჩაბმული.

გვამის გაკვეთის შედეგად მიცვალებულის სტომაქსა და ფილტვებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა წყალი, რაც მიცვალებულის წყალში დახრჩობაზე მიგვითითებს, მაგრამ სტომაქში და ფილტვებში აღმოჩენილი წყალი ლაბორატორიული შემოწმების შედეგად არის სუფთა სამომხმარებლო დასალევი წყალი. ხოლო იმ ადგილზე აღებული წყლის სინჯი, სადაც ეკა ასანიძის გვამი ვიპოვეთ, რომ ქიმიკოსთა ენით არ ვილაპარაკოთ, შეიცავს: კვარცს, რვა პროცენტ მარილს, ამიაკს, გო-

გირდს და ნახშირორჟანგს, რაც დასალევად ყოვლად უვარგისია.

აქედან გამომდინარე, ეკა ასანიძე დაახრჩვეს საკუთარ აბაზანაში, ამის შემდეგ ჩააბეს თოკი კისერში, შეაბეს თოკს ქვა, მიიტანეს ავტომანქანით მდინარის პირას და წყალში ჩაუშვეს.

ყოველგვარი ოპერაციის ჩატარების შემდეგ მკვლელი ბრუნდება ეკა ასანიძის ბინაში, ასუფთავებს ოთახს და სპობს მკვლელობის ყოველგვარ კვალს. დილით კი ბატონი არჩილ ცხადაძე აუღელვებლად მიემგზავრება დედაქალაქში, საიდანაც ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა.

ისმის შეკითხვა: რატომ ჩაიდენდა არჩილ ცხადაძე ასეთ საზიზღარ მკვლელობას?

ბატონო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ გვამის გაკვეთის შედეგად დამტკიცდა – ეკა ასანიძე შვიდი თვის ორსული იყო, ეკას მეზობლების ჩვენებითა და ეკას ერთსტროფიანი ლექსის თანახმად, სიყვარულს ეკა მხოლოდ არჩილთან იზიარებდა და შვილსაც იმისაგან მოელოდა. რომ მოსალოდნელი უსიამოვნება ბატონ არჩილ ცხადაძეს თავიდან აეცილებინა, ჯერ ეკა თავისივე განცხადების საფუძველზე სამსახურიდან დაითხოვა, შემდეგ კი აბაზანაში ჩაახრჩო, გვამი გადამალა და თვითონ რაიონს განერიდა. ბატონებო, თუ რამ უზუსტობა მაქვს დაშვებული გამოძიებაში, იმედია თქვენს გამოცდილებას არ გამოეპარება და ძიებაში დაშვებულ ხარვეზს შემისწორებთ.

პროკურორის კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა, ასეთი მტკიცება დიდი ხანია არ მოესმინა დავით დვალს და კვალმაძიებლების თანდასწრებით მზად იყო ინგა აბაშიძისათვის მადლობა გადაეხადა პირად საქმეში შეტანით, თან სანქცია გაეცა არჩილ ცხადაძის დაპატიმრების შესახებ.

დარბაზში სიჩუმემ დიდხანს გასტანა და სევდის ზარად დააწვა თითოეულ დამსწრეს, მხოლოდ პროკურორის მაგიდიდან ისმოდა თითების კაკუნი, დავითი კი ამ ამოუცნობი

მელოდიიდან რაღაცას ფიქრობდა და ახალ აზრს ამუშავებდა, ყველა პროკურორს შესცქეროდა, მხოლოდ დავითს უნდა დაერღვია სიჩუმე, რომელიც ტყვიის ღრუბელვითი დაწოლოდა მთელ კაბინეტს. და აი, როგორც იქნა დაღვრემილი სახითა და დაღლილი თვალებით პროკურორი ზეზე წამოიმართა:

– სანქცია მზად არის! – თქვა მან – დღესვე აიყვანეთ არჩილ ცხადაძე პატიმრობაში! – და დავითმა თანაშემწეს ის გადახედა, რომ ყველა იქ დამსწრემ თვალნათლივ შეატყო, ოპერაციის ჩატარება თანაშემწეს ჰქონდა მინდობილი. მაგრამ ყველას მოულოდნელად ინგა აბაშიძე წამოდგა და პროკურორისაგან სიტყვის უფლება ითხოვა: – რა თქმა უნდა, იმისი თხოვნა დააკმაყოფილეს, მან წყნარად, მაგრამ მტკიცე ხმით დაიწყო:

– ბატონებო! მართალია საკმაოდ სამხილი ვერსია წამოვაყენე ცხადაძის მიმართ, მაგრამ სანქციის გაცემას იმის დაპატიმრების შესახებ ნუ ვიჩქარებთ, რადგან ჩემი მტკიცებით, მედალის მხოლოდ ერთი მხარე გიჩვენეთ. მედალის მეორე მხარე, რომელიც ჯერ კიდევ მკერდით არის დაფარული, გამოსაკვლევია და ნება მიბოძეთ, კიდევ ორი დღით მადროვოთ, რადგან ნაადრევად არჩილის პატიმრობაში აყვანა ჩირქს მოცხებს რაიონის ინტელიგენციას და საგამომძიებლო ორგანოსაც კი, თუ ვინიცობაა მცდარი გზით წარვმართავთ ძიებას.

მე გამაჩნია მედლის მეორე მხარის მცირეოდენი დადებითი ვერსია არჩილის სასარგებლოდ, რომელსაც მართალია ძირფესვიანად ვერ დავეყრდნობით, მაგრამ დაკვირვებას და საქმის გამოძიებას კი იმსახურებს.

ჩვენს ეპოქაში თანამდებობის პირს უფრო მეტი მტერი ჰყავს, ვიდრე მუშა პერსონალს და ამიტომ არ არის გამორიცხული, არჩილის მტრები მოქმედებდნენ იმისი სახელით.

პიროვნება, რომელიც უმიზნებს გენერალური დირექტორის თანამდებობას, აი, როგორ ჩვენებას იძლევა.

„ფაიფურის ქარხნის გენერალური დირექტორი არჩილ ცხადაძე არის ძალზე გულისხმიერი, შრომის დამფასებელი, საზოგადოებაში გამოირჩევა პატივისცემითა და კეთილშობილებით, ქარხნის მუშა მოსამსახურე პერსონალის მიმართ იჩენს სიყვარულს, ლმობიერებას და სიბრალულს“...

კოლეგებო, აი მეორე ფაქტიც, ამონაწერი ქარხნის ექიმის ჩვენებიდან:

„არჩილ ცხადაძე გამოირჩევა ადამიანთა შორის მეტისმეტი სიყვარულითა და სიბრალულით, მახსენდება ერთი ფაქტი, შარშან მექანიკურ საამქროში ხარატი დაგვმარცხადა, იმ წამსვე შემთხვევის ადგილზე გაჩნდა ბატონი არჩილი და როდესაც სისხლი დაინახა, მოცელილივით დაეცა ეს მთასავით კაცი, დიახ! ადამიანის სისხლის დანახვამ იმოქმედა იმის სათუთ გულზე და ძლივს მოვაბრუნეთ!“

ეკა ასანიძის მეზობლის ჩვენებიდან:

„ეკა ძალზე ლამაზი და პატიოსანი გოგოა, თავისი კეთილშობილებით ამართლებს სილამაზეს, უყვარს არჩილ ცხადაძე და ამ ამბავს არცერთი მხარე არ ფარავს, არჩილთან მეზობლებს ხშირად გვაქვს საუბარი, ამ დღეებში ემზადება საქორწილოდ, კარგი წყვილია, ღმერთმა დასწეროთ ჯვარი, სადაც ასეთი სიყვარულია, როგორიც ეკასა და არჩილს გააჩნიათ, ან ქორწილი რა საჭიროა, ან ჯვრის დაწერა და ხელის მოწერა ვერ გამიგია...“

აი, ბატონებო, მედლის მეორე გვერდზე ასეთი ჩვენებები მიწერია, რაც საფუძველმოკლებული არ არის ვიმსჯელო, სწორი დასკვნა გამოვიტანო და ვიფიქრო, რომ ასეთ სულით მდიდარ პიროვნებას, ადამიანთა შორის სიბრალულით გამორჩეულსა და კეთილშობილი სულის პატრონს, არ შეუძლია ადამიანის განზრახ მკვლელობა. დიახ! კოლეგებო, მჯერა, თქვენ გამიგებთ, საუბარი მაქვს წინასწარ განზრახულ მკვლელობაზე, თორემ შეიძლება აღელვების საფუძველზე, ან თავდაცვის მიზნით მკვლელობა ჩაიდინოს ისეთმა კეთილშობილმა ადამიანმა, როგორიც არჩილია, მაგრამ ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს

გვამის გადამავლას, რამდენიმე კოლომეტრის მიღმა, შემდეგ სახლში დაბრუნებას და ოთახის ისე გულმოდგინედ დასუფთავებას, რომ გამოცდილმა კრიმინალისტებმაც კი მკვლელობის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს.

ბატონებო, ჩემი აზრით, ამ მკვლელობაში გამოცდილი ბოროტმოქმედი ურევია და მათ შორის ქალი. თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ადამიანის მოდგმა შურიანია, თუ ერთ პიროვნებას უხაროდა ლამაზი წყვილის შეუღლება, რომ სამშობლოს ლამაზი შთამომალვობა დარჩენოდა, მეორენი შულლით გულზე სკდებოდნენ. შულლი და ბოროტება გადამდებია, ამიტომ ადამიანთა მოდგმის ყველა კეთილისმყოფელსა და ბოროტმოქმედს თავიანთი მიმბაძველები ჰყავთ. ბაძავენ კეთილ საქმეებს, სიხარბის გამო უკეთურ ქცევას კი თანდაყოლილი ბოროტების გამოისობით ითვისებენ, მხოლოდ ნიჭიერ ბოროტმოქმედებას ჰყავს ცხრაკლიტულში გამომწყვდეული, ჩადენილი ბოროტმოქმედება და ჩვენ, მართლმსაჯულება, მათზე ნიჭიერი და ძლიერი უნდა ვიყოთ, რომ ვავლინოთ ბოროტმოქმედნი და თავისუფლება მივანიჭოთ კეთილგონიერებას...

გამომძიებელს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, რომლის საუბარსაც გულისყურით უსმენდნენ თათბირის მონაწილენი, მაგრამ ინგას, საუბარი მისაღებში ატეხილმა ჩოჩქოლმა შეაწყვეტია, პრკოურორის კაბინეტის ორმაგ კარებშიაც კი აღწევდა მამაკაცის ხმამაღალი საუბარი:

– მე არ მეთათბირება გესმის? პროკურორთან შემიშვით!

დავითი სავარძლიდან წამოდგა და მისაღებში გავიდა.

– რა მოხდა, რა ამბავია, ხომ ხედავთ, რომ თათბირი გვაქვს? – წყენით მიმართა რომელიღაც პიროვნებას პროკურორმა.

– თქვენ თათბირი გაქვთ, მე კი გადაუდებელი საქმე, თქვენი გულისთვის ბატონო დავით, მეც გადავდებდი თათბირს! – უთხრა პროკურორს აკანკალებულმა ხმამ.

– კარგი, კარგი, მობრძანდით! – გაისმა დავითი ლმობიერი ხმა და მაღალ მხარბეჭიან, მაგრამ მთლად გაფითრებულ ოცდათხუმეტიოდე წლის მამაკაცს კაბინეტში შემოუძღვა. როდესაც დავითი თავის სავარძელთან მივიდა, წელში გაიმართა და ხმამაღალ გამოაცხადა:

– თათბირს დამთავრებულად ვაცხადებ!

ყველანი აიშალნენ და სათითაოდ გავიდნენ კაბინეტიდან, ინგა კი პროკურორმა შეაჩერა:

– მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ!

ახალგაზრდა კვალმაძიებელი თავისავე ადგილზე დაჯდა, პროკურორმა ახლადმოსულს სავარძელზე მიუთითა და თავაზიანად მიმართა:

– დაბრძანდით, ბატონო არჩილ, ასე რამ აგაღელვათ, რაშია საქმე?

– ბატონო დავით! თუ რამ შეგიძლიათ, უნდა დამეხმაროთ, უფრო სწორად ყველაფერი სიმართლე უნდა მითხრათ, მგონი დავიღუპე, ბიჭო, მგონი წყალში ჩამეყარა ჩემი ოცნება, მიშველე რამე, კაცი არა ხარ, სიმართლე მითხარი, ვისი გვამი იპოვეთ მდინარეში?

პროკურორი ცოტა ხანს ჩაფიქრდა. შემდეგ ინგას გადახედა და წყნარად თქვა:

– იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ ამ საქმის შესახებ არაფერი ვიცი, ეს საქმე გამოსაძიებლად პირველი კლასის პროკურატურის კვალმაძიებელს ინგა აბაშიძეს აქვს ჩაბარებული, გაიცანით ინგა ფაიფურის ქარხნის გენერალური დირექტორი არჩილ ცხადაძე...

ინგამ სავარძლიდან წამოიწია და არჩილ ცხადაძეს ოდნავ დაუკრა თავი გაცნობის მიზნით, მაგრამ არჩილზე იმის მისალმებას არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. შუბლს ზემოთ შეთხელებულ თმაზე ხელი გადაისვა და ინგამ თვალი გააყოლა თუ როგორ უკანკალებდა თითები.

– „ასეთი თვალთმაქცობა ჩვევიათ ბოროტმოქმედებს, მაგრამ არჩილის ნერვიულობა ყალბი არ უნდა იყოს“ – გაიფიქრა

ინგამ და პიროვნების სხეულის დათვალიერებას შეუდგა. სახის სწორი ნაკვთები, სწორი ზომიერი ცხვირი, დიდრონი თვალები, ფართო ოდნავ წინწამოწეული ნიკაპი, ნამდვილი ვაჟკაცის სახეს ქმნიდა ინგას თვალში ეს პიროვნება და ახლა საბოლოოდ დარწმუნდა – „ეს ვაჟკაცი ქალის მკვლელი არ უნდა ყოფილიყო“. არჩილმა თმაზე ხელი გადაისვა და თვალი–თვალში გაუყარა ინგას, მკაცრი თვალთა ისრები ჰკვეთდა ერთი–მეორეს, ბოლოს ქალს, სათუთმა გრძნობამ უღალატა და თვალები დახარა, ამით არჩილმა ისარგებლა და დავითს მიმართა:

– დავით! ხომ გითხარით თქვენი დახმარება მესაჭიროება–მეთქი, დღეს უნდა გადაწყვდეს ჩემი ყონა–არყოფნის ბედი, განა საბავშვოდ მცალია?

– დაწყნარდით არჩილ, შეურაცხყოფას რისთვის აყენებთ გამომძიებელს, ჯერ გაესაუბრეთ, იქნებ მაგ „ბავშვისაგან“ მეტი გაიგოთ ვიდრე ჩემგან! – წყნარად უთხრა პროკურორმა და ინგას გადახედა – „შენს საქმეს შეუდექიო!“

– ბატონო დავით, თუ ნებას დამრთავთ, თქვენი თანდასწრებით გავესაუბრები! – წყნარად მიუგო ინგამ.

– რასაკვირველია! მეც სიამოვნებით მოვისმენდი თქვენს საუბარს! – უპასუხა პროკურორმა.

– ბატონო არჩილ! როდის ჩამობრძანდით თბილისიდან?! – ქალურმა სინაზემ სძლია ინგას ხმაში.

– ამ დილით! მაგრამ თბილისიდან დაბრუნებას რა მნიშვნელობა აქვს ჩემს სათხოვართან? – აშკარა უკმაყოფილებით თქვა არჩილმა.

– ბატონო არჩილ, მე თქვენთან გასაუბრებაზე უარს განვაცხედებ, თუ არ დაწყნარდებით, ან უნდობლობას გამოავლენთ ჩემს მიმართ.

– კარგი, ვეცდები!

– მელაპარაკეთ მხოლოდ სიმართლე, ერთი სიტყვის დაუსრულებაც კი გამოძიებას ჩიხში მოამწყვდევს! – როდის წაბრძანდით თბილისში?

– ჩვიდმეტ ივლისს დილით!

– რომელი ტრანსპორტით?

– საკუთარი ავტომანქანით!

– ვინ იცოდა თქვენი გამგზავრების შესახებ?

– მხოლოდ ოთხმა ადამიანმა: დედამ, საცოლემ, ჩემმა მოადგილემ და საქმეთა მმართველმა.

– რა საკითხთან დაკავშირებით იმყოფებოდით თბილისში?

– სამინისტროში ვიყავი დაბარებული, ბროლის საამქროს გახსნის თაობაზედ, თუმცა არა, ჩვენ ხომ შევთანხმდით, სიმართლე ვილაპარაკოთ, ქორწილისათვის ვემზადები. საცოლესათვის ცოტაოდენი რაღაც ვიყიდე: ბეჭედი, საქორწინო კაბა და სხვა რაღაც წვრილმანი.

– ჩამოიტანეთ?!

– კი, ყველაფერი მზადა მაქვს, თუ ღმერთი არ გამრისხებია შაბათს თქვენც მოგიწევთ საქორწინო ზეიმზე...

ინგას სიბრალულით ნიკაპი აუცახცახდა და ცრემლები რომ მოერიდებია არჩილისათვის. ცხვირსახოცი აიფარა, თითქოს ოფლი შეიმშრალა, ნერვები მოთოკა და ახალი შეკითხვა დაუფიქრებლად წამოიძახა:

– საიდან წახვედით თბილისში?

– სახლიდან, საკუთარი ოჯახიდან!

– მანამდის სად იმყოფებოდით?

– როგორ თუ მანამდის? – შეკითხვითვე უპასუხა არჩილმა.

– აი თუ გინდ ღამის თერთმეტ საათამდე?

– ამას თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს? ხომ შეიძლება საიდუმლო წუთები იყოს ჩემს ცხოვრებაში?

- რა თქმა უნდა, მაგრამ წმინდა სავანეში დასაფიცი არაფერია და არც იტყუებიან, რამეთუ საიდუმლოებით მოცულია ღვთიური კერა.

– საცოლესთან, ეკა ასანიძესთან ვიმყოფებოდი ღამის თერთმეტ საათამდე!

– ვინ იცოდა იქ თქვენი ყოფნის შესახებ?

– მხოლოდ ეკას მეზობლებმა!

– მეტმა არავინ?

– არა!

– რატომ ეკაც არ წაიყვანეთ თბილისში, ქალი ხომ უკეთესად შეარჩევდა თავის შესაფერის ნივთებს?

– ის ფეხმძიმედ არის, გაფრთხილება ესაჭიროება, ნივთი კი იმისათვის ყველა ძვირფასია, რასაც მე მივუტან!

– ეკა ხომ თქვენთან მუშაობდა, რატომ დაითხოვეთ სამსახურიდან?

– ეს ჩვენი პირადი მოლაპარაკების შედეგად მოხდა, თვითონ ეკამ უხერხულად იგრძნო თავი საქმეთა მმართველი დირექტორს ცოლად გამომყოლოდა, თან სადეკრეტო შვებულებაც უწევდა, მითქმა–მოთქმა რომ არ დაეწყოთ ქარხანაში, გავანთავიუფლე და დასვენების საშუალება მივეცი!

– აქამდის რატომ არ წაიყვანეთ, სანამ ეკა სადეკრეტო გახდებოდა?

– ორი პირობა მიშლიდა ხელს, დრო და ფინანსური მდგომარეობა, დრო არ მქონდა, დისერტაციაზე ვმუშაობდი, ახლა ხარისხი დავიცავი, დრო მაქვს, ფინანსური საშუალებაც გამიჩნდა, იტავაზის ქვიშის საბადო შეიცავს დიდი რაოდენობით კვარცს, ეს არის ჰექსაგონური კვარცი, რომელიც 573 გრადუს ტემპერატურაზე ლღვება, აქედან ჰიდროთერმული დამუშავების შედეგად შეგვიძლია მივიღოთ ბროლი და ნახევრად ძვირფასი ქვები: აქატი, ონიქსი, სარდიონი და სხვა. სწორედ ეს მეთოდი დავნერგე ჩვენი ფაიფურის ქარხნის ერთ–ერთ საამქროში და პრემიის სახით ცოტაოდენი ფინანსური საშუალებაც მივიღე...

– როგორ შეატყობინეთ ეკას, რომ ჩვიდმეტ ივლისს თქვენთან მოსულიყო?

– დეპეშა გავუგზავნე!

– ესე იგი სხვასაც სცოდნია, რომ ეკა უნდა შეგხვედროდათ!

– არა, ჩვენ ჩვენი შრიფტი გვაქვს, ეშმაკიც ვერ გაიგებს იმის შინაარს.

– დეპეშა პირადად თქვენ გაუგზავნეთ?

– არა, ჩემს ახალ საქმეთა მმართველს დავავალე, რომ გაეგზავნა.

– როგორ გგონიათ, საქმეთა მმართველი ვერ მიხვდებოდა დეპეშის შინაარსს?

– ვერც ერთი მცდელობით!

– როგორი ქალია თქვენი ახალი საქმეთა მმართველი?

– კარგი! რაც ჩვენთან მუშაობა დაიწყო, საგრძნობლად შემცირდა მთხოვნელთა მოსვლა ჩემს კაბინეტში! გაუთხოვარია, უხასიათო, ჯიჯღინა... საქმის გამკეთებელი და დავალების შემსრულებელი კი მოგცეს ღმერთმა.

თავისი საქმე გაკეთოს და მაგის კეკლუცობას მე არ ვჩივი, თუმცა დღეში რომ ადამიანს რამდენიმეჯერ დაინახავ მოჟამულ ხასიათზე, ძალაუნებლიედ შენც გაგიფუჭდება ხასიათი, მაგისი სამსახურში მიუღებელობა კი არ შეიძლებოდა, ისეთმა ადამიანმა მთხოვა, რომ უარის თქმა არ გამოდიოდა, თორემ ჩემი დის შვილი უმუშევარი უზის ჩემს დას სახლში.

– მაინც ვინ გთხოვათ ასეთმა?

– ქაღალდის ქარხნის დირექტორმა, შალვა თოდაძემ, ჩემი მეგობარია და ვეღარ ვუთხარი უარი!

– როგორი ადამიანია შალვა თოდაძე?

– კარგი, მაგრამ ზედმეტად მოკრძალებულია ჩემს მიმართ, რაც მე სრულებით არ მსიამოვნებს.

– როდესაც ეკას ბინიდან გამოხვედით, ეკას დაემშვიდობეთ?

– არა, მას ეძინა და აღარ გამიღვიძებია.

– კარები ჩაკეტეთ, თუ ღიად დატოვეთ, თუ გახსოვთ?

– როგორ არ მახსოვს, კარები არ ჩამიკეტია, რადგან ერთი გასაღები გვაქვს, არც ღიად არ დადმიტოვებია უბრალოდ გამოვიხურე!

– სოფელში თუ ხართ ნამყოფი ეკასთან?

– არა! ამას ქორწილის შემდეგ ვაპირებთ, აბა სოფელს ხომ არ ავალაპარაკებთ, „ეკამ საყვარელი მოიყვანაო“, გადავიხდით პატარა ქორწილს და ყველაფერს მოვასწრებთ! თუმცა რას ნიშნავს ამდენი დაკითხვა, მართლა მტერი ჩავარდა თქვენს ხელში, მე პირიქით თქვენთვის მინდოდა ორიოდე შეკითხვა მომეცა, თქვენ კი აქეთ მედავებით.

– კიდევ ორიოდე შეკითხვა და თქვენთან საუბარს მოვრჩები, რა ნათესაურ კავშირში იმყოფება შალვა თოდაძე ქალთამზე ჩხეიძესთან?

– არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთ, ისე უბრალოდ იცნობენ ერთიმეორეს! – თქვა არჩილა და გაეღიმა.

– საყვარელია?

– არ ვიცი, შეიძლება ასეც იყოს!

– კი მაგრამ შალვამ უკეთესი ვერავინ ნახა?

– არ ვიცი, ბავშვობაში ყვარებიათ ერთი–მეორე და ხომ იცით პირველი სიყვარულის ძალა...

– ბატონო არჩილ მტერი თუ გყავთ?

– არა და ღმერთმა დამიფაროს, არც არავის ვმტრობ და არც არავინ მმტრობს.

– არც ეკას?

– ეკას შეიძლება სილამაზის მტრები ჰყავს სხვა არავინ!

– ერთი შეკითხვაც, საიდანაც გაიგეთ, რომ მდინარეში ვიღაც ქალის გვამი იპოვეს?

– თბილისიდან რომ დავბრუნდი, პირდაპირ ეკასთან მივედი ბინაში, ოთახის კარები დაკეტილი დამხვდა, დავუბარე, სოფელში ჩემს დაბრუნებამდის არ წასულიყო, მაგრამ დამაგვინდა, ალბათ დამჟავდა ჩემს ლოდინში და წავიდა.

ეზოში, რომ გამოვედი, მეზობლები ისე გულთბილად აღარ შემხვედრიან, როგორც ყოველთვის, იქნებ ჩემთვის აღარც ეცალათ, თავისთვის ფუსფუსებდნენ – „ვიღაც ქალი წყალში უნახავთ დამხვრჩალიო“ – ეს რომ გავიგონე, კინაღამ გული შემიწუხდა, იმ წუთში თვალწინ ჩემი ეკა წარმომიდგა და აქეთ გამოვიქეცი, მართლა, რა სულელი ვარ არა?

რატომ ვიფიქრე ეკაზე ასეთი რამე, გმადლობთ. ძლივს დავმშვიდდი თქვენთან საუბარში. ისე მართლა იპოვეთ ვინმე წყალში დამხრჩვალი?

– კი ვიპოვეთ!

– ვინ არის, ქალია თუ კაცი?

– ქალია!

– საცოდავი, ვინაობა თუ მაინც დაადგინეთ?

– არა, ჯერ ვერაფერი დავადგინეთ, მხოლოდ სურათი ვიპოვეთ მისი!

– თქვა ინგამ და პროკურორს გადახედა შეკითხვის თვალით „სურათი ვაჩვენო თუ არაო“. პროკურორმა კი თვალები დახარა თანხმობის ნიშნად და ინგამაც საქაღალდიდან სურათი ამოიღო.

– რა ლამაზია, იქნებ იცნობდეთ კიდეც – თქვა გამომძიებელმა და სურათი არჩილს გაუწოდა.

არჩილმა სურათის გამორთმევა ვერ მოასწრო დაინახა თუ არა „ეკაო!“ რაღაც არაადამიანური ხმით დაიღრიალა და... ყველაფერი დაწყნარდა... პროკურატურის შენობას კივილით მოადგა სასწრაფო დახმარების ავტომანქანა, არჩილი რეანიმაციაში მოიყვანეს გრძნობაზე.

– სად ვარ? – იკითხა არჩილმა, როდესაც თეთრხალათიანი გოგონა დაინახა სასთუმალთან დამჯდარი.

– ჩუუ! თქვენი საუბარი არ შეიძლება – „ინფარქტი“ – უთხრა ახალგაზრდა ექიმმა და მაჯა აიღო პულსის გასასინჯად.

ავადმყოფის გასინჯვა ექიმს დამთავრებულია რ ჰქონდა, რომ პალატის კარები ფართოდ გაიღო და დაუკითხავად მთლად გაჭაღარავებული ქალი ღია კარებში აჩრდილივით შემოვიდა. ზომაზე მეტად აღელვებული არჩილის მკერდს დაემხო და აქვითინდა:

– ჩემი ბრალია, შვილო, გულთან მიტანა გასწავლე ყველაფერის. ადამიანის სიბრალული გასწავლე და ასე გზრდიდი. შვილო, შენს სათუთ გულთან ავადმყოფობას რა უნდა,

შემოგევლოს დედა, მოდი, ბიჭო, ჩემი ქვა გული გადმოგინერ-
გონ, ხომ ხედავ, ჩემს გულს სიკვდილი არ ეკარება...

– კარგი, დედა ნუ ტირიხარ, ხომ ხედავ, რომ კარგად ვარ? – ეუბნებოდა არჩილი თან დასამშვიდებლად ხელს უსვამდა დედას ჭაღარა თმაზე.

– ვხედავ როგორცა ხარ შვილო, შენი სახის ფერი მეუბნება შენს „კარგად ყოფნას“, რატომ დედა არ მოგიკვდებ-ბა ბიჭო, მეგონა დაგავაჟკაცე და აწი აღარაფერი მიჭირდა, შენ კი ცოცხლად მმარხავ, მიმწარებ სიბერეს, რამდენჯერ გითხარი გულთან ნუ მიიტან ყველაფერს–მეთქი!...

– შენ კი არ მიიტანდი გულთან დედა?

– რას შვილო?

– ეკა აღარ გვყავს დედა!

– ვაი შენს დედას შვილო, ეს რა გასაგონარი მითხარი ბიჭო! – შეჰკივლა ქალმა და ორივე ხელით ჭაღარა თმის ბღუჯა ჩამოიღო. ახალგაზრდა ექიმმა, რომ ვერაფერი გააწყო დედა–შვილის დასამშვიდებლად, ზარის ღილაკს თითი დააჭირა და პალატაში დაუყოვნებლივ მედიცინის მუშაკთა მთელი გუნდი შემოვიდა.

ბევრი ხვეწნა–მუდარის შემდეგ ძლივს გაიყვანეს ხმამაღ-ლა ატირებული არჩილის დედა რეანიმაციის პალატიდან, მაგრამ შორს როდი წავიდა, იქვე დერეფანში დადგმულ სა-ვარძელში მძიმედ ჩაეშვა და შვილი, ხმამაღალი ტირილით, რომ არ შეეწუხებია, ჩუმ ზლუქუნზე გადავიდა, შემდეგ კანკა-ლი დააწყებია და ექიმების შრომის არსებად გადაიქცა...

ამ დროს არჩილი, ცრემლით სავსე თვალებით, ჭერს მისჯერებოდა და ეკასთან ბოლო დღეს გატარებული დრო ელანდებოდა. ყოფნა–არყოფნის ჟამი დამდგარიყო, საღი აზროვნება მხოლოდ ეკას დატრიალებდა თავს და სატრფო როდესაც ამ ქვეყნად ცოცხალი აღარ ეგულებოდა, იმისთვისაც სიცოცხლე არარაობას წარმოადგენდა.

ოცნებათა ასეთი მოზღვავება ულმობელ წარსულსა და მძიმე სინამდვილეს ათანასწორებდა, ამ წუთში არჩილისათვის

აუცილებელი იყო ნუგეში, თვითონაც გრძნობდა ამას და სიკდ-ვილი რომ არ წვეოდა, სულით ავადმყოფი დარჩებოდა, ეს სიკვდილზე უარესი ტანჯვა რომ აეშორებია, დედას მოუხმო: დედა, – ანუკი საყვარელიძე თავისი თავადური მედიდურო-ბით, ცრემლშემშრალი და ოდნავ მომღიმარიც კი, შვილს სასთუმალთან ჩამოუჯდა, დედის გულმა იგრძნო რომ შვილს ნუგეში ესაჭიროებოდა და პირდაპირ დაიწყო:

– შვილო, შენი სიკვდილით მტერს გაახარებ, ამიტომ უნდა დასძლიო ვაჟკაცურად ეს გასაჭირი, გებრალებოდეს დედა და სააქაოს მოიხედე შვილო!

– დაბრკოლების დაძლევა მაშინ მიჭირდა დედა, როდე-საც ეკა გვერდით მედგა, ახლა უიმისოდ რომელი დაბრკოლების გადამლახველი ვარ?

– რა მოხდა, შვილო, მომიყევი მაინც!

– არაფერი არ ვიცი დედა, მითხრეს წყალში დაიხრჩოო და გრძნობაც დავკარგე, აღარაფერი მახსოვს!

– კი არ გესაყვედურები შვილო, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, სიცოცხლეზე მეტად გიყვარდა ეკა. დეკემბერში ხელი მოაწ-ერეთ თბილისში და საშობაო ცერემონიალზე მამა მელი-ქისედეკმა ჯვარი რომ დაგწერათ მღვიმის მონასტერში, ნე-ტავი ვიცოდე სახლში რატომ არ მოიყვანე შენი კანონიერი მეუღლე?

– უკეთეს პირობებს ველოდი დედა, აი, დამიდგა, უკეთესი პირობები, მოვემზადე ქორწილისათვის, მაგრამ ეკა აღარ მყავს!

– რა იზამ შვილო, მარტო ერთის თავზე რომ იყოს უბედურება, ადამიანი ვერ გადაიტანდა, მაგრამ ადამიანი სიკეთით თუ ბოროტებით მაგალითია მეორე ადამიანისათვის, მეც შენიხ-ნის ვიყავი მამაშენი რომ დაიღუპა, აღარ მინდოდა თავი მეცოცხლა, მაგრამ შენი ტირილი რომ გავიგონე, ეს ტირილი კი არა სიცოცხლის გამოძახილი იყო, გზრდიდი და მხოლოდ სიკეთეს გინერგავდი, შვილო, შეიძლება სწორად არ ვიქცეო-დი, რადგან კაცობრიობამ როდესაც გაიგო სიკეთის ძალა, მაშინვე ადამის მოდგმათა შორის გაჩნდა სიბოროტე, ამიტომ

ადამიანთა უმეტესობა ორივეს ფლობს, სიკეთესაც და სიბოროტესაც, მე კი მარტო სიკეთე გასწავლე შვილი, აი, სად არის ჩემი შეცდომა, თუმცა ბოროტების თვითონ არაფერი გამგებოდა და შენთვის როგორ მესწავლებია?

– მადლობელი ვარ დედა, რომ სიკეთე მასწავლე, მე სიკეთესთან ერთად ბოროტებას ვერ შევითვისებდი, სიკეთე მშვენიერებასთან ერთად გაჩნდა და მე მუდამ მშვენიერების მსახური ვიყავი, ბოროტება კი სიმახინჯესთან ერთად დაიბადა და ამ ორ კლასს შორის დღესაც მიმდინარეობს სისხლისმღვრელი ბრძოლა, ამიტომ ადამიანის ერთ ორგანიზმში არ შეიძლება მოთავსდეს ორივე მცნება...

– იქნებ სწორს ამბობ, შვილო, და მეც მიხარია, რომ შენთვის მარტოოდენ სიკეთე მისწავლებია, სიკეთე ხომ ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებასთან.

– ეგ ზღაპრებში დედა, მე კი არ ვიცი გადავიტან თუ არა ეკას დაკარგვას!

– ჭკუას მოუხმე შვილო, შენ ვინ მოგცა იმის უფლება მეუღლის უნებლიედ დაღუპვის საზღაურად დედა გააუბედურო?

– არა როგორ მოვიქცე, რას მირჩევ დედა?!

– ძლიერი მაშინ გეთქმის შვილო, როდესაც ჭკუას არც ჭკუის დაკარგვის შემდეგ დაჰკარგავ, ჭირს გაძლება უნდა, ძნელია განშორება. დასწყევლოს ღმერთმა, იმისი მომგონი, მაგრამ უნდა გაუძლო, სირცხვილია, ჭირისაგან მხრებში მოხრილი დაჩაჩანაკებული ადამიანი, ლხინსაც თავისი საზღვრები აქვს და გლოვასაც, ადამიანმა არც ის უნდა თქვას „ვერ გაუძლო და დარდმა დააგლახავაო“, და არც ის „მაინცა და მაინც დიდად არ განიცდისო მწუხარებას“. ყოველივეს თავისი კანონზომიერება აქვს ცხოვრებაში, ჩემს მიერ არ გესწავლება, მაგრამ შენი ვალია. წარბშეუხრელად დაიცვა ოჯახური და ღვთიური ადათი, რომელიც ერთ მთლიანობაშია შერწყმული.

– ვერ ვუძლებ დედა!

– უნდა შეძლო, შვილო, მე შენმა გამოძახილმა შემაძლებინა და შენ დედის გული შეგაძლებინებს იმ ტანჯვის მსუბუქად გადატანას, რომელსაც ასე დაუმონებიხარ...

გახსოვდეს, ქალბატონ ფერიდეს, ერთი შვილის მეტი არავინ ჰყავდა, მას ახლა უნდა ნუგეში, რომ ცოტა ხანს იცოცხლოს ეკას სულის მოსაგონებლად, ვინ ჰყავს შენს მეტი? შენ უნდა დაიკავო! ეკას ადგილი იმის გულში და შეუვსო სიცარიელე!

– რას ამბობ დედა, ფერიდესთან როგორ მივიდე, ან რა ვუთხრა შვილდაკარგულ დედას, მე რომ მოვმკვდარიყავი, ნუთუ ეკა შენთან მოვიდოდა სანუგეშოდ და ვარამი სშესამსუბუქებლად?

– აბა რას იზამდა. უპატრონოდ და უნუგეშოდ დამაგდებდა მოხუცს?

– არ ვიცი არა, დედა! მე ეკა მიყვარდა და უიმისობას ვერ გადავიტან, ნურც ნურავინ მანგუშებს და არც არავის ვანუგეშებ. მე რომ მოვმკვდარიყავი, მწამს არც ეკა იცოცხლებდა თავს და მე რატომ ვიცოცხლო იმის შემდეგ?

– მე თუ ვიცოცხლე, შენ რატომ არ შეგიძლია იცოცხლო?

– შენ არ გყვარებია!

– ცდები შვილო, სიყვარული სხვა არის და მოვალეობა სხვა, მე მიყვარდა ჩემი მეუღლე, მაგრამ უგნურება მოვალეობამ არ ჩამადენინა, მე მოვალე, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვალდებული ვიყავი, არ გამეცივებია მამაშენის კერა და მეცოცხლა იმიტომ, რომ იმასაც ეცოცხლა ხალხის გულში. შეიძლება შენ არ გიყვარდეს შენი სამსახური, მაგრამ არა გაქვს უფლება, უღალატო მას, ასეა ოჯახიც მუდამ ახლის ძიებაში უნდა იყო და არა სიკვდილზე ფიქრით გამოილაყო თავი. საიქიოს მარადიულ სიცოცხლეზე ქადაგება იმით არის კარგი, რომ სიცრუეა, თორემ იქ ვერავის მივასწრებდით და შენ პირველი ნუ იქნები სხვათა დასაძრახი ემოციური შავი ფიქრების გამახორციელებელი. ადამიანი უდროოდ სიკვდილ-

ისთვის არ არის გაჩენილი და არცა აქვს უფლება მისი შემქმნელის საწინააღმდეგო აზრი მაცდურისაგან გაიზიარ-ოს. შემოქმედმა ადამიანი ცხოვრებისათვის გააჩინა და არა ოცნებისათვის, თუ გაჩერებული ხარ, ოცნებობ და უცქერ ცხოვრებას, ცხოვრებაც გაჩერდება შენთან ერთად, მაგრამ თუ მოძრაობ ცხოვრების სწორი მიმართულებით, მაშინ იცხოვრებ, ისე როგორც გიოცნებია.

– ბრძენი ხარ დედა! და ალბათ შენისთანა ქალმა გადა-არჩინა სამყარო!

– სიბრძნე მარადიული აბჯარია წმინდანთა შვილო! უვიცობა შეჩვენებულია, შენ რომელს აირჩევდი, სწავლულთა რჩეულს თუ უვიცთა მინიშნებულს?

– შენ რომელიც გისწავლებია, დედა, იმ გზას ავირჩევ-დი...

– გმადლობთ შვილო, შენ მუდამ ჩემი დამჯერე ბიჭი იყავი!

– ვიყავი დედა, ახლაც ვარ, მაგრამ შვილის გული როდი შვრება ყოველთვის იმას, რასაც დედის სიბრძნე კარნახობს. დაბადება, სიყვარული და სიკდვილი მხოლოდ ერთხელ მოდის ცხოვრებაში, როდესაც ბედი ასე ძალზე ცუდად დამიტრიალდა, წარმოვიდგინე, თითქოს მკვდარი ვარ და თვითონ ამ მდგომარეობას შევეჩვიე, მაგრამ წარ-მოვიდგინე თუ რა ტრაგედია დატრიალდებოდა იმ ახ-ლობლების გულში, რომლებიც მე იმედის თვალით შემომ-ცქერიან, მე შენი შემოძახილით უნდა დავძლიო დედა, სიკვდილს! მართალია ჩემს გულში სიყვარული მეორედ აღარ დაიბადება, მაგრამ ესეც საქმეა, თუ მშობლის სიყ-ვარულს შევინარჩუნებ.

– ასე რატომ ამბობ შვილო, აი, დღეს სიკდვილი დაამა-რცხე და მეორედ დაიბადე, ასე დაიბადა სიყვარულიც. მხ-ოლოდ არ განერიდო სიყვარულის მოახლოებას, ის თვითონ მოვა შენთან, მხოლოდ ზურგი არ შეაქციო, თორემ სიყვარულსაც შეძულდები, რადგან სიყვარულში ყოველთვის როდია ჩამა-

ლული სიკეთე, პირიქით, მისი ღალატი მუდამ თან სდევს სიყვარულში წარმატებას.

აი, ტუჩებზე ფერი მოგივიდა, მგონი გადარჩი შვილო, ახლე მე წვალ და მალე მოვალ! – სად მიდიხარ დედა?

– ფერიდესთან! სამძიმარი უნდა ვუთხრა ჭირის!

– არ წახვიდე, ფერიდემ ჯერ იქნებ არაფერიც არ იყოს, მე ახლა პროკურორს დავით დვალს დავუკავშირდები და ის გეტყვის, სად იპოვეს ეკა, იცის თავისი უბედურება ფერიდემ, თუ არა...

არჩილმა თითი საგანგაშო ზარის ღილაკს დააჭირა, ჯერ კიდევ თითი არ აეღო, რომ პალატაში მორიგე ექიმი შემოვიდა.

– ექიმო, გთხოვთ აქ როგორმე ტელეფონი ჩამირთოთ, ან უკიდურეს შემთხვევაში ტელეფონის აპარატამდის მიმყვანოთ!

– თქვენი საუბარი, რომ არ შეიძლება?! – ექიმის გაკვირვება აშკარა იყო...

– შეიძლება!

– ვინ გითხრათ?

– დედამ!

ექიმს გაეღიმა – ჰო, თუ ასეა მაშინ რა მეთქმის, თუმცა მთავარ ექიმს მაინც უნდა შევუთანხმდე. – თქვა და პალატიდან გავიდა. ორი წუთის შემდეგ პალატაში მთავარი ექიმი შემოვიდა, ანუკის მიესალმა და არჩილს საბანი მუხლებამდის გადახადა.

გულის მუშაობას მოუსმინა, შემდეგ წნევა გაუსინჯა, და თავი გადააქნია.

– შემოიტანეთ ტელეფონის აპარატი! – გასცდა ბრძანება მთავარმა ექიმმა და არჩილის თხოვნა მყისვე დაკმაყოფილდა.

ტელეფონის დისკო დატრიალდა, გამტარის მეორე მხარეს ყურმილი აიღეს.

– ალო! ბატონი დავით დვალი მინდოდა! – ჩასაძახა ყურმილს არჩილმა. თქვენ ბრძანდებით? გამარჯობათ დავით, არჩილი გაწუხებთ საავადმყოფოდან... რომელი... ფაიფურის გენერალური... მგონი გადავრჩი, ჯერ კიდევ არ ვიცი... ვიცი ძალზე გადატვირთული ბრძანდებით, მაგრამ დამდეთ ვალი და მინახულეთ საავადმყოფოში... დიახ გადადებელი საქმე მაქვს... კარგი ნახევარი საათიც არ არის დიდი დრო, მე მგონია მოვითმენ... ბოდიში შეწუხებისათვის, წინასწარ გიხდით მადლობას ჩემთან მობრძანებისათვის.

– ვის ელაპარაკებოდი შვილო ასე მოწიწებით? – შეეკითხა ანუკი, როდესაც არჩილმა ტელეფონის ყურმილი აპარატზე დადო.

– რაიონის პროკურორს დავით დვალს! – ის ახლა აქ მოვა და შენ ნუ გეწყინება დედა, ჩვენი საუბარი შენთვის საინტერესო არ იქნება.

– კარგი შვილო, მე დერეფანში დაგელოდებით.

– შეიძლება ჩემი მოქცევაც სწორი არ იყოს დედა, მაგრამ მაპატიე, რამეთუ ჩვენი საუბრის გონივრული და საფუძვლიანიმ იზეზები დაფარული უნდა იყოს მესამე პირისათვის.

– სწორად იქცევი შვილო, შეიძლება შენ არ გქონდეს ჩემთან რაიმე დასაფიცი, მაგრამ მეორე პირი, მესამე პირს ყოველთვის ზედმეტად თვლის...

მართლაც ნახევარი საათის შემდეგ მომღიმარი სახით შეაღო პალატის კარები დავით დვალმა და არჩილს მიესალმა: თავდაცვის იარაღია, ფრთხილად იყავი არჩილს გულს არ შეუძლია გონების.

– ახლა ასეთ ამინდში შენისთანა ადამიანისათვის დაწოლის დროა? – თითქოს უსაყვედურა პროკურორმა არჩილს ავადმყოფობა!

– ალბათ კუბოში წოლა ჯობდა! – თქვა არჩილმა და თვალები აუწყლიანდა.

– ვაჟკაცის ენით მელაპარაკე, გულჩვილობა და ცრემლი

ქალების ხვედრია, ამიტომ ჭკუა მეტად მოვიხმაროთ, რომ გული ზედმეტად არ გადავტვირთოთ.

ვის მოუკლავს ბიჭო შეყვარებულისათვის თავი, რომ შენ იკლავ?

– რა შეყვარებული კაცო, რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი, ეკა ხომ ჩემი კანონიერი ცოლი იყო?

– ეს როგორ?

– როგორ და მე მეგონა თუ პროკურორმა ყველაფერი იცოდა, რაც რაიონში ხდებოდა, ჩვენ კი, მე და ეკამ სტალინის დაბადების დღეს 21 დეკემბერს თბილისში მოვაწერეთ ხელი და 25 დეკემბერს ქრისტეს დაბადების დღეს საშობაო ცერემონიალზე სობორის მონასტერში მამა მელქისედეკმა დაგვწერა ჯვარი, დოკუმენტები დაცული და როგორც თბილისის საქორწინო სახლის წიგნში, ასევე სობორის საეკლესიო დავთარში არის ყოველივე გატარებული.

– მოგეყვანა მაინც სახლში, იქნებ დედა მეტად უპატრონებდა...

– თანამდებობის პირი ხარ დავით და შენ მაინც არ უნდა მეუბნებოდე ასე, რადგან ბრწყინვალედ იცი ჩვენი მატერიალური შესაძლებლობა და დრო, რომლიდანაც ერთ წუთსაც ვერ მოპარავ წარმოებას და მთავრობას, რომელიც შენ გენდო!

– მართალია არჩილ, მაგრამ დაქორწინებაც სახელმწიფო საქმეა და პირველი რიგში, კაპიტკებიდან შეგროვილი თანხა და წუთებიდან დაგროვილი დრო ქორწინების საქმეს უნდა მოვახმაროთ.

– ამისთვის არ შემიწუხებიხარ დავით, ხომ ხედავ ყველაფერს შევეგუე, პირდაპირ მითხარი, ეკას დედამ ქალბატონმა ფერიდემ თუ იცის რაიმე შვილის დაკარგვის შესახებ.

– არა! სანამ გამოძიება არ დასრულდება, ვერაფერს გავაგებინებთ!

– როგორ ფიქრობთ, თვითმკვლელობა არის თუ მკვლელობა?

— მე მგონია მკვლელობა, მაგრამ ეს საკითხი ჩემზე კარგად იცის გამომძიებელმა ინგა აბაშიძემ.

— ეს რომელია, ის გოგონა ხომ არა, ვითომ შემთხვევით, ინგას სურათი რომ მომაწოდა?

— დიახ ის არის!

— არ დამანახოთ! ის მეზიზღება, ასე მგონია ჩემზე ეჭვიანობს!

— მერე რა! გამომძიებელს შეუძლია ნებისმიერ ადამიანზე იეჭვიანოს!

— უსაფუძველო ეჭვიანობა, დავით, სიკვდილის ტოლფასია, ახლობელის დაკარგვით გამოწვეული ადამიანს თავისი გასაჭირი ყოფნის და თუ კიდევ მასზე უსაფუძვლო ეჭვი მიიტანეს, ეს თვითმკვლელობას ნიშნავს და ეს თვითმკვლელობა უნდა ზიდოს მან, ვინც მავანი თვითმკვლელობამდის მიიყვანა, რადგან თვითმკვლელობა ვიღაცის მიმართ ზურგში ჩაცმული მახვილია და სამაგიეროს გადახდა იმის მიმართ, ვინც თვითმკვლელობამდის მიიყვანა უდანაშაულო ადამიანი.

— თქვენ სწორი ბრძანდებით, არჩილ, მაგრამ ჩვენი თეორიული და პრაქტიკული აღზრდა კანონის მორჩილებაა და არა კაცთმოყვარეობა, საგამომძიებლო ორგანო ეჭვის თვალით უნდა უყურებდეს ყველას, მაგრამ არა სიძულვილით, რომ არ დაგიფიცო, ეკას მკვლელობის ყველა ფაქტი შენს საწინააღმდეგოდ მეტყველებდა და ინგას უნდა უმადლოდეთ, თუ მე შენი დაპატიმრების სანქცია არ გავეცი.

— ოოო! საშინელება იქნებოდა, ერთდროულად ორ დარტყმას ვეღარ ავიტანდი, დღეს უკვე სიცოცხლე მინდა, იმიტომ კი არა, რომ მე ის მიყვარს, სიცოცხლე არ შემიძლია ეკას გარეშე. მაგრამ პატიოსნებისთვის ვართ ამ ქვეყნად მოვლენილნი და ხალხმა დაინახოს, თუ როგორ მყვარებია ეკა...

— მაინც რას აპირებ ასეთს?

— არასოდეს არავის შევიყვარებ და ცოლს არასდროს შევირთავ!

– ეს გადაწყვეტილება მარტო ორი ოჯახის ღალატად კი არა სახელმწიფო ღალატადაც ითვლება, რადგან თვით სამშობლოზე შეყვარებულ ადამიანს არა აქვს უფლება თავის მაგიერი შვილი ქვეყანას არ დაუტოვოს, დრო მოუკლავს წარსულზე ფიქრს და ვინ იცის, იქნებ მეტად ლამაზი და მატერიალურად შეძლებულიც კი შეგიყვარდეს.

– მატერიალურად შეძლებული შეიძლება, ამას სარფიანი ქორწინება ეწოდება, მაგრამ არა ბედნიერი. ბედნიერი რომ იყო, უნდა გიყვარდეს, რომ გიყვარდეს, უნდა უყვარდე!

– სიყვარულობანას ზოგიერთი მხოლოდ იმიტომ თამაშობს, რომ ბევრი რამ კარგი სმენია სიყვარულზე, ჩვენ კი ქალში უნდა ვეძებოთ ის გადამალული საუნჯე რასაც პატიოსნება ჰქვია. ამის აღმოჩენის შემდეგ არ შეიძლება არ შეგიყვარდეს ის, ვინც აქამდის არავის უძებნია და ვერავის შეუმჩნევია.

– დედაჩემის დარიგებული ხომ არა ხარ დავით, რა დროს მაგეების ლაპარაკია, ჭირთა შესახვედრად ნუ მამზადებ, ხომ გითხარი მომზადილი ვარ მეთქი, პირდაპირ მითხარი ეკა ამჟამად სად იმყოფება?

– საყინულეში!

– სანამდის უნდა იყოს იქ?

– სანამ ძიება არ დამთავრდება და ნამდვილი ჭირისუფალი არ გამოუჩნდება!

– ხომ დადგენილია, ეკა ვინ არის და ვინ არიან იმისი ჭირისუფლები?

– სანამ ძიება არ დამთავრდება, ეს ვარაუდია მხოლოდ!

– მე გვამს არ მაჩვენებთ?

– როგორ არა!

– მაშ წავიდეთ!

– მხოლოდ მაშინ, თუ ექიმების თანხმობაც იქნება!

– გამოვიპარები!

– მაგ შემთხვევაში გვამის ნახვის უფლებას ვერ მოგცემთ!

– ყველანი შეუბრალებელნი ხართ, რაღა ერთი და რაღა მეორე!

— პირიქით, სიბრალული გვამოძრავებს, ჩენ არ გვინდა ახალი შესაწირი მივიყვანოთ სამსხვერპლოზე.

— ხომ გეუბნები კარგად ვარ—მეთქი, რატომ არ მიჯერებ?

— შენ გონებით მელაპარაკები, გონება კი გულის მაგივრობას ვერ გასწევს, ამიტომ ექიმები უკეთესად მეტყვიან, როგორცა ხარ, ისინი უკეთესად გააკონტროლებენ შენს ჯანმრთელობას...

— კარგი, მთავარ ექიმს მოველაპარაკები! — თქვა არჩილმა და საგანგაშო ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

პალატაში მორიგე ექიმი შემოვიდა, დავითს მრისხანე თვალებით გადახედა და არჩილის მაჯა აიღო პულსის გასასინჯად.

— ამჟამად კარგადა ვარ ექიმო, გთხოვთ მთავარ ექიმს დაუძახოთ, მასთან პირადი თხოვნით მინდა წარვსდგე. — უთხრა არჩილმა და მაჯა უდიერად გამოსხლიტა სათუთი ხელიდან ახალგაზრდა ექიმს.

— თქვენ რასპუტინივით ნუ იუფროსებთ, აქ ჩვენა ვართ უფროსები და პასუხისმგებელნი თქვენს ჯანმრთელობაზე, თქვენი ამდენი საუბარი არ შეიძლება!

— მე მონებას ვტვირთავ მხოლოდ, გულს არ ვაკარებ არაფერს! გთხოვთ მთავარ ექიმს დავუძახოთ! — ნაძალადევი ღიმილი.

— გული თქვენ ფაიფურის ვაზა გგონიათ და გონება მასზე შესრულებული ჩუქურთმა! — თქვა უკმაყოფილოდ ახალგაზრდა ექიმმა და კარები გაიხურა.

ორიოდე წუთის შემდეგ მთავარი ექიმი შემოვიდა, ახალგაზრდა ექიმის უკმაყოფილება ამასაც გადმოდებოდა:

— გთხოვთ, პატივცემულო, ავადმყოფს საუბარით ნუ გადაღლით! — არავითარი ღიმილით, თავიდან ბოლომდე სერიოზულად თქვა მთავარმა ექიმმა დავითის მისამართით!

— მე რაიონის პროკურორი ვარ და მაქვს უფლება ავადმყოფთან ძიების საქმეზე ვისაუბრო!

– მხოლოდ ჩვენი ნებართვის შემდეგ! – მტკიცედ თქვა ექიმმა და პალატის კარები ღიად დატოვა, რაც იმას ნიშნავდა – „დაგვტოვე და კარები დერეფნის მხრიდან დახურეო!“

– ექიმო ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან და მინდა ბატონმა პროკურორმაც მოისმინოს, ჩვენი კითხვა–პასუხის შედეგი, გთხოვთ უფლება დართოთ დარჩეს ჩემთან რამდენიმე წუთით!

– რა სათხოვარი გაქვს ასეთი, არ მითხრა ახლა „კარგად ვარ და სახლში უნდა წავიდეო“! უკმაყოფილოდ თქვა ექიმმა და არჩილის მაჯა აიღო ხელში პულსის გასასინჯად.

– იცი ექიმო! მე მეუღლე გარდამეცვალა, როდესაც გავიგე, ცუდად შევიქენი, ახლა მართლა კარგად ვარ, ჩემს მეუღლეს ჩემს მეტი არავინ ჰყავს, უნდა დავკრძალო, შემდეგ მოვალ და რამდენ ხანსაც გინდათ მიმკურნალეთ!

– ეს შეუძლებელია, შემდეგ თქვენ ველარ მოხვალთ სამკურნალოდ, შეიძლება შენზე ერთი კვირით ადრე დაკრძალონ შენი მეუღლე.

ინფარქტი ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს, რომ ორგანიზმმა გაიწოვოს დანეკროზებული მასა ან აუცილებელია მოხდეს მისი ორგანიზება.

გულის კუნთის ინფარქტი, რომელიც თქვენ გადაიტანეთ, მკვებავი არტერიის სპაზმით, სახუმარო როდია, თქვენ უნდა უმადლოდეთ ჯანსაღ ორგანიზმს, მაგრამ განმეორების შემთხვევაში, რომელიც რა თქმა უნდა მოსალოდნელია, გადარჩენაზე ფიქრიც ზედმეტია...

– აბა რას მირჩევთ ექიმო?

– წოლით რეჟიმს!

– მეუღლე დაუსაფლავებელი დავტოვო?

– მეუღლე მაცივარშია, ის თქვენს გამოჯანმრთელებას დაელოდება, მაგრამ თუ თქვენ ჩემს რჩევას არ მოისმინენთ და გაიპარებით, იცოდეთ ამ შემთხვევაში თქვენ და თქვენს მეუღლეს, ორივეს ერთად, მეზობლები დაგასაფლავებენ სამადლოდ.

– რამდენი დღე დასჭირდება ჩემს მკურნალობას?

– ინფაქტის მკურნალობის დრო დაუდგენელია, როდესაც თქვენი ორგანიზმი სათანადო პრეპარატების დახმარებით შესძლებს ავადმყოფობის დამარცხებას, მკურნელობაც მაშინ დამთავრდება – თქვა ექიმმა, არჩილს გაუღიმა და პალატიდან გავიდა.

– აი თურმე რა ყოფილა, ჩემო არჩილ ექიმების რჩევას დიდი ფიურერიც ვერ მიუდიოდა წინ და ჩვენ ვინა ვართ, რომ ვუარყოთ მკურნალობა? დაისვენე მეგობარო, იფიქრე, თუ როგორ უნდა მოიქცე მომავალში. ამასობაში ჩვენც დავამთავრებთ ძიებას, გპირდებით მკვლელს გამოვავლენთ და ეკას ცხედარიც ისე დაგელოდებათ, როგორც დღეს არის. ჩემს სიტყვაზე მე თვითონ ვიქნები შენთან პასუხისმგებელი.

– რას გადამეკიდა ეს ხალხი, იქნებ არ მინდა სიცოცხლე და ჩემთვის ხომ სულ ერთია სამადლოდ დამასაფლავებენ, თუ სახელმწიფო ხარჯით? ვიცი, მე აქ უფრო ცუდად შევიქნები, ჩვენს შორის მეგობრობა ყოფილა დავით და თუ ადამიანობა გაქვს, მანახე ჩემი სიკვდილის წინ ეკა. გთხოვთ! როგორც გინდა ისე გამიგე, ძალიან გთხოვ!

– არჩილ! საქმე რომელიც ეხება მეგობრის სიცოცხლეს და თუ გინდ ყოფნა–არყოფნას, ყოველთვის გვერდში ამოგიდგები, მაგრამ ამ შემთხვევაში მეორე შანსი არ არსებობს, მხოლოდ ერთი აზრია დარჩენილი „არყოფნა“, ამიტომ მაპატიე თუ შენს სიცოცხლეს გავუფრთხილდე და ამ დახმარებაზე კი არა, სიცოცხლის ხელყოფაზე უარი გითხრა.

– კარგი! კარგი! ვიხუმრე არსად წამსვლელი არა ვარ და არც შენი დახმარება მესაჭიროება, მხოლოდ მითხარი, ვის აქვს მაცივრის გასაღები, სადაც ეკა იმყოფება?

– არ ვიცი სინდისს გეფიცები! – იცრუა დავითმა.

– კარგი! კარგი! მე შევცდი რომ დახმარება გთხოვე, ისეთ მეგობარს რა უნდა ვუთხრა, მეგობრის დასაპატიმრებლად სანქციას რომ გასცემს, მეგონა ღირსელუი მეგობარი მყავდა შენი სახით, მაგრამ ღირსება ყოველთვის როდი აღწ-

ევს სრულყოფილებას. ზოგიერთ შემთხვევაში გადაგვარებას განიცდის ღირსება და ნაკლად იქცევა, შეძენილი და ნასწავლი ღირსება არასოდეს არ იქნება სრულქმნილი, რადგან წინდახედულებასა და მეგობრის დახმარებას გონება გვინერგავს, სიკეთესა და სიქველეს ბუნება გვანიჭებს.

— მადლობელი ვარ არჩილ, რომ ჩემში სიკეთეს ვერ ხედავ, მეგობრები სიძულვილის გამო კი არ ჰგმობენ დახმარებას, არამედ იმიტომ, რომ ის არახელსაყრელია მათთვის. ღირსება კი ჩემო მეგობარო, სმენისა და მზერის ორგანოსა ჰგავს, ამ ღირსებას მოკლებულ ადამიანს, არც მისი დანახვა შეუძლია და არც მისი გულისცემის მოსმენა, რაც შეეხება მეგობრის მიმართ სანქციის გაცემას, შენ კი არ გასცემდი პასუხს ეკას მკვლელს? კანონი ხომ ერთნაირად ასამართლებს მეფესა და ყმას? მართალია ბევრს არ მოსწონს ჩვენი საქციელი და ხშირად გვდებენ ბრალს უღირსი ქცევის გამო, მაგგრამ რატომღაც ივიწყებენ, რომ ხშირ შემთხვევაში ქებასაც ვიმსახურებთ, ბევრი ჩვენი კეთილი საქმეების გამო, ამიტომ მგონია დღეს სრულებითაც არა ვარ გასალანძღი მეგობრისაგან და არც მეშინია შენი უმადურობის, რადგან კიდევ შემწევს სიკეთის ქმნის ძალი შენს მიმართ.

— რა ვქნა დავით, ამ შემთხვევაში არ შემიძლია შენი საქმიანი რჩევით ვისარგებლო; რადგან მგონია თვითონ შემწევს იმდენი უნარი, რჩევა მივცე საკუთარ თავს!

— კარგად ბრძანდებოდეთ, მე ახლა წავალ, მხოლოდ გახსოვდეს, უბედურება ღვთის რისხვით კი არ ატყდება ადამიანებს თავზე, არამედ საკუთარი შეცდომის შედეგად, ამიტომ გთხოვ კარგად მოუსმინო შენს უნარს, როდესაც რჩევას მიცემ საკუთარ თავს.

პროკურორმა წყნარად გაიხურა პალატის კარები და მთავარი ექიმის კაბინეტისაკენ წავიდა.

— შეიძლება? — თავაზიანად შეეკითხა დავითი კარდიოგრამის ლენტაზე მზირალ მთავარ ექიმს.

– მობრძანდით! – თქვა ექიმმა ისე, რომ მზერა კარდიოგრამისათვის არ მოუცილებია და არც უგრძვნია, თუ ვინ შედიოდა კაბინეტში.

დავითი კარებთან გაჩერდა და ექიმის განთავისუფლებას დაელოდა, ალბათ იგრძნო გამჭოლი მზერა, კარდიოგრამის ლენტა დაკეცა და ინსტინქტურად ზეზე წამოდგა, არ ელოდა პროკურორის შესვლას და ცოტა დაიბნა კიდეც, მაგრამ სწრაფად გამოერკვა და მოსულს სავარძელზე მიუთითა:

– დაბრძანდით, ბატონო დავით, რისთვის შეწუხებულხართ?

– ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე გეახელით!

– თუ დახმარება შემიძლია, იმედი იქონიეთ, არ გაწბილდებით!

– არჩილის შესახებ მინდა შეგეკითხოთ: სინამდვილეში მძიმე ავადმყოფად ითვლება და არ შეიძლება იმისი ფიზიკური და გონებრივი გადატვირგთვა?

– რასაკვირველია, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიღუპება!

– იცოდეთ ამაღამ ის გაიპარება!

– როგორ თუ გაიპარება, სიკვდილს ეთამაშება? არ ვიცი გენაცვალე, დარიგება მეტი არ შეიძლება, ბავშვი ხომ არ არის, დირექტორი კაცია, ჭკუა მოეთხოვება და როგორც უნდა ისე მოიქცეს.

– მკურნალისაგან ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება! თავდგმური უნდა დავუყენოთ!

– თავდგმური ჰყავს!

– ვინ?

– დედა!

– დედა არ გამოდგება, დედას სათუთი გული აქვს შეაჯერებს და დაიღუპება!

– აბა რა ვქნა, მეტი ვინ მყავს სასთუმალთან რომ დავუჯინო?

– მე გამოვაგზავნი სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ პროკურატურის თანამშრომელს და ის გაგიწევთ დახმარებას!

– დიდად დაგვავალებ, მაგრამ ეჭვმიტანილი ხომ არაფერშია არჩილი. ასე რომ უფრთხილდებით?

– განა თქვენ არ უფრთხილდებით ადამიანების ჯანმრთელობას?

– ეს ჩვენი მოვალეობაა!

– რატომ ფიქრობთ, რომ ეს მარტო თქვენი მოვალეობაა? მე კი მგონია აქ პროფესია არაფერ შუაშია, ეს ადამიანური მოვალეობაა!

– კეთილშობილური თვისებებით ყოფილხართ შემკული პროკურორო და მიხარია, როდესაც თქვენი პროფესია ექიმის პროფესიას უტოლდება.

– მე კი მეგონა თქვენი პროფესია უტოლდებოდა ჩვენს პროფესიას!

აბა თვითონ წარმოიდგინეთ, თქვენ ებრძვით ავადმყოფობას, რომლისაგანაც თავდასხმას არ მოელით, ავადმყოფისაგან თქვენი პირადი ჯანმრთელობა დაცულია, ჩვენ კი ვებრძვით ბოროტმოქმედს, რომლისგანაც ყოველ წუთში მოსალოდნელია შეიარაღებული თავდასხმა. პრინციპში კი ორივენი ადამიანთა ჯანმრთელობისა და უშიშროების სამსახურში ვიმყოფებით, მაგრამ, ჩემი აზრით, მეტ–ნაკლებად! ადამიანს ემუქრება სიკვდილი ავადმყოფობით ეს ბუნებრივია და მიზანშეწონილია ექიმის ბრძოლა ავადმყოფის წინააღმდეგ, მაგრამ ჯანმრთელ ადამიანს, რომელსაც ვერ წარმოუდგენია სიკვდილის საშიშროება, ემუქრება სიკვდილი საწამლავით, დანით, ტყვიით და ან კიდევ ეშმაკმა უწყის, რომელი მომაკვდინებელი საშუალებით, ჩვენ გვიწევს ბრძოლა ადამიანის გადასარჩენად, მაგრამ სნეულებასთან კი არა, ტყვიასთან, რომელიც არ ინდობს ჩვენს მკერდსა თუ თავის ქალას. ადამიანი ყველა ადამიანის სამსახურშია, მხოლოდ ვიმეორებ: ზედმეტ–ნაკლებად, დედის პირმშო, ჯანსაღი შვილი, შეიძლება მასწავლებელმა დაღუპოს ცუდი აღზრდით, ექიმმა კი კარგი აღზრდილი მასწავლებელი, მაგრამ შეიძლება ორივე ერთად ცუდმა კვალმაძიებელმა იმსხვერპლოს.

ადამიანის სამსახურშია ექიმიცა და მჭედელიც, მასწავ-ლებელიცა და მაღაროელიც, კვალმაძიებელიცა და გეოლოგ-იც, მფრინავიცა და კონსტრუქტორიც, მართალია თითოეულის-აგან შესრულებული სამუშაო ადამიანის კეთილდღეობისათვის არის გამიზნული და ეს ყოველივე არა სპეციალობაზე, არამედ ადამიანის მოვალეობაზე მეტყველებს, ესე იგი თითოეული ადამიანი ვალდებულია, დახმარების ხელის გაუწოდოს მოძმეს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ არჩილს. ერთი საათის შემდეგ ჩემს მიერ გამოგზავნილი თავდგმური მოვა, მხოლოდ მანამდის გთხოვთ, თქვენ მოელაპარაკოთ და სულიერად გაამხნევოთ ავადმყოფი.

— ბატონი ბრძანდებით, ეს ხომ ადამიანების, ადამიანური მოვალეობაა?!

მთავარ ექიმთან გამომშვიდობების შემდეგ პროკურორმა კაბინეტი დატოვა.

— როგორა ხარ არჩილ? — პალატაში შესვლისთანავე ღიმილით მიუახლოვდა ავადმყოფს მთავარი ექიმი.

— კარგად, მაგრამ მაინც წოლითი რეჟიმი გამომიტანა განაჩენით მთავარმა ექიმმა.

— სწორედაც მოქცეულა, მათ უკეთესად იციან ავადმყო-ფის შესაძლებლობა. შენ ალბათ პროკურორის ბრძნული საუბრით გაჟღენთილს ჯანმრთელი გგონია თავი.

— არა, პროკურორის ასეთი არაფერი უსაუბრია ჩემთან, ისე არც მაგათი ცხოვრება არის ია—ვარდით მოფენილი, მუდამ საშიშროების ქვეშ იმყოფებიან, დამპირდა ეკას მკვლელის მოძებნას და ვნახოთ, რას იზამს...

— თუ სახელმწიფო კანონს თვითონ არ დაამახინჯებენ, ბოროტმოქმედი ვერსად დაიმალება და შენ ხომ გინდა იზე-იმო მკვლელის აღმოჩენა?

— მე ახლა ყველაფერზე მეტად ეკას ნახვა მინდა, მერე რა რომ ის მკვდარია, მინდა გავესაუბრო, თავისი მდუმარე-ბით ის მეტს მეტყვის, ვიდრე ბრძნულად მოსაუბრე პროკურორი.

– დამიჯერე, რომ ეს ჯერ შეუძლებელია, გახსოვდეს, ექიმი შენი ჯანმრთელობისათვის სასიამოვნო მრჩეველია, მაგრამ არა იმდენად სასიამოვნო, რამდენადაც ფრთხილი და ერთგული, ნახვა და საუბარი კი არა, უნდა შესძლოთ დროებით ეკას დავიწყებაც კი, რადგან დაასვენოთ ნერვიული სისტემა, ტვინი და გული, რათა ორგანიზმმა გაიწოვოს ინფარქტი.

გულს სიმშვიდე უყვარს და თუ არ დაურღვევთ მას რიტმის ჰარმონიას. ჯანსაღ და ხანგრძლივ სიცოცხლესაც შეგპირდებათ. აბა თვითონ წარმოიდგინეთ, რომ ჯერ კაცობრიობას არ შეუქმნია ხელოვნურად, მექანიკური ტუმბო, რომელიც ადამიანის საშუალო სიცოცხლის მანძილზე. 70–წლის განმავლობაში, შეუფერხებლად იმუშავებდა და გადატუმბავდა დაახლოებით 40–ლიტრ სითხეს წუთში, ეს საათში იქნება 2400 – ლიტრი, ხოლო დღე–ღამის განმავლობაში კი 57600 ლიტრი. მუშაობის პერიოდში საკმარისია ერთი წუთი შეფერხება განიცადოს, რომ ადამიანი იღუპება. ნუთუ ასეთი ტუმბო საპატივცემულო არ არის? ჩვენ კი სრულებითაც არ ვუფრთხილდებით მას, ზიანს ვაყენებთ, ალკოჰოლით, ნიკოტინით და რაც აუტანელია, ნერვიულობით.

– გულსაც ხომ თავის ტვინიგანაგებს და რა ჰქნას ადამიანმა, თუ სხვაგვარად არ შეუძლია იმოქმედოს?

– ვერ გავიგე? როგორ თუ სხვაგვარად არ შეუძლია? თუ ადამიანი არსებობს და შეუძლია გულისა დანერვების საწინააღმდეგო მოქმედება, რატომ არ შეუძლია ორგანიზმისათვის სასარგებლო მოღვაწეობა?

– თუ ადამიანმა დაკარგა თავის სიცოცხლეზე ძვირფასი არსება და შეუძლია ისევ ისე ნახოს ის, სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ უნდა ილტვოდეს, თუ საყვარელი არსების სანახავად?

– რა თქმა უნდა, თუ ძვირფასი არსება გასაჭირში იმყოფება და შველას მოითხოვს, ამ შემთხვევაში შეიძლება საკუთარი სიცოცხლე განსაცდელში ჩააგდო, მაგრამ თუ ველ-

არაფერს ვშველით მას, მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე უნდა ვიფიქროთ...

– ესე იგი თავი ავარიდოთ მოსალოდნელ განსაცდელს, ძალიან კარგი, მაგრამ ამით უკვდავება მოგვენიჭება?

– მართალია უკვდავებას ვერ ეზიარები სიფრთხილის გამო, მაგრამ უფლებაც არა გაქვს ღმერთის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა და თქვენთვის განკუთვნილი სიცოცხლე უდროოდ დაასრულო. ყველამ იცის, რომ ადამიანი ბოლოს სიკვდილისათვის არის გამზადებული. მაგრამ მაინც ყველა ებრძვის მას. რატომ კრთის სიკვდილმისჯილი სიკვდილის მოლოდინში? ჩვენც ხომ ველოდებით სიკვდილს, მაგრამ ეს ჩვენში ჩვეულებრივი მოვლენაა. მაშინ რატომ სიკვიდმისჯილიც არ ელოდება სიკვდილს, როგორც ჩვენ? იმიტომ, რომ ღმერთისაგან მინიჭებულ სიცოცხლეზე ადრე კლავენ...

– არ გეთანხმებით, მხოლოდ ლაჩარი შეიძლება აკანკალდეს სიკვდილის მოლოდინში. ვაჟკაცები ყოველთვის ვაჟკაცურად ელოდებიან მას. იაშინ კორჩაკი ბავშვთა ექიმი, მწერალი და სწავლული გახლდათ, მან გერმანელთა ტყვეობაში მყოფი სიკვდილმისჯილი ბავშვები ვითომ საზეიმო კარნავალზე მიიყვანა, გამხიარულებულ პატარებს გაზის კამერაში შეუძღვა და მათთან ერთად დაიღუპა, მას ხომ შეეძლო, საკუთარი თავი გადაერჩინა და ნეტავი რატომ არ კანკალებდა კორჩაკი უდროოდ სიკვდილის მოახლოვებისას? ისიც, ხომ არ მოგიყვეთ, რამდენი ტანკს შეუვარდა ან რამდენმა ტყვიამფრქვევის ამბრაზურა საკუთარი მკერდით დაფარა? თურმე არც ერთი არ კანკალებდა სიკვდილის წინ, არ ვკანკალებ არც მე, ვაჟკაცები არ კანკალებენ...

– მართალი ბრძანდებით, ისინი არ კანკალებდნენ, რადგან მათ მიზანი ჰქონდათ, რომ უკან მილიონობით ადამიანი უნდა გადარჩენილიყო ერთის სიცოცხლის შეწირვით. არც ერთ ჭკუამყოფელს არ უფიქრია თავისი სხეული გვამად ექცია და უამრავი გვამებისათვის მიემატებია. მე ისევ ისე სიკვდილმ-

ისჯილის განცდას დავუბრუნდები, რადგან კარგად მაქვს შესწავლილი ადამიანის ფსიქიკა.

საფირქრალს და საზრუნავს ადამიანს რა გამოულევს, მოძრაობის დროს და ერთ ადგილზე გაჩერებულსაც უამრავი გვაქვს თავსატეხი საქმე. მაგრამ სიკდვილმისჯილის განცდა რომ გაიგო, რამდენიმე წელი სიკვდილმისჯილის განაჩენით დილეგში უნდა გაატარო, რომ სიკდვილის ყოველდღიური მოახლოება, გულისცემა და სუნთქვა გესმოდეს, თორემ ჯანმრთელი ადამიანი თავისუფლად ფიქრობს სიკვდილზე, როდესაც სრულებით ვერ წარმოუდგენია მისი ზემოქმედება.

– ნუ გამოვეკიდებით სიკვდილმისჯილთ, რადგან ვაჟკაცები განაჩენის გამოტანამდის აღასრულებენ თავიანთ მისიას, დილეგში კი სიკვდილს ლაჩრები ელოდებიან. ვიცი მე, თქვენ რასაც მელაპარაკებით, მაგრამ არ არის ადვილი ზვავის შეჩერება, ჩვენ უნდა ვეცადოთ არ აზვირთდეს ის და შემდეგ კი ნუღარ ვეცდებით გზა გადავუღობოთ მას. არ იფიქროთ, მე სიკვდილი მქონდეს გადაწყვეტილი, მართალია ეკას შემდეგ საკუთარი თავი არ მენანება, მაგრამ რა ვუთხრა დედას? ან იმ კეთილ ნათესავებს, რომლებიც ყოველდღიურ დახმარებას ჩემგან მოელიან? მაგრამ ღმერთო ჩემო, არ შემიძლია ეკა რომ არ ვნახო, თქვენ როდესაც ადამიანურ საკითხზე მელაპარაკებით და ჩემს ჯანმრთელობას უფრთხილდებით, ამ შემთხვევაში თქვენ თვითონ უნდა დამეხმაროთ, ჩემს გადასარჩენად სათანადო წამლებით, ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ და თქვენც გაიზიაროთ ის მწუხარება, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს.

– არა და კიდევ არა! თქვენი ადგილიდან განძრევაც სახიფათოა და როდესაც თქვენ განსაცდელში იგდებთ თავს, მე ვერ გავხდები თქვენი დაღუპვის თანამონაწილე.

– სწორედ უარის შემთხვევაში ხდებით თქვენ სიკდვილის თანამონაწილე, რადგან გეუბნებით: ამაღამ თუ არ გამიღებენ, მე გავტეხავ იმ მაცივრის კარებს, სადაც ეკა იმყოფება, ვეცდები, უზრუნველვყო ჩემი განზრახვა მოვკვდები? აი სწორედ აქ

იქნება თქვენი შეცდომა და ნებით თუ უნებლიეთ თქვენ გახდებით ჩემი სიკვდილის თანამზრახველი.

– მე ვარ ექიმი, ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულე და გითხარით მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. მაპატიეთ, თუ თქვენს განზრახვაზე უარი გითხარით, რადგან თქვენი განზრახვა ბოროტმოქმედებაა და ასეთი წინდაუხედაობა ისჯება კანონით.

– ჩემს განზრახვაში თქვენ რომელ ბოროტმოქმედებას მიჩერებიხართ?

– პირველი: – მაცივრის კარების გატეხვას, მეორე: – გვამის შეხებას, რომელიც ძიებაში იმყოფება და დადგენილ დრომდე იმის არც ნახვა შეიძლება და არც გამოაშკარავება.

– გმადლობთ, არ მინდოდა თქვენი დახმარება. „მშიშრები ჰოკეის არ თამაშობენ!“

– კარგად ბრძანდებოდეთ! – თქვა ექიმმა და კარები გაიხურა, როდესაც თავის კაბინეტს მიუახლოვდა, კარებთან სავარძელში ჩამჯდარი ახალგაზრდა შენიშნა, რომელიც ექიმის დანახვაზე ფეხზე წამოდგა, მიესალმა და პირადობის მოწმობა გაუწოდა:

– ვაჟა მესხი! პროკურორმა დავით დვალმა თქვენთან გამომაგზავნა მიმსახურეთ ქალბატონო ნათელა!

ექიმმა ნაძალადევად გაიღიმა, შემოწოლილი ფიქრების ბურუსი ძლივს გაფანტა და კაბინეტში შეუძღვა პროკურატურის ახალგაზრდა თანამშრომელს.

– იცით, რისთვის გამოგაგზავნეს ჩემთან? – შეეკითხა ნათელა ექიმი ვაჟას.

– წინასწარი გაფრთხილება არ გამივლია ქალბატონო.

– თქვენ ამაღამ თავდგმურობა უნდა გაუწიოთ არჩილ ცხადაძეს და გახსოვდეთ, იმის ნასროლ ანკესზე არ წამოეგოთ, თორემ პროკურორისაგან კანონით დაისჯებით!

– რაზეა ქალბატონო საუბარი, როდის იყო პროკურატურის თანამშრომელს ექიმის გაფრთხილება ესაჭიროებოდა?

– მე ჩემი მითქვამს, არჩილი კი რეანიმაციის პალატაში იმოყფება, შეგიძლიათ შეუდგეთ მოვალეობის შესრულებას.

ვაჟამ ფრთხილად შეაღო რეანიმაციის კარები და იმის ნაცვლად, რომ მოელოდა მისუსტებულ ავადმყოფს, ლოგინში ჩამომჯდარი არჩილი შერჩა ხელში, რომელსაც შუახნის ქალი, ალბათ დედა, კომპოტს ასმევდა საკუთარი ხელით.

– გამარჯობათ! – თქვენთან თავდგმურად გამომაგზავნა პროკურორმა, ვაჟა მესხი, ბატონო არჩილ! – პალატაში შესვლისთანავე მოახსენა ვაჟამ.

– ოჰ! სადა ხარ ბიჭო აქამდის! – ისე გაკვირვებით შეეკითხა არჩილი თითქოს მართლა დიდი ხანი ელოდებოდა მის მოსვლას.

– მთავარ ექიმს ველოდებოდი და თითქმის ერთი საათი ვიყავი იმის კარებთან დამჯდარი!

– ალბათ მკაცრი ინფორმაციაც მიიღეთ ექიმისაგან.

– რა შუაშია ექიმის ინფორმაცია, ან ვინ მოუსმენს მათ, მე პროკურატურის მუშაკი ვარ და ვემორჩილები მხოლოდ კანონს.

– აგაშენა ღმერთმა, ვგრძნობ, შენთან საერთო ენას გამოვნახავ, თქვენ ალბათ სოფელ მერჯევიდან ხართ მესხები არა?

– დიახ!

– ვანოსა და გიორგი მესხებს იცნობ?

– როგორ არა, ბიძებია ჩემი!

– შენ რომლისა ხარ. ბიჭო, ალექსანდრესი ხომ არა?

– დიახ ბატონო!

– ოო,, ჩემი ძმაკაცის შვილი ყოფილხარ, მოდი აქ, ახლოს დამიჯექი, დავილაპარაკოთ, იქნებ გულიდან კაეშანი მომეხსნას, თქვენ ყველაზე მეტი იცით პროკურატურაში, ალბათ გეტყოდნენ ჩემი ავადმყოფობის მიზეზსაც!

– როგორ არა, ვიცი ბატონო ყველაფერი!

– თუ იცი, როგორ მიმდინარეობს ძიების საქმე?

– ორი დღის დრო გამოთხოვა პროკურორს გამომძიებელმა და მე მგონია, პირს არ შეირცხვენს.

– ვინ არის გამომძიებელი?

– ინგა აბაშიძე!

– ოჰ, ის ახალგაზრდა გოგონა? იმან რა უნდა გამოიძიოს, არ გამაგიჟო კაცო!

– თქვენ მას ასე ნუ უყურებთ. ბატონო არჩილ, ნამდვილად გულთმისანი გოგოა, აი ნახავ, ორ დღეში ნათელი გახდება...

– ღმერთმა ჰქნას, მაგრამ რატომღაც არა მაქვს იმედი...

– არა ბატონო არჩილ, ენდეთ ჩემს სიტყვას ორ დღეში ყველაფერი კეთილად დასრულდება. ინგა ისეთი მჭერმეტყველია, ხანდახან პროკურორიც კი ეკითხება რჩევას.

– შენ რა დაგიბარა პროკურორმა ჩემს შესახებ?

– თქვენს შესახებ არაფერიც არ უთქვამს, მთავარ ექიმთან გამომაგზავნა, ექიმმა კი თქვენთან თავდგმურად, ეს არის სულ, ახლა კი თქვენი ბრძანების ცენტრში ვიმყოფები.

– ცოლ–შვილიანი ხართ ვაჟა?

– არა ბატონო?

– ჩემი არ იყოს. რას უცდი? ალბათ საცოლე გყავს და ხელსაყრელ პირობებს ელოდები, მაგრამ დროულად მოკიდე ხელი ძმაო, დროულად, თორემ ხომ ხედავ, ქვეყანა ფათერაკებით არის აღსავსე, თუმცა ვის უნახავს ცხოვრება წინააღმდეგობისა და, მითუმეტეს, ღალატის გარეშე?

– რას იზამ, ბატონო არჩილ, ეს ქვეყანა ასე ყოფილა აწყობილი. ჩვენი მოგონილიხომ არ არის, რომ ჩვენვე შევცვალოთ? ტკბილი თუ ხარ, გადაგყლაპავენ, თუ მწარე, გადმოგაფურთხებენ. ასე რომ არც ტკბილი უნდა იყო და არც მწარე, მაგრამ ასე როგორ უნდა იცხოვრო, ვერ გამიგია, ადამიანმა თავისი ადამიანური ღირსება რომ დაიცვას, ან მტერი უნდა ჰყავდეს ან მოყვარე, ან ტკბილი უნდა იყოს ან მწარე...

– მართალია ჩემო ვაჟა, ადამიანებში ძირითადი ადამიანური ღირსების დაცვაა, მაგრა მბოროტმოქმედებაც კი იმდენ

მტერსა და მდევნელს როდი გვძენს, რამდენსაც ჩვენი ღირსება. უნაკლო ადამიანებიც კი სიამოვნებით ჩხრეკეს ღირსეული ადამიანის ნაკლს, რამეთუ ცხოვრებაში სხვაზე ძლიერად მოგვევლინონ!

– მართალი ბრძანდებით ბატონო არჩილ, მაგრამ ჩვენ ჩვენი ადამიანური მოვალეობა უნდა შევასრულოთ ყოველთვის, მდაბიონი განათლების გზაზე დავაყენოთ და ღირსელური დახმარების ხელი გავუწოდოთ.

– შენ კი გაუწვდი დახმარების ხელს ადამიანს?

– არც დავფიქრდებოდი, თუ ეს დახმარება კანონის საწინააღმდეგო არ იქნებოდა.

– რომ გთხოვო და ჩემი თხოვნა კანონის საწინააღმდეგო არ იყოს, დამეხმარებოდი?

– სხვა დროსაც სიამოვნებით დაგეხმარებოდით, მითუმეტეს დღეს, თქვენს თავდგმურად ვარ გამოგზავნილი და რასაც მიბრძანებთ, ვალდებული ვარ, შევასრულო.

– მაშინ პირდაპირ გეტყვი, შენ გინდ თხოვნად მიიღე ჩემი სიტყვა, გინდ ბრძანებად, დახმარება კი უნდა გამიწიო.

– ბრძანეთ ბატონო არჩილ, რა ძალაც მექნება, თავს არ დავიზოგავ!

– ხომ იცი, ჩემი კანონიერი მეუღლე, ჩემი სიყვარული მაცივარში იმყოფება, დამეხმარე, რომ ვნახო სანამ დაკრძალავდნენ, თორემ მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, ნამდვილად გავგიჟდები...

– ბატონო არჩილ, ეს ხომ კანონს ეწინააღმდეგება?

– რა არის აქ კანონსაწინააღმდეგო; მეუღლემ რომ მეუღლე დაკრძალვის წინ მაინც ინახულოს? ღმერთმა ნუ ქნას და შენ რომ ჩემს დღეში იყვე, მეც ასე უნდა მოვიქცე, როგორც შენ იქცევი?

– კარგი! ბატონო არჩილ, საკუთარ გრძნობებსაც ნუ გამიხვევთ ლაბირინთებში, თუმცა მართალი ბრძანდებით, რა არის აქ კანონსაწინააღმდეგო? გვამზე ექსპერტიზა ჩატარებულია და ძირფესვიანად არის შესწავლილი. ადგილზევე

ნახავთ, სხვაგან ხომ არსად წაიღებთ, ან კი რა მიზანი აქვს გვამის მოპარვას და წაღებას, მას ხომ არავინ გიკავებთ დასაკრძალავად? რა თქმა უნდა, მე თქვენ დაგეხმარებით, მხოლოდ პროკურორს ან გამომძიებელს უნდა შევუთანხმდე.

– რადგინდა, ბიჭო, მათი შეთანხმება და ქვეყანას რომ გავაგებინო, ეს ამბავი ჩვენს მეტს არავის ეცოდინება და ვერც ვერასდროს გაიგებს ვინმე, თუ ჩვენ თვითონ არაფერს ვიტყვით.

– შვილო, გენაცვალოს დედა! – აქამდე წყნარად გაჩერებულმა და სმენად გადაქცეულმა ანუკიმ ამოიღო ხმა – ჩემგან კი არაფერი გესწავლება, მაგრამ ხომ იცი „ახალგაზრდამ თქვა – ნეტავი ვიცოდეო და მოხუცმა – ნეტავი შემეძლოსო“. რად გინდა ღამით ქურდულად რომ მივიდეთ ეკას სანახავად? რისთვის გინდა ეჭვში ჩააგდო კვალმაძიებელთა ორგანო და რაც მთავარია, ხალხი? დილითგამოვითხოვოთ მიცვალებული და ვინ დაგვიკავებს, დავკრძალოთ კიდეც. შენ, შვილო, მთლად ნუ მიეცემი სადარდელს და სულ მთლად ნუ დაგვღუპავ, ხომ ხედავ შენი მეთვალყურეობის ქვეშ რჩება ორი ოჯახი და ორი მოხუცი, შენს მეტი არც ქალბატონ ფერიდეს გააჩნია ვინმე და არც მე, ხელისჩაქნევის უფლება არც ერთზე გაქვს და არც მეორეზე, ხალხს ის კი არ უნდა ათქმევინო, მხოლოდ ეკა ყვარებია და დანარჩენი ყველა ფეხებზე დაიკიდაო, ახლა უნდა ეკას დედას სულიერად გამაგრება, მას მხოლოდ შენ უნდა ჩაუნერგო სიცოცხლის აუცილებლობა ეკას სულის სადიდებლად.

– დედა, ნუთუ ვერ გამიგე, დღეს იმიტომ მინდა ქურდულად ვნახო ეკა, რომ ხვალ ექიმები არ მომცემენ იმის ნახვის უფლებას.

– მაგ საქმეს მე მოვაგვარებ, შვილო, დილით პირდაპირ მთავრობაში მივალ და ეკას ცხედარს გამოვითხოვ. გავალებული მაქვს და მთელი ქუჩა მომეხმარება. ეკა ჩვენს სახლში დავასვენოთ, ჩვენვე ვუპატრონოთ; ქრისტიანული წესისამებრ

გავაპატიოსნოთ, დავკრძალოთ და ღირსეულად გავუყენოთ გზას სამუდამო სასუფევლისაკენ.

– რა კეთილიხარ დედა! მერე ფერიდეს როგორ გავაგებინოთ?

– ნუთუ იმის ჩვენამდის მოყვანა გაგვიჭირდება, ბიჭო, ავტომანქანა გავაგზავნოთ და სულ მოტყუებით მოიყვანენ ჩვენთან!

– ექიმებმა რომ არ დამრთონ ნება, ვნახო ეკა და დაკრძალვას დავესწრო?

– ექიმები ახლაც წინააღმდეგები არიან, მაგრამ გაპარვას აპირებ; ჩვენს ეპოქაში შვილო სწავლა და მკურნალობა ძალდატანებით არ ხდება, თუ შენ თვითონ არ გინდა იმკურნალო, წინ ვერც ერთი ექიმი ვერ დაგიდგება, თუ შენ მათდამი სიმპატიით ხართ განმსჭვალული, ამ შემთხვევაში ექიმები მარტო არ მიგატოვებენ და ყველანი შენთან ერთად წამოვლენ წამლებითა და სხვა პრეპარატებით დაკრძალვაზე.

– მირჩევთ, რომ დილამდის შევიცადო?

– რა თქმა უნდა შვილო, „საღამო ბრძენია, ღამე მრჩეველი და დილა ბრძენთაბრძენი“. – დილა კიდევ უკეთესად გვიჩვენებს, როგორ მოვიქცეთ.

– ყოჩაღ დეიდა ანუკი, შენ სიბრძნეს გაუმარჯოს ღმერთმა, მეც შენი აზრისა ვარ! – სიხარული ვერ დაფარა და ხმამაღლა წამოიძახა ვაჟამ.

– კარგი, რადგან ასეა და თქვენც ჩემზე მეტი სიბრძნე გამოიჩინეთ, უყოყმანოდ ვემორჩილები, მხოლოდ ვაჟა, მორიგე ექიმს უთხარით ტელეფონი ჩამირთონ – თქვა არჩილმა და საწოლში წამოჯდა.

ამჟამად მთავარ ექიმს არ შეთანხმებიან, ტელეფონის აპარატი მიუტანეს და სადენს შეუერთეს.

არჩილმა საჩქაროდ აკრიფა ნომერი და მესამე ზარზე ყურმილიც აიღეს.

– გისმენთ! – გაისმა ქალის სასიამოვნო ხმა.

– საიდან არის? – შეეკითხა არჩილი.

– თქვენ სად რეკავთ? – კითხვითვე უპასუხეს.

– აბაშიძის ბინა მინდოდა!

– დიახ?

– ინგა ბრძანდებით?

– დიახ ინგა გახლავართ!

– საღამო მშვიდობისა, არჩილ ცხადაძე გაწუხებთ!

– ოჰ! დალოცა ღმერთმა, არ მეგონა, თუ თქვენს ხმას კიდევ გავიგონებდი!

– მკვდარი გეგონეთ?

– არა, მაგრამ მეგონა ცოცხლების სიაშიც აღარ ეწერეთ!

– ეს ხომ ყველაფერი თქვენი ბრალია, ნუთუ არ შეგეძლოთ ცოტა შორიდან შემოვლით შეგეტყობინებიათ ეს შემზარავი ამბავი?

– როგორ შორიდან, საჩხერიდან გომში ჩავსულიყავი და ზესტაფონზე მომევლო?

– რა კარგია, როდესაც არაფერი გტკივა და არაფერი გაწუხებს, სალაღობო სიტყვებიც წყაროსავით მოდის თავისთავად!

– ბოდიში, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას და ვიბრუნებ თქვენთვის გამამხნევებელ ხუმრობას, თქვენ უსაქმოდ არ დამირეკავდით, რისთვის შეწუხებულხართ?

– როგორ მიმდინარეობს ძიების საქმე?

– კარგად, ხვალინდელი დღე კიდევ და ბოროტმოქმედს ნიღაბ ჩამოხსნილს დავაყენებ თქვენს წინაშე და საკუთარი სახით წარვუდგენ სასამართლოს.

– გმადლობთ! შეიძლება, სასამართლომდე არ მივიყვანო მკვლელი და მე თვითონ შევწირო ეკას ნათელი ხსოვნას იმისი სისხლი.

– არა, არჩილ, შენ არა ხარ მკვლელი და უმჯობესია ნუ იტრაბახებ!

– მკვლელები არ იბადებიან, საზოგადოება და გაჭირვება, ცხვარს მგლად აქცევს, მგელს კიდევ ცხვრად და ნურც თქვენ გაგიკვირდებათ ჩემს კეთილ გულში თუ ბოროტებამ დაისადგურა.

– მე მაინც არ გირჩევთ კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას!

– ვნახოთ, რაც იქნება, წინასწარ არ ვარგა საუბარი, თქვენი საქმის არ იყოს, მეშინია ტრაბახი არ გამომივდეს, ახლა კი კიდევ ერთი სათხოვარი პირადად თქვენთან!

– ბრძანეთ!

– ხვალ დილით ეკას ნეშტი მინდა გადავასვენო ჩემთან ოჯახში, თქვენს მიერ რაიმე წინააღმდეგობას ხომ არ წავაწყდები?

– ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ნათესაური კავშირის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი!

– ქორწინების მოწმობას საკმარისი იქნება?

– სავსებით!

– მაშინ დილის ცხრა საათისათვის გთხოვთ მობრძანდეთ მორგის ეზოში.

– გეახლებით!

– ბოდიში შეწუხებისათვის და გმადლობთ ყურადღებისათვის, ღამე მშვიდობისა, კარგად ბრძანდებოდეთ!

– ღამე ნებისა კარგად ბრძანდებოდეთ! – გაისმა ყურმილში და პალატაში სიწყნარე ჩამოწვა.

მეორე დღეს ცხრა საათზე მორიგის ეზოში ხალხმრავლობა იყო და მხოლოდ პროკურატურის წარმომადგენლებს ელოდებოდნენ, აქ იყო არჩილიც, რომელიც ექიმებს ღვთის ანაბარად არ დაეტოვებინათ და საჭირო პრეპარატით თავს დასტრიალებდნენ, კარგად გამოიყურებოდა, „ჟიგულში“ იყო წამოწოლილი და თავი დედის კალთაში ჩაედო, არ ამჩნევდა, მაგრამ საგრძნობლად ეტყობოდა მღელვარება, რაც პროკურატურის თანამშრომლების დაგვიანებით იყო გამოწვეული.

როგორც იქნა გამოჩნდა შავი „ვოლგა“ და მორგის კარებთან დაამუხრუჭეს, პირველად ავტომანქანიდან რაიონის პროკურორი გადმოვიდა და შემდეგ დანარჩენი თანამშრომლები, გამოჩნდა მორიგის დირექტორიც, რომელსაც ხელში

უზარმაზარი გასაღები ეჭირა და პროკურორის ბრძანებას ელოდებოდა.

გაიღო მორგის რკინის კარები, შიგ მხოლოდ მორგის დირექტორი და არჩილი შევიდნენ. მორგში რაღაც ცილინდრისებური მოწყობილობა იყო, „საყინულე“ – და ესეც გასაღებით გააღო დირექტორმა. საკაცე გამოაგორეს და არჩილი ყინვისაგან გათოშილ შიშველ გვამს ჩაეკრა.

– ეკა რატომ ხარ ასე ცივი, მოდი ერთ ორგანიზმად ვიქცეთ, იქნებ ცოტა სითბო მაინც გადმოგინერგო, – ხმამაღლა ტიროდა არჩილი და გაციებულ გვამს ეხუტებოდა. – ვინ დამღუპა, ვისთვის რა დამიშავებია ამის ფასი, ვინ წამართვა შენი სიცოცხლე. აი ეკა საქორწინო კაბა მოგიტანე, როგორც დამაბარე, შენ ხომ მითხარი, საქორწინოდ შენ გამომაწყვეო, აი ახლა გამოგპრანჭავ და სახლში საქორწინოდ გაფურჩქულს წაგიყვან, (არჩილმა ჩანთა გახსნა და ეკას ჩაცმა დაუწყო) ეს კაბა რა კარგად გიხდება გოგო, თითქოს შენთვის იყო შეკვეთით შეკერილი, გვირგვინიც როგორ გშვენის, მართლა დედოფალიხარ და, ღმერთო, ნუ გაუშვებ ეკას ჩემს გარეშე ნურსად, ღმერთო შეიბრალე ეკა, ჩემს გარეშე გაუჭირდება! ოი! კინაღამ ბეჭდების გაკეთება დამავიწყდა აბა დედოფალი საქორწინო ბეჭდების გარეშე როგორ იქნება! ეს შენი ამორჩეული ბეჭდებია, ხომ გახსოვს, ხელი რომ მოვაწერეთ, მაშინ მოგეწონა, მე კი მაშინ ვერ გიყიდე, არ მქონდა ამდენის ახსრები, მაგარმ შენ ერთი საყვედურიც არ წამოგცდენია. ოჰ! რა ლამაზი თითები გაქვს, ნეტავი იცოდე, როგორ დაამშვენა და გაალამაზა შენმა თითებმა ბეჭდები.

ჰო! ესეც შენი მოწონებული ტუფლებია, ყოველთვის მაღალქუსლიანების ჩაცმა გიყვარდა და გეამაყებოდა – „შენხელა ვარო“ – მეუბნებოდი–ხოლმე და მეტოლებოდი.

ოჰ! ღმერთო ნუ გაუშვებ ეკას მბრ...

არჩილი ეკას მკერდზე იყო მიკრული რამოდენიმე წუთს, შემდეგ მკერდიდან ნელ–ნელა ჩამოცურდა და მუხლებზე დაეცა, მხოლოდ ახლა მოეგნენ გონს ნამტირალევი და ცრემლით

თვალებდასიებული ექიმები, ყოველი მხრიდან არჩილს მიცვივდ-ნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

ამ დროს თმაგაწეწილი დეიდა ანუკი შენობაში შემოჭ-ირა, ექიმები მოაშორა არჩილს და ჯერ კიდევ თბილ შვილს დაეკონა.

– ხელი არ შემიშალოთ, სანამ თბილია, მატირეთ შვილი! ეს რა მიქენი ბიჭო, რატომ დამტოვე მარტო და უპატრონდ, რომელი გიტიროთ, მითხარი. შვილი, რძალი თუ შვილიშ-ვილი.

ყოჩაღ! ვაჟკაცი ყოფილხარ არჩილ, მეც ასე მოვიქცეოდი შენს ადგილზე, მაჩვენეთ, ვისმა უღვთო ხელმა გაანადგურა ორი ოჯახი.

ანუკის უნდოდა, შვილი სანამ თბილი იყო ეტირა, მაგრამ ბევრმა ტანჯვა გამოვლილმა გულმაც ვერ შეძლო მეტის ატანა და ლოყებდაკაწრული შვილის მკერდს დაეკონა, ექიმების სიმარჯვემ სააქიოს დააბრუნა ანუკი.

არჩილის გარდაცვალებიდან მეექვსე დღეს, ინგამ პროკურორთან ერთკვირიანი ძიების შედეგი წარადგინა:

– ბატონო დავით! – დაიწყო მან – მწამს თქვენს გამოცდილებას არ გამოეპარება ჩემს მიერ ჩატარებული ძიე-ბის შედეგი, სიმართლე და დაშვებული შეცდომის უზუსტობა, ამიტომ გთხოვთ, გულისყურით მოუსმინოთ ჩემს მოხსენებას და მომცეთ მითითება სწორი ძიების ჩასატარებლად:

ძიების სხვადასხვა წყაროებიდან ვიცით, რომ არჩილ ცხადაძე მეგობრობდა შალვა თოდაძესთან, საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელმა საქმეთა მმართველად თავისი საყვარელი, ქალთამზე ჩიხელიძე, არჩილ ცხადაძესთან მოაწყო სამსახურ-ში და არა თავისთან. ისმის კითხვა:

„აქ ხომ არაფერი მზაკვრობა იმალება?“

არჩილის გარდაცვალების დღესვე, იმის ნაცვლად, რომ დამკრძალავი კომისია შემდგარიყო და უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ სიყვარულისა და საერთო საქმისათვის თავდადე-ბული ადამიანი, რომელსაც სათავეში უნდა ჩადგომოდა არჩი-

ლის ერთადერთი საუკეთესო მეგობარი შალვა თოდაძე, პირიქით მოხდა, იმ დღესვე დაიწყო ბრძოლა ფაიფურის ქარხნის გენერალური დირექტორის თანამდებობის მოსაპოვებლად და მიცვალებულისათვის აღარავის ეცალა. რამდენიმე ვაჟკაცთან პაექრობაში, ზემდგომი ორგანოების ჩარევით, ქაღალდის ქარხნის დირექტორმა შალვა თოდაძემ გაიმარჯვა და არჩილის გარდაცვალებიდან მეხუთე დღეს ბრძანებაც დაიწერა ფაიფურის ქარხნის გენერალური დირექტორად დანიშვნის შესახებ, მაგრამ შავი გამოდგა ეს ბრძანება, რადგან დაპატიმრების სანქცია უნდა გასცეთ ბატონო დავით!

– რაში მდგომარეობს ეს?

– მოგახსენებთ! სანქცია უნდა გაიცეს, როგორც ეკა ასანიძის მკვლელობის თანამონაწილე, შალვა თოდაძემ თავისი საყვარელი ქალთამზე ჩიხელაძე იმ განზრახვით მოაწყო სამსახურში არჩილ ცხადაძესთან, რომ საბუთებში რაიმე შეცდომები შეეპარებინა და თუ არ დაიჭერდნენ, მოეხსნათ მაინც, რომ იმისი თანამდებობა დაეკავებინა. ამიტომ ქალთამზე უყურადღებოდ არ ტოვებდა არჩილის არც ერთ ნაბიჯს.

მიმდინარე წლის თხუთმეტ ივლისს, არჩილ ცხადაძე, ეკასთან გასაგზავნ დეპეშის ასლს ატანს თავის პირად მდივანს ქალთამზე ჩიხელიძეს, როგორც წინა სხდომაზე აღვნიშნე დეპეშა ციფრებით იყო შედგენილი და ტექსტი ქალთამზესათვის სრულებით გაუგებარი, ამიტომ ქალთამზემ გადაწყვიტა არც ერთი წუთით ყურადღება არ მოედუნებია, გაეგო დეპეშის ტექსტის საიდუმლოებანი და არჩილის ჩანაფიქრი.

დაუღლელი თვალთვალის შემდეგ, ჩვიდმეტ ივლისს ქალთამზემ შენიშნა, თუ როგორ შეეგება არჩილი ეკა ასანიძეს და როგორ გაუჩინარდნენ ეკას ერთოთახიან ბინაში.

ქალთამზემ იცოდა, რომ არჩილი მეორე დღეს დედაქალაქში უნდა წასულიყო, გაუჩინარებული, ბინიდან არჩილის გამოსვლას დაელოდა, მართლაც არჩილი საღამოს თერთმეტ საათზე ეკას ბინიდან გამოვიდა და თავისი სახლისაკენ წავიდა, რათა თბილისში წასასვლელ სამზადისს შედგომოდა.

ქალთამზე ბუჩქებიდან შეუმჩნევლად გამოდის და როდესაც ეკას ბინის კარებს გასაღებით დაუკეტავს ნახავს, ბინაში შედის, სილამაზის განსახიერებას დაძინებულს ხედავს და შურით ივსება. სწორედ აქ მოუდის შავი ფიქრი ქალთამზეს, თუ ეკას მოკლავს, რა თქმა უნდა, მკვლელობას არჩილს დააბრალებენ და დაიჭერენ, თუ თვითმკვლელობა დამტკიცდება, არც ამ შემთხვევაში დაუსვამენ არჩილს თავზე ხელს და ორივე შემთხვევაში შალვა თოდაძის ჩანაფიქრი განხორციელებულია.

ეკა ძილის ბურანში იყო, ესმოდა ქალთამზეს ოთახში ფეხაკრეფით სიარული, მაგრამ ეგონა, არჩილი ჯერ კიდევ არ წასულიყო და ძილს თავს ვერ ართმევდა.

ქალთამზემ როდესაც საშხაპე დაათვალიერა და აბაზანა წყლით სავსე დაინახა, ჩამოჯდა და ოცნებას მიეცა:

ეკას სიკვდილის შემდეგ ამ ბინას ქალთამზეს მისცემენ, მის საყვარელს კი გენერალურ დირექტორად დანიშნავენ და დაიწყება ბედნიერი ცხოვრება...

ქალთამზე ეკას საწოლთან მიდის და მძინარე გოგონას მსუბუქად აიტაცებს ხელში, სანამ ეკა თვალებს გაახელდეს, აბაზანაში აგდებს და ზევიდან აწვება.

ეკა თევზივით ფართხალებს აბაზანაში, მაგრამ არავის ებრალება და რამდენიმ ეწუთის შემდეგ ყველაფერი მშვიდდება.

ქალთამზემ სახე და ხელები შეიმშრალა შემდეგ სავარძელში ჩაჯდა და თითქოს არაფერი მომხდარიყოს ტელეფონის აპარატი ახლოს მოიწია, ნომერი აკრიფა და ნამძინარევ შალვა თოდაძეს დაელაპარაკა.

,,ეკა ასანიძის ბინა იცით? ჰო და საჩქაროდ ამ ბინაში გამოცხადდი, ეცადე შეუმჩნევლად მოხვიდე, ავტომანქანა მოშორებით დააყენე".

შალვას გულმა უგრძნო, რომ რაღაც ,,სასიხარულო" ამბავი იყო მომხდარი და საჩქაროდ დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა, როდესაც აბაზანაში დამხრჩვალი ეკა დაინახა,

შეკრთა, მაგრამ არ შეიმჩნია და საქმის ვითარება ქალთამზეს გამოკითხა. ქალთამზემ ჩანაფიქრი აუხსნა და გვამის მდინარეში გადაგდება უბრძანა, რათა თვითმკვლელობას დამსგავსებოდა მკვლელობა. შალვას ჭკუაში დაუჯდა ქალთამზეს ჩანაფიქრი, აბაზანაში თოკი ჩამოხსნა, ეკას გვამი გულზე აიხუტა და ღამის სიბნელეში შეაფარა თავი. ქალთამზე ეკას ბინაში დარჩა, დახეხა ყველაფერი და მთელი ბინა ისე დაასუფთავა, თითის ანაბეჭდებიც კი არსად დარჩენილა. როდესაც დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესრიგშია, ეკას ბინის კარები გასაღებით ჩაკეტა და დამშვიდებული ნერვებით თავისი სახლისაკენ წაივდა.

ბატონო დავით, ეს არის ჩემი ძიების მოკლე მონახაზი, გთხოვთ, დაუყოვნებლივ გასცეთ შალვასა და ქ ალთამზეს დაპატიმრების სანქცია, უფრო დაწვრილებით თვითონ მოგვიყვებიან დაკითხვის დროს, რადგან უამრავი დამამტკიცებელი საბუთები გამაჩნია ჩადენილი ბოროტმოქმედების მიმართ.

– ქალთამზემ თუ იცის, რომ ეჭვმიტანილია მკვლელობაში?

– გრძნობს და საშიშია თავი არ აგვარიდოს, ამიტომ საჩქაროდ უნდა იქნეს იზოლირებული.

– შალვა თოდაძე თუ გრძნობს რაიმეს?

– არა! თანამდებობით არის გაბრუებული, გენერალური დირექტორის თანამდებობას რომ ეზიარა, თავი მძლეთამძლე ჰგონია, „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად“. მინდოდა გავსაუბრებოდი და უარი მტკიცა, ფეხიც არ შემადგმევინა კაბინეტში!

– ქალთამზეს გაესაუბრეთ?

– კი, რა თქმა უნდა, მაქვს მაგის რამდენიმე დაბნეული ჩვენება.

– უჰ! – ამოიოხრა პროკურორმა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა:

– თენგიზ! ორი თანამშრომელით ჩემთან გამოცხადდი! – დაურეკა დავითმა თანაშემწეს.

ორიოდე წუთის შემდეგ პროკურორის თანაშემწე დავითის მაგიდასთან იდა და ბრძანებას ისმენდა.

– აი სანქცია, ქალთამზე ჩიხელიძე და შალვა თოდაძე ახლავე დააპატიმრეთ, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ეცადეთ. განაიარაღოთ და არ მოკლათ!

პროკურორის თანაშემწემ უხმოდ გაიხურა კაბინეტის კარები და ოპერაციის შესრულებას შეუდგა.

ინგაც წამოდგა, მაგრამ პროკურორმა შეაჩერა:

– მინდა თქვენს წინასწარმეტყველურ ვერსიაში დარვწმუნდე, ამიტომ ქალთამზე ჩიხელიძისა და შალვა თოდაძის დაკითხვა ჩემი თანდასწრებით აწარმოეთ!

– კი ბატონო! სპეციალური დაცვის ყურადღების ქვეშ ამყოფეთ ორივენი ხვალ დილამდის საპყრობილეში და დილით თათბირის შემდეგ სათითაოდ დაეკითხოთ ბოროტმოქმედნი.

ამონაწერი ქალთამზე ჩიხელიძის დაკითხვის ოქმიდან:

– გვარი, სახელი და მამის სახელი?

– ქალთამზე ივანეს ასული ჩიხელიძე!

– დაბადების წელი და ადგილი?

– 1945 წლის 7 ნოემბერი, ჭიათურა, სოფელი კაცხი.

– თქვენ ეჭვმიტანილი ხართ ეკა ასანიძის მკვლელობაში და იცოდეთ, გულწრფელად აღიარებული დანაშაული ამსუბუქებს სასჯელს, ამიტომ გავჯიუტება დანაშაულზე, რომლის დამამტკიცებელი უამრავი მასალა გაგვაჩნია, თქვენ სასარგებლოდ არ იქნება მიმართული, რამდენიმე წუთის წინ ჩვენ დავკითხეთ შალვა გერონტის ძე თოდაძე და ეკას მკვლელობის მთლიანი დანაშაული თქვენ გადმოგაბრალათ, რაც მთლად სიმართლედ არ მიგვაჩნია. ამიტომ თქვენგან მოველით ჭეშმარიტებას, ნურც თქვენ დაიბრალებთ და ნურც სხვას დააბრალებთ უსამართლოდ დანაშაულს, თორემ ჩადენილი

ბოროტმოქმედების სიმძიმე წელში გაწყვეტს ცილისმწამებელს!

– რაო, შალიკომ მარტო მე გადმომაბრალა ყველაფერი? მაგან თავი უნდა დაიძვრინოს თავისუფლებაზე, ქალებში იგრიალოს და მე ციხეში გამომამწყვიდიოს? არა გამოუვა, სიმართლეს მოვყვები, დავუპირისპირდები და გვერდით მოვისვამ, მაგას რა აქვს ჩემზე სალაპარაკო, თოთხმეტი წლიდან მთელი ჩემი სიცოცხლე მაგას ვანაცვალე, თითქმის მოვხუცდი და მაგის კარიერას ვწირავ სიცოცხლეს. მე ვიცი საკუთარი თავის ფასი, გონჯი ვარ, მაგრამ სიყვარული კი შემიძლია და დავიჩემებ ყველა ქალზე უძლიერესადაც კი. თუ ბოროტმოქმედება ჩავიდინე ეს მე არ ჩამიდენია, ეკას სიძულვილით ან იმის სილამაზის სიხარბით, მართალია ლამაზ ქალს ბევრი მტერი ჰყავს, უფრო მეტი მოშურნე და ჭორის გამავრცელებელი, მაგრამ ქალთა ასეთ კატეგორიას მე არ მივეკუთვნებოდი, ყველაფერი უხამსობა მე სიყვარულმა მასწავლა და ხანდისხან ვცდებით, თუ ვცოდავთ, ვერ გამიგია, რაც უფრო მეტად გვიყვარს მამაკაცი და გრძნობს, რომ თავს ვანაცვალებთ მას, ის უფრო მეტ საბაბს დაეძებს ჩვენს შესაძულებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვიცი გონჯი ვარ და მახინჯ ორგანიზმში მახინჯი სული უნდა ბუდობდეს, მაგრამ არც ასეა, გული მგრძნობიარე მაქვს, რომელიც ყოველთვის ამასხარებს ჩემს გონებას, მართალია არ უნდა ვბედავდე გულის ქებას და გონების გამასხარავებას, მაგრამ როგორ უნდა მოვთხოვო სხვას საიდუმლოს შენახვა, როდესაც საკუთარი გონება არ მინახავს მას?

– კარგად საუბრობთ ქალთამზე, თქვენი საუბრიდან განათლებაც ნათელი თვალით იმზირება და სასიამოვნო მოსასმენიცაა თქვენი საუბარი, მაგრამ ჩვენთვის მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება საგამოძიებო თემაზე თუ გვესაუბრებით?

– სიამოვნებით, მაგრამ დანაშაულის არსი, რომ გაიგოს ადამიანმა იმისი წარმოშობის კერა უნდა იცოდეს, ამიტომ

თუ ნებას დამრთავთ თავიდან მინდა მოგიყვეთ ყოველივეს, მართალია თქვენთვის საინტერესო არ იქნება ჩემი ახალგაზრდობის წლები, მაგრამ უფრო ჩაწვდებით ბოროტმოქმედების სიღრმეს და გაისიგრძეგანანებთ ჩადენილი დანაშაულის არსს.

— დაიწყეთ, მხოლოდ ცოტა შემოკლებით!

— ბავშვობა აუტანელი მქონდა. დედა ადრე მომიკვდა, მამამ სხვა ცოლი შეირთო და შეუძლებელი გახდა ჩემი არსებობა მამისეულ სახლში. თოთხმეტი წლისამ მივატოვე მამა და ჭიათურაში გამოვიპარე, აქ ერთმა ნათესავმა (დედის მხრიდან) შემიკედლა და ერთ–ერთ სავაჭრო განყოფიელბაში დამაწყებინა დამლაგებლად მუშაობა. იმ წლებში ჭიათურაში მუშა–ახალგაზრდობის სკოლა არსებობდა და მუშაობასთან ერთად სწავლაც გავაგრძელე. ჩემს ჯგუფში, ერთი ჩემსავით უპატრონო, ამოგლეჯილი და ამოწყვეტილი ახალგაზრდა სწავლობდა, შესახედავად ლამაზი იყო, მაგრამ სრულებითაც არ ეტყობოდა ქალის მზრუნველი ხელი. იმ დღიდან დაიწყო ჩემი სულის ბორგვა, პირველი სიყვარული — არაღვთიური ძლიერება, მდედრობითი სქესის წარმომადგენელს კი ცბიერების სწავლა არ ესაჭიროება, ის ბუნებრივად ითვისებს ბავშვობიდანვე ყოველივე ქალურ ზნე–ჩვევებს და ვერც ერთი თვალთმაქცი ვერ შეედრება ქალს თავისი ცბიერებით, მაგრამ მამაკაცის ბუნებაში ჯერ კიდევ იმდენი რამ არის აღმოსაჩენი, რამდენიც აქამდის აღმოუჩენიათ. ასე რომ ადამიანები ერთი მეორის ვალში არასოდეს რჩებიან. ახალგაზრდობის დაუფიქრებელი და ვნებააშლილი წლები უპატრონობაში გავატარე, გვათოვდა, გვაწვიმდა და დილამდის ერთმანეთს ჩახუტებულნი ვიყავით, ვერ ვგრძნობდით ვერც სიცივეს და ვერც სიცხეს, მართალია ვნებისათვის დამახასიათებელია იმნაირი უსამართლობა და ანგარება, რომ ნდობა სახიფათოა, ამიტომ არ უნდა ავყვეთ ვნებას და ხელოვნურად არ უნდა გავაღიზიანოთ ის, ჩვენ კი ამდენი არ გვესმოდა, სიყვარულობანას ვთამაშობდით და მთელი ღამე

ერთი მეორეს ჩახუტებულები ვიყავით, დიდხანს ვერ გავ-ძელით ამ ყოფაში და ჩემი უმანკობა სადღაც ღელეტეხილებ-ში შეიწირა შალიკომ.

იმ დღიდან დავიწყე იმის ჭკუაზე სიარული, ოღონდ არ მივეტოვებინე და რასაც მეტყოდა, უყოყმანოდ ვასრულებდი. ასე მოპარულ სიამოვნებაში განვლო სიჭაბუკის წლებმა, მარ-თალია ვერც ერთი ვერ გამოვედით მუშა–ახალგაზრდობის სკოლიდან ტვინით დამძიმებული, მაგრამ შალიკომ შემდგომ-ში მაინც მოახერხა რაღაც მაქინაციებით ინსტიტუტის დამთავრება, მე კი ჭიათურის მანგანუმის ტრესტში დაქვემ-დებარებული კულტურის სახლის მბეჭდავ–საქმეთა მმართვე-ლის კურსები დავამთავრე და საბოლოოდ გადავწურე იმედი შალიკოს ცოლობაზე, რადგან მან სრულებით არ იცოდა ქალის სიბრალული და ინსტიტუტ დამთავრებული შალიკო მე რომ აღარ წამიყვანდა, ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. ჩემში მხოლოდ ერთადერთი მანუგეშებელი იმედი იყო, როგორმე საყვარლად შემენარჩუნებია ჩემი პირველი სიყვარული და ყოველგვარი სირცხვილის გარეშე იმის ნაკვალევს დავდევი. შალიკოც გრძნობდა ჩემს სიყვარულს, დროს ატარებდა ჩემთან და ახალ–ახალ, კანონის საწინააღმდეგო დავალებებს მა-ძლევდა, მეც ვუხდიდი სამაგიეროს, თავს ვევლებოდი, ყოველ-გვარ სურვილს ვუსრულებდი და უცოლოდ ვტოვებდი. ვერ ვიტყვი არ გამეხარდა–მეთქი, როდესაც შალიკო ქაღალდის ქარხნის დირექტორად დანიშნეს, მეც ავდექი, თმაში მოვკიდე ხელი ყოფილ საქმეთა მწარმოებელს და სკამიანად გარეთ გამოვაბრძანე. ძალიან იუარა შალიკომ – „რას იტყვისო ხალხი“, მაგრამ მე ვუთხარი ყველა საქმეთა მმართველი საყ-ვარელია დირექტორის–მეთქი და საბეჭდ მანქანას მივუჯე-ქი. რა თქმა უნდა, მითქმა–მოთქმა იყო ჩვენს შესახებ, მაგრამ ეს სრულებითაც არ მანაღვლებდა, ჩემთვის მთავარი იყო, შალიკოსთან ახლოს ვყოფილიყავი. მართალია მან მრავალ-ჯერ გადაწყვიტა ცოლის შერთვა, მაგრამ სადაც მივწვდებო-დი, ყველგან საქმეს ვუშლიდი, ერთჯერ ნიშანიც კი დაუბრუნა

კორბოულელმა ქალიშვილმა და ჩემზე მოსაკლავად გამოიწია, მაგრამ მე წინააღმდეგობა არ გამიწევია, სიკდვილი მერჩივნა იმის წარმოდგენასაც კი, რომ მასთან სხვას დავინახავდი, ჩემი სარეცლის მოზიარეს.

ასე გადიოდა წლები, დირექტორის თანამდებობა ყველგან სარფიანი ყოფილა, თუ კაცი მარიფათიანი და შალიკოც გასუქდა, გაიცნო ზემდგომ ორგანოებში საჭირო პირები, „მადა ჭამაში მოდის“, მასაც მეტი და მეტი მოუნდა, და კიდევ უფრო მაღლა მოინდომა თავისი სავარძლის ატანა.

ერთ დღეს მითხრა, რომ საქმეთა მმართველად არჩილ ცხადაძესთან გადავსულიყვავი და ბრძანებები ან ფინანსური საქმე როგორმე ამერია. რადგან ბეჭედი ჩემს ხელში იქნებოდა ადვილად მივაღწევდი არჩილის მოხსნას ან დაპატიმრებას, ვკითხე, რაში ჭირდებოდა ეს ამბავი, მაგრამ ჩემთვის იმის პასუხის გარეშეც ნათელი იყო, რომ შალიკო არჩილის ადგილს უმიზნებდა.

ბევრი წინააღმდეგობის შემდეგ დავთანხმდი და მალე არჩილის საქმის მწარმოებელი გავხდი, მაგრამ შევცდი, არჩილი არ გამოდგა ისეთი, როგორიც შალიკო იყო. ის თვითონ ამოწმებდა ზონარგაყრილ ჟურნალში შეტანილ მასალებს, აღარებდა ერთი–მეორეს, შემოსავალ–გასავალის ფინანსურ ჯამს და უბრალო შეცდომის დროსაც კი იმხელა ალიაქოთს იწვევდა, რომ სამსახურიდან ითხოვდა ძლიერ საჭირო პირებსაც კი!

საქმეში რაიმე დარღვევის შეპარება ვერ მოვახერხე, ამიტომ დავიწყე არჩილის პიროვნების შესწავლა...

– ბოდიში შეიძლება საუბრის თემიდან გადაგახვევინოთ. მითხარით: შალვა თუ მეგობრობდა არჩილთან?

– მეგობრობდა და ძალიანაც ახლოს, მაგრამ ღალატი სწორედ მეგობრების შუაში ხდება, თორემ შორეულს ადვილად ვერ მიწვდები სამტროდ, ღალატი კი ყველა ენაზე ლაპარაკობს, რბილად, სასიამოვნოდ და დამაჯერებლად, ასე გასინჯეთ, უანგარობის როდესაც კი თამაშობს და

გულუბრყვილო ადამიანი ადვილად ებმება მოღალატის ბადეში.

ვინ იცის, ადამიანი რას ფიქრობს მაშინ, როდესაც გულწრფელად გელაპარაკებათ, მე ბოლო დროს შალიკო მეზიზღებოდა მეგობრის ღალატისათვის, სიკეთეს რომ ამბობდა და ბოროტებას ფიქრობდა, მაგრამ რა მექნა, ბევრ საქმეში ვყავდი შალიკოს გამოჭერილი და უიმისოდ არსებობაც არ შემეძლო, ამიტომ ყოველგვარი მისი ბრძანება თუ მოთხოვნა უნდა შემესრულებინა. დავიწყე არჩილის პიროვნების შესწავლა და თვალწინ ჩემი ცხოვრება წარმომიდგა, ესეც ჩემსავით ობლობაში გაზრდილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩემსავით უდროოდ არ დაუწყია სიყვარულობიას თამაში და დიდი გაჭირვებით მიაღწია გენერალური დირექტორის თანამდებობას, ახლა კი თანამდებობის წართმევასაც უპირებენ და ციხეში გამომწყვდევასაც, მერე ვინ? ძმადნაფიცი მეგობარი!

რა ვქნა, მე როგორც არ უნდა შემებრალოს ადამიანი, უფლება არა მაქვს გულთლან მივიტანო სიბრალული, მე უსიტყვოდ, რობოტივით უნდა შევასრულო ყოველგვარი დავალება!

შეიძლება თქვენც გებრალებოდეთ სიკვდილმისჯილი, რომელსაც თქვენიწყალობით ხვდება წილად უმაღლესი ზომის სასჯელი, მაგრამ რას იზამთ, ნამდვილი კვალმაძიებელი კანონს ემორჩილება, ასე ვარ მეც, ჩემთვის კანონიც პიროვნებაა და უმაღლესი მთავარსარდლობაც!

ნამდვილად შემებრალებოდა ქალბატონი ანუკი, ვიცოდი, ვერ გადაიტანდა ობლობაში გამოზრდილი შვილის ოდნავ უბედურებასაც კი, თორემ სიკვდილზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია, ასეთი რამ არც მე შემომსვლია აზრად და როდესაც ეკას დააკვდა გულზე ეს მთასავით ვაჟკაცი, მაშინ ვთქვი „მამაკაცებსაც ცოდნიათ სიყვარული–თქო“ და კინაღამ ვიყვირე: „ეს რა ჩამიდენია, მოდით ჩამქოლეთ–მეთქი“.

როდესაც შალიკოს ვუთხარი ჩემი სულიერი გასაჭირი, ყურადღებაც არ მომაქცია ისე იყო თავისი ახალი

კარიერით გატაცებული, რომ მოსალოდნელ საშიშროებასაც ველარ გრძნობდა, მე კი ყოველ წამს ველოდებოდი თქვენს დაძახებას. ასე რომ ადრე მგონებოდა, თუ მას თანამდებობა ადამიანობასა და სიყვარულს დააკარგვინებდა, რა ღმერთი გამიწყრებოდა, იმისთვის დახმარების ხელი გამეწოდა? მაგრამ თქვენ არ იფიქროთ, შალიკოს სიყვარული მალა-პარაკებდეს, უბრალოდ სიმართლე მინდა ვთქვა, რომ როგორც პიროვნება შალიკო ასეთი არ იყო, მან იცოდა მოყვასის მწუხარების გულთან მიტანა, სიკეთის დაფასება და ბოროტე-ბის დათრგუნვა, ახლა რამ გარდაქმნა ადამიანი, ვერ წარმ-ომიდგენია, ნუთუ ფული და თანამდებობა განაპირობებს ყოველივე ამას?

კინაღამ მეც გამისკდა გული, როდესაც არჩილის სიკდ-ვილმა შალიკოს თვალები კი არ აუწყლიანა, არამედ ელვარე-ბა შემატა და მის თვალებში კრმაყოფილება ამოვიკითხე.

ეს ყველაფერი ბოლოს მოხდა, მანამდის კი ვაგრძელებდი არჩილის ცხოვრების გამოკვლევას, ადვილად დავადგინე ეკას სამსახურიდან დათხოვნა ფეხმძიმობის გამო და ერთ–ერთი ხელმოსაკიდი საბრალდებო საშუალება მეგონა თუ გამოვჩიჩქნე, მაგრამ შევცდი, როდესაც არც ჩემი და არც ხალხის ჭორი გამართლდა, ეკა არჩილის კანონიერი მეუღლე ყოფილა, არა მარტო ხელმოწერილი, არამედ ჯვარდაწერილიც და ვის ჰქონ-და უფლება მრუშობა დაეწამებია ახალშედგენილი ოჯახი-სათვის?

როგორც ძმაკაცის შუამდგომლობით სამსახურში მიღე-ბულ პიროვნებას, არჩილი მე ყველაფერს მენდობოდა დე ეჭვსაც არ ვიმსახურებდი, თხუთმეტ ივლისს არჩილმა ციფრე-ბით აჭრელებული ფურცელი მომცა და მთხოვა დეპეშა ფურ-ცელზე ნაჩვენებ მისამართზე გამეგზავნა, რომელიც ეკას ეკუთვნ-ოდა, მაგრამ თუ რას ითხოვდა იმისგან არჩილი, ეს ჩემთვის გაუგებარი იყო და, უფრო მეტად ცნობისმოყვარეობის მიზნით, ვიდრე ბოროტი განზრახვით, თვალთვალი გავაძლიერე არჩი-ლის მიმართ.

პატარა რაიონულ ქალაქში ვცხოვრობთ, აქ ადამიანი სად უნდა დაგემალოს? ჰოდა ვერც მე დამემალა არჩილი, 17 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ეკას ბინაში შეხვდა საყვარელ მეუღლეს, მე სახლის წინ მდებარე გაზონებში დავიმალე, ვგრძნობდი რაღაც უნდა მომხდარიყო და ღამის თერთმეტ საათზე არჩილი ეკას ბინიდან გამოვიდა, ,,ჟიგული" დაქოქა და თვალს მიეფარა, ცოტახანს ველოდე, ვიფიქრე უკან არ დაბრუნდეს–მეთქი, მითუმეტეს ვიცოდი, დილით ადრე თბილისში უნდა წასულიყო, მაგრამ სიფრთხილეს არ ტკიოდა თავი და დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ეკას ბინის კარებს მივაწექი, რღაც ამოუცნობი სიხარული დამეუფლა, როდესაც კარები გასაღებით დაუკეტავი აღმოჩნდა. ბინაში ფეხაკრეფით შევედი და, ღმერთო დიდებულო, თქვენ თუ გინახავთ ესპანელი ფერმწერის გოია ლუსიენტეს ნახატი ,,შიშველი მახა", სწორედ ის გაცოცხლდა ჩემს თვალწინ, რომელსაც მზერას ვერ ვაშორებდი და დიდხანს ვტკბებოდი ამ საოცარი სილამაზით. ბოლოს გონს მოვეგე. ისევ ისე ფეხაკრეფით გამოვედი ბინიდან ეზოში და გაზონებში ჩავჯექი დასაფიქრებლად. ადამიანის გული ბოროტებით ყოფილა აღსავსე, ღმერთის წინაშე სიცრუე რომ არ გამოვიდეს, ისე შემეხარბა ეკას სილამაზე, დასახიჩრება გადავწყვიტე და არა მკვლელობა, მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ისეთი გულქვა ცხოველი, რომ ეკას სხეულზე დასასახიჩრებლად ხელი აღემართა? მეც მყისვე უკუვაგდე მხეცური მოსაზრება, შალიკოს სახლისაკენ გავსწიე რჩევის საკითხავად და საღამოს ინფორმაციის გადასაცემად. ფანჯარაზე დავუკაკუნე, გამომხედა და გაუკვირდა ამ უდროო დროს ჩემი მისვლა, კარები გამიღო და ჩემი ალერსით გული იჯერა, თითოს ამ საქმისათვის ვყოფილიყავი მისული. როდესაც დამშვიდდა, წყნარად ვუთხარი ჩემი მისვლის მიზეზი.

– როგორ კარები ღია აქვს და სახლში მარტო არის? – გაიკვირვა მან.

– დიახ ასეა, როგორც მოგახსენე – ვუპასუხე მტკიცედ.

– იცი რა ვქნათ? მეზობლებმა ყველამ იცის, რომ არ-ჩილი ღამით ეკასთან იმყოფებოდა, ამიტომ ჩვენ თუ ეკას მოვკლავთ, მკვლელობა, რა თქმა უნდა, არჩილს დაბრალდება, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში თუ თვითმკვლელობად ჩათვალეს ეკას მკვლელობა, მაინც არჩილს დაადანაშაულებენ და ორივე შემთხვევაში ჩვენს კალოდაში მოხვდება ჯოკერი. – მითხრა შალიკომ და სიხარულით თვალები აუცისკროვნ-და.

– ვერავითარ შემთხვევაში, მე მაგ მკვლელობის თანა-მონაწილე ვერ გავხდები, ის ისეთი ლამაზია, რომ...

– ჩემს სიყვარულს ჯობია შენთვის?

– რა შუაშია ასეთი შედარებები, ადამიანი რომ გიყვარდ-ეს, აუცილებელია მკვლელი გახდე?

– შენ ამას ჩემი სიყვარულისთვის გააკეთებ, დღეიდან კი ერთად ვიქნებით კანონის ძალით შეკრულნი და ერთად ვიცხ-ოვრებთ, როგორც კანონიერ მეუღლეებს შეეფერება!

– არ შემიძლია შალვა, ბოლოს და ბოლოს ქალი ვარ, მე ვერ გავხდები მკვლელობის თანამონაწილე!

– თანამონაწილე კი არა, მკვლელი, თანამონაწილე მე ვიქნები შენი!

– აუჰ, ეს მთლად უარესი, ახლავე თავს მოვიკლავ და მაგას ვერ გავაკეთებ!

– გამეცალე აქედან და საერთოდ არ ახსენო ჩემი სახ-ელი! – მიყვირა შალიკომ და ხელი მიბიძგა.

მე კი ქალის ერთადერთი იარაღი ცრემლი მოვიშვე-ლიე და შალიკოს კისერზე ჩამოვეკიდე. თითქოს გული მოულბა, ხელი მომხვია და ცრემლიანი თვალები ამო-მიკოცნა.

– მოდი სერიოზულად დავფიქრდეთ და ისე მოვიმოქმე-დოთ! – წყნარად მითხრა მან და მუხლზე ჩამომიჯინა. – კი მაგრამ რისი გეშინია? ჩვენს მიმართ ხომ ყოველგვარი ეჭვი გამორიცხულია?

– სხვა თუ არაფერი ცოდოა ადამიანი!

– ამხელა კარიერის მოსაპოვებლად ღირს ეს რისკი! ადექი, დროს ნულარ ადვკარგავთ! – მითხრა და ოთახიდან პირველი მე გამომატარა.

„ჟიგული“ ეკას ბინიდან ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით დავაყენეთ, ბინის კარები ისევ–ისე ღია დაგვიხვდა, მხოლოდ ეკა ოდნავ შებრუნებულიყო სხვა პოზაში, არ ვიცი ახლა ჯობდა თუ მაშინ, ერთი საათის წინ რომ ვნახე.

შალიკო ფეხაკრეფით მიუახლოვდა მძინარს, წელსა და საჯდომის ქვეშ ფრთხილად შეაცურა ხელი და სანამ ეკა გამოფხიზლდებოდა, ხელში აიტაცა, მე საშხაპეს კარები გავაღე და ნახევრად მძინარე ეკა შალიკომ აბაზანაში ჩააგდო. წყალი გადმოიღვარა, თვითონაც იწუწებოდა შალიკო, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა და მთელი ძალით ზევიდან აწვებოდა საბრალო გოგონას. ორიოდე წუთის შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა, შალიკომ ხელები შეიმშრალა და გვამი წყალმა ზევით ამოატივტივა.

– მომეხმარე უნდა ჩავაცვათ! – მითხრა და ტანსაცმლის მოტანა მიბრძანა, კარადა გამოვაღე და ყველაზე საუკეთესო კაბა ამოვარჩიე, ყველაფერი ჩავაცვით, რაც კი ესაჭიროებოდა ქალიშვილს მგზავრობისათვის. როდესაც ყველაფერს მოვრჩით, შალიკომ აბაზანაში თოკი ჩამოხსნა და ჯიბეში ჩაიდო, მე კი მიბრძანა, ოთახი და აბაზანა ისე დამალაგებინა და დამესუფთავებინა, რომ თითების ანაბეჭდი არსად დარჩენილიყო, თვითონ კი ეკა ხელში აიტაცა და სიბნელეში გაუჩინარდა, ცრემლს ვერ ვიკავებდი, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ვალაგებდი და ვასუფთავებდი ოთახს, როდესაც ყველაფერს მოვრჩი, მაგიდაზე დადებული გასაღები ავიღე კარები დავკეტე და მხოლოდ გამთენიას დავბრუნდი სახლში!

სიჩუმე ჩამოვარდა პროკურორის კაბინეტში, სამი იყო და სამივეს სხვადასხვა საფიქრალი უტრიალებდა თავში, ხუთწუთიანი დუმილის შემდეგ ინგამ დაარღვია მყუდროება და ქალთამაზეს შეეკითხა.

– შენ ხომ იცოდი, რომ კვალს მივაგენი და რატომ თვითონ არ განაცხადე სანამ დაგაპატიმრებდნენ?

– არ მინდოდა ციხეში მოვხვედრილიყავი, მე სულ სხვა რაღაცას ვგრძნობდი, უკვე შალიკოსათვის ზედმეტი ვიყავი და აუცილებელი იყო ჩემი დროულად მოშორება, ველოდებოდი და წინააღმდეგობასაც არ ვუწევდი, ბოლოს და ბოლოს მომწყინდა ასეთი აუტანელი ცხოვრება, ადამიანმა ჭამისათვის ხომ არ უნდა იცხოვროს ქვეყანად? მე დასაკარგი არაფერი მქონდა და სიამოვნებით შევეგებებოდი სიკვდილს, მხოლოდ თუ არ მაწამებდნენ.

შალიკოს წარმოდგენილი ჰქონდა, თუ მეც მომკლავდა და ერთადერთ მოწმეს მოიშორებდა, იმის კვალს ვერასოდეს მიაგნებდნენ, რადგან მა კარგად იცის, რომ ძნელია ძიება, თუ ბოროტმოქმედი სახელმწიფო თანამდებობას არის ამოფარებული და ცოტა თუ ბევრად იცავს კანონი...

– შენ ქალი ხარ, მამაკაცთან შედარებით სათუთი გრძნობა უნდა გქონდეს, ნუთუ არ გებრალებოდა ასეთი უნაკლო არსება, როგორც ეკა იყო როცა აღრჩობდით?

– მაგაზე უკვე გითხარით, ვტიროდი–მეთქი, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო!

– ახლა თუ ნანობ, ჩადენილ ბოროტმოქმედებას?

– ვნანობ, ეკა, რომ ვერ გადავარჩინე და არჩილიც ვიმსხვერპლეთ, მაგრამ ჩადენილ ბოროტმოქმედებას სრულებითაც არ ვნანობ, კარგი იყო, შალიკოს მკვლელობისათვის მოვხვედრილიყავი თქვენს წინაშე, მაგრამ მართლმსაჯულება აღასრულებს ჩემს მაგივრობას.

ინგამ საბეჭდი ავტომატიდან ფურცელი ამოაძრო, ქალთამზეს წინ დაუდო და უთხრა:

– წაიკითხეთ და თქვენს ჩვენებაზე ხელი მოაწერეთ!

ქალთამზეს არც დაუხედავს ფურცელზე, ნაჩვენებ ადგილზე ხელი მოაწერა და თავისთვის ჩაიბურტყუნა:

– მე სიმართლე მოგახსენეთ და აწი თქვენ როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, ჩემთვის სულ ერთია დაუმატებთ თუ

გამოაკლებთ ჩემს ნასაუბრებს, სასჯელის შემსუბუქებას არასოდეს მოგთხოვთ!

მისაღებში ზარი აწკრიალდა, ქალთამზე გაიყვანეს.

– მდა! – თქვა პროკურორმა და ქალთამზეს მონაყოლით გაბრუებული ინგას შეაცქერდა.

ახალგაზრდა გამომძიებელი წამოდგა, პროკურორთან ბოდიში მოითხოვა და წასვლა დააპირა, მაგრამ დავითმა შეაჩერა და შეეკითხა:

– ის ვიღაც შალვაა თუ შალიკო, როდის დავკითხოთ?

– უმჯობესია, ბატონო დავით, ცოტა შევისვენოთ, ქალთამზეს ნაამბობი გავაანალიზოთ და შალვა ნასადილევს დავკითხოთ.

– კარგი, ნაშუადღევის სამი საათისათვის აქვე შევხვდეთ შალიკოს პირისპირ, ჩემს გარეშე ნუ დაკითხავთ, საინტერესოა რას იტყვის – თქვა დავითმა და ისიც ზეზე წამოდგა.

ნაშუადღევის სამი საათია, შალვა თოდაძე ორმა ბადრაგმა შემოიყვანა პროკურორის კბაინეტში დასაკითხად. ღელავდა გენერალური დირექტორი, სხვა ისე გაქვაბული და განრისხებული ჰქონდა, რომ თავის თანამშრომლებს დადენახა, ყველა დაიმალებოდა, მტრისას, ვისაც იმისი რისხვა ამჟამად თავს დაატყდებოდა, მაგრამ აქ სხვა ელოდა, რისხვა თვითონ დაეტეხა დირექტორის თავზე.

შალვა კაბინეტში ჯიქურ შემოვიდა, სალამიც არავისთვის მიუცია და ბოლთის ცემას მოჰყვა.

– დაბრძანდით! – სკამზე მიუთითა ინგამ.

– არა ფეხზე ვიქნები! – ჯიუტად განაცხადა შალვამ და ჰიტლერივით სადღაც სივრცეს დაუწყო ცქერა.

– აქ ჩვენ ვბრძანებლობთ! – მტკიცედ განაცხადა გამომძიებელმა.

– თქვენ ბრძანება ჩემზე არ მოქმედებს, პირიქით, მე ვიბრძოლებ თქვენზე, თუ საჩქაროდ არ ამიხსენით ჩემი დაპატიმრების მიზეზს, მე მივაკითხავ უმაღლეს ინსტანციებს და

თუ ასე განუკითხავად შეიძლება ერთ–ერთი თვალსაჩინო ფიგურის დაპატიმრება, გაარკვევენ!

– თქვენ ეჭვმიტანილიხართ ეკა ასანიძის მკვლელობაში და ხელთა გვაქვს უამრავი დამამტკიცებელი საბრალდებულო ვერსია.

– რაო?! „შარო საიდან მოდიხარო!“, ვინ არის ეკა, მიცნობდა თუ ვიცნობდი? რა იყო მიზეზი ჩემგან მისი მკვლელობის?

– კარიერა!

– რა კარიერა ჰქონდა ეკას, რომ სასიკვდილოდ გამემეტებია?

– ეკას კი არ ქონდა კარიერა, იმის მეუღლეს ჰქონდა ის კარიერა, რომელზედაც დღეს იმყოფებით.

– ამ შემთხვევაში თუ ეკას მეუღლის კარიერაზე ვოცნებობდი, მაშინ არჩილი უნდა მომეკლა და არა ეკა.

– იცნობდით ეკას?

– კი!

– როგორ იცნობდით?

– სალმით, როგორც არჩილის მეუღლეს!

– არჩილთან როგორი დამოკიდებულებაში იყავით?

– ძალიან კარგი, მეგობრულად!

– და შენ ერთხელაც არ ყოფილხარ სამძიმარზე...

– მე განვაცხადებ: არჩილი ჩემი მეგობარი იყო–მეთქი, ის გარდაიცვალა, სამძიმარზე ვიღასთან მივიდე? დედამისთან? რა ვუთხრა? ნუ იდარდებ, შენი შვილი მალე დაბრუნდება–თქო?! თუ რა სამძიმარი ვუთხრა და რომელი ნუგეში მივცე?

– აბა მეგობრებმა ღვთისანაბარა უნდა მიატოვონ გარდაცვლილი მოძმე?

– უკაცრავად, ღვთისანაბარა მე მიცვალებული მეგობარი არ მიმტოვებია, ოჯახს, გარდაცვალების მეორე დღესვე გავუგზავნე დაკრძალვისათვის ფული, ღვინო, ლიმონათი, ბორჯომი, თევზი და შეკვეთა მიცემულია პურზე დაკრძალვის დღისათვის, რომ არ გახმეს. სიცხეების გამო პროდუქტი

რომ არ გაფუჭდეს, არჩილის ეზოში დგას ჩემს მიერ გაგზავნილი ავტომაცივარი.

– რამ განაპირობა, რომ ასე საჩქაროდ დაიკავეთ, თქვენი მეგობრის თანამდებობა?

– როგორ თუ საჩქაროდ, ბრძოლაა ცხოვრებისათვის, სიცოცხლისათვის და თანამდებობისათვის, სხვას რომ დაეკავებინა არჩილის ადგილი, როგორ თქვენ ამბობთ ,,საჩქაროდ" და მე დაგვიანებით დამეწყო ბრძოლა, გავიმარჯვებდი? ან რისთვის უნდა ჩაეგდო სხვას ჩემი მეგობრის თანამდებობა ხელში და არა მე? რომელიც ყველა ადამიანზე მეტ პატივს ვცემ შემდგომში იმის ნათელ ხსოვნას!?

რა თქმა უნდა, მე იმ შემთხვევაში ვიტყოდი არჩილის თანამდებობაზე უარს, თუ არჩილს რაღაც დარღვევისათვის მოხსნიდნენ და სხვა ადგილზე გადაიყვანდნენ დაქვეითების მიზნით. ახლა კი რა არის საძრახისი, ვერ გამიგია, გადაბარების დროს რაიმე ვალი დავატეხე თავს მიცვალებულს და ოჯახი ვაიძულე გადახდისათვის, შანტაჟი მოვუწყვე და გული გავუხეთქე, თუ რა? ვერ გავიგე, რაში მადანაშაულებთ?

– ხომ გითხარით, რაშიდაც გადანაშაულებთ და გიმეორებთ, ბრალი გედებათ ეკა ასანიძის მკვლელობაში!

– მეც გიმეორებთ: ნერვებს ნუ მიწეწავთ, არ გამასულელოთ! მკვლელობის დაბრალება ქლიავის მოპარვის დაბრალება არ არის!

– ნუ გაგიჟდები, თორემ ჩვენ დასაწყნარებელი პერანგიც გვაქვს, თქვენ არავინ არაფერს გაბრალებთ, აქამდე არაფერი დაგვიბრალებია თქვენთვის, ახლა კი თქვენს საწინააღმდეგოდ ხელთ აგვაქვს ერთობ ვრცელი და დამაჯერებელი ვერსია.

– თქვი, რაღაც არის ეს ,,ერთობ დამაჯერებელი ვერსია" რაღას მალოდინებ?

– ჩვიდმეტ ივლისის ღამეს სად იყავით?

– სახალში, სხვათაშორის ადრე დავწექი და ტკბილადაც მეძინა დილამდე!

– თქვენი ავტომანქანა ღამის ორ საათზე შეუნიშნავთ საგუშაგო ნომერ პირველზე ადგილობრივ ინსპექტორებს და არ გაუჩერებიხართ, რადგან გიცნობდნენ, ნახევარი საათის შემდეგ უკან დაბრუნებულხართ, ხელთ გვაქვს ავტოინსპექტორების პაკეტი, შენ კი ამბობ: „ტკბილად მეძინაო დილამდის“.

– დიახ! ტკბილად მეძინა დილამდე, ხოლო დილით, როდესაც ეზოში გამოვიხედე, ჩემი ავტომანქანა აღარ იყო, საცვლების ამარა გარეთ გამოვვარდი და, ღმერთო ჩემო, ავტომანქანა გარეთ, გზაზე, ჭიშკართან ახლოს, საღ–სალამათი იდგა.

სანამ დავწვებოდი, ავტომანქანა ეზოში დავაყენე და ჭიშკარი უზარმაზარი ბოქლომით დავკეტე. დილით კი ჭიშკარი ანჯამებზე იყო ამძვრალი და ავტომანქანა გარეთ გაყვანილი, მრიცხველს დავაკვირდი, ავტომანქანს ღამით თვრამეტი კილომეტრი ჰქონდა გავლილი, ჭიშკარი შემთხვევით გამოვლილი მგზავრის დახმარებით ჩამოვკიდე და მომხდარი ამბის შესახებ მილიციის განყოფილებას განცხადებით შევატყობინე.

– საჭესთან თქვენ დაუნახიხართ!

მტკნარი სიცრუეა, რადგან ჩემს ავტომანქანას შავი, მზერა გაუმტარი ფანჯრები აქვს და შიგ მჯდომს ვერავინ დაინახავდა!

– როგორ დამოუკიდებულებაში იმყოფებით ქალთამზე ჩიხელიძესთან?

– ძალიან კარგ დამოკიდებულებაში, ერთი წლით უფროსია ჩემზე და ვიცნობ ცამეტი წლის ასაკიდან, მაგრამ დღემდე უცოლოდ დამტოვა, აქვს ჩემს მიმართ პირადი ინტერესები, რადგან ცოლად არ შევირთე და ჩიხელიძის ჩვენებას და თუ გინდ დაპირისპირებასაც კი მხედველობაში ვერ მივიღებთ!

– ძალიან კარგი, ქალთამზეს თქვენთან დაპირისპირებას არც ვაპირებდი, თქვენი სახლის წინ მცხოვრებ ვასილ ტაკიძეს თუ იცნობთ?

– კი როგორ არა, ვიცნობ!

– როგორი კაცია?

– კარგი! მაგრამ ვერც იმის ჩვენებას ვერ მივიღებთ მხედველობაში, რადგან ჩვენს შორის დიდი ხანია მიწაზე კონფლიქტი მიმდინარეობს!

– იქნებ ნინო ჩხეიძე მაინც არ იყოს კონფლიქტში თქვენს წინააღმდეგ, თორემ ვიფიქრებ, მთელ ქალაქს შეთქმულება მოუწყვია–მეთქი.

– ეს ნინო ჩხეიძე ვინღა არის?

– ნინო ჩხეიძე, ეკა ასანიძის მეზობელია, უძილობით არის დაავადებული და მთელი ღამეები არ ძინავს, ასე რომ ჩვიდმეტ ივლისს, ძალიან კარგად ახსოვხართ, რომ ეკას ბინაში შეხვედით და რაღაც შეხვეული გამოიტანეთ, იმისავე მტკიცებით თქვენს შემდეგ, დაახლოებით ორი საათი სშუალედში იმავე ბინიდან, მისთვის უცნობი კიდევ ერთი მამაკაცი გამოვიდა. ეს კი ეჭვგარეშეა ქალთამზე უნდა ყოფილიყო, რომელიც ეკას ბინაში დატოვეთ კვალისა და თითების ანაბეჭდის წასაშლელად.

– თქვენ თვითონ ბრძანებთ, ნინო ჩხეიძე დაავადებულია უძილობითო და ავადმყოფ მოწმეს, კანონის ძალით ვერ დავპირისპირებ!

– საღ–სალამათ, სპორტსმენ და ჯანსაღ, მილიციის თანამშრომელ ჯანსუღ ფხალაძეზე რას იტყვით?

– ასეთს არ ვიცნობ და, როგორც ვხედავ, ჩემს საწინააღმდეგოდ კარგად გვარიანი შანტაჟი მოგიწყვიათ, რა თქმა უნდა, შეიძლება ისეთი პიროვნებების მოძებნა, რომლებიც ჩემ სიცოცხლეში არასოდეს მინახავს, მაგრამ ეს არ არის მკვლელობის დამამტკიცებელი საბუთი...

– კარგი ჯანსუღი მილიციის თანამშრომელია, ჩვენ კი ინტერესი გვაქვს მოვიყიდეთ, მაგრამ საკოლმეურნეო ბაზრის დარაჯს, პარმენ ცუცქირიძეს არა მგონია შენი რაიმე ინტერესი ჰქონდეს და ბრწყინვალედ გემახსოვრება როდესაც გაესაუბრე და ბოლოს გააფრთხილეთ კიდეც, რომ არავისთან გაემჟღავნებია შენი ნახვის ამბავი.

– მოწყობილი საქმეა, მე თქვენ ყველას გიჩივლებთ რესპუბლიკის გენერალურ პროკურორთან და ცილისწამებისათვის მოგთხოვთ პასუხს!

– შალიკო! ნუ ხტიხარ თორემ გაგაფრთხილეთ, დამამშვიდებელი პერანგი გვაქვს–მეთქი! შენ კარგად იცი, ჩვენ არავითარი ინტერესები არ გვამოძრავებს შენს წინააღმდეგ!! პირიქით, ბატონი დავითი სიმპატიითაც კი არის თქვენს მიმართ გამსჭვალული, მაგრამ ცუდად იქცევით და შეიძლება ვერავითარი შეღავათი ვერ მიიღოთ ჩვენგან.

ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, ორი ან რამდენიმე მოწმის დაპირისპირებით გაგასამართლოთ, ეს კი თქვენ სასარგებლოდ არ ლაპარაკობს, რადგან პირადი და ძირითადი მოწმე, ბოროტმოქმედების თანამონაწილე ქალთამზე ჩიხელიძე ამბობს, რომ ეკა ასანიძე თქვენ პირადად ჩაახრჩვეთ აბაზანაში, რაც მე არასწორად მიმაჩნია, რადგან ნინო ჩხეიძის ჩვენების თანახმად თქვენ ეკას ბინაში მხოლოდ ხუთი წუთი დაჰყავით, ხუთი წუთის შუალედგში კი შეუძლებელია თქვენ ეკა დაგეხრჩოთ, შემდეგ გაგემშრალებინათ, ჩაგეცმიათ და შეფუთული მიგეტანათ საკუთარ ავტომანქანამდე, რომელიც ეკას ბინიდან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით გქონდათ დაყენებული. უმჯობესი იქნება, თქვენ აღიაროთ სიმართლე და ქალთამზესთან დაპირისპირების დროს თვითონ შეეკამათოთ მას არასწორი ჩვენების მოცემისთვის... მე თქვენ ამჟამად წაგიკითხავთ ყველა მოწმის ჩვენებას, რომელთაც არავითარი პირადი ინტერესი არა აქვთ თქვენს მიმართ, მხოლოდ დაწყნარდით, ასეთი გამოხტომები, როგორც თქვენ იქცევით, მოძველებული ილეთია და ასეთი მუქარის რამდენი ხანია აღარ გვეშინია. უმჯობესი იქნება, თქვენ თვითონ წარმოიდგინოთ თავი ჩვენს ადგილზე და გაანალიზოთ თქვენი მოქმედება.

ახლა კი გულისყურით მოისმინეთ: პირველად საკოლმეურნეო ბაზრის დარაჯის, პარმენ ცუცქირიძის ჩვენებას წაგიკითხავთ:

„... ღამის ორი საათი იქნებოდა, კვერეთის შესახვევში ავტომანქანა „ჟიგული“ სახელმწიფო ნომერი А-38-98-ФГ გაჩერდა, მე კი ბაზრის შესასვლელში ვიდექი, რადგან საღამოს ახალციხელებმა კართოფილი ჩამოიტანეს და დიდი ამბით ჩამაბარეს. „ჟიგული“ როდესაც გაჩერდა ცნობისმოყვარეობამ არ დამაყენა და ახლოს მივედი, ავტომანქანიდან ქაღალდის ქარხნის დირექტორი შალვა თოდაძე გადმოვიდა და კომუნალური ბინისაკენ წავიდა, მაგრამ მე რომ დამინახა, შემობრუნდა და წინ გადამიდგა.

– ოჰ, შენა ხარ პარმენ? – შემეკითხა ის.

– მე ვარ ბატონო შალვა! – ხომ არაფერი გაგჭირვებიათ? – შევეკითხე და სულ მთლად ახლოს მივედი.

– არა, ბიჭო, ხომ იცი უცოლო კაცის ამბავი, აქ მივდივარ ერთ იმისთანასთან, შენ რომ იცი და თუ კაცი ხარ, საიდუმლო შემინახე, არავის უთხრა თუ მნახე, თორემ მომეჭრება თავი – ჰა, შენ ეს ჯიბეში ჩაიდევი და მოუსვი ახლავე აქედან! – მითხრა შალიკომ, გულის ჯიბეში ასმანეთიანი ჩამიკუჭა და საკოლმეურნეო ბაზრისაკენ შემომაბრუნა.

მე ცნობისმოყვარეობამ არ დამაყენა, – თუ შალიკო ქალებში მიდის დროს გასატარებლად, მე ფული რისთვის მაჩუქა? – გავიფიქრე, და ხიდის მოაჯირთან დადვიმალე შეუმჩნევლად, შალიკო ვის ბინაში იყო, არ ვიცი, სახლიდან კი ხუთიოდე წუთში გამოვიდა და რაღაც შეხვეული და მკერდზე ახუტებული გამოიტანა. ტვირთი უკანა სალონში მოათავსა, თვითონ კი საჭეს მიუჯდა და ჭიათურისაკენ გააქანა „ჟიგული“.

მალე დაბრუნდა, ბაზრის შესასვლელში ვიჯექი, რომ გამოიარა, დამიძახა:

– „ხომ გახსოვს რაც გითხარი, ენას კბილი დააჭირეო“ – და თავისი სახლის მიმართულებით წავიდა.

– ხომ არ გეშლება, იქნება სხვა იყო?

– ვინ ხომ არ მეშლება ადამიანო, შალვა გერონტის ძე თოდაძე?

ესე იგი მეხსიერება დამიკარგავს და რა მინდა საპასუხ-ისმგებლო საქმეზე რომ ვმუშაობ?

– სხვ ახომ არავინ შეგინიშნავს, რომ იმ სახლიდან გამოსულიყოს, საიდანაც შალვამ შეფუთული რაღაც გამ-ოიტანა?

– არა, მე სახლს კი არ ვდარაჯობ ჩემი საქმე მაქვს, შალვას კი ყურადღება იმიტომ მივაქციე, რომ მანქანით იყო ამ უდროო დროს და მთელი თავისი ხელფასიც ასე დაუნანე-ბლად მაჩუქა...“

– მოწმეს დაკითხვის ოქმზე ხელი აქვს მოწერილი და თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ ჩვენების სისწორეში, შემიძლია მოწმე დაგიპირისპიროთ.

– წყალმა წაიღო იმისი თავი, ჩემი ბრალია, რომ კედელზე არ მივასრისე, ასე დროს გიჟის მეტი ვინ ტოვებს ცოცხალ მოწმეს?

– აი, ხომ ხედავ ერთი მოწმის ჩვენებით შენ უკვე ჩახვდი გამოუვალ ჩიხში მომწყვდევას, მე კი მზად ვარ, კიდევ რამდენიმე წაგიკითხოთ, აი თუგინდ რას ამბობს ვა-სილ ტაკიძე, შენი მეზობელი, რომელსაც შენთან არავითარი მტრობა არა აქვს და შენ კი თვალთმაქცობ მართლმსაჯუ-ლების წინაშე.

– არ მინდა იმის ჩვენების მოსმენა, ვიცი რასაც დაწერდა, ღამის სამ საათზე მოვიდა „ჟიგული“, გარეთ დააყენა, ჭიშკარი მოხსნა და გვერდზე მიაყუდაო და სხვა ასეთები. იმას ხომ არასოდეს არ ძინავს, დღისით და ღამით მუდამ მე მითვალთვალებს.

– აბა ვისი ჩვენება გაინტერესებს?

– ქალთამზე ჩიხელიძის ჩვენება წამიკითხეთ, მაინტერე-სებს ის რას ამბობს ჩემზე!

– კი ბატონო! უთხრა ინგამ და ჩიხელიძის ჩვენების წაკითხვა დაიწყო, შალვა გულისყურით ისმენდა, მაგრამ ხანდის-ხან წამოენთებოდა და სკამიდან წამოიწევდა ხოლმე, რაც დიდი მღევარების უტყუარი ნიშანი იყო.

როდესაც ინგამ ჩიხელიძის ჩვენებისწაკითხვა დაამთავრა, შალვამ წამოიძახა:

– „მახინჯ ორგანიზმში, მახინჯი სული ყოფილა ჩაბუდებული“, ეს ძუკნა, რაც მკვლელობას ეხება, ყველაფერს ტყუილს წერს, მხოლოდ სიყვარულობანაა სწორი მაგის ჩვენებაში.

– აი, მეც ამიტომ გეუბნებოდით, გაჯიუტება კარგს არაფერს მოგიტანს–მეთქი. მე მწამს, რომ თქვენ ეკა არ დაგიხრჩვიათ, როგორც ამას ქალთამზე ქადაგებს, რადგან თქვენ იმ შუალედში მკვლელობას ვერ მოასწრებდით, რასაც მოწმეები ადასტურებენ.

მეორეც: ქალთამზე თქვენთან სახლში არ მოსულა, რადგან მოწმეების ჩვენებით, შენ მარტო იჯექი ავტომანქანაში, აქედან გამომდინარე, ქალთამზემ თვითონ დაახრჩო ეკა, ჩააცვა, შეფუთა და გადასაგდებად გაამზადა, ამ ამბავსაც მარტო მოიყვანდა სისრულეში, მაგრამ არ ჰყავდა ავტომანქანა, ამიტომ შენ დაგირეკა ტელეფონით დაგითხრა: საჩქაროდ მოსულიყავი ავტომანქანით ეკა ასანიძის ბინასთან და ატვომანქანა ცოტა მოშორებით დაგეყენებინა, შენც იგრძენი რაღაც ამოუცნობიხიფათი და დაუყოვნებლივ შეასრულე ჩიხელიძის ბრძანება, როდესაც ეკას ბინაში მიხვედი, ქალთამზემ გაგაცნო საქმის ვითარება და გითხრათ, გვამი საჩქაროდ გადაგემალათ. რა თქმა უნდა, უყოყმანოდ დამორჩილდით, რადგან შენი მიგზავნილი იყო არჩილთან რაიმე მზაკვრობის ჩასადენად.

როგორც ხედავთ, ჩვენ არ გვქონია შენი პირადი ინტერესი, გამოძიება მართალია ულმობელია და დაუნდობელი, მაგრამ ამავე დროს კეთილი და სამართლიანი, ეჭვიანობას, სიცრუეს და უნდობლობას შეცდომაში შეჰყავთ გამოძიება და მართლმსაჯულება იძულებულია, მცდარ ჩვენებას დაეყრდნოს, ზოგი დამნაშავე უსაფუძვლო თავის მართლებით მეტ ზიანს აყენებს თავის თავს, ვიდრე ჩადენილი ბოროტმოქმედებით.

რადგან თქვენ არ გსურთ დანარჩენი მოწმეების მხილება მოისმინოთ, ქალთამზეს ხვალ დაგიპირისპირებთ და, ჩემი

აზრით, მკვლელის ნიღაბიც ჩამოგეხსნებათ, მაგრამ იცოდეთ, ეს ვერსიები კი არა, აქსიომაა, კრიმინალური აქსიომა.

– რატომ ხვალ და არა დღეს?

– დღეს უკვე გვიანია!

– ახლა მაინც არსად მაგვიანდება, შეგვიძლია დილამდე ვისაუბროთ, თუ თქვენ გაქვთ ჩვენი კამათის მოსმენის საშუალება..

– კარგი, დღეს იყოს! – თქვა ინგამ და ფარულ ღილაკს თითი დააჭირა, კაბინეტში ბადრაგი შემოვიდა:

– ქალთამზე ჩიხელიძე ამომიყვანეთ! – ისე მტკიცედ თქვა ინგამ, რომ შალვას ტანში გასცრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კაბინეტში ჩიხელიძე შემოიყვანეს, ის თავაზიანად მიესალმა დავითს, მაგრამ როდესაც შალვა დაინახა, ერთობ დაიბნა და წასვლა დააპირა, მაგრამ გამომძიებელმა კუთხეში დადგმულ სკამზე მიუთითა და ისიც უყოყმანოდ ჩამოჯდა.

– ჩიხელიძე! თქვენს ჩვენებას არ იზიარებს თქვენი თანამოსაქმე, შალვა თოდაძე და ძიებაც ეჭვშია არასწორი ჩვენების შესახებ, ამიტომ თქვენს შორის მოეწყო დაპირისპირება და იცოდეთ, ძიების შეცდომაში შეყვანისათვის მოქალაქე ისჯება კანონით!

– მე ცრუ ჩვენებას არ ვიძლევი, გსურთ თუ არა გსურთ, ჩემს ჩვენებას უნდა დაეყრდნოთ, რადგან სხვა მოწმე იქ არავინ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო!

– სამაგიეროდ ლაპარაკობს სხვა ვერსიები, რომ შენ შალვასთან იმ ღამით სახლში არ ყოფილხარ და არც ავტომანქანაში მჯდარხარ მასთან ერთად!

– რატომ მაშინ არ ალაპარაკდა „სხვა ვერსიები“, როდესაც გამაუპატიურა და სამუდამოდ ამირია ცხოვრების გზა? მეც მინდოდა მქონოდა ოჯახი, მყოლოდა შვილები და ვზიარებოდი ამ ქვეყნის ორომტრიალს, ეგ კი ნახევარი საუკუნეა მატყუებს და ყველაფერს კანონის საწინააღმდეგოდ მაკეთებინებს...

– მე თქვენ რა გაგაკეთებინეთ კანონის საწინააღმდეგოდ? განა მე გითხარით, ეკა მოგეკლათ და მკვლელის თანამონაწილედ გაგეხადეთ?

– არჩილის დასაღუპავად ხომ გამომიყენე, არ გაძღა შენი გული, არ გეტყო საკუთარი სახლი, ატვომანქანა, საზღვარგარეთული ავეჯი, ქალები, რესტორნები და „მადა ჭამაში მოგივიდა“, უფრო მაღალი და მაღალი თანამდებობა მოგინდა, მაგრამ ხომ ხედავ, სად მიგიყვანა შენმა სიხარბემ, მეგობრის მოღალატეს ვერასოდეს ვერ გაუხარია და ვერც შენ გაიხარე, ერთი ხელისმოსმით წაიშალა შენი დიდება, კონფისკაციით წაიღებ შენს სიმდიდრეს და ბოლოს ვინ დარჩები შენ? ერთი ნაცხარი დაჩაჩანაკებული ბებერი, რომელსაც არც სამსახური გექნება, არც სახლი, არც ავტომანქანა, არც ავეჯი და რაც მთავარია, არ გეყოლება ცოლ–შვილი, დამტირებელი მასეთ ყოფნას არჩილის ყოფნა ბევრად ჯობია, ის ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან და საქართველოს დიდხანს ემახსოვრება სიყვარულისათვის თავდადებული ადამიანი. შენ კი ვინა ხარ? გარემოებათა დამთხვევა, რომლის წყალობითაც დღემდე შეგიცნობდნენ: მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეიცანი საკუთარი თავი, დაგავიწყდა მუშა–ახალგაზრდობის საშუალო სკოლა, შიმშილი, სიღატაკე და სიყვარული. გაძეხი, წარსულის ბურუსმა დაფარა და უკან აღარ იხედები, მე კი ბავშვობიდან ვაკვდები საკუთარ გრძნობებს და სიყვარულთან ერთად დამებადა ეჭვიანობა. მე შენ მიყვარდი და დღესაც მიყვარხარ, მაგრამ ახლა დავრწმუნდი სიყვარულის არ არსებობაში, რადგან მზად ვარ ეკასავით გაგგუდო შენც, ჩემი პირველი სიყვარული, თუ სიყვარული არსებობს, როგორ შეიძლება სასიკვდილოდ გაიმეტო ის?

შენ კი დიდი ხანია დარწმუნებული ხარ ამაში და ჩემი მოშორებაც გადაწყვიტე, მაგრამ ქალის ალღოთი მიგიხვდი და მე შენი სიკვდილი კი არა, ცოცხლად დატანჯვა მიზნად დავისახე, ისე როგორც დამტანჯე მე და საპყრობილეში შენს გვერდით ჯდომა გადავწყვიტე, ქალების საპყრობილეში მე

პირველი ვიქნები, შენ კი კაცების საპყრობილეში უკანასკნელი.

არ შემეკამათო, ვიცი, რისი თქმაც გინდა, თითქოს წამომცდა: „მზად ვარ ეკასავით გაგგუდო–მეთქი“, არა არ წამომცდენია. ეკა მე მოვკალი, რომ მკვლელობა არჩილისათვის კი არა, შენთვის დამებრალებინა და დაგაბრალებ კიდეც, მაგრამ თუ ჩემსას ვერ გავიტან, რაც ჩაიდინე, სასჯელად ისიც გეყოფა და საფიქრალად ცხოვრებაში. გერჩივნა საკუთარი თავი მოგეტყუებინა, იქნებ შეგრჩენოდა კიდეც, თუმცა გვიანი იქნება, მაგრამ აწი მაინც დაიჯერებ, როგორი ძნელი ყოფილა, სხვისი მოტყუება. მე მიზნად მქონდა დასახული, არასოდეს მომეტყუებინე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცრუობდი, მაგრამ მეც ჩავხვდი შენს მზაკვრობას და როდესაც გეგონა, შენს დაგებულ მახეში გავები, სწორედ მაშინ გახდა მთლად ადვილი შენი მოტყუება, რადგან აქეთ მიპირებდი გაცრუება!

არ შეგრჩა მეგობრის ღალატი, რომელიც ჩემი ხელით კი არა შენი წყალობით მოკვდა. შემდეგ კი დაკრძალვისათვის წყალობა გაიღე, რა დავარქვათ ამას? სიკეთის ქმნა? რომ შენი სიავკაცისათვის გასაქანი,რომ მიგეცა და ბოროტმოქმედბისათვის თავი აგერიდებინა? შენ შეცდი, „ცეცხლი თივაში არ დაიმალება“, მე ვიცოდი, რომ შენ ბოლოს და ბოლოს მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებოდი და პატიოსანი ხალხის სათაყვანებელი ვეღარ იქნებოდი, რადგან ისინი მხოლოდ ღირსებისათვის გცემენ პატივს, შენ კი მათ წინაშე ნიღაბჩამოხსნილი მეგობრის მოღალატე და პატივმოყვარე იქნებოდი.

დღევანდელი შენი სინანული, იმდენად წუხილი როდია შენ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო, რადმენადაც შიში, რომელსაც გრძნობ, შეიძლება სიავკაცის სანაცვლოდ რომ მოგაგონა.

შენ მიზანს მიაღწიე, ჩემი გაუბედურებიდან დაიწყე და კარიერას უპატიოსნეს ადამიანთა გვამებზე გადავლით ეზიარე,

მეც მივაღწიე მიზანს, მადლობა ღმერთს, მართლმსაჯულებას ვერ გაექეცი და სასჯელს ჩემთან ერთად გაიზიარებ!

– კმარა, ძუკნა! – წამოიძახა შალვამ და ზეზე წამოხტა.

– ძალიან დიდხანს ვიყავი შენი ყურმოჭრილი მონა, დღეს თავი გავითავისუფლე და ნუ მიყვირი, თვითონ ხვადაგო, ხელსაც ვერ მახლებ, „აქ მე მიცავს ჩემი მილიცია“.

– რისთვის მაბრალებ იმას, რაც არ გამიკეთებია?

– შენი ბრძანებითა და თანამონაწილეობით მოხდა ყოველივე და რაც გააკეთე, ისიც საკმარისია შენთვის, თუ მკვლელობის დაბრალება მინდოდა, ეს იმიტომ რომ შენთვის სულერთი იყო დანაშალუი როგორი იქნებოდა, შენ ხომ არ გაგაჩნია სირცხვილის გრძნობა, ღირსების ჩრდილში მოქცევა და პატისონების სიყვარული! შენი პატისონება სულმოკლეობაა, „სიყვარული“ დიდების სიყვარულია, პატივმოყვარეობაა, ბედნიერი და საამური ცხოვრების სურვილი, სიმდიდრისაკენ სწრაფვა სხვების დამცირების წყურვილი და უფრო ხშირად ახლობლების. აი, რა იყო შენი ცხოვრების მიზანი, რომლისაკენ მისწრაფებაც მართლაც, რა კარგად, მიმზიდველად დაგიმთავრდა ღვთიური განგების ძალით!

შენზე ამბობენ ლამაზიაო და ჩემზე მახინჯიაო? ფუი, შევარცხვინე ასეთი შეფასება, ნეტავი რას მიჩერებიხართ ადამიანის სილამაზეს? რას აფასებთ ადამიანში? მე კი მგონია, ადამიანი სწორედ ასეთი უნდა იყოს, როგორც მე ვარ, თუ მხედველობაში ვიქონიებთ ფიზიკურ სილამაზეს, დანარჩენები ყველანი მახინჯები არიან. სულიერი სილამაზე არც თქვენ გეშლებათ, მხოლოდ ხანდხან არ გსურთ ამ სილამაზის გამოყენება და სააშკარაოზე გამოფენა...

მე დავამთავრე! დანარჩენს სასამართლოზე ვისაუბრებ, ახლა კი, პატივცემლუო მოქალაქე პროკურორო, უბრძანე გამიყვანონ და ჩემს საყვარელ საკანში წავალ!

– მე თქვენთვის შეგონებისათვის არ დამიძახნია, თუ თქვენ შეგელოთ შალვა კეთილისაკენ გარდაგექმნათ, ადრე უნდა გაგეწიათ ეს სამსახური, სანამ ბოროტმოქმედება მოხდე-

ბოდა. ახლა კი თქვენი აქ გამოძახების მიზანი სიმართლის ჩვენების მოცემა არის მართლმსაჯულების წინაშე. – უთხრა ინგამ და ფურცელი მიაწოდა ახალი ჩვენების დასაწერად, მაგრამ ქალთამზემ ფურცელი ხელის ზურგის გასმით უკან დაუბრუნა გამომძიებელს და მტკიცედ განაცხადა:

– მე ჩვენებას არ შევცვლი!

– როგორც გენებოთ, ჩვენ კი დავწერთ როგორც მოხდა მკვლელობა სინამდვილეში და სასამართლოს წარვუდგენთ.

– გამოდის, აქ იმისთვის ყოფილხართ, რომ ყველაფერი თქვენებურად აწარმოოთ...

– არც იმისათვის, რომ ბოროტმოქმედს დავუჯეროთ თავის მართლების ფანტასტიკური ვერსია, არა, ეს ასე არ მოხდება, ჩვენ ეკას მკვლელობის ძიება იმისი გაუხეშებული თითებიდან დავიწყეთ, კვალს მივაგენით, მკვლელი ვაღიარეთ და ახლა ბოროტმოქმედის სურვილის შესაბამისად ჩვენებებს სასამართლოს ვერ წარვუდგენთ!

– კარგი თანახმა ვარ, სიმართლე ვაღიარო, მხოლოდ თქვენც მითხარით სიმართლე, რამდენი წლით გვემუქრება თავისუფლების აღკვეთა?

– კაცი რომ იყო, უმაღლეს ზომას დახვრეტას, წყალი არ გაეპარებოდა, მაგრამ ქალებში რადგან უმაღლესი სასჯელი ათი წელია, მე მგონია, თქვენც ამით დაკმაყოფილდებით და გულსაწყვეტიც არაფერი გექნებათ!

– არა, მე იმდენად არ მაინტერესებს ჩემი პირადი სასჯელი, რამდენადაც ჩემი თანამოსაქმის!

– თქვენი თანამოსაქმე, მამაკაცია, განათლებული და თან-ამდებობის პირი, მეტი მოეთხოვება ყოველი კეთილი საქმის გაცემა და ადამიანური კანონის დარღვევის შემთხვევაშიაც სასჯელიც მეტი მიეცემა, ჩემი აზრით, დაახლოებით თორმეტი წელი!

– კმაყოფილი ვარ! – სიხარულით წამოიძახა ქალთა-მზემ – ახლა კი სიამოვნებით დავწერ სიმართლეს, რაც თქვენ თითქმის ჩემზე კარგად იცით, მაგრამ სასამართლო

მხედველობაში მიიღებს საკუთარ ხელით დაწერილ ჩვენებას! – კმაყოფილი ღიმილით თქვა ქალთამზემ და ფურცელი ახლოს მიიწია სიმართლის დასაწერად.

მოპირდაპირე კუთხეში მჯდომი შალვაც შერიგებოდა თავის ბედს, აღარ ლაპარაკობდა იმ ტონზე, როგორც კაბინეტში შემოსვლის დროს, აღარავის ემუქრებოდა უმაღლეს ინსტანციებში საქმის განკითხვით, წყნარად იჯდა და მხოლოდ სიმართლეს წერდა...

* * *

მთელი კვირა გადაბმულად წვიმდა... მერე, – მზემ სხივები უხვად მოაფრქვია ბუნებას და ქვეყანას აგრძნობინა, რომ სიცოცხლე გრძელდება... და როდესაც საჩხერის პროკურატურაში ეკა ასანიძის მკვლელობაზე, მკვლელთა ჩვენება იწერებოდა, არჩილ ცხადაძის ეზოში ხალხმრავლობა იყო, ყველა დაოსებული თვალებით და გულით მოთქვამდა ორ ჩამქრალ სიცოცხლეს, რამეთუ მართლაც საშინელებას წარმოადგენდა მნახველთათვის ერთ კუბოში ჩასვენებული, საქორწილო სამოსში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა ადამიანის უსულო სხეული, რომელი გულქვა ადამიანი გამოემშვიდობებოდა უცრემლოდ ასეთ ჯერ არნახულსა და აქამდე გაუგონარ ტრაგედიას?! ადამიანი კი არა, არჩილის ნაგაზი, მთელი კვირა ყმუოდა ეზოში და ცრემლები ნაკადულად ჩამოსდიოდა დაწითლებული თვალებიდან, ერთი კვირა არც უსვამს, არც უჭამია, ხოლო პატრონის დაკრძალვის შემდეგ, იმისი აღარც ყმუილი გაუგონია ვინმეს და აღარც თვალით დაუნახავს... ადამიანი კი... მართლაც ბევრს მიეტანა გულთან ოჯახის მწუხარება და გულშეღონებულნიც იყვნენ... თუმცა გვერდითმყოფთ, ისეთებიც გამოერეოდნენ, რომელთაც ფეხებამდიც არ მიეტანათ სხვათა სევდა– წუხილი, რომ შემდეგ ფეხებზე დაეკიდებინათ და ზომაზე მეტად შეზარხოშებულნი, მძაფრი კოცნით უმტკიცებდნენ ერთმანეთს სიყვარულს... ასეთი ყოფილა ადამიანთა მოდგმა, თუმცა იგი თვალებს? გონიერ არსებად,

რომელსაც გააჩნია უნარი, დაუპირისპირდეს ბუნებას და გარდაქმნას იგი მოთხოვნილების შესაბამისად, მაგრამ როდესაც ძაძებში ჩამჯდარ მწუხარებას მივჩერებივართ და თვალნათლივ ვხედავთ ზოგიერთი ადამიანის ქმედებას, მხოლოდ არისტოტელეს სიტყვები გვახსენდება – ,,ადამიანი არის საზოგადოებრივი ცხოველი", რომელიც ამოუცნობი ფენომენია... ჰო, ჭირი უდიდესი ტრაგედიაა... ვარდებში ჩასმულ ორადგილიან სადგომს ორი დედა დასტირის, სახედაკაწრული, ადამიანობადაკარგული, სიცოცხლეწართმეული ორი დედა... ანუკი სიბრძნეს მიუტოვებია და ჭირისათვის თავი ვერ დაუღწევია, შვილებო! – დაიძახებს და გული უწუხს... გრძნობაზე მოიყვანენ და ისევ პირველი ქმედება მეორდება... ეჰ, თუ მწუხარება მოგერია, ძნელია თავის დაღწევა!

ფერიდე ვეფხვად ქცეულა, თვალებში ბოროტების ნაპერწკალი უნთია, ჩამონაკაწრი სახიდან სისხლი ნელა მოედინება და ნიკაპზე პაწაწინა გრეხილ კამარასა ჰკრავს, ხშირად იწმენდს შიშველი ხელით სისხლს და შვილებს შუბლზე ჯვარს უხატავს.

– არა შვილებო, არ გავგიჟებულვარ, მხოლოდ მიჭირს თქვენთან განშორება და ამიტომ დავემსგავსე გიჟს, მე არც გავგიჟდები და არც მოვკვდები, სანამ თქვენს მკვლელს, ისეთივე საზარელი სიკვდილით არ მოვკვლავ, როგორითაც თქვენ გაგიმეტეს სასიკვდილოდ, სანამ ეს ჩემი სისხლი თქვენს შუბლზე წაიშლება, ან მივაღწევ საწადელს და ან თქვენთან მოვალ შერცხვენილი, ვეცდები კი, ვალმოხდილი მოვიდე და თქვენს სულს ისეთივე დედური სიყვარულით ვუპატრონო, როგორითაც ვპატრონობდი ამ ქვეყნად, ვიგლეჯ თმას და გატანთ იმ ქვეყნად თმასა და სისხლს ფიცის სიმტკიცისათვის – ეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა ფერიდეს, რომ თმები ორივე ხელით ჩამოიგლიხა და მიცვალებულთ მკერდზე გადააფინა...

ვიღაცას გული შეუწუხდა, ეზოში გაიტანეს. ,,შალვა თოდაძის დედაო" თქვა ისევ ვიღაცამ, – ,,ნეტავი აქ რას

მოეთრეოდა?“ – გამოეპასუხა მეორე, – „მართლაც და როგორ მობედა“, – თქვა მესამე ხმამ... – „კარგით ხალხო, არა გრცხვენიათ?“ – თქვა არც თუ სრული ტანის წარმოსადეგმა ყმაწვილმა, – ნუთუ ბალადა მაინც არ წაგიკითხავთ „ვეფხისა და მოყმისა“, დედა, დედაა! და დედასთან მოვიდა, სამძიმარი რომ უთხრას ჭირის, რომელ დედას უნდა ცუდი შვილი აღზარდოს, მაგრამ ყოველთვის ისე როდია, როგორც ვოცნებობთ“.

– მაგ ერთი შვილი ჰყავდა მაკრინეს, შალვა? – იკითხა ვიღაცამ.

– არა, უფროსი ქალიშვილი ჰყავს, თეონა, ჭიათურაში არის გათხოვილი...

მიცვალებულთა გამოსვენება დაიწყეს, სადგომი ეზოში დაასვეენეს, პირველად დეპეშები წაიკითხეს, შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვით გამოვიდა მრავალი. დასრულდა ყოველივე... ნელ– ნელა დაიშალა ხალხი, ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, მიცვალებულს მიწას აბარებენ და ჭირისუფალს ღვთის ანაბარა ტოვებენ...

ღვთის ანაბარა დარჩა ორი ახალგაზრდა ქვრივი, ქმარ– შვილით მოამაყე დედები დღეს უქმარშვილოდ და უნუგეშოდ დარჩენილან სათნო არსებანი, ორმოცი დღე შესტიროდნენ ერთი– მეორეს ყოველგვარ იმედდაკარგული სიყვარული და სათნოება. თუ გულში მწუხარების ჭიამ დაიბუდა, ძნელია იმის ბედის დანგრევა და გულიდან გამოდევნა. ბედნიერია ადამიანი, ვისაც სიცოცხლის მეტი არაფერი აქვს დანაკარგი. მაგრამ უბედურია ის, ვისაც მწუხარება აქვს დასაკარგი და თავისი ცრემლი, უდიდეს ბედნიერებაზე მეტად უღირს... დედას სასაფლაოზე სიარულიც უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს, როდესაც შვილის გულზე დაყრილ ცრემლით ასველებს, წარმოდგენაში თავის ორგანიზმიდან გადმოდენილ სითბოს შვილს უნაწილებს, ვარდებს რომ რგავს, თითქოს თმებში უბნევს საყვარელ პირმშოს...

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ, როგორც ქრისტიანული სარწმუნოება ითვალისწინებს სული და ოჯახი

გაცილებას უწყობს... ისევ შეიკრიბა ოჯახის უალოესი კეთილ–ნათესაობა ანუკის ოჯახში და ნაკურთხ მაგიდასთან მიცვალებულთა გამოსათხოვარი სადღეგრძელო შეისვა... დაკრძალვის დღესავით აქაც მალე დასრულდა ყოველივე და გაიკრიფნენ ჭირისუფალთა სანუგეშოდ მოსული ადამიანები. ისევ სიმარტოვე, დარდი და ცრემლი დარჩა ნუგეშად ორ თალხით მოსილ ოჯახში, მაგრამ არა! თითქოს ღმერთის შთაგონებას ასრულებს ფერიდე, ანუკი პირისპირ დაისვა და უთხრა:

– გახსოვს, დაკრძალვის დღეს, როგორი სიტყვა მივეცი შვილებს?

– აღარაფერი აღარ მახსოვს, დარდი მომერია ფერიდე, თუმცა იმას კი ვიხსენებ, რაც გამოსვენების დღეს თქვი: „უნდა მოეკლაო ამათი მკვლელი“. ეჰ, ჩემო დაიკო ჩემო მეგობარო, ჩემო ჭირ– ვარამის გამზიარებელო, ჩემო ფერიდე, ოცნებით რომ სისხლისღვრა სრულდებოდეს, ომები მოგონილიც აღარ იქნება. ჩვენი შვილების მკვლელები, საიმედო ადგილზე არიან გამომწყვდეულნი. მათ სიცოცხლეს სახელმწიფო იცავს და ასე რომ, საფრთხეც არ ემუქრებათ. გაივლის წლები, ისინი თავიანთ ოჯახებში დაბრუნდებიან და ცხოვრებას გააგრძელებენ, ჩვენ კი თუ ცოცხლები ვიქენით, ქალის იარაღით, წყევლითა და ცრემლით შევხვდებით მათ, მხოლოდ და მხოლოდ ეს იქნება ჩვენი მხრიდან შურისძიება...

– დარდს აყოლილხან ანუკი! მიკვირს, შენს ორგანიზმში რად არ იღვიძებს შურისძიების გენები, რომლებიც უხვად გააჩნია დედას, ჩვენ სიხარულმკვდართ, იმედს გვგვრის ოცნება, რომელსაც ასრულება უწერია და არა დარდი, დამოკიდებული გარემომცველი სინამდვილის მიმართ, რომელსაც არავითარი ფიქრის განხორციელება არ უწერია. თითოეულ ადამიანს ბედნიერება უნდა მიანიჭოს შესრულებულმა ქმედებამ და არა სხვისმა მაგალითმა, თუ როგორ შეიძლება შესრულდეს ესა თუ ის ქმედება.

– ადამიანი ხშირ შემთხვევაში ვერ ამჩნევს თავის უძლურებას და თავი უბედური არ ჰგონია. შენ ქალი ხარ, მრავალ

ჭირსა და განსაცდელგამოვლილი და ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ არ შეგწევს შურისძიების ფიზიკური ძალა.

— ვინ გითხრა რომ არ შემწევს, ხომ გეუბნები, შურისძიების გრძნობით მხეცი გააღვიძე დედის ორგანიზმში და დედისათვის შეუძლებელი არაფერი იქნება.

— მაგ გრძნობების გაღვიძება მოჩვენებითია, ეს მხოლოდ ბოროტი ფიქრის შედეგია და მეტი არაფერი. შენ თუ გინდა შვილების მკვლელზე შურისძიება, ფიზიკურად განადგურების გარეშეც, შეიძლება!

— როგორ?

— დავძლიოთ მწუხარება. ხშირად ვიაროთ მათ განსვენების ადგილზე, გავალამაზოთ და გავაკეთილშობილოთ მათი სამუდამო განსასვენებელი, ერთი— მეორე არ მივატოვოთ და ასე განვლიოთ დარჩენილი სიცოცხლის დღენი.

— ანუკი, შენ ღმერთისაგან ნაბოძებ კეთილშობილებაზე მაღლა იმყოფები, საკუთარი ან ოჯახური კეთილშობილებით, მაგრამ კეთილშობილება, მაშინ არის ყველაზე მაღალი ღირსება, როდესაც მისი გარდაქმნა შეგვიძლია ბოროტქმედებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი კეთილშობილება ნისლით იქნება დაბურული და ყველასათვის უხილავი. არ გეუბნები, შენი ფაფუკი ხელები სისხლში გაისვარო და შური იძიო შვილების მკვლელებზე, ამას მე თვითონ შევძლებ! მაგრამ, თუ ოდესმე სულიერი დახმარება დამჭირდა, არ მიმატოვო, გვერდით დამიდექი!

— მე მზად ვარ გემსახურო, მხოლოდ თვითონ არ მიმატოვო, ჩვენ მომავლის იმედს ნულარ ვიქონიებთ, ერთ— ერთი სახლი, თავისი ავეჯითა და ეზო— საბადებლით გავყიდოთ და დარჩენილი სიცოცხლის ცრემლიანი დღენი ერთად გავატაროთ...

— ამ სახლს, რომელიც არჩილ ცხადაძეს ეკუთვნოდა და სადაც ჩემს ერთას უნდა ეცხოვრა, ვერ გავყიდით! ჩვენი სიკვდილის შემდეგაც არავინ დასახლდება აქ, რადგან უიღბლო სახლის სახელით იქნება ცნობილი, წლები კი შემდეგ

ჩამოანგრევს სახლის სახურავს, მიწასთან გაასწორებს ბალავერს და წაშლის ჩვენს ნაკვალევს და რადგან ორ სახლს ვერ მოვუვლით, ჩემი გიორგის სახლს გავყიდი, მისი მკვლელების სიკვდილს მოვახმარ!

– კი ბატონო! მხოლოდ ტვინიდან ამოიღე ეს რაღაც შურისძიება აგკვიატებია, სირცხვილია, მგლოვიარე დედას სისხლში ხელების გასვრა ნამდვილად არ ეკადრება, თუმცა მიზანს მაინც ვერ მიაღწევ, რამეთუ მკვლელები მსჯავრდებულნიც არიან და საიმედოდაც გამოკეტილნი. შენ მხოლოდ ციხის ან კოლონიის გარშემო სირბილი მოგიწევს და სწორედ ეს არის მგლოვიარე ქალის სირცხვილი...

– როდესაც ჩემს გიორგიზე ვიყავი მგლოვიარედ, თვრამეტი წელიწადი შინიდან გარეთ არ გამოვსულვარ და ჩემი სახე არვის დაუნახავს, ახლა კი სისხლი მეძახის და შეიძლება ძაძებიც გამახდევინოს შინაგანმა გამოძახილმა, რადგან ვიცი, როგორი სირცხვილიც არ უნდა დავიტეხო თავზე, ყოველთვის დავიტოვებ იმის შესაძლებლობას, რომ აღვიდგინო საკუთარი სახელი და ხალხს დავანახო ჩემი ნამდვილი სახე!

– მკვლელი დაწყევლილია და მკვლელობაზე ფიქრიც კი შეცოდებაა, მღვდელს მაინც ჰკითხე რჩევა– დარიგება...

– ვის? რომელ მღვდელს? რომელიც გახრწნილებისა და მკვლელობების მაფიას ხელმძღვანელობს? რომელიც ქადაგებს ღმერთის არსებობაზე და სატანის სამსახურში იმყოფება?

– ნუ სცოდავ ფერიდე! მღვდელი ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალია!

– იყო შუამავალი, ხალხსაც სწამდა მათი, მაგრამ უმეტესობა ეშმაკმა გადაიბირა თავის მხარეზე და ახლა სატანის სამსახურში არიან.

– შეიძლება მართალს ამბობ, მაგრამ ჩვენ, საქრისტიანოს, არ გაგვაჩნია სხვა წინამძღოლი და უნდა დავენდოთ მათ, ვინც უფალს მოუვლინებია...

– ან უფალმა რა მოგვცა გლოვისა და ტანჯვა– წამების მეტი? შენი ფიქრები ღმერთის სამსახურში მოხვედრას ოცნებობს, მაგრამ ვერ ამჩნევ, რომ სულში ეშმაკშემძვრალმა მღვდელმა, უფლის სასახლის კარები გამოიხურა. ღმერთის სიყვარული ადამიანის სიყვარულთან ერთად დაიბადა „გიყვარდეს მოყვასი გენი“ და ნუ მიწყენ, თუ სიმართლეს გეტყვი, რომ ადამიანის სიძულვილთან ერთად კვდება ღმერთის სიყვარულიც, ჩემში კი, მომავლის რწმენა როდესაც მოკვდა, მაშინ დავასაფლავე ადამიანთა სიყვარულიც, ვერ გამიგია, შენ რომელი რწმენა და ვისი სიყვარული დაგრჩენია...

– „გონებაშეზღუდული ადამიანები გმობენ ყველაფერს, რაც მათი თვალსაწიერის ფარგლებს სცილდება“. საკუთარ თავში ზრუნვის იმედი დიდი ხანია მომიკვდა, ახლა ჩემი ფიქრი შვილებს დაფოფინებს, არაფერი ჩავიდინო ღმერთის საწინააღმდეგო და არაფერი ვავნო იმათ სულს...

ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მათი აზრთა კამათი... ამ საკითხზე რევოლუცია მოხდა რუსეთში, არ არის ადვილი, ურწმუნო ადამიანს რწმენა ჩაუნერგო, ფეხს რომ წამოჰკრავს და ღვთის რისხვად ეჩვენება, რადგან ჰგონია, ღმერთია ყველაფერში დამნაშავე, მას შვილის მკვლელის სიყვარულს ვერ გაათავისებინებ, ხოლო მეორეს, თუ თავისი დღენი ღმერთთან ლოცვაში გაუტარებია შვილის საკეთილდღეოდ, მას ვერ შთააგონებ ღმერთის სიძულვილს და შვილდაღუპული დედაც ისევ ღმერთთან ლოცულობს შვილის სულის სასუფეველში მოხვედრას. ჰო, ვინც ღმერთთან მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული, მისავე სამსახურში რჩება, ასეთია რწმენის სიძლიერე, მაგრამ ვისაც ცხოვრებამ სიდუხჭირე არგუნა და რწმენის არჩევანში მერყეობა დაიწყო, იმისთვის, ადვილია დაჰგმოს მომავლის შიში, რადგან, სხვადასხვა უმნიშვნელო განსაცდელს რომ შეეჩვევიან, ისეთნაირად იწრთობიან სულით, რომ შემდეგ თამამად ეგუებიან უფრო დიდ განსაცდელს... ასეთია სიკვდილით, ორი ერთნაირად დაჩაგრული დედის განცდა

და ორგანიზმში მხეცგაღვიძებულმა ფერიდემ, ორმოცი დღე სახლმიტოვებულმა შეაღო საკუთარი ეზოს ჭიშკარი, მაშინ როდესაც ერთი დღეც არ დაეტოვებინა იმის შემდეგ, რაც აქ გიორგის მოეყვანა. თავს დაფოფინებდა, ყოველ ხეს თუ ვარდის ბუჩქს შვილის სახელს არქმევდა... დღეს ყოველი ნაცნობი ნივთი უცხოდ მოეჩვენა, რადგან ღრმად გადაეწყვიტა წარსულის დავიწყება, დღემდე თუ შვილის მოლოდინში მარტოობას ვერ გრძნობდა, დღეს გულში სიცარიელე იგრძნო და დაცარიელებულ სახლს მოზღვავებული ცრემლი აპკურა.

– დამავიწყდა, როდის იყო შვილო შენი აქ მოსვლა უკანასკნელად, არ მჯერა, რომ აქ შენ ვეღარასოდეს ვეღარ გაივლი, შენც მამაშენივით ახალგაზრდამ დატოვე საკუთარი შემოგარენი, დამიტოვე ცრემლი და მწუხარება, მაგრამ შენი სახლის ზღურბლზე კიდევ გაძლევ ფიცს, რომ ისეთივე საზარელი სიკვდილით ვიმსხვერპლებ შენს მკვლელს, როგორითაც შენი სიცოცხლე მოჰგლიჯეს ჩემს გულს, ვკოცნი შვილო შენს ფეხის ნადგამ მიშას, შენს სახელთან გაიგივებულ მოწყენილ ვარდებს და როდი გპირდები შერცხვენილი გამოგეცხადო, არ ვჩქარობ შენთან მოსვლას, რადგან მინდა, ვალმოხდილი წარმოვდგე შენი სულის წინაშე...

ფერიდეს ტირილზე მეზობლები შეგროვდნენ. თანაგრძნობით აცრემლდა დიდი და პატარა. შემდეგ თანდათან დაცხრა აბობოქრებული გრძნობა და შეწყდა მოზღვავებული ცრემლი...

– მეზობლებო! – ნამტირალევი, მაგრამ ჩახლეჩილი მკაცრი ხმით თქვა ფერიდემ, – ყველასათვის მიმიტევებია, თუ რამ გიწყენინებიათ ქვრივ– ბლისათვის ჩათვალეთ, რომ ჩემი ცხედარიც ეკასთან ერთად გაიტანეს. ხვალ უკანასკნელად იხილავთ ჩემს სახეს, მაგრამ სანამ გამოგემშვიდობებოდეთ, ჩემს ეზოში აუქციონზე გავყიდი რაც გამაჩნია, ადგილ– მამულის ჩათვლით. გთხოვთ, მობრძანდეთ დილით თერთმეტი საათისათვის.

აქ, საჭირო არ იყო გამომძიებლის გამჭრიახი მზერა. გამოუცდელი თვალიც ადვილად შეამჩნევდა, თუ როგორ გამოცვივდა თვალთაგან ნაპერწკლები სამ ადამიანს – გიორგის ორ ძმასა და ერთ ბიძაშვილს, რომელთაც დიდი ხანია თვალი ეჭირათ გიორგის კარ– მიდამოზე, რათა გაეფართოვებინათ თავიანთი შემოგარენი და „სამართლიანადაც“ წუხდნენ, რომ გიორგის ქოხი აუშნოებდა მათ სასახლეებს, ახლა კი გაიხარეს, გაქრებოდა ქოხი ფერიდესთან ერთად, მაგრამ ვინ გაიმარჯვებდა სამთა ბრძოლაში?

სამ ადამიანს თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად, მთელი ღამე არ სძინებიათ. აწყობდნენ ხვალინდელი დღის გეგმას, თითოეულს სიხარბის ცეცხლი ჰქონდა შენთებული და მიზნად დაისახეს – გამარჯვება! შუაღამე გადასული იყო, როდესაც გიორგის ძმამ, ფერიდეს კარებზე დააკაკუნა, ის მეუღლესთან ერთად მოსულიყო, თავისი სიხარბის ჭია ულრღნიდა გულს, მაგრამ ფერიდესათვის თავი ისე უნდა მოეჩვენებინა, რომ თითქოს მწუხარებისაგან აღარ იყო, ამიტომ, გველური ენა აასავსავა შხამში და გესლში ალესილი.

– ფერიდე, ძალიან გვიმძიმს თქვენი აქედან წასვლა, სად უნდა წახვიდე გოგო, რაც არ უნდა იყოს, ჩვენ აქა ვართ შენი ერთგული მაზლები, ჭირსა და ლხინში გვერდით დაგიდგებით და ნუ გაყიდი შენს ნაწვალებ კერას.

ფერიდემ წარსულ წლებს გადახედა, გაისენა, თუ როგორ სცემა და აიძულებდა სწორედ ეს მაზლი, რომ აქედან „წათრეულიყო“ ახლა კი გულშემატკივრის ნიღაბი მოურგია და აქ დარჩენას ეხვეწება. ფერიდემ იცის, რომ ეს სიყალბეა და მტკიცედ ეუბნება:

– მე ვთქვი, რომ ხვალ დილით აუქციონზე გავყიდი ყველაფერს, რაც გამაჩნია. –

– მაშინ, თუ შენსას არ დაიშლი, სხვას ნუ შემოუშვებ ამ ეზოში, ვენ შევისყიდით, – უთხრა მაზლმა, მაგრამ მეუღლემ სიტყვა არ დაამთავრებინა და ქმრის მაგივრად გააგრძელა:

– ჰო, სხვას ვერც შემოუშვებთ, კანონით ჩვენ გვეკუთვნის და აბა აქ სხვა როგორ შემოვა? ან რად უნდა ყიდვა– გაყიდვის აუქციონი? აგერ ჩვენ წამოღებული გვაქვს ფული და ამ წუთში მოგითვლით ეს კი არაფერია აქ, მაგრამ ჩვენ გეცოდები და იმაზე მეტს მოგცემთ, რაც გეკუთვნის, – ფერიდეს მწარე ღიმილმა გაუპო ბაგე, გაახსენდა, თუ როგორ უკეტავდა ბეღელში ლუკმა მჭადს პატარა ბავშვიანს და მტკიცედ განაცხადა:

– მე ვთქვი, ხვალ აუქციონზე გავყიდი– მეთქი, – მაზლმა პირი დააღო, კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ისევ ფერიდემ დაასწრო:

– ახლა გთხოვთ, წაბრძანდით, თორემ შენი ძმა ცოდვა არის, ის გარეთ შენს გამოსვლას ელოდება, რომ შემოვიდეს ჩემთან მოსალაპარაკებლად.

– მოვკვლავ! – წამოიძახა მაზლმა და კარები ისე მძლავრად გაიხურა, კინაღამ ჩარჩოიანად ჩამოვარდა.

– შემოდი აქ! – ცეცხლი დააკვესა ფერიდემ. მაზლს ეგონა, რაღაც ჩემს სასარგებლოდ მოიფიქრაო და ოთახში შემობრუნდა.

– კარები წყნარად გაიხურე! – კბილებში გამოსცრა ფერიდემ. მაზლმა გაკვირვებულად შეხედა. გაიფიქრა – „ეს რას მიბედავსო“, მაგრამ ნადირის თვალებს წააწბდა ფერიდეს ორგანიზმში ჩასახლებულს და შიშმა შეიპყრო. კარები წყნარად გაიხურა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ფერიდე არ შემცდარა, კარების დახურვაც ვერ მოასწრო, რომ აივანზე მეორე მაზლმა შემოაბიჯა თავის მეუღლესთან ერთად.

– მობრძანდით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! – თქვა ფერიდემ და ოთახის კარები ფართოდ გამოაღო. თითქოს ერთი მოხსენება ჰქონოდეთ დაწერილი, მეორე მაზლმაც პირველი მაზლის სიტყვები გაიმეორა. ფერიდესაც არ შეუცვლია ჩვენება და იგივე სიტყვები გაიმეორა. ფერიდესაც არ შეუცვლია ჩვენება და იგივე სიტყვები წარმოსთქვა, რაც პირველ

მაზლთან. თუმცა შეიძლებოდა ამას უფრო მკაცრად დახვედროდა, რადგან მეტი სიმწარე ახსოვდა ამ უკანასკნელისაგან. მეორე მაზლმა კარები წყნარად გაიხურა. ფერიდე ლოგინზე დაეგდო და მწარედ აქვითინდა.

როდესაც ტირილით გული იჯერა და ცრემლმა ცოტად თუ ბევრად დაამშვიდა, ადგა და ნივთების შეგროვება დაიწყო: პირველად სხვენზე ავიდა, ჭერსა და სახურავს შორის, საიდუმლო შესანახი ადგილი მოძებნა და ოციოდე წლის წინათ გიორგის მიერ შენახული ნაგანი თავისი ასი ცალი ჰილზით გადმოიღო – „უჰ, როგორი მძიმე ყოფილა, ნეტავი მოვიხმარ?“ – გაიფიქრა თავისთვის და ჩანთაში შეინახა, შემდეგ ყოველი ნივთი, რომელიც ეკას ეკუთვნოდა, შეაგროვა და უზარმაზარი ფუთა შეჰკრა, თითქმმის ყველა საქმე მოამთავრა და ირიჟრაჟა კიდეც რომ იფიქრა ახლა ცოტას დავისვენებო. სწორედ ამ დროს გაისმა კარებზე კაკუნი. არ შეკითხვია „ვინა ხარო“, ოთახის კარები ფართოდ გამოაღო და, აი საოცრება, ოცი წლის მომდურავი, ქმრის ბიძაშვილი შერჩა ხელში.

– ფერიდე, გოგო! – დაიწყო გიორგის ბიძაშვილმა, – რატომ გადაგიწყვეტია აქაურობის გაყიდვა. დაფიქრდა, ნუ აინგრევ ბუდეს, ვინ იცის, როგორ შემობრუნდება ეს ცხოვრება, არ ინანო შემდეგ...

ფერიდეს გაახსენდა, თუ რამდენჯერ შემოურღვია ღობე და ეზოში პიურტყვები შემორეკა. გაახსენდა, როგორ ემუქრებოდა სიკვდილითა და გაუპატიურებით, რათა მიეტოვებინა ოჯახი და თავისი ეზო გაეფართოვებინა. დღეს მოდის და უხვად არიგებს რჩევა– დარიგებას.

– არა, გადავწყვიტე უნდა გავყიდო! – უთხრა ფერიდემ.

– თუ შენსას არ იშლი, იცოდე, ჩემს მეტს არავის მიჰყიდო, მართალია, დაო, შვილი დაგეღუპა და მე სამძიმარზედაც ვერ მოვედი, მაგრამ გამოვასწორებ ჩემს შეცდომას.

– შენ არც მაშინ ყოფილხარ სამძიმარზე, გიორგი რომ მომიკლეს.

– ჰო, მაშინაც გადაუდებელი საქმე მქონდა, მახსოვს...

– შენ შენი ტკივილი გტკივა მარტო, არც ახლა მოხვიდოდი, რომ ჩემი შემოგარენის მუქთად ხელში ჩაგდება არ გინდოდეს.

– ჩავიგდებ კიდეც, შენ ვინ მოგცა უფლება, მიწას რომ ყიდი? აიღე შენი ქოხი და წაეთრიე სადაც გინდა, აქ ჩემს მეტი ვერავინ ვერ შემოიხედავს, ციხეში ამოგალპობთ ყველას, ვერ მასწავლით მე თქვენ კანონებს, აბა გაბედე და სხვა შემოვიდეს ამ შემოგარენში, ვნახოთ მერე!

– გადი გარეთ და კარები წყნარად გაიხურე! – უთხრა ფერიდემ და ცრემლებისაგან ჩასისხლიანებული თვალები შეანათა. არა, ეს არ იყო იმ საცოდავი ფერიდეს თვალები, სოფლიდან გაგდებას რომ უპირებდა ერთ დღეს: – „ბავშვს მოგიკლავო“ – ისიც კი უთხრა და მთელი თვე სახლში იყო ჩაკეტილი. შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა. ახლა კი ეს თვალები შურისძიების ცეცხლით გიზგიზებს, მაგრამ სიხარბე მაინც მაცდუნებელია, თუგინდ სიცოცხლეც რომ შესწიროს, ეს კარმიდამო უნდა ჩაიგდოს ხელში. გიორგი რომ მოკლეს, უჰ, როგორ გაიხარა მაშინ, მიცვალებული ავტომობილიდან არ გადმოასვენებინა მეზობლებს, სახლში გაიქცა და თავის ორეულთან სიმღერა და ცეკვა– თამაში გამართა. ეგონა ახალგაზრდა ქვრივი, თავის გზას მონახავდა და თვითონ თავის შემოგარენს გააფართოვებდა, მაგრამ შეცდა, ფერიდემ კდემამოსილი დედის სახელი მოიხვეჭა და ტანჯვა– წამებით სასახელო შვილი გაზარდა.

ფიქრებში ჩაძირული, მკაცრმა ხმამ გამოაფხიზლა:

– გადი გარეთ!– გაიმეორე ფერიდემ და ისიც მუქარით გავარდა ეზოში.

გათენდა კიდეც, ფერიდემ მეზობელს გადასძახა: – „ცოტა ხანში გადმოდიო ჩემთან“ – არ დაუყოვნებია, ეახლა მეზობელი.

– ვალიკო, ერთი თხოვნა შემისრულე, – უთხრა ფერიდემ მუზობელს, – მთავრობაში გამეგზავნე, უთხარი თავმჯდომარ-

ეს, რომ უძრავ– მოძრავ ქონებას აუქციონზე ვყიდი. წამოიყვანოს მიწათმომწყობი, მდივანი და სხვა საჭირო პირები და აუქციონის თავმჯდომარეობა იკისროს.

– კი ბატონო, როგორ დაგამადლი, ბავშვებს გეფიცები ძალიან კი მენანები, მაგრამ ახლავე შევასრულებ თქვენს თხოვნას, – უთხრა ვალიკომ და ეზოდან გადავიდა.

მართლაც არ გაუვლია დიდ დროს, ფერიდეს ჭიშკართან მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა და ექვსი ადამიანი ეზოში შევიდა, თავმჯდომარე საქმის ვითარებას გაეცნო, ჩაფიქრდა და შემდეგ ბრძანა: ეზოში მაგიდა და სკამები გამოეტანათ. ეზო მეზობლებით გაივსო. ყველას აინტერესებდა, თუ ვის დარჩებოდა ფერიდეს ადგილი, სამფლობელო, მაგრამ სანამ თავმჯდომარე საქმეს შეუდგებოდა, ფერიდემ ყველას გასაგონად გამოაცხადა:

– მეზობლებო, მთელი ჩემი ახალგაზრდობა თქვენთან გამიტარებია, მიძნელდება თქვენთან განშორება, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს, ვყიდი ყველაფერს, ჩემს უძრავ– მოძრავ ქონებას...

– სახელმწიფო მიწა არ იყიდება! – წამოიძახა გიორგის ბიძაშვილმა კალისტრატემ და ფერიდეს სიტყვა შეაწყვეტინა.

– მიწას არ ვყიდი! – უპასუხა ფერიდემ, – მე ვყიდი მიწაზე გაშენებულ ხეხილის ბაღს, ვენახს, სამზარეულოს, საქათმეს, სასიმინდეს, ბეღელს, საღორეს, პირუტყვთა თავლას და სხვას...

– წაიღე რაც აგიშენებია და დაგირგავს, ორ ძირ ვენახთან მიწის გაყიდვაც მომინდომა ახლა! – ისევ წამოიძახა კალისტრატემ, მაგრამ ამჟამად თავმჯდომარემ გადახედა ბრაზიანი თვალით და გააფრთხილა.

– თუ მუშაობაში ხელს შემიშლი, აუქციონიდან გაგაძევებ! შპიონობაში და ინტრიგანობაში გაგიტარებია შენი დღენი. შვილდაღუპულ დედასაც არ ინდობ! – ფერიდემ სიტყვა გააგრძელა:

– დიახ, მეზობლებო, როგორც მოგახსენეთ, ვყიდი ყველაფერს, რაც ჩემს განკარგულებაშია, მხოლოდ არ ვყიდი სახლს!..

– მაშინ სახლი დღესვე წაიღე აქედან! – ისევ წამოიძახა კალისტრატემ.

– დღესვე წავიღებ! ყოველ შემთხვევაში, მოგაშორებთ. დღეის შემდეგ ჩემი ქოხი თვალში აღარავის გაეჩხირება, – თქვა ხმის კანკალით და ცრემლმა ქუთუთოები დაუნამა.

თავმჯდომარემ ფირფიტას ჩაქუჩი ჩამოჰკრა, სიწყნარე მოითხოვა და გამოაცხადა:

– როგორც თქვენთვის ცნობილი გახდა, იყიდება ფერიდე წერეთელი– ასანიძის უძრავ– მოძრავი ქონება, საცხოვრებელი სახლის გარეშე, საწყისი ფასი – სამი ათასი ამერიკული დოლარი.

– ვაი, თქვენს პატრონს, სამი ათას დოლარს ვინ მისცემს ამ ფუქსავატ ავლა– დიდებაში! – წამოიძახა კალისტრატემ, მაგრამ იმისი ხმა ფერიდეს უმცროსმა მაზლმა, ანზორმა, გადაფარა:

– მე ვიძლევი სამი ათას დოლარს!

– სამი ათას ხუთასი! – დაიძახა ფერიდეს მაზლმა გიომ.

– შეჩერდით! – ბრძანა კალისტრატემ, – მე ვიძლევი სამი ათას დოლარს, მხოლოდ ნაწილ– ნაწილ გავისტუმრებ!

– აუქციონი ადგილზე ნაღდი ანგარიშსწორებით ვაჭრობს! – გამოაცხადა თავმჯდომარემ და განაგრძო:

– სამი ათას ხუთას ერთი, სამი ათას ხუთას ორი! ოთხიათასი, – დაიძახა ანზორმა და აუქციონის მაგიდისაკენ წამოიწია.

– ხუთი ათასი, – დაიძახა გიომ და ხეს ისე ძლიერად შემოჰკრა მუშტი, რომ ფოთლები შრიალით ჩამოცვივდა.

– დაგრჩა ოხრად – წამოიძახა ანზორმა და გაეცალა.

– ფულით მაჯობა ახლა ამან ხომ? გიტანს მაგ ეზო შენ თან! – წამოიძახა კალისტრატემ და თავზე ხელებშემოჭდობილი კიბეზე ჩამოჯდა,.

თავმჯდომარემ კი გამოაცხადა: – ხუთი ათასი ერთი, ხუთი ათასი ორი, ხუთი ათასი გაიყიდა!

ადგილზე გაფორმდა სათანადო საბუთები. მოხდა ანგარიშსწორება. ფერიდემ ხუთი ათასი დოლარი მიითვალა, ჩანთაში ჩააწყო და სახლში შევიდა. ოცლიტრიანი ბალონი აიღო და ბენზინი სახლს გარშემო შემოასხა, დარჩენილი, აივანზე დაღვარა და წელში გაიმართა.

– საყვარელო მაზლო, შენ მაინც ეღირსე ბედნიერებას ამ ეზოგარემოში, ნუ მიწყენ როცა ამ სახლს, უბედურების ბუნაგს ვწვავ, რათა ცეცხლმა შთანთქას ის ჯადოც, რომელიც აქ არის სადღაც ჩამარხული, მოშენდით და იხარეთ! – თქვა ფერიდემ და აკანკალებული ხელით გაკრა ასანთი. ნახევარ საათში ბეკონ– ბოკონი დარჩა მხოლოდ, რომელზედაც ფიცრული ოდა– სახლი იყო შედგმული, ქარმა გაფანტა ნაცარი და ფერიდეს ნაკვალევიც, მაგრამ როდი წაიშალა მისი ლეგენდარული მოგონება, დღესაც კელაპტრად რომ ანთია სოფელში.

სოფლიდან წამოღებული ნივთები ფერიდემ ეკას ერთოთახიან ბინაში მიიტანა, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. ცრემლით დანამა ოთახის ყოველი კუთხე და კარები გამოიხურა.

– სად ხარ აქამდის, გოგო! – უსაყვედურა ანუკიმ, როგორც კი ეზოში შემოსული ფერიდე დაინახა.

– რამდენი ხანია, გუშინ წავედი და დღეს მოვედი. უკანასკნელად მოვისიყვარულე ის ადგილები, სადაც ახალგაზრდობა გამიტარებია.

– ღამე მაინც ნუ მიმატოვებ, თორემ თავს რაღაცას მოვუხერხებ და შენი საწვალებელი ვიქნები.

– „თავის მოხერხება“ კი არა, თუ ქალი ხარ შავი ფიქრები ამოიღე გულიდან და გვერდით დამიდექი. მუდამ გახსოვდეს, რომ ჩვენ ერთი ორგანიზმი გვაქვს. შენი ცუდი ზრახვანი ჩემზეც გადმოდის და ერთ– ერთის დაღუპვა, ორივეს დაღუპვას ნიშნავს, ორივეს დაღუპვა

კი იმ ფიქრების გაცურებას, რომელიც წამოწყებული მაქვს.

– რას ფიქრობ, ნეტავ ვიცოდე, რომ მეც გავიზიარო შენი ზრახვანი.

– მალე გაიგებ. ზოგს გეტყვი და ზოგიერთს თვითონ დაინახავ. მეორე დღეს ანუკი და ფერიდე ბაზარზე წავიდნენ პროდუქტის საყიდლად, მაგრამ საჩხერეში სასურველი პროდუქტი რომ ვერ შეიძინეს, ჭიათურაში წასვლა გადაწყვიტეს ტროლეიბუსში თავისუფალ სკამზე დასხდნენ და ყური მიუგდეს სკასავით მოფუსფუსე ხალხს

ანუკისა და ფერიდეს წინ, სკამზე ორი ახალგაზრდა იჯდა. ისინი წყნარად საუბრობდნენ.

– მუშაობ სადმე? – შეეკითხა ერთი მეორეს.

– არა, ვსწავლობ!

– სად, რომელ სასწავლებელში? –

– ჭიათურაში, სტადიონზე, არალეგალური სკოლაა გახსნილი, კარატეს შემსწავლელი, და იქ ვსწავლობ, თუ გინდა შენც გიშუამდგომლებ.

– კარატეს შემსწავლელ კურსებზედაც პროტექტორობაა საჭირო?

– არის კი არა, ძალიან არის, არალეგალურია– მეთქი რომ გეუბნები, არ გესმის.

– მაგას არ ჯობს, დღეს რაიმე სპეციალობა შეიძინო და თავი ირჩინო? კარატე რაში უნდა გამოიყენო, თუ ვინმეს გალახავ, დაგიჭერენ, კანონს ვერ მოერევი.

– თუ კარგი მონაცემები აღმოგაჩნდა, სამსახურით თვითონ მასწავლებელი გაკმაყოფილებს საზღვარგარეთთან აქვს კავშირი და მივლინებით გაგზავნის.

– საინტერესოა, ფული რამდენია წინასწარ შესატანი? –

– ოცდაათ ამერიკულ დოლარს თვითონ იძლევიან სტიპენდიის სახით.

– ვერაფერიც ვერ გავიგე, რა ამოძრავებს შენს მასწავლებელს, გასწავლოს და კიდევ ფული გაძლის აქეთ?

– არ ვიცი, შემეშვი რა, ისედაც ბევრი გითხარი. ამ საკითხზე ლაპარაკი აკრძალული გვაქვს და თუ კაცი ხარ, არავისთან წამოგცდეს რამე.

ფერიდეს გაეცინა. რაც მოისმინა, ესიამოვნა. ასეთ სკოლას დაეძებდა და თითქოს ღმერთმა გამოუგზავნა ეს ახალგაზრდები. ტროლეიბუსი ჭიათურაში კულტურის სასახლესთან გაჩერდა. ყმაწვილი ბიჭები ჩამოვიდნენ, ერთიმეორეს გამოემშვიდობნენ და ერთ– ერთი მათგანი ფეხით წავიდა ფეხბურთის სტადიონის მიმართულებით. ფერიდემ თვალი გააყოლა. სახე დაიმახსოვრა და ხიდზე გადარბენით გზა მოუჭრა ახალგაზრდას.

– ყმაწვილო, ერთი წუთით, თუ შეიძლება! – უთხრა და წინ გადაუდგა ახალგაზრდას.

– გისმენთ და გემორჩილებით, ქალბატონო!

– როგორც ჯობდეს, ისე გამიგე. გინდა დედაშვილურად ვილაპარაკოთ, თუ გინდა და– ძმურად,. უარს ნუ მეტყვით, ვიცი, თქვენ კარატეზე ვარჯიშობთ და ძალიან გთხოვთ, თქვენი მასწავლებელი გამაცნოთ...

– რაო? კარატე? რა არის, ქალბატონო, კარატე? გეფიცებით, პირველად მესმის ასეთი სიტყვა და აზრზე არა ვარ, საჭმელია თუ სასმელი.

– დარწმუნებული ვარ, თქვენ მარტო ჭიდაობას არ გასწავლიან, ნებისმიერ სკოლაში ზნეობის ლექციებსაც უკითხავენ, არ შეიძლება შენ ლმობიერი გული არ გქონდეს, არ წარმოიდგინო ჩემს ადგილზე საკუთარი დედა, რომელსაც შვილი მოუკლეს და უნდა შური იძიოს...

– რას მთხოვთ, ქალბატონო, ვერ გავიგე, თქვენი შვილის მკვლელი მოვკლა? –

– არავინ გთხოვთ, ჩემს მაგივრად მკვლელობა ჩაიდინოთ. ამ საქმეს მე თვითონ უნდა მოვუარო და ამიტომ თქვენი მასწავლებელი მინდა გავიცნო.

– ძნელად შესასრულებელ დავალებას მთხოვთ ქალბატონო, კაცი მაინც იყოთ, შეიძლება ამ დავალებამ ჩემი სიც-

ოცხლე შეიწიროს, მაგრამ რაღაც მიზნისათვის ხომ უნდა მოკვდეს ადამიანი? წამობრძანდით! – თქვა ყმაწვილმა და წინ წავიდა. ფერიდე და ანუკი კვალში ჩაუდგნენ ახალგაზრდას. ათიოდე წუთის შემდეგ ფეხბურთის სტადიონზე იყვნენ.

– აქ დამელოდეთ! – თქვა ახალგაზრდამ და სადღაც გაუჩინარდა. კიდევ ათიოდე წუთის ლოდინის შემდეგ, ახალგაზრდა გამოჩნდა.

– წამობრძანდით! – მიმართა მან მომლოდინე ქალებს.

ამას კი აღარ მოელოდა ფერიდე. თუ მდინარის სანაპიროზე ტროლეიბუსების ქვეშ ასეთი უზარმაზარი დარბაზები იქნებოდა. ფაქტიურად აქ ყველაფერი მიწის ქვეშ იყო მოთავსებული. გარეთ არაფრის ხმა არ აღწევდა და შენიღბულიც ძვირფასად იყო.

ახალგაზრდამ ფერიდე ოცდაათიოდე წლის მამაკაცს წარუდგინა, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს მამაკაცი კარატეს მასწავლებელი იქნებოდა, გამხდარი, დაბალი და არც მაინცდამაინც ჩაკუნთული, მხოლოდ ეს იყო, თვალები ჰქონდა ცეცხლოვანი.

– ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კრავჩენკო! – წარმოთქვა მასწავლებელმა და ფერიდეს ხელი გაუწოდა.

– ფერიდე რუბენის ასული წერეთელი! – წყნარად წარმოთქვა ფერიდემ და თავისი ფაფუკი ხელის მტევანი რკინის მარწუხში მოიქცია.

– რატომ გადაგიწყვეტიათ, კარატე შეისწავლოთ? – იკითხა მასწავლებელმა და მზერა ფერიდეს მიაპყრო.

– უბრალოდ, მიტაცებს ეს სპორტი! – უპასუხა ფერიდემ.

– არა, ქალბატონო, ეს სპორტი არ არის, სპორტი თუ გინდათ, სხვა სახეობა აირჩიეთ. აქ სიკვდილს სწავლობენ და სანამ ჩვენთან მოსწავლე მოვიდოდეს, თქვენ სათუთი აგებულების წარმომადგენელი ბრძანდებით და ვერ წარმომიდგენია, თუ გაიმეტებთ ადამიანს სასიკვდილოდ, მაშინაც კი, როდესაც თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

— გავიმეტებ!

— ეს დაუფიქრებლად წამოსროლილ სიტყვად მეჩვენება, რადგან კარატეს დაუფლება მხოლოდ უშიშარს შეუძლია. უშიშროება კი ყოველგვარი განსაცდელის უშიშრად შეგებებაა, ამისათვის საჭიროა როგორც სხეულის, ისე სულის წრთობა. სიმამაცე რომ გამოიჩინო, დანის შიში უნდა დაგმო. ტყვიაზე სწრაფი რეაქცია უნდა გამოიმუშავო, რომ ცეცხლმსროლელი იარაღი არაფრად ჩააგდო. სიკვდილის შიშიც, რომელიც ასე აკნინებს სიმამაცეს, რომ ხანდახან მამაცი ლაჩრად გვევლინება, უნდა დაამარცხო. შენ კი, ქალბატონო, არ ვიცი თუ დაძლევთ* ჩვენს სკოლაში გამეფებულ საიდუმლო რეჟიმს, სადაც მარტო ჭიდაობას კი არ ასწავლიან, არამედ ყველა მარკის ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებას, დანით სროლას, მოწინააღმდეგის მოხრჩობას, მოგუდვას და ყველა ხერხის ხმარებას გამარჯვებისათვის. ჩვენ აბიტურიენტებს არ ვასწავლით ფილოსოფიას და არც შედის ჩვენი სკოლის პროგრამაში ზნეობრივი აღზრდა, ჩვენ ომს ვამზადებთ, ან უფრო სწორად, თავდაცვას ომის დროს.

— ბოდიში, მაგრამ ვის სჭირდება ასეთი მასწავლებელი?

— შენ გესაჭიროება და იცი, რამდენია შენისთანა კანონზე მომდურავი? დღეს მსოფლიოში ხილული და უხილავი ომი მიმდინარეობს. ამ ომში მონაწილეობა ან თავდაცვა აუცილებლობას წარმოადგენს, თუ ჩვენს სასწავლებელს ზნეობრივი კუთხით მივუდგებით, ისე დამარცხდებით, როგორც არქიმედე ზღვის სანაპიროზე. პირველ რიგში ომი უნდა ისწავლოთ, რომ ომში გაიმარჯვოთ, შიში უნდა დაამარცხოთ, რომ უშიშარი იყოთ...

— კარგი აღარ არის მეტი მორალის წაკითხვა საჭირო, — უთხრა ფერიდემ, — ბავშვობიდანვე არ ვიცი რა არის შიში და ღალატი. მიკვირს, როდესაც მეუბნებით, დანისა და ტყვიის შიშზე კრთის ადამიანიო. ჩემი აზრით, თუ შიში არსებობს, სიცოცხლის შიში უნდა ჰქონდეს ადამიანს. სიკვდილი საშიშროებად არ მიმაჩნია, რადგან სიკვდილი ქალის გათხ-

ოვებასა ჰგავს, ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადასვ-ლას საცხოვრებლად. თქვენ ცდებით, როდესაც ამბობთ: „ქალი არისო სათუთი არსება“, გთხოვთ, ქალსა და დედას ნუ გააერთიანებთ. დედაც ქალია, მაგრამ დედის ორგანიზმში ვეფხვი თვლემს და არავინ იცის, როდის გაიღვიძებს იგი. მეცნიერებისაგან ჯერ კიდევ ამოუცნობია დედის შინაგანი ძალა. ვეფხვის მსგავსება დედასთან არა მარტო შვილის სიყვარულით გამოიხატება, არამედ ჭკუითაც, ვეფხვი ხომ ყველა მტაცებელ ცხოველზე ძლიერი და ჭკვიანია, წონით 320– კილოგრამს იწონის მაშინ, როდესაც ლომის წილი 200– კილოგრამს არ აღემატება, ვეფხვს თავისუფლად შეუ-ძლია ველური ხარი რამდენიმე ასეულ მეტრზე გაიტანოს და გადამალოს, იგივე ოპერაციის შესრულებას, სულ მცირე, თხუთმეტი კაცი დასჭირდებოდა. ხშირია შემთხვევა, როდე-საც ვეფხვი სპილოსაც კი ესხმის თავს და იმარჯვებს ორთაბრძოლაში. ვეფხვის შვილები ხუთ წლამდე დედის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან და როგორც ადამიანი, ვეფხვი დედა, მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან და როგორც ადამი-ანი, დედაც დავიწყებიათ დედოფლის გვირგვინისათვის, რათა ევლინებიათ ქალური ბუნების უძლიერეს მმართველად. ვეფხვს, არ შეიძლება, ნებისმიერი მხეცი გადაუდგეს წინ საბრძოლვე-ლად. ისე როგორც არ შეიძლება, ყველა მამაკაცმა ილაპარ-აკოს ქალზე.

– საიდუმლო რეჟიმს, რომელიც ჩვენს სკოლაშია გამეფე-ბული.

– მომწონს შენი საუბარი, მაგრამ იცი, რომ ეს სკოლა საიდუმლოებით არის მოცული? არავის არა აქვს უფლება, ილაპარაკოს სკოლის ღირსებაზე! ჩადენილი დანაშაულის დროს არ უნდა გათქვას თავისი სკოლა!

– საიდუმლოების შენახვაში, უმჯობესია, მამაკაცები თუ არ გაგვეჯიბრებით, როგორც სიკეკლუცე, ასევე უსაზღვროა ქალთა საიდუმლოებაც...

– შენ მშობიარობის დროს გიყვირია?

– მიყვირია! მინდოდა, რომ მეყვირა და... მაგრამ თუ მეყვირა, არ ვიყვირებდი! თუმცა მამაკაცებმა ეს შეკითხვა მაშინ უნდა დასვათ, როდესაც მსგავსი ტკივილი გექნებათ გამოცდილი!

თანახმა ვარ მიგიღოთ! შეგიძლია ხვალიდან სწავლას შეუდგე! სასურველი იქნება, თუ სწავლაშიც გამოავლენ სურვილის შესაბამის ქმედებას! მეცადინეობა ყოველ დღეა, დილის ათი საათიდან – დრო განუსაზღვრელი! მოქნილი გოგონა ჩანხარ, მე მგონია დაძლევ ბარიერი, სწავლას, ბრძოლას და შრომას, როდესაც მიზანი გაქვს, გამარჯვებაც გარდაუვალია, კარატესათვის ძნელი მოსაქნელია სხეული, თუ ბავშვობიდან არ მისდევ ამ სპორტს. ყოველმა ორგანიზმმა უნდა იბრძოლოს ილეთზე, შეყოვნება დამარცხებას ნიშნავს, ორგანიზმის გაახალგაზრდავება თითქმის შეუძლებელია! თუმცა, ყველაფერი შეძლებულა, უდიდესი სურვილის გრძნობით, ამის მაგალითი თქვენა ხართ!

ექვსთვიანმა დაუღალავმა ვარჯიშმა შედეგი გამოიღო. ოცდათერთმეტი წლის ქალმა ვეფხვი გააღვიძა ორგანიზმში და „უზარმაზარი კატის“ ილეთები შეისწავლა. თვით მასწავლებელმა გამოიწვია გამოსაცდელად ტატამზე დაუნდობელი ბრძოლისათვის. ფერიდემ გამოწვევა მიიღო და მხოლოდ ერთადერთი გულშემატკივარი, ანუკი დაისწრო შედეგის შესაჯამებლად, პირველად მცირე კალიბრის შაშხანიდან ესროლეს ადამიანის ფიტულს, ათი ტყვიიდან ათივე მიზანს მოახვედრა ფერიდემ. არც მასწავლებელი დარჩა ვალში, ალექსანდრემაც იგივე გაიმეორა. მეორე მცდელობა ნაგანიდან სროლა იყო განრიგით და შვილი კი ორი ცხრიანით ჩამორჩა მოსწავლეს, მესამე გამოცდა დანის სროლაში იყო ისევ ფრე დაამთავრა მასწავლებელთან და ქება დაიმსახურა. ახლა კი თვითონ უიარაღო, დანით შეიარაღებულ მასწავლებელს უნდა შერკინებოდა! დაიწყო ბრძოლა... პირველსავე წუთზე ხელიდან გააგდებინა დანა ალექსანდრეს, შემდეგ მკერდში ფეხის დარტყმით გრძნობა დააკარგვ-

ინა, მაგრამ ბრძოლა ამით როდი გათავდა, ნამდვილი კარატე აწი იწყებოდა! „მოსწავლემ როგორ უნდა მაჯობოს და ისიც ქალმაო“, – ბრძოლის ჟინით აენთო ალექსანდრე კრავჩენკო, მაგრამ რას გააწყობს, სისწრაფით ჯობნის ფერიდე, თუმცა თავის წარმატების არ სჯერა და მასწავლებელს შემოუძახა:

– თავს იკატუნებ, ალექსანდრე ალექსანდრეს ძევ! იბრძოლე ღირსეულად, პატივი ეცი ქამარს!

იბრძვის მასწავლებელი, მაგრამ მეტი აღარ შეუძლია, აგებს ბრძოლას ლომი ძუ ვეფხვთან. აი, ნოკაუტიც მიიღო და გათიშული დაეცა... ფერიდემ მოიყვანა გრძნობაზე და საყვედურიც უთხრა:

– დათმობაზე რად მებრძვი? მე არ მჭირდება შეღავათი! მირჩევნია ჩემი შესაძლებლობა ვაჩვენო, ვიდრე მომატყუო!

– მე მთელი ძალით გებრძოდი! შენ გაიმარჯვე!

– არ მჯერა!

მეცოდინებოდა, რომ არ უნდა მეყვირა.

– დაიჯერე და გახსოვდეს, სანამ ბრძოლას დაიწყებდე, იყავ დამთმობი და შემწყნარებელი. ბრძოლის დროს კი მეტი სიმკაცრე გმართებს. შენში ბრძოლის დროს მკვლელმა უნდა გაიღვიძოს! არავითარი ისეთი სიბრალული, როგორიც ჩემს მიმართ გამოიჩინე, თორემ ბრძოლას წააგებ! მიძნელდება შენთან განშორება და თუ ჩემთან ითანამშრომლებ, ძალზე გამახარებ.

– ვერა ალექსანდრეს ალექსანდრეს ძევ! გრანდიოზული საქმე მაქვს გასაკეთებელი, მტრებთან უნდა ვიბრძოლო და თუ ცოცხალი დავრჩი, ამაგს არ დაგივიწყებთ!

– თუ დახმარება დაგჭირდეს, არ მომერიდო! ჩემი აღზრდილები მრავალ ქალაქში არიან და ისეთი ძლიერებიც, მთავრობას შემიძლია შევებრძოლო! საღამოს შენ და შენს დობილს რესტორანში გეპატიჟებით, ვივახშმოთ, კოკა– კოლა დავლიოთ და სასწავლებლის წარმატებით დამთავრება ვადღეგრძელოთ!

– გმადლობთ, ალექსანდრე ალექსანდრეს ძევ! სასწავლებლის დამთავრების თარიღთან დაკავშირებით, ერთი ბოთლი შამპანურის დალევაც შეიძლება.

ალექსანდრე კრავჩენკომ კუთხეში დადგმული თავისუფალი მაგიდა შეარჩია რესტორანში და სამივე გარს შემოუსხდა. მომტანმა სანაქებო მაგიდა გააწყო და კოკა– კოლასთან ერთად შამპანურიც არ დაავიწყდათ.

ნელ–ნელა შეივსო რესტორანი მოქეიფეებით და ბოლოს ერთი ადგილიც აღარ დარჩა. კრავჩენკოს მოპირდაპირე მაგიდასთან ექვსი ლომკაცი ქეიფობდა, შემოსვლის უმალ დაადგეს თვალი შეუხედავ კრაჩენკოს და სანდომიან ფერიდეს. შეზარხოშდნენ მოქეიფეები, იმღერეს კიდეც და ერთ–ერთი მათგანი ფერიდესთან მივიდა:

– კი მაგრამ, შე ძუკნა, სხვა ვეღარავინ ნახე რომ მაგ ბაღლინჯოს აკიდებიხარ? –

ფერიდემ არაფერი უპასუხა – „წავიდეთ აქედანო“ – ანიშნა ალექსანდრეს. ადგნენ კიდეც და წასასვლელად მოემზადნენ, მაგრამ იმავე „ბუღამ“ წელზე ხელი შემოხვია ფერიდეს და თავისკენ მიიზიდა. „კმარა დაცთმობა“, მასწავლებელს გადახედა. კრავჩენკომ თანხმობის ნიშნად თავი მძიმედ დახარა და ფერიდემაც ისეთი სიძლიერით დაჰკრა მოძალადეს ყბაში, რომ ქვედა ყბა სახსრიდან ამოვარდა და კისერთან მოექცა. აიშალა მოქეიფეები და ყველა ცდილობდა როგორმე შეეპყროთ და ეცემათ ეს ვიღაც შეშლილი ქალი, მაგრამ ფერიდე თითქოს ფრინავდა და თითოეული იმისი გაფრენა, რომელიღაც ვაჟკაცის თავდაყირა წაქცევას ნიშნავდა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ, ექვსი დასისხლიანებული დევკაცი მაგიდის ქვეშ ეგდო და ძლივს სუნთქავდა, კრავჩენკო კი ჩხუბს თვალს ადევნებდა და ნელ–ნელა წრუპავდა კოკა–კოლას.

– არც ახლა გჯერა რომ მთელი ძალით ვიბრძოდი შენთან? – უთხრა ღიმილით მასწავლებელმა.

– წავიდეთ სანამ მილიცია მოგვაკითხავდეს – თქვა ფერიდემ და რესტორნიდან სათადარიგო გამოსასვლელით გამოვიდნენ.

* * *

– ფერიდე, არ გვეკადრება რესტორნებში სიარული – უთხრა ანუკიმ, როდესაც სახლში მივიდნენ, რაც არ უნდა იყოს, ქვრივები ვართ და შვილებზე მგლოვიარე დედები, სირცხვილია ხალხი ათასნაირ ჭორებს მოიგონებს და სამუდამოდ დაგვასხამს თავს ლაფს.

– ქვრივები თუ ვართ, ღირსეულად ვიგლოვეთ ქმრები, დღემდე თალხი არ გაგვიხდია და ჩვენი სახე არ დაუნაზავს უცხო მამაკაცს, შვილებზე თუ ვართ მგლოვიარე, ალბათ ასეა საჭირო მათი უკვდავებისათვის და ხალხი თუ უმიზეზოდ ჭორებს გაავრცელებს, ამ შემთხთვევაში არსებობს საკუთარი კანონი და ადამიანური ზნეობა, ჭორების გამვრცელებელს ასამართლებენ საკუთარი კანონით, ადამიანური მხნეობის დარღვევისათვის.

– შენ სანამ სასამართლოს მოაწყობდე, ჭორი ქვეყანას შემოივლის, საგულდაგულოდ შენიღბული ჭორის გამავრცელებელი, ზიზღით შეხედავს შენს პატიოსან ქცევებს და უარესს მოიგონებს.

– შენი აზრით, როგორ მოვიქცეთ, მივატოვოთ წამოწყებული საქმე და ჭორიკნების შიშით სახლში ჩავიკეტოთ? ანუკი, ბრძენ ქალად გიცნობენ. შეეშვი იმაზე ფიქრს, თუ ვინ რას იტყვის და გულისყურით გაიგონე ვინ რა თქვას, ახლა კი დაფიქრდი და იმტვრიე თავი იმაზე, თუ როგორ შეაღწიო მამაკაცთა კოლონიაში, სადაც შალვა თოდაძე იხდის სასჯელს!

– ოჰ, შენ კიდევ არ იშლი შენსას, კაცის მოკვლა დიდი ცოდვაა, შეეშვი მაგ საქმეს და რომ გამოვა, ერთი კარგა გვარიანად ვცემოთ –

– შენთვის არ მითქვამს აღმზრდელობით მორალზე მელაპარაკე– მეთქი, ან დამიდგები გვერდით და ვიბრძოლებთ გაერთიანებული ენერგიით, ან კიდევ მიგატოვებ და გადავალ ჩემი შვილის ერთოთახიან ბინაში...

– ,,სიკვდილმა კაცს უთხრა უნდა მოგკლაო და კაცმა უპასუხა, შენი ჭკუისგან მჯერაო", დღეიდან ხმასაც არ ამოვ-

იღებ, რასაც მიბრძანებ, იმას გავაკეთებ, თუ დავიღუპები, ჯოჯოხეთს ჰქონდეს ჩემი სიცოცხლე.

– ბოლოს და ბოლოს მოხვედი აზრზე, რად გინდა სიცოცხლე რომ დაფოფინებ თავზე, ვის გინდა მოახმარო, ვის გამოადგება და ვინ გინდა გაახარო შენი სიცოცხლით? ჯოჯოხეთის შიში გთრგუნავს? იქაური მიწიერი სიცოცხლე შენთვის განა ჯოჯოხეთი არ არის?...

– არა, არაფრის არ მეშინია ფერიდე, მხოლოდ სიცოცხლე, იმიტომ მინდოდა, შვილებისათვის საკურთხი მეკეთებინა და ხშირად მევლო მათ საფლავზე. –

– რამდენ ხანსაც არ უნდა იარო სასაღფლაოზე, მაინც ეკალ– ბარდი გადაფარავს ყველაფერს და წაშლის ნაკვალევს. ეს იქნება ერთი წლით ადრე თუ ათი წლით გვიან, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ახლა დაფიქრდი, ბრძენ ქალს რომ გეძახიან, გამოაჩინე შენი სიბრძნე და დილით მითხარი, თუ როგორ შევაღწიო მამაკაცთა კოლონიაში.

– რახან შენსას არ იშლი და მეც თანამოსაქმედ გამიხადე, შალვა თოდაძის განადგურება არ საჭიროებს დიდ ფიქრს, კოლონია სავსეა ათასნაირი მკვლელობით, ქურდებითა და ავაზაკებით, მათთან კავშირი სიძნელეს არ წარმოადგენს, რომელსაც არ უნდა მისცე ათასი დოლარი, ის შეასრულებს შენს დავალებას და შალვას თავის სახლში ამანათით გამოგიგზავნის, –

– ეჰ, ანუკი ასე რომ მდომებოდა საქმის წარმართვა, ექვს თვეს რაღაზე დახარჯავდი კარატეს შესასწავლად? ამანათის გახსნა ილეთის გარეშეც შეიძლება, ის ჩემი საკუთარი ხელით უნდა მოკვდეს ისეთივე საზარელი სიკვდილით, როგორც ჩემი შვილი გაიმეტა, ასეთი ფიცი მაქვს ნათქვამი შვილის წინაშე.

– ხომ შეიძლება კოლონიის უფროსს მოველაპარაკოთ და მზარეულად დავიწყოთ მუშაობა კოლონიაში?

– ანუკი, ხომ გითხარი, იფიქრე და შედეგი დილით მომახსენე– მეთქი, ,,საღამო ბრძენია, ღამე მრჩეველი და

დილა ბრძენთაბრძენი“, ჩვენ საქმე ისე უნდა გავჩარხოთ, ვერცერთმა კვალმაძიებელმა ჩვენს კვალს ვერ მოაგნოს, რადგან სხვა საქმეც გვაქვს გასაკეთებელი. გახსოვდეს, ჩვენ ცხოვრების ერთადერთი გზა გვრჩება გასავლელი და ეს გზა უნდა გავიაროთ დღესვე და არავითარ შემთხვევაში ხვალ, რადგან შეიძლება ხვალ ამ გზაჯვარედინზე ვეღარ მოვხვდეთ.

– გასაგებია და შენ რატომ გგონია, ფერიდე რომ მე ფიქრში ასჯერ არ მომიკლავს შალვა და მზექალა? გზაც ათასჯერ გაზომილი და ნაბიჯი აწონილი მაქვს. შურისძიების ჭია დიდი ხანია არ მაძლევს მოსვენებას, მაგრამ მე ფიზიკური შეძლება არა მაქვს. შენ კი არ მინდა შარში გაგხვიო. გეტყვი კოლონიაში შეღწევის უხიფათო და უტყუარ გზას. მხოლოდ იმ პირობით, თუ მეც შენთან ერთად ვიქნები ყოველგვარ კრიტიკულ მომენტშიც კი, შეიძლება მე შენი სათრევი გავხდე და ჩემმა უძლურებამ ხიფათში ჩაგაგდოს, მაგრამ მეც მინდა ნამცეცი წვლილი შევიტანო ჩვენი შვილების სულის უკვდავებაში და რადგან მეუბნები ,,ერთი ორგანიზმი ვართო“, ერთად ვიმოქმედოთ.

– თანახმა ვარ, ,,კაცი კაციתო, ღობე ქაცვითო“ არის ნათქვამი. ორი ადამიანი, ძლიერი და უჟოური, ორია მაინც, ერთიმეორის სულიერი იმედი აქვთ და ფიზიკურად ძლიერნი არიან.

– ჰოდა, გულისყურით მომისმინე ახლა. შალვას დედა ჰყავს მარტო – მაკრინე სოფელში ცხოვრობს ახლა – მერჯევში. არც იმის ცხოვრება არის ია– ვარდებით მოფენილი, მოლანდებები ტანჯავს მკვლელი შვილის დედას, მისი ქალიშვილი თეონა, ასე შენი წლოვანების იქნება, ჭიათურაში არის გათხოვილი და ორი შვილის დედაა, ქმარმა იური წიწილაშვილის დედასთან ურთიერთობა აუკრძალა და იშვიათად ნახულობს საბრალო მოხუცს.

– დედაა მაინც, რატომ აიღო ხელი თეონამ დედის ზრუნვაზე?

– ეჰ, მაკრინე აგრე არ იყო, ახლა რომ არის მოკუნტული, რა და შვილი დირექტორი მყავსო: „ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად“ შვილი რომ დაუკითხავალდ გაუთხოვდა, იური წიწილაშვილს მოსაკლავად დასდევდა და ათი წლის გათხოვილ შვილს, შალვას ლაპატიმრების შემდეგ შეურიგდა. ბევრი სიმწარე ახსოვს სიდედრისაგან სიძეს და ახლა უხდის სამაგიეროს.

– მერე და ეს ჩვენ რაში გვაწყობს, მაკრინეს მარტოობა და თეონას ორშვილიანობა?

– ნუ ჩქარობ, მომისმინე, მე მყავდა ერთადერთი ძმა აწ განსვენებული რუბენი. ახალგაზრდობაში პატარა აყალმაყალი გეხვდა და დაიჭირეს. ოთხი წელიწადი სწორედ იქ გაატარებინეს, სადაც ახლა შალვა იხდის სასჯელს, მე და ცხონებული დედაჩემი ხშირად დავდიოდით რუსთავში რუბენის მოსანახულებლად. პატიმარს წელიწადში ორჯერ ეკუთვნის პაემანი ახლობლებთან, ერთი გრძელვადიანი, მეორე მცირე ხანგრძლივობის. გრძელვადიანი პაემანი ერთი დღიდან, სამი დღე– ღამის ხანგრძოივობის არის, ხოლო მოკლევადიანი ერთი საათიდან სამ საათამდე, გრძელვადიან პაემანზე პატიმარს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, სასჯელის მოხდის ადგილიდან, იზოლირებულ ადგილზე არის აშენებული ჩვეულებრივი კომუნალური ბინა წყლით, გათბობით და არაჩვეულებრივი მოვლილი ეზოთი. გააჩნია პატიმართან რა რაოდენობის მნახველი მივა და მნახველთა რაოდენობის მიხედვით იძლევიან ოთახებს, როგორც აღვნიშნე, იქ არის ერთიდან სამ ოთახიანი ბინები ავეჯით გაწყობილი და ყოველგვარი კომუნალური მოთხოვნილებით უზრუნველყოფილი, პატიმარმა რომ სრულ თავისუფლებაში წარმოიდგინოს თავი. პატიმრის მნახველს ნებისმიერ დროს შეუძლია გარეთ, ესე იგი თავისუფლებაზე გამოვიდეს პროდუქტის, ან რაიმე ნივთის საყიდლად. და ისევ პატიმართან დაბრუნდეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

ჩვენ შეგვიძლია შალვასთან შევაღწიოთ, მე როგორც დედამ და შენ როგორც დამ, მე სახეს არც დავანახებ, რომ მაშინვე განგაში არ ატეხოს, შენ შეიძლება ვერც გიცნოს, როგორც ათი წლის უნახავი დაიკო, მხოლოდ ამისათვის საჭიროა პასპორტის შეძენა და იმის გაკეთების გზაც მაქვს შემუშავებული.

– ამოშაქრე ბარემ, ნუ მომკალი, თორემ ჩამომივარდა გული ფეხსაცმელებში! – ტაში შემოჰკრა ანუკის მსჯელობით გაკვირვებულმა ფერიდემ.

– დილით მმაჩის ბიუროში მიხვალ, – განაგრძო ანუკიმ – და თეონა თოდაძის დაბადების მოწმობას აიღებ. ეტყვი, რომ პასპორტი დაგვეკარგა და დაბადების მრწმობა გაცემულიც რომ იყოს, „დუბლიკატს“ მაინც მოგცემენ. იქ ცოტა სხვანაირი ქალი მუშაობს. ათ მანეთიანი ჩაუდე ჯიბეში და არავითარი პრობლემები არ შეგექმნება, შემდეგ სურათს გადაიღებ პასპორტისთვის და დაბადების მოწმობასთან ერთად საპასპორტო განყოფილების გამგის მდივანს, ნათია კვიჟინაძეს, მიუტან, ჯიბეში ასდოლარიანი ჩაუჩურთე, უთხარი ძალიან მეჩქარება– თქო და სახლში წამოდი. მეორე დღეს, დილით პასპორტი მზად იქნება და შეგიძლიათ წამოსაღებად მიბრძანდეთ.

– შენ მართლაც ბრძენი ყოფილხარ ანუკი, შენ გენაცვალოს ფერიდე, – წამოიძახა ფერიდემ. მკერდზე მიიკრა ანუკი და კოცნა დაუწყო.

– მოითმინე, გოგო, ნუ დამახრჩვე, ჯერ კდევ არ დამიმთავრებია სათქმელი, ბოლომდე მომისმინე ბარემ.

– დანარჩენი შემდეგ მითხარი, ახლა რაც თქვი, ესეც უდიდესი მონაპოვარია, მე უკვე შეუდგები შენი ბრძანების შესრულებას, მაგრამ შენთვისაც ხომ საჭირო იქნება პირადობის მოწმობა?

– პირადობის მოწმობა რად უნდა, გოგო, დედას, რომ ვიტყვი დედა ვარ– მეთქი, განა ეს სიტყვა არ კმარა? ამ სიტყვაზე მეტად ძლიერია პასპორტში დასმული ბეჭედი?

ესეც არ იყოს, ვინ შეაჩერებს გადახჩუებულ ბებერს. მე კიდევ ჩემი ჩაცმულობით ათიოდე წელს მოვიმატებ და შემმოწმებელ ბადრაგს ყოველგვარ ეჭვს დავუკარგავ, მაგრამ თუ დაჟინებით მომთხოვეს პასპორტი, მივცემ პასპორტს, რომელხედაც ჩემი სურათის ნაცვლად ლენინის არ ფრანკლინის სურათი იქნება დახატული.

ფერიდე მართლაც ისე მოიქცა, როგორც ანუკიმ დაარიგა და სამი დღის შემდეგ მზად იყო პასპორტი ფერიდეს სურათით, და თეონას სახელითა და გვარით, საჩხერის საპასპორტო მაგიდის უფროსის ბეჭდით დამოწმებული.

შვებით, ღრმად ამოისუნთქა ფერიდემ, როდესაც ეს ძნელი საქმე ასე ადვილად და უმტკივნეულოდ დასრულდა, სნეული ადამიანის გამოჯანმრთელების მაგივრად შეიძლება უვიცმა ექიმმა გაართულოს პაციენტის მდგომარეობა, მაგრამ ავადმყოფის მკურნალობაზე როდი იღებენ ხელს, ამიტომ დიდი გამჭრიახობა გვმართებს, რომ გამოვიცნოთ ნამდვილი მკურნალი, ანუკი მკურნალი ფანტაზიის პროფესორი აღმოჩნდა, რომელმაც ფანტაზია სინამდვილედ აქცია და ფრთები შეასხა ფერიდეს ჯანმრთელობას, ამიტომ ფერიდე ისე გახარებული იყო, თითქოს ხელში სჭეროდეს სახრჩობელას ყულფი და თავზე აცვამდეს შალვას. სწამდა ახლა კანონის წინააღმდეგ აღარ მოუწევდა ბრძოლა და დანარჩენს არარაობად აგდებდა. დედებმა გადაწყვიტეს, მეორე დღეს რუსთავის შრომა– გამასწორებელ კოლონიას სწვეოდნენ და წალვა თოდაძე მოენახულებინათ. უპურმარილოდ ხომ ვერ ნახავდნენ პატიმარს, გამშვებ პუნქტშიდაც ხომ უნდა დაესაჩუქრებინათ ბადრაგი და თან ყოველგვარი ეჭვი გაეფანტათ, ამიტომ მთელი ღამე შრომაში გაათენა ორმა დობილმა და მართლაც, სათავადო პურმარილი გაამზადა. დილით კი ანუკიმ სათვალეები მოირგო, მართალია აქამდის არ სჭირდებოდა, მაგრამ ახლა ასე იყო მდგომარეობისათვის საჭირო, ხელში ჯოხი დაიჭირა, წელში საგრძნობლად მოიხარა და ასი წლის მოხუცს თუ არა, შალვას დედას კი ნამდვილად დაემსგავსა.

შავების გახდაზე უარი განაცხადა „მაკრინეც შავებს ატარებს და ასე უფრო ვერ მიცნობენო“, თქვა დაბეჯითებით. ფერიდემ კი ქმრის დაღუპვის შემდეგ პირველად ჩაიცვა ტანზე შემოსალტული ვარდსიფერი კაბა და ათი წლით გაახალგაზრდავდა.

* * *

გზის სილამაზე და სიამაყე „იკარუსი“ დილის პირველი რეისით გზას მიიკვლევდა საჩხერიდან რუსთავისაკენ ფერიდესა და ანუკის თავი თავზედ მიეღოთ და ჩასძინებოდათ. ჯანმრთელი ადამიანისათვის საკმარისია დღე– ღამეში ოთხი თუ ხუთი საათის ძილი. რაც მგზავრობას სჭირდება საჩხერიდან რუსთავამდე და ჩვენი მგზავრებიც გამოძინებულნი, საღ– სალამათნი ჩამოვიდნენ ავტობუსიდან. დღის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც კოლონიის ჭიშკარს მიადგნენ დობილები, საკონტროლრ პუნქტში შევიდნენ და მორიგეს შეეკითხნენ.

– ბატონო უფროსო, თუ შეიძლება შალვა თოდაძესთან გრძელვადიანი პაემანი დაგვინიშნოთ? – თავაზიანად შეეკითხა ანუკი მორიგე კაპიტანს და ჯოხზე დაყრდნობილმა ქვემოდან ამოხედა ზორბა ვაჟკაცს.

– თქვენ ვინ ბრძანდებით შალვა თოდაძის? – კაპიტანიც ზრდილობიანად შეეკითხა ანუკის.

– მე დედა ვარ შვილო, ეს კიდევ მისი საყვარელი დაიკო თეონა –

– ჭაჭა გაქვს წამოღებული?

– შენი საყოფი ყველაფერი მაქვს შვილო. მხოლოდ დროულად მანახეთ და არ დაგრჩებით ვალში. ფეხზე დგომა აღარ შემიძლია, მოვხუცდი შვილო.

– დაწერეთ განცხადება ქალბატონო და ვინ დაგიშლით პაემანს, ხომ არავის ჰგზონია აქ ხალხს ვახრჩობდეთ

– წერა რა ვიცი, ბატონო უფროსი! – თქვა ანუკიმ და ჭურჭლის კარადა გამოაღო კაპიტანი. კაპიტანი თვალს ადევნებ-

და თუ როგორ შეაწყო კარადაში მრგვალად მოხარშული დედალი, ხაჭაპუები, მწვანილი, ხილი და სამლიტრიანი ქილით ჭაჭის არაყი.

– წერა კი არა, დაბადების დღე დამავიწყდა, ოთხმოცს გადავაბიჯე უკვე იქნებ თქვენ თვითონ გვცეთ პატივი ბატონო უფროსო და ჩვენზე იყოს შენი პატივისცემა.

– რაღა პატივი უნდა გვცე, გაავსე კარადა! – თქვა კაპიტანმა და განცხადება დაწერა კოლონიის უფროსის სახელზე, შემდეგ თვითონ აირბინა მეორე სართულზე და კოლონიის უფროსს ხელი მოაწერინა განცხადებაზე.

– ქალბატონო თქვენი შვილი ამჟამად სამუშაოზე იმყოფება, წამობრძანდით, ბინას შეგირჩევთ, დაისვენეთ და როდესაც სამუშაოდან დაბრუნდება, გაახლებთ – უთხრა კაპიტანმა და კოლონიის უფროსისაგან ხელმოწერილი განცხადება ჟურნალში შეინახა, შემდეგ კაპიტანმა ვიღაც ჯარისკაცს უბრძანა, რომ ქალებისათვის კომფორტული ბინა შეერჩია და თავაზიანად გააცილა პაემანის ოთახებამდე.

მართლაც, კარგად მოეწყვნენ ოროთახიან ბინაში მანდილოსნები, დაისვენეს, მხოლოდ ლოდინმა ამოხადა სული ორივეს, თუმცა მათთვის ჯობდა რაც მეტს დაიგვიანებდა პატიმარი და დაღამდებოდა, ნაკლები საზრუნავი ექნებოდათ.

მაგიდა გააწყვეს და აბანოში აბაზანა პირამდე გაავსეს. დადგა კრიტიკული მომენტი, პატიმრებმა საცხოვრებელ ბინაში დაიწყეს შემოსუვლა, თითქოს ყველა ბრიგადა შემოვიდა და დაბინავდა, გავიდა წუთები, ერთი საათიც და საცხოვრებელი ზონიდან, თავისუფალი პაემანის ზონაში შალვა შემოიყვანეს, ანუკი სამზარეულოში გავიდა, ფუსფუსებს, თითქოს რაღაცას აკეთებს, ფერიდე გაღიმებული სახით ეგებება „ძმას“ და გამეტებით კოცნის, ბადრაგი შესცქერის ამ პროცესს და მიდის შალვა ოთახში შედის, მაგიდასთან ჯდება და გულისყურით ათვალიერებს „თეონას“.

– რას დამსგავსებულხარ გოგო. ვეღარ გიცანი! – ეუბნება შემდეგ.

– შენ როდის მცნობდი მე, რაც გავთხოვდი, არ გინახივარ, გაძეხი, თანამდებობის ტრფიალმა ყველანი დაგავიწყა,. ახლა მოგინდა დაც და მეგობარიც, როდესაც მოგშივდა, მაგრამ ნეტავი გამაგებინა რას მოითხოვ, რა გაქვს გავალებული.

– შენ თეონა არა ხარ, მე შენთან საუბარი არ მსურს! – თქვა შაოვამ და კარებისკენ გადადგა ნაბიჯი.

– სად მიდიხარ, არა გრცხვენია? უმწეო ქალს გაურბიხარ? მე შენთან საუბარი მინდა, ფერიდე ვარ! ეკას დედა! რატომ მომიკალი შვილი?!...

– უმწეო ქალის გეშინია. მე შენთან სალაპარაკოდ მოვედი, გამეცი პასუხი, რისთვის მომიკალი შვილი!

– შენ შურის საძიებლად ხომ არ მოხვედი, შენს მოტანილ საჭმელს ხელსაც არ ვახლებ, მე კანონმა სასჯელი მომცა და ვიხდი კეთილსინდისიერად თუ დანაშაული ჩავიდინე, ვინანიებ კიდეც.

– აქედან გამეცალეთ. ეს არის ჩემი ზნეობრივი და უკანასკნელი პასუხი! – თქვა შალვამ და კარებისაკენ გაემართა მაგრამ ფერიდემ ელვაზე უსწრაფესად ჰაერში კამარა შეკრა და ხელის მტევანით ხორხი გადაუკეტა. შალვა პირდაპირ აბაზანაში დაეწაფა წყალსბ მაგრამ კისერში ფერიდეს მძლავრმა დარტყმამ აბაზანაში ჩააგდო, რამდენჯერაც შეეცადა აბაზნიდან ამოსვლას, იმდენჯერ მძლავრი დარტყმა მიიღო შუბლის არეში და გრძნობა დააკარგვინა. ბოლოს პირი და თვალები დარჩა ღია და გვამი წყალმა ამოატივტივა, შემდეგ დანა აიღო და გვამს ისე მშვიდად ამოაჭრა ჯერ კიდევ მფეთქავი გული, თითქოს ქირურგი ყოფილიყოს და ჩანთაში მოათავსა. ფერიდეს თითქოს დიდი ტვირთი მოეხსნა მხრებიდან, ტილო აიღო და იატაკს დაუწყო წმენდა, სრულებით მშვიდად აწურავდა ჭუჭყიან ტილოს შალვას დაფჩენიოლ პირში და შურისძიებით აუღწერელ სიმშვიდეს გრძნობდა.

ანუკის, ფერიდეს სიმშვიდე გადაედო, მაგრამ ხელები მაინც უკანკალებდა და წელში მოხრის მოგონება აღარ ჭირდ-

ებოდა, საბაზანოში შეიხედა და როდესაც აბაზანაში პირდაფჩენილი გვამი დაინახა – „ღმერთო შეუნდე რამეთუ არ იცის რა ჩაიდინაო“ – თქვა ფერიდეს მისამართით და პირჯვარი გადაისახა.

იატაკი მოწმინდეს, საფეხმელებზე ტილო გადააფარეს, კარები გასაღებით ჩაკეტეს და ჯერ კიდევ კარგად დაღამებული არ იყო, მთავარი გასასვლელისაკენ წავიდნენ, კაპიტანი ორ თანამოსუფრესთან ერთად არაყს შეექცეოდა და მანდილოსნები რომ დაინახა, თავაზიანად გაუღო კარები.

– რატომ მიდიხართ ასე ადრე, თქვენ ხომ გრძელვადიანი პაემანი მოგცეს? – შეეკითხა კაპიტანი.

– სიგარეტებს მოვიტანთ და ჩქარა დავბრუნდებით! – უპასუხა ფერიდემ.

– ჰო, კარგი, თუ აქ არ ვიყო, ჩემს ადგილზე სხვა იქნება და დავუბარებ არ დაგაყოვნოს!

– დიდი მადლობა! – წარმოთქვა ფერიდემ და ნელი ნაბიჯით გაუყვა ტროტუარს.

ტაქსების გაჩერებამდე მივიდნენ. საჩქაროდ დაიქირავეს ტაქსი თბილისამდე და გაეცალნენ დანაშაულის ადგილსამყოფელს. თბილისში ხალხმრავალ ქუჩას შეერივნენ და როდესაც რუსთავის ტაქსი სადგურიდან წავიდა, ახლა კერძო ავტომობილი დაიქირავეს გორამდე, გორიდან კი ისევ ტაქსით ჩამოვიდნენ საჩხერეში.

– ეს პირველი მკვლელობა საშინელება იყო ჩემთვის – უთხრა ფერიდემ ანუკის – ორგანიზმში მთლიანი გარდატეხა მოხდა, კეთილი ადამიანი ბოროტად გადავიქეცი, ვიყავი სათნო, სუსტი არსება, ძლიერად ვიქეც, სამართლიანი – უსამართლოდ, ტკბილი – მწარედ, მიყვარდა ყველაფერი, თვით სიყვარულიც კი – გულშივე ჩამიკლეს ეს სათუთი გრძნობა, ისე რომ გაფურჩქვნა არ აღირსეს და სიყვარულის ადგილი სიძულვილმა დაიკავა, ახლა ხმამაღლა შემიძლია ვიყვირო – „მიფრთხილდი ადამიანო“.

– ქვა გული გქონია ფერიდე, მე ამდენს არ მოველოდი.

– არა ანუკი მე ძალზედ სათნო გული მქონდა, უბრალოდ სისხლის დანახვაზედაც კი გული მიმდიოდა, ახლა გულის გაქვავება ჩემი მასწავლებლის კრავჩენკოს დამსახურებაა, მან შვიდობას ომი ასწავლა ამითა ვარ ძლიერი, არ იდარდო, ჩემს სხეულს ჩამოეფარე და არავის დარდს გაგატან ბავშვებთან, მართალია დაღლილი ხარ, მაგრამ მე და შენ ახლა ცოტა წავიმუშაოთ, საუზმე გაუკეთოთ ბავშვებს და დილით ადრე მივართვათ, თორემ შემდეგ არ მეცლება, სავანეში უნდა წავიდე ჩემს სახლობას.

– აქამდე არ ყოფილხარ სავანეში და ახლა მოგენატრა დედულეთი?–

– ახლა მომენატრა, ანგარიში მაქვს გასასწორებელი ხალხთან და იცი რას გევედრები ანუკი? მარტოობას უნდა შეეჩვითო, გახსოვდეს შენი სიცოცხლე მარტო შენ არ გეკუთვნის, ფული იცი სადაც ინახება და თუ ოდესმე დახმარება დამჭირდეს, იცოდე შენი იმედი მექნება. თავს გაუფრთხილდი, ხვალ დილით სასაფლაოდან სავანეში წავალ და არ ვიცი როდის დავბრუნდები, ჩემი დარდი არ იქონიო, იცოდე არ შეგარცხვენ.

ასეთ საუბარში რომ იყვნენ გართულნი ფერიდე და ანუკი, სწორედ იმ დროს, მაკრინე ათი წლის შემდეგ პირველად მიადგა კარზე გათხოვილ შვილს თეონას.

– რაზე შეწუხებულხარ დედა, ვიცი შენ ისეთი ამაყი ხარ, უმიზეზოდ არ მოხვიდოდი მომდურავ შვილთან – შეეკითხა დედას თეონა.

– გამიჭირდა და მოგაკითხე ცოდვები არ მაყენებს შვილო, რად არ გამილაყდით მუცელში თუ ასეთები უნდა გაზრდილიყავით.

– ჩემთან რა გინდა დედა, გავთხოვდი, პატრონს ჩავბარდი, ქმარი კარგი მყავს და შვილები.

იმისთანა ეყოლა ჩემს მტერს, შენ რომ გყავს, ძალიან იცი შენ კარგი და ცუდი.

ყველას რომ ეგონა, იური წიწილაშვილს სძინავსო, ის სინამდვილეში ყველაფერს ისმენდა დედა– შვილის საუბარს მეზობელ ოთახში წამოწოლილი და ბოღმით ივსებოდა. მეცხრა ცაზე მონავარდე მაკრინე, მოულოდნელად აღმოჩნდა გასაჭირში, ჩაცხრა მისი სიამაყე და რადგან თეონას მეტი აღარავინ აღმოჩნდა ახლობელი მის გვერდით მდგომი, იერიშიც მასზე მიიტანა.

– კარგი, რაც მოხდა მოხდა, დამაშავე იყო თუ უდანაშაულო, ის დაიჭირეს, – თქვა მაკრინემ შალვას მისამართით – მაგრამ შენ რომ იქა ხარ ჩემს გვერდით, ეკადრება მშობელს ღვთის ანაბარად მიტოვება?

– რა ვქნა დედა, რამდენჯერ მოვედი, არ მიგვიღე, წყევლა–კრულვით გამოგვაგდე გარეთ, ხომ გახსოვს შალვას სასამართლოზედაც კი არ შემოგვიშვი. პროდუქტი, რომელიც ჩვენ მოვიკელით და ძმას მივუტანე, შენ სანაგვე ყუთში გადაადგდე ისე, რომ შალვას არც გაუგია თუ არ გინდივარ, შემეშვი და დამანებე თავი, ტკბილი ოჯახი მაქვს და დაგვაყენე ჩვენთვის.

– შენთვის დაგაყენო? მე მაყენებს მტერ– მოყვარე შენ რომ დაგაყენო? –

– აბა როგორ მოვიქცე ვერ გავიგე, რას მოითხოვ ჩვენგან?

– ჩემთან უნდა წამოხვიდე, მარტოობა მომბეზრდა.

– მოვედი და არ მიგვიღე, ახლა წამლდიო, გვეუბნები, პეპელა ხომ არა ვარ არც გავფრინდე და არც მოვფრინდე.

– შენ გარეთ არავის გამოუგდიხარ, ის შენი „ნაკელის კასრი“ არ მოიყვანო ჩვენთან მხოლოდ.

– დედა ის, ქმარია, ჩემი ტანჯვა– წვალებით მოვიყვანეთ ოჯახი და შენ გინყა დაგვანგრიო? მე ის მიყვარს, ჩემი შვილების მამაა, რაც არ უნდა იყოს, პატრონია ჩემი.

* * *

– შენისთანა მზეთუნახავს პატრონი არ დარჩება მოუძებნელი ფრიდონა რომ გეტრფოდა ახალგაზრდობაში, დღესაც

უცოლოა და შენ გელოდება, უნდა წამოხვიდე შვილო ჩემთან. შეგცოდებოდეს მარტოდმარტო მიტოვებული შენი დედა. ბავშვები მიუგდე მაგ „ნაკელის კასრს“ და კაცს მე გამოგიძებნი შენ კაცის მაგვარს.

– არ ვიცი დედა, როგორ მოვიქცე, მენანება აქაურობის მიტოვება, შენც მენანები!

– როგორ მოიქცე და ისე მოიქეცი, როგორც გეუბნები. შენ ხომ მუდამ ჩემი დამჯერი შვილი იყავი და ნურც ახლა გამაწბილებ შვილო, აი ახლავე, როგორც ირიჟრაჟებს, უთხარი შენს „ნაკელის კასრს“, ორი დღით წავალ– თქო დედასთან და წავიდეთ, შემდეგ მე ვიცოდე, ვეღარასოდეს ვეღარ გიხილავს თვალით.

– ვუყვარვარ, ეგეც ცოდოა დედა! შვილიშვილები მაინც არ გებრალება?

– შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, მოვესწრები შვილიშვილებს, ადამიანის ნაშიერებს და მაგ საქონლის ნაშიერი არც შვილი მინდა და არც შვილიშვილი...

– კუდიანო ბებერო, რაც მინგრევ ოჯახს! – ღრიალით გამოვარდა მეზობელი ოთახიდან დანაშემართული იური და მაკრინე თმებით დაითრია.

– ხელი არ მახლო შე მგლის ჯიშო! – იკივლა მაკრინემ და სახე მთელი ძალით ჩამოიკაწრა ფრჩხილებით? ნერვიულ შოკში ჩავარდნილმა და ტკივილით გამწარებულმა იურიმ შემდგომი საქციელის რეაგირება დაკარგა და გამეტებით ჩასცა დანა მოიქნია დანა მაკრინეს მკერდის მიმართულებით. მაკრინემ ერთი ამოიხრიალა და გულგაპობილი თეონას ფეხებთან ჩაიკეცა.

– ეს რა ჩაიდინე მხეცო! – იკივლა თეონამ და ყელში სწავდა ოდესღაც საყვარელ მეუღლეს.

– არც შენ დაგტოვებ ცოცხალს, ბოზო, მოღალატე, ქმრისა და შვილების მიტოვებას ლამობდი? აჰა დატოვე! – იღრიალა იურიმ და ჭკუიდან გადასულმა (ექსპერტიზის დასკვნით) ასსამოცდათორმეტი სასიკვდილო ჭრილობა მი-

აყენა თეონას,. ჭიათურის მილიციის საქალაქო განყოფილების მორიგეს სისხლიანი დანა დაუდო მაგიდაზე იურამ და უთხრა:

– სიდედრი და ცოლი მოვკალიო!

– სიდედრს ნეტავი ჩემსასაც მოკლავდე და ცოლის მოკვლას სწორედ ვერ მოგიწონებო! – უთხრა მორიგე მილიციელმა და საკნის კარები ფართოდ გაუღო მკვლელს.

ნისლიანი დილა გათენდა, ფერიდემ პროდუქტების პარკი ანუკის გადასცა, თვითონ ნაგანის ხუნდი შეამოწმა, შიგ შვიდი ცალი ჰილზა მოათავსა, ხელში ოსტატურად შეათამაშა სიკვდილის მაშხალა და ხელჩანთაში ჩაიყო, – „რა ვიცი რაში დამჭირდებაო“ – გაიფიქრა და სათადარიგოდ ოციოდე ჰილზიც ჩააწყო ჩანთაში.

სასაფლაო დღის ნებისმიერ მონაკვეთში სევდის მომგვრელია, ახლაც ჩითქოს ცრემლს ღვრიდა ბუნება, მოქუფრულიყო და სევდის ღრუბლი შემოეხვია სამლოცველოს. შავი მარმარილოს ფილებით შემორაგულ სასაფლაოსთან შეჩერდა ორი ძუ ვეფხვი, ორი დედა გულიდან ამობობოქრებული სევდით აქვითინდა ორივე. ტირილი არ შეუწყვეტია, ფერიდემ ჩანთა გახსნა, შალვას გულს ხელი მოუჭირა, სისხლი ისევ სდიოდა, ფრჩხილებით გათხარა ერთი წრთის სიმაღლეზე შვილის მკერდთან მიწა, შიგ შალვას გული ჩააგდო და წარმოთქვა – შვილებო, თქვენ რომ გეგონათ არა აქვსო გული თქვენს მოღალატეს, აი აღმოაჩნდა. მე თქვენ იმისი გული სამკაულად მოგიტანეთ, მსუბუქი იყოს თქვენთვის ეს მიწა, მშვიდად განისვენეთ და თუ გას გამინათებს თქვენი სულის შარავანდედი, მეორე მოღალატის გულსაც დროულად მოგართმევთ, ცრემლი გამიშრა შვილებო, ადამიანი მხეცად მაქციეს და ახლა მხოლოდ შურისძიებაზე ვოცნებობ, ნუ გაგიკვირდებათ თუ უწინდებურად ცრემლით ვერ ვალბობ იმ კურთხეუ მიწას, რომელიც გმფარველობთ, მე დღეს არც მიწას ვეკუთვნი, არც ზეცას, მიკვირს ღმერთის უღმერთობა და სული სატანასათვის მიჩუქებია, რათა მან ამისრულოს ის ოცნება, რაც ღმერთს ჩემთვის ვერ გაუმეტებია...

ფერიდეს უსმენდა ანუკი და ცრემლი ახრჩობდა, ვეღარ მოითმინა, შეჰკივლა – შვილებოო – და გრანიტის ქვაზე ამოტვიფრულ სურათს კოცნა დაუწყო. ცრემლ ისანთლის ნაჟონივით დაეკიდა გრანიტის ცივ ლოდს, ტიროდა ანუკი ხმამაღლა, თავგამეტებით, ფერიდე კი დაჩოქილი უსმენდა და ძუ ვეფხვივით შემართულიყო მსხვერპლის მოლოდინში.

ანუკი ოდნავ დაამშვიდა ცრემლმა და აკანკალებული ხმით წარმოთქვა: – შვილებო შეუნდეთ დედა ფერიდეს ღმერთის აუგად მოხსენიება, რამეთუ არ იცის რას ლაპარაკობს გამარებული დედა,. ღმერთის სასუფეველში ანგელოზად შეგულვით და თქვენი ღვთიური აჩრდილი გაუძღვეს წინ დედა ფერიდეს ყოველი ჩანაფიქრის აღსასრულებლად, თქვენ შემოაბრუნეთ კეთილისაკენ, აკმარეთ დაღვრილი სისხლი, არ განიკითხოს მოკვდავმა ღვთიური სამართალი და თვით უფალმა დასაჯოს ჩვენი ოჯახის დამღუპველი. თქვენ უწინამძღვრეთ ფერიდეს, ნუ დატოვებთ მარტოდ და ჩემი სიცოცხლე როგორც არჩილმა შემოგწირა. აი სადაც ახლა ვდგევარ, აქ იპოვიან ჩემს უსულო სხეულს, ფერიდეს რომ რაიმე ხიფათი შეემთხვეს, ამიტომ გთხოვ შვილო და შენს სულს ვევედრები მფარველ ანგელოზად მოევლინე შენს დედას, აშორე ხიფათი, შემოაბრუნე ღვთიური ჭეშმარიტებისაკენ, რათა ტკბილი მოგონებებითა და საკურთხით თქვენც ტკბილად განისვენოთ სამუდამო სასუფეველში...

– კარგი რა ანუკი, – უთხრა ფერიდემ და ტირილი შეაწყვეტინა – სულ მთლად ნუ გადაიტყავე მუხლები ღმერთის თაყვანისცემაში, გაიგე „ღვთიური ბრძენო“, რომ ღმერთს თვითონ არა ჰყავს ღმერთი, თორემ ასე უღმერთოდ არ მოგეპყრობოდა.

– უღმერთობას მაშინ იჩენს ღმერთი, როდესაც ეშმაკს სცემ თაყვანს! უთხრა ანუკიმ.

– კარგი რა, ეშმაკის გზას ახლა დავადექი, როდესაც ღვთიური გზა მოლიპული დავინახე, რაც მე ღმერთისათვის სანთელი დამინთია, ის რომ ერთად დამენთო, მთელ მსო-

ფოიოს გავანათებდი, შველას და შეწევნას ვევედრებოდი ოჯახისათვის და რა დამიტოვა სანთლის სინათლემ, ის აჩრდილი, რომელსაც თვით ხატი ეფარებოდა? ჰო, ის პაწაწინა აჩრდილი ჩემი ცხოვრების ჯოჯოხეთურ სიბნელად გადაიქცა და სამუდამო გლოვის უფსკრულში მომისროლა. გიჟი ვიყავი, ბუდენიერებას ღმერთების დახმარებით დავეძებდი, თურმე დროულად უნდა ჩამეცვა რკინის აბჯარი, დროულად უნდა ამეღო ქმრის დაღვრილი სისხლის და შვილს შევინარჩუნებდი, ახლა შვიოლს კი არ შველის ჩემი თავგანწირვა, თვითონ ვიკლავ იმ ბოღმის ჭიას, რომელიც გულს მიღრღნის.

– ნუთუ შენ არ გენანება ვინც მოკალი და არ გელანდება იმისი სისხლი?

– მე ის ახლა არ მომიკლავს, ოცნებით მრავალჯერ მოვკალი სწორედ ისეთივე სიკვდილით, როგორიც ახლა ჩავიდინე. სწორედ მაშინ მელანდებოდა იმისი სისხლი, ახლა კი ოცნების ასრულებით იმხელა სიამონება ვიგრძენი, მზად ვარ შვილის სასაფლაოზე ვიცეკვო და კიდევ მრავალი მკვლელობა ჩავიდინო, რადგან მეჩვენეა ჩვენი შვილების აჩრდილი მიცქერის და ისინიც ისეთივე გახარებულები არიან, როგორც მე. დღეს ახალ მკვლელობას ჩავიდენ და გგონია შემაძრწუნებს დაღვრილი სისხლი? სრულებითაც არა, რადგან ამაზე ოცი წელია ვოცნებობ და დღეს ამ სისხლის დაღვრას კი არა, მობანვის ცერემონიალს შევასრულებ.

– ღმერთო შეუნდე რამეთუ არ იცის, რას ლაპარაკობს და რა უნდა ჩაიდინოს. ჭეშმარიტი ქრისტიანის განდგომა სულიერი სიწმინდისაგან, ღვთის რისხვად ითვლება ნუ ჩაიდენ ფერიდე ბოროტებას, დაელოდე ღმერთის განაჩენს, ის ყველაფერს ხედავს და ღვთიურ განაჩენს მიაგებს ყველას, შენ არა გაქვს უფლება გაუსწრო წინ ღმერთის განაჩენს.

– შენებრი მოკვდავნი, ღმერთის ლოცვა– დიდებაში სარეცელზე იღუპებიან, ისე რომ მათ მიერ დატოვებულ სარე-

ცელზე ადრე ლპება მათი მიწიერი მოგონება, თქვენ ადვილი ნუ გგონიათ იბრძოლოთ სიმართლისათვის და გაწმინდოთ ამქვეყნიური არსებობა ბოროტებისაგან, მიწიერი ცხოვრება მრავალგვარია, ძაღლურიც და მგლურიც. ვირულიც და ადამიანრიც, შენ როგორ გგონია, ბზასა და ტანსაცმელს ვირს უფენდნენ, თუ ქრისტეს, როდესაც იერუსალიმში მიდიოდა! ქრისტე მებრძოლი იყო, ხალხმა დაინახა მასში თავდადება და ღმერთად აღიარა, ამიტომ ჯვარზე გაკვრის დიდება და უკვდავება მხოლოდ ქრისტეს ერგო წილად. მე არ შემიძლია ვიყო ქრისტეს მაგალითი, მაგრამ რაც შემიძლია, ის ვიქნები ქრისტე ღმერთის დახმარებით წმენდდა ხალხის სულიერ არსებობას, მე კი გონებისა და ალექსანდრე კრავჩენკოს დახმარებით ჩავდივარ იგივეს.

– ქრისტეს არავინ არ მოუკლავს. პირიქით, ის ღაღადებდა – „არა კაცთ კლა“ – შენ კი ქრისტეს გზას სისხლით მიჰყვები და გგონია, შეგინდობს უფალი თანამემამულე ადამიანის სიკვდილს?

– რა შუაშია აქ თანამემამულე? ჩვენ ადამიანს უნდა ვცეთ თაყვანი და არა ეროვნებას, რომელსაც შენ ასეთ დიდებით მოიხსენიებ, ქრისტე ებრაელი იყო და ქრისტიანი არასდროს არ აერთიანებს ბუდასთან თავის სარწმუნოებას. შენთვის ვინ უფრო საყვარელია? – არაბი აბო თუ ქართველი სერგო ორჯონიკიძე, ასურელი დავით გარეჯელი თუ ქართველი ლავრენტი ბერია, სომეხი შუშანიკი თუ ჩემი ძირძველი თავადი ქართველი ძმები, რომლებიც დღემდე ჩემი ცოდვით მოსვრილი სისხლიანი ხელებით დადიან და ჩვენ მათ მიმართ ღმერთის განაჩენს ველოდებით.

მეყო ცხოვრების ორომტრიალი. ღმერთისა და ბედის მიერ ნაბოძები სიცოცხლე დავახუდავე. უბედური და უმწეო ფეხის თრევით ავედევნე უნებისყოფო ბრბოდ დარაზმულ დღეებს, მაგრამ რაზმს ვერ ავუწყვე ფეხი, გადავწყვიტე მარტოდ ვიარო არეული ნაბიჯით და ვაი იმას, ვინც ფეხებში გამომებლანდა.

– ღმერთო შეუნდე, ძმის მოკვლა ხომ არ გადაგიწყვეტია ფერიდე, იცოდე ეს ფიქრიც კი მიუტევებელი შეცოდებაა, მე მწამს, შენ არ იქნები ასეთი დაუნდობელი, შენ არ გაიმეორებ კაენის მაგალითს, არ იბრძოლებ ღმერთისა და კანონის წინააღმდეგ.

– მე ვერ ვიწამებ იმ ღმერთს, რომელსაც ჩემი არც ერთი ვედრება არ მოუსმენია, ვერც იმ კანონს, რომლის სადავეც ხელში ღმერთკაცს უპყრია, თავისუფალ ადამიანად მინდოდა მეშრომა და მეცხოვრა ამ ქვეყანაზე, არც მონა მინდოდა ვყოფილიყავი და არც მონათმფლობელი, პირველი დაკნინებაა და მეორე გიგანტიზმი. სამაგიეროდ ჩემზედ გადაწყვიტეს ბატონობა, წავხარე კისერი და შვილის სიყვარულით დავიდგი კისერზე მონობის უღელი. მონად ყოფნაც შეშურდათ ჩემი და ვინც მონობის უღელი დამადგა, იმანვე მომხსნა, ამდენი ხნის ნატარები და შეჩვეული უღელიც შეშურდათ ჩემთვის. ამ შემთხვევაში საჭიროა „ბრძოლა არსებობისათვის“. მე კი ამაში მაინც გამიმართლოს, რომ ვიბრძვი არარსებობისათვის. აბა როგორ მოვიქცეთ, წყევლითა და ლოცვით გავანადგურებთ ჩვენს მტრებს?

ჩვენ სახლი ავაგეთ, ტანჯვა – წამებით არსებობისათვის ცხოვრება შევქმენით, მღრღნელებმა ჩვენს სახლს ღრღნა დაუწყეს და ქონების განადგურება, შენ როგორ ფიქრობ სახლი დავანგრიოთ თუ მღრღნელები გავანადგუროთ?

– პატივი უნდა სცე იმ უზენაესს, რომელმაც მღრღნელები შემოგასია და იმის დაუკითხავად არა გაქვს უფლება, მღრღნელები გაანადგურო. დღევანდელი დღე ჩვენს ცხოვრებაში ჩამოწოლილი ნისლია და ნისლიანი დილა იმას როდი ნიშნავს, რომ მთელი დღე იწვიმებს.

– ჩვენთვის კი არ იწვიმა, მოთოვა და სრულებითაც არ ვფიქრობ სულის უკვდავებაზე. არც ვფიქრობ და არც მეშინია სიკვდილის, უმაღლესი დონის ცივილიზაციისათვის, სიკვდილი არ არსებობს, იგი არსებობს სულიერად განუივთარებელ ადამიანებში, სხეულის გარსში. სიკვდილთან ერ-

თად მიწაში ჩადის მათი სულის განუვითარებელი, მოუმწიფებელი ნაყოფიბ ასეთი ადამიანები კვდებიან ერთხელ და სამუდამოდ, რადგან მათ არ შეუძლიათ ბრძოლა ბოროტებასთან, დაუცველიც არიან მათი დიდებისაგან სხვაგვარად სამყარო ვერ მიაღწევდა ჰარმონიისა და სრულყოფილების მწვერვალებს, საითაც კაცობრიობა მთელი სიჩქარით მიილტვის.

– ჩვენთვის ბუნების ეგ პროცესი აღარ არსებობს, ყური მიუგდე ღმერთის მცნებას და ხალხს შენი ცხოვრებაზე უარყოფითად ნუ აალაპარაკებ.

– რაო, რას ლაპარაკობს ხალხი?

– ფერიდემ შვილის სიკვდილის შემდეგ დაიწყოო გამოპრანჭვა, გასათხოვარი გოგოსავით დაშხვართალობს, საქორწილოდ ემზადებაო ალბათ!“

– კარგია, რომ ასე ფიქრობენ, ხალხს ისეთ ქორწილს ვუჩვენებ, სასამართლო დარბაზში ფეხზე დასადგომ ადგილს ვერ მოძებნიან!

– მე შენ ვერაფერი შეგაგნებინე, როგორც ჩანს, ღრმად გაიდგა შენში ეშმაკმა ფესვები, მაინც უნდა გითხრა სათქმელი, რადგან უფლება არა მაქვს არ ვეცადო სიკეთისაკენ შემობრუნებას! შენ კი უფლება გაქვს არ მოისმინო ჩემი საუბარი და ვიცი, ასეც იქნება, მაგრამ გახსოვდეს ჩემი ხანმოკლე სიცოცხლე შენ გეკუთვნის, შენ შეგიძლია მაარსებო და მაცოცხლო ჩვენი შვილების სულის საპატრონოდ. მოუხმე საკუთარი სულის სიმხნევეს და ნუ წაშლი იმ სიცოცხლეს იმ დროზე ადრე, რაც ღმერთს მოუცია ჩვენთვის!

– ნეტავი გამაგებინა, რას დაფოფინებ თავზე სიცოცხლეს, რაოდენ? არ უნდა იყოს, სიკვდილი ხომ მაინც გარდუვალია და მაკვირვებს იმ ხალხის, რად არ მიდიან თავიანთი ნებით იქ, სადაც ძალაუნებურად მაინც მოუწევთ წასვლა? კმარა ანუკი ჩემს მიმართ აღმზრდელობითი პროგრამის წაკითხვა, სულ ერთია, ჩემი ოცნების ასრულების პროგრამას

ვერ შეცვლი, შენ ეს მითხარი, ხომ არ გეწყინება, არჩილის ავტომობილი გამოვიყვანო ავტოფარეხიდან, სავანეში მინდა ავირბინო.

– ვერ გავიგე ქალი ხარ თუ ქაჯი, ავტომობილის ტარებაც იცი?

– ყველაფერი! ბრძოლისუნარიანობა მასწავლა ჩემმა ძმამ, – ალექსანდრე კრავჩენკომ.

– საკუთარი ძმების არსებობაზე უარს ამბობ და უკრაინელი კრავჩენკო მონათლე ძმად?

– იქნებ გამაგებინო ანუკი, რა არის ძმა. ეს სიტყვა თუ არსება, რა ფუნქცია ავალია დის მიმართ, ხალხის მიმართ, ხალხის მიმართ, სამშობლოს მიმართ!

– რაც ევალებოდათ ცხრა ძმა ხერხეულიძეებს, ის ევალება ყველა ძმას, ძმის მიმართ, დის მიმართ, სამშობლოს მიმართ, ის ევალება შენს ძმებსაც.

– მადლობა ღმერთს, ბოლოს და ბოლოს ჩაწვდი, რომ ხერხეულიძეების მსგავსი ძმობა ბრძოლის ველზე დაიხოცა, სწორედ იმ ბრძოლის ველზე აღმოცენდა ურჯულოთა სისხლშერეული თანამედროვე ძმები! აი ასეთი ძმები, რომელთაც უხვად ვხვდებით დღეს ძმის ნიღაბჩამოფარებულ მოსახლეთა შორის.

– მისმინე ფერიდე არ შეიძლება ყველა მოღალატედ მონათლო, ვინც იბრძოლა და ვისაც ბრძოლის ველზე არც კი გაუვლია, შენი ვალია ყველას მიმართ კეთილი იყო, გახსოვდეს ბოროტებაში მხოლოდ სიკეთით შეიძლება დაამარცხო, სიკეთე მარადიულია, იგი დროის ცვალებადობას არ ექვემდებარება, იგი ადამიანთან ერთად წარმოიშვა და ჩვენი ვალია ვეცადოთ ვენთან ერთად არ გაქრეს სიკეთე, დავტოვოთ ქვეყნად სიკეთის ფესვი, რომ არ დავემსგავოთ იმ ადამიანებს, ვინც დაბადებისთანავე დაკარგა სიკეთის შეგრძნება, სითბო, რომელიც შენ მიიღე მზისგან თუ არ გაეცი, დაიწვები – ასეთია სიკეთის ძალაც, რომელიც ადამიანზე გადმოდის ღვთიური ძალით, რათა გადალახოს მასში შინაგანად არსე-

ბული ცოდვა და მოიპოვოს სულის ნეტარება. მართალია ეს მცნება ღვთიური ჭეშმარიტებაა და უფრო ძლიერია. ვიდრე მიწიერი, მაგრამ ყველა მოკვდავ ადამიანს ძალუძს თანდაყოლილი სიკეთის მცნების შესრულება.

– ანუკი, რისთვის მთხოვე მხოოდ ჩემში გაიღვიძოს სიკეთემ და მხოლოდ მე ჩემი სიკეთით ვებრძოლო უსამართლობას? შენი აზრით, რომელი უფრო ახლობელია ჩემთვის, მართლმადიდებელი ჩემი ძმები, თუ მართლმადიდებელი უკრაინელი კრავჩენკო, რომელმაც შემასწავლა უკეთურებასთან ბრძოლა?

– მე კრავჩენკო ეშმაკის მსახური მგონია, რომელმაც ომი და სიკვდილი შეგასწავლა. ასეთ ქმედებაში ღვთიური ძალა არ ურევია და ნურც შენ შერაცხავ წმინდანად გადამთიელს.

– მწყინს, ანუკი, კრავჩენკოს აუგად მოხსენება, გთხოვ ამას ნუღარ გაიმეორებ, ახლა კი ნება მიბოძე გამოგემშვიდობო და რამდენიმე წლით დაგტოვო. გადაწყვეტილი მაქვს ქალთა კოლონიაში მოვხვდე და დროულად მოგაწოდო ქალთამზეს გული, მთავარია შენს თავს მიაქციო ყურადღება გახსოვდეს, რომ შენ ჩემი შავბნელი საქმის თანამონაწილე ხარ და კვლავ მესაჭიროები...

– შეჩერდი! შეჩერდი! – კვლავ წამოიძახა ანუკიმ – ხომ შეიძლება ცოტა შეისვენო და შემდეგ.

– არა, არ შეიძლება! დაყოვნებამ შესაძლოა საქმე გააფუჭოს, ვინ იცის, იქნებ თავი იჩინოს რუსთავის საქმემ და ისე ამიყვანონ პატიმრობაში განზრახულის შესრულება, ველარ მოვასწარი, გზიდან ჩამომეცალე ანუკი! – ახლა უკვე მკაცრად წარმოთქვა ფერიდემ და სანამ ანუკი საპასუხო სიტყვას მოიფიქრებდა ავტომობილის სიჩქარის ბერკეტი გადართო, გიჟური სიჩქარით მოწყდა ადგილიდან „ჟიგული“ და სავანისაკენ გაქანდა. ანუკიმ ჯვარი გადასახა მიმავალს და არ ახსოვს რამდენ ხანს იდგა ერთ ადგილზე გაქვავებული.

„ჟიგული“ მჭიდროდ დასახლებულ უბანში შევიდა და ხის ჭიშკართან გაჩერდა, აქ ოცი წლის განმავლობაში თითქმის არაფერი შეცვლილიყო, ჭიშკარი ძველებურად გამოიყურებოდა,. მხოლოდ ცოტა შეუკეთებიათ, ქვის კედელზე შედგმული ხის სახლი კი ხელუხლებელი ჩანდა, ისე გამოიყურება, როგორც ბავშვობაში ახსოვდა, აქ გაატარა ფერიდემ სიყმაწვილე და ვნ მოთვლის, რამდენი ტალახი უზელია ფეხშიშველა ფეხით აქ, ვინ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მტრად შემოაბიჯებდა ამ ეზოში მუდამ სიკეთის მფრქვეველი შვილი ოჯახისა და სიამაყე სოფლისა, ფერიდეს წარსულის მოგონებამ გული შეუკუმშა და თვალები ცრემლმა დაუნისლა, ქალურმა სათნოებამ თავისი მოვალეოა შეასრულა, მოგუდული ხმით ტიროდა ჯერ კიდევ ცოცხალ ძმებს და კინაღამ გადაიფიქრა განზრახული, მაგრამ თვალწინ დაეხატა საზარელი სურათი, ყელგამოღალდრული თავისი პირველი სიყვარული – გიორგი, კუბოში არჩილის გვერდით ჩასვენებული ეკა, გაყბიდული და განადგურებული ოჯახი, ჩამოგლეჯილი თმა. ფიცი შვილის უსულო გვამთან... როგორც ღრუბელში გამონათებული მწველი მზე, იმერეთში ჭრაქს რომ ეძახიან, ისე გამოანათა ცრემლიან თვალებში შურისძიების ნაპერწკალმა, მხარზე ჩანთა გადაიკიდა და ავტომობილის კარები უხმაუროდ დახურა, სახლში წყნარი ნაბიჯით შევიდა, სწორედ იმ სახლში, სადაც იმის აკვანი ირწეოდა ყველა ოთახი შემოიარა, სახლში არავინ აღმოჩნდა, აივანზე გამოვიდა და მხოლოდ ახლა შეამჩნია ეზოში ახალი სახლი აეშენებინათ – „ალბათ ახალ სახლში იქნებიანო“ – გაიფიქრა და იქით წასვლა დააპირა, რომ ეზოში უმცროსი ძმა კობა გამოჩნდა.

– ო, ო, ო, ვის ვხედავ! – წამოიძახა მან და ძმებს შეეხმიანა.

– ჰამლეტ, გიო, ბესიკ, გამოდით, გამოიხელეთ, საიქიოდან ფერიდეს აჩრდილი გამოგვეცხადა, საინტერესოა, რა დაემართა უსაკურთხო მკვდარს!

კობას ყვირილზე ახალი სახლიდან მართლაც გამოვიდა კიდევ სამი ძმა და ისე მოღუშულები შეაცქერდნენ ფერიდეს, თითქოს მართლაც საიქიოდან ყოფილიყოს მოსული.

– ვინ მოგცა უფლება ძუკნა. ჭიშკარი რომ შემოაღე და სახლში შემოდგი ბინძური ფეხი, შენ ჩვენთვის მოკვდი და ახლა მოლანდებებით გვაშინებ, წამოიძახა უფროსმა ძმამ, გიომ და კიბე ჩაირბინა, რათა პანღურის ცემით ეზოს გარეთ გამოეგდო მოჩვენება, მაგრამ ფერადემ გაითვალისწინა მოსალოდნელი აურზაური, მეზობლების თავშეყრა და განაპირა, ყველაზე მყუდრო ოთახში მოასწრო შესვლა, ძმებიც ფეხიფეხ შეჰყვნენ ოთახში.

– გარეთ გაეთრიე ძუკნა, – არ იშლიდა თავისას უფროსი ძმა, პირიდან ცოფს ჰყრიდა და ხელით ეპოტინებოდა ფერიდეს, რომელიც კუთხეში კედელს აკვროდა.

– შეჩერდით, ძმებო!– წამოიძახა ფერიდემ, რომელიც მზად იყო ნახტომისათვის, თუ არ შეჩერდებოდნენ, მაგრამ მომდევნო ძმამ ბესიკიმ, შეაჩერა ძმები.

– ადროვეთ, რა უნდა გვითხრას, მოუსმინოთ, იქნებ აქ დასასაფლავებლად ამოვიდა და ავუსრულოთ ეს ბოლო სურვილი!

– ნახე! ნახე! შვილი გამოუგლოვებია უკვე! – წარმოსთქვა ჰამლეტმა.

– ბოზმა და ჩათლახმა რა იცის შვილის სიყვარული, ვინ მოთვლის რამდენი ეყოლება ამისთანა ეკა გაყიდული! – თქვა კობამ.

– აბა, აბა, მოგვჭრა თავი სამუდამოდ, მეზობლებში თავი ველარ გამოგვიყვია, აქაც არავინ შემოდის, მაგისი ბრალია მთელი უბანი რომ გვემდურის! – თქვა გიომ.

– შვილიც მაგის გზას დაადგა ალბათ და იმიტომაც ჩააძაღლეს! – დაისისინა კობამ, რომელსაც სისინი მართლაც ხმელეთშხამიან გველს მიუგავდა.

ახლა კი ველარ მოითმინა ფერიდემ შვილის აუგად მოხსენიება, რისხვით აევსო თვალები, აუღელვებლად გახსნა ჩანთა და ნაგანს ხმის მაყუჩი ლულა მოარგო.

– კედელთან დადექით! – ცივი ხმით წარმოთქვა ფერიდემ და პირველი ტყვია მამის სურათს დააჭედა.

– არ მოგეკლა გოგო! – სიკვდილის შიშით აკანკალდნენ ძმები...

– კედელთან დასხედით! – გაიმეორა ფერიდემ და თვალი შეასწრო თუ როგორ შეტრიალდა კობა კარებისაკენ გასაქცევად, მაგრამ ტყვია კარებთან დაეწია და ასეთი რამ მხოლოდ კინოებში ხდება, თუ როგორ სკდება თავის ქალა და როგორ ეშხეთფება ტვინი კედელს.

– არ მოგვკლა ჩემი დაიკო ფერიდე, არ მოგვკლა, – თითქმის ერთად, ერთი ხმით ღრიალებდა იატაკზე დაჩოქილი სამი ძმა.

– შეგიბრალოთ? – ზიზღით წარმოთქვა ფერიდემ, როდესაც იხილა ერთი წუთის წინ ამაყი ძმები, ახლა სიკვდილის შიშით დაკნინებულ– აკანკალებული

– შეგვიბრალე ფერიდე! შეგვიბრალე! – ერთხმად წამოიყვირა სამივემ. ისინი მეოთხე ძმის უსულო გვამთან დაჩოქილიყვნენ.

– თქვენ კი არ შეიბრალეთ გიორგი და მადლობა ღმერთს, რომ განაჩენი მე მომყავს სისრულეში.

ფერიდემ სასხლეტი დაუშვა და უფროსი ძმა, რომელიც ძმების შუაში იყო დაჩოქილი, ტყვიამ იატაკზე აისროლა, კედელს მიანარცხა, კიდევ ორი გასროლა და დასრულდა შურისძიების ცერემონიალი, ფერიდემ სისხლში მცურავი ძმები ზიზღით შეათვალიერა, რევოლვერის ჟოლი ახალი ჰილზებით შეავსო და თითო ტყვია კიდევ დაურიგა გვამებს გულზე დაბჯენილი ნაგანის ლულით.

სრულებით მშვიდად მოქმედებდა, ერთი ნაკვთიც არ შერხევია, მხოლოდ ეს იყო, ზიზღის გამომხატველი გრძნობით სახე შეჭმუხვნოდა, ნაგანი ჩანთაში შეინახა, ჭიშკარი გამოაღო და ჩანთა ავტომობილის საჭესთან სავარხძელზე დააგდო, ავტომობილის საბარგულიდან ოცლიტრიანი ბენზინით სავსე ბალონი ამოიღო, გვამებთან სისხლი უკვე შედედებულიყო.

– „მე თქვენ ინდური წესით დაგასაფლავებთ“ – მშვიდად წარმოსთქვა ფერიდემ და გვამები ბენზინით დაასველა, შემდეგ სახლის კედლები და იატაკი მორწყა ბენზინით, გარედანაც შემოუარა და ცარიელი ბალონი აივანზე მოსიროლა მშვიდად გაჰკრა ასანთი და ერთ წუთში მთელი სახლი ცეცხლის ალმა აიტაცა. აუღელვებლად ჩაჯდა ავტომობილში და გელი სვლით გაუყვა შარას, როდესაც მთავარ საავტომობილო გზაზე გამოვიდა, მაშინ გაიგონა სახლის სახურავის ჩამოქცევის ხმა და სოფელში მაცხოვრებელთა შეძახილები...

„ჟიგული“ ნელი სვლით შეუყვა აღმართს და სოფელ ჩიხაში, სასაფაოსთან, გაჩერდა ორი თვე გავიდა იმის შემდეგ, რაც გიორგის სამუდამო სასუფეველი არ მოუნახულებია ფერიდეს, სასაუბროდ ბევრი დაუგროვდა საყვარელ მეუღლესთან და ნერვიულობით გადაღლილი ქვის სკამზე ჩამოჯდა, ისეთი მოკრძალება დაეუფლა თითქოს სარეცელზე უწვებოდა ამდენი ხნის უნახავ მეუღლეს, თითქოს გრძნეული სამეფოდან თავს დასცქეროდა გიორგის აჩრდილი, უნდოდა შეეხედა, მაგრამ ეშინოდა, რომ თვალი ვერ გასწორებინა საყვარელი მეუღლისათვის, ამ წუთში მას აღელვებდა ის, რაც აწუხებდა მსოფლიო კანონზომიერებისათვის მებრძოლ ადამიანებს. სიმართლისათვის მებრძოლი მკვლელი ადამიანისათვისაც არსებობს აღელვებაც და ოლიმპიური სიმშვიდეც, რომელიც ყველა ადამიანის სულში მოედინება, დასახული მიზნების შესრულების შემდეგ როგორც ანკარა წყარო, რადგან ერთი წამით შეცნობილი სიმშვიდის უკვდავება სჯობს შეუცნობელ მარადისობას, შეიძლება ეს მარადისობა ღვთიური ნაყოფით არ იყოს დახუნძლული, მაგრამ ამ წუთში ფერიდესათვის სულერთია სიმშვიდე ღვთიური იქნება თუ სატანური, რადგან მკვლელობის დროს მიღებულმა ტრაგიკულმა განცდამ, შესრულების შემდეგ სიმშვიდე ორმაგი მოგვარა, არცერთმა მხატვარმა არ იცის როგორი გამოვა იმისი ნამუშევარი, ალბათ ბუნებამაც არ იცის, როგორ წელიწადს გვიქადის ზოდიაქო, მკვლელმა კი წინასწარ იცის, წინასწარ

მოფიქრებული მკვლელობის მწუხარებაცა და სიხარულიც, ძნელია მკვლელს გაუგოს ვინმემ, ის ხომ ბოროტმოქმედია საზოგადოების თვალში და აბა რატომ უნდა შეუნდოს საზოგადოებამ მკვლელს დანაშაული? არავინ არ უყურებს მედლის მეორე მხარეს და არც არავინ დაასველებს ენას მკვლელის დასცავად, მაგრამ თუ ობიექტურად ჩავხედავთ მკვლელს თვალებში, ზედმეტი პათეტიკის გარეშე, ფაქტების დაუმახინჯებლად, მხოლოდ ზნეობრივ ადამიანურ პრინციპებზე დაყრდნობით, ნათლად დავინახავთ, რომ ცხოვრება ძნელი შრომაა, რომელსაც თან ახლავს აღზრდაც და მკვლელობაც,.

ფერიდემ მუხლებზე დაიჩოქა, თაყვანი სცა გიორგის სურათს, რომელიც მოეჩვენა, თითქოს გაკვირვებითა და კითხვით მისჩერებოდა – ,,ეს რა ჩაიდინე ფერიდე?"

– რა ჩავიდინე? – გაესაუბრა აჩრდილს – შენ აღარ მყავხარ ჩემო დიდებავ, ვის ვთხოვო დახმარება, სად გეძებო ჩემო გულის სითბოვ, შენთან არ ვიცი როგორ არის ცხოვრება, აქ კი ეკას სიკვდილის შემდეგ საზიზღრობა აღმოვაჩინე, როცა ბედი არ მწყალობდა ქვრივსა და ჩვილშვილიან დედას, სხვებს ეს უხაროდათ, როცა გზა ამებნეოდა, სხვები იცინოდნენ, როცა რაიმე ზარალს ვნახავდი, სხვები ჩემი ზარალით გამორჩენას ელოდნენ, ჩვენმა ღვიძლმა კეთილ– ნათესავებმაც კი თავიანთი სარგებლობისა და სიამოვნებისათვის, განადგურებამდე მიმიყვანეს, შენგან ველოდი შველას და იმ გრანდიოზული ოცნებების შესრულებას, რომელსაც ვსახავდით იმ მცირე დროში, რომლის მეტიც არ გვარგუნა უფალმა შენ კი წახვედი და დამტოვე საკუთარი ცრემლის ამარა... დაგეძებ, არ მაძლევს საშველს ფიქრი და მონატრება, დაგეძებ სიზმრად და ცხადად, ლოცვით და კურთხევით, სასოწარკვეთითა და იმედით. დავიქანცე, შესვენებას ვლამობ, მაგრამ ვგრძნობ არა მაქვს ამის უფლება, ვიდრე შენი გოდება, გმინვა და ვაება მესმის იმქვეყნიური უსასრულობიდან მეხმაურება შენი აჩრდილი, ესე იგი ვფიქრობ, შეგწევს ძალა ცოდვა– მადლის

განკითხვისა, და ნეტავ, ღირდეს იმ ფასად ჩემი ტანჯვა– წამება, რომ დროულად შევხვდეთ ერთმანეთს იმ სიყვარულის სადიდებლად, რომელიც მიწაში დაიმარხა, მაგრამ იმედი მაქვს, სწორედ მიწა ამოაფრქვევს ჩვენს სიყვარულს ღირსეული შურისძიების შემდეგ.

იქნებ მართლა არსებობს რაიმე იმქვეყნად, თუ ასეა, მალე წამიყვანე გიორგი, მომკალი რომ ვეღირსო შენს ნახვას, სიკვდილს არ შეუშინდე, მშობლიურ კერას მომწყვიტე და ახლა რაღასი გეშინია ბიჭო– თქვა ფერიდემ და ხელები ცისკენ აღაპყრო.

– ჯვარცმულო ქრისტე, ძეო ღვთისაო, ძლიერებაო ქვეყნისა, შენ შეიფარე და ნათელში მიმყოფე გიორგის სული... შენ სუფთად წახვედი ამა ქვეყნიდან გიორგი, როგორც თვით იესო და მწამს გზანათელს იქნები, მე კი შენ გულს მოგიძღვნი, მხოლოდ არ დამიბრუნო საჩუქარი ისე, როგორც მარი– ლუიზა მოექცა ნაპოლეონის გულს.

ჰო, ვისაუბროთ გიორგი და საქმესაც ნუ დავივიწყებთ! – თქვა და ფრჩხილებით მიწის გათხრას შეუდგა, თითებზე ფრჩხილები დაატყდა და ნუნებიდან გამონაჟონმა სისხლმა მიწა დაასველა, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობდა, სამუშაო ჰქონდა შესასრულებელი და შეასრულა კიდეც, კმაყოფილებით მოავლო თვალი ნაშრომს, წამოდგა და სასაფლაოს ტერიტორია შეათვალიერა – „ხომ არავინ მიყურებსო“ – არავინ არ ჩანდა, სასაფლაო როგორც ყოველთვის, პირქუშად გამოიყურებოდა, ჩაღამებული, ნისლიანი, მწუხარე და ავისმომასწავებელი“.

ფერიდემ ქვის სკამზე დადებული ჩანთა აიღო, გახსნა, შეამოწმა ნამდვილად აქ არის თუ არა გიორგის ნაქონი ნაგანიო და როდესაც დარწმუნდა ადგილზე იყო, ჩანთასთან ერთად ორმოში გადაუძახა, შემდეგ მიწა მოასწორა, დამჭკნარი ყვავილები შეასწორა, ზოგიც ახლად მოსწორებულ მიწაზე გადმორგო, ფესვი გაუმაგრა, შვებით ამოისუნთა და მოეჩვენა, რომ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი ქალი იყო.

– „მაპატიე გიორგი, დავიგვიანე, დაიწყო ისევ ცრემლიანი ხმით – შენ ბიჭობ ალბათ გახარებული ხარ, შვილი მოგვიდა დაგვირგვინებული, ქმართან ერთად ახლა კი შენი მკვლელები მონებად გამოგიგზავნე და მაპატიე, რომ მათ გულს შენს მკერდზე არ ვასაფლავებ, ნეტავი გენახა როგორ კრთოდნენ სიკვდილის წინაშე, შენც თუ ასე ლაჩრულად შეხვდი სიკვდილს, იცოდე არ ვიტირებ. ნეტავი გენახა, თუ როგორ აბრალებდნენ ერთიმეორეს შენს სიკვდილს და როგორ ეფარებოდნენ ურთიერთს, ცხოვრებაში ძმას თავისი ადგილი აქვს და მეუღლეს თავისი, მაგრამ ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარდა ძმები, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე უძლიერესად, მაგრამ შვილის სიკვდილის შემდეგ შემძულდნენ და დღეიდან შემეზიზღენ კიდეც.

გადაწყვეტილი მქონდა მეღიარებინა მათი მკვლელობა, მაგრამ გადავიფიქრე, მესირცხვილება ლაჩართა სისხლში რომ გავისვარე ხელი, სიამოვნებით ვაღიარებ შალვა თოდაძის მკვლელობას, თუკი გამოძიებ ჩემს კვალს მოაგნებს. შალვა უფრო ვაჟკაცურად შეეგება სიკვდილს, მიყვარს ვაჟკაცი კაცი სიკვდილ– სიცოცხლეში ვაჟკაცურად რომ რჩება, აი ისეთი.

შენ უბედურ ვარსკვლავზე იყავი ჩემო გიორგი დაბადებული, მაგრამ არც ჩემი ძმები ყოფილან მოკაშკაშე ვარსკვლავზე დაბადებულნი, შენ ერთი შვილი მაინც დამიტოვე, რომელმაც დღემდე შემინარჩუნა სიცოცხლე, მათ კი დამტირებელიც არ დარჩენიათ. არ გამოიძებნა დიდებულ თავადთა შესაფერისი ქალები, დღეს კი საკუთარ გვამებთან ერთად ფერფლად აქციეს წლობით ნალოლიავები თავადური დიდება.

ახლა კი მივდივარ და რამდენიმე წლით გემშვიდობები გიორგი, მილიციაში უნდა გამოვცხადდე და ვაღიარო დანაშაული, მხოლოდ დანაშაული და არა მკვლელობა“?

ფერიდემ „ჟიგული“ ავტოფარეხში დააყენა, ანუკი ჭიშკართან ელოდებოდა დობილის გამოჩენას და უვნებელი რომ

დაბრუნდა, კინაღამ ცეკვა დაიწყო მრავალტანჯულმა ადამიანმა.

– სადა ხარ გოგო აქამდის, დავბრუციანდი შენს ლოდინში, – უსაყვედურა დანახვისთანავე.

– რა ვუყოთ ანუკი, ცხოვრებამ ასე ინება, აწი უფრო დიდხანს მოგვიწევს უერთმანეთოდ ყოფნა და ერთიმეორის ლოდინი.

– აბა ამოალაგე რა დანაშაულიც ჩაიდინე!

– მაგას გამომძიებელთან დავღერღავ. შენ კი სასამართლოზე მოისმენ ჩემს დანაშაულს, ახლა კი მომეხმარე, არ მინდა მილიციამ სახლიდან წამიყვანოს, მე თვითონ უნდა გამოვცხადდე ორგანოში, საჩქაროდ რაიმე აბგა მომიძებნე, ჩამიწყვე საპონი, კბილის ჯაგრისი, ქალისათვის საჭირო კოსმეტიკა, თბილები, საცვლები და სხვა. რაც საჭირო და აუცილებელია განდეგილი მარტოხელა ქალისათვის.

– მტოვებ ფერიდე? – ხმა აუკანკალდა და ცრემლები წამოსცვივდა ანუკის.

– არა მე არ გტოვებ „კანონი მეფეა მეფეთა“ დანაშაულზე ყველამ უნდა აგოს პასუხი, თუ ვაჟკაცი ხარ, კანონს არ უნდა დაემალო ვაჟკაცურად ჩადენილი დანაშაული ადამიანმა ვაჟკაცურად უნდა აღიაროს და განაჩენსაც ისე ვაჟკაცურად შეხვდეს, როგორც დანაშაულს ჩადიოდა.

– მართალი ბრძანებაა, მართლმსაჯულების მსახურს არ უნდა დაემალო, თორემ სინდისსა და კანონს, მაინც ვერსად დაემალები. კანონის დამცველს და კანონის დამრღვევს მთელი ქვეყანა პატარა ეჩვენება მანამ, სანამ ქვეყანაზე ერთ– ერთი ბოგინობს, ვიცი მე ეს მაგრამ შეღავათი ყოველთვის არსებობს, მართლმსაჯულებამაც ლმობიერად უნდა გადახედოს ჩადენილ დანაშაულს, ფეხზე წამოდგომის მსურველს უნდა დაუჭიროს მხარი და ნურც მას უბიძგებს უსკრულში გადასაჩეხად, ვინც წასაქცევად ემზადება, რატომ არ მეუბნები რა დააშავე გოგო, ხომ იცი ერთი

მესაიდუმლე გყავარ. გულზე მოგეშვება მეგობართან ნაღიარები დანაშაული, რადგან დანაშაულის ნაწილი მეგობრის მხრებზე გადადის.

– ყველაზე დიდი მესაიდუმლე საკუთარი თავია ანუკი და ხანდახან არც იმას უნდა ენდოს ადამიანი, არა, შენ არ გაიფიქრო უნდობლობას გიცხადებდე, მაგრამ ახლა დრო აღარ ითმენს, ხვალ მოდი იქ, მილიციაში და ყველაფერს მოგიყვები დაწვრილებით. ახლა კი, რაც გითხარი ის თხოვნა შემისრულე, საჭირო ნივთები ჩამიწყვე აბგაში.

ანუკიმ ახალი ჩანთა გამოიღო კარადიდან და ყველა საჭირო ნივთი ცრემლით დასველებული ჩააწყო აბგაში.

დობილები უხმოდ შესცქეროდნენ ერთი– მეორეს და ვინ იცის, მათ მდუმარებაში რამდენ საუკუნოვანი მარადისობა იყო საიდუმლოდ ტაბუდადებული. ბოლოს ცრემლმა იძალა, დობილები ერთმანეთს ჩაეხუტნენ და ისევ უხმოდ უზიარებდნენ ერთიმეორეს სითბოს, ესმოდათ მოძალებული გულის ძგერა, თრთოლვა სულისა, შვილების სიყვარულით და დაკარგვით გამოწვეული... ერთი– მეორის ტანჯვა, რათა ყველაფერს დასასრული აქვს, დასრულდა ორი დობილის ცრემლის დენა და დადგა ჟამი განშორებისა. წაღმა შეტრიალდა ფერიდე, რაღაც ლოცვისმაგვარიც კი წაიბუტბუტა და აჩქარებული ნაბიჯით ისე განერიდა ანუკის, უკან არ მოუხედავს, რადგან ანუკის მისი ცრემლი არ დაენახა და ქალურ სისუსტეში არ დაედო ბრალი.

ანუკი პირველად გაოგნებული იდგა, გასცქეროდა მიმავალ ფერიდეს და მის ყოველ ნაბიჯს ითვლიდა, შემდეგ თითქოს გამოერკვაო, მუხლებზე დაეცა, ხელები ცისკენ აღაპყრო და გულმხურვალედ წარმოთქვა.

– წმიდაო მარიამ, დედაო ღვთისაო, უფალო, ყოვლისშემძლეო იესო, წმინდისა დედისა შენისა ვედრებითა მომაპყარ სმენა გონება მახვილი და ლოცვითა ჩემითა და დახმარებითა თქვენთა მშვიდობით დამიბრუნე ფერიდე ჯანმრთელი და უვნებელი, რადგან არავინ მყავს მეტი დამტირებელი, ცრემლი

ფერიდესი ეპკუროს უსულო ჩემ გვამს ჟამსა გარდაცვალებისას, უფალო ისმინე ლოცვა ჩემი, მზეო მანათობელო და ქვეყნად ბოროტების დამთრგუნველო, ჩემი შვილივით თბილო, ტკბილო და სანატრელო, არ მოაკლო სითბო ჩემს ფერიდეს, გაუნათე გზა და მიმყოფე თქვენი კალთის მფარველობის ქვეშ...

ლოცულობდა ანუკი მაშინაც კი, როდესაც ფერიდე აღარ ჩანდა, ლოცულობდა და ცრემლით შესთხოვდა უფალს ფერიდეს მფარველობას. შემდეგ წამოდგა ლასლასით, მივიდა საწოლამდე და რამდენ ხანს ტიროდა, თვითონაც აღარ ახსოვს,

ფერიდე კი საჩხერის მილიციის განყოფილებაში მივიდა და მორიგეს მილიციის უფროსთან შესვლის ნებართვა სთხოვა.

– რა საკითხზე გინდათ მილიციის უფროსის ნახვა.? – შეეკითხა მორიგე.

– პირადი სათხოვარი მაქვს – უპასუხა ფერიდემ.

– კარგი ჩვენც ასე ჩავწეროთ ჟურნალში – თქვა კაპიტანმა და სქელტანიან ჟურნალში ფერიდეს გვარი და სახელი ჩაწერა, შემდეგ უფროსის კაბინეტი მიასწავლა და ფერიდემაც ისეთი დამშვიდებით აიარა კიბეები და შეაღო მილიციის უფროსის კაბინეტის კარები, თვითონაც უკვირდა ასეთი სიმშვიდე.

– რისთვის შეწუხებულხართ ქალბატონო? – თავაზიანად შეეკითხა მაიორი გულად ფერაძე.

– დანაშაული ჩავიდინე ბატონო და გთხოვთ დამაპატიმროთ, მინდა პასუხი ვაგო კანონის წინაშე.

– ნუ ხუმრობთ ქალბატონო, ასეთი მშვიდები და ლამაზები დანაშაულს არ ჩადიან! – ქალთათვის სასიამოვნო კომპლიმენტი გამოურია სიტყვაში მაიორმა.

– არა, სახუმაროდ არ მოვსულვარ ბატონო, ნამდვილად ჩავიდინე დანაშაული.

– საკვირველია, მაინც რა დანაშაული ჩაიდინეთ ასეთი?

– ჩემი ძმების სახლი დავწვი, ის ძველთაძველი კერა, სადაც ჩვენ გავიზარდეთ!

– რატომ? – გაკვირვებით შეხედა მაიორმა.

– ჩვენი ოჯახისათვის იმ სახლს სიკეთე არ მოუტანია, ის სახლი მთელ სოფელში უბედურების კერად იყო ცნობილი და ამიტომ დავწვი.

– კარგი, კარგი, დაწერეთ მოკლედ ჩადენილი დანაშაულის შესახებ – უთხრა მაიორმა და ფურცელი და საწერკალამი დაუდო მაგიდაზე, ფერიდეს. მალე ჩაამთავრა ფურცლის ერთი გვერდი და ახსნა– განმარტება მაიორს გადასცა წასაკითხად, რომელმაც ნაწერს თვალი გადაავლო, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ ფერიდეს მიმართა:

– მე თქვენს მიმართ სიმპათიით განვიმსჭვალე, სხვა დანაშაული თუ არაფერი ჩაგიდენიათ პირადად დაგიდგებით თავდებად, რომ დანაშაულს თავს არ აარიდებთ და რაიონის ფარგლებს გარეთ არ გახვალთ წაბრძანდით სახლში და ძიების დროს გამოგიძახებთ ხოლმე.

– არავითარ შემთხვევაში, მე ოჯახს გამოვემშვიდობე და იქ მხოლოდ სასჯელმოხდილი დავბრუნდები.

– თქვენ ქალი კი არა, საკვირველება ბრძანდებით, ასეთი რამ არ მსმენია ქართული ანდაზის გარდა: „თაგვს ბუმბულში აწვენდნენ და ის თავის სოროში გარბოდაო“ –

ფერიდეს გაეღიმა. მაიორი ჩაფიქრდა, შემდეგ მაგიდაზე თითები აათამაშა და მაგიდის ქვეშ დამონტაჟებული ელექტროზარის ღილაკს თითი დააჭირა. კაბინეტში მილიციელი შემოვიდა და მხედრულად ისე გაიჯგიმა, ნამდვილად შეშურდებოდა ნიკოლოზ მეფის ჯარისკაცს.

– თქვენი ბრძანებით მოვედი! – თქვა მილიციელმა.

ფერიდეს ისევ გაეღიმა, რადგან ხმა ყივილით დაღლილ მამალს უგავდა და ფეხებიც ისე შემოკრა ერთი– მეორეს, როგორც მამალმა იცის ყივილის წინ. მაიორიც მიხვდა ფერიდეს ღიმილის მიზეზს, თვითონაც გაეღიმა

და თითქოს თავისთვის საილაპარაკა „კადრები არა გვყავს“ – შემდეგ მილიციელს მკაცრი ხმით მიმართა.

– ქალბატონი წაიყვანეთ, სუფთა საკანში ჩასვით და ყურადღებით მოეპყარით.

მილიციელი გაკვირვებული შესცქეროდა ხან მაიორს და ხან ფერიდეს, ვერ გადაეწყვიტა შეესრულებია თუ არა უფროსის ბრძანება და ძალზედ დაბნეული გამოიყურებოდა. ფერიდემ იხსნა მილიციელი გაჭირვებისაგან, თვითონ წამოდგა, მაიორს წარმატება უსურვა და წინ გაუძღვა მილიციელს.

საკანი მართლაც სუფთა აღმოჩნდა და ფერიდემ ისე შეაბიჯა კარებში, თითქოს საკუთარი საძინებელი ოთახის კარები შეეღოს.

– აუჰ, ძლივს ველირსე მარტოობას, კარგი რამ არის დაკეტილი რკინის კარების მიღმა რომ ვიმყოფები, აქ ფიზიკური ვარჯიშიც შეიძლება და გონებრივიც! – თქვა თავისთვის და ხის ლოგინზე საწოლის გაწყობას შეუდგა.

წამოწვა...

მარტოობას ფიქრი სცოდნია. პირველად ბურუსიდან ეკა ამოტივტივდა, ის საქორწილო სამოსელში იყო გამოწყობილი და არჩილთან ერთად იდგა. ეკას თითქოს რაღაც უხაროდა, თითქოს რაღაც სწყინდა და დედასთან საყვედურის სათქმელად იყო მოსული, მაგრამ ბოლო წუთებში გადაიფიქრა. მომაჯადოებლად გაიღიმა და წასვლა დააპირა, ფერიდემ თვალები დახუჭა და გონება დაძაბა, რომ აჩრდილი არ გამქრალიყო, მაგრამ, მაინც წავიდა და ისე ამოიხვნეშა ფერიდემ, კინაღამ გულიც თან ამოაყოლა.

შემდეგ ოთხი ძმა, წვერგაუპარსავნი, შემოხეული ხალათებით, მკაცრი თავადური გამოხედვით!

– ოჰ როგორ მიყვარდით! – წარმოსთქვა ფერიდემ.

– რატომ მოგვკალი?! – მკაცრად შეეკითხა გიო.

– მკვდარს შესძლებია შურისძიება, პირველად თქვენ მომკალით, გამანადგურეთ, მე კი შური ვიძიე, რომ დავიწყებას არ მისცემოდა ჩემი სახელი სრულებითაც არ ვნაღვ-

ლობ, რომ თქვენი სახით დიდი სიყვარული მოვკალი. ასე მგონია კაცობრიობა გადავარჩინე დაღუპვას, აბა თვითონ წარმოიდგინეთ ქვეყანა რომ თქვენისთანებით იყოს დასახლებული , როგორი ცხოვრება ექნება უმწეო ხალხს? ადამიანები იმისათვის კვდებიან, რომ კაცობრიობამ იცოცხლოს და მეც ჩემი პატარა წვლილი შევიტანე კაცობრიობის გადარჩენაში, თქვენ მსაყვედურობთ „რატომ მოგვკალიო“ მე თქვენ კი არ მოგკალით, გადაგარჩინეთ ტანჯვა– წვალებას, დროზე ადრე გაგარიდეთ და სამუდამო სასუფეველში დაგიდეთ ბინა. ასეთი ყოფილა თქვენი ბედისწერა, თუმცა შეგეძლოთ თქვენ, შემოგებრუნებინათ კეთილისაკენ ყოველი რადგან ბედნიერება თუ უბედურება იმდენადვეა დამოკიდებული ადამიანის ბუნებაზე, რამდენადაც ბედისწერაზე, თქვენ საერთოდ არა ხართ შესანდობარი, თუ რაიმე არსებობს იმქვეყნად, თქვენი სულიც უნდა დაიტანჯოს ისე, როგორც მე დამტანჯეთ ამქვეყნად, თქვენ და მხოლოდ თქვენ მომიკალით სიყვარული და უმწეო ქალი მხეცად მაქციეთ. თუ ქალის სიბრალული არ გაგაჩნდათ, ნუთუ ღვიძლი დის სიყვარული არ გაგაჩნდათ ბუნებისაგან ბოძებული? არავის არ მოუკლავს ჩემი შვილი, თქვენ ის მაშინ მოკალით, როდესაც გიორგი მომიკალით და მასთან ერთად მომიკალით სიყვარული ქმრის, შვილის, ძმების, მშობლებისა და ღმერთისაც კი ვესწრაფოდი თქვენს ნახვას და გნახეთ კიდეც. თქვენ ჩემში ისევ სუსტ არსებას ხედავდით, როგორც ყოველთვის, და განაჩენის დღესაც დაცინვით შემხვდით. შვილი დამეღუპა და ნუთუ არ გეკადრებოდათ, სამძიმარი გეთქვათ, თქვენ კი ლანძღვა– გინებით მოიხსენიეთ ჩემი შვილი, თუმცა, რა გასაკვირია, თქვენ ხომ წარმოდგენითაც არ იცოდით შვილის სიყვარული და ადამიანის სიბრალული. თქვენი სიყვარული ხომ დაწყევლილ სახლში იწყებოდა, რომელიც ფერცლად ვაქციე და ყანაში მთავრდებოდა თოხნის დროს. იქნებ მართლაც იმ დაწყევლილი სახლის ბრალი იყო ყოველი, რომელიც მამამ დაგიტოვათ, აქამდე ელოდებოდნენ ის რაჭველი ძმები თქვენ

სისხლს, რომლებიც მამათქვენმა სიცოცხლეს გამოასალმა სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, რათა მშენებლობის თანხა არ გადაეხადა მათთვის.

კაცობრიობის სახელით, მე არა მაქვს უფლება, შენდობა შემოგითვალოთ, მაგრამ მენატრებოდით და დღეს მძულხართ. თქვენ თავს დააბრალეთ. ეს სიძულვილი, თვითონ თქვენ დაიმსახურეთ...

ოჰ, მგონი გავგიჟდი, არ ვიცი ვის ვესაუბრები. აჩრლილები თუ საკუთარ თავს, ნეტავი რომელი საათია, აღარ თენდება? – თქვა ფერიდემ და ჩანთა გახსნა. საათი ნაშუაღამევის სამს უჩვენებდა, წამოდგა, პირი დაიბანა, ცივმა წყალმა ოდნავ გამოაფხიზლა, შემდეგ ცოტა წაივარჯიშა, რომ ფიქრები გაეფანტა, კედელთან დაჯდა, მარცხენა ფეხი იატაკზე რომ ჰქონდა, მარჯვენა თითქმის ჭერამდე გაშალა და მთელი სხეულით გაეკრა კედელს. კედელი სუფთად იყო გალესილი, შეათვალიერა და თითქოს საწერ მაგიდასთან მჯდარიყოს, მუზა დაებადა. ისევ გახსნა ჩანთა, ქალისათვის საჭირო კოსმეტიკა ამოიღო, წარბ– წამწამის შავად შესაღები ტუში შეარჩია, კედელს ხელი ფაქიზად გადაუსვა და წერას შეუდგა:

რა მანძილია ნეტავ ვიცოდე
დავიწყებიდან – მონატრებამდე.
რა გზა მიგვიყვანს ძნელად სავალი
სულის გაწმენდის მონასტერამდე?
მონასტერს ეშმა შემოსევია
წმინდა გიორგი ძლივსღა აკავებს,
კანდელს სანთელი ანათებს, თუმცა
იწვის და ალი შიშით კანკალებს.
გადაუარა ბურუსმა ხატებს
გააჩირაღდნა ლოცვამ დღეისდღე
და დავინახე რა მცირე გზაა
სიყვარულიდან – სიძულვილამდე.

– მე რომ აღარ ვიქნები, ეს ლექსი იარსებებს, – თქვა ფერიდემ და კოსმეტიკა ჩანთაში შეინახა, ლექსი კი მართლაც ცოცხლობს, ამ ამბის შემდეგ, რამდენჯერმე შეიღება და გარე-მონტდა ის საკანი, მაგრამ არავის არ გადაუსვამს ფუნჯი ლექსის წასაშლელად და დღესაც პირვანდელი სახით გამ-ოიყურება.

* * *

საკნის გისოსებში, დილის მკრთალი სინათლე შემოიპარა, რკინის კარები პირველად ახმაურდა და შემდეგ ფართოდ გაიღო:

– წერეთელი, გამოდი, მნახველია! – წარმოთქვა მილ-იციელის მუნდირში გამოწყობილმა მორიგემ და შემდეგ წყ-ნარად დაუმატა: – უფლება არა მაქვს, რომ მნახველთან შეგ-ახვედრო, გამომძიებლის ნებართვის გარეშე, მაგრამ მოხუცი ქალია, დედა უნდა იყოს შენი, ჩვენც გული გვაქვს, ვეღარ გავუძელი იმის ცრემლს, მთელი ღამე ჩვენთან არის სამორი-გეოში და ტირის, გამიშვით, მეც მასთან უნდა დავწვეო გაიძა-ხის. გამოდი თუ ქალი ხარ, დაამშვიდე როგორმე, თორემ დამეწვა გული, უფროსი რომ მოვა, აქედან უნდა წავიდე, აღარ შემიძლია იმ ღვთისაგან შერისხულ შენობაში ყოფნა, აქ ყვე-ლანი ტირიან, დედაც და შვილიც, ძმაც და დაც, მეზობელიც, ნაცნობი და უცნობიც, ყველანი ტირიან. გამოდი, გამოდი თუ ქალი ხარ და თუ გინდა სახლში წაყევი იმ მოხუცს, მხ-ოლოდ აქედან გამარიდე!

– ნეტავ ვინ მოხუცია? ალბათ ანუკი იქნება! – გაიფიქრა ფერიდემ და პაემანისათვის განეკუთვნილ ოთახში შევიდა. ანუკი კისერზე ჩამოეკიდა ფერიდეს და ქვითინი ატეხა□

– სად გეძინა წუხელის გოგო, გციოდა ალბათ, მე უშენოდ ვერ გავძლებ, ყველაფერს ვიტყვი, რომ მეც შენი თანამოსაქმე ვარ და ერთად ვიყოთ, ჩვენი შვილების შემდეგ შენ შემოგყურებ ოჯახის მხსნელ ანგელოზად, არსად არ გაგიშვებ, მე დედა ვარ და ქვეყანას შევძრავ, იცოდე ვერავინ ვერ დაგვაშორებს.

– დაწყნარდი ანუკი, რა მოგდის, მე შენგან მეტ მხნეობას მოველოდი, შენს იმედად დავტოვე ოჯახიცა და შვილების საფლავიც, შენ კი ღამეს მითევ და ცრემლად იღვრები, სატირალს არ ტირიხარ და ცოცხალს მგლოვობ...

– აღარ ვტირი მკვდრებს, არა, გაიგე, შეისმინე, შენ დამავიწყე ყველანი, ისინი დავიტირე, ახლა შენ ციხეში მომიკვდები უპატრონოდ და დაუტირებლად, შენ უნდა გიტირო. ვერ მოგშორდები! –

– კარგი, დაწყნარდი ანუკი, სირცხვილია, აი ნახავ, აქედან საღ– სალამათი გამოვალ, რომ არ გგონია აქ ხალხს კლავენ, ხომ დაინახე რა ტკბილად მოგვექცა მორიგე!

– ვინ მომექცა ტკბილად, ორმოცი წლის მაინც იქნება და ტვინი არა აქვს თავში, ეგ არ გაეზარდა თავის დედას, მთელი ღამე მის ფეხებთან ვტიროდი, ჩექმებს ვუკოცნიდი და მხოლოდ დილით გაიღო მოწყალება.

– კანონი კანონია, არ შეიძლება ტუსაღის ყოველ წუთში ნახვა.

– რომელი ტუსაღი ხარ გოგო შენ, რა დააშავე, არ გადამრიო ახლა, დასატუსაღებელნი ისინი იყვნენ, ვინც დანაშაულისაკენ გიბიძგეს, შენ სხვასაც არავის დახვედრიხარ გზაზე და არ გიცემია. მე უშენოდ ვერ გავძლებ ფერიდე, ნუ მკრავ ხელს, ნუ გამაგდებ აქედან, არ გეგონოს საკუთარ თავს ვჯავრობდე. შენი ნაღველი დამწოლია გულს და ვეღარ ვზიდულობ, არ მი ნდა რომ მოვკვდე შენი ცრემლის გარეშე, თორემ დღესვე დავაკვდებოდი შვილების საფლავს.

– ანუკი, მომისმინე, შენ თუ ნამდვილად ჩემი გადარჩენა გინდა, შენი თავისუფლებაა აუცილებელი. ვინ იცის, როდის პური მომშივდება და როდის წყალი მომწყურდება, ეს ყოველივე კი შენ უნდა მომაწოდო. აბა რას მარგებს ორივე ერთად რომ ვიყოთ გამოკეტილნი? შენ ჭკუითა და გამჭრიახობით ბრძენი ხარ, შემთხვევამ არ უნდა დაგაკარგვინოს ბრძოლის უნარი, პირიქით, სიმტკიცე გმართებს, გახსოვდეს, შენ დედა ხარ და არა გაქვს უფლება, არ იყო ჭირთა მომთმენი.

— აღარ შემიძლია გოგო, დავიღალე, გამოვიფიტე, აღარც ბრძოლის უნარი მაქვს და აღარც სიბრძნე, ვიცი, მარტოკა ჩემი გაჩერება სიგიჟემდე მიმიყვანს, ამიტომ მინდა ვიყო შენთან, შენა ხარ ჩემი სალოცავი ხატი და შენი მფარველობის ქვეშ თუ ვიქნები, ისევ შენს საკეთილდღეოდ ვიცოცხლო იქნებ ცოტა ხანს.

— ყველაფერი კარგად იქნება, დარდი ნუ გაქვს, ხომ ხედავ დასაწყისი კარგია, მტრებს უვლით ნელ— ნელა, დამიჯერე, ახლა სახლში წადი და ისე მოიქეცი, როგორც გითხარი, აქ აღარ მოხვიდე მანამ, სანამ მე თვითონ არ შემოგითვლი. გახსოვდეს, შენი აფორიაქებითა და უნებისყოფობით, ჩემს სასჯელს ამკაცრებ, თავს მოვიკლავო რომ ამბობ, ვინ მოგცა ამის უფლება, სიცოცხლე უძვირფასესი საჩუქარია ღმერთისაგან ბოძებული და არავის არა აქვს უფლება, მისი ხელყოფისა. ნუ შეგაშინებს ცხოვრება, ზოგისათვის რომ სულიერი განცხრომაა და შენთვის ქარიშხალი, ალბათ ასე უნდა იყოს ეს. ვინ ი ცის, იქნებ ჩვენ ვალს ვიხდით ღმერთის წინაშე წინაპართა ცოდვების გამო.

დღეს ჩვენს ხალხს, აღარ შემორჩა ის თავადური შემართება, ერთი თქმით რომ „მოდი— ნახე აშენდა“, მაშინ ძლიერი იყო ჯილაგი ჩვენი, ახლა ერის დაუნდობლობამ ღმერთიც განარისხა და არც ვიფიქროთ ამა ქვეყნიდან წასვლა, სანამ წინაპართა ვალს არ გავისტუმრებთ ღმერთის წინაშე.

— ოჰ, ფერიდე იმ დალოცვილმა კრავჩენკომ, ჩხუბის გარდა ფილოსოფიაც გასწავლა? ვინა ხარ ასეთი ქალო, ქრისტე ხომ არა ხარ მკვდარს რომ აცოცხლებ და ცოცხალს იმავე საწყაოთი ისტუმრებ, რომლითაც გაუსესხებია?

— რაც გინდა ის იფიქრე, ახლა კი წადი დამშვიდებული, თუ ჩემზე ფიქრობ, გწამდეს, რომ მშვიდობით დაგიბრუნდები.

ანუკიმ კიდევ ერთხელ ამოიოხრა და თვალცრემლიანი, დატუქსული ბავშვივით წავიდა შინისაკენ. ფერიდე კი, ისევ თავის საკანში დაბრუნდა, წამოწვა და თავის დაწერილ ლექსს დააკვირდა, რამდენჯერმე წაიკითჯხა კიდეც, აღარ მოეწონა,

წაშლა დააპირა, მაგრამ „როგორი პოეტიცა ვარ, ლექსიც ისეთი დამიწერიაო“, – გაიფიქრა და წაშლა გადაიფიქრა.

ისევ ფიქრის მორევში გადავარდა, ამჟამად ფიქრი, ანუკის გარშემო ტრიალებდა, კიდევ ბევრი სალაპარაკო დარჩენოდა მასთან და გეგმის დაწყობას შეუდგა, რომ მომავალი შეხვედრის დროს ყველაფერი ეთქვა. ფიქრი რკინის კარების საკეტის ტკაცანმა გააწყვეტინა, გამომძიებელი უხმობდა.

კაბინეტში შესვლისთანავე იცნო ფერიდემ ინგა აბაშიძე – „აი თურმე სად მუშაობს ჩემი ეკას მეგობარიო“, – გაიფიქრა და მოტყუებული ადამიანის ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

– დაბრძანდი! – უთხრა გამომძიებელმა და გულისყურით შეათვალიერა. „ნეტავ სად მინახავს ეს ადამიანი?“ – გაიფიქრა და საგონებელში ჩავარდა მაგრამ მალე ფიქრში ეკა ასანიძის სურათი ამოუტივტივდა, გაეხარდა, აღმოვაჩინეო და ფერიდეს შეეკითხა.

– თქვენ ეკა ასანიძის ხომ არაფერი ბრძანდებით?

ფერიდე ჩაფიქრდა, არ უნდოდა რომ აქ ნაცნობი შეხვედროდა, მაგრამ ახლა ტყუილის თქმაც აღარ შეიძლებოდა და გადაწყვიტა სიმართლე ეღიარებინა“:

– კი, დედა ვარ ეკასი!

– ღმერთო ჩემო, მსგავსებაც ასეთი უნდა, შვილის ხატება ხართ სწორედ.

– არა, ისეთი ლამაზი არა ვარ, ეკა რომ იყო, ის მთელი სხეულით იყო მშვენიერება, გონების საღი აზრით კი ბრწყინვალება.

– მე თქვენთან ვიყავი, თქვენი სახეც ნათლად მახსოვს, მაშინ სოფლის დედაკაცად მომეჩვენეთ, ეხლა კი საგრძნობლად გიცვლიათ ფერი.

– კარგისაკენ თუ...

– მშვენიერებისაკენ!

– გმადლობთ კომპლიმენტისათვის, როგორც ყველა ქალს. მეც მიყვარს შექება, მხოლოდ გთხოვთ არ დამძრახოთ და არ თქვათ – „ეკას დედას რა ეკეკლუცებაო“ – იცის ღმერთმა, არ ვკეკლუცობ, თორემ თქვენ თვითონ დაინახავთ, თქვენს კვალმა-

ძიებელ თვალს არაფერი გამოეპარება, თქვენ ისეთი საქმე გამოიძიეთ და იმხელა საიდუმლოებას ახადეთ ფარდა, რომელსაც მხოლოდ ათასში ერთი თუ შეძლებდა.

— კარგი, ჩვენ დრო კიდევ გვექნება ვიჭორაოთ, ეხლა კი ცოტა რამ საქმის ირგვლივაც ვისაუბროთ.

— ბრძანეთ! მზად ვარ, მთელი ჩემი საიდუმლო გადმოგილაგოთ, არაფერსაც არ დავფიცავ, ძალზედ დიდი სიმპათიით ვარ თქვენს მიმართ განწყობილი და გადაუხდელი ვალი მმართებს თქვენი. თქვენ ამხილეთ ჩემი შვილის მკვლელები, თუგინდ გაგეცოცხლებინოს ის.

— ეს ჩემი სამსახურია და ჩემი მოვალეობა, ამისათვის არა ვარ ღირსი, მადლობა დავიმსახურო!

— სხვა გამომძიებლის მოვალეობაც არის, მაგრამ საქმის მიფუჩეჩების დიდოსტატებიც არიან.

— კი არიან ასეთებიც, მაგრამ მე მათ რიცხვს არ მივეკუთვნები. ეხლა კი ნება მომეცით, თავი წარმოგიდგინოთ და ჩადენილ დანაშაულის ირგვლივ ვისაუბროთ! მე გახლავართ საჩხერის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი ინგა აბაშიძე, მონდობილი მაქვს პროკურორის მიერ თქვენს მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიება, თქვენ უფლება გაქვთ უნდობლობა გამომიცხადოთ და მომცეთ აცილება, ამ შემთხვევაში სხვა გამომძიებელს დაგინიშნავენ.

— როგორ გეკადრებათ რა აცილება, თქვენთან რომ ვსაუბრობ, ასე მგონია ჩემს ეკას გადავუშალე გული.

— მაშინ დავიწყოთ თქვენი აქ მოსვლის მიზეზი ღნიშნულია ჟურნალში, სადაც წერია, რომ თქვენი ნებით გამოცხადდით და აღიარეთ დანაშაული. ეს ქმედება, რა თქმა უნდა თქვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს, რადგან ჩემს მიმართ სიმპათიით ხართ განწყობილი, პირველ ჩვენებას ისეთს მომცემთ, შემდგომში შეცვლა არ მოგვიწევს.

— ვეცდები, თქვენს შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გაგცეთ.

— რამ განაპირობა იმ სახლის დაწვა, სადაც გაიზარდეთ და სიყმაწვილე გაატარეთ?

– ნათქვამია: „ჩემი უსარგებლო ქოთანი ქვას და კერძი ძაღლსო“. მე ჩემი სახლის ისეთივე მონაწილე ვიყავი, როგორც ჩემი ძმები, მაგრამ როდი მაძლევდნენ იმის უფლებას, რომ სახლის დედაბოძს მოვფერებოდი, გათხოვების შემდეგ, ოჯახიდან მომკვეთეს და საცემადაც კი მიმეტებდნენ თუ ჩემს მშობლიურ სოფელში გავლილს დამინახავდნენ.

– როგორ დაწვით?

– ჩვეულებრივად, ბენზინი მოვასხი კედლებს და ასანთი გავკარი.

– სახლში არ შესულხართ?

– არა!

– ძმები არ გინახავს?

– არა, რომ მენახა, ალბათ ისევ მცემდნენ!

– რომელი ტრანსპორტით მიხვედით სოფელში?

– „ჟიგულით“

– დრო რამდენი დაგჭირდათ დანაშაულის ჩასადენად?

– ხუთი ან ათი წუთი!

– იქნებ ძმები სახლში იყვნენ, როდესაც სახლს ცეცხლს უკიდებდით, არ შეგიმოწმებია?

– იმ დროს სახლში არავინ არ იქნებოდა, დღის თორმეტი საათი იყო.

– რომ ყოფილიყვნენ?

– სახლი იყო. ასანთი ხომ არა, რომ ვერ გამოესწროთ ცეცხლმდებული შენობიდან.

– იქნებ ეძინათ!

– დღის თორმეტ საათზე ძილი, მე არ გამიგია.

– იქნებ წინა ღამის ნამთვრალევი იყვნენ, ან რაღაც შეემთხვათ, სახლი ხომ იმისათვის აქვს ადამიანს, რომ თავი შეაფაროს.

– მაგ საკითხზე არ დავფიქრებულვარ, სახლი დავწვი, მორჩა და გათავდა.

– ღმერთმა ქნას, ასე იქნებოდეს. აი, აქ მოაწერე შენს ჩვენებაზე ხელი და მეტი თუ არაფერია დანაშაული, ადვილად გამოხვალთ.

ფერიდემ ხელი მოაწერა ფურცელს, შემდეგ თავაზიანად გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და განშორებისას ინგამ უთხრა:

— ვალდებული ვარ, ადგილზე შევამოწმო დანაშაული, დავამტკიცებ შენი ჩვენების სიმართლეს და ერთ კვირაში განმეორებით შევხვდებით ერთმანეთს.

* * *

ძნელია საკანში ჯდომა და ლოდინი, მაგრამ ფერიდესათვის სრულებითაც არ წარმოადგენს სიძნელეს, რადგან კოლონიაში მოხვედრაა, იმისი ოცნება. კოლონია სამოთხედ ესახება, საიდანაც ისე ადვილად ვეღარ ბრუნდებიან, როგორც იქ ხვდებიან და მაინც იქით მიისწრაფვის, იქ ეგულება ბოლო მსხვერპლი და ეჩქარება ფიცის შესრულება მისთვის არ არსებობს აწმყო ან წარსული, მხოლოდ მომავალს შეჰყურებს სახავს მომავლის უმძიმეს გზას და უხარია. იცის, რომ ამ მომავალსაც წარსულს ჩააბარებს და ისე დაივიწყებს,. როგორც დანარჩენ წარსულს. ისიც იცის, თუ როგორი კვალმაძიებელია ინგა, შეიძლება სუყველა დანაშაული ხელის გულივით გადაუშალოს წინ, მაგრამ არ ნაღვლობს. სცხვენია მხოლოდ ტყუილს რომ კადრულობს, შიშით კი უფრო იმის ეშინია, ,,ვაი თუ მარტო სახლის დაწვა დამიმტკიცონ და სასჯელი არ მომცენო''.

მომავალს დიდი იმედით შეჰყურებს, სადაც დამარცხება გამორიცხულია, ბრძოლას კი მხოლოდ ფიზიკურ ჭიდილში ხედავს, წუთსაც არ კარგავს მუქთად, ვარჯიშობს და ისე გაიწრთო, მსოფლიო ჩემპიონსაც კი შეერკინება.

ერთ დღეს, ფერიდეს გასაოცრად, ალექსანდრე კრავჩენკომ მოაკითხა, გაიხარა მასწავლებლის ნახვით, ნატრობდა, რომ აზრები გაეზიარებინა და აი უფალმა მოუვლინა კიდეც. კრავჩენკოს გაუკვირდა ფრიდეს მხიარულება და წყენით შეეკითხა.

— აქ რა გინდა ფერიდე, ჩვენი ხალხი საპყრობილეში არ ხვდება, ნეტავი გამაგებინა, რას მხიარულობ, მე შენ უსამართლობასთან ბრძოლა გასწავლე და შენ სკოლა არ შემირცხვინო, თუ ღმერთი გწამს.

— უსამართლობასთან ბრძოლა რომ მასწავლე, სწორედ იმიტომ ვარ აქ, უსამართლობასთან მებრძოლისთვის არის ციხე მოგონილი, თორემ ჩემგან არაფერი გესწავლება. და შეიძლება ყველაზე ძლიერმა მებრძოლმა, სიცილი გამოიწვიოს უმოქმედობისათვის, რკინაც ხომ ჟანგს იკიდებს გაურჯელად, მხოლოდ გააჩნია ვინ როგორ აღიქვამს ბრძოლას, ზოგი სამართლიანად მიიჩნევს მას, ზოგი კიდევ უსამართლოდ, მე შენ გნატრობდი, მინდოდა მასწავლებლისთვის რჩევა მეკითხა, მაგრამ ალბათ დავიგვიანეთ შეხვედრა. შენ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი და ჭკვიანი ადამიანი ხარ საშა. ის ქვეყანაც ძლიერად მესახება, სადაც აღიზარდე, შენს აღზრდილ მოსწავლეთა შორის ცუდად არ მომიხსენიო, აქ რომ ჩემი სურვილით მოვედი, ეს ასე იყო საჭირო, სწორედ ციხეში მაქვს ანგარიში გასასწორებელი.

— არ იდარდო ფერიდე, ციხისთვის ვერ გაგიმეტებ, ვეცდები უვნებელი დაგაბრუნო თავისუფლებაზე

— არ გაბედო საშა, დანაშაული სწორედ იმიტომ ჩავიდინე, ციხეში მოვხვედრილიყავი და შენ უკან დაბრუნებას მპირდები?

— ხომ შეიძლებოდა შენს მსხვერპლს თავისუფლებაზე დალოდებოდი?

— არა! ლოდინში გავგიჟდებოდი!

— როცა მეტისმეტად ჩქარობენ სამაგიერო მიაგონ თავიანთ მსხვერპლს, ეს მსხვერპლის ბედნიერებაზე მეტყველებს, რადგან შურისძიების მოლოდინში შეიძლება მსხვერპლი თვითმკვლელობამდე მივიდეს.

— სწორედ ეს არ მინდა მოხდეს, ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი მსხვერპლი თოკზე ჩამოკიდებული დავინახო. ის ჩემი ხელით უნდა მოკვდეს ისეთივე საზარელი სიკვდილით, როგორითაც ჩემი შვილი გაიმეტა.

— შენ ვალის გადასახდელად ემზადები შვილის წინაშე, მეც მოვიხდი ვალს შენს წინაშე, მსოფლიოში ცნობილ ადვოკატს გამოგიგზავნი და ვეცდები კანონით გეპატიოს დანაშაული.

– ეს პატიება კი არა, სასჯელი იქნება ჩემთვის!

– რატომ არ გესმის, რომ ციხე შენისთანებისათვის არ არის აგებული, ქართველი ქალი მწამს ისეთი, როგორც ვახუშტი ამბობს: ,,შუენიერნი, ჰაეროვანნი, წერწეტნი, მხნენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი", შენ ხომ ყველაფერი გაქვს ღვთისაგან ნაბოძები მშვენიერება, მაგრამ სად არის შენი ,,ჭირთა თმენანი?"

– როდესაც ეგ დაიწერა, მაშინ სხვა იყო საქართველო, მამა– პაპათაგან ფესო ძლიერი, ქალი თუ იზრდებოდა, ვაჟკაცებიც იზრდებოდნენ სივაჟკაცით განთქმულნი და სინდის– პატიოსნებით დედამიწაზე უმძიმესნი. დღეს კი ათასი ურჯულოს შერეული სისხლით კაცუნები მომრავლდნენ ქვეყნად და ,,ჭირთა თმენანი" სირცხვილად ითვლება.

– მაინც ვერ გადაგათქმევინებ განზრახულს, მაგრამ ჩემი თხოვნა იქნება, მუდამ გახსოვდეს, რაც პრუსიის მეფემ ფრიდრიხ დიდმა თქვა: ,,დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში ერეკლეო". გახსოვდეს, რომ ერეკლე შენი წინაპარი იყო, გიორგი ბრწყინვალეც, დავით აღმაშენებელიც, ვახტანგ გორგასალიც და შენ არა გაქვს უფლება ფესვი შენი წარმოშვებისა შეურაცხყო.

– ხომ გითხარი, იყვნენ ისეთი ქართველები და მარტო ქართველები კი არა, მსოფლიო იყო ასეთი როგორ, უკრაინელი ხალხი ნაკლები იყო? მარტო ის წერილი რად ღირს, ზაპოროჟიელებმა რომ მისწერეს სულთანს...

– შეხვედრა დამთავრებულია! – გამყინავი ხმით დაიღრიალა მილიციის მორიგემ და მძიმე გასაღებით რკინის კარებზე დაარახუნა.

ორივენი უხმოდ დაემორჩიოლდნენ კანონს, და– ძმურად მოეხვივნენ და გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

* * *

ერთი კვირის შემდეგ გამომძიებელმა დაუძახა ფერიდეს, კაბინეტში მარტო იყვნენ, ინგამ თვალებში ჩახედა ფერიდეს და უთხრა:

– ეჰ, დედა ფერიდე არც ისეთი უმანკო კრავი ყოფილხ-ართ, როგორც თავი წარმომიდგინე, ქალის სათნოება რომ ვაჟკაცური შემართებით შეცვალე, დანაშაულზე ვაჟკაცური აღიარებაც რად არ ისწავლე?

– მაინც რა გაქვს მხედველობაში შვილო ინგა? – დაცინ-ვით გააკრიტიკა გამომძიებლის ნათქვამი: „დედა ფერიდე“.

– ის რომ მომატყუე!

– ოჰ, ამას როგორ ვიკადრებდი შვილო ინგა, რა გაქვს ასეთი უტყუარი საბუთი, რომ ჩემი ტყუილი აღიარო და ვაჟკა-ცობაში დამდო ბრალი?

– კარგი დედა ფერიდე, უტყუარ საბუთებს დაგიწყობ ხელის გულზე, მხოლოდ ფაქტები დაჟინებით არ უარყო, თორემ ჩაფიქრებულ საქმეს გავაფუჭებთ და დანაშაულს დავამძიმებთ.

გახსოვს? როდესაც ეკას მკვლელს დავეძებდი, შენთან ეზოში ვისაუბრე, შენ მაშინ მითხარი: „ოთხი ძმა მყავდა, ოთხ-ივე მიეწია ჩემს გიორგის, რას ჰქვია შენ ჩვენს ოჯახს თავს ლაფი დაასხი და გამოიპარეო“, მომიხტნენ იმ ქოხში, გვცემეს, ჩემს გიორგის უფროსი ძმა დაეჩემა. – „იცოდე, არ გაგახარე-ბო“ – და არ გაიხარა იმისმა გულმა, როგორც ჩემი გიორგი არ გაახარეს, ეკა სამი თვის მყავდა მაშინ, გიორგი ყვირილას სანაპიროზე ღორივით ყელგამოღადრული იპოვეს... აი, სწორედ ამან მაფიქრებინა, რომ შენ სახლის დაწვის ინტერესი არ გქონდა, შვილის დაღუპვით გამწარებულმა დედამ ყველაფერი მეულლის მკვლელს დააბრალე და შურისძიებაც მათზე გადა-წყვიტე და არა სახლზე.

შენ მე მითხარი: „ჟიგულის: მარკის ავტომობილით მიხ-ვედით სახლში და დაჰყავით იქ არა უმეტეს ხუთი ან ათი წუთისა“, მეზობელ ანდრო კომლაძის ჩვენებით კი ჭიშკართან ავტომობილი ორი საათის განმავლობაში იყო დაყენებული, შემდეგ წამოხვედით და სახლიც ცეცხლში გაეხვია, ესეც ერთი ტყუილი, ხომ არ უარყოფთ ჩემს მიერ მიკვლეულ ფაქტს?

– არ უარვყოფ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ჭიშკართან ათი წუთი ვიდექი თუ ორი საათი?

– სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა,რომელმაც მეორე ტყუილი აღიარა! შენ მე მითხარი: „როდესაც ოჯახში მიხვედი, ძმები სახლში არ იყვნენო...“ თალიკო ქვათაძე კი გვაძლევს ჩვენებას, რომ გაიგონა შენი უფროსი ძმის, გიოს ხმა, რომელმაც გითხრა: – „ვინ მოგცა უფლება ძუკნა, ჭიშკარი რომ შემოაღე და სახლში შემოდგი ბინძური ფეხი“...

ესეც რომ არ იყოს, დამწვარ სახლში აღმოვაჩინე ოთხი ადამიანის ფერფლი, რომელიც ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივი ფერფლისაგან თავისი ფოსფორული სითეთრით, ფერფლი არაპროპორციულად იყო განლაგებული, რაც შეუძლებელია იმ ფორმაში ძინებოდათ მასპინძლებს, აგრეთვე ნახშირში აღმოვაჩინე თითბრის გამღვალი ნაწილაკები, რომელიც ექსპერტიზის შემოწმებით რევოლვერის ტყვია აღმოჩნდა აქ უტყუარი ვარაუდი გვებადება, რომ შენ სახლში ძმების გამოჩენამდე შეხვდი, როგორც თალიკო ამბობს „სახლში შემოდგი ბინძური ფეხი“ და არა ეზოში.

ძმებმა რა თქმა უნდა, შენს სტუმრად და გარეთ გამოსაგდებად გამოიწვიეს, რასაც ეგონათ, რომ შენი ქალური სისუსტის გამო ადვილად შესძლებდნენ, მაგრამ მოტყუვდნენ, შენს ხელში რევოლვერი აღმოჩნდა და კიდეც შეუდექი იმ მიზნის განხორციელებას, რისთვისაც იყავი მშობლიურ ოჯახში მისული. რა თქმა უნდა, გვამები უთავბოლოდ დაეცა იატაკზე და მათი ფერფლიც იგივე მდგომარეობაში ვიპოვეთ

ამის შემდეგ ავტომობილიდან გამოგაქვს წინასწარ მომზადებული ბენზინით სავსე ბალონი და როგორც შიგნიდან, ასევე გარედან ჟღენთავ ხის სახლს, ამ ვარაუდს გვაფიქრებინებს ის, რომ მეზობლებისაგან შეუძლებელი გახდა სახლის ჩაქრობა, ან სახლიდან რაიმე ნივთის გამოტანა.

– ესეც მეორე ტყუილი, ხომ არ უარყოფთ?

– ნუთუ საკმარისია ეს მამხილებელი საბუთები, რომელიც წამომიყენეთ?

– სრულებით, თუმცა უფრო მტკიცე საბუთიც გაგვაჩნია, სახელდობრ, ჩემი გამოცდილებიდან, ქალური ალღოთი და

იურიდიული განათლებით ვიცი, როდესაც ადამიანი ახლობლებთან განშორებას აპირებს, აუცილებლად მოინახულებს თავის საყვარელ ადამიანებს, შენ, როდესაც ციხეში წასასვლელად ემზადებოდი, შეუძლებელი იყო გიორგის საფლავი არ მოგენახულებინა, ამიტომ გადავწყვიტე მეც შენს კვალს გავყოლოდი და გამეხარდა, როდესაც ჩემი ვარაუდი გამართლდა. საფლავი ახლად დასუფთავებული დამიხვდა. შიგნით შევედი, ყვავილებს მივუალერსე და შევამჩნიე ერთ ადგილზე მიწა მეტად რბილი მეჩვენა, ხელით ამოვყარე, მიწა თავისუფლად დამემორჩილა და ჩემს წინ მოზრდილმა ორმომ დააღო პირი, და რას ფიქრობთ, ორმოში რა შეინახეთ?

– ფრიად საინტერესოა, ვინ მოიცალა ჩემს სათვალთვლოდ?

– გამომძიებლის ალღომ!

– რაღა თქვენ მოგცეს ჩემი საქმე გამოსაძიებლად, მაგრამ სრულებითაც არ ვნაღვლობ, ნამდვილად ქების ღირსი ხარ, ყოჩაღ შვილო ინგა!

– გმადლობთ შექებისათვის, ჰოდა იმას ვამბობდი, ორმოდან აი ეს ჩანთა ამოვიღე, რომელშიც უდიდესი მოწმე და ნივთმტკიცება – ნაგანი აღმოჩნდა. იქნებ უარყოთ ,,არავითარი ნაგანი თქვენი არ არის და გამოძიებას სურს გაუხსნელი საქმე აგკიდოს. ამ შემთხვევაში უარყოფა უაზრობად მეჩვენება, რადგან კრიმინალური ექსპერტიზის დასკვნით ხელის ანაბეჭდი, რომელიც ნაგანის ტარზე აღმოჩნდა, თქვენი ხელის ანაბეჭდია – შეკითხვა გაქვთ?

– არავითარი!

– ესე იგი თქვენ ეთანხმებით ძიების სიზუსტეს!

– სრულებით!

– ღმერთო ჩემო, დედაო ფერიდე, მიკვირს თქვენი სიმშვიდის, როგორ გამოიმუშავეთ ეს, ასეთი ნებისყოფა მე არ გამაჩნია და ალბათ ვერასოდეს ვერ შევძლებ მსგავს მსახიობობას...

– არა, ეს მსახიობობა არ არის, ნაღდი სიმშვიდეა, რომელიც ყოველგვარი სურვილის ასრულების შემდეგ ეუფლება ად-

ამიანს, მე მაშინ მიჭირდა, როდესაც ოცნებით ვკლავდი, ვწავვდი და ვანადგურებდი ჩემი ოჯახისა და სამშობლოს მტრებს. ნუ გიკვირს დღეს თუ სრულებით დამშვიდებული გამოვიყურები მარცხენა წარბი რომ მიკრთის, ეს ერთი ნერვია მხოლოდ დარჩენილი დასამშვიდებელი და იქნებ დავაწყნარო ეს წარ-ბიც, შემდეგ კი წმინდანის სიმშვიდით შევეგებები ნებისმიერ განსაცდელს.

– მე ამდენს ვერ შევძლებდი, შენ ნამდვილი დედა ხარ, ძუ ვეფხვი, ალბათ შვილის სიყვარულმა გიბიძგა ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად, მოგჩერებივარ და მეამაყება, დღეს ჩემს წინ გაცოცხლდა დედა ხერხეულიძეთა. მიხარია, რომ კიდევ ყოფილან დედები და თქვენით საქართველოს გადაშენება არ უწერია.

– თქვენი შარავანდედი ჩემს წინაშე მართლმსაჯულების ღიმილია მეტი დანაშაულის გამოსატყუებლად, თუ ნაღდი კომპლიმენტი?

– ნაღდი! გულიდან ამოხეთქილი მადლიერებაა, მე პირველ რიგში ქალი ვარ და ვსუნთქავ მომავალი დედის თბილი ჰაერით, ვსაზრდოობ მომაკვდავი შვილის სურვილით. ეს ქა-ლის ბუნებაა, სათნოება და სიყვარულია ღმერთისგან ნაბოძები, ამის სწავლა და ერისაგან შესისხლხორცება შეუძლებელია, კვალმაძიებლობა კი სპეციალობაა ჩემი და ეს ორი მცნება ისე განსხვავდება ერთიმეორისაგან, როგორც ჩვენ განვსხვავდებით მამაკაცის ბუნებისაგან.

რუსთავის კოლონიში შალვა თოდაძე მოკლეს, დედასა და დას დაბრალდა მისი სიკვდილი, მაგრამ ვგრძნობ, ეს მკვ-ლელობა შენი ჩადენილია, არ გაიფიქრო რომ გსაყვედურობ, გიმეორებ რომ მეამაყები, შენ არ დაკმაყოფილდი კანონიერი სასჯელით და შენი შინაგანი განაჩენით, მკვლელს სიკვდილი მიუსაჯე, მახსოვს შენი ფიცი, სისხლით რომ ჯვარს უხატავდი შვილებს შუბლზე, მე მაშინ გული შემიწუხდა, როდესაც მომ-აბრუნეს, შენ მაშინ თმები ჩამოიგლიჯე და მკერდზე აფენდი შვილებს, მაშინ ვთქვი: – ,,შენ ფიცს შეასრულებდი" ერთი შეასრულე კიდეც, მხოლოდ არ ვიცი როგორ შეაღწიე მა-

მაკაცთა კოლონიაში. ამჟამად დანაშაული იმიტომ ჩაიდინე, ქალთა კოლონიაში გინდა მოხვედრა, რომ ფიცი შეასრულო და ქალთამზეს გულიც იქ დამარხო, სადაც შალვას გული დამარხე.

– ეს სიზმარი საიდან მოიტანე, რომელ გულზეა საუბარი?

– ხომ გითხარი, ადამიანი განშორების დროს საყვარელ ხალხს ემშვიდობება– მეთქი, მე კიდევ ის ადგილები მოვინახულე, ვისაც შენ გამოემშვიდობე და ერთგან თუ ნაგანი აღმოვაჩინე, მეორეგან გული ვიპოვე, ჯერ კიდევ სისხლით გაჟღენთილი. მაშინ გაგებული არ მქონდა თუ რა მოხდა რუსთავის კოლონიაში, მაგრამ ვიაზრე, შენ უკვე შესრულებული გქონდა ერთი ფიცი, მხოლოდ არ ვიცოდი ვისი იყო ეს გული ქალთამზე ჩოხელის, თუ შალვა თოდაძის, მართლაც უმძიმესი დაშაული გაქვს ჩადენილი, რომლის უარყოფაც არცერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა აზრად, მაგრამ ნეტავი იცოდე, ეს დანაშაული როგორ გაკეთილშობილებს და გალამაზებს, რომ შემეძლოს, თანამოსაქმედ გაგიხდებოდი, მაგრამ ამისათვის არც ფიზიკური შესაძლებლობა მიწყობს ხელს და არც თანამდებობრივი.

– რამ განაპირობა თქვენი ასეთი სიმპათია ჩემდამი?

– შენმა ფიცმა, არ მეგონა ასე ადვილად თუ შეძლებდი მის შესრულებას, გამწარებული დედები ყველანი იფიცებიან, მაგრამ შემდეგ წყევლით უნდათ მიზანს მიაღწიონ, ზოგი ცრემლით იქარვებს მწუხარებას, ზოგიც ნარკოტიკს ან ალკოჰოლს ეტანება, ფიცის დიდსულოვნება კი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ შეასრულო ის, რაც საჭიროა და ფიცით აკურთხე არავითარ შემთხვევაში არც უნდა თქვა და არც უნდა გააკეთო იმაზე მეტი, რაც საჭიროა. მაშინ შენს დანაშაულს ისე ლამაზად მოირგებ, როგორც გენერალი ორენებით დამშვენებულ მუნდირს, მაგრამ უშნოდ ჩადენილი დანაშაული, გენერალსაც კი დაამახინჯებს თავის მუნდირში, სწორედ უხიაგად იყო ჩადენილი შენი შვილის – ეკას მკვლელობა, ადამიანმა ქონებისა თუ კარიერისათვის ადამიანის სიცოცხლე არ

უნდა შეიწირო, მათ კი ეს კანონი დაივიწყეს და შენს შვილთ-ან ერთად სამშობლოს სილამაზე და ჯიშიანი ინკუბატორი მოუკლეს, ამიტომ, გასაკვირი არ არის დედა არ დააკმაყოფი-ლოს კანონმა და პირად შურისძიებაზე იფიქროს, როდესაც უზარმაზარი მხილებები აღმოვაჩინე დანაშაულის მხრივ შენს მიმართ, სიძულვილის ნაცვლად, კეთილგანწყობით განვიმსჭვალე, რადგან შენს ადგილზე საკუთარი თავი წარმოვიდგინე ყველა დედას როდი ძალუჯს მსგავსი ქმედებანი, ამიტომ გადავწყვიტე დაგეხმაროთ, დღესვე საქმეს დავხურავ და სასამართლს გადა-ვცემ კერძო ქონების დაწვის (განადგურების) თაობაზე, რაც შეეხება შალვა თოდაძის მკვლელობას, ეს საქმე დახურულია, არც მეხება და არც გეკითხებით თუ როგორ ჩაიდინეთ. შენი ძმები კი სბრალულის ღირსნი არ არიან, სოფელში ცხოვრობ-დე და მეზობლების ოთხმოცდაათი პროცენტი გემდუროდეს ეს იმას ნიშნავს, რომ სიკვდილამდე ადრე ხარ მკვდარი. სოფელში არ იციან ძმები სად იმყოფებიან, ცოცხლები არიან თუ მკვ-დრები, შენ კი რა თქმა უნდა, სახლში არ შესულხარ, სახლს ცეცხლი წაუკიდე და წამოხვედი. ძმების ბედით სრულებითაც არ დაინტერესებულხარ და არც ამჟამად გაინტერესებს.

რაც შეეხება დამწვარი სახლის ფერფლს, ნამდვილად ვერ ამოვიღებთ საქმიდან და პასუხი უნდა ვაგოთ კანონის წინაშე,.

– პირობითი სასჯელი რომ მომცეს სასამართლომ, ხომ დავიღუპე? ცოტა არ შეიძლება რომ დავამძიმოთ დანაშაული?

– შენს დანაშაულს სიმძიმე არ აკლია, ვიცი შენთვის სულ ერთია სასჯელის სიმკაცრე, მაგრამ შენ არ იცი, ჯერჯერობით გამოუცდელი ხარ ციხის კანონებში, იქ კი სულ სხვაგვარად ჟღერს მკვლეობა და ისიც ძმების, ამიტომ მკვლელობის მუხლი საქმიდან უნდა ამოვიღოთ და კერძო ქონების განადგურებაც გეყ-ოფა სასჯელად, ოთხიდან რვა წლამდე მოგაკერებენ გააჩნია როგორ გუნებაზე იქნება მოსამართლე და რა თვალით დაგინახავს.

– თქვენ ისე მიწყობთ საქმეს, რომ იმედი ვიქონიო დაბ-რუნებისა და კიდევ ცხოვრების, რაც დღემდე აზრადაც არ მომსვლია,

– მომავლის იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგო. მწამს ანუკი, შენი დაბრუნების იმედით და მომავლის რწმენით იცოცხლებს შენს დაბრუნებამდე. თითოეული ადამიანი, მებრძოლია ცხოვრების მიმართ, განა საძრახისია, ანუკის რომ იმდაგვარი ბრძოლის უნარი არა აქვს როგორიც შენ? ის ხომ თავისებურად ებრძვის ამ ცხოვრებას და შენ არა გაქვს უფლება იმედი გაუცრუო მას. მებრძოლი კი სხვა მებრძოლისაგან ოსტატობის დაუფლებას უნდა ცდილობდეს და არა იმის ნაკლის გამომზიურებას. ბრძოლისუნარიანობის სიყვარული, სევდა, გრძნობა თუ სიძულვილი თვითონ უნდა გააჩნდეს, რადგან სხვაგვარად მუდამ დამაცხებული იქნება ცხოვრებასთან ჭიდილში. ცხოვრებისეული ხლართების გამოსახსნელად შენ ჩემი მითითება არ გჭირდება, ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ საიდუმლოს შენახვა შეგიძლია და ჩვენც ასეთი ჩვენება დავწეროთ სასამართლოზე გადასაცემად

,,საბრალდებო დასკვნა, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული – ფერიდე წერეთელი– ასანიძისა გამო, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაული...“

... და საბრალდებო დასკვნაში ძირფესვიანად აღწერილი იყო, თუ როგორ დაწვა და გაანადგურა საკუთარი მამა– პაპური კერა ფერიდე წერეთელ– ასანიძემ, რომელიც ამჟამად ძმებს ეკუთვნოდათ და ფერიდეს უარი უთხრეს მამისეული ნაწილის მიღებაზე. განაწყენებულმა ფერიდემ სახლს ბენზინი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა...

ძირითადი აზრი ეს არის საბრალდებო დასკვისა და სასამართლოც ამავე მოტივით შეუდგა საქმის გარჩევას, რომელმაც ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ფერიდეს, გათვალისწინებული სასჯელის საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

* * *

ორი ერთნაირი სამყარო პირისპირ დგას და ფორმალურად არ განსხვავდება ერთიმეორისაგან, მაგრამ ეს მხოლოდ

ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი მსჯავრდებულთა სამყაროში სასუნთქი ჰაერიც კი განსხვავდება თავისუფლების ჰაერისგან, უზარმაზარ სასაფლაოს შეიძლება შევადაროთ ქალთა კოლონია, სადაც თვალცრემლიანი ქალები იხდიან სასჯელს, აქ დღის ნებისმიერ დროს დარდისაგან მოზღვავებული ქალთა ცრემლი იღვრება, ეს ხომ ერთადერთი თავდაცვის იარაღია ქალისათვის, ქალი სათუთი არსებაა, მომთმენი, დამჯერი, უყვარს სხვისი მფარველობის ქვეშ ყოფნა, მაგრამ თუ გამწარდა, ჰოი! ღმერთმა დაგვიფაროს, ამ წიგნისათვის ერთი გამწარებული ქალიც კმარა – ფერიდე – რომ დავინახოთ სხვა დანარჩენი ქალების სახე.

ძლიერია ქალთა მოდგმა, მეორე სამყაროს ცხოვრების ავ–კარგი იშვიათად გამოჟონავს თავისუფლებაზე აქეთა სამყაროში. ქალს უყვარს საიდუმლოების შენახვა და ადვილად ივიწყებს წარსულ ტანჯვასაც, ქალი სამარცხვინოდ თვლის და საიდუმლოდ ინახავს ნასამართლეობას, ციხის ნაცნობობას და იქაურ დაუწერელ კანონებს.

მამაკაცებს კი, პირიქით, ეამაყებათ სასჯელის მოხდა და ხშირად გაგვიგონია ტრაბახი: „ნაჯდომი ვარ სიმონ“. თითქოს კარგ რაიმეს ტრაბახობდეს და ნაჯდომი ციხეში კი არ იყოს, არამედ თამარ დედოფლის ტახტზე და იმის სამეფო გვირგვინშიდაც წილი ჰქონდეს ჩადებული, ამიტომ მამაკაცთა კოლონია მრავალი ჟურნალისტის სათარეშოდ არის გადაქცეული და ჟურნალისტის კალამს ბევრი საძრახისიც გამოაქვს მზის სინათლეზე.

ქალთა კოლონია ისეთივე საიდუმლოებით მოცული დარჩეს, როგორიც ყოფილა მრავალი საუკუნის განმავლობაში, მხოლოდ ცოტა რამ, რაც ძირითადად ჩვენი დეტექტივის გმირს ეხება, მასზედ გავამახვილოთ ყურადღება.

კოლონია დედაქალაქის ცენტრში იმყოფება, გარედან ბაღნარითა და მოკირწყლული ქუჩების დამშვენებული მაღალი კედლით გარემოცული და არავითარი ეკალ– ხლართით შემოვლებული. შიგნით ეზოს ქალების გამრჯე და სათუთი ხელი

ეტყობა,. ყვავილების გაზონები წლის ყოველ თვეში არის აყვავებული. არც სახელმწიფო ხელისუფლება ტოვებს ქალებს უყურადღებოდ. მათ აქვთ მსუბუქი სამუშაო, მცირე სამკერვალოები და თოჯინების დამამზადებელი საამქრო, სუფთა საცხოვრებელი საერთო ბინები, კინო– თეატრი. აბანო, სამრეცხაო, საშრობი, საავადმყოფო, სასადილო, სპორტდარბაზი, სკოლა, სპეციალობის შემსწავლელი სხვადასვა კურსები და სხვა მრავალი აუცილებელი ნაგებობანი კულტურული და ცივილიზებული ადამიანის არსებობისათვის, ჰო, მთავრობას უზრუნია ქალებისათვის და ყველაფერი შეუქმნიათ მათი კულტურული არსებობისათვის, მხოლოდ ქალთა შორის შუღლის მოსპობა ვერავინ შეძლო, შუღლი და მტრობა, ერთიმეორს დამცირება და საკუთარი თავის განდიდება კანონში უწერია ქალებს, ბატონობა ურთიერთის მიმართ მამაკაცებზე მეტად აქვთ გუნებაში გამჯდარი. უმამაკაცო სექსით კი უქალებო მამაკაცთა კოლონიებს ჯობნიან, აქ მამაკაცის ფუნქციებს ქალები ასრულებენ, რომლებსაც ,,ულაყებს'' ეძახიან, ისე როგორც მამაკაცთა კოლონიებში, თვითონ მამაკაცები ასრულებენ ქალების როლს და მათ ,,პიდარასტებს'' ეძახიან. მამაკაცები ამას არ ფარავენ, სამზეოზე გამოჰყავთ.

ქალები კი თავიანთ ,,ულაყებს'' სათუთად უფრთხილდებიან. საიდუმლოდ ინახავენ მათ ქმედებას და საჭიროების შემთხვევაში თავისუფლებაზედაც იყენებენ.

კოლონიაში სექსისათვის განკუთვნილი ადგილი არ არსებობს, ამისათვის საშრობსა და სამრეცხაოს იყენებენ, საშრობში გათბობის მილებით დახლართულია კედლები და ჰაერის ტემპერატურაც ყოველთვის მაღალია, რათა ჩქარა გაშრეს ქალთა საცვლები, ტანსაცმელი თუ საწოლის გაწყობილობა.

სამრეცხაო, საშრობის გვერდითა ოთახში იმყოფება, აქ არის სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის სათლები, აბაზანები და ერთადერთი სარეცხი მანქანა, რომელიც დარბაზის შუაში ატომური ბომბივით არის წამოწოლილი და იმის გვამში ერთდროულად თავსდება და ირეცხება, ხუთასი ქალის ჩიხოლ–

ზეწარი, საცვალ– პერანგი, სამუშაო თუ საწვეულო კაბები და სხვა, სწორედ აქ, ამ სამაგალითო რეჟიმისა და ყოფაქცევის ქალთა კოლონიაში, მოიყვანეს ფერიდე, როგორც წესი, ახლადმოსულები პირველად აბანოში წაიყვანეს, რამდენიმე წყვილი თვალი შურითა და სიხარბით მიაშტერდა ფერიდეს ზამბარასავით უნაკლო ტანს. ,,აი ეს მწამს, ამის მოსაფერებლად ქალსაც აუჩქროლდება გული, თორემ ,,ულაყები" რა გამონაკლისია" – თქვა ფერმკრთალმა ქალმა რომელსაც მრავალი მოფერება ჰქონდა გამოცდილი და თვითონაც მოფერების დიდოსტატი უნდა ყოფილიყო. მართლაც, იმ დღესვე გაიგეს ,,ულაყებმა" ზონაში იშვიათი ჩიტის შემოფრენა და შეხვედრის თადარიგს შეუდგნენ.

აბანოს შემდეგ საწოლი მიუჩინეს პატიმართა საერთო საცხოვრებელში ფერიდეს და ისიც თავაზიანი მადლობით გაუმასპინძლდა ბადრაგს.

ლოგინი გაასწორა და წამოწოლა დააპირა, რომ სამი ახალგაზრდა ქალი ნაძალადევი სიკეკლუცითა და ტანის რხევით წინ დაუდგნენ ფერიდეს, ერთი ძალზედ მაღალი იყო, უზარმაზარი მკერდის პატრონი და თითქოს მკერდს ვერ ზიდულობსო, ბევჭებში საგრძნობლად იყო მოხრილი, ორი კი ძალზედ დაბლები იყვნენ თუ ძალზედ მაღალთან ჩანდნენ ასე, არ ვიცი, ჩაპუტკუნებულები ლამაზად გამოიყურებოდნენ.

– თქვენ, ქალბატონო ,,კოზლოდიორკაში" გიბარებენ და ახლავე უნდა წამოხვიდეთ! – ბრძანების კილო– მანერით უთხრა მაღალმა.

– სად არის ,,კოზლადიორკა", ან რა დაწესებულებაა ეს? – გაიკვირვა ფერიდემ.

– ვაჰ, შენ გეტყობა მართლა გორსალა ხარ, არ შეგეშინდეს დაიქექები და მეორე ,,სტროგზე" შეიძლება ,,ულაყობასაც" გამოკრა ხელი, ახლა თუ ,,სტანოკზე" კარგად ივარჯიშებ.

– ეს ,,ულაყობა" რაღა ჯანდაბაა, ანდა ,,სტანოკი" – ისევ გაიკვირვა ფერიდემ.

– წამოდი, წამოდი და მაგას ახლავე გაიგებ – სიტყვა შეაწია მაღალს დაბალმა.

– ბოლოს და ბოლოს მითხარით, სად წავიდე და ვინ მეძახის! –

– სამრეცხაოში გეძახიან, გაიგე?! – გაკაპასდა მაღალი.

სამრეცხაოში რა მინდა, ეს წუთია აბანოდან მოვედი და გასარეცხიც არაფერი მაქვს.

– რომ გეუბნებით წამოდი, უფროსები გიბარებენ, თორემ ძალით წაგათრევთ! – ეხლა კი მეტი სიბრაზე დაეტყო მაღალს და ცოტა წამოწითლდა კიდეც

– რას ამბობთ გოგოებო, სამრეცხაოში უფროსების კაბინეტს რა უნდა, ნამდვილად არა მაქვს სურვილი ნაძირალებს შევხვდე, რა ძალით თუ წამიყვანთ იცოდეთ გიჩივლებთ უფროსებთან!

– ხახახა! – გულიანად გაეცინა სამივეს, უფროსები ჩვენ გვეკითხებიან რჩევას, შენცთვის უმჯობესი იქნება ზონის „შიგნით“ მყოფ უფროსებს მოუსმინო!

– წადით ახლა და თქვენს „შიგნითა“ უფროსებს უთხარით, რომ მე არა მაქვს მათთან შეხვედრის სურვილი, თუ მათ უნდათ ჩემთან შეხვედრა, თვითონ მეახლონ!

– ხახახა! – „ულაყები“ გეახლონ შენ? ეჰ, დღესვე ისე მოგათვინიერებენ, რომ ხვალ სულ სხვაგვარად იჭიკჭიკებ! – უთხრა მაღალმა და მკლავში ხელი წააჭანა ძალით წასაყვანად.

აზრზედაც ვერ მოეგო მაღალი, თუ როგორ გაითავისუფლა ხელი ფერიდემ და რომ ეგონა თავისუფალ ხელს მკერდზე დამარტყავსო, ორი თითი ცხვირზე წაავლო და ისე მაგრად მოუჭირა, რომ თეთრი ფერისმჭამელები მყისვე ამოცვივდა ცხვირიდან და ნერვიულობით გაწითლებული ცხვირის კანის ზედაპირი დაუფარა.

ახლა კი სამივე გაწიწმატდა, ერთი თმაში სწვდა, ორმა ხელები ამოუგრიხა და ძალით სულ პანღურის ცემით წაიყვანეს სამრეცხაოსაკენ, სახემომღიმარი ფერიდე.

– გაუშვით ხელი თქვე საზიზღრებო! – ბრძანა მამაკაცის ომახიანი ხმით სარეცხის მანქანის გვერდით სათლზე მჯდომმა, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ოცდაათიოდე წლის ქალმა, რომელსაც მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა, ძალზედ ტემპერამენტიანი თვალები, საიდანაც, თითქოს ნაპერწკლები იფრქვეოდა მართალია ტუჩები კბილებს არ უფარავდა, მაგრამ ულამაზობა მაინც არ ეთქმოდა ცხვირზე რომ რგოლი არ ჰქონებოდა გაკეთებული, კიდევ ჰო, მიმზიდველად ჩათვლიდა ადამიანი, მაგრამ ახლა, კოლმეურნეობის ფერმის კურო– მოზვერს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს, და ისიც ქალს.

– ოოო! რატომ გაგვირბი ჩიტუნავ, რად დაგჭირდა ძალადობა? იადონები გალიაში თვითონ შეფრინდებიან ხოლმე, შენ კი... – წარმოსთქვა ,,მოზვერამ'' და ტუჩებს თავი ვერ მოუყარა კბილების დასაფარავად.

ფერიდეს გაეღიმა! ვინ იცის, ვინ როგორ აღიქვა ეს ღიმილი, ,,მოზვერამ'' კი ქალისათვის სასიამოვნო დაზეპირებული ფრაზა წარმოსთქვა:

– ვეთაყვანები თქვენს მობრძანებას ჩემს სამფლობელოში, ჩათვალეთ რომ ტყვე ვარ, თქვენი თვალების შუქ-სხივსა და თქვენი ღიმილის მზიანობისა!

ფერიდეს კიდევ მეტად გაეღიმა, მოეწონა შექება, მაგრამ ზიზღი გამოიწვია, რომ ქალის ბაგეთაგან იყო წარმოთქმული:

– რად იღიმები ძვირფასო? – შეეკითხა ,,მოზვერა'', რადგან ღიმილში დაცინვა შეამჩნია.

– შაჰ– აბასივით დამჯდარა თქვენი ბრწყინვალება და არ იცის თვით შაჰ– აბასიც კი არ იყო ქალთა მიმართ ისეთი კადნიერი, ფეხზე არ ამდგარიყო და თაყვანი არ მიეგო სილამაზისათვის – მიუგო ფერიდემ.

– ოოო, ბრძნული აზრია, მაგრამ ვერ დავიჯერებ შაჰ– აბასი ქალების წინაშე თრთოდა, როცა ამის წინაშე კრთოდა აზია მე კი შაჰ– აბასზე მეტი დიდებით ვსარგებლობ, რადგან მარტო ქალთა სამყაროში ვარ მბრძანებელი.

– ოოო! დიდო მბრძანებელო, რას მიბრძანებთ თქვენ წინაშე მონად მოყვანილს?...

– რა გქვია გოგო შენ! – ახლა კი ნამდვილად შაჰ–აბასის ხმით წარმოთქვა „მოზვერამ“, რადგან ფერიდეს ნათქვამში ისევ დაცინვა შეამჩნია.

– ციცი, მბრძანებელო! – უპასუხა ფერიდემ.

– რა სახელია ციცი, გოგო კატა ხომ არა ხარ?

– დიახ კატა ვარ მბრძანებელო, უწყინარი და ასე გასინჯეთ თაგვსაც არ ვაყენებ ზიანს...

– შეეშვი გოგო ამ მბრძანებლის ძახილს. ციცი! იცი რისთვის დაგიძახე?

– არა მბრძანებელო!

– კიდევ მბრძანებელო, უნდა გაგაუპატიურო ციცი, რომ მუდამ იყო მორჩილი ჩვენი, რა თქმა უნდა, თქვენ ისეთი თვინიერი ჩანხართ, ძალადობის გარეშეც ვისიამოვნებთ.

– თქვენ ხომ ქალი ბრძანდებით მბრძანებელო?

– მერე რა, ქალსაც შეუძლია ლამაზმანების გაუპატიურება, ქალწულებისაც კი

– შეგხვედრიათ რომ ქალწული გაგიუპატიურებიათ?

– რამდენიც გინდა, აქედან ქალიშვილები აღარ ბრუნდებიან თავისუფლებაზე!

– თქვენი ვაჟკაცობის წინაშე თავს ვიხრი მბრძანებელო, სახელს ხომ ვერ მეტყოდით, რომ მუდამ მახსოვდეს ჩემი პირველი გამპატიურებელი?

– გარეთ სამყაროს სახელის ცოდნა აუცილებელი არ არის, მე აქ „ულაყს“ მეძახიან!

– ახლა მომისმინე მე – უკვე სახის სერიოზული გამომეტყველება მიიღო ფერიდემ, – შენ „ულაყი“ ხარ თუ „მოზვერი“, მაგას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, უმჯობესი იქნება შენ ფაშატობას დაუბრუნდე და ნუ შეარცხვენ დედაკაცის მანდილს, არასოდეს არ იფიქრო, რადგან აქ მამაკაცები არ მოგვჩერებიან, მათ ყურამდე არ მიაღწევს ჩვენი ქმედებანი, თითოეული ჩვენგანი სახელმწიფო სიდუხჭირეში იმყოფება და

ისედაც ცრემლად დაღვრილ ქალებს ნულარ მივაყენებთ გულის ტკივილს, ჩვენ თავისუფლებაზე მამაკაცების მტრები ვიყავით ვინც აუპატიურებდა, აქ კი ქალი ჩადიხარ იგივე ქმედებას, შენ ვინ მოგცა ამის უფლება ქალთა კოლონია, დამნაშავეთა სამყარო, გახრწნილების კერად აქციო და წესიერ საზოგადოებას გარყვნილება დაუბრუნო! შენ ვინ მოგცა იმის უფლება ქალწული გააუპატიურო და იმ ჩირქს, რასაც ნაციხარი ჰქვია, ქალის ბოზობაც დაუმატო!

– ჰე– ჰე პედაგოგიკა. აქ ბავშვთა „ბანაკი“ კი არ არის, დამნაშავეთა „კოლონიაა“ აღმზრდელობით აგიტაციას შეეშვი. ჩვენ ამ სისტემისათვის ვარ აღზრდილები და ვინც აქ მოხვდება, ჩვენი პარტიის წევრები ხდებიან. აბა, შენ როგორ გინდა, წლობით ვიყოთ მამაკაცის მონატრულები?

– თავისუფლებაზედაც არიან წლობით მამაკაცის მონატრულები, რომლებსაც ერთხელაც არ განუცდიათ მამაკაცის ალერსი, მაგრამ ბოზობა არ დაუწყიათ, სათაყვანოდ ინახავენ საკუთარ პატიოსნებასა და ქალწულის კდემამოსილებას, შენ კი, მიუხედავად იმისა, ქალი ხარ და პატიოსნებისაკენ მიუთითო შენს ჯილაგს, დაღუპვისაკენ უბიძგებ მათ.

დაღლილი ვარ ახლა მე, დასასვენებლად მივდივარ და კარგი იქნება თუ ჩემი შთაგონება თქვენზე გავლენას მოახდენს და არ გავიგებ ვინმე ძალით გაგეპატიურებინოს.

– რომ გაიგო?

– მეწყინება და წყენას სხვაგვარად გამოვხატავ!

– საკუთარი თავის გაუპატიურებაზე როგორ წყენას გამოხატავ?

– არავითარს, ეგ არ მოხდება!

– მოხდება და ძალზედ სასიამოვნოდაც, ხუთი წელა აქ ვფარფაშობ, ჯერ ხელიდან არავინ დამძრომია! – თქვა „ულაყმა“და ზეზე წამოდგა.

სამრეცხაოში ათიოდე ქალი იყო. ყველა შიშით მიჩერებოდა „ულაყს“, გრძნობდნენ, რაღაც საშინელება მოხდებოდა.

ფერიდეს ყურადღება არ მიუქცევია „ულაყის“ ადგომისათვის, ის გასასვლელისაკენ წყნარი ნაბიჯით გაემართა, მაგრამ „ულაყი“ წამოეწია და თმაში სწვდა ფერიდეს. ის არც შემოტრიალებულა, ყველას გასაოცრად ჰაერში კამარა შეჰკრა და ფეხი სახეში უთავაზა მოძალადეს, შემზარავი ტკაცანი გაისმა, ნიკაპის ძვალი გატყდა და ღრანჭის ძვლები ერთმანეთს მიეწება, „ულაყი“ კი სარეცხ მანქანას თავზე გადააფრინდა, აგურის კედელი გაანგრია და პატარა სათავსოში დაეცა გონდაკარგული, ფერიდემ თმა შეისწორა და აუჩქარებელი ნაბიჯით გამოვიდა სამრეცხაოდან.

* * *

ნარგიზა (ასე რქმევია ნამდვილი სახელი „ულაყს“) გონდაკარგული საჩქაროდ გააქანეს ციხის საავადმყოფოსაკენ, რომლის მთავარი ექიმი გინეკოლოგი ელისო ტაბატაძე იყო, იგი უძლური აღმოჩნდა ქირურგიული დახმარება გაეწია ნარგიზისათვის და ყბები გაესწორებინა, ამიტომ იძულებული გახდა თავისუფალ მოქალაქეთა საავადმყოფოს დაკავშირებოდა და ქირურგი გამოეთხოვა.

სანამ ქირურგი მოვიდოდა, ელისო ექიმმა პირველადი დახმარება აღმოუჩინა ტრავმირებულს. გრძნობაზე მოიყვანა და შემდეგ შეეკითხა მის მომყვანთ, თუ საიდან გადმოვარდა, რომ ასე საშინლად დაიმსხვრა პაციენტი.

– არა ექიმო, სცემეს! – უპასუხა ერთ– ერთმა ზომაზე ჩასუქებულმა ახალგაზრდა ქალმა.

– ვინ სცემა ასე საშინლად, ალბათ მთელი არმია დაესია, თორემ ეს ასი კაცის ნაცემსაც არ ჰგავს.

– მხოლოდ ერთჯერ დაარტყა და თუ როგორ არ ვიცით, თვალიც ვერ მოვასწარით პატივცემულო.

– ვინ არის ასეთი უძლეველი, რომლის დარტყმაც ძვლებს უმსხვრევს ადამიანს?

– დღეს მოიყვანეს, ახალგაზრდა ქალია ვიღაც!

– წადით, დამიძახეთ უთხარით რომ ჩემთან მოვიდეს.

— არა ექიმო, ღმერთმა დაგვიფაროს, ვერც ვეტყვით და არც წამოვა.

— უთხარით, რომ ელისო ექიმი გთხოვთ, და არავითარ შემთხვევაში არ უთხრათ, რომ ვუბრძანებ.

— კარგი წავალ, — თქვა ერთმა — მაგრამ ნარგიზას ადგ-ილზე რომ აღმოვჩნდე, ხომ მიმკურნალებ?

— სულელო, ნარგიზას რაღად უნდა მკურნალობა. ამას ჭკვიანმა კაცმა ახლა ზომები უნდა აუღოს და გლოვა გამო-აცხადოს მრავალცოლიანმა ოჯახმა, — გაიხუმრა ელისომ და საკაცეზე გაშხლართული ნარგიზას გადახედა.

ფერიდე საწოლზე იყო წამოწოლილი და წიგნს კითხუ-ლობდა, ჩასუქებულმა გოგონამ, შიგნით შესვლა ვერ გაბედა, ფრთხილად გამოაღო ფანჯარა და მოკრძალებით წარმოთქვა:

— ქალბატონო ციცი, ელისო ექიმი გთხოვთ, თუ შეიძლება ეახლოთ?

— მე როდესაც მჭირდება ხოლმე ექიმი, მივდივარ მასთან, მას თუ ვესაჭიროები, თვითონ მობრძანდეს!

— როგორც გენებოთ, ქალბატონო! — წარმოთქვა რიდით ჩასუქებულმა და წასასვლელად შეტრიალდა, მაგრამ ფერიდემ შეაჩერა:

— ის შენი ელისო ექიმი მსჯავრდებულია თუ მოქალაქე?

— არა, აქ მხოლოდ დღისით მუშაობს, საღამოს სახლში მიდის ხოლმე, ქალბატონო, ისეთი კარგი გოგოა, მოგეწონება ნამდვილად, ჩვენი სული და გულია პირდაპირ.

— გაჩერდი მანდ, მოვდივარ! — წარმოთქვა ფერიდემ, თმა შეისწორა. ტანსაცმელიც გაისწორა და გაჰყვა ჩასუქებულ გოგონას.

— შენი ხელები დაბერდეს ჭეშმარიტად, ის მოსაკლავი იყო ნამდვილად, ვინ მოთვლის რამდენი გოგო გააფუჭა მაგ თვითონ გაფუჭებულმა, აჭიკჭიკდა გზადაგზა ჩასუქებული და აღარ იცოდა, როგორ ესიამოვნებინა ფერიდესათვის.

— აქ, ზონაში არიან კიდევ ისეთები, ვინც ქალებს ძალით უბიძგებს ამორალური საქციელისაკენ? — შეეკითხა ფერიდე.

– კი არის ერთი ქალია მაგრამ მაიმუნს უფრო ჰგავს ვიდრე ადამიანს, მთლად თმით არის დაფარული, ნარგიზამ აიყვანა თავის მარჯვენა ხელად იქ, სამრეცხაოში მუშაობს.

– შენ მეგრელი ხომ არა ხარ?

– არა, მე არა ვარ მეგრელი, უბრალოდ დედა მყავს მეგრელი და მამა კიდევ!

ფერიდეს გაეღიმა და ღიმილმა გადაჰკრა სახეზე, ჩასუქებულსაც ფერიდეს პატივსაცემად.

ამასობაში საავადმყოფოსაც მიუახლოვდნენ, თამამად შევიდა ელისოს კაბინეტში ჩასუქებული, მორიდებით შეჰყვა ფერიდე და გაოცებისაგან სახტად დარჩა. საავადმყოფოს მთავარ ექიმს, სათვალეებიან პენსიონერ ქალს ელოდა, აქ კი მთლად ბავშვი შარვალ– კოსტუმში გამოწკეპილი და თეთრ ხალათმოხურული სილამაზის განსახიერება დაუხვდა.

– თქვენ ბრძანდებით ციცი? – ღიმილით შეეკითხა ელისო, საოცრად უხდებოდა ღიმილი.

– დიახ მე გახლავართ, თუმცა არა ციცი, მაგრამ მაინც ციცი...

– ჰო კარგი, ასეც იყოს, შენზედ ამბობენ ნარგიზის სცენაო, მართალია?

– ტყუილი მოუხსენებიათ ქალბატონო, აბა მე საიდან მაქვს ისეთი ძალა, ადამიანს ძვლები დავუმტვრიო, რომელმაც დაინახეთ რომ მე დავარტყი? – ნარგიზას ამხანაგებს შეეკითხა ფერიდე.

– არა, ჩვენ არ დაგვინახავს, მაგრამ არც დაგვირტყამს და აბა როგორ ვიფიქროთ, მეხი ხომ არ დაეცემოდა? – იკითხა ჩასუქებულმა.

– ეჰ, გოგონებო, თქვენ მაგრები ხართ, ტურების ხროვა, ქალწულის წინაშე, თქვენ გახრწნილს უბრუნებთ საზოგადოებას, თუ გიჩივლათ რომელიმემ – ,,ეს როგორ იკადრა, არაქურდულია", მაგრამ თუ ვინემ თავისი ღირსება დაიცვა და კარგადაც დაგნაყათ, ჩივილს ვერავინ მოგასწრებთ, მე მართალია დავარტყი თქვენს ,,ულაყს", რომელსაც რამდენიმე ქალისა და

ქალწულის გადაგვარება ცოდვად აწევს კისერზე, მაგრამ ვერ-ავინ ვერ დამიმტკიცებს, რადგან მას არაადამიანური ძალით მიყენებული ტრავმა აქვს მიღებული.

– შენ გენაცვალე ქართველო ქალო! – წამოიძახა თავის საწერ მაგიდასთან მდგომმა ელისომ და ფერიდე გადაკოცნა, ერთ ადამიანად გეგულებოდე, ჭირში და ლხინში გვერდით დაგიდგები.

– ქალბატონო ელისო ექიმო, მე აქ ძალით მომიყვანეს, თქვენი, აქ, საკუთარი ნება– სურვილით მოსვლა რამ განაპირობა?

– სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე, მთელი არსებით ადამიანთა გადარჩენის სამსახურში ჩავდექი, სწორედ აქ მეგულებოდა დაჩაგრულ ქალთა საზოგადოება და ბრძოლაში ჩავები, მაგრამ უშედეგოდ, ერთი რომ ვინმე მყოლებოდა შენისთანა, გავიმარჯვებდი, არავინ გამოდგა ჩემნაირად მოაზროვნე და საზოგადოებას მოწყვეტილ ქალთა დამცველი. ასე შემოვრჩი უბრალო მკურნალად და არა მებრძოლად.

– მე რისთვის დამიძახეთ ექიმო?

– უბრალოდ ნახვა მინდოდა! მედიცინის და მჭირდება და სურვილი მაქვს ჩემთან ითანამშრომლოთ...

– სიამოვნებით, მაგრამ მედიცინის რომ არაფერი გამეგება?

– პირველად არც მე გამეგებოდა მასწავლეს და შევისწავლე!

– აქ ალბათ კოლონიის უფროსმა უნდა დამნიშნოს...

– მაგ საქმეს მე მოვაგვარებ, შენ დილით მოდი და შენს დამტვრეულ ადამიანს მიხედე.

ქირურგს ოპერაცია დაემთავრებინა, საკაცე გამოაგორეს, ზედ ბინტში შეხვეული ნარგიზი ესვენა. ღრანჭის ძვლის მოტეხილობის გარდა, ბეჭის, ძვლისა და მენჯის ძვლის მოტეხილობა აღმოაჩნდა, ფერიდე დაღვრემილი სახით მივიდა და წინ დაუდგა საკაცეს, ნარგიზამ დიდხანს უცქირა და შემდეგ ორივე თვალიდან თითო კურცხალი ჩამოუგორდა.

* * *

მეორე დღეს ფერიდე საავადმყოფოში გამოცხადდა და ახალ სამსახურს შეუდგა. ელისო ყოველგვარ წვრილმანს უხსნიდა. თუ სად რა იყო და მთლიანად შემოატარა მთელი საავადმყოფო.

ფერიდემ ელისოს კაბინეტის კარებთან მტირალი გოგონა შენიშნა, თვალწინ წამოუდგა თავისი ეკა და მყისვე მიუახლოვდა.

– რა გატირებს გოგონა? – ალერსით შეკითხა ფერიდე. გოგონაზე ალერსმა უფრო მგრძნობიარედ იმოქმედა. ტირილს მოუმატა.

– ნუ ტირიხარ, შვილო, დაწყნარდი, მითხარი ვინ გაწყენინა? – თავზე ხელი გადაუსვა ფერიდემ, ელისოც მოვიდა და ატირებული გოგონა კაბინეტში შეიყვანეს, ელისომ წყალი მიაწოდა, გოგონამ მოსვა, ოდნავ დამშვიდდა.

– „ულაყი“ ქალთამზე არ მაძლევს საშველს, – ამოისლუკუნა დარცხვენით.

– მაინც რას გიშვრება, რას გთხოვს? – შეეკითხა ფერიდე.

– აი რას ვგავარ დაინახეთ! – თქვა გოგონამ და ხალათი გაიხადა, ქალიშვილი სულ მთლად დალურჯებული იყო. განსაკუთრებით კი ყელისა და მკერდის არეზე.

– ეს რა არის გცემა? – შეეკითხა ელისო.

– არა, დამკბინა, მამაკაცის სურვილს იკლავს ჩემზე და ქალწულობაც უნდა შეიწიროს, ათასგვარი უხამსობის კეთებას მაძალებს...

– მარტო შენ გიშვრება, ასე თუ სხვასაც ასე ეპყრობა?

– ჩემისთანა ჰყავს მრავალი, მთელი კოლონია მაგისი და ნარგიზასი არ არის?

– შენ რისთვის იხდი, შვილო, სასჯელს? – შეეკითხა ფერიდე.

– შეყვარებული შემომაკვდა!

– როგორ?

— მდინარის პირას ვიყავით, სიყვარულს ვეფიცებოდით ერთმანეთს, მან წაქცევა და გაუპატიურება მომინდომა, მე ხელი ვუბიძგე, ის მდინარეში გადავარდა და დაიხრჩო, ადვილი სათქმელია, ნეტავი მეც იმასთან ერთად დავმხრჩვალიყავი, — ათასჯერ კი ვცადე, მაგრამ თავი მაინც ვერ მოვიკალი...

— წამოდი მაჩვენე ის შენი ქალთამზე ვიღაც არის და მეტად აღარავის შეაწუხებს! — უთხრა ფერიდემ და ზეზე წამოდგა, თან ელისოს გადახედა

— შენ კი ქირურგს გამოუძახე!

— არა ციცი, შეჩერდი, ჩხუბით საქმის მოგვარება უკანასკნელი საშუალებაა, ვცადოთ პირველად მოველაპარაკოთ, იქნებ ტკბილი საუბრით მოვახდინოთ მასზე გავლენა, თორემ შემდეგ სად წაგვივა?

ელისომ დამლაგებელი გააგზავნა ქალთამზეს დასაძახებლად მამაკაცური მედიდური იერით გამოცხადდა ქალთამზე „ულაყი".

ფერიდეს ქალთამზეს დანახვაზე გული აუჩქროლდა და ნერვები რომ დაეკავებინა, სავარძლის სახელურს ისე მაგრად მოუჭირა ხელი, რომ სახელური სავარძლის ფეხიანად მოძვრა.

— შენზედ საჩივარია შემოსული, ქალბატონო ქალთამზე, — ოდნავი ყოყმანის შემდეგ წარმოთქვა ელისომ და ფერიდეს გადახედა. თუ ვინიცობაა მცემა, ხომ მომეხმარებიო, მაგრამ არა, ექიმს თავაზიანად გასცა პასუხი ქალთამზემ.

— ნეტავი რას მიჩივიან, ვინ რას მემართლება ექიმო?

— ყველა მსჯავრდებულს უფლება აქვს,იყოს ხელშეუხებელი და დაცული, მაგრამ უნდა იცოდეს რა უფლებები აქვს მას. ქალთა ძალადობა, როგორც თავისუფალ სამყაროში, ასევე მსჯავრდებულთა კოლონიაში, კანონით ისჯება, შენ ვინ მოგცა უფლება ამორალურ ყოფა— ცხოვრებას ეწეოდე მსჯავრდებულთა ბანაკში და საცოდავი, შერცხვენილი ქალები დაუბრუნო მორალურად განადგურებულნი და შერცხვენილი კულტურულ საზოგადოებას?

– უფლება იქიდან მაქვს! – საჩვენებელი თითი მაღლა ასწია ქალთამზემ, – ჩვენ ჩვენი პარტია გვაქვს, რომელსაც ვიღაც მფარველობს და თქვენ როგორ გგონიათ, იმას ვაპატიებთ, ვინც ნარგიზის სცემა? არავითარ შემთხვევაში. მე თვითონ გავუსწორდები მას.

– შენ იცნობ იმ პიროვნებას ვინც ნარგიზის სცემა? – შეეკითხა ფერიდე.

– არა, არ ვიცნობ და იღბალი მისი, ჩხუბს რომ არ დავესწარი, თორემ ის იქნებოდა ახლა ნარგიზის ადგილზე.

– ადრე თუ გვიან შენ იმას შეხვდები და მოემზადე.

– მზადა ვარ!

– ახლა გვითხარი, ვის მიერ გაქვს უფლებამოსილება, ქალებისა და ქალიშვილების გახრწნისა?

– პირველად თქვენ მითხარით, თქვენ რატომ უნდა მოგახსენოთ ჩვენი საიდუმლო საქმიანობა მოვახსენო?

– მე ექიმი ვარ, ეს კიდევ ჩემი თანაშემწეა! – ფერიდეზე მიუთითა ელისომ – და ჩვენ გვაინტერესებს რატომ ხდება ძალდობა ქალთა კოლონიაში.

– ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენ, ექიმები ბრძანდებით და არა ჟურნალისტები, მადლობა ღმერთს მე თქვენ საქმეში არ ვერევი და გირჩევთ ნურც თქვენ შეიწუხებთ თავს ისეთი საქმის გამოკითხვით, რომელიც თქვენ არ გეხებათ, როგორც ვხედავ თქვენ ჯერ კიდევ ცხოვრების გამოუცდელი ახალგაზრდები ბრძანდებით, ნამდვილი თავისუფალი სამყარო ეს არის, სადაც ამჟამად ვიმყოფებით, არავინ შრომით არ არის გადატვირთული, საუზმე, სადილი, ვახშამი მსუყე სუფთა და კალორიული, თავის დროზეა. საწოლი ინვენტარის ყოველკვირეული გამოცვლა, აბანო თუგინდ ყოველდღიური, კინო– თეატრი, სკოლა და ასე განსაჯეთ ტექნიკური სასწავლებელიც კი გვაქვს და ყოველივე ეს უფასოდ საჭმელი რომ არ ჭამო, ექიმის ცნობა უნდა წარადგინო, თორემ დაგსჯიან უჭმელობისათვის, იქ კი, რომელსაც თქვენ თავისუფლებას ეძახით, შიმშილით რომ მოკვდეთ კიბის ქვეშ, არავის არ დააინტერესებს შენი ბედი, იგივე სასწავლებელში

რომ ისწავლო, როგორც აქ არის, ფულია საჭირო, და თანაც სოლიდური თანხა. საავადმყოფო, აბანო, კინო– თეატრი, არსად და არცერთ თავისუფალ ქვეყანაში არ არის უფასოდ, ამით იმის თქმა მინდა, რომ ადამიანი ბრწინვალედ ცნობს კარგსა და ცუდს, ამ კარგმა კი იმ ცუდთან შედარებით, მოწონება დაიმსახურა და დაიძრა ქალთა სამყარო უკეთესობისაკენ. დაინგრა ბევრი ოჯახი, აარიდა ბევრმა ქალმა შრომას თავი და მოდის უწყვეტი ნაკადი, როგორ შევაჩეროთ ეს? რა თქმა უნდა, შიშით. უნდა დავემუქროთ სულიერად განადგურებას და თქვენ საღი თვალით დაინახავთ აქაურ სამყაროში ცვლილებას, მე ვიბრძვი ქალთა გადარჩენისათვის, რათა აღარ იყვნენ ამ ქვეყანაში ნაციხარი ქალები. ამიტომ მათ ვემუქრები და ვაშინებ გარყვნილებით, რომ ისინი თუ კიდევ აქ მოხვდებიან, საზოგადოებისათვის უვარგისი გახდებიან, არავინ არ მიიღებს როგორც მოძველებულ ნივთს, რომელიც თითქოსდა ხელს უწლის ადამიანის მოძრაობას.

ქალბატონებო, ჩემი ლაპარაკის სიბრძნეს თქვენ ვერ ჩაწვდებით, რადგან მხოლოდ ერთი სამყაროს ჰაერით სუნთქავთ.

– თქვენ ჩვენი თხოვნის შემდეგაც არ შეწყვეტთ ქალთა შეურაცხყოფას და გააგრძელებთ თქვენს საყვარელ საქმიანობას? – შეეკითხა ელისო ექიმი.

– მე თქვენთვის არც მომისმენია და არც ვფიქრობ ვუღალატო ქალების ჩემებური აღზრდის მეთოდს.

– იცოდე ბოლოს და ბოლოს შენც ისეთი ბედი გიწერია, როგორიც ნარგიზის.

– შეიძლება უარესიც ვიცი, ერთ დღეს ქალები ავჯანყდებიან და იქნებ მომკლან კიდეც, მაგრამ განა ცოტას შეუწირავს თავი ხალხის კეთილდღეობისათვის? საბოლოოდ ისინი მიხვდებიან, რომ მე მათი კეთილდღეობისათვის ვიბრძვი!

– რაში გამოიხატება თქვენი ბრძოლა ქალთა უკეთესი მომავლისთვის?

– ხომ გითხარით, მე თქვენ მაგას ვერ გამიგებთ– მეთქი! – თქვა ქალთამზე „ულაყმა“ და კარები ისე მძლავრად გაიხურა, კედლიდან ბათქაში ჩამოცვივდა, ფერიდემ წამოიწია და ნახტ-

ომისთვის მოემზადა, მაგრამ ელისომ მხარზე ხელის დადებით დროულად შეაჩერა.

* * *

ერთი თვე გავიდა ქალთა კოლონიაში ფერიდეს მოსვლის დღიდან მან ამ დროის განმავლობაში იქაურობა ძირფესვიანად გაიცნო. საგრძნობლად შემსუბუქდა დანაშაულიც, მაგრამ ქალთამზე არაფრად აგდებდა და ძველებურად აგრძელებდა „მაღლიდან“ ნებადართულ ამორალურ საქმიანობას.

– „დადგა ჟამი ყველაფრისათვის პასუხი მოეთხოვოს „ულაყ“ ქალთამზეს“, – უთხრა კვირა საღამოს ფერიდემ ექიმ ელისო ტაბატაძეს.

– შენ ისევ არ იშლი შენს გადაწყვეტილებას დედა ფერიდე?

– ამ ქვეყნად შვილო, დობილი მყავს ერთი – ანუკი, ის ჩემი შვილის დედამთილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ჩემს შვილს დასცალდა და არც იმისას. ის მიყვარს და ის არის ჩემი მესაიდუმლე, მეორე კი შენა ხარ. ჩემი შვილის ხატებას მივჩერებივარ შენში, გთხოვ, ჩემი გააწყვეტილება არ მოიწონო და არც შემიშალო ხელი, ქალები კარგი მესაიდუმლეები არიან და შენც გაიზიარე ჩემი ტვირთი, რომ ადვილად ვზიდოთ ორივემ.

– არ მოკლა მაინც დედა ფერიდე!

– არა შვილო, მე არ მოვკვლავ, მას თავისი დანაშაული მოკლავს, თვითონ ხალხი აგებინებს პასუხს დანაშაულზე და ვინ იცის, შეიძლება მოუწონონ კიდეც...

ის საღამო საუბარში შემოათენდათ ფერიდესა და ელისოს თვალცრემლიანი უსმენდა შვილი დედის მწარე წარსულს, ხშირად წვეთებსაც კი იშველიებდა, რომ გული არ წასვლოდა. ასე შეეგება ორივე ორშაბათის გარიჟრაჟს. ფერიდემ მსუბუქად ჩაიცვა სპორტული ტანსაცმელი და სამრეცხაოში მივიდა. ქალთამზე ადრე ამდგარიყო, იატაკს წმენდდა ფერიდემ კარი ჩაკეტა და ქალთამზემ მხოლოდ ახლა შეამჩნია, ცოცხი ხელიდან გაუვარდა,

მაგრამ არ დაიბნა, უზარმაზარ ხორცსაკეპ დანას ხელი წამოავ-ლო და ხელში ხანჯალივით დაიჭირა.

– ნუ ჩქარობ ,,ულაყო" მაგ დანას ახლავე სამარცხვინო ადგილას მოგითავსებ და თუ არ გეჩქარება ეს პროცესი, გირჩევ სიკვდილის წინ მესაუბრო – უთხრა ფერიდემ.

– ქალთამზეს ხმა არ ამოუღია, აღმართული დანით გამოე-მართა ფერიდესაკენ, მაგრამ მოხდა რაღაც გაუთვალისწინე-ბელი, მკლავის ძვალმა ტკაცანი გაიღო და თავდამსხმელი კედელს მიენარცხა, ფერიდე კი, ისევ თავის ადგილზე იდგა მშვიდად. ,,ულაყი" მუხლებზე დაეცა და თხოვნით შეჰღაღა-და ფერიდეს:

– ნუ მომკლავ ციცი, ფიცს გაძლევ აწი აღარაფერს დავაშავებ, სულ შენი ნაჩვენები გზით ვივლი.

– რაც დააშავე, იმაზე ვინ აგებს პასუხს?

– იმისთვის უკვე მომაგე პასუხი, ცხოვრებაში ალბათ ცალხელა დავრჩები. მაპატიე ციცი თუ რამ შეგცოდე.

– მე ციცი არა ვარ, მე ფერიდე ვარ, გსმენია ოდსმე ეს სახელი?

– რომელი ფერიდე?

– ეკას დედა, გახსოვს ეკა?

– მაგ დანაშაულისათვის მე სასჯელს ვიხდი და ჩემი ბრალიც არ იყო, შალვამ შემაცდინა!

– შალვასთან გაგაგზავნი ახლავე და ორივენი ჩემს შვილს მონებად მოემსახურებით! – უთხრა ფერიდემ, წყნარი ნაბიჯით მიუახლოვდა ნიკაპში წიპურტი ამოკრა და გულწასული ,,ულაყი" ნელ– ნელა ჩაიკეცა?

სათლით სახეზე წყალი დაასხა, ,,ულაყი" მოსულიერდა.

– ადექი! – უბრძანა ფერიდემ ,,ულაყი" ზლაზვნით წამ-ოიმართა.

– რატომ მომიკალი შვილი?! – კბილების ღრჭიალით შეეკითხა ფერიდე.

– მორჩი, დაასრულე, დროულად, მე ის არ მიწამებია!

ფერიდემ მთელი სიძლიერით დაჰკრა ყბაში და წყლით სავსე აბაზანაში მოადენინა ტყაპანი, წყლიდან ამოსვლა არ

უცდია, სულთან გაყრა ძალზედ უძნელდებოდა ქალთამზეს და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

ფერიდემ მკერდზე დააბიჯა ფეხი, მსხვერპლმა ჩაიყურყუმელავა, მაგრამ როდესაც ჰაერის ბუშტუკები ამოუშვა, ისევ ზევით ამოსწია, ,,ულაყმა'' ისევ ღრმად ჩაისუნთქა ჟანგბადი და ხველებით წარმოსთქვა:

– ციცი შენ მართლა კატა ყოფილხარ, რა თაგვივით მათამაშებ, მორჩი, დაასრულე მე არავინ არ მიწამებია!

– ჰო, მე კატა ვარ ვეფხვის წინაპარი და შენ ძუ ვეფხვად მაქციე რატომ მომიკალი შვილი? შენს გულს იმის საფლავზე დავმარხავ ისე, როგორც შალვას გული განისვენებს იმის მკერდზე – უთხრა ფერიდემ და მუშტი შუბლზე ისე ძლიერად დაარტყა, თვალები გადმოსცვივდა . შემდეგ ფეხი დააბჯინა მკერდზე, ,,ულაყმა'' რამდენიმე წამს აბაზანაში იფხარკალა, შემდეგ კი აბაზანაში ჩამდგარი წყალიც ჩაწყნარდა.

* * *

– არაფერს მომიყვე, საკუთარი თვალით ვიხილე ყოველი! – თქვა ელისომ, – კიდევ მეტად შემიყვარდი დედა ფერიდე ნუთუ მეც ასე ძლიერად ვუყვარვარ ჩემს დედას, ნუთუ ასე ძლიერად შევიყვარებ ჩემს შვილს?!

– შვილი განსაკუთრებით უყვარს ყველა არსებას, ფრინველსაც, ცხოველსაც და ასე განსაჯე ზოგიერთ ადამიანსაც კი.

– სასჯელს ხომ არ დაგიმატებენ დედა ფერიდე?

– არა, ასეთ ცხოველებზე გამოძიება თავს არ შეიწუხებს, მასეთებს იყენებენ და შემდეგ ნახმარი პრეზერვატივივით მოისვრიან სანაგვეში.

* * *

დილით მართლაც ატყდა კოლონიაში განგაში. ხმა ტყვიასავით გავარდა. ,,ქალთამზეს'' თავი მოუკლავსო'' – ,,აბაზანაში დაუხრჩვიაო თავი''

– ,,კი მაგრამ ბაწარი ვერ იშოვა?''

– „ცოდვებმა გზა დაუბნია და მეტი სატანჯველით გადაწყვიტა სიკვდილი, წყალში დახრჩობით“.

– „ასეც ვიცოდი მასეთების ბოლო ეგეთიაო“ – და ბანაკმა მალე დაივიწყა „ულაყი“ ქალთამზე.

* * *

– ასეც ვიცოდი აქ მოიტანდნენ! – თქვა ელისო ექიმმა, როდესაც საკაცეზე გაშხლართული ქალთამზე საოპერაციო ოთახში შეიტანეს და საოპერაციო მაგიდაზე დაასვენეს გასაკვეთად.

ფერიდემ ორლიტრიანი ქილა აიღო და საოპერაციო ოთახში შევიდა.

ქალთამზეს მკერდი გადაულეღა, შემდეგ ჰაერში მარჯვენა ხელით წრე მოხაზა და თითები მთელი სიმძლავრით ჩასცა მკერდში, ხელი მაჯის სახსრამდე დამალა ჭრილობაში და ცოტა ხნის შემდეგ ჯერ კიდევ თბილი გული ამოგლიჯა მკერდიდან. ჭრილობიდან შედედებული მოშავო სისხლი გადმოიღვარა.

მიუხედავად იმისა ელისო ექიმი იყო და იმის ფუნქციაში შედიოდა ოპერაცია, მაინც ვერ გაუძლო ასეთ პროცედურას და ოთახიდან გავიდა. ფერიდემ კი ჯერ კიდევ თბილი გული ქილაში ჩაასვენა, შემდეგ სპირტით გაავსო და მოხუფა.

ორი წელი საპატიო ადგილზე ინახებოდა ქილა... ორი წლის შემდეგ კი სასიხარულო ამბავი მოხდა, ქალთა კოლონიაში ამინისტრია გამოცხადდა, სიხარულით აღფრთოვანდა კოლონია. სიხარული ფერიდესაც ხვდა წილად, აკმარეს ორი წლის სასჯელი და შეიწყალეს.

რაღა მკვდარ ეკასთან და რაღა ცოცხალ ელისოსთან განშორების წუთები, ცრემლად დაიღვარა დედაშვილობას ფიცნაჭამი ქალი და ქალწული, ელისომ აღუთქვა მალე გინახულებო და ბანაკს გაშორდა, რათა არ ეხილა თუ როგორ მოშორდებოდა საავადმყოფოს მისი სათაყვანო ადამიანი, რომლის ადგილსაც ვერასოდეს ვერ დაიკავებდა ვინმე, ვერც გულში და ვერც საავადმყოფოში.

ფერიდემ ორი წლის წინათ შენახული ორლიტრიანი ქილა გამოიღო, სპირს ცოცხლად შეენახა გული, ქილა ჩანთაში მოათავსა, როგორც უძვირფასესი განძი და ავტოსადგურამდე ტაქსით მივიდა. იკარუსი სამ საათს მოუნდა დედაქალაქიდან საჩხერემდე ჩამოსვლას. საღამო იყო. საათი ხუთს უჩვენებდა, იდგა 21 ნოემბერი. დღე მთავარანგელოზობისა. ფერიდე პირდაპირ სასაღფლაოსაკენ წავიდა, ჯერ კიდევ არ მოეთოვა, მაგრამ ცრიდა, ცივი ქარი ქროდა, ძვალსა და რბილში ატანდა სიცივე, ფერიდეს თალხად ეცვა. სიცივეს ვერ გრძნობდა, სიხარულით მიაბიჯებდა ნადავლით და მიუხაროდა შვილებთან შეხვედრა. აი სასაფლაოც, თითქმის ვერ იცნო ფერიდემ მოვლილი და ნაპატრონები იყო, ქალის ხელი ეტყობოდა ყოველს, ჩანდა ანუკის დამსახურება. ანუკის სასაფლაო გაეფართოებინა, მარმარილოს ფილებით შემოურაგავს, შავი გრანიტის ორი ქვა აღუმართავს, ერთი არჩილის გვერდით და ზედ თავისი სახელი დაუერია, ხოლო მეორე – ეკას მხარეს და ზედ – ფერიდე აწერია, გაეხარდა ქალს, ცრემლები წამოსცვივდა და დილის ანგელოზებს ანუკისთან მადლობა დააბარა.

შემდეგ ფრჩხილებით შეუდგა მიწის გათხრას. შალვას გული მიწას შეეჭამა უკვე და იმის ადგილზე მოთეთრო მიწის გორგალი იდო. ქალთამზეს გულიც იქვე დადო და მიწა მიაყარა:

– მიიღეთ შვილებო, ეს უკანასკნელი საჩუქარი ჩემგან, ფიცი პირნათლად შევასრულე, ახლა შემიძლია ჩემი სულიც ვალმოხდილი წარმოგიდგინოთ, აღარ ვტირი, ცრემლი დილი ხანია გამიშრა. შენ კი, ღმერთო, ჩემთვის თხოვნა არასოდეს შეგისრულებია, და თქვენ გთხოვთ მთავარანგელოზებო, მიქაელ და გაბრიელ, მომეცით გამძლეობა სულის გაყრისა. – ფერიდე თავისთვის განკუთვნილ მიწაზე წამოწვა, მგონი მართლა უსმინა ღმერთმა, აღარ სციოდა, ტანზე ზედმეტი სიმხურვალე იგრძნო. გამთენიისას ჩაეძინა კიდეც.

...იმ ღამეს ელისოს ცუდად ეძინა, ფერიდე ელანდებოდა, თითქოს შველას თხოვდა, თითქოს სადღაც მიდიოდა და რა-

ღაცას უბარებდა, თითქოს ტირილს უკრძალავდა, სიზმარი იყო თუ მოჩვენება ვერ გაარკვია, დილას ოთახის საათმა ხუთჯერ ჩამოჰკრა ზუმერს, ზამთრის ღამეა, გვიან თენდება, მაგრამ დილა ეთქმის მაინც.

– ,,ფერიდეს რაღაც უჭირს" – გაიფიქრა და ზეზე წამოიჭრა, ტელეფონს მივარდა და თავისი განყოფილებიდან სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა, სანამ ჩაიცმევდა, სასწრაფო დახმარების თეთრი ვოლგა ელისოს ჭიშკართან გაჩერდა.

– საჩქაროდ საჩხერეში უნდა წავიდეთ! – მისალმების ნაცვლად უთხრა ელისომ მძღოლს და წინა სავარძელზე მოკალათდა...

გათენდა, ბურუსი გაიფანტა, საჩხერის დათრთვილულ სანახებს მიაპობდა ვოლგა, ელისოს ხელში ეჭირა ფერიდეს დაწერილი მისამართი და მძღოლი სახლს დაეძებდა. აი მწვანეში ჩაფლული სახლიც. ვოლგა ჭიშკართან გაჩერდა. დაძახება არ დასჭირვებია, სტუმრებს ანუკი გამოეგება:

– მობრძანდით შვილებო! მობრძანდით, ხომ კარგი ამბავი მოგიტანიათ? – ფართოდ გააღო ჭიშკარი ანუკიმ.

– არა დეიდა, დრო არა გვაქვს, ფერიდეს ნახვა გვინდოდა, თუ შეიძლება დაუძახეთ, უთხარით რომ ელისო კითხულობს.

– ფერიდე ჯერ კიდევ არ გაუნთავისუფლებიათ შვილო!

– როგორ არ გაუნთავისუფლებიათ, გუშინ მე თვითონ გამოვაცილე!

– ვაი შვილებო, მოგიკვდეთ დედა, რაღად ვარ ცოცხალი მე მიწადასაყრელი, რად არ ვუდარაჯე, წავიდეთ ჩქარა, ის ეხლა სასაფლაოზე იქნება.

ანუკის თანხლებით სასაფლაოსკენ გაქანდა ვოლგა. ფერიდე იწვა ნაქანდაკარი, თვალებდახუჭული, მკერდზე ხელებდაკრეფილი, მოღიმარი სახით... ჩქარა სუნთქავდა, ეტყობოდა სიცხეს ფილტვებში შეეღწია, მკერდი ტუმბოსავით მუშაობდა.

– აბა ჩქარა, მომეხმარე გია! – უთხრა ელისომ მძღოლს და ფერიდეს ზურგში ხელები შეუცურა. ფერიდემ თვალები

გაახილა, იცნო ელისო და თვალთაგან მადლიერების ცრემლი დაუგორდა.

– აბა გია, მიშველე, თბილისში უნდა ჩავასწროთ, მხოლოდ იქ გადავარჩენთ, რაიონის საავადმყოფოს ვერ ენდობი. ჩქარა გია!

– ვოლგა მთელი სიჩქარით მიაპობდა გზატკეცილს, ფერიდე საკაცეზე იწვა. ელისო თავით უჯდა და ხელში მისი მაჯა ეჭირა. ანუკის მეორე საკაცე გადმოეღო და ფერიდეს გვერდით ზელ თვითონ დაწოლილიყო.

– რატომ დამღუპე გოგო, შვილი ვის არ მოკვდომია, მარტო შენა ხარ ასეთი თავდადებული დედა. მე შენი იმედით ვცოცხლობდი, რატომ არ დამიტირე გოგო... – უცრემლოდ მოთქვამდა ანუკი.

ავტომობილი გორის სანახებს გაუსწორდა... ელისომ ხელი მკერდზე დაუდო ფერიდეს... თვალის დახუჭვა არ დასჭირვებია, თავისი თავისთვის თვითონ მოევლო ფერიდეს და სახეზე კმაყოფილების ღიმილი შეყინვოდა...

ანუკიმ ერთი შეჰკივლა და გრძნობა დაკარგა. ელისომ რომელიღაც აბით მოიყვანა გრძნობაზე... ექიმი უხმოდ ტირიოდა და მის ლამაზ სახეზე ჩამომდინარი ცრემლის მარგალიტები ნიკაპთან ჰკრავდნენ კამარას...

ავტომობილი ისევ საჩხერეში დაბრუნდა, ჰოლში დაასვენეს ფერიდე.

– ღმერთმა მოგვივლინა შენი თავი შვილო! – უთხრა ანუკიმ ელისოს, შენ ვალს იხდი საკუთარი დედის წინაშეც კი, დაგვეხმარე თუ ღმერთი გწამს შვილო და უფალი არ დაგივიწყებს ამაგს!..

– მე ფერიდეს არ მოვშორდები უკანასკნელ დღემდე! – უპასუხა ელისომ და ცრემლები ცხვირსახოცით შეიმშრალა...

ანუკი ერთ საათში ისე მოტყდა, ძლივს აითრია წელი და მეორე ოთახში გავიდა, რაღაც ფუთა გამოიტანა და ელისოს დაუძახა. ფუთა გახსნა, ელისო საგვარეულო ძვირფასი სამკაულებით დაასაჩუქრა და შემდეგ სამი ათასი დოლარი მიუთვალა.

– ეს შვილო ჩვენი გასასვენებელი თანხაა, რადგან ღმერთმა მოგავლინა,გვიპატრონე კიდეც! ბევრ ოხოხოიას თავი დაანებე, თორემ მკვდარს უფრო წაწყმედენ გადამთვრალი მექელეხეები!..

– როგორ, შენ სად მიდიხან ანუკი დეიდა?

– სად უნდა წავიდე შვილო, მეც აქ ვიქნები, ფერიდეს გვერდით! ახლა კი წამოდი, რაღაც მინდა გაჩვენო:

ანუკი და ელისო მეზობელ ოთახში გავიდნენ. იქ ორი სადგომი იდგა! ელისომ შიშისაგან უკან დაიწია:

– რა არის ეს! – წამოიძახა უნებურად.

– სადგომია შვილო, ერთი ჩემია, მეორე ფერიდესი!..

– რა გაჩერებდა ამ სახლში, სადაც ორი კუბო იდგა ქალბატონო ანუკი?

– შენ უკვე ყველაფერი იცი, ეს სახლიც შენ გეკუთვნის – თქვა ანუკიმ და ელისოსაგან შეუმჩნევლად საკუჭნაო ოთახში გავიდა, ნახევარლიტრიანი ქილა გამოიღო, სადაც შხამიანი სოკოს ნახარშს სათუთად ინახავდა და მოწყურებული ადამიანის სიხარბით გამოცალა... შემდეგ პატარა, დაბალი სკამი აიღო, ფერიდეს ცხედართან მივიდა და თავის ერთადერთ მონუგეშეს – ელისოს უთხრა:

– ხელი არ შემიშალო, ჩუმად მატირე!

სკამზე ჩამოჯდა... თავი მკერდზე დაადო ფერიდეს... ჯერ ფეხის ტერფებზე იგრძნო სიცივე, შემდეგ მუხლებზე... და გაუხარდა, გრძნობდა სიკვდილი გულამდე მალე მიაღწევდა...

სარჩევი

მკვლელის აღსარება 3

კრიმინალური აქსიომა 149

CHAPIDZE GARI

Murlerer's Contession

DETECTIVE

რედაქტორი: – ლ. გეგეშიძე
მხატვრული რედაქტორი: – ქ. ტრიპოლსკი
ტექნიკური რედაქტორი: – ნ. კაპანაძე
დიზაინერი: – ლ. ლაცაბიძე

გამომცემლობა – „კოლორი“